

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური
გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტი
(„რუსთაველის კომიტეტი“)

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის
დამდგენი კომისიის
მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები

წიგნი II
(1979-2006 წწ.)

შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს
გურამ კარტოზიამ და გიორგი არაბულმა

თბილისი
2013

წინამდებარე კრებული გავრძელებაა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმების I წიგნისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „რუსთაველის კომიტეტმა“ გამოაქვეყნა 2011 წელს.

II კრებულში წარმოდგენილი ოქმების ერთი ნაწილი, 1979-1984 წწ., შედგენილია მთავარი რედაქციის სწავლული მდივნის **გურამ კარტოზიას** მიერ (დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალ „მაცნეში“ 1982-1988 და 1994 წლებში), ხოლო მთავარი რედაქციის 1985-2006 წლებში გაწეული მუშაობის მიმდინარეობა, „რუსთაველის კომიტეტის“ საარქივო მასალების მიხედვით, ოქმების სახით აღადგინა რედაქციის წევრმა **გიორგი არაბულმა**.

„რუსთაველის კომიტეტის“ არქივში პოემის ზოგიერთი ნაწილის განხილვის ოქმები არ აღმოჩნდა; ამიტომ ვაქვეყნებთ მხოლოდ მთავარი რედაქციის მიერ ამ მონაკვეთების დადგენილ ტექსტსა და მის „შინაარსს“ (თანამედროვე სალიტერატურო ქართულით).

„ოქმების“ I წიგნის მკითხველებს მოეხსენებათ, რომ იქ არ არის დაბეჭდილი „დასაწყისისა“ და I-II თავების (1-163 სტროფების) განხილვის ამსახველი მასალა; ეს ნაწილი ქვეყნდება წინამდებარე II წიგნში (იხ. ოქმები 1981. 16. XII-დან 1982. 7. III-მდე).

რედაქტორი – აკად. **თამაზ გამყრელიძე**

რეცენზენტი – პროფ. **მიხეილ ქავთარია**

ტექნიკური რედაქცია – **ზურაბ ბარათაშვილი**
ნინო ციხისტავი

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

ISBN 978-9941-0-3870-9 (ყველა ნიგნის)

ISBN 978-9941-0-5565-2 (II ნიგნის)

პირველი წიგნის წინასიტყვაობა*

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1962 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ირაკლი აბაშიძე (თავმჯდომარე), ილია აბულაძე, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, ვუკოლ ბერიძე, ნიკო ბერძენიშვილი, ივანე გიგინეიშვილი, ისიდორე დოლიძე, მამია ებრალიძე (სწავლული მდივანი), ვარლამ თოფურია, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი წერეთელი.

პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადებისათვის შეიქმნა მთავარი რედაქცია: გიორგი წერეთელი (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, ილია აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, მამია ებრალიძე, აკაკი შანიძე.

შეიქმნა კომისიის აპარატი: გამოიყო მეცნიერ თანამშრომელთა რამდენიმე საშტატო ერთეული. ამასთან, აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტიდან კომისიაში სამუშაოდ გადმოიყვანეს რამდენიმე თანამშრომელი.

კომისიამ თავის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პოემის აკადემიური გამოცემის მომზადების ძირითადი პრინციპები.

1963-ის აგვისტოდან მამია ებრალიძე გათავისუფლდა კომისიის სწავლული მდივნისა და მთავარი რედაქციის წევრის მოვალეობისაგან, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ და მთავარი რედაქციის სწავლულ მდივნად დაინიშნა სარგის ცაიშვილი, კომისიის სწავლულ მდივნად – რობერტ თაგაური. 1966-ის მარტიდან კომისიის სწავლულ მდივნად დაინიშნა გურამ კარტოზია.

კომისიაში თავიდანვე ფართო მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო, რათა განხორციელებულიყო პოემის აკადემიური გამოცემა იმ გეგმით, რაც წარმოდგენილია აკად. გიორგი წერეთლის წერილში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“ (ყურნ. „მნათობი“, №2, 1962).

მოსამზადებელი სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. პირველი რიგის ამოცანად იქნა დასახული სალექსიკონო მასალის ამონერა ქართული მწერლობის ძეგლებიდან. კომისიის თანამშრომლებისა და ხელშეკრულებით მონვეული სპეციალისტების მიერ დამუშავდა ძველი ქართული მწერლობის ყველა გამოქვეყნებული ტექსტი, მთელი რიგი ხელნაწერი კრებულები, დიალექტოლოგიური ტექსტების დიდი ნაწილი. ლექსიკური ერთეულები ამონერილია ცალკე ბარათებზე ვრცელი კონტექსტით.

კომისიის სალექსიკონო ფონდის შექმნის სამუშაოებს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: მამია ებრალიძე, შალვა ლლონტი, გურამ კარტოზია, თინათინ ცქიტიშვილი. რედაქციულად შესწავლილ იქნა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მემკვიდრეობა. მუშაობის შედეგები ასახულია სარგის ცაიშვილის მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, ტ. I (1970) და II (1971). გამოიყო ხელნა-

* იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

წერთა რედაქციული ჯგუფები. ოთხ (A, B, C, D) რედაქციად დაიყო ის ხელნაწერები, თავიდან ბოლომდე ვახტანგის გამოცემისაგან დამოუკიდებელ (შედგენილობით უფრო ვრცელ) ტექსტს რომ შეიცავენ; ე. წ. კომპილაციური ხელნაწერები კი, ე. ი. ისინი, რომლებიც ძირითად ნაწილში – დასაწყისიდან „ინდო-ხატაელთა ამბამდე“ – ვახტანგის გამოცემის ტექსტს იმეორებენ, ბოლოში კი – „ინდო-ხატაელთა ამბიდან“ – ვრცელი რედაქციების ტექსტს შეიცავენ (ან ისინი, რომლებიც მხოლოდ ამ ბოლო კომპონენტს წარმოგვიდგენენ), დამატებით ორ (E და F) რედაქციად დაჯგუფდა. აკად. გიორგი **წერეთლის** წინადადებით, ახალი ლიტერები მიეკუთვნა ტექსტის დადგენისათვის მნიშვნელოვან ხელნაწერებს; ახალი ლიტერები (ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გათვალისწინებით) მიეცა პოემის ძირითად გამოცემებსაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში „ინდო-ხატაელთა ამბავსა“ და ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნებისა და ქორნილის აღწერას მოსდევს „ხვარაზმელთა ამბავი“ და გმირთა გარდაცვალებისა და ანდერძების შემცველი თავები. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის პირველადი გეგმა „ხვარაზმელთა ამბისა“ და მომდევნო თავების ტექსტის დადგენასაც ითვალისწინებდა. მუშაობის პროცესში მთავარმა რედაქციამ გადაწყვიტა: რადგან ტექსტის ეს ნაწილი რუსთველს არ ეკუთვნის (და ამაში ეჭვი არავის ეპარება), იგი ცალკე უნდა გამოიცეს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება. მომზადდა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. პოემის საკომენტარო მასალის ამონერისა და განყოფილება-დალაგების სამუშაოებში მონაწილეობდნენ: გიორგი **არაბული**, მერი **გუგუშვილი**, ციალა **კარბელაშვილი**, ვიოლა **მიქაძე**, რიმა **ფირცხალაიშვილი**, გალაქტიონ **ლლონტი**, მზია **ჩაჩავა**, ნანი **ნაქაძე**. ხელნაწერთა ვარიანტების სრული, ამომწურავი ნუსხის შესადგენად „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ძირითადი ხელნაწერი სტროფობრივ გადაინერა ცალკე ბარათებზე. როგორც ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენაში, ისე ხელნაწერთა გადაწერასა და ენობრივ შესწავლაში კომისიის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ ხელშეკრულებით მონვეული პირები. 1968 წელს, მას შემდეგ, რაც წინასწარი სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულდა, კომისია შეუდგა უშუალოდ ტექსტის დადგენას. კომისიის აპარატის თანამშრომლები (სარგის **ცაიშვილი**, გურამ **კარტოზია**, ცოტნე **კიკვიძე**, ნანა **ავალიშვილი**, მანუჩარ **ანთაძე**, გიორგი **არაბული**, ელისო **ბილანიშვილი**, ეფემია **გვრიტიშვილი**, ლუცინა **გუგუშვილი**, ლეილა **თუშმალიშვილი**, ლია **კიკნაძე**, ნანა **კოტეტიშვილი**, ბაბო **მასხარაშვილი**, ეკატერინე **ტურაბელიძე**, გალაქტიონ **ლლონტი**, შალვა **ლლონტი**, თინათინ **ცქიტიშვილი**, ნათელა **ცქიტიშვილი**, ნანი **ნაქაძე**) აკად. გიორგი **წერეთლის** ხელმძღვანელობით ადგენდნენ ძირითადი და ჩანართი სტროფების ტექსტს, ურთავდნენ მათ კრიტიკულ აპარატს: ვარიანტების ნუსხას, ტექსტოლოგიურ შენიშვნებს, საილუსტრაციო მასალას – პარალელებს ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებიდან. დადგენილი ტექსტის პროექტი წარედგინებოდა მთავარ რედაქციას, რომელიც თავის სხდომებზე განიხილავდა და ამტკიცებდა მას.

1968-1973 წლებში კომისიამ მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის პირველი ტომი. იგი შეიცავდა პოემის 258 სტროფის (162 ძირითადისა და 96 ჩანართის) კრიტიკულად დადგენილ, დასაბუთებულ ტექსტს, რომელსაც ახლდა

„ვეფხისტყაოსნის“ 53 ძირითადი ხელნაწერისა და 22 ძირითადი გამოცემის ვარიანტები. ვარიანტული წაკითხვები სრულად არის მოცემული და სათანადოდ კვალიფიცირებული. ტექსტის ცალკეულ წაკითხვებს (როგორც მიღებულს, ისე უარყოფილს) დართული აქვს ვრცელი ტექსტოლოგიური შენიშვნები, ფართოდ არის გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – პარალელები ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებიდან. ტექსტს უძღვის პოემის ძირითად ხელნაწერთა დახასიათება, ბიბლიოგრაფია ძველი ქართული მწერლობის იმ ძეგლებისა და დიალექტოლოგიური ტექსტებისა, საიდანაც კომისიის თანამშრომლებმა და მონვეულმა პირებმა ამოწერეს სალექსიკონო მასალა, ტექსტის დასადგენად კომისიის მნიშვნელოვანი დასაყრდენი.

„ვეფხისტყაოსნის“ დადგენილ ტექსტში რუსთაველისდროინდელი ქართული ენის ფონეტიკურ-გრამატიკული ნორმებია დაცული: ნახმარია უკანაველარული ხშული თანხმოვნის შესატყვისი გრაფემა **ჭ** და წყვილბაგისმიერი სპირანტის გამომხატველი **ჟ**, ოღონდ ამ უკანასკნელს (უმარცვლო **ჟ**-ს), მარცვლოვანი **ჟ** ხმოვნისაგან გასარჩევად, გიორგი **წერეთლის** წინადადებით, თავზე დიაკრიტიკული ნიშანი (ე. წ. ბრჯგუბის მაჩვენებელი) აქვს დასმული (**ჟ**); **ა**, რომელიც რუსთაველისდროინდელ ქართულში აღარ იხმარებოდა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ პოზიციებში (სახელობით, ნათესაობით, მოქმედებით ბრუნვათა და უფროობითი ხარისხის ფორმებში), მხოლოდ შორისდებულებშია ნახმარი (**ვაა**, **ჰააჰაა**). სუბიექტური პირველი პირის ნიშანი **ვ** არ იხმარება **ჟ** ხმოვნის წინ. რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა თანამედროვე ნორმებს შეესაბამება. 1969 წელს, როგორც ნიმუში, დაიბეჭდა პოემის პირველი 15 სტროფის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ვარიანტებითა და ტექსტოლოგიური შენიშვნებით.

აკად. გიორგი **წერეთლის** გარდაცვალების (1973. 9. IX) შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1973 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით დაამტკიცა მთავარი რედაქციის შემდეგი შემადგენლობა: ალექსანდრე **ბარამიძე** (მთავარი რედაქტორი), ირაკლი **აბაშიძე**, ივანე **გივინიშვილი**, გურამ **კარტოზია** (მთ. რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე **კიკვიძე**, ელენე **მეტრეველი**, სარგის **ცაიშვილი** (მთ. რედაქტორის მოადგილე), შოთა **ძიძიგური**.

კომისიის აპარატში ჩამოყალიბდა თანამშრომელთა 3 ჯგუფი: **I** – სარგის **ცაიშვილი** (ხელ.), მანუჩარ **ანთაძე**, გიორგი **არაბული**, ნანა **კოტეტიშვილი**, თინათინ **ცქიტიშვილი**; **II** – გურამ **კარტოზია** (ხელ.), ელისო **ბილანიშვილი**, ლია **კიკნაძე**, ბაბო **მასხარაშვილი**, ეკატერინე **ტურაბელიძე**; **III** – ცოტნე **კიკვიძე** (ხელ.), ნანა **ავალიშვილი**, ეფემია **გვრიტიშვილი**, ლუცინა **გუგუშვილი**, ნათელა **ცქიტიშვილი**. ჯგუფები დამოუკიდებლად ამზადებდნენ მთავარი რედაქციისათვის პოემის ცალკე მონაკვეთთა დადგენილი ტექსტის პროექტს.

1976-ის მარტიდან პირველი ჯგუფი დაიშალა. მუშაობდა ორი ჯგუფი: **II** – გ. **კარტოზია** (ხელ.), გ. **არაბული**, ე. **ბილანიშვილი**, ლ. **კიკნაძე**, ბ. **მასხარაშვილი**, ე. **ტურაბელიძე**;

III – ც. **კიკვიძე** (ხელ.), ნ. **ავალიშვილი**, ე. **გვრიტიშვილი**, ლ. **გუგუშვილი**, ლ. **თუშმალიშვილი**, ნ. **კოტეტიშვილი**, ნ. **ცქიტიშვილი**.

1985 წლის თებერვლიდან კომისია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა საქ. მეცნ. აკად. ნევრ-კორ. სარგის **ცაიშვილს**.

მთავარმა რედაქციამ ერთხელ კიდევ გადახედა ადრე დადგენილ ტექსტს (სტროფები1-163) და მასში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება, რომელთა შედეგად რამდენიმე ადგილი განსხვავებული სახით იქნა მიღებული. ამასთან, სტროფი 113₁ („თუ ყოფილა იგი მოყმე“), რომელიც მთავარ რედაქციას ჩანართად ჰქონდა ჩათვლილი, ძირითადად იქნა მიჩნეული. ამით აიხსნება ის, რომ ამ ნიგნში სტროფთა ნუმერაცია, „მაცნეში“ დაბეჭდილთან შედარებით, ერთით არის გაზრდილი (ამის შესახებ იხ. კარტოზია 2004, 190). მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმების ბეჭდვა „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია) 1974 წელს დაიწყო და 1988 წლამდე მეტ-ნაკლები პერიოდულობით გრძელდებოდა.

მკითხველ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, წლების განმავლობაში თვალყური ედევნებინა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მიმდინარე მუშაობისათვის. ოქმებში სრულად არის მითითებული, თუ რა ცვლილებები იქნა შეტანილი პოემის ტექსტში, მოკლედ, შეკუმშულად ფიქსირებულია ცალკეულ ტექსტოლოგიურ საკითხებზე გამართული მსჯელობა. სტროფების შინაარსი გადმოცემულია თანამედროვე ქართულ ენაზე.

სარგის **ცაიშვილის** გარდაცვალების (1992. 20. V) შემდეგ, 1992–1994 წლებში, კომისიას ხელმძღვანელობდა მთავარი რედაქტორი აკად. ალექსანდრე **ბარამიძე** (გარდ. 1994). 1992 წლიდან მთავარი რედაქციის წევრად დამტკიცდა საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორ. ალექსანდრე **გვახარია**. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით 1997. 9. XII-დან კომისიის ხელმძღვანელად და მთავარ რედაქტორად დაინიშნა აკად. თამაზ **გამყრელიძე**.

2006. 3. I-დან კომისია უშუალოდ დაექვემდებარა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიას. იგი იწოდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტად (შემოკლებით: **«რუსთაველის კომიტეტი»**).

განახლებულმა მთავარმა რედაქციამ [თამაზ **გამყრელიძე** (მთ. რედაქტორი), გიორგი **არაბული**, ბაჩანა **ბრეგვაძე**, ალექსანდრე **გვახარია** (გარდ. 2002), გურამ **კარტოზია** (მთ. რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე **კიკვიძე** (გარდ. 2001), ზურაბ **სარჯველაძე** (გარდ. 2005), თინათინ **ცქიტიშვილი**] 1988 წლის გამოცემის საფუძველზე გამოსაცემად მოამზადა და მოკლე ლექსიკონით 2006-ში დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა. მასში შეიცვალა ცალკეული ნაკითხვები, ცვლილება მოხდა სტროფულ შედგენილობაშიც.

ჯერ კიდევ 1989 წელს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში გადაწყდა ოქმების ცალკე ტომად გამოცემა. გამომცემლობა „მეცნიერებას“ გადაეცა გამოსაცემი წიგნის დედანი, მაგრამ 90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექნილი სირთულეებისა და სიძნელეების გამო მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის „რუსთაველის კომიტეტი“ იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ოცი წლის წინანდელი გადაწყვეტილების შესრულებას.

გურამ კარტოზია
[2010, მარტი]

**„ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ხელნაწერთა
და გამოცემათა ლიტერები**

ა) ხელნაწერები*

- A¹** [α] – ახალციხური ფრაგმენტი (XVII ს-ის დასაწყისი).
A² [E] – მამუკა თავაქარაშვილისეული – H 599 (1646 წ.).
A³ [R] – გურგენასეული – Q 930 (XVII ს.).
A⁴ [Z] – თარხან-მოურავისეული – W 27 (XVII ს.) – დაცულია
ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, მიკროფილმი – საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.
A⁵ [N] – S 3077 (XVII ს.).
A⁶ [S] – H 3249 (XVIII ს.).
A⁷ [P] – S 1418 (XVII ს-ის II ნახევარი).
A⁸ [A'] – ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-
ზეუმის ხელნაწერი № 383 (XVII ს-ის მიწურული).
A⁹ [F] – S 2829 (1688 წ.).
A¹⁰ [I] – Q 261 (XVII ს-ის მიწურული).
A¹¹ [Y] – H 740 (XVII–XVIII სს.).
A¹²[R'] – გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული
მუზეუმის ხელნაწერი № 12904 (1802 წ.).
A¹³ – Q 1075 (XIX ს.).
- B¹** [D] – ზაზასეული – Q 1082 (1660-იანი წწ.).
B² [L] – A 363 (XVII ს-ის II ნახევარი).
B³ [Q] ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-
ზეუმის ხელნაწერი № 215 (XVII ს.).
B⁴ [C'] – S 1675^o (XVII ს-ის II ნახევარი).
B⁵ [H] – H 2610 (XVII ს-ის მიწურული).
B⁶ [G] – S 4988 (XVII ს-ის მიწურული).
B⁷ [V] – H 3061 (XVII ს.).
B⁸ [U] – S 5006 (XVIII ს.).
B⁹ [O'] – Q 799 (XVIII ს.).
B¹⁰ [F'] – S 4527 (1805 წ.).
B¹¹ [Q'] – გიორგი ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატუ-
რული მუზეუმის ხელნაწერი № 10768 (XIX ს-ის I ნახევარი).
B¹² [I'] – H 412 (XIX ს-ის დასაწყისი).
B¹³ [L'] – ვ. ასლანიშვილისეული – საქ. მეცნ. აკად. ბიბლიოთეკისა ა2 25299
(1860 წ.).

* კვადრატულ ფრჩხილებში მინერილია შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერები. ხელნაწერები, რომელთა ნომერს A, H, Q ან S გრაფემა უძღვის, დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

- C¹ [C] – H 2074 (XVII ს – ის I ნახევარი).
 C² [M] – Q 779 (XVII ს.).
 C³ [A] – H 757 (1671 წ.).
 C⁴ [B] – ბეგთაბეგისეული – H 54 (1680 წ.).
 C⁵ [X] – პარიზული – P 10 (1702 წ.) – დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, მიკროფილმი – საქ. მეცნ. აკად. ბიბლიოთეკაში.
 C⁶ [D'] – H 1839 (1832 წ.).
 C⁷ – Q 1335 (XIX ს-ის I ნახევარი).
 C⁸ [E'] – Q 483 (1856 წ.).

- D¹ [J] – H 461 (XVII–XVIII სს.).
 D² [T] – მზენათუნისეული – W 17 (XVII ს-ის ბოლო) – დაცულია ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, მიკროფილმი – საქ. მეცნ. აკად. ბიბლიოთეკაში.
 D³ [K] – S 4499 (XVII ს-ის II ნახევარი).
 D⁴ [O] – ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 205 (XVII ს-ის მიწურული).
 D⁵ [G'] – Q 796 (XIX ს.).

ბ) გამოცემები

- a – ვეფხის ტყაოსანი. აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა **უფლისა ვახტანგისა**. შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა. გაიმართა წელითა წელმწიფის კარის დეკანოზის შვილის **მიქელისათა**, ქალაქსა ტფილისისასა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა.
- b – ვეფხის-ტყაოსანი, რუსულად **Барсова кожа**, პოემა დანერილი შოთთა რუსთველის მიერ. ახლად დაბეჭდვილი შეერთებულითა ღვანლითა უფალთა **ბროსეტ**, ზაქარია **ფალავანდიშვილისა** და დავით **ჩუბინოვისათა**, სპბ., 1841.
- c – ვეფხის-ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველისა-გან თამარ მეფის დროს. ახლად დაბეჭდილი დავით **ჩუბინოვისა-გან** განმარტებითურთ, სპბ., 1860.
- d – ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, გამოცემული გ. დ. **ქართველიშვილის** მიერ, თბ., 1888.
- e – შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი. მეცხრამეტე გამოცემა, დ. **კარიჭაშვილის** წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, თბ., 1903.
- f – ვეფხის ტყაოსანი. სარგის **კაკაბაძის** რედაქტორობით, თბ., [1913].
- g – შ. რუსთველი, ვეფხის-ტყაოსანი. ი. **აბულაძის** რედაქტორობით, მე-22-ე გამოცემა, თბ., 1914.
- h – შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი. შინაარსის და ვრცელის ლექსიკონის დართვით, დ. **კარიჭაშვილის** რედაქტორობით, თბ., 1920.
- i – შოთა რუსთველი, ვეფხის-ტყაოსანი. მე-26-ე გამოცემა იუსტინე **აბულაძის** რედაქტორობით. ტექსტი ახლად შეიმუშავა, ვრცელი წინასიტყვაობა ვარიანტებით და ლექსიკონი საძიებლებით დაურთო და მეორედ გამოსცა იუსტინე აბულაძემ, თბ., 1926.

j – ვეფხის-ტყაოსანი. სარგის **კაკაბაძის** რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, [თბ., 1927].

k – შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი. კონსტანტინე **ჭიჭინაძის** რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, [თბ., 1934].

l – შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1937.

m – შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი. ტექსტი აღდგენილი მიხეილ **წერეთლის** მიერ, ბერლინი, 1938 (ხელნაწერი. ინახება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში).

n – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ალ. **ბარამიძე**, კ. **კეკელიძე**, ა. **შანიძე**, თბ., 1951.

o – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. პავლე **ინგოროყვას** რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1953.

p – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ალ. **ბარამიძე**, კ. **კეკელიძე**, ა. **შანიძე** – თბ., 1957.

q – შ. რუსთაველი (XII ს.), ვეფხის-ტყაოსანი. ნაწილი პირველი: ტექსტი და ჩანართნი, აღდგენილი მიხეილ **წერეთლის** მიერ, პარიზი, 1963.

r – შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი. პავლე **ინგოროყვას** რედაქციითა და შენიშვნებით, 1965 (ხელნაწერი. ფოტოპირი ინახება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში).

s – შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. **შანიძისა** და ა. **ბარამიძის** რედაქციით, 1, ტექსტი და ვარიანტები, თბ., 1966.

t – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი **წერეთელმა**, სარგის **ცაიშვილმა**, გურამ **კარტოზიამ**. რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე, თბ., 1966.

u – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ირაკლი **აბაშიძე**, ალექსანდრე **ბარამიძე**, პავლე **ინგოროყვა**, აკაკი **შანიძე**, გიორგი **წერეთელი**, თბ., 1966.

x – ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლ. **ყუბანიშვილმა**, თბ., 1956.

y – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი პავლე **ინგოროყვას** რედაქციით, ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევების დართვით, ორ წიგნად, წიგნი პირველი, თბ., 1970.

z – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. **ნათაძემ**, თბ., 1974.

a¹ – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. მთავარი რედაქცია: ალექსანდრე **ბარამიძე** (მთავარი რედაქტორი), ჯიორგი **წერეთელი** (მთავარი რედაქტორი), სარგის **ცაიშვილი** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გურამ **კარტოზია** (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი), ირაკლი **აბაშიძე**, ჭილია **აბულაძე**, ჭივანე **გიგინეიშვილი**, ცოტნე **კიკვიძე**, ელენე **მეტრეველი**, შოთა **ძიძიგური**, თბ., 1988.

a² – შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი. მთავარი რედაქცია: თამაზ გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი), გიორგი არაბული, ბაჩანა ბრეგვაძე, ჭალექსანდრე გვახარია, გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი). წვრილნი კიკვიძე, ჭზურაბ სარჯველაძე, თინათინ ცქიტიშვილი. თბ., 2006.

შემოკლებანი

ა –	პირველი ტაეპი.	„ვტ“ –	„ვეფხისტყაოსანი“.
ბ –	მეორე ტაეპი.	კომენტ. –	კომენტარი.
გ –	მესამე ტაეპი.	მთ. –	მთავარი.
დ –	მეოთხე ტაეპი.	ს. შ.: –	სტროფის შინაარსი.
გარდ. –	გარდაიცვალა.	სტრ. –	სტროფი (ან: სტროფები).
ელს –	ენისა და ლიტერატურის სერია.	შდრ. –	შეადარე.
		ხელ. –	ხელმძღვანელი.

I ჯგუფი – 1976. II-მდე: ს. ცაიშვილი (ხელ.), მ. ანთაძე (1974. XII-მდე), გ. არაბული, ნ. კოტეტიშვილი, თ. ცქიტიშვილი, ნ. ნაქაძე (1974. XII-დან).

II ჯგუფი – გ. კარტოზია (ხელ.), გ. არაბული (1976. II-დან), ე. ბილანიშვილი (1975. X-მდე), ე. გვრიტიშვილი (1975. XI-დან), ლ. კიკნაძე, ბ. მასხარაშვილი, ე. ტურაბელიძე.

III ჯგუფი – ც. კიკვიძე (ხელ.), ნ. ავალიშვილი, ე. გვრიტიშვილი (1974. XI-მდე), ლ. გუგუშვილი, ლ. თუშმალიშვილი (1974. XI-დან), ნ. კოტეტიშვილი (1977. XI-დან), ნ. ცქიტიშვილი.

მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები
(გაგრძელება)

1979. 18. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე.

განიხილეს: **1159-1162** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა), **1163; 1164** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1159 რა გარდაკლა ხანი რამე, გამოვიდეს ღამე-ღღენი, უსენ მითხრა: „არ მინახავს ძოღანდითგან მეფე ჩქენი. მივაზირებ, წავალ, ვნახავ, უღარბაზო, უძღუნა ძღენი“.

და მოვაკსენე: „ღია, ღმერთო, ბრძანებაა ეგე თქენი!“

u 1151-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უღარბაზო, უძღუნა (ეუღარბაზო, ეუძღუნა). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ, ი. გიგინეიშვილის წინადადებით, ღ-ში ღია-ს შემდეგ, მძიმე მოიშალა.

ს. შ.: როცა გაიარა რამდენიმე ხანმა, გავიდა რამდენიმე ღღე-ღამე, უსენმა მითხრა: „არ მინახავს ჩვენი მეფე ერთი ხანია. (თუ) მირჩევ, წავალ, ვნახავ, ეუღარბაზებ, ძღვენს მივართმევ“. უუთხარი: „ღიად, თქენი ნებაა!“

1160 უსენ ტაბაკსა დააწყო მარგალიტი და თჳალები. დავედრე: „ღარბაზს დაგხედების ღარბაზის ერი მთრვალები; ამა ქალისა ამბავსა, მომკალ, თუ არ ეკრძალები“.

და კჳლა შემომფიცა: „არ ვიტყვი, თავსაცა მეცეს კრძალები!“

u 1152-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

მომდევნო სხდომაზე (25.V) ს. ცაიშვილმა აღნიშნა, რომ ა-ს სართიმო სიტყვად ზოგიერთ ხელნაწერში **ღალები** იკითხება, რაც უფრო სწორი ჩანს. შდრ. ღია მიკუირს, საძღუნოდ ჩქენად სით მოიღებ ამა თჳალსა, მარგალიტ-სა დიდროვანსა, უმსგავსოსა ჰპოვებ **ღაღსა? 1163**. რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ **1163**-ში **ღაღთან** ერთად თჳალიც არის დასახელებული; ამასთან **1160**-ში თჳალები იკითხება ოთხივე რედაქციის ნუსხებში, მაშინ როცა **ღალები** მხოლოდ A და B რედაქციის ზოგიერთ ხელნაწერში გვაქვს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა – **თჳალები**.

ს.შ.: უსენმა ტაბაკზე დააწყო მარგალიტი და თვლები. შევევედრე: „სამეფო კარზე დაგხვდებიან მოვრალი დიდებულები (დარბაზის წევრები); მომკალი, თუ ამ ქალის ამბის გამჟღავნებას არ მოერიდები“. კიდევ შემომფიცა: „არ ვიტყვი, თავში ხმალიც რომ დამკრან!“.

1161 უსენ მივიდა, ჯელმწიფე დახჭდა ნადიმად მჯდომელი,
უსენ არიფი მეფისა, მეფეცა მისი მნდომელი,
წინა მიისჭა, შეიძღვნა, ძღვენი მიართვა რომელი.
და აწ ნახო მთრვალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი.

u 1153-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ბ-ში დაისვა ტირეები: უსენ – არიფი მეფისა, მეფეცა – მისი მნდომელი. ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს დ-ის სართომო სიტყვის წაკითხვასა და გაგებაზე. ყველა მხარს უჭერს პროექტი წაკითხვას.

ს.შ.: უსენი მივიდა, ხელმწიფე ნადიმად მჯდომი დახვდა, უსენი – მეფის თანამეინახე, მეფეც – მისი მოსურნე, წინ მიისვა, მიიღო ძღვენი, რომელიც უსენმა მიართვა. ახლა ნახავ მოვრალ ვაჭარს, ცრუს, ფლიდს, წინამასწარას (ენა რომ უსწრებს).

1162 რა მეფემან უსენს წინა სჭა მრავალი დოსტაქანი,
კჳლა შესჭეს და კჳლა აუვსნეს სხჭა ფარჩნი და სხჭა
ჭიქანი.

დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!

და მართლად თქმულა: „არა მართებს ყვავესა ვარდი, ვირსა რქანი“.

u 1154 -თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

o. გიგინეიშვილის აზრით, **აბ** ასე უნდა გასწორდეს: რა უსენმა მეფეს წინა სჭა მრავალი დოსტაქანი, კჳლა შესჭა და კჳლა აუვსნეს... ბ-ის ბოლოს წერტილის ნაცვლად მძიმე უნდა დაისვას.

რედაქციის სხვა წევრები მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას. აღინიშნა, რომ უსენმან მეფის წინა იკითხება მხოლოდ B¹⁰ B¹¹ B¹³-ში, შესჭა კი მხოლოდ A²-ში გვაქვს. პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს.შ.: როდესაც მეფემ უსენთან ერთად მრავალი დიდი სასმისი შესვა, კიდევ დალიეს და კიდევ აუვსეს სხვა სასმისები და ჭიქები. (უსენს) დაავიწყდა ის ფიცი, რის ყურანი, რის მაქა! მართალი უთქვამთ: „არ შეეფერება ყვავეს ვარდი, ვირს – რქები“.

1163 უთხრა დიდმან ჯელმწიფემან უჭკუოსა უსენს, მთრვალსა:
„ღია მიკჭირს, საძღვნოდ ჩვენად სით მოიღებ ამა თჭალსა,
მარგალიტსა დიდროვანსა, უმსგავსოსა ჰპოვებ ლალსა?“

და ვერ გარღვივდი, თავმან ჩემმან, ძღწენთა შენტა ნაათალსა“.

u 1155-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: უთხრა დიდმა ხელმწიფემ მოვრალ, უჭკუო უსენს: „ძალიან მიკვირს, ჩვენს საძღვნოდ საიდან მოგაქვს ეს თველები, (სად) შოულობ დიდრონ მარგალიტებს, შეუდარებელ ლალებს? ჩემს თავს ვფიცავ, ვერ გადავიხდი შენი ძღვენის მეათედს“.

1164 **თაყვანის სცა უსენ, ჰკადრა: „ჰე, მაღალო ჳელმწიფეო, ზეციით შუქთა მომფენელო, მარჩენალო არსთა, მზეო! რაცა სხტა მაქვს, ვისი არის ოქრო, თუნდა საჭურჭლეო?**

და დედის მუცლით რა გამომყვა? მბოძებია თქვენგან მეო.

u 1156-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ში, ჰე-ს შემდეგ, მიძივა დასმული, პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: უსენმა თაყვანი სცა, მოახსენა: „ჰე, მაღალო ხელმწიფეო, ზეციდან შუქის მომფენელო, არსთა (არსებათა) დამარჩენელო, მზეო! სხვა რაც მაქვს, ოქრო თუ სიმდიდრე, ვისი არის? დედის მუცლიდან რა გამომყვა? (ყველაფერი) თქვენგან მბოძებიაო.“

1979. 25. v

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1165–1171** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1165 **ამას გკადრებ, თავმან თქვენმან, არა გმართებს მაღლი ძღწნისა; სხტა რამე მითქს საძღწნოდ თქვენად – შესართავი თქვენის ძისა,**

მას უცილოდ დამიმადლებო, ოდეს ნახოთ მსგავსი მზისა,

და მაშინ მეტად გაამრავლოთ თქვენ ბრძანება ნეტარძისა“.

u 1157-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ საძღწნოდ თქვენად – შესართავი (საძღწნო თქვენი, შესართავი).

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს ბ-ის წაკითხვის შესახებ. ხელნაწერებში **საძღწნო** ფორმას ენაცვლება **სასძლო**. აღინიშნა, რომ ამ კონტექსტში **საძღწნოდ** უფრო მართებული წაკითხვაა. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ამას მოგახსენებ, ვფიცავ თქვენს თავს, არ გმართებთ ძღვენი-სათვის მაღლობის თქმა; სხვა რამ მაქვს თქვენთვის საძღწნოდ – თქვენი ძის

საცოლვე (შესართავი); იმას აუცილებლად დამიმადლებთ, როდესაც ნახავთ მზის მსგავსს, მაშინ ძალიან გაახშირებთ „ნეტავის“ თქმას“.

1166 რას ვაგრძელებდე! გატეხა ფიცი, სიმტკიცე სჯულისა,
უამბო პოენა ქალისა, მჭვრეტთაგან მზედ სახულისა.
მეფესა მეტად ეამა, მიეცა ლხინი გულისა,
და უბრძანა დარბაზს მოყვანა, სრულქმნა უსენის თქმულისა.

u 1158-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: რა გავაგრძელო! გატეხა ფიცი, რჯულის სიმტკიცე, უამბო მჭვრეტელთაგან მზედ მიჩნეული ქალის პოენა. მეფეს ძალიან ეამა, გული გაუმხიარულდა, (ხელქვეითებს) უბრძანა (ქალის) სამეფო კარზე მიყვანა, უსენის ნათქვამის აღსრულება.

1167 მე აქა ჩემსა ამოდ ვჯგ, მუნამდის არ მიკუნესია.
შემოდგა კარსა მეფისა მონათა უხუცესია,
თანა პყვა მონა სამოცი, ვით კელმწიფეთა წესია,
და მოვიდეს; მეტად გაგჰკირდი, ვთქვი: „რამე საქმე ზესია“.

u 1159-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მეტად (დია). პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მე აქ ჩემს სახლში მშვიდად ვიყავი (ვიჯექი), მანამდე არ შევწუხებულვარ. კარებს მოადგა მეფის მონათუხუცესი, თან ახლდა სამოცი მონა, როგორც ხელმწიფეთა წესია, მოვიდნენ; მეტად გამიკვირდა, ვთქვი: „რალაც დიდი საქმეა“.

1168 მისალამეს, „ფატმან, – მითხრეს, – ბრძანებაა ღმრთისა
სწორთა:

დღეს რომელი უსენ შესძღვნა ქალი, მსგავსი მზეთა ორთა,
აწ მოგუგუარე, წავიყვანოთ, ვლა არ გჳინდა გზათა შორთა“.

და ესე მესმა, დამტყდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა გორთა.

u 1160-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მომესალმნენ, მითხრეს: „ფატმან, ღვთის სწორის (= მეფის) ბრძანებაა: დღეს რომ უსენმა მეფეს უძღვნა ორი მზის მსგავსი ქალი, ახლა მოგუგუარე. წავიყვანოთ, შორი გზის გავლა არ გვჭირდება“. ეს რომ გავიგე, ცანი დამატყდნენ, ღვთის რისხვა ეცა გორებს.

1169 მე გაკვირვებით კჳლა ვჰკითხე: „რა ქალი გინდა, რომელი?“
მათ მითხრეს: „უსენ შემოსძღვნა პირი ელვათა მკრთომელი“.

**არას მარგებდა, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მკვდომელი,
და ავთროლოდი, ავღევ ველარა, ვერცა ქწე ვიყავ მჯდომელი.**

u 1161-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მე კვლავ გაკვირვებით ვკითხე: „რა ქალი გინდა, რომელი? მათ მითხრეს: „უსენმა (რომ) უძღვნა (მეფეს) ელვის მკრთომელი პირისახე (= ნესტანი)“. არას მარგებდა (წინააღმდეგობა), გადაწედა ჩემი სიკვილის (სულთა ხდომის) დღე, ავთროლოდი, ველარ ავღექი, ვერც დავჯექი.

ს. ცაიშვილს მიაჩნია, რომ ბ-ის მეორე ნახევრის შინაარსი ასე უნდა იქნეს გადმოღებული: ელვის მკრთომელი პირისახის მქონე (= ნესტანი);

1170 **შევე, ვნახე იგი ტურფა მტირალად და ცრემლდასხმულად,
ვჰკადრე: „მზეო, ბედმან შავმან ვით მიმუხთლა, ხედავ, რულად!
ცა მობრუნდა რისხვით ჩემკენ, იავარმყო, ამფხჭრა სრულად,
და შემასმინეს, მეფე გითხოვს, ვარ ამისთჳის გულმოკლულად“.**

u 1162-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: შევედი, ვნახე ის ტურფა მტირალად და ცრემლის მღვრელად, ვუთხარი: „მზეო, ხედავ, როგორ და რანაირად მიმუხთლა შავმა ბედმა! ჩემკენ რისხვით მობრუნდა ცა. გამანადგურა, სულ ერთთავად აღმომფხვრა. დამასმინეს, მეფე მოითხოვს შენს თავს, ამის გამო გულმოკლული ვარ“.

1171 **მან მითხრა: „დაო, ნუ გიკჳირს, ვეგ რაზომცა ძნელია!
ბედი უბედო ჩემზედა მიწყივ ავისა მქმნელია.
კარგი რამ მჭირდეს, გიკჳირდეს, ავი რა საკჳირველია!
და სხჳადასხჳა ჭირი ჩემზედა არ ახალია, ძჳელია“.**

u 1163-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მან მითხრა: „დაო, ნუ გიკვირს, რამდენადაც ძნელია ეს (საქმე) უბედო ბედი ჩემთვის მუდამ ავის მქმნელია. კარგი რამ რომ მჭირდეს, (ის) გიკვირდეს, ავი (ცუდი) რა გასაკვირია! სხვადასხვა ჭირი ჩემთვის ახალი არ არის, ძველია“.

1979. 1. VI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1172-1174 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა). 1175; 1176 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1172 **თჭალთათ ვითა მარგალიტი გარდმოყარა ცრემლი ვშირი.**
ადგა ასრე გულუშიშრად, ვეფხი იყო ანუ გმირი,
ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრევე ჭირად ჭირი.
და მთხოვა, გარე აჯიღითა მოიბურა ტანი, პირი.

u 1164-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგურის წინადადებით ა-ში ვითა მარგალიტი გამოიყო მძიმეებით.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს ბ-ის სარითმო სიტყვის შესახებ. ი. გიგინეიშვილს საყურადღებოდ მიაჩნია D¹-ის წაკითხვა – შირი (= ლომი). მისი აზრით, ვეფხთან ლომის ხსენება უფრო გამართლებულია (ვეფხი იყო ანუ შირი).

ს. ცაიშვილის აზრით, გმირი ამ კონტექსტში სავსებით ბუნებრივია. შდრ. ლომო და გმირო ტარიელ (282). რედაქციის წევრებმა გაითვალისწინეს შირ ფუძის გვიანდებლობა (აკ. შანიძე) და პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს.შ.: თვალებიდან მარგალიტებით გარდმოყარა ხშირი ცრემლი, ადგა ისე გულუშიშრად, თითქოს ვეფხი ან გმირი იყო, სიხარული სიხარულად არ მიაჩნდა, ასევე ჭირად – ჭირი. მთხოვა აჯიღა (მოსაბურავი) და მოიბურა ტანი და პირისახე.

1173 **შევე საჭურჭლეს, რომელსა ფასი არ დაედებოდა,**
თჭალ-მარგალიტი ავიღე, რაც ოდენ ამეღებოდა,
თწითო და თწითო თწითოსა ქალაქსა ეფასებოდა,
და მივე, მას წელთა შევარტყი, შავგული ვისთჯის კედებოდა.

u 1165-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: შევედი საგანძურში, რომელსაც ფასი არ დაედებოდა, იმდენი თვალ-მარგალიტი ავიღე, რამდენის აღებაც შევძელი, თითო მათგანი თითო ქალაქად ეღირებოდა, მივედი, წელზე შემოვარტყი მას, ვისთვისაც კედებოდა ჩემი შავი (მწუხარე) გული.

1174 **ვარქუი: „ჩემო, განდა სადმე გეკმარების ესეგჭარი“.**
მათ მონათა ჳელთა მივეც იგი პირი, მზისა დარი.
ცნა მეფემან, მოეგება; ჰკრეს ტაბლაქსა, გავდა ზარი;
და იგი მივა თავმოდრეკით წყნარი, არას მოუბარი.

u 1166-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს ა-ს სარითმო სიტყვის შესახებ, რომელიც სხვადასხვაგვარად იკითხება გამოცემებში: ესეგვარი (ამნაირი, ამგვარი),

ესე გვარი (= ეს გუარი, ეს მარგალიტი). დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა.

ს.შ.: ვუთხარი: „ჩემო, იქნებ ამგვარი (რამ) სადმე გამოგადგეს“. იმ მონებს ხელთ მივეც ის, რომელსაც მზისდარი პირისახე ჰქონდა. მეფემ გაიგო (ქალის მიყვანა), მოეგება; დოღს ჰკრეს, ზარ-ზეიმი ატყდა; ის (ქალი) მიღის თავდახრით წყნარი, მღუმარე.

1175 **ზედა მოატყდა მჭვრეტელი, გაკდა ზათქი და ზარები,
ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არსიწყნარები;
იგი რა ნახა მეფემან, საროსა მსგავსი ნარები,
და გაკართომით უთხრა: „ჰე, მზეო, აქა ვით მოიგჭარები?“**

u 1167-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ჰე, მზეო (ჰე მზეო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ზედ მოაწყდნენ მჭვრეტელნი, შეიქნა დიდი ხმაური და ზარ-ზეიმი, (ხალხს) ვერ აკავებდნენ სარანგნი (წესრიგის დამცველნი), იქ იყო აურზაური; ის (ნესტანი) რომ ნახა მეფემ, საროს მსგავსი მომავალი, განცვიფრებით უთხრა: „ჰე, მზეო, აქ როგორ მოხვდი (აქ რამ მოგიყვანა)?“

1176 **ვით მზემან, მისნი მჭვრეტელნი შექმნა თჳალისა მფახველად;
მეფემან ბრძანა: „გამჭადა ნახული მე უნახველად,
ღმრთისაგან კიდე ვინმც იყო კაცი ამისად მსახველად!
და მართებს ამისსა მიჯნურსა, ხელი თუ რბოდეს, ახ, ველად!**

u 1168-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ისე, როგორც მზემ, (ნესტანმა) მისი მჭვრეტელები თვალების დამხამხამებლად აქცია (= ნესტანმა თავისი სილამაზით თვალი მოსჭრა მნახველებს); მეფემ თქვა: „(ბევრის) მნახველი უნახავი გამხადა, ღვთის გარდა ვინ იქნება ამისი შემქმნელი; ამის მიჯნურს შეჭფერის, რომ გახელებული ველად დარბოდეს!“

1979. 8. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც.კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: **1177–1180** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1177 **გჭერდსა დაისჭა, ეუბნა ტკბილითა საუბართა:
„მითხარო, ვინ ხარ, ვისი ხარ, მოსრული ვისთა გჭართა?“**

მან არა გასცა პასუხი პირითა, მზისა დართა;
და თავმოდრეკილი დაღრეჯით ქვე ზის ცნობითა წყნართა.

u 1169-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზიას წინადადებით ბ-ში მიღებულ იქნა წაკითხვა: **ვისით გჭა-რითა.** პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს.შ.: გვერდით დაისვა, ტკბილად ელაპარაკა: „მითხარი, ვინ ხარ, ვისი ხარ, ვისი გვარისაო?“ მან პასუხი არ გასცა (თავისი) მზის მსგავსი პირით; თავდაღუნული მოწყენით ზის მშვიდი (მშვიდი გონებით).

1178 არ ისმენდა მეფისასა, რასა გინდა უბრძანებდა,
სხვაგან იყო გული მისი, სხვასა რასმე იგონებდა;
ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აღებდა,
და მჭურტნი მისნი გააკვირვნა, რასამცა ვინ იაზრებდა!

u 1170-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გ-ში **მარგალიტსა არ აღებდა** უხერხული თქმაა: მარგალიტის გაღება არ შეიძლება. უფრო მართებულია ზოგი ხელნაწერის წაკითხვა – **მარგალიტსა არ აჩენდა.**

რედაქციის სხვა წევრებიც აღნიშნავენ, რომ წაკითხვას **მარგალიტსა არ აღებდა** გარკვეული უხერხულობა ახლავს. მაგრამ **აღებდა-ს** ნაცვლად **აჩენდა-ს** ჩასმა რითმას ძლიერ დაარღვევს. პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს.შ.: მეფისას არ ისმენდა, რაც უნდა ეთქვა, სხვაგან იყო მისი გული, სხვა რამეს ფიქრობდა; ვარდი (= ბაგეები) ერთად შეეწებებინა, მარგალიტს (= კბილებს) არ აღებდა (კრიჭა შეკვეროდა), მისი მჭურტელნი გააკვირვა, ვინ რას იფიქრებდა!

1179 მეფე ბრძანებს: „რა შევიგნათ, გული ჩვენი რათ იცხნების?
ამა ორთა კიდევანთა აზრი არა არ იქმნების:
ან ვისიმე მიჯნურია, საყვარელი ვგონების,
და მისგან კიდე არვისად სცალს, ვეღარცა ვის ეუბნების.

u 1171-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძეს, გ. კარტოზიას, ე. მეტრეველს უფრო მართებულად მიაჩნიათ ბ-ის ასეთი წაკითხვა: **ამა ორთა კიდევანი** აზრი არა არ იქმნების [= ამ ორი (აზრისაგან) განსხვავებული სხვა აზრი არ იქნება]; ც. კიკვიძე და ს. ცაიშვილი იცავენ პროექტის წაკითხვას და ტაეპის შინაარსი ასე ესმით: ამ ორი უკიდურესი მოსაზრების გარდა (სხვა) არაფერი იქნება.

ს.შ.: მეფე ამბობს: „რა გავიგოთ, ჩვენი გული რით გაიხსნება? ამ ორი (აზრისაგან) განსხვავებული სხვა აზრი არ იქნება: ან ვინმეს მიჯნურია, საყვარელი აგონდება, მის გარდა არავისთვის სცალია, ვეღარც ვინმეს ელაპარაკება.“

1180 ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,
არცა ლხინი ლხინად უჩანს, არცა ჭირი ზედაზელი;
ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,
და სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, გონება უც ვითა ტრედი.

u 1172-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ან ბრძენი ვინმეა, ამალღებული და მაღალ მხედველი (მაღალ მატერიებზე დაფიქრებული), არც ლხინი მიაჩნია ლხინად, არც ერთმანეთს მივლელებული ჭირი – ჭირად; ზღაპარით ვისმის უბედობა თუ ბედი, სხვაგან არის, სხვაგან ფრინავს, მტრედით (მფრინავი) ფიქრი აქვს.

ს. ცაიშვილის აზრით, სტროფის ბოლო ფრაზა ამას ნიშნავს: მტრედით უმანკოა.

1979. 15. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1181–1185** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1181 ღმერთმან ქმნას, შინა მოვიდეს ძე ჩემი გამარჯვებული,
მე დავახვედრო ესე მზე, და, მისთვის დამზადებული;
მან ათქმევინოს ნუთუ რა, ჩვენცა ვცნათ გაცხადებული,
და მუნამდის მთწარე შუქერთომით ჯდეს, მზისა მოშორვებული“.

u 1173-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბ, ვფიქრობ, ასე უნდა წავიკითხოთ: მე დავახვედრო ესე მზე და მისთვის დამზადებული. და აქ კავშირი უნდა იყოს და არა ზმნისწინი (დავახვედრო-ს და-ს განმეორება). ზმნისწინთა განმეორებას „ვეფხისტყაოსანში“, როგორც წესი, ადგილი აქვს ტაეპის ბოლოს. და კავშირის ამგვარი უჩვეულო ხმარებისათვის შდრ. სადაა ჩემი მოყვარე და ვისთვის ცრემლი მდენია (**u** 13182).

ი. გიგინეიშვილსაც საეჭვოდ მიაჩნია აქ და-ს ზმნისწინად მიჩნევა.

რედაქციის სხვა წევრები იცავენ პროექტის წაკითხვას. ც. კიკვიძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ საანალოგიოდ მოხმობილ ტაეპში (**u**1318) და კავშირი უადგილოა და ეჭვს იწვევს, ამდენად არ გამოდგება წინამდებარე ტაეპის ასახსნელად. პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს.შ.: ღმერთმა ქმნას, შინ დაბრუნდეს ჩემი შვილი გამარჯვებული, მე დავახვედრო ეს მზე (= ქალი). მისთვის გამზადებული; ეგებ მან ათქმევინოს

რამე (ქალს), ჩვენც გავივით ცხადი (ნამდვილი ამბავი), მანამდის მთვარე (ქალი) იჯდეს შუქმოკლებით, მზისაგან მოშორებული.

ც. კიკვიძეს და გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ შუქერთომით = შუქთა მოფენით. შდრ. მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორება გაანათლებს (828₁).

1182 **კელმწიფისა შვილსა გითხრობ კარგსა ყმასა, გულოვანსა,
უებროსა ზნედ და თჳალად, შჳენიერსა პირსა, ტანსა;
მაშინ ლაშქარს წასრულ იყო, მუნ დაჰყოფდა დიდსა ხანსა,
და მამა მისთვის ამზადებდა მას, მნათობთა დასაგვანსა.**

u 1174-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ხელმწიფის შვილზე მოგახსენებ, კარგ მოყმეზე, ზნეობით (თვისებით, ქცევით) და შესახედავად შეუდარებელზე, პირმშვენიერსა და ტანადზე; მაშინ სალაშქროდ იყო წასული, იქ დიდხანს ყოვნდებოდა, მამა მისთვის ამზადებდა მას (ქალს), მნათობთა სადარს.

1183 **მოიდგეს, ტანთა ჩააცვეს შესამოსელი ქალისა,
მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თჳალისა,
დაადგეს თავსა გჳირგჳინი ერთობილისა ლალისა,
და მუნ ვარდსა ფერი აშჳენებს ბროლისა გამჳკჳირვალისა.**

u 1175-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძის აზრით, **დ-ის** სართიმო სიტყვა ვინის გარეშე უნდა დაიწეროს. პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს.შ.: მოიტანეს, ტანს ჩააცვეს ქალის შესამოსელი, მასზე (ტანსაცმელზე) ელვარებდა მანათობელი თვლების მრავალი სხივი, მთლიანად ლალის (ერთთავად ლალით შემკული) გვირგვინი დაადგეს თავზე, იქ ვარდს გამჳკჳირვალე ბროლის ფერი ამშვენიებს.

რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით **დ-ს** შინაარსი.

ა. ბარამიძისა და **შ.** ძიძიგურის აზრით, ვარდი – სახე, ბროლი – კბილები.

გ. კარტოზიას, **ც.** კიკვიძეს, **ს.** ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ აქ ვარდი და ბროლი ორივე სახის აღმნიშვნელია.

ი. გიგინეიშვილი ფიქრობს, რომ ვარდი – ბაგეები, ბროლი – კბილები, თუმცა დასაშვებად მიაჩნია მეორე გაგებაც (ვარდიცა და ბროლიც აღნიშნავს სახეს).

1184 **მეფემან ბრძანა: „მოკაზმეთ საწოლი უფლისწულისა!“
დაუდგეს ტახტი ოქროსი, წითლისა მადრიბულისა;
ადგა თჳით დიდი კელმწიფე, პატრონი სრისა სრულისა,**

და მას ზედა დასტა იგი მზე, ლხინი მჭვრეტელთა გულისა.

u 1176-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მეფემ ბრძანა: „მოკაზმეთ უფლისწულის საწოლი!“ დაუდგეს (იქვე) ოქროს ტახტი, მადრიბული წითლისა (დასავლურაფრიკული ოქროსი); ადგა თავად დიდი ხელმწიფე, დიდებული სასახლის პატრონი, მასზე (ტახტზე) დასვა ის მზე (ქალი), (მის) მჭვრეტელთა გულის მღხენელი.

1185 უბრძანა ცხრათა ხადუმთა დადგომა მცველად კარისად; ჭელმწიფე დაჯდა ნადიმად, მსგავსად მათისა გჭარისად; უბოძა უსენს უზომო მუქვად მის მზისა დარისად.

და სცემენ ბუკსა და ტაბლაკსა მოსამატებლად ზარისად.

u 1177-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: უბრძანა ცხრა მსახურს (საჭურისს) კარის მცველად დადგომა; მეფე დაჯდა სანადიმოდ, მისი გვარის (მოდგმის) შესაფერისად; უსენს იმ მზის სადარის (ქალის) სამაგიეროდ უამრავი საჩუქარი უბოძა. ზარ-ზეიმის მოსამატებლად უკრავენ ბუკსა და დოლს.

1979. 22. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1186 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1187-1192 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1186 გააგრძელეს ნადიმობა, სმა შეიქმნა მეტად გრძელი, ქალი პირმზე ბედსა ეტყვის: „რა ბედი მიც ჩემი მკლველი! სადაური სად მოსრულვარ, ვის მივხედები ვისთვის ხელი, და რა ვქმნა, რა ვყო, რა მერგების, სიცოცხლე მჭირს მეტად ძნელი!“

u 1178-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში უკეთესია D¹ D²-ის წაკითხვა: ქალი პირმზე თავსა ეტყვის: „რა ბედი მიც ჩემი მკლველი!“

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, „ბედსა ეტყვის: „რა ბედი მიც...“ ამ კონტექსტში სრულიადაც არ არის უხერხული თქმა. ამიტომაც უნდა დარჩეს ძირითად წაკითხვად. პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს.შ.: გააგრძელებს ნადიმობა, მეტად გაგრძელდა სმა; პირმზე ქალი (= ნესტანი) ბედს ეუბნება: „რა ბედი მაქვს ჩემი მკვლეელი! სადაური სად მოვსულვარ, ვისთვის გახელეზული (გამიჯნურებული) ვის ვერგები, რა ვქნა, რა გავაკეთო, რა მეშველება, მეტად ძნელი სიცოცხლე მაქვს!“.

1187 **კეილაც იტყვის:** „ნუ დავაჭნობ შვენებასა ვარდთა ფერსა,
ვეცადო რას, ნუთუ ღმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა!
სიკედილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
და რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!“

u 1179-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ისევ ამბობს: „ნუ დავაჭნობ (ჩემს) ვარდის მსგავს მშვენებას, (მოდო), რაიმე ეცადო, იქნებ ღმერთმა ჩემი მტერი დამადღევიოს! რომელ გონიერ კაცს მოუკლავს თავი სიკედილამდე? როდესაც გაუჭირდება მაშინ უნდა გონიერს გონება!“

1188 **ხადუმნი უკმნა, უბრძანა:** „ისმინეთ, მოდის ცნობასა!
მოღორებულხართ, დამცთარხართ თქვენ ჩემსა პატრონობასა,
დამცთარა თქვენი პატრონი, ჩემსა თუ ლამის სძლობასა,
და ჩემთვის ბუკსა და ტაბლაკსა ცუდად, გლახ, იცემს, ნობასა.

u 1180-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: მსახურებს (საჭურისებს) უხმო, უთხრა: „გაიგონეთ, გონს მოდით! მოტყუებულხართ, შემცდარხართ, თუ ფიქრობა ჩემს დედოფლობას (თუ ფიქრობთ, რომ თქვენი დედოფალი გავხდები), მომცდარა (ამოდ გარჯილა) თქვენი პატრონი, თუ ცდილობს ჩემს რძლობას, ტყუილად უკრავს ჩემ გამო ბუკს, ტაბლაკს და ნობას.

1189 **არ ვარგვარ თქვენდა დეოფლად, ჩემი გზა კიდევანია;**
მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, საროტანია!
სხვასა რას მნუკევთ საქმესა, ჩემნი საქმენი სხვანია!
და **თქვენთანა ჩემი სიცოცხლე არ ჩემი შესაგვანია.**

u 1181-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: არ გამოვდგები თქვენს დედოფლად, ჩემი გზა (სულ) სხვაა (მე სხვა გზა მაქვს); ღმერთმა მაშოროს მამაკაცი (= ზღვათა მეფის ძე), შესახედავად მზე, საროს ტანის მქონე! სხვა რამ საქმეს მოხოვთ, ჩემი საქმე სხვა არის! თქვენთან ჩემი სიცოცხლე ჩემი შესაფერი არ არის.

- 1190 **უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,
თქვენ დაგვოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ
ხანასა;**
**ესე სჯობს მოგცე საჭურჭლე, მძიმე მარტყია ტანასა,
და მე გამაპარეთ, გამიშვით, თუარა დაიწყებთ ნანასა“.**
u 1182-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.
ს.შ.: უეჭველად თავს მოვიკლავ, გულში დავიცემ დანას, თქვენ დაგხოცავთ თქვენი პატრონი, ამქვეყნად ხანს ვერ დაყოფთ; ეს სჯობს: დიდძალ განძეულობას მოგცემთ, ტანზე მარტყია, მე გამაპარეთ, გამიშვით, თორემ ინანებთ (სინანულს დაიწყებთ)“.
- 1191 **შემოიკსნა მარგალიტი, შემოერთყა რაცა თვალი,
მოიკადა გჭირგჭინიცა გამჭჭირვალი, ერთობ ლალი;
მისცა, უთხრა: „გამომიღეთ, გეაჯები გულმჭურვალი,
და მე გამიშვით, ღმერთსა თქვენსა მიაგაღეთ თქვენი ვალი“.**
u 1183-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.
ს.შ.: შემოიხსნა, რაც მარგალიტი და თვალი ჰქონდა შემორტყემული, მოიხადა გვირგვინიც, გამჭვირვალე, მთლად ლალი (მთლიანად ლალით მოლტყვილი), მისცა, უთხრა: „გამომართვით, გევედრებით გულმხურვალე, მე გამიშვით, თქვენს ღმერთს გადაუხადეთ თქვენი ვალი“.
- 1192 **მონათა მისჭდა სიხარბე მის საჭურჭლისა ძჳირისა,
დაჰვიწყდა შიში მეფისა, ვითა ერთისა გზირისა,
გამოპარება დაასკვნეს მის უებროსა პირისა;
და ნახეთ, თუ ოქრო რასა იქს, კვერთხი ეშმაკთა ძირითა!**
u 1184-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ იქს (იქმს). პროექტი მიღებული იქნა.
რედაქციამ გაიზიარა ც. კიკვიძის აზრი, რომ **დ კვერთხი ეშმაკთა ძირისა** ნიშნავს ეშმაკთა მოდგმის (ეშმაკთა მოდგმის კუთვნილ) კვერთხს.
ს.შ.: მონებს იმ ძვირფასი სიმდიდრის სიხარბე დაეუფლა, დაავიწყდათ მეფის შიში, თითქოს ვინმე გზირი ყოფილიყო, გადაწყვიტეს იმ უებრო (სწორუპოვარი) პირისახის (= ნესტანის) გაპარება. ნახეთ, თუ რას შვრება ოქრო, ეშმაკთა მოდგმის კვერთხი!

1979. 29. VI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1193-1198 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1193 ვაჲ, ოქრო მისთა მოყესთა აროდეს მისცემს ლხენასა, დღედ სიკჭდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასა. შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა, და კჭლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა.

u 1185-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ვაჲ (ვა).

ი. გიგინეიშვილი: გ-ში უნდა მივიღოთ ზოგიერთი ხელნაწერის წაკითხვა: **შესდის, არ გასდის**. მომდევნო სიტყვა (აკლია) ამ წაკითხვის მართებულობაზე მიუთითებს: შესდის, არ გასდის, მაგრამ მაინც აკლია.

ა. ბარამიძე: **შესდის** და **გასდის** სპეციფიკური რუსთველური გამოთქმაა (შდრ. ზღუათაცა შესდის და გაედინების. 494).

ს. ცაიშვილი: ეს გამოთქმა ბუნებრივად ეგუება მომდევნო **აკლია** სიტყვას: შესდის და გასდის (= აქეს თუ არა აქეს), მაინც აკლია.

შ. ძიძიგური: როგორც ჩანს, ორივე წაკითხვას ახსნა აქეს. ამიტომ ხელნაწერთა ჩვენებას უნდა გაეწიოს ანგარიში.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: შესდის და გასდის.

ს.შ.: ვაი, ოქრო მის მოყვარულებს არასდროს გაახარებს, სიკვდილის დღემდე სიხარბე კბილებს დაადრჭენინებს, (ოქრო) შესდის და გასდის (ე. ი. ბევრი აქეს თუ ცოტა აქეს), (მაინც) აკლია (ოქროს მოყვარულს), ემდურება ბედის ტრიალს, აგრეთვე აქ (სააქაოს) სულს დაუბამს, უშლის აღმაფრენას.

1194 რა ხადუმთა აუსრულეს საქმე მისი საწადელი, ერთმან ტანსა აიჭადა, მისცა მისი ჩასაცმელი, სხჭანი კარნი გამოარნეს, იჯრებოდა დარბაზს მსმელი.

და დარჩა მთჭარე გჭეელისაგან, გაესებული, ჩაუნთქმელი.

u 1186-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

დ-ში მოიშალა მძიმეები, რედაქციას ტაეპის აზრი ასე ესმის: დარჩა სავსე მთვარე გველეშაპისაგან ჩაუყლაპავი (ჩაუნთქმელი).

გ. კარტოზია წინააღმდეგია მძიმეების მოშლისა. მისი აზრით, **დარჩა გჭეელისაგან** = გადაურჩა გველეშაპს.

ს.შ.: როდესაც ხადუმებმა (მსახურებმა) აუსრულეს (ნესტანს) მისი საწადელი, ერთ-ერთმა ტანზე გაიხადა, მისცა თავისი ტანსაცმელი, სხვა კარი გამოატარეს, მრავლად იყვნენ სამეფო დარბაზში მსმელები, დარჩა სავსე მთვარე გველეშაპისაგან ჩაუყლაპავი (ჩაუნთქმელი).

- 1195 მონანიცა გარდისხეწუნეს, გაიპარნეს მასვე თანა.
ქალმან კარსა დამირეკა, ფატმანობა ჩემი ბრძანა,
გავე, ვიცან მოვეხევი, გამიკვირდა მეცა განა!
და შინა ყოლა არ შემომყვა: „რად მაწეო“ შემანანა.
u 1187-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.
დ-ში შეიცვალა პუნქტუაცია: „რად მაწეო!“ – შემანანა. ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.
ს.შ.: მონებიც (მსახურებიც) გადაიხვეწნენ, მასთან ერთად გაიპარნენ. ქალმა კარზე დამიკაკუნა, ჩემი სახელი დაიძახა („ფატმანო“, – დამიძახა). გავედი, ვიცანი, მოვეხვიე, მეც ნამდვილად გამიკვირდა! შინ არასგზით არ შემომყვა: „რატომ მეპატიუებიო!“ – მისაყვედურა.
- 1196 მიბრძანა: „თავი ვიყიდე მოცემულითა შენითა,
მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს მოწყალებითა ზენითა!
ველარ დამმალავ, გამიშვი, ფიცხლა გამგზავნე ცხენითა,
და სადამდის სცნობდეს ჳელმწიფე კაცთა მომწვედეს რბენითა“.
u 1188-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: მითხრა: „თავი გამოვისყიდე შენი მოცემული (საჭურჭლით), სამაგიერო ღმერთმა გადაგიხადოს ზეციური მოწყალებით! ველარ დამმალავ, გამიშვი, სასწრაფოდ გამგზავნე ცხენით, სანამ გაიგებდეს ხელმწიფე და ხალხს სირბილით დამაწვედეს“.
- 1197 შევე ფიცხლად საჯინიბოს, ავჯსენ ცხენი უკეთესი,
შეუკაზმე, ზედა შევსვი მხიარული, არ მოკუნესი;
ჰგვანდა, ოდეს ღომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი.
და წაჯდა ჩემი ჳირნახული, ვერ მოვიმკე, რაცა ვსთესი.
u 1189-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ შეუკაზმე (შეუკაზმე). პროექტი მიღებულ იქნა.
აღინიშნა, რომ რამდენადაც უკეთესი სტროფში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება (ა-ში – საუკეთესო, გ-ში – უმშვენიერესი), რითმის სრული ტავტოლოგია მაინც არა გვაქვს. დ-ში პერმანსივის (ვსთესი) ხმარება წყვეტილის (ვსთესე) ნაცვლად პოეტურ ლიცენციას წარმოადგენს.
ს.შ.: სასწრაფოდ შევედი საჯინიბოში, საუკეთესო ცხენი ავხსენი, შევუკაზმე, ზედ შევსვი მხიარული, არა მკენესარე; (იმას) ჰგავდა, როცა ღომის თანავარსკვლავედში დადგება მზე, მნათობთ შორის უმშვენიერესი. გაცუდდა ჩემი ჳირნახული, ვერ მოვიმკე, რაც დავთესე.

1198 დღე მიიყარა, კმა გაკდა, მოვიდა მისი მღვევარი,
მოიცვეს შიგან ქალაქი, შეიქმნა მოსაწვევარი;
მე მკითხეს, ვარქუი: „თუ ჰპოვოთ მუნ სახლსა, სადა მე ვარი,
და მეფეთა ვიყო შემცოდე და მათი სისხლთა მზღვევარი!“

u 1190-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მათი (მათთა).

გ. კარტოზია: დ-ის მეორე ნახევარი წარმოადგენს სახელურ შესიტყვებას, სადაც ერთ საზღვრულთან (მზღვევარი) ორი მსაზღვრელია: ატრიბუტული (მათი) და სუბსტანტიური (სისხლთა): მათი მზღვევარი, სისხლთა მზღვევარი, პოემის გადამწერებს ატრიბუტული მსაზღვრელი შეცდომით სუბსტანტიური მსაზღვრელისათვის შეუთანხმებიათ და არა საზღვრელისათვის. ამგვარი შეცდომები სხვაგანაც დასტურდება ხელნაწერებში.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: დღე მიიწურა, ხმა გავარდა, მოვიდნენ მისი მღვევრები, შეკრეს შიგნით ქალაქი, ატყდა ვაიუსეველებელი, მე მკითხეს (ქალის ამბავი), ვუთხარი: „თუ იპოვოთ იმ სახლში, სადაც მე ვარ, მეფის შემცოდე (მეფის წინაშე დამნაშავე) ვიყო და (ჩემი) სისხლით ვუხლო (დანაშაული).“

1979. 2. XI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1199-1205** (პროექტი მოამზადა IIIჯგუფმა).

1199 მონახეს, ვერა შეიგნეს, შეიქცეს დაწბილებულნი,
მას აქათ იგლოვს ჰელმწიფე და ყოვლნი მისნი ხლებულნი.
დახედენ დარბაზის ერთა, შევლენ ისფრითა ღებულნი!
და მზე მოგჭეშორვა, მას აქათ ჩვენ ვართ სინათლეკლებულნი.

u 1191-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა-ს შემდეგ დაისვა წერტილ-მძიმე; **გ-ში**, ერთა-ს შემდეგ, მძიმის ნაცვლად დაიწერა ორწერტილი. ამ ცვლილებებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ეძებეს, ვერაფერი შეიტყვეს, გაბრუნდნენ გაწბილებულნი; მას შემდეგ გლოვობს ხელმწიფე და ყველა მისი ხლებული. შეხედე დარბაზის ერს: შედიან (მეფესთან) იისფრად შეღებილნი (სამგლოვიაროდ შემოსილნი)! მზე მოგჭეშორდა, მას შემდეგ ჩვენ ვართ სინათლემოკლებულნი.

1200 მის მთჳარისა სადაობა კჳლა გიამბო, საქმე კჳლაცი;
აწ უწინა ესე გითხრა, რას მექადდა ისი კაცი:
მე, გლახ, ვიყავ მისი ნუზჳი, იგი იყო ჩემი ვაცი.

და კაცსა დასჭირის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი.

u 1192-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: იმ მთვარის (= ქალის – ნესტანის) ადგილსამყოფელზე კიდევ გიამბობ (და) შემდგომ ამბავსაც; ახლა ჯერ ამას გეტყვი, (თუ) რას მემუქრებოდა ის კაცი: მე ვიყავი მისი ნეზვი, ის იყო ჩემი ვაცი. მამაკაცს შეარცხვენს უგულო სიყვარული და დიაცს – ბოზი ნაცი.

1201 მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თჳაღათ ნასი.
ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი;
ჩჳენ გჳიყჳარდა ერთმანერთი, არ მაცჳია თუცა ფლასი,
და ნეტარდი ვინ სისხლი მისი შემახჳრიტა ერთი თასი!

u 1193-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: იმიტომ არ ვჯერდები ჩემს ქმარს, რომ სუსტია და შესახედავად უშნო. ის კაცი, ჭაშნაგირი, მეფის კარზე იყო დიდად წარჩინებული; ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, თუმცა ძაბა არ მაცვია (მისი სიკვდილის გამო), ნეტავ ვინმემ მისი ერთი თასი სისხლი შემახვრიპოს.

1202 ესე ამბავი მას თანა ვთქჳი დიაცურად, ხელურად,
ჩემსავე მოსლვა მის მზისა და გაპარება მეღურად.
გამჳლავნებასა მექადდა არ მოყჳარულად, მტერულად,
და აწ ისრე მკჳდარსა ვიგონებ, იშ, თავი ვიცსენ მე რულად!

u 1194-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ-ში არმოყჳარულად დაიწერა ერთად. გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაიწერა წერტილ-მძიმე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებული იქნა.

ს.შ.: ეს ამბავი მასთან ვთქვი დიაცურად, ხელურად: იმ მზის ჩემთანვე დაბრუნება და (მისი) მელასავით (ეშმაკურად) გაპარება. გამჳლავნებას მემუქრებოდა არმოყვარულად, მტერულად; ახლა კი მკვდარს ვიგონებ, ვიშ, რანაირად დავიხსენი თავი!

1203 დამეკადის, რაზომჯერცა წაეიკიდნით თავის წინა.
ოდეს მეკმე, არ მეგონა მე იმისი ყოფა შინა;
მოსრულიყო, მოსლვა ეთქჳა: შენცა მოხჳე, შემეშინა.
და ამად გკადრე: „ნუ მოხჳალო“, მოგაგებე მონა წინა.

u 1195-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მემუქრებოდა, რამდენჯერად კი მარტომყოფნი წავიკიდებოდი. როცა გიხმე, არ მეგონა, თუ ის შინ იყო; მოსულიყო, მოსვლა ეთქვა; შენ მოხვედი, შევეშინდა, ამიტომ შემოგითვალე: „ნუ მოხვალ-მეთქი“, წინ მოგაგებე მონა.

1204 ალარ დაბრუნდით, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩემთვის არენით;
შეიყარენით ორნივე, ჩემზედა დაიჯარენით;
ამად შევშინდი, ღონენი ველარა მოვაგჯარენით,
და იმას, გლას, ჩემი სიკუდილი გულითა სწადდა, არ ენით.

u 1196-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ალარ დაბრუნდით, მოხვედით, შუქი მომაფინეთ; ორივე შეიყარეთ, ჩემთან შემოკრებით, ამიტომ შევშინდი, ველარაფერი გავაწყვე, იმას ჩემი სიკუდილი გულით უნდოდა და არა სიტყვით.

1205 თუმცა ისი არ მოგეკლა, მისრულიყო დარბაზს ვითა;
შემასმენდა ჯავრიანი, გული ედვა ცეცხლებს წყითა;
მეფე მწყრალი გარდასწმედდა სახლსა ჩემსა გარდაგვითა,
და შვილთა, ღმერთო, დამაჭმევდა, დამქოლვიდა მერმე ქვითა!

u 1197-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ის რომ არ მოგეკლა (და) როგორმე მეფის კარზე მისულიყო, დამაბეზდებდა ბოლმით აღსავსე, გული ჰქონდა ცეცხლმოდებული; განრისხებული მეფე ჩემს ოჯახს პირწმინდად ახვეტდა, ღმერთმანი, შვილებს დამაჭმევინებდა, შემდეგ ქვით ჩამქოლავდა!

1979. 16. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1206-1209** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1206 მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს! – მაღლსა გკადრებდე მე რასა,
რომელმან დამკსენ მშვიდობით იმა გწელისა მზერასა!
აწ ამას იქით ვნატროდე ჩემსა ეტლსა და წერასა,
და ალარ ვიშიშვი სიკუდილსა, ჰაჲ-ჰაჲ, ჩავიჭერ ქვე რასა!”

u 1198-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ჰაჲ-ჰაჲ (ჰაი). პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: სამაგიერო ღმერთმა გადაგიხადოს! – მე რა მადლობას შემოგბედავ, – რომელმაც იმ გველის ყურებას მშვიდობით (უხმაუროდ) გადამარჩინე! ახლა ამის შემდეგ ჩემი ბედის ვარსკვლავის და წერის შემნატრე ვიქნები, სიკვდილის აღარ მეშინია, ჰაი–ჰაი, რა დღეში ვიყავი ჩავარდნილი.

1207 ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, წიგნსაცა აგრე სწერია: მიყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია; არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია. და ნულარ იშიში იმისგან, აწ იგი მკუდართა ფერია.

u 1199-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

o. გიგინეიშვილმა რედაქციის ყურადღება მიაქცია ბ-ის ვარიანტულ წაკითხვას: მოყვარე, მტერი მოყვრისა, მტრისაგანც უფრო მტერია.

ა.ბარამიძის წინადადებით ბ-ში **მტრისაგან** შეიცვალა წაკითხვით **მტრისაგანც**. ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა უთხრა: „ნუ გეშინია, წიგნშიც ასე სწერია: მოყვარე მტერი ყველა მტერზე უფრო მტერია; გულით არ მიენდობა, თუ ადამიანი გონიერია, მისი ნულარ გეშინია, ახლა იგი მკუდართა შორისაა (მკუდარია).

1208 იგივე მითხარ, მას აქათ, ქალი გაჰზავენე შენ ოდეს, რაცაღა გეცნას ამბავი, ანუ რა მისი გსმენოდეს“. **კჳლა იტყვის ფატმან ტირილით, კჳლა თჳალთა ცრემლი სდენოდეს:**

და „წაჯდესო შუქნი, რომელნი მზისაებრ ველთა ჰფენოდეს!“

u 1200-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ წაჯდესო (წარხდესო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: (ახლა კი) იგივე მომიყევი, როცა შენ ქალი გაგზავენე, მას შემდეგ რა ამბავი შეგეტყოს, ან მისი რაიმე გაგეგონოს“. ფატმანი ისევ ტირილით განაგრძობს, ისევ თვალებიდან ცრემლი სდიოდა: „დაიკარგაო შუქი მზესავით ველს რომ ეფინა!“

1208,1 „აწ მოგაცსენო ამბავი, წაყვანა მისი ვისაგან, რაცა მას აქათ მსმენია მნახველთა კაცებისაგან, ყველას წვრილად მოგახსენებ, გულიცა მედვა ქვისაგან, და თქვენცა სცნობთ მისსა ამბავსა, თუ გარჯილობა გზისაგან“.

x 1397¹-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. **დ-ში ამბავსა-ს** შემდეგ, მოიშალა მძიმე, **გარჯილობა** ფორმის ნაცვლად დაიწერა **გარჯილობას**. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს.შ.: „ახლა მოგახსენებ (იმ) ამბავს, (თუ) ვინ წაიყვანა ის, რაც მას შემდეგ გამიგონია (მისი) მნახველი ადამიანებისაგან, ქვის გულიც მედვა (=

გულს ქვასავით გავიმაგრებ), ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებ, თქვენც გაიგებთ მის ამბავს, (მის) გარჯას მგზავრობისას.

**1209 ვაჲ, საწუთროო, სიცრუით თავი სატანას ადარე!
შენი ვერავინ ვერა ცნას, შენი სიმუხთლე სად არე;
პირი მზისაებრ საჩინო სად უჩინო ჰყავ, სად არე?
და მით ვხედავ, ბოლოდ სოფელსა ოჭრად ჩანს ყოვლი, სად არე!**

u 1201-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ვაჲ (ვა).

ი. გიგინეიშვილის აზრით, ეს სტროფი მთლიანად ფატმანის სიტყვებია და ახალი თავი ამ სტროფის შემდეგ უნდა დაიწყოს. ამიტომ სტროფი ბრჭყალებში უნდა ჩაისვას მთლიანად.

რედაქციამ გადაწვიტა მსგავსი შემთხვევები სპეციალურად იქნეს განხილული.

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ მაჯამისათვის დასაშვებია ტავტოლოგიური შინაარსის, მაგრამ სხვადასხვაგვარად ნაწარმოები სიტყვების განმეორება. ამიტომ ბ-ში სართომო სიტყვა შეიძლება ასე წავიკითხოთ: სადარე (= შესადარი). დ-ში უფრო სწორად მიიჩნია წაკითხვა: მით ვხედავ ბოლოდ სოფელსა, ოჭრად ჩანს ყოვლი სად არე (იხ. **Z**), რომელიც შინაარსობრივად ნიშნავს: (ამნაირად) ვხედავ ბოლოს წუთისოფელს, სადაც ყოვლი არე ოჭრად ჩანს.

ს. ცაიშვილის აზრით, ბ-ის სართომო სიტყვა შესაძლებელია ასე წავიკითხოთ: სად არე.

რედაქციის სხვა წევრებმა წარმოდგინდ პროექტს დაუჭირეს მხარი. შ. ძიძიგურს დ-ის დაბოლოება პოეტურ ლიცენციად მიაჩნია და შინაარსი ასე ესმის: ამიტომ ვხედავ, საბოლოოდ წუთისოფელში ოხრად ჩანს ყოველივე, სადაც (= რაც) არის. პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს.შ.: ხმების უმრავლესობით ასე იქნა გაგებული: ვაი, წუთისოფელო, სიცრუით თავი სატანას შეადარე! შენსას ვერავინ ვერაფერს გაიგებს, შენი სიმუხთლე სად არის; მხესავით გამოსაჩენი პირი სად გააუჩინარე, სად ატარე (წაიყვანე)? ამიტომ ვხედავ, რომ საბოლოოდ წუთისოფელში ოხრად ჩანს ყოველი არე (ყოველივე).

1979. 23. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1210** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); **1211-1213** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1210 ფატმან იტყვის: „მომეშორვა მზე, მნათობი სრულად კმელთა, სიცოცხლე და სულდგმულობა, მონაგები ჩემთა კმელთა; მას უკანის გაუწყედლად დება მჭირდის ცეცხლთა, და ვერ გაგაჰმე წყარო ცრემლთა, თწალთა ჩემთა **გადმომღწრელთა.**

u 1202-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ფატმანი ამბობს: „მომეშორდა მზე, მთელი ხმელეთის მნათობი, სიცოცხლე და სულისდგმა, ჩემის ხელით მონაგები (მოპოვებული); მას შემდეგ განუწყვეტლივ ცხელი ცეცხლი მედებოდა, ვერ გავაშრე (ცრემლების) გადმომღვრელი ჩემი თვალების ცრემლების წყარო.

1211 სახლი და შეილნი მომძულდეს, ვჯდე უგულოთა გულითა, მას ვიგონებდი მღჭიძარე, რა მიმეძინის ლულითა, უსენ, გამტეხი ფიცისა, მიჩნს უსჯულოთა სჯულითა, და ვერ მიმიახლოს საახლოდ კრულმან პირითა კრულითა.

u 1203-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. ა შეილნი მომძულდეს (შვილი მომძულდა), გ მიჩნს (მიჩნს).

რედაქციამ ა-ში მიიღო ზმნის მრავლობითის ფორმა (მომძულდეს), სახელი კი მხოლოდობითის ფორმით აღადგინა (შვილი). ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ **სახლი** და **შვილი** ფრაზეოლოგიაა და აქ ზმნა-შემასმენელი მრავლობით რიცხვშია შეთანხმებული ქვემდებარესთან შინაარსის მიხედვით.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით ბ-ში **რა მიმეძინის ლულითა** შეიცვალა წაკითხვით: **რა მიმელულის ლულითა** (ასეა A⁴D¹D²-ში).

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ **მიმელულის ლულითა** წმინდა რუსთველური გამოთქმაა. ამასთან საყურადღებოა, რომ ამ სტროფის სხვა ტაქტებშიც მსგავსი ვერბალური ალიტერაცია გვაქვს: უგულოთა გულითა, უსჯულოთა სჯულითა, კრულმან ... კრულითა.

ს.შ.: სახლი (ოჯახი) და შეილი შემძულდა, გულდარდიანი ვიჯექი, მასზე (ნესტანზე) ვფიქრობდი მძღვიძარი და მაშინაც, როცა ვთვლემდი; ფიცის გამტეხი უსენი ურჯულოდ მიმანია, ვერ მიმიკარებს ახლოს (ის) კრული, პირშერცხენილი.

1212 დღესა ერთსა, სადამოყამ, ჩასლვა იყო ოდენ მზისა, წავდეგ წინა დარიჯაგთა, კარი მიჩნდა ხანაგისა; ვიგონებში, სევდა მკლვიდა მისისავე გონებისა, და ვთქვი: „კრულია ზენაარი ყოვლისამცა მამაცისა“.

პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ ა-ს მეორე ნახევარი ტირეებით გამოყო: დღესა ერთსა, საღამოჟამ, – ჩასლვა იყო ოდენ მზისა, – წავდევ...

პროექტში ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

რედაქცია იზიარებს ალ. გვანაშიას მოსაზრებას, რომ **დარიჯაგი** უკავშირდება სპარსულ „დარიჩეს“, ფალაური ფორმით – „დარიჩაქ“ (მომცრო სარკმელი, ფანჯარა, სამზირი). აქედან ჩანს მიღებული „დარიჯაგ“ იმავე მნიშვნელობით. ტაეპის აზრი ასე უნდა გავიგოთ: „მიუუახლოვდი ფანჯარას, დავდექი ფანჯრის წინ, დავინახე ხანაგის კარი“. ე.ი. დარიჯაგიდან, დარიჯაგ-თაგან გაუხედავს ფატმანს ისე, რომ სახლიდან არ გასულა.

ს.შ.: ერთ დღეს, საღამოხანს, – ის იყო, მზე ჩადიოდა, – დავდექი ფანჯრის წინ, დავინახე სასტუმრო სახლის კარი, ვისხენებდი (ქალს), მასზე ფიქრის სევდა მკლავდა, ვთქვი: „წყეული იყოს ყოველი მამაკაცის ფიცი“.

1213 **მო-სითმე-ვიდა ღარიბი მონა მოყწისითა სამითა,
მონა – მონურად მოსილი, სხტანი – მგზავრულად ხამითა;
სასმელ-საჭმელი მოიღეს, ქალაქს ნასყიდი დრამითა,
და სმიღეს, ჭამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარულნი ამითა.**

პროექტში ცვლილებაა: ა მო-სითმე-ვიდა (მოვიდა სითმე); ბ-ში დასმულია ტირეები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: საიდანღაც მოვიდა უცხო მხარის მონა (= მოლაშქრე) სამი ამხანაგით, მონა – მოლაშრის შესაფერისად ჩაცმული, სხვები – მგზავრულად ხამის სამოსლით; მოიტანეს საჭმელ-სასმელი, ქალაქში დრამით (ფულით) ნასყიდი, სვამდნენ, ჭამდნენ და საუბრობდნენ, ისხდნენ ამით მხიარულნი.

1979. 30. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი; გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1214–1220** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1214 **მე უყურებდი, უჭურეტლი; თქნეს: ამოდ გავიხარენით,
მაგრა ჩვენ აქა მოყწასნი უცხონი შევიყარენით,
არცა რა ვიციით, ვინ ვინ ვართ ანუ სით მოვიარენით,
და ვამს, ერთმანერთსა ამბავი ჩენიცა უთხრათ ბარ ენით.**

u 1207-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უყურებდი, უჭურეტლი (უყურებდი, უჭურეტლი), დ უთხრათ (უუთხრათ). პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით გ-ში დაისვა მძიმე: ვინ ვართ, ანუ.

ს.შ.: მე ვუცქერდი, ვუჭკვრეტდი; მათ თქვეს: „საამოდ გავიხარეთ, მაგრამ ჩვენ აქ უცხო ამხანაგები შევიყარეთ, არც რაიმე ვიცით, ვინ ვინ ვართ, ან საიდან მოვედით, მართებულა, რომ ბარემ ერთმანეთს ჩვენი ამბავი ვუთხრათ.“

1215 მათ სხვათა მათი ამბავი თქვეს, ვითა მგზავრთა წესია;
მონამა უთხრა: „ჰე, ძმანო, განგება რამე ზესია;
მე მარგალიტსა მოგიმი, თქვენ ქერიმი დაგიტესია,
და ჩემი ამბავი ამბავთა თქვენთაგან უკეთესია.

u 1207-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ჰე, ძმანო (ჰე ძმანო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: იმ სხვებმა თავიანთი ამბავი თქვეს, როგორც მგზავრების წესია; მონამ უთხრა: ძმებო, ზეციური განგებაა რაც მოხდა: მე მარგალიტს მოგიმიკით, თქვენ ფეტვი დაგიტესავთ, ჩემი ამბავი თქვენს ამბავზე უკეთესია.

1216 მე ვარო მონა მეფისა მადლისა, ქაჯთა მფლობლისა;
მათ მიხტდა ცემა სენისა, მათისა დამამკობლისა;
მოგვიკჳდა შემწე ქერივისა, შემწყნარებელი ობლისა,
და აწ შეილთა მისთა და მისი ზრდის, უკეთესი მშობლისა.

u 1208-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: მე ვარო ქაჯთა მფლობელის, დიდი მეფის მონა; მას შეეყარა სენი, მისი ბოლოს მომღები (მომაკვდინებელი): მოგვიკვდა ქერივის შემწე, ობლის შემწყნარებელი, ახლა მის შეილებს ზრდის მისი და, მშობელზე უკეთესი.

1217 დულარდუხტი არის დიაცი, მაგრა კლდე, ვითა ლოღია,
ვისცა არ დაჰკოდს, ყმა მისი ვერავის დაუკოღია;
მას უსხენ წყრილნი ძმისწულნი: როსან და ერთი როღია, –
და აწ იგი ქაჯეთს კელმწიფედ ქეე ზის, მორჭმული სწოღია.

u 1209-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ა-ში უფრო მართებული იქნება მივიღოთ წაკითხვა: კლდე ვითა, ლოღია. ტაეპის აზრია: დულარდუხტი არის ქალი, მაგრამ კლდესავით, ლოღი.

გ. კარტოზია: ვითა ორივე სიტყვას ეკუთვნის. კლდე, ვითა ლოღია – ვითა კლდე, ვითა ლოღი. შდრ. მსგავსი გამოთქმა: მისთა სპათაცა ნუ დაჰკოდს, ზროსათა, ვითა ვირთაო. ასეთ შემთხვევებში ვითა მეორე სიტყვას ეკედლება. ამას მოწმობს და კავშირიანი შესიტყვებები: მას ლომსა და ვითა გმირსა, ზაფრანად და ვითა სპეტად. ამიტომ მძიმის გადასმა საჭირო არ არის.

დაადგინეს: ტაეპის წაკითხვა უცვლელად დარჩეს.

ბ რედაქციამ ახალქართულად ასე გადმოიღო: თვითონ თუ არ დაჭრის, მისი ყმა ვერავის დაუჭრია. ტაეპის აზრი რედაქციის წევრებს სხვადასხვანაირად ესმით:

ა. ბარამიძეს, ე. მეტრეველს, შ. ძიძიგურს: თვითონ დულარდუხტი თუ დაჭრის თავის ყმას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია მისი ყმა.

გ. კარტოზიასა და ც. კიკვიძეს: თვითონ დულარდუხტი თუ დაჭრის სხვას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია დულარდუხტის ყმა.

ი. გიგინეიშვილს: თვითონ დულარდუხტის ყმა თუ დაჭრის სხვას, თორემ სხვას ვერავის დაუჭრია დულარდუხტის ყმა.

ს.შ.: დულარდუხტი ქალია, მაგრამ მტკიცე, როგორც კლდე და ლოდი, თვითონ თუ არ დაჭრის, მისი ყმა ვერავის დაუჭრია; მას ჰყავს მცირეწლოვანი ძმისწულები: როსანი და როდია, – ახლა იგი ქაჯეთში ხელმწიფედ ზის, მორჭმული ეწოდება (მორჭმულია).

1218 **გუჯესმა ამბავი, ზღუათ იქით სიკვდილი დისა მათისა,
შეიჭირებდეს ვაზირნი, დაშაღეს ქმნა ხალვათისა,
ვითა ვჰკადროთო დავსება პირისა, კმელთა მნათისა?!**
და როშაქ მონაა, თავადი მონისა ბევრათასისა.

u 1210-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: **დ-ში** რითმა უნდა გასწორდეს: თავადი მონისა **ბევრისათისა** ასეა B¹² sz-ში.

ბევრი ათი – მრავალზე მრავალი.

გ. კარტოზიას და ც. კიკვიძეს შესაძლებლად მიაჩნიათ არაიდენტური რითმის დატოვება. ხელნაწერთა ჩვენება ამას უჭერს მხარს. გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ **ბევრათასი** ჩვეულებრივი გამოთქმაა „ვეფხისტყაოსანში“.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მონისა **ბევრისათისა** (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ს.შ.: გავიგეთ ზღვის გაღმა მისი (დულარდუხტის) დის სიკვდილის ამბავი, წუხდნენ ვეზირები, მარტოობა მოშაღეს (= შეიკრიბნენ), ხმელეთის მანათობელი პირისახის დავსება (ჩაქრობა) როგორ ვუთხრათო?! როშაქი მონაა (ვასალია), ათიათასეული (მრავალი) ლაშქრის უფროსი.

1219 **როშაქ ბრძანა: «მო-ცა-ვინ-მკლას, მე ტირილსა არ დავხუდები.
მინდორს წავაღ, ვიმეკობრებ, ალაფითა ავივსები,
შინა მოვალ შოებუღი, ადრე ზედა მოვესწრები,
და მეფე დისა დატირებად წავიდოდეს, წა-ცა-გჰყვები“.**

u 1211-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: როშაქმა თქვა: „რომ მომკლან კიდევ, მე ტირილს (შეცხადებას) არ დავესწრები. მინდვრად წავალ, ვიმეკობრებ (ვიყაჩადებ), ნადავლით ავივსები, შინ დავბრუნდები გამდიდრებული, მალე მოვუსწრებ, მეფე დის დასატირებლად რომ წავა, წაყვები (კიდევ)“.

1220 **გვითხრა მისთა ჳელისათა: «წავალ, თანა წამომყევით»
წაგვითანა მონა ასი, ყველაკაი მისგან რჩევით.
დღისით, მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით;
და დია ვლეწეთ ქარავანი, ღარი ჩვენკენ გარდმოვდევით.**

u 1212-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

o. გიგინეიშვილი: **გ-**ში უპირატესობა უნდა მიეცეს წაკითხვას: **ღამითაცა** ვიყვნით **თნევით** (ასეა A⁴ში). **თნევა**-ს ქართულში, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, აქვს „მოწონების“ მნიშვნელობაც. ტაუპის აზრია: დღისით, მზისით ვმეკობრობდით და ღამითაც მოსაწონად ვიყავით.

ა. ბარამიძე: კონტექსტი აქ ღამის თევის – ღამის ტეხის სასაგებლოდ მეტყველებს.

გ. კარტოზია: ამასთან, **ღამითაცა** დროის გარემოებად მოულოდნელია **„ვეფხისტყაოსანში“**. უნდა ყოფილიყო: **ღამითაცა**.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: **ღამეთაცა** ვიყვნით **თევით** (წინააღმდეგი – **o.** გიგინეიშვილი).

ს.შ.: გვითხრა თავის ხელქვეითებს: „მივდივარ, თან წამომყევით!“ წაგვიყოლა ასი მონა, ყველა მისგან დარჩეული. დღისით, მზისით ვმეკობრობდით (ვიყაჩალობდით), ღამეებსაც ვათევდით; ბევრი ქარავანი ვძარცვეთ, ღარი (საქონელი) ჩვენკენ გადმოვდევით (დავისაკუთრეთ).

1979. 7. XII

სხდომას დაესწრნენ: **ა.** ბარამიძე, **o.** გიგინეიშვილი, **გ.** კარტოზია, **ც.** კიკვიძე, **ე.** მეტრეველი.

განიხილეს: **1221; 1222** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); **1223–1228** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1221 **მინდორ-მინდორ მოვიდოდით ჩვენ ღამესა დია ბნელსა,
დიდნი რამე სინათლენი გამოგვინდეს შუა ველსა;
ვთქვით, თუ: მზეა ნუთუ ზეცით ჩამოჭრილი ზედა ვმელსა!
და დაბნეულნი მივეცენით გონებასა ჩვენსა მსჯელსა.**

u 1213-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მინდორ-მინდორ მოვლილით ძალიან ბნელი ღამით, მინდორში რაღაც დიდი სინათლე გამოჩნდა; ვთქვით: ნუთუ მზეა, ზეციდან ხმელეთზე ჩამოსული! დაბნეულები მივეცენით ჩვენს დამტანჯველ ფიქრს.

1222 **ზოგთა ვთქვით: არის ცისკარი; ზოგთა თქვეს: არის მთწარეო;**
მას დარაზმულთა მივმართეთ, ახლოსმცა ვნახეთ ბარეო!
შორს მოუარეთ, მივედით, შემოვადევით გარეო;
და მით ნათლიდაღმა გამოვკლა კმა, ჩქენი მოუბარეო.

u 1214-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მოუარეთ (მოვუარეთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ზოგიერთებმა ვთქვით: ცისკრის ვარსკვლავიაო; ზოგიერთებმა თქვეს: მთვარე არისო; მისკენ დარაზმულები წავედით, ბარემ ახლოს ვნახოთო! შორს მოვუარეთ, მივედით, გარს შემოვეხვიეთ; იმ სინათლიდან გამოისმა ჩვენთან მოსაუბრე ხმა.

1223 **გვითხრა: «ვინ ხართ, ცხენოსანნო? თქვენ სახელნი თქვენნი**
თქვენით;

გულანშაროთ მოციქული ქაჯეთს მივალ, მერიდენითს
ესე გვესმა, მოვადევით, ალყად გარე მოვერტყენით,

და პირმზე რამე ცხენოსანი გავიცადეთ თწალით ჩქენით.

u 1215-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: გვითხრა: ვინ ხართ, ცხენოსნებო? თქვენი სახელი თქვით: გულან-შაროდან ქაჯეთში მივდივარ მოციქული, მომერიდეთ! ეს რომ გავიგონეთ, შემოვადექით, ალყად შემოვერტყით, ვინმე პირმზე ცხენოსანი დავინახეთ ჩვენი თვალით.

1224 **უჭჭერიტეთ პირსა მნათობსა, ელვათა მავლევარებსა;**
მისი ციმციმი მზისაებრ ეფინებოდა არებსა;
ძვირ-ძვირად გვეუბნებოდა სიტყვასა რასმე წყნარებსა,
და კბილთაგან შუქი შეადგა ზედან გიშრისა სარებსა.

u 1216-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უჭურიტეთ (უჭჭერიტეთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: უჭჭერიტეთ მანათობელ სახეს, ელვის მავლევებელს (გამომერთომელს); მისი ციმციმი მზესავით ეფინებოდა არემარეს; ძვირად (ძუნწად), მშვიდად გველაპარაკებოდა, კბილთაგან შუქი შეადგა გიშრის სარებს – წამწამებს.

1225 **კელა ვეუბენით მას მზესა ტბილმოუბრითა ენითა.**
არ მონა იყო, ტყუოდა, ჩქენ ესე შევიგენითა;

**როშაქ შეატყო ქალობა, გჳერდსა წაუდგა ცხენითა,
და აღარ გაუშჳით, დაჭირვა ვჳკადრეთ ჳელითა ჩჳენითა.**

u 1217-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ** გაუშჳით (გაგუშჳით). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ **გ**-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე.

ს.შ.: კვლავ ველაპარაკეთ იმ მზეს ტკბილმოუბარი ენით. მონა (მოყმე) არ იყო, ტყუოდა, ჩვენ ამას მივხვდით; როშაქმა ქალობა შეატყო, გვერდით ამოუდგა ცხენით; აღარ გაგუშჳით, ხელით შეპყრობა შეგებდეთ.

**1226 კჳლავ ჳკითხეთ: გჳითხარ მართალი საქმე შენ მზებრ
ნათელისა,
ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხჳალ მანათობელი ბნელისა?
მან არა გჳითხრა, გაუშჳა წყარო ცრემლისა ცხელისა.
და რა საბრალოა გავსილი მთჳარე, ჩანთქმული გჳელისა!**

u 1218-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ა-ში **მართალი** მომდევნო სიტყვის (საქმე) მსახდვრელი კი არ არის, არამედ სუბსტანტივია. ამიტომ უნდა შეიცვალოს პუნქტუაცია – ტაეპის შიგნით დაისვას მძიმე: გჳითხარ მართალი, საქმე შენ მზებრ ნათელისა.

დაადგინეს: ტაეპის შიგნით დაისვას მძიმე.

ი. გიგინეიშვილი: დამაფიქრებელია ამავე ტაეპში შენ ნაცვალსახელი.

გ. კარტოზია: აქ ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივ შესიტყვებასთან უნდა გვექონდეთ საქმე. შდრ. ჩემ გლახაკისა, ჩემ ცოდვილისა. შდრ. აგრ. „ვეფხისტყაოსანში“ ანალოგიური კონსტრუქცია – პირის სახელის ფუძის სახით წარმოდგენა დანართის წინ: ქჳე დაუწინდავს საცოლედ როსან ცოტასა ყმისადა. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ისევ ვკითხეთ: გვითხარი სიმართლე, შენი, მზესავით ნათლის, ამბავი, ვისი ხარ, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ ბნელის მათნათობელი? იმან არაფერი გვითხრა, ცხარე ცრემლებით ატირდა. რა საბრალოა (შესაბრალისია) გავსებული მთჳარე, გველის (გველეშაპის) ჩანთქმული!

**1227 არცა რა ცხადი ამბავი, არცა რა დასამალავი,
არა არ გჳითხრა, ვინ იყო ან ვისგან ნამუხთალავი;
ქუშ-ქუშად გჳეუბნებოდა, კუშტი, თავისა მკრძალავი,
და ვითა ასპიტი, მჳჭრეტელთა მისთა თჳალითა მლაღავი.**

u 1219-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: არც რაიმე ცხადი ამბავი, არც რაიმე საიდუმლო, არაფერი გვითხრა, ვინ იყო ან ვის მიერ ნამუხთლევ; პირქუშად გველაპარაკებოდა მწყრა-

ლი, თავის დამმალველი, როგორც ასპიტი, მის მჭვრეტელებთან თვალით მებრძოლი (მომნუსხავი).

1228 როშაქ გვიბრძანა: «ნუ ჰკითხავთ, აწ თურე არსათქმელია, ამისი საქმე უცხოა, საამბობლადცა ძნელია; ბედი მეფისა ჩენისა არსთაგან სანატრელია, და მით რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია.

u 1220–თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: როშაქმა გვიბრძანა: „ნუ ჰკითხავთ, როგორც ჩანს, არ არის სათქმელი, ამისი საქმე არაჩვეულებრივია, საამბობლადცა ძნელია; ჩენი მეფის ბედი ყველასგან შესაშურია, იმიტომ რომ ღმერთი მას აძლევს, რაც ყველაზე უფრო საკვირველია (საოცარია)“.

1979. 14. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს: 1229–1234 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1229 ესე ღმერთსა მისაგურელად მისად ჩენთუის მოუცია, მიუტანოთ არმადანად, დაგვიმადლებს მეტად ღია. თუ დავმაღავთ, დავმჟღავნდებით, მეფე ჩენი ამაყია, და პირველ – მათი შეცოდება, მერმე დიდი აუგია.

u 1221-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მიუტანოთ (მიუტანოთ).

ა. ბარამიძე: გ-ში უკეთესია წაკითხვა: ნუ დავმაღავთ, დავმჟღავნდებით.

ი. გიგინეიშვილი: მართალია. პროექტის წაკითხვა თუ დავმაღავთ, მაშინ დავმჟღავნდებით აზრობრივად გაუმართავია.

ც. კიკვიძე: თუ დავმაღავთ რედაქციათა უმრავლესობაში იკითხება. ამავე დროს შინაარსობრივადც გამართული წაკითხვაა: „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ ის აზრია გატარებული, რომ ყოველი დაფარული ბოლოს მაინც გამჟღავნდება.

ე. მეტრეველი და გ. კარტოზია მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: თუ დავმაღავთ, დავმჟღავნდებით.

ს.შ.: ეს მისთვის მისაგვრელად ღმერთს ჩვენთვის მოუცია, ძღვნად მივუყვანოთ, ძალიან დაგვიმადლებს. თუ დავმაღავთ, მხილებული ვიქნებით, ჩვენი მეფე ამაყია, ჯერ ერთი, მეფის წინაშე შევცოდებთ, მეორეც თავისთავად, დიდად სამარცხვინოა“.

1230 მივემოწმებით, თათბირნი არ კიდე გავაკიდებით;
დავბრუნდით, ქაჯეთს მიემართეთ, მას წინა მოვეკიდებით,
არცა რა ვჰკადრეთ ჰელდაკელ, არცა თუ წავეკიდებით;
და იგი ტირს, დაწესა გულმდულრად ჩარცხის ცრემლისა კი
დენით.

u 1222-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით ა-ს სარიტმო სიტყვის მნიშვნელობა.

ც. კიკვიძის აზრით, **კიდე გავაკიდებით** პარონომაზიული გამოთქმაა, სადაც **კიდე** = ნაპირი. **არ კიდე გავაკიდებით** = შორს არ დავიჭირეთ.

ი. გიგინეიშვილიც პარონომაზიულ გამოთქმას ხედავთ ტაეპში, ოღონდ ფიქრობს, რომ **კიდე** = კიდევ. **არ კიდე გავაკიდებით** = არ გავაგრძელებთ, არ გავაკვლადეთ.

გ. კარტოზიას აზრით, **კიდე** ამ ტაეპში ნაწილაკია(=კი). **გავაკიდებით კიდე** (= ნაპირი) ფუძისგანაა ნაწარმოები. **არ კიდე გავაკიდებით** – შორს კი არ დავიჭირეთ.

ასევე აზრთა სხვაობა გამოიწვია **დ-ს** შინაარსის გაგებამ.

ი. გიგინეიშვილის აზრით, **კი** ნაწილაკი ტაეპის პირველ ნაწილს ეკუთვნის: იგი კი ტირის, დაწეს რეცხავს...

გ. კარტოზიას მიაჩნია, რომ **კი** აქ დღევანდელი მნიშვნელობით არ იხმარება (შდრ. ვნახეთ სისხლისა **კი** დენით). ამდენად, ტაეპის ახალქართულად გარდათქმისას მისი წინ გადატანა საჭირო არ არის. სწორად იქცევიან პროექტის ავტორები, როცა თარგმანში **კი-ს** უგულებელყოფენ.

ც. კიკვიძესაც გაუმართლებლად მიაჩნია **კი-ს** გადატანა ტაეპის პირველ ნაწილში.

ე. მეტრეველის აზრით, **კი** თავის ადგილას უნდა დარჩეს, მაგრამ შესაძლებელია იგი პირველ ნაწილშიც ვიხმართ: ის კი ტირის, დაწეს კი რეცხავს...

ი. გიგინეიშვილს კატეგორიულად შეუძლებლად მიაჩნია **კი** ნაწილაკის ტაეპის (= შერწყმული წინადადების) მეორე ნახევარში დატოვება.

ა. ბარამიძე მხარს უჭერს **კი** ნაწილაკის წინ დასმას.

ს.შ.: დავეთანხმეთ, ეს რჩევა არ გავაგრძელებთ, დავბრუნდით, ქაჯეთში წავედით, ქალს წინ წავუძებით, არც რაიმე ვკადრეთ ნაუცბათევადა, არც წავეჩხუბეთ, ის კი ტირის, დაწესებს ცრემლის დენით გულმდულარედ რეცხავს.

1231 მე როშაქს ვჰკადრე: «გამიშვი კულა ადრე თქვენი მხლებელი; აწ გულანშაროს ქალაქსა ვარ საქმის რასმე მდებელი». მან გამომიშვა, აქ სადმე ლარი მიც წასაღებელი, და თანა წავეტან, წა-ცა-ვალ მე მათი ზედამსწრებელი».

u 1223-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა, ოღონდ გ-ს შემდეგ მძიმის ნაცვლად დაიწერა წერტილ-მძიმე. მე როშაქს ვუთხარი: გამიშვი და კვლავ მალე გეახლება; ახლა გულან-შაროს ქალაქში მაქვს რაღაც საქმე; მან გამომიშვა, აქ სადღაც განძეულობა მაქვს წასაღები; თან წავიღებ, წავალ (და) მივუსწრებ კიდევაც.

1232 მათ კაცთა დია ეამა ესე ამბავი მონისა. მე გავიგონე, შე-რე-მშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა, მენიშნა, ყოვლი ნიშანი ვიცან ჩემისა ღონისა, და ცოტაი ღხინი მომეცა, მსგავსი დრამისა წონისა.

u 1224-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: იმ კაცებს ძალიან ესიამოვნათ მონის (მონათხრობი) ეს ამბავი. მე გავიგონე, ცრემლთა ნაკადი შემაშრა, მენიშნა, ჩემი შველის ყველა ნიშანი მეცნო, ცოტა შვევა ვიგრძენი, დრამის წონის ოდენი.

1233 მოვიყვანე იგი მონა, ახლოს დაესჭი ჩემსა წინა, ვჰკითხე: «მითხარ, რას იტყობი? გაგონება მეცა მინა». მან იგივე კჳლა მიაშბო, რაცა მუნით მომესმინა, და ამ ამბავმან გამაცოცხლა, სულთმობრძავი დამარჩინა.

u 1225-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მოვიყვანე ის მონა, ჩემ წინ ახლო დავისვი, ვკითხე: „მითხარი, რას ამბობდი? მეც მინდა მისი მოსმენა“. მან ისევ იგივე მიაშბო, რაც იქიდან (= გარედან) მქონდა მოსმენილი, ამ ამბავმა გამაცოცხლა, სულთმობრძავი გადამარჩინა.

1234 მე ორნი შავნი მონანი მყვანან საესენი გრძნებითა; უჩინოდ მივლენ-წამოვლენ მათითა კვლოვნებითა; მოვახსენ, ქაჯეთს გაგზავნენ, ვარქვი, თუ: «ნუ დასდგებითა, და მაცნობეთ მისი ამბავი თქვენითა მოქმედებითა».

u 1226-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მე მყავს გრძნეულებით სავსე ორი მონა: უჩინარად წავლენ-წამოვლენ თავიანთი ხელოვნებით (მოსერხებით); მოვიყვანე, ქაჯეთში გავგზავნე, ვუთხარი: „ნუ დაყოვნდებით, მისი ამბავი მაცნობეთ თქვენი უნარიანობით“.

1980. 4. I

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1235–1239** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1235 სამ დღე მოვიდეს, მიაბზეს, ფიცხლა ებიჯა გზისადა:
მიუგჳრიაო მეფისა, ზღჳას იქით წამავლისადა,
ვერვის შეუდგმან საჭჳრეტლად თჳალნი, მართ ვითა მზისადა,
და ქჳე დაუწინდაეს საცოლედ როსან ცოტასა ყმისადა.

u 1227-თან შედარებით რედაქციამ ა-ს ბოლოს ორწერტილის ნაცვლად დასვა მძიმე, ბ-ს დასაწყისში კი მოშალა კუთხოვანი ბრჳყალები.

ა. ბარამიძემ რედაქციის წვერთა ყურადღება მიაქცია ბ-ში ვარიანტულ წაკითხვას – მეფისად (A^3, s, y).

გ. კარტოზია: რამდენადაც მეფისა-ს მოსდევს მსაზღვრელი სიტყვები (ზღჳას იქით წამავლისადა), ნანათესაობითარ ვითარებითში მისი დასმა საჭირო არ არის. მსგავს კონსტრუქციაში ნანათესაობითარი ვითარებითის უხმარებლობისათვის შდრ. გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: **მეფისა.**

ს.შ.: სამ დღეში მოვიდნენ, მიაბზეს, სწრაფად ევლოთ გზაზე, მიუგვრიათო ზღვის იქით მიმავალი მეფისთვის, ვერავის გაუმართავს (მისთვის) თვალი, როგორც მზისთვის, საცოლედ დაუწინდავთ (დაუნიშნავთ) უმცროსი ვაჟის, როსანისთვის.

1236 «როსანს შევრთოთო, – დულარდუხტს მეფესა უბრძანებია, –
ჯეროთ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლნადებია;
შემოვიქევი, შევისძლობ, ვინ ცისა მზედ ნაქებია».

და ციხეს დაუსჭამს, ხადუმი ერთაი უახლებია.

u 1228-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: „როსანს შევრთოთო, – მეფე დულარდუხტს უთქვამს, – ჯერ ქორწილისთვის არ მცალია, ახლა ჩემი გული ცეცხლმოდებულისა; რომ დავბრუნდები, რძლად გავიხდი (მას), ვინც ცის მზედ არის ნაქები“. ციხესიმაგრეში დაუსვა მს, ერთი ხადუმი (მსახური) მიუჩენია.

1237 ყოვლი მცოდნელი გრძნებისა მას თანა წაუტანია,
მით რომე გზაა საჭირო, მტერნი საომრად მზანია;
ქჲე დაუყრია მოყმები, ვინც უფრო გულოვანია,
და დაეყოვნების: წასრულა, ჯერეთ ცოტაი ხანია.

u 1229-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში მოყმები-ს ნაცვლად სხვადასხვა რედაქციის ბევრი ხელნაწერი მოყმენი ფორმას იცავს. ეს უფრო სწორია. ე-ფუძიანი სახელეუბის ებიან მრავლობითში ორი ე არის მოსალოდნელი. ტაეპი უნდა გასწორდეს: ქჲე დაუყრიან მოყმენი, ვინც უფრო გულოვანია. შედგენილი შემასმენლის სახელური ნაწილი რომ მხოლოდობითშია (გულოვანია) და არა მრავლობითში, რითმის საჭიროებით აიხსნება.

გ. კარტოხია: ე-ფუძიანი სახელეუბის ებიან მრავლობითში ფუძისეული ე-ს მოკვეცა, რაც ძველ ქართულში უხვად დასტურდება, „ვეფხისტყაოსნის-თვისაც“ ჩვეულებრივი მოვლენაა. ამასთან, გულოვანია ფორმა მოყმე ფუძის ებიან მრავლობითს გულისხმობს მხოლოდ. ტაეპს შესწორება არ სჭირდება.

დაადგინეს: შეიცვალოს ტაეპის წაკითხვა: ქჲე დაუყრიან მოყმენი... (წინააღმდეგი – გ. კარტოხია).

ა. ბარამიძე: დ-ში ჯერეთ ფორმის ნაცვლად რიგი ხელნაწერი ჯერთო-ს კითხულობს. ეს უფრო სწორი წაკითხვა ჩანს.

რედაქციამ არ მიიღო ეს წინადადება.

ს.შ.: გრძნების მცოდნე ყველა თან წაუყვანია, იმიტომ რომ სახიფათო გზა არის, მტრები საომრად მზად არიან; (ქალაქში) დაუტოვებია მოყმეები, ვინც უფრო მამაცია, დააგვიანდება: ჯერ ცოტა ხანია, რაც წასულა.

1238 ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
მას კლდესა შუა გჭირაბი, ასაძრომელი კჭრელია,
და მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია.

u 1230-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ქაჯების ქალაქი აქამდე (დღემდე) მტრებისგან უბრძოლველია: ქალაქის შიგნით მაღალი და გრძელი კლდეა, ამ კლდეში არის გვირაბი, ასაძრომი ხვრელი, იქ იმყოფება მნათობი (ქალი), მის შემყრელთა (შემხედველთა) დამწველი.

1239 გჭირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირნასები,
ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყწელაკაი ხასები,
ქალაქის კართა სამთავე – სამათას-სამათასები.

და გულო, გაგსაჯა სოფელმან, არ ვიცი და, გლახ, რას ები!”

u 1231-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

დ-ის ბოლოს მოიშალა კუთხოვანი ბრჭყალები. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს.შ.: გვირახის კარს მუდამ კარგი (არა ცუდი შესახედობის) მოყმეები დარაჯობენ, ათი ათასი მეომარი დგას, ყველა რჩეული, ქალაქის სამივე კართან – სამიათას-სამიათასი. გულო, გაგტანჯა წუთისოფელმა, ვაგლახ, არ ვიცი, რას მიბმინხარ (ამ წუთისოფელს)!”

1980. 11. I

სხდომას დაესწრნენ: ი.გიგინეიშვილი, გ.კარტოზია, ც.კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ.ძიძიგური.

განიხილეს: 1240; 1241 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1240 ესე ამბავი ავთანდილ პირმზუმან, მაგარვადამან,
რა მოისმინა, ეამა, სხჟად არა გაუცხადა მან,
შესწირა ღმერთსა მადლობა ტურფამან დანაბადამან:

და „ამბავი ჩემი სალხინო მითხრაო ვისმანდა დამან!”

u 1232-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ყველა ხელნაწერი კითხულობს იამა-ს. ეს უნდა იყოს სწორი წაკითხვა. სტროფში სუბიექტთან ავთანდილ შეწყობილი ყველა დანარჩენი ზმნა გარდამავალია: მოისმინა, გაუცხადა, შესწირა. ასევე გარდამავალი ზმნა უნდა გექნოდეს ამ შემთხვევაშიც – იამა მან ესე ამბავი.

გ. კარტოზია: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში ეა კომპლექსი ჩვეულებრივ ია-თი არის გადმოცემული. ამიტომ ხელნაწერთა ჩვენება არ გამოდგება ეამა ფორმის უკუსაგდებად, რომელიც კონტექსტს მშვენივრად ეგუება. უნდა დარჩეს გამოცემებში დამკვიდრებული წაკითხვა ეამა.

შ. ძიძიგური: ინვერსიული ეამა სავსებით ბუნებრივია გარდამავალ ზმნათა მეზობლობაში. სხვა ზმნათა ანალოგია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ იამა ფორმას მიეცეს უპირატესობა.

ე. მეტრეველი: ვფიქრობ, ხელნაწერთა ჩვენებას გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ძირითად ტექსტში იამა უნდა მივიღოთ.

ც. კიკვიძე: გადაწვევტით არაფრის თქმა შეიძლება. შინაარსობრივად ორივე ფორმა ეამა/იამა დასაშვებია.

ს. ცაიშვილი: კონტექსტით სავსებით ბუნებრივია ინვერსიული ეამა, ამიტომ ტექსტის შეცვლის საფუძველი არ არის.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა: **ეამა** (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

ს.შ.: ეს ამბავი სახით მზის დარმა, მაგარვალა (= მაგარვადიანი ხმლის პატრონმა) ავთანდილმა რომ მოისმინა, გაუხარდა, სხვაფრივ არაფერი გაუმხილა ფატმანს, ღმერთს მადლობა შესწირა მშვენიერმა (ვინც მშვენიერი დაიბადა): „ჩემი სასიხარულო ამბავი ვილაცამ (ვილაცის დამ) მითხრაო!“

1241 **ფატმანს უთხრა: „საყვარელო, კმა ხარ ჩემგან სასურველად, მე ამბავი სანატრელი მომასმინე არ პირბნელად, მაგრა საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად, და ქაჯი ყველა უჯორცოა, რამან შექმნა ჯორციელად?“**

u 1233-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ა-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი, გ-ის ბოლოს – ორწერტილი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს.შ.: ფატმანს უთხრა: „საყვარელო, მხოლოდ შენა ხარ ჩემი სასურველი! სანატრელი ამბავი მომასმინე გულწრფელად, მაგრამ ქაჯეთის ამბავი უფრო წვრილად მიამბე: ყველა ქაჯი უჯორცოა (უსხეულოა), ჯორციელად რამ შექმნა?“

1980. 16. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1242–1244** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1242 **მის ქალისა სიბრალული ამანათებს და მიდებს აღსა, მაგრა ქაჯნი უჯორცონი რას აქნევენ, მიკჭირს, ქალსა?!“**
ფატმან უთხრა: „მომისმინე, მართლად გხედავ მანდა მკრთალსა, და არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.“

u 1234-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილის აზრით, დ-ში **კაცნიაო** ნიშნავს, „ამბობენ, კაცები (ადამიანები) არიანო“. ფატმანს დანამდვილებით არ ეცოდინებოდა ქაჯების ამბავი, სხვათა ნათქვამს უნდა იმეორებდეს.

გ. კარტოზიას აზრით, აქ საქმე გვაქვს სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ხმარების თავისებურებასთან, ო-ნაწილაკი ფატმანის მოელს ნათქვამს ეკუთვნის, ამიტომ ტაეპის შინაარსის გადმოღებისას ის უნდა უგულებელვყოთ: ქაჯები არ არიან, ადამიანები არიან, სალ კლდეს მინდობიან.

რედაქციამ გაიზიარა ი.გიგინეიშვილის თვალსაზრისი (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ს.შ.: იმ ქალის სიბრაღული მანთებს და ცეცხლს მიკიდებს (აღს მიდებს), მაგრამ მიკვირს, უსხეულო ქაჯებს ქალი რად უნდათ?!“ ფატმანმა უთხრა: „მომისმინე, მართალი ხარ, რომ შეკრთი (გაიკვირე), ქაჯები (კი) არ არიან, ადამიანები არიანო, საღ კლდეს მინდობიან.

1243 ქაჯნი სახელად მით ჰქეიან, არიან ერთად კრებულნი,
კაცნი გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გაკელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი ვერვისგან ვნებულნი;
და მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.

u 1235-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. ცაიშიელმა აღნიშნა, რომ ა-ში ფრაზა არ მთავრდება, ამიტომ ტაეპის ბოლოს მძიმე უნდა მოიშალოს.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება. პროექტი ამ ცვლილებით დამტკიცდა.

ს.შ.: ქაჯები სახელად იმიტომ ჰქეიათ, რომ არიან ერთად შეკრებილი გრძნეულების მცოდნე ადამიანები, გრძნეულებაში დახელოვნებულნი, ყველას მავნენი, (თვით) ისინი (კი) უვნებელნი; მათ წინააღმდეგ მებრძოლნი დაბრმავებული და გაწბილებული ბრუნდებიან.

1244 იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თჳალსა დაუბრმობენ,
ქართა აღსძვრენ საშინელთა, ნავსა ზღჳა-ზღჳა დაამკობენ,
ვითა კმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,
და სწადდეს – დღესა ბნელად იქმან, სწადდეს – ბნელსა ანათობენ.

u 1236-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაირბენენ, წყალსა წმიდად (გაირბენენ წყალსა, წმიდად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: რაღაც საკვირველს აკეთებენ, მტერს თვალს უბრმავებენ, საშინელ ქარს ატეხენ, ზღვაში ხომალდს გადააბრუნებენ, წყალზე, როგორც ხმელეთზე, გაირბენენ, ერთიანად დააშრობენ, უნდათ დღეს დააბნელებენ, უნდათ, ბნელს გაანათებენ.

1245 ამისთჳის ქაჯად უკმობენ გარეშემონი ყრელანი,
თჳარა იგიცა კაცნია ჩჳენებრვე კორციელანი“.
ავთანდილ მადლი უბრძანა: „ცეცხლნი დამივსენ ცხელანი,
და დიდად მემანეს ამბავნი, სიტყჳანი აწინდელანი“.

u 1237-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ამიტომ ქაჯებს ეძახის ყველა გარს მყოფი, თორემ ისინიც ადამიანები არიან, ჩვენსავით ხორციელნი“. ავთანდილმა მადლობა უთხრა:

„ცხელი ცეცხლი ჩამიქრე, დიდად მესიამოვნა (შენი) ნაამბობი, ახლანდელი სიტყვები“.

1980. 23. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ემეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1246** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); **1247-1250** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1246 გულითა ღმერთსა აღიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი;
თქვა: „ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი,
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,
და წყალობა თქვენი იჩქითად არს ჩუენი გარდმომფენელი!“

u 1238-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლო წერტილ-მძიმის ნაცვლად მძიმეა. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: გულით ღმერთს აღიდებს ცრემლის მღვრელი ავთანდილი; თქვა: „გმადლობ, ღმერთო, რომელიც ხარ ჭირის (უბედურების) შემამსუბუქებელი, ყოფილი და მყოფი (=ვინც ყოველთვის იყავი და ხარ), ენით გამოუთქმელი, ყურით მოუსმენელი, შენი წყალობა უეცრად (მოულოდნელად) მოგვეფინება!“

1247 მის ამბისა ცნობისათვის ცრემლით ღმერთსა აღიდებდა.
ფატმან ეჭვდა თავისათვის, ამაღ ცეცხლსა კელა იდებდა;
ყმა ნამუსსა ინახვიდა, სიყვარულსა იფერებდა;
და ფატმან ყელსა ეხვეოდდა, პირსა მზესა აკოცებდა.

u 1239-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ამ ამბის შეტყობისათვის ცრემლით ღმერთს აღიდებდა (ავთანდილი). ფატმანს ეგონა, რომ მისთვის ტიროდა, ამიტომ ისევე (სიყვარულის) ცეცხლს იკიდებდა; მოყმე ნამუსს (საიდუმლოს) ინახავდა, სიყვარულს იფერებდა; ფატმანი ყელზე ეხვეოდა, (ავთანდილის) მზისებრ პირს კოცნიდა.

1248 მას ღამე ფატმან იამა ავთანდილთანა წოლითა;
ყმა უნდოგჭარად ეხვევის ყელსა ყელითა ბროლითა,
ჰკლავს თინათინის გონება, ძრწის იღუმლითა ძრწოლითა,
და გული მკვეცქმნილი გასჭრია მკვეცთავე თანა რბოლითა.

u 1240-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა-ში ავთანდილთან-ს ნაცვლად მიღებულ იქნა წაკითხვა: **ავთანდილს თანა**. ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: იმ ღამეს ფატმანმა გაიხარა ავთანდილთან წოლით. მოყმე უგულოდ ეხვევა ყელზე ბროლის ყელით, თინათინზე ფიქრი კლავს, ფარულად ძრწის, გამხეცებული გული მხეცებთანვე რბენით გასჭრია.

1249 ავთანდილ მალვით ცრემლსა სწქიმს, სდის ზღვათა
შესართავისად,
შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავი სად;
იტყვის, თუ „მნახეთ, მიჯნურო, იგი, ვინ ვარდია ვისად,
და უიმისოდ ნეხეთა ზედა ვზი ბუღბული მსგავსად ყწავისად!“

u 1241-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს აბ-ის გაგების თაობაზე.

ი. გიგინეიშვილის აზრით, ეს ტაეპები ერთმანეთთან შინაარსობრივად და გრამატიკულად არიან დაკავშირებულნი. ტაეპის აზრია: ავთანდილი ცრემლს აფრქვევს მელნის მორევში, სადაც ცურავს გიშრის ნავი.

გ. კარტოზიას მიაჩნია, რომ ტაეპები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. ბ-ში **სად = სადმე, სადღაც**, ამიტომ ტაეპის შიგნით მძიმე საჭირო არ არის, ტაეპების აზრია: ავთანდილი მალულად ცრემლს ღვრის, (ისე) სდის (მას ეს ცრემლი), რომ ზღვას ერთვის, მელნის მორევში (= თვალებში) სადღაც ბრუნავს გიშრის ნავი (= გუგა).

რედაქციამ მიიღო აბ-ის ი. გიგინეიშვილისეული განმარტება.

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ გ-ში **ვინ ვარდია ვისად** მთლიანი შესიტყვება არ არის. **ვისად** დაკავშირებულია **მნახეთ** ზმნასთან: იგი ვინც ვარდია (ე. ი. მე), ვისად (= ვის კუთვნილებად) მნახეთ! ტაეპის ბოლოს ძახილის ნიშანი უნდა დაისვას.

რედაქციის წევრებს **ვარდია**-ს შემდეგ მძიმის დასმა მართებულად მიაჩნიათ, ტაეპის აზრი კი ასე ესმით: ამბობს: „მნახეთ, მიჯნურო, ის ვინც ვარდია, ვისთვის (ვარ).

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს დ-ის გაგებაზე.

ც. კიკვიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, **ნეხე** ჩვეულებრივი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. „ვეფხისტყაოსანში“ მას ყვავილის, მცენარის მნიშვნელობა არა აქვს. ი. გიგინეიშვილის, შ. ძიძიგურის, გ. კარტოზიას აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ნეხე „ვეფხისტყაოსანში“ ყვავილის მნიშვნელობით იხმარებოდეს.

ს.შ.: ავთანდილი მალულად ზღვათა შესართავ ცრემლებს აფრქვევს. სდის მელნის მორევში (= შავ თვალებში), სადაც გიშრის ნავი (= გუგები) ცურავს; ამბობს: „მნახეთ, მიჯნურო, ის, ვინც ვარდია, ვისთვის (ვარ), უიმისოდ ბუღბული ყვავის მსგავსად ნეხეზე ვზივარ!“

1250 მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასაღბონია;
გიშრისა ტვერი აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია;
ფატმან მას ზელა იხარებს მართ ვითა იადონია;
და თუ ყწავი ვარდსა იშოვნის, თავი ბუღბული ჰგონია.
u 1242-თან შედარებით დ-ში იშოვის შეიცვალა იშოვებს ფორმით.
პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.
ს.შ.: იქ მისგან ნადენი ცრემლები ქვებსაც დააღბობს; გიშრის ტვერი (= შავი წამწამები) აგუბებს, ვარდის ველზე (= პირისახეზე) იღვრება; ფატმანი მასზე (ავთანდილზე) ხარობს როგორც იადონი. თუ ყვავი ვარდს იშოვნის, თავი ბუღბული ჰგონია.

1980. 30. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.
განიხილეს: **1251–1256** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1251 გათენდა. ბანად წავიდა მზე, სოფელს შუქნაკიდები;
ღიაცმა უძღუნა მრავალი კაბა, ყაბაჩა, რიდები,
მრავალი ფერი სურნელი, ტურფა პერანგი წმიდები;
და „რაცა გწადდესო, ჩაიცვი, მე ნურას ნუ მერიდები“.
u 1243-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.
ს.შ.: გათენდა. დასაბანად წავიდა მზე, რომელიც ქვეყანას აშუქებს (= ავთანდილი), ქალმა მისცა მრავალი კაბა, ყაბაჩა (მოკლე ქათიბი), რიდე, მრავალნაირი ნელსაცხებელი, ღამაში წმინდა პერანგი: „რაც გინდოდეს, ჩაიცვი, მე ნურაფერს მომერიდები“.

1252 ავთანდილ თქვა: „საქმე ჩემი გავაცხადო ამა დღესა!“
სამოსისა ვაჭრულისა ცმა აქამდის დაეწესა;
მას დღე ყოვლი საჭაბუკო შეიმოსა ტანსა მკნესა,
და მოიმატა დაშენება დაემსგავსა ღომი მზესა.
u 1244-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.
ი. გიგინეიშვილი: დ-ში მოიმატა უნდა შეიცვალოს მოემატა ფორმით. რომელიც შინაარსობრივად უფრო მართებულია (ჩაიცვა საჭაბუკო სამოსი და მოემატა დაშენება, დაემსგავსა მზეს).

გ. კარტოზიამ და ც. კიკვიძემ აღნიშნეს, რომ **მოიმატა** და **მოემატა** პოემის სამ-სამი რედაქციის ნუსხებში გვხვდება. ანგარიში უნდა გაეწიოს გამოცემათა ტრადიციას და დარჩეს **მოიმატა** (დაშვენება და დაემსგავსა მზეს).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: **მოემატა** (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ს.შ.: ავთანდილმა თქვა: „ჩემს საქმეს დღეს გავამუდავნებ!“ აქამდე წესად ჰქონდა, რომ ვაჭრული ტანსაცმელი სცმოდა; იმ დღეს მძღავრ ტანზე ჩაიცვა ყოველივე სარაინდო (სამოსი), მოემატა მშვენება, ლომი მზეს დაემსგავსა.

1253 ფატმანს პური შეეკაზმა ავთანდილის საწევევლად;
ყმა შევიდა მხიარული მხიარულად, არ პირბნელად;
ფატმან ნახა, გაუკვირდა ვაჭრულისა უმოსელად,
და შემოსცინა: „აგრე სჯობსო შენთვის ხელთა სასურველად“.

u 1245-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** მხიარული მხიარულად (მოკაზმული მხიარულად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ფატმანს სუფრა გაეწყო ავთანდილის მისაწვევად; მხიარული მოყმე მხიარულად შევიდა, არა პირქუშად; ფატმანმა დაინახა და გაუკვირდა, რომ ვაჭრული ტანსაცმელი არ ეცვა, შემოსცინა: „ასე სჯობს შენთვის გახელე ბულთა სასურველად (სატრფიალოდ)“.

1254 ფატმან მისსა შვენებასა მეტისმეტად ჰკვირდებოდა.
მან პასუხი არა გასცა, თავის წინა ღიმდებოდა:
„შეეტყუების, არ მიცნობსო“, რა რეგუნად და რაგუნარ ჰკმობდა!
და თუცა რასმე იფერებდა, მეტი არა გაჰვიდოდა.

u 1246-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: „შეეტყუების, არ მიცნობსო“, რა რეგუნად და რაგუნარ ჰკმობდა! („შეეტყუების არ მიცნობსო, ვერე ვითა ყოვნდებოდა!“).

ი. გიგინეიშვილს და **ე.** მეტრეველს სტროფი ჩანართად მიანჩიათ. პროექტის წაკითხვით **გ**-ში რითმა ირღვევა. საიუბილეო გამოცემის წაკითხვა კი მხოლოდ **D** რედაქციის ნუსხებს ახასიათებს.

ს. ცაიშვილი: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტროფი ადრევე დაზიანდა და გადამწერ-რედაქტორთა ჩარევის კვალი აჩნია.

რედაქციას სტროფი საეჭვოდ მიანჩია აღნიშნული გაუმართაობის გამო, მაგრამ შესაძლებლად მიანჩია მისი დატოვება ძირითად ტექსტში, რადგან სტროფი არის ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში და შეიცავს დამატებით შინაარსობრივ დეტალებს. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ფატმანს მეტად უკვირდა მისი (ავთანდილის) მშვენება. მან (ავთანდილმა) პასუხი არ გასცა, თავისთვის იღიმებოდა: „ეტყობა, ვერ მცნობსო“,

რა რეგვენს და რას არ უწოდებდა! თუმცა ერთგვარად იფერებდა, მეტი არ გაეწყობოდა.

1255 პური ჭამეს, გაიყარნეს, ყმა მივიდა მისსა შინა,
ღვინოსმული, მხიარული დაწვა, ამოდ დაიძინა;
საღამოჟამ გაიღვიძა, შუქი ველთა მოაფინა,
და ფატმან უკმო: „მოდი მნახე, მარტო ვარო, თავის წინა“.

u 1247-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: პური ჭამეს, გაიყარნენ, მოყმე შინ მივიდა, ნაღვინევი, მხიარული დაწვა, ტკბილად დაიძინა; საღამოჟამს გაიღვიძა, ველს შუქი მოაფინა, ფატმანი იხმო: „მოდი, მნახე, მარტო ვარო“.

1256 ფატმან მივიდა ავთანდილს კმა ესმა მისგან ოხისა;
იტყოდა: „მომკლავს უცილოდ ტანი ალვისა, მო-, ხისა!“
გჭერდსა დაისჭა, ბალიში მისცა მისისა ნოხისა,
და ვარდისა ბაღსა უჩრდილობს ჩრდილი წამწამთა ქოხისა.

u 1248-თან შედარებით პროექტში ვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ფატმანი მივიდა, ავთანდილს მოესმა მისი ოხვრა; ამბობდა: „უთუოდ მომკლავს ალვის ხის ტანი (= ავთანდილი)!“ გვერდით დაისვა (ავთანდილმა), თავისი ნოხის ბალიში მისცა, ვარდის ბაღს (= ავთანდილის სახეს) წამწამთა ქოხის ჩრდილი ადგას.

1980. 6. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ს. ცაიშვილი, შ. დიდიგური.

განიხილეს სტროფები: **1257, 1258** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); **1259-1261,3** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1257 ავთანდილ ბრძანა: „ჰე, ფატმან, ვიცი ეს საქმე შენია,
დაჰკრთები ამა ამბავსა მართ ვითა გჭეულნაკებენია,
მაგრა აქამდის მართალი შენ ჩემი არა გსმენია,
და ჩემნი მომკლველნი წამწამნი შავნი გიშრისა ჩხნდენია.

u 1249-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჰე, ფატმან (ჰე ფატმან), დ ჩხნდენია (ხენია).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში ტრადიციულად მიღებული წაკითხვა **გიშრისა ხენია** აზრით შეუფერებელია, პოეტურად ნათელი და შთამბეჭდავი არ არის. წამწამის მეტაფორად ხე „ვტ“-ში არ გვხვდება. **ჩხნდენია**, რომელიც რამდენიმე ხელნაწერს დაუცავს, სავსებით შეუფერება კონტექსტს. **ჩხნდე** აქ ხშირის მნიშვნელობით იხმარება (დაწვრილებით იხ. ი. გიგინეიშვილი 1975, 113-123).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა თქვა: „ჰე, ფატმან, ვიცი შენი ამბავი (ხასიათი), ამ ამბავზე გველნაკბენივით შეკრთები, მაგრამ აქამდე შენ ჩემგან მართალი (ნამდ-ვილი ამბავი) არ მოგისმენია, ჩემი მომკვლელი წამწამები შავი გიშრის ჩხნდეებია (ჩხირებია).

1258 გგონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავანისა:
მე ვარ სპასპეტი მაღლისა მეფისა როსტევანისა,
თავადი სპისა დიდისა, მათისა შესაგვანისა,
და მაქვს პატრონობა მრავლისა საჭურჭლე-ზარადხანისა.

u 1250-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: გგონივარ ქარავანის პატრონი ვინმე ვაჭარი; მე (კი) ვარ მაღალი მეფის, როსტევანის, სპასპეტი, მათი (= როსტევანის) შესაფერისი, დიდი ჯარის უფროსი, მრავალი საჭურჭლისა და ზარადხანის (იარაღის საწყობის) პატრონი ვარ.

1259 შენ ვიცი კარგი მოყვარე, ერთგული, მისანდობელი,
მათ უვის ერთი ასული, მზე, კმელთა მანათობელი,
იგია ჩემი დამწეელი და ჩემი დამადნობელი,
და მან გამომგზავნა, დავაგდე პატრონი, მათი მშობელი.

u 1251-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: შენ ვიცნობ კარგ მეგობრად, ერთგულად, სანდოდ, მათ ჰყავთ (= როსტევანს ჰყავს) ერთი ასული, ხმელეთის მანათობელი მზე, ის არის ჩემი დამწველი და ჩემი დამადნობელი, მან გამომგზავნა, დავტოვე (ჩემი) პატრონი (მეფე), მისი მშობელი.

1260 რომე შენ ქალი გყოლია, მე ძებნად მისვე ქალისად
მივლია ყოვლი ქვეყანა, მის მზისა მონაცვალისად,
მისთჳის გაჭრილი მინახავს, წევს ღომი ფერნამკრთალი სად,
და გამცუდებელად თავისად, მის გულისა და ძალისად”.

u 1252-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ძველი ნორმების მიხედვით დასაშვებია პარალელური ფორმები დ-ში: გამცუდებულად **თავისად** || გამცუდებულად **თავისა**. რადგან „ვეფხისტყაოსნის“ მსაზღვრელის შეთანხმებულ ფორმას (ძალისად) უფრო უჭერენ მხარს, მართებულია მისი დატოვება.

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს.

ს.შ.: შენ რომ ქალი გყოლია, იმ ქალის, იმ მზის მსგავსის (მზის მონაცვალის) საძებნელად მე მთელი ქვეყანა მომივლია, მინახავს მისთვის გაჭრილი ფერმიხდილი ღომი. (ის) სადღაც წვეს, თავისი თავის, თავისი გულისა და ძალის (= სიმამაცისა და ძალ-ღონის) წამხდენელად“.

1261 ავთანდილ ფატმანს ყოველი უთხრა ამბავი თავისა,
ამბავი ტარიელისა, შემოსა ვეფხის ტყავისა:
უბრძანა: „შენ ხარ წამალი ჯერო შენგან უნახავისა,
და ღონე წამწმისა კშირისა, ყორნის ფრთებრ ნაფუშავისა.

u 1253-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ბ-ში ზოგი ხელნაწერი და გამოცემა კითხულობს: ამბავი ტარიელისგან შემოსა ვეფხის ტყავისა. მაგრამ ამ წაკითხვის მიხედვით აზრი ვერ არის ნათელი და გამართული, ამიტომ მე მხარს ვუჭერ პროექტის წაკითხვას (ამბავი ტარიელისა, შემოსა ვეფხის ტყავისა).

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს.

ს.შ.: ავთანდილმა მოუთხრო ფატმანს მთელი თავისი თავგადასავალი, ტარიელის ამბავი, (მის მიერ) ვეფხის ტყავის შემოსვა; უთხრა: „შენ ხარ ჯერო შენ მიერ უნახავის (=ტარიელის) წამალი, (შენ ხარ) შეველა ყორნის ფრთებით აშლილი ხშირი წამწამებისა.

1261,1 ფატმან უთხრა: „არ ვიცოდი პირველ შენი ცეცხლთა დება,
მაგრა ავად არ მოგიკდა ჩემი კელის შემოდება,
ჩვენ მზე ვპოვეთ დაკარგული, მაზედ ვქენით ვალისდება,
და ღმერთმან ადრე მას შეგყაროს, ვისგანცა გაქვს გულის დება.

x 1450¹-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. ბ მაგრა (მაგრამ), გ ვქენით (ვპქენით), დ ვისგანცა (ვისგანაც).

ა. ბარამიძე: პროექტში წარმოდგენილი თარგმანის მიხედვით, ბ-ში (მაგრა ავად არ მოგიკდა ჩემი კელის შემოდება) იგულისხმება ავთანდილის დახმარება ფატმანისადმი. უნდა იყოს პირიქით (ფატმანი ეხმარება ავთანდილს). ეს უნდა ჩანდეს სტროფის შინაარსის გადმოცემისას.

ს. ცაიშვილი: ვფიქრობ, პროექტით წარმოდგენილი თარგმანი მართებულია. ავთანდილი დაეხმარა ფატმანს, მან მოკლა ჭაშნავირი.

ს.შ.: ფატმანმა უთხრა: „ადრე არ ვიცოდი, რომ ცეცხლი გაქვს მოკიდებული, მაგრამ ცუდად არ მოგიხდა ჩემთვის ხელის მოკიდება (დახმარება);

ჩვენ ვიპოვეთ დაკარგული მზე, მას ვალი დავადეთ, ღმერთმა მალე შეგყაროს მას, ვინც გულში გიდევს (= თინათინს)“.

1261,2 ავთანდილ თავი დადრიკა სიცილით მოლიზღარემან
ფატმანს რქუა: „ჩვენთვის დაგბადა ტურფამან არემარემან,
შენგან გამოჩნდა ნათელი, შუქი მოჭფინა მთვარემან,
და ესე ყველაი უსტარმან ქნა ჩემმან შესაწყნარემან“.

x 1450²-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა მოლიზღარემან (მოლიზღარემა), ბ რქუა (პრქვა), ჩვენთვის (ჩემთვის), არემარემან (არემარემა), გ შუქი (შუქნი), მთვარემან (მთვარემა), დ შესაწყნარემან (შესაწყნარემა).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა თავი დახარა სიცილით მოლიზღარემ (თვალთმაქცმა), ფატმანს უთხრა: „ჩემთვის დაგბადა ტურფა არემარემ, შენი მეშვეობით გამოჩნდა ნათელი (სინათლე), შუქი მოაფინა მთვარემ, ეს ყველაფერი ქნა წყერილმა, ჩემმა შესაწყნარებელმა (რომლითაც შენ შემიწყნარე)“.

პროექტის დ-ის აზრი ასე იყო გადმოცემული: ეს ყველაფერი ქნა წყერილმა, ჩემმა შესაწყნარებელმა (ჩემგან ანგარიშგასაწვემა, ანგარიშგაწველმა).

1261,3 ვითაც დაედვა იმედი თინათინს, მზისა დაროსა,
ებრძანა: „შუქი მთვარემან სამ წლამდინ სხვაგან აროსა,
მისნი ვერმჭურეტნი ყვავილნი დააზროს, დაამჭკნაროსა,
და მერმე მოვიდეს მნათობი, მნათობსა შეეყაროსა“.

x 1450³-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა თინათინს, მზისა დაროსა (თინათინს მზისა დაროსა), ბ სამ წლამდის (სამს წლამდის). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: (მოუთხრო, თუ) როგორ მიეცა (მისთვის) იმედი მზის დარ თინათინს, (თუ როგორ) ებრძანებინა: „მთვარემ (ე. ი. ავთანდილმა) სამ წელიწადს სხვაგან ატაროს შუქი, მისი ვერმჭურეტელი ყვავილები დააზროს, დაატკნოს, მერმე მოვიდეს მნათობი და მნათობს (= თინათინს) შეეყაროს“.

1980. 13. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს 1261,4–1266 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1261,4 უამბო ყველა არაბთა: სიდიდე როსტევანისა,
მიფობა თინათინისა, მზეებრ შუქმონავანისა,

**მართ მიჯნურობა თავისი, და ჭირნი ცეცხლთა წვანისა,
და ან ძებნა ტარიელისა და პონა გმირთა გვანისა.**

x 1450⁴-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **გ** თავისი (თავისა), **ა**-ში, ცეზურასთან, მძიმის ნაცვლად დასმულია ორწერტილი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: უამბო არაბთა შესახებ ყველაფერი: როსტევეანის სიდიადე, მზესავით შუქმონავანი (შუქმემოდგარი) თინათინის მეფობა, თავისი მიჯნურობა და ცეცხლის დების ჭირი, (აგრეთვე) ტარიელის ძებნა და გმირების მსგავსის პონა.

1261,5 **„იმ პირმზისა სახელი ნესტან-დარეჯან კმობილი,
ინდოთ მეფისა ასული, ქალი წყნარი და ღმობილი,
ტარიელ – მისთვის ხელქმნილი, თვალთა ცრემლგაუკმობილი,
და მე ძმა ვარ მისა, დღეითგან შენცა იქნები დობილი.**

x 1450⁵-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **გ** ტარიელ – მისთვის ხელქმნილი (ტარიელ მისთვის ხელ–ქმნილი); **ა**-ს დასაწყისში გახსნილია, ხოლო **დ**-ის დასაწყისში და ბოლოს კი მოშლილია ბრჭყალები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „იმ პირმზის სახელი ნესტან-დარეჯანია, ინდოთა მეფის ასული, წყნარი და ღმობიერი ქალი; ტარიელი მისთვის გახელელებული, თვალზე ცრემლშეუშრობელი. მე მისი ძმა ვარ, დღეიდან შენც [მისი] დობილი იქნები.“

1261,6 **ქალსა შენ აქებ, გინახავს და მეტად მოგწონებია,
ტარიელ სარო, პირად მზე, ვინმც მოუთვალოს ზნებია!
იცოდე, მასთან სხვა კაცი არად არ სახსენებია.**

და ვეჭვ, რომე ვარგოთ მე და შენ, თუ ღვთისა ძალთა ნებია.

x 1450⁶-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ბ** ვინმც (ვინც), **გ** არად (არსად), პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ქალს შენ (თვითონ) აქებ, გინახავს და ძალიან მოგწონებია. ტარიელი (ტანად) სარო, პირად მზე (არის), ვინ მოთვლის მის ზნეს (რაინდულ ღირსებებს)! იცოდე, მასთან სხვა კაცი არაფრად არის სახსენებელი. ვფიქრობ, რომ მე და შენ დავეხმარებით, თუ ღვთის ძალთა ნება იქნება“.

1261,7 **ფატმან შეწუხდა მათისა ამბისა გაგონებული,
ჰკადრა, თუ: „მისსა მიჯნურსა გექნები დაწუნებული;
მე თქვენი ჭირი ჭირად მჩანს, ვით გულსა ცეცხლი გზნებული;
და გავგზავნოთ, ქალსა ვაცნობოთ ამბავი მოსურვებული“.**

x 1450⁷-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა. **ბ** და **გ**-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია წერტილი–მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ფატმანი შეწუხდა, მათი (= ნესტანისა და ტარიელის) ამბის გამგონე, უთხრა (ავთანდილს): „მის (= თინათინის) მიჯნურს მე დაწუნებული გეყოლები; მე თქვენი ჭირი (საკუთარ) ჭირად მიმანია, როგორც შემონთებული ცეცხლი; გავგზავნოთ (ჩემი მონა), ქალს ვაცნობოთ სასურველი ამბავი“.

1262 მოდი და, ფატმან, მეწიე ვეცადნეთ მათსა რგებასა,
უშველოთ, იგი მნათობნი ნუთუ მიეცნენ შვებასა;
ვინცა სცნობს კაცი, ყველაი ჩვენსა დაიწყებს ქებასა,
და ნუთუ კელა მიხედენ მიჯნურნი ერთმანერთისა ხლებასა.

u 1254-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უშველოთ (ვუშველოთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: მოდი, ფატმან და შემეწიე, ვეცადოთ მათს დახმარებას, ვუშველოთ, ის მნათობები (= ნესტანი და ტარიელი) იქნებ შვებას მიეცნენ; ვინც გაიგებს, ყველა დაიწყებს ჩვენს ქებას, იქნებ კვლავ ეღირსონ მიჯნურები ერთმანეთის სიახლოვეს.

1263 მომგვარე, ქაჯეთს გავგზავნოთ იგივე მონა გრძნეული,
ქალსა ვაცნობოთ ყველაი, ამბავი, ჩვენგან ცნეული;
მანცა გჭაცნობოს მართალი, ვქმნათ მისი გამორჩეული,
და ღმერთმან ქმნას, ქაჯთა სამეფო მოგესმას ჩვენგან ძლეული!“

u 1255-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: მომგვარე, ქაჯეთს გავგზავნოთ იგივე გრძნეული მონა, ქალს (= ნესტანს) ვაცნობოთ ყოველივე, რაც გავიგეთ (მათ შესახებ); მანაც გვაცნობოს ნამდვილი (სწორი) ამბავი, ისე მოვიქცეთ, როგორც გვირჩევს, ღმერთმა ქნას, ქაჯთა სამეფო ჩვენგან ღამარცხებული გაგვგონოს.

1264 ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება საქმენი მომხედეს, მო-, რანი,
დღეს რომე მესმნეს ამბავნი, უკვდავებისა სწორანი!“
მოჰგვარა მონა გრძნეული, შავი მართ ვითა ყორანი;
და უბრძანა: „ქაჯეთს გავგზავნი, წა, გზანი გისხენ შორანი!“

u 1256-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ფატმანმა თქვა: „დიდება ღმერთს, რა საქმეები შემხვდა, დღეს რომ გავიგე ამბები, უკვდავების ტოლფასნი არიან!“ მოჰგვარა (ავთანდილს) გრძნეული მონა, შავი, როგორც ყორანი; უთხრა: „ქაჯეთს გავგზავნი, წადი, შორი გზა გაქვს!“

1265 აწ გამორჩნდების საჯმრობა ჩემთჳის შენისა გრძნებისა,

ფიცხლა დამივსე საკმილი შენ ჩემთა ცეცხლთა გზნებისა,
მას მზესა ჰკადრე მიზეზი მისისა განკურნებისა“.

და მან უთხრა: „ხვალე მოგართვა ყოვლი ამბავი ნებისა“.

u 1257-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ახლა გამოჩნდება შენი გრძნეულების ჩემთვის გამოსადეგობა, სწრაფად ჩამიქრე მოდებული ცეცხლის აღი, იმ მზეს (= ნესტანს) მოახსენე მისი განკურნების საშუალება“. მან უთხრა: „ხვალე მოგართმევ თქვენთვის სასიამოვნო ამბავს“.

1266 ფატმანს სწერს: „აჰა, მნათობო, სოფლისა მზეო ზენაო,
შენთა შორს მყოფთა ყოველთა დამწველო, ამაზრზენაო,
სიტყვამჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ღამაზენაო,

და ბროლო და ღალო – ოროვე კელა ერთგან შენათხზენაო!

u 1258-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს ბ-ში შესიტყვების – შორს მყოფთა დამწველო – მართებულობაზე. აღინიშნა, რომ, რამდენადაც მსგავსი თქმა პოემაში სხვაგანაც გვხვდება (შდრ. სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებიან, 1082₄), არ არის საჭირო, ხელნაწერებში დაცული წაკითხვა შეიცვალოს კონიექტურებით: შენთა შორს მყოფთა ყოველთა დამზრველო (qsy), შენთა შემყრელთა ყოველთა დამწველო (რ. ფირცხალაიშვილი).

ი. გიგინეიშვილის აზრით, ამავე ტაეპის სართომო სიტყვად უკეთესია A⁴-ის დამაგზენაო (შდრ. აგრ. B¹ B⁷ ამაგზენაო). რედაქციის სხვა წევრები მხარს უჭერენ ტრადიციულ ამაზრზენაო ფორმას, რომელიც ოთხივე რედაქციის ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში იკითხება და სავსებით ბუნებრივია ამ კონტექსტში (შდრ. მისთა მჭურეტელთა ღხინისა, ვერმჭურეტთა ამაზრზენისა, 1000₄).

დაადგინეს: ზ მიღებული იქნეს უცვლელად.

ი. გიგინეიშვილი: რიცხვითი სახელის წოდებითი ფორმა „ვტ“-ისთვის ბუნებრივი არ უნდა იყოს, ამიტომ დ-ში ოროვე-ს ნაცვლად უკეთესია A² A⁹ -ის გათლილო.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ არ არსებობს საკმაო საფუძველი რიცხვითი სახელის წოდებითის ფორმის უკუგდებისათვის.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: ბროლო და ღალო ოროვე (წინააღმდეგი – ი. გიგინეიშვილი).

ს.შ.: ფატმანი წერს: „აჰა, მნათობო, ქვეყნის ზეციურო მზევე, შენგან შორს მყოფის ყველას დამწველო, ამაზრზენო (ქრჟოლის მომგვრელო), სიტყ-

ვამკვერო და ენაწყლიანო, ტურფავ, ენალამაზო, ბროლო და ლალო, ორივეკ ერთად შეწყობილო!

1980. 20. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1267–1270,1** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1267 **თუცა თუ შენი ამბავი შენ არა მომასმენიე,
მე ეგრეცა ვცან მართალი, მით გულსა მოვალხენიე;
შენთჳის ხელქმნილსა ტარიელს ამბითა მოალხენიე,
და ორნივე მიხედეთ წადილსა, იგი ვარდობდეს, შენ იე.**

u 1259-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: **გ**-ის სართიმო სიტყვა **ს**-ში ასეა წარმოდგენილი: **მო, ალხენიე**. ამით ნაწილობრივ აცილებულია რითმის ტაგტოლოგია.

გ. კარტოზია: ამგვარი წაკითხვით მაინც არ იხსნება ტაგტოლოგია.

ი. გიგინეიშვილი: **გ**-ის სართიმო სიტყვაში მო-პრევერბიანი ზმნა აუცილებელი ჩანს (მე გულს მოვალხენიე, ახლა კი შენს ტარიელს მოალხენიე).

დაადგინეს: დარჩეს **გ**-ში **მოალხენიე** (წინააღმდეგე: ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური).

ს.შ.: თუცა შენი ამბავი შენ არ გამაგებინე, მე მაინც შევიტყვე ნამდვილი (ამბავი), ამით გული გავიხარე; შენთვის გახელეულ ტარიელს შენი ამბით შეგება მიეცი, ორივე ეწვეით საწადელს, ის (ტარიელი) ვარდობდეს, შენ ია იყავი.

1268 **მოსრულა შენად საძებრად მისი ძმადშეფიცებული,
ავთანდილ, მოყმე არაბი, არაბეთს შიგან ქებული,
სპასპეტი როსტან მეფისა, ვერვისგან დაწუნებული;
და შენ სწერდი შენსა ამბავსა, ლალი, ბრძნად გაგონებული.**

u 1260-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: შენ საძებნელად მოსულა მისი (= ტარიელის) ძმადნაფიცი, ავთანდილი, არაბი მოყმე, არაბეთში ქებული, როსტევან მეფის სპასპეტი, ვერვისგან ნაჯობნი. შენ, ამაყმა, ბრძნად აღიარებულმა, მოიწერე შენი ამბავი.

1269 **ჩჳენ ამისთჳის ესე მონა გამოვგზავნეთ თქჳენსა წინა,
ვცნათ ამბავი ქაჯეთისა, მოსრულანცა ქაჯნი შინა?**

მანდაურთა მეომართა ანგარიში წერილად გვინა:

და ვინ არიან მცველნი შენნი, ან თავადი მათი ვინა?

u 1261-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

o. გიგინეიშვილი: **ბ-**ში **მოსრულან** ზმნა კითხვითი ნაწილაკის გარეშე გამოხატავს კითხვას, **ცა** ნაწილაკს კითხვის გამოხატვის ფუნქცია არ აქვს.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ჩვენ ეს მონა იმისთვის გამოვგზავნეთ თქვენთან, (რომ) გავიგოთ ქაჯეთის ამბავი, (აგრეთვე ისიც), მოვიდნენ თუ არა ქაჯები შინ? დაწვრილებით გვინდა მანდაური მეომრების რიცხვი: ვინ არიან შენი მცველები, ან ვინ არის მათი უფროსი?

1270 **რაცა იცი მანდაური, მოგვიწერე, გაამუღავენ;**

მერმე შენსა საყურელსა ნიშანი რა გაუგზავნე!

შენი ყზელა აქამდისი ჭირი ლხინსა გაათავენ,

და ღმერთსა უნდეს, მოყურენი შესაფერნი შეგაზავნე!“.

u 1262-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** რა (რამ), პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: რაც იცი მანდაური, (ყველაფერი) მოგვიწერე, შეგვატყობინე; აგრეთვე შენს მიჯნურს რამე ნიშანი გაუგზავნე! შენი აქამომდელი ყველა ჭირი ლხინს გაუთანაბრე, თუ ღმერთი ინდომებს, შესაფერ მიჯნურებს შეგაერთებო!“.

1270,1 **„წადი, უსტარო, ისწრაფე, თუ მუკლი გქონდეს მალეები;**

დაგნატრი, მიხუალ, დაგხედების ბროლი, სათი და ლალები.

ბედად შენ მჯობხარ, უსტარო, გნახვენ დამწველის თუალები;

და შენს უკან ჩემი სიცოცხლე თუ გესმის, არ გებრალეები?

x 1460-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ა** გქონდეს (პქონდეს), **დ** სიცოცხლე თუ გესმის (სიცოცხლე, თუ გესმის).

რედაქციის წევრებს არ ეუჭვებათ სტროფის ჩანართობა. სტროფი არ არის და რედაქციის რიგ ხელნაწერში, ენობრივად გაუმართავია (შდრ. თუ მუკლი გქონდეს მალეები; შენს უკან [= წერილის შემდეგ] ჩემი სიცოცხლე თუ გესმის). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: „წადი, წერილო, იქარე, თუ სწრაფი მუხლები გექნება; შეგნატრი, (რადგან) მიხვალ და დაგხედება ბროლი, ლალი და სათი (= ნესტანი); ბედით შენ მჯობხარ, წერილო, გნახვენ (ჩემი) დამწველი თვალები, თუ იცი, რომ შენს შემდეგ ცოცხალი ვარ, არ გებრალეები?“

1980. 27. II

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1271-1273 სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1271 ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა კელოვანსა:
„ესე წიგნი მიათჳით ქალსა, მზისა დასაგვანსა!“
მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისხა ზედა ტანსა,
და მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანისბანსა.

u 1263-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს „მოლ“ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ. ლიტერატურაში მოლის სხვადასხვა მნიშვნელობაა ნაგარაუდგევი: წამოსასხაში, ბალახი, ჯადოქრული ნელსაცხებელი.

ი. გიგინეიშვილს საყურადღებოდ მიაჩნია A^2A^4 -ის წაკითხვა: მოლი რამე წამოისვა. სხვა ხელნაწერთა წამოისხა, მისი აზრით, შედეგია 1273-ის ტანნაბდიანი-ის ყალბი გაგებისა. ტანნაბდიანი აქ ტანფაჩნიერს ნიშნავს (შეიძლება ბოდა ტანშავადაც გაგვეგო) და არა ნაბადმოსხმულს. ტაეპის აზრია: გრძნეულმა რაღაც ბალახი წამოისვა (წაისვა) ტანზე.

რედაქციის სხვა წევრებს წამოისვა მეორეულ წაკითხვად მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ ტექსტში უნდა დარჩეს წამოისხა. ტაეპის შინაარსი კი სხვადასხვანაირად ესმით.

ა. ბარამიძე: რაღაც გრძნეული ძალის მქონე ბალახი დაიყარა ტანზე (შდრ. ძვ. ქართ. ნაცარი გარდაასხა = ნაცარი გადააყარა).

ც. კიკვიძე: რაღაც ჯადოქრული ნელსაცხებელი წამოისხა (დაისხა) ტანზე.

გ. კარტოზია: მოსასხაში წამოისხა. აქ ბალახის აღმნიშვნელი სიტყვა კიდევ რომ გვექნდეს, იგი ალბათ მწვანე ფერის აღსანიშნავად არის გამოყენებული: რაღაც მწვანე წამოიხურა ტანზე.

ს. ცაიშვილი: მაგიური წამოსასხაში წამოისხა. მოლი აქ შეიძლება მართლაც მწვანის აღმნიშვნელი იყოს.

დ-ში გარდაფრინდა შეიცვალა გარდაჰფრინდა ფორმით.

ს.შ.: ფატმანმა მისცა დაწერილი იმ დახელოვნებულ გრძნეულს: „ეს წერილი მიათვეი ქალს, მზის დასამგვანს!“ გრძნეულმა რაღაც მოლი ტანზე წამოისხა, იმავე წამს გადაიკარგა, ბანებს გადააფრინდა.

1272 წავიდა ვითა ისარი კაცისა მშჳილდფიცხელისა.
რა ქაჯეთს შეგდა, ქმნილ იყო ოდენ ბინდ-ბანდი ბნელისა .
უჩინოდ შეველო სიმრავლე მოყმისა, კართა მცველისა,
და მას მხესა ჰკადრა ამბავი მისისა სასურველისა.

u 1264 -თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: წავიდა როგორც მშვილდმაგარი კაცის ისარი. ქაჯეთს რომ შევიდა, ის-ის იყო ბნელდებოდა. უხილავად განვლო მეომრების, კართა მცველების სიმრავლე, იმ მზეს (ნესტანს) მოახსენა მისი მიჯნურის ამბავი.

1273 ციხისა კარგი დაკშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი,
შევიდა ზანგი პირშავი, თმაგრძელი, ტანნაბლიანი;
იგი მზე დაჰკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი,
და შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაჟურდისფერად – იანი.

u 1265-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ტანნაბლიანი ი. გიგინეიშვილსა და ა. ბარამიძეს ესმით როგორც ტანნაზგველიანი, ც. კიკვიძეს, გ. კარტოზიას, ს. ცაიშვილს ტანზე ნაბადმოსხმული.

ს. ცაიშვილი: ლაჟურდისფერად შეცვალა იანი ნიშნავს: თვალი გაუფართოვდა, ამიტომ თვალთა შავი ფერი ცისფრით შეეცვალა (გუგის გარშემო თეთრი გარსი გაუფართოვდა).

ს.შ.: ციხის დახშული კარები როგორც ღია, ისე გაიარა. შევიდა პირშავი, გრძელთმიანი, ტანნაბლიანი ზანგი; ის მზე (ნესტანი) შეკრთა, თავისი საზიანო რამ ეგონა, ვარდი შეცვალა ზაფრანად (= წითელი დაწვები გაუყვითლდა), ლაჟურდისფერად – იები. (= თვალეები გაუფართოვდა).

1980. 5. III

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1274-1276 სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1274 ქაჯმან უთხრა: „ვინ გგონივარ, ანუ აგრე რად დაჰბნდები?
მე ვარ მონა ფატმანისა, თქვენს წინაშე ნამგზავრები;
ამა წიგნმან გამამართლოს, არ ტყუილად გეუბნები,
და მზისა შუქნი მოიცადენ, ვარდო, ადრე ნუ დასჭნები!“.

u 1266-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ქაჯმან (ზანგმან).

ც. კიკვიძე: ქაჯი პოემაში გრძნეულის სინონიმია (დავარსაც ქაჯს უწოდებენ: „მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის“). ხელნაწერებიც ამ ადგილას უმთავრესად ქაჯმან ფორმას წარმოგვიდგენენ. ზანგმან, ძირითადად, ნარედაქციევ ხელნაწერებში (A⁴ A⁹ D³ D⁴ D⁵) გვაქვს.

ა. ბარამიძეს და გ. კარტოზიას ხელნაწერთა ჩვენება ანგარიშგასაწევად მიაჩნიათ.

ი. გიგინეიშვილი: წინა სტროფში ზანგზეა ლაპარაკი („შევიდა ზანგი პირშავი, თმაგრძელი, ტანნაბდინი“). მომდევნო სტროფში მისი ქაჯად მოხსენიება მოულოდნელია. მიჭირს ზანგ ფორმის ქაჯად შეცვლა.

ს. ცაიშვილი: მეც უცნაურად მეჩვენება სტროფებს შორის მოულოდნელი გადასვლა: **ზანგი → ქაჯი**.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: **ქაჯმან**.

გ. კარტოზია: **ბ**-ში ხელნაწერები პარალელურ ფორმებს წარმოგვიდგენენ: ფატმანისა || ფატმანისი. პირთა სახელების ნანათესაობითარი სახელობითი მთელ ტექსტში პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი. ვფიქრობ, უნიფიცირება უნდა მოვახდინოთ: ყველგან ან **-ისი** დაბოლოება უნდა მივიღოთ, ან **-ისა**. „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის **-ისი** დაბოლოება უნდა იყოს ნორმა.

ც. კიკვიძე: უნიფიცირების გატარება, ვფიქრობ, გაუმართლებელია. უნდა დავემყაროთ ხელნაწერთა ჩვენებას და ლექსის მოთხოვნებს, სახელობრ, იმას, თუ რომელი ფორმა უხდება კეთილხმოვნების თვალსაზრისით. ემფატიკური ა პირთა სახელების ირიბ ბრუნვებში ძველსავე ქართულში გვაქვს.

გ. კარტოზია: „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები გვიანდელი ენობრივი ნორმის გავლენას განიცდიან და ამიტომ მათი ჩვენება გადამწყვეტი ვერ იქნება. რაც შეეხება კეთილხმოვნებას, რიგ შემთხვევაში შეიძლება ეს კრიტერიუმიც არ გამოგვადგეს: შესაძლოა ლექსს **-ისი**-ც ისევე მოუხდეს, როგორც **-ისა**.

ი. გიგინეიშვილი: „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედ ნორმად მე **-ისა** დაბოლოება მიმაჩნია. იმ შემთხვევაში, სადაც **-ისი** დაბოლოება გვხვდება, ძველი ენობრივი ნორმის შენარჩუნება უნდა გვქონდეს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: **ფატმანისა**. შემდგომში სპეციალურად განვიხილოთ პირთა სახელებში **-ისა||ისი** დაბოლოების საკითხი.

ი. გიგინეიშვილი: **ბ**-ში **ნამგზავრები** შევცვალეთ **ნამგზავნები** ფორმით. **შდრ. მ. წერეთლისეული (q) ნამგზავნები**.

გ. კარტოზია: **ნამგზავრები** დასაწუნი ფორმა არ არის. **შდრ. მგზავრ-** ფუძისგან ნაწარმოები მიმდებობის სხვა სახეობა: **მომგზავრებული** (ძმადფიცი ტარიელისი, თქვენს წინა მომგზავრებული, 9804).

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: **ნამგზავრები**.

ს.შ.: ქაჯმა (გრძნეულმა) უთხრა: „ვინ გგონივარ, ან ასე რად იბნიდები (რამ შეგაშინა)? მე ვარ ფატმანის მონა, თქვენთან მოსული; ეს წერილი დამიდასტურებს, ტყუილს არ გეუბნები, მზის შუქს მოუცადე, ვარდო, მალე ნუ დატკნები!“.

1274,1

„შუენებითა არსთა მზე ხარ, ქუეყანისა არ ეული,
ბროლ-ბაღასში, ძოწ-გიშერი, პირგავსილი მთჳარეული,
ალვის მორჩი, ცისკრის ვარდი, მუშკ-სულნელი ამბრეული;

და ნუ დასჯნები, წამერთ მოვა ღმრთის წყალობა ადრეული“.

x 1465-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა არ ეული (არეული), გ მორჩი (ნორჩი), ა-ში ცეზურასთან, მძიმეა დასმული.

ც. კიკვიძე: ა-ს სართიმო სიტყვა ჩვენ ორ სიტყვად გავიგეთ: არ ეული. შდრ: საბა: ეული – უფლებო.

ა. ბარამიძე: ნახევარტაეპის აზრი შეიძლება ასე გავიგოთ: ამქვეყნად ეული, ობოლი არა ხარო.

გ. კარტოზია: ტექსტში უნდა დარჩეს არეული, იგი ნაწარმოები ჩანს არე-დან. ქ ეყანისა არეული = ქვეყნის არისა, ამქვეყნიური (ამქვეყნად მყოფი).

ი. გიგინეიშვილი: ქვეყანისა არ ეული მეტისმეტად ხელოვნური შესიტყვებაა.

დაადგინეს: აღდგეს წაკითხვა: ქვეყანისა არეული.

ბ-ის მეორე ნახევარში სულნელი შეიცვალა სურნელი ფორმით; დაისვა მძიმე მუშკ-სურნელი, ამბრეული.

ს.შ.: „მშვენებით არსთა მზე ხარ, ამქვეყნიური (ქვეყნის არისა), ბროლ-ლალი, ძოწ-გიშერი, პირსავსე მთვარის მსგავსი, ალვის რტო, ცისკრის ვარდი, მუშკი და სურნელი, ამბრი; ნუ დაჯკნები, ძალზე მალე მოვა დაუგვიანებელი ღვითს წყალობა“.

1275 პირმზე გაჰკჳირდა ფატმანის ამბითა საკჳირველითა,

ნუშნი გააპნა, შეიძრნეს სათნი გიშრისა წნელითა.

მას იგი წიგნი მონამან მისცა თავისა ჳელითა;

და სჳლთქჳამს, იკითხავს უსტარსა, აღტობს ცრემლითა ცხელითა.

u 1267-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: პირმზე (= ნესტანი) გაოცდა ფატმანის საკვირველი ამბით, თვალეები გაუფართოვდა, სათი (= თვალეები) შეიძრა გიშრის წნელით (= წამწამეებით). მას ის წერილი მონამ თავისი ხელით გადასცა, ოხრავს, წერილს კითხულობს, ცხელი ცრემლებით ასველებს (მას).

1276 მონასა ჰკითხა: „მიამბე, ვინ არის ჩემი მძებნელი?

ანუ ვინ მიცის ცოცხალი, მიწასა ზედა მტკებნელი?

მას მოაცხენა: „ვიკადრებ, რასცა ოდენ ვარ მცნებელი,

და რა წამოსრულ ხარ, მას აქათ შენგან ჩჳენია მზე ბნელი.

u 1268 პროექტში ცვლილება არ არის. ა-ს ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად დაისვას მძიმე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებული იქნა.

ს.შ. მონას ჰკითხა: „მიამბე, ვინ არის ჩემი მძებნელი, ვინ იცის, რომ ცოცხალი ვარ (და ჯერ კიდევ) ვტკეპნი მიწას?“ მან უპასუხა: „გეტყვი მხოლოდ

იმას, რაც ვიცო, რაც წამოსულხარ, მას შემდეგ შენ გამო ჩვენი მზე დაბნელებულია.

1980. 12. III

ხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1277-1281 სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1277 ფატმანის გული მას აქათ ლახჯართა შენახევია;
მას რომე ცრემლი სდენია, ზღუათაცა შენართევია;
მე ერთხელ შენი ამბავი მისთუის კჳლა მიმირთმევია,
და ღმერთსა ვიმოწმებ, მას აქათ ტირილი არ დაღევია.

u 1269-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ფატმანის გული მას შემდეგ ლახვარზეა შენახევი (დაჭრილია); მას რომ ცრემლი სდენია, ზღვასაც (კი) ერთვის; მე ერთხელ შენი ამბავი მისთვის კიდევ მიმიტანია, ღმერთს ვიმოწმებ, მას შემდეგ ტირილი არ დაღევია.

1278 აწ ვინმე მოყმე მოვიდა შჳენიერთა პირითა,
მან უთხრა წჳერილად ყჳელაი, თქჳენ ხართ რათაცა ჭირითა.
იგია შენი მძებნელი მკლავითა ვითა გმირითა;
და მე გამომგზავნეს, დამვედრეს სწრაფა სწრაფითა კჳირითა”.

u 1270-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ახლა ვილაც პირმშვენიერი მოყმე მოვიდა, მან წვრილად უთხრა ყველაფერი, რა ჭირშიც (გაჭირვებაშიც) ხართ. ის არის შენი მძებნელი, გმირული მკლავის მქონე; მე გამომგზავნეს, დამაბარეს დიდი სინქარით მეველო“.

1279 ქალმა უთხრა: „მემართლების, ყმაო შენი ნაუბარი!
ფატმან ჩემი რა იცოდა, ვიყავ ვისი წანაგჳარი?
უღონოდ არის სადმე ჩემი ცეცხლთა მომდებარი,
და მე მიუწერ, შენცა ჰკადრე, ვარ ვითაცა გულმდუღარი“.

u 1271-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მიუწერ (მივუწერ), ვითაცა (ვითამცა).

ც. კიკვიძე: დ-ში ხელნაწერთა უმრავლესობა ვითამცა-ს კითხულობს, მაგრამ მაინც ზოგი ნუსხისა და გამოცემის წაკითხვა (ვითაცა) ვამჯობინეთ, რადგან მცა ნაწილაკი აქ უადგილოა. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ქალმა უთხრა: „მართლად მეჩვენება, ჭაბუკო, შენი ნათქვამი! ფატ-მანმა ჩემი (ამბავი) რა იცოდა, ვის წაართვეს ჩემი თავი? უთუოდ არის სად-ღაც ჩემი ცეცხლის მომდები, მე მივწერ, შენც უთხარი, როგორი გულ-მღუღარიც ვარ“.

1279,1 კულადა უთხრა: „შენცა მხედავ, სადა ვზივარ სადაური. სით დამეძებს, ვინც მოსულა? თუმცა არის მუნებური; ყველა შენცა მოახსენე, რაც აქ მხედავ, ჩვენებური. და ღმერთს მიენდოს ჩემს საქმესა და დაუგდოს მასვე ყური“.

x 1470^l-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ში, ცეზურასთან, მძიმის ნაცვლად დასმულია კითხვის ნიშანი, ა და გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილია: კუთხოვანი ბრჭყალები შეცვლილია ჩვეულებრივით. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: კიდევ უთხრა: „შენც მხედავ, სადაური სად ვზივარ. საიდან დამეძებს, ვინც მოსულა? თუმცა იქაური იქნება; შენც ყველაფერი მოახსენე, რაც ნახე, აქაური. ღმერთს მიენდოს ჩემს საქმეში და მასვე დაუგდოს ყური“.

1280 პირმზე სწერს: „აჰა, ხათუნო, დედისა მჯობო დედაო! მისგან ტყუეკმნილსა სოფელმან რა მიყო, ამას ხედაო? მე, გლახ, მათ ჩემთა პატიჟთა სხუაცა დამერთო ზედაო, და აწ ვნახე შენი უსტარი, მე დიდად მეიმედაო.

u 1272-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში **სწერს** ფორმის ნაცვლად **ვსწერ** || **ვწერ** იკითხება. ეს მეორეული წაკითხვა ჩანს. „პირმზე ვწერ“ ნესტანის ბუნებას არ ეფარდება.

ბ. კიკვიძე: რატომ? პოემაში პერსონაჟები ხშირად იქებენ თავს.

ა. ბარამიძე: მაგრამ აქ არ არის ასეთ სიტუაცია.

ს. ცაიშვილი: პირველი პირის ფორმა (ვწერ) წერილის წინ პოემაში უჩვეულოა. ჩვეულებრივ, წერილებს ავტორისეული შესავალი უძღვის: წერს, დაწერა...

ი. გიგინეიშვილი: მაინც დამაფიქრებელია, რომ **ვსწერ** ოთხივე რედაქციის ბევრ ხელნაწერში გვაქვს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა **სწერს**.

ს.შ.: პირმზე სწერს: „აჰა, ხათუნო, დედის მჯობო დედავ! მის მიერ დატყვევებულს წუთისოფელმა რა მიყო, ამას ხედავ? მე ჩემს სასჯელზე სხვაც დამერთო, ახლა ვნახე შენი წერილი, ძალიან მეიმედაო.

1281 შენ ორთა დამკსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები, აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები; ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯელ ათასი გმირები,

და ავად მომიკდა თათბირი და ჩემი დანაპირები!

u 1273-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: შენ დამიხსენი ორი გრძნეულისაგან, გაჭირვება გამიადვილე, ახლა მთელი ქაჯეთისგან ვარ დაჭერილი: ერთს მთელი სამეფო მიცავს, მრავალი ათასი მეომარი, ცუდად ამიხდა ჩემი განზრახვა და დანაპირები!

1980. 19. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1282 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა). 1283-1287 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1282 **სხუად ამბავი აქაური მეტი რამცა მოგიწერე:
ქაჯთა მეფე არ მოსრულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე,
მაგრა სპანი უთჟალაენი მცვენ და მათი სიალფერე,
და რასა ჰქტიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე!**

u 1274-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ა-ში უფრო სწორი ჩანს **სხუა** ფორმა, რომელიც რიგ ხელნაწერში დასტურდება.

ც. კიკვიძე: კონტექსტით ორივე (**სხუად**, **სხუა**) დასაშვებია, მაგრამ ხელნაწერები უფრო **სხუად**-ს უჭერენ მხარს.

დაადგინეს: დარჩეს **სხუად** ფორმა.

ს.შ.: სხვაფრივ აქაური ამბავი მეტი რა მოგწერო: ქაჯთა მეფე არ მოსულა, ჯერ არც მოვლენ ქაჯები, მაგრამ უთვალავი მეომარი და მათი ვაჟკაცობა მიცავს, რაც ჰქვია ჩემი მოძებნა? შეუძლებელია, დაიჯერე!

1283 **ვინცადა ჩემი მძებნელი მოსრულა, ცუდმაშურალია,
იჭირვის, იწუის, ენთების, ჩემი სწუავს ცეცხლებრ ალია,
მაგრა მას ვნატრი, უნახავს მზე, ამაღ არ დამზრალია,
და უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია!**

u 1275 -თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ ვამე (ვამე)**.

პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ვიდაც ჩემი მძებნელი რომ მოსულა, ამოდ არის გარჯილი, წუხს, იწვის, ენთება, ჩემი ალი (მას) ცეცხლივით წვავს, მაგრამ მას შევნატრი, უნა-

ხავს მზე (= ტარიელი) და ამიტომ არ არის დამზრალი (= გაყინული), ვაიმე, უმისოდ (= უტარიელოდ) ჩემი სიცოცხლე რა დიდი ცოდვა-ბრალია!

1284 შენ ამბავი არ გიამბე, მაშინ ამაღ დაგიმაღე,
ვერ იტყოდა ენა ჩემი, თავი ჭირთა გაგაკრძალე,
გეხუეწები, საყვარელსა შემახუეწე, შემაბრალე,
და ნუ წამოვა ძებნად ჩემად, მიუწერე, შეცა-სთუალე.
u 1276-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გეხუეწები (გეაჯები).
პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: შენ (ჩემი) ამბავი არ გიამბე, მაშინ იმიტომ დაგიმაღე, (რომ) ჩემი ენა ვერ იტყოდა (= ვერ შეძლებდა თქმას), თავი ჭირს ავარიდე; გევედრები, ჩემს მიჯნურს შემახუეწე, შეაბრალე ჩემი თავი, მისწერე, შეუთვალე კიდევ, ნუ წამოვა ჩემ საძებნელად.

1285 მე რომ მჭირს, კმარის, ნუ მომკლავს ამისითავე სწორითა:
მას მკუდარსა ვნახავ, მოგკუდები მე სიკუდილითა ორითა.
ვერას ვინ მარგებს, დასტურად ვიცი, არ რამე ჭორითა,
და არ დაგმორჩილდეს, დამქოლე შავისა ქვისა ყორითა.
u 1277-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა. მოგვიანებით დ-ის ბოლოს წერტილი შეიცვალა ძახილის ნიშნით.

ს.შ.: მე რომ გასაჭირი მაღვას, (ის) კმარა, ნუ მომკლავს ამის სწორი (ახალი) გასაჭირით: თუ მას მკვდარს ვნახავ, ორმაგი სიკვდილით მოგკვდები. ვერავინ ვერაფერს მიშველის, ნამდვილად ვიცი, არა რაღაც ჭორად, თუ არ დაგთანხმდეს, დამქოლე შავი ქვის ყორით (გროვით)!

1286 გეთქუა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე განამუდავნია,
მისეულთავე რიდეთა ნაკუეთი გამიგზავნია;
ესენი ჩემთჴის მის გამო ტურფანი სანახავნია,
და თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია.“
u 1278 -თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მოგეწერა, (ტარიელს) ნიშანი გაუგზავნეო, ახლა ეს (= რიდის ამბავი) გამუდავნებულია, მისი ნაქონი თავსაბურავის გადანაჭერი გამიგზავნია; ეს (= თავსაბურავი) ჩემთვის მის (= ტარიელის) გამო მშვენიერი სანახავია, თუმცა, მსგავსად ჩემი ბედისა, ფერად შავია“.

1287 აწ საყვარელსა მიუწერს გულამოსკუნილი, მტირალი,
მისმანვე ცრემლმან დაუესის, ვის ეღებოდა ვის ალი!

**დაწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,
და ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭეირალი.**

u 1279-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ბ-ის ბოლოს ზოგი გამოცემის კონიექტურები (s კირ-ალი, mq ვირ ალი) გაუმართლებელია, არაზუსტი რითმა „ვეფხისტყაოსანში“ უჩვეულო არ არის. ასეთი არაზუსტი რითმა გვაქვს ამ სტროფშიც.

შ. ძიძიგური: შესაძლებლად მიმაჩნია ბ-ში დაფუშვით კონიექტურა: სართიმო სიტყვად პირ-ალი წავიკითხოთ: ვის ედებოდა პირ-ალი = ვისაც პირზე ალი ედებოდა.

ე. მეტრეველმა და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ „ვეფხისტყაოსნისთვის“ ეს მხატვრული სახე (პირის ალი) უჩვეულოა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა ვის ალი, ამასთან მიღებულ იქნეს z-ის პუნქტუაცია, ვის გამოიყო მძიმეებით: ვის ედებოდა, ვის, ალი (= ვისაც ედებოდა ალი, ვის ნაცვალსახელის გამეორებით), ტაეპის ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დაისვას წერტილი.

ს.შ.: ახლა მიჯნურს სწერს გულამოსკენილი, მტირალი, თავისივე ცრემლი უქრობდა აღს მას, ვისაც ედებოდა ალი (= ნესტანს თავისივე ცრემლი უქრობდა ცეცხცლს). დაწერა მსმენელთა გულგასაგმირალი წერილი, ვარდს აპობდა (= ბაგეებს ხსნიდა, ე. ი. იღიმებოდა), იქ ჩნდებოდა გამჭვირვალე ბროლი (= კბილები).

1980. 26. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1288-1292 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**1288 „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონადჳაწები,
 ტანი კალმად მაქუს, კალამი – ნაღველსა ამონაწები,
 მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები,
 და გულო, შავგულო, დაბმულხარ, ნუ აეცსნები, აწ ები!**

u 1280-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ში ჰე-ს შემდეგ დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: „ჰე, ჩემო, ეს წერილი ჩემი ნამოდგაწევიან, კალმად ტანი მაქუს, კალამი – ნაღველში ჩაწებული, ქაღალდად შენი გული ჩემს გულზევე შევაწებე, გულო, შავო გულო, დაბმულხარ, ნუ აეშვები, აწ დაბმული იყავ!

1289 **ხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!**
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთჳის ვგრეცა ბნელია.
ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია;
და უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაძმე, რა დიდი ძნელია!

u 1281-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ** ვაძმე (ვაძე).
ა-ს ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დაისვა კითხვის ნიშანი.
ც. კიკვიძე: **გ**-ში (ბრძენნი იცნობენ, სწუნობენ, მით მათგან საწუნელია) გვაქვს რუსთველისთვის დამახასიათებელი თავისებური წყობა წინადადებისა. ტაეპის აზრია: ბრძენნი იცნობენ, ამიტომ მათგან საწუნელია და იწუნებენ.
გ. კარტოზია: **მით** ზმნიზედის არსებობა, ვფიქრობ, გააძნელებს ტაეპის ამგვარ გააზრებას, აქ წინადადების ჩვეულებრივი წყობა უნდა გვქონდეს: ბრძენნი იცნობენ, იწუნებენ, ამიტომ მათგან დასაწუნია.

ს.შ.: ხედავ, ჩემო, წუთისოფელი რა საქმეების ჩამდენია? რაც უნდა ნათობდეს სანთელი, ჩემთვის მაინც სიბნელეა. ბრძენნი იცნობენ (წუთისოფელს), არაფრად მიიჩნევენ, ამიტომ მათგან არაფრად ჩასაგდება, უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ვაძმე, რა დიდად ძნელია!

1290 **ხედავ, ჩემო, ვით გაგზყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან?**
ველარ გნახე საყჳარელი მხიარული მხიარულმან,
ნეტარ, რა ქმნას უშენომან გულმან, შენგან დალახჳრულმან!
და გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

u 1282-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ხედავ, ჩემო, როგორ გაგვეყარა წუთისოფელმა და წყეულმა ჟამმა? ველარ გნახე მხიარულმა მხიარული მიჯნური, ნეტავ რა ქნას უშენოდ მყოფმა შენ მიერ დაჭრილმა გულმა! გაგიმჳლავნა საიდუმლო ფარულმა ფიქრმა.

1291 **შენმან მზემან, აქანამდის შენ ცოცხალი არ მეგონე;**
ჩემი მეთქჳა გარდასრულად სიცოცხლე და ყოვლი ღონე;
აწ რა მესმა, შემოქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
და ჩემი ყჳელა აქამდისი ჳირი ღხინსა შევაწონე.

u 1283-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. **ბ** ჩემი მეთქჳა გარდასრულად (ჩემი მეთქჳა: გარდასრულდა).

გ. კარტოზია: **ჩემი** აქ „სიცოცხლისა“ და „ღონის“ მსაზღვრელი ჩანს, ტაეპის აზრია: ჩემი სიცოცხლე და მთელი ძალა გარდასრულად (= გათავებულიად) მქონდა ნათქჳამი (= მიჩნეული).

ი. გიგინეიშვილი: **ჩემი** მართლაც „სიცოცხლისა“ და „ღონის“ მსაზღვრელი უნდა იყოს, მაგრამ **გარდასრულდა** უნდა დარჩეს. ტაეპი ასე უნდა გაიმართოს; „ჩემი, – მეთქჳა, – გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე“.

ა. ბარამიძეს, ს. ცაიშივს და ც. კიკვიძეს მიანიჭათ, რომ უნდა აღდგეს **გარდასრულდა** და აღდგეს ტაეპის ძველი წაკითხვა (ბრჭყალების დამატებით): ჩემი მეთქვა: „გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე“. ს. ცაიშივის აზრით, **ჩემი მეთქვა** ფრაზეოლოგიზმია.

დაადგინეს: ბ-ში მიღებულ იქნეს წაკითხვა: ჩემი მეთქვა: „გარდასრულდა სიცოცხლე და ყოვლი ღონე“, (მომხრენი – ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ს. ცაიშივილი: წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია).

ს.შ.: შენს მზეს ვფიცავ, შენ აქამდე ცოცხალი არ მეგონე; ჩემი მეთქვა (= ვიფიქრე): „სიცოცხლე და მთელი ძალა დასრულდა“; ახლა რა გავიგე (შენი სიცოცხლის ამბავი), შემოქმედი (ღმერთი) ვადიდე და ღმერთს დავემორჩილე. ყველა აქამდე გადატანილი ჩემი ჭირი ღმერთს გავუთანაბრე.

1292 **შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდი, გაჯსოვდე მე შენთჳის დაკარგული სად;
და ვზი მზრდელად სიყუარულისა, მის ჩემგან დანერგულისად.**

u 1284-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მომიგონებდი (მომიგონებდე, დ სიყუარულისა, მის ჩემგან (სიყუარულისა მის, ჩემგან).

გ. კარტოზია: გ-ში ორივე ზმნა ბრძანებითი კილოსია. მათგან ერთი (მოქმედებითი გვარის) პირველი ბრძანებითის ფორმითაა წარმოდგენილი, მეორე კი (საშუალი გვარისა) პირველ კავშირებითშია დასმული. რიგ ხელნაწერში ორივე ზმნის ერთნაირი ფორმით წარმოდგენა (**მომიგონებდე, გახსოვდე; მომიგონებდი, გახსოვდი**) გვიანდელი სწორების შედეგია.

ი. გიგინეიშვილი მოითხოვს **მომიგონებდე** ფორმის აღდგენას; ა. ბარამიძეს მიანიჭათ, რომ ტექსტში უნდა მივიღოთ ერთგვაროვანი ფორმები: ან **მომიგონებდი, გაჯსოვდი**, ან **მომიგონებდე, გაჯსოვდე**.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს: **მომიგონებდი, გაჯსოვდე** (მომხრენი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშივილი; წინააღმდეგნი – ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი).

ს.შ.: შენი სიცოცხლე მეყოფა ჩემს გულის იმედად, მთლად დაჭრილი (დაწყლულებული) და ასე დამწვარი (დადაგული) გულის იმედად! მომიგონე ხოლმე, გახსოვდე მე, შენთვის სადღაც გადაკარგული; ვარ იმ ჩემ მიერ დანერგილი სიყუარულის მზრდელი (მომვლელი, გამხარებელი).

1980. 2. IV

სხდომას დაესრუნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშივილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1293; 1294 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა). 1295-1297 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1293 **სხუად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების;
ენა დაშურების, მოსმენით არვისგან დაიჯერების.
ფატმან წამგურა გრძნეულთა, ღმერთიმცა მას ეტერების!**
და აწ კულა ქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების.

u 1295-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: სხვაფრივ, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერება (= ჩემი ამბის მოწერას ვერ შევძლებ); ენა დაშვრება (დაიღლება), მოსმენით ვერავინ დაიჯერებს, ფატმანმა ჩემი თავი წაართვა გრძნეულებს, ღმერთი იყოს მისი მფარველი! ახლა ისევ ის ჩაიდინა წუთისოფელმა, რაც მისი შესაფერისია.

1294 **აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა დამისართა,
არ დასჯერდა ბედი ჩემი მათ პატიჟთა მრავალგურთა,
კულაცა მიმცა შესაპყრობლად ქაჯთა, ძნელად საომართა;
და ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგუმართა!**

u 1286-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა დამისართა (მომისართა). პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ახლა წუთისოფელმა უარესი ჭირი დამიმატა ჭირზე, არ დასჯერდა ჩემი ბედი იმ მრავალნაირ ტანჯვას, კვლავ მიმცა შესაპყრობად (ტყვევად) ძნელად შესაბრძოლებელ ქაჯებს; ჩემო, ბედმა გვიყო ყველაფერი, რაც დაგუმართა.

1295 **ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თჳალნი ძლივ გარდასწუდებიან,
გზა გურიბითა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ დასცდებიან,
და მათთა შემბმელთა დაჰვოცენ, მართ ცეცხლად მოედებიან.**

u 1287-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ დაჰვოცენ (დახოცენ).

ს. ცაიშვილი: ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერაში, რომელიც **XV** საუკუნეს განეკუთვნება, ა-ს სართიმო სიტყვად **შემომაცდება** იკითხება. ეს იგივე **შემოსცუდებიან** (= შემოსწუდებიან) უნდა იყოს, ზოგ ხელნაწერში რომ დასტურდება. პოემის ძირითად ტექსტში სწორედ **შემოსწუდებიან** უნდა აღვადგინოთ.

ა. ბარამიძე: ვანის ქვაბთა მონასტრის უძველესი წარწერის ჩვენება უთუოდ ანგარიშგასაწევია.

გ. კარტოზია: მართალია, ეს წარწერა ქრონოლოგიურად უსწრებს „ვეფ-
ხისტყაოსნის“ ხელნაწერებს, მაგრამ წაკითხვის სიძველე ყოველთვის როდი
ნიშნავს მის პირვანდელობას.

ი. გიგინეიშვილი: არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღნიშნული წარწერა
ზეპირად არის შესრულებული და პოემის ტექსტის აქ შეცვლილ-დამახინ-
ჯებულია.

ს. ცაიშვილი: ეს ასეა, მაგრამ **შემოსწმედებიან (> შემოსცმედებიან)**
პოემის რიგ ხელნაწერშიც დასტურდება.

ც. კიკვიძე: **გარდასწმედებიან** უმჯობესი წაკითხვაა, რამდენადაც იქ ნეს-
ტანის თვალსაზრისია გადმოცემული.

გ. კარტოზია: ნესტანის ნათქვამში შეიძლება სწორედ **შემო** პრევერბიანი
ფორმა (შემოსწმედებიან) იყოს უფრო ბუნებრივი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა – **შემოსწმედებიან**.

ს.შ.: ისე მაღალ ციხესიმაგეში ვზივარ, თვალი ძლივს შემოსწმედება, გზა
გვირავით შემოდის, იქ მცველები დგანან, დღე და ღამე მეომრები გუშაგობის
რიგს არ ტოვებენ, ვინც მათ შეებრძოლება, დახოცავენ, ცეცხლივით მოე-
დებიან.

1296 ნუთუ ესენი გეგონნენ სხუათა მებრძოლთა წესითა?!
ნუცა მე მომკლავ ჭირითა, ამისგან უარესითა;
შენ მეჭდარსა გნახავ, დავიწმეი, ვითა აბედი კუწესითა;
და მოგშორდი, დამთმე გულითა, კლდისაცა უმაგრესითა!

u 1288-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს.შ.: იქნებ ესენი სხვა მებრძოლთა წესის მქონეებად მიგაჩნდეს?! ნურც
მე მომკლავ ამაზე უარეს ჭირით; შენ მეჭდარს (რომ) გნახავ, დავიწვები, რო-
გორც კვესით აბედი; მოგშორდი, (შენც) დამთმე კლდეზე უმაგრესი გულით!

1297 შენ, საყუარელო, ნუ სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა,
ჩემი სთქუა: სხუათა მისჭდარო იგი აღვისა ტანითა.
არამ სიცოცხლე უშენოდ! ვარ აქამდისცა ნანითა;
და ან თავსა კლდეთა ჩავიქცევთ, ანუ მოვიკლავ დანითა.

u 1289-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ბ-ში დაისვა კუთხოვანი ბრჭყალები: სხუათა ... ტანითა.

ი. გიგინეიშვილი: **გდ**-ის აზრი ასეთია: უშენოდ სიცოცხლე არამია, ამი-
ტომ თავს ან კლდეზე გადავიგდებ, ან დანით მოვიკლავ. **ვარ აქამდისცა ნა-
ნითა** ჩანართია და ტირილებით უნდა გამოიყოს.

ა. ბარამიძე: ტაეპში ფრაზები თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი და შინაარსშიც ასეთივე თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ. გ-ს მეორე ნახევრის ჩანართად მიჩნევა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

რედაქციამ გაიზიარა ბოლო თვალსაზრისი.

ს.შ.: შენ, საყვარელო, ნუ დარდობ ამგვარად, რომ ჩემზე იფიქრო: სხვას ერგო ის ალვისტანაო. არამია უშენოდ სიცოცხლე! ვნანობ, აქამდისაც რომ ცოცხალი ვარ; თავს ან კლდეზე გადავიგდებ, ან დანით მოვიკლავ.

1980. 9. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: **1298-1303** სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1298 **შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხედეს მთჳარე შენი,
შენმან მზემან, ვერვის მიხედეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
და სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხედენ ნუთუ ფრთენი.**

u 1290-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: შენს მზეს ვფიცავ, შენ გარდა სხვას არავის ერგება (შეხვედება) შენი მთვარე, შენს მზეს ვფიცავ, ვერვის ერგება, სამი მზეც რომ მოვიდეს! აქედან თავს გადავიგდებ, ჩემს ახლოს არის დიდი კლდეები, ჩემი სული მიიბარე, ეგების ზეციდან მომეცეს ფრთები.

1299 **ღმერთსა შემევედრე, ნუთუ კჳლა დამჳსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთენი და აფვრინდე, მივხედე მას ჩემსა ნდომასა,
და დღისით და ღამით ვხედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.**

u 1291-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ღმერთს შემევედრე, ეგებ მომაშოროს ამქვეყნიურ საზრუნავს, ცეცხლსა, წყალსა, მიწასა და ჰაერთან ერთიანობას; მომცეს ფრთები და აფვრინდე, ვეწიო ჩემს წადილს, დღისით და ღამით ვხედავდე მზის სხივთა კრთომას (ელვარებას).

1300 **მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!**

**მუნა გნახო, მანდვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,
და თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკუდილიმცა მქონდა ტკბილი!**

u 1292-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ-ში განმინათლო შეიცვალა **გამინათლო** ფორმით. ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე.

ა. ბარამიდის აზრით, **გ-ში გსახო** შინაარსობრივად იგივეა, რაც **გნახო**. საქმე გვაქვს პარალელურობით.

ს.შ.: მზე უშენოდ ვერ იქნება, რადგან შენ ხარ მისი ხვედრი, დიდაც მას ეახლები მისი ეტლი (ზოდიაქო), არ თუ ცუდი! იქ გნახავ, მანდვე წარმოგსახავ, გამინათებ ბნელ გულს; თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი მქონდეს ტკბილი!

1301 მე სიკუდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრამ შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორებება, მემატების წყლული წყლულსა;
და ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიყვარულსა!

u 1293-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, რადგან სულს გაბარებ, მაგრამ შენი სიყვარული გულში ჩავიმარხე, იქ ჩამრჩა, რომ მომაგონდება შენგან მოშორებება, წყლული წყლულზე მემატება; ნურც მტირი და ნურც მგლოვობ, ჩემო, ჩემს სიყვარულს გაფიცებ!

1302 წადი, ინდოეთს მიმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა,
მტერთაგან შეიწრებულსა, ყოველგნით ჰელაუპყრობელსა,
გულსა აღხინე ჩემისა მოშორებებისა მთმობელსა,
და მომიგონებდი მტირაღსა, შენთჟის ცრემლშეუშრობელსა!

u 1294-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: წადი, ინდოეთს გაემართე, რაიმე არგე ჩემს მშობელს, მტრებისგან შევიწრებულს, ყოველგნით უმწეოს, ჩემი მოშორების მომთმენ გულს შვეება მიეცი, მომიგონებდე ხოლმე მტირაღს, შენთჟის ცრემლშეუშრობელს.

1303 რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად;
ცან, სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.
შენთჟის მოგუჟდები, გაგვდები ყორანთა დასაყივარად,
და ვირე ცოცხალ ვარ, მეყოფი სატირლად და სატკივარად.

u 1295-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ მეყოფი** (გეყოფი).

ი. გიგინეიშვილი: გ-ს სართმო სიტყვად უნდა მივიღოთ ზოგ ხელნაწერში დაცული წაკითხვა – **დასაჯივარად. შდრ.** საბა: **კივილი** - ყვათა ხმიანობა. ხელნაწერთა დიდ ნაწილში წარმოდგენილი **ყივილი ჳ და ყ** ასოების გრაფიკული აღრევის შედეგია.

ს. ცაიშვილი: არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ **დასაყივარად** ალიტერაციულად უკეთესი წაკითხვაა **ყორანთა დასაყივარად.**

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ყორანთა **დასაჯივარად.**

ს.შ.: რაც ვიხივლე ჩემს ბედზე, ჩივილად კმარა; გაიგე, ერთი გულის მართალი სამართალი მეორე გულში რატომ მიდის. შენთვის მოგკედები, გავხდები ყორნების დასახსავლად, ვიდრე ცოცხალი ვარ, მეყოფი სატირლად და სატკივარად.

1980. 16. IV

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1304; 1305** სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1304 აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდსა!
გარდამიკჷეთია ალაში, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესელა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
და რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შჷიდისა“.

u 1296-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ე. მეტრეველმა აღნიშნა, რომ **ალაში** ამ კონტექსტში ნიშნავს ნაჭერს, ლენტს, ზოლს.

ს.შ.: აჰა, იცანი ნიშანი შენეული თავსაბურავისა! აღმად გადამიჭრია, ჩემო, რიდის ერთი კიდე, ესელა დაგრჩეს იმ დიდი იმედის სანაცვლოდ. რისხვით მობრუნდა ჩვენზე შვიდი ცის ბორბალი!“

1305 ესე წიგნი, საყჷარელსა მისსა თანა მინაწერი,
რა დაწერა, გარდაჰკჷეთა მათ რიდეთა ერთი წჷერი.
თავმოჯდილსა დაუშჷენდა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი,
და ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი.

u 1297-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ეს წერილი, თავის საყვარელთან მიწერილი, რომ დაწერა, იმ თავსაბურავს ერთი წვერი მოაჭრა, თავმოხდილს დაუმშვენდა თმების სისხო,

სიგრძე და ფერი (გამოუჩნდა თმების სისხოს, სიგრძისა და ფერის მშვენიერება), ალვისაგან (= ნესტანისაგან) სურნელი მოქრის, ყორნის ფრთებისაგან (= თმებისაგან) მონაბერი.

სხდომის ოქმის განხილვისას **1980.7.V** ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, **ყორნის ფრთათათ** აქ ნიშნავს: „წამწამთაგან“. **შდრ.** ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აპკურებდა, **u 1349₃**.

1980. 23. IV

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1305,1; 1306** სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1305,1 ესე სიტყუა მართალია, არა ჭრელად, არხუასრულად;
ნესტან-დარეჯ ჰქუიან ქალსა ქართულადცა, კუელა სპარსულად,
თავშიშველი ყაყაჩოსა ჰგავს, თუ იყოს ვარდი სრულად,
და ტარიელის გონებითა ალვა მჭნარად, დანასრულად.

x 1497-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა არა ჭრელად, არხუასრულად (არ-ჭრელად და არ-ხვასრულად) ბ და გ-ს ბოლოს წერტილ-ძიძის ნაცვლად დასმულია ძიძე.

ა-ში აღდგა წაკითხვა: **არჭრელად** და **არხუასრულად**. გ-ში ძიძე დაისვა: თავშიშველი ყაყაჩოსა, ჰგავს, თუ იყოს...

ს.შ.: ეს სიტყვა მართალია, არა შეფერადებული; ნესტან-დარეჯ ჰქუია ქალს ქართულადც და სპარსულადც, თავშიშველი ყაყაჩოსა ჰგავს, ჩანს, რომ წამხდარი ვარდია, ტარიელის მოგონებით (ტარიელზე ფიქრით) არის ალვა დამჭკნარი (=გამხდარი).

1306 იგი მონა წამოვიდა, გულანშაროს მიმავალი,
წამერთ მიჰქდა ფატმანისსა, დღე იარა არმრავალი.
რა ავთანდილს გაუსრულდა საქმე მისი სასურვალი,
და ჯელაპყრობით ღმერთსა მადლობს ცნობასრული, არა მთრვალი.

u 1298-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა: შემდგომში **ბ წამ ერთ** დაიწერა ორ სიტყვად.

ს.შ.: ის მონა წამოვიდა, გულანშაროში მიმავალი, ერთ წამში მივიდა ფატმანისას, მრავალი დღე არ უვლია. ავთანდილს რომ აუსრულდა სურვილი (სასურველი საქმე), ხელაპყრობით ღმერთს მადლობს სრულ გონებაზე მყოფი, არა მთვრალი.

1980. 7. V

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1307-1312 სტროფები (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1307 ფატმანს უთხრა: „გამისრულდა ჟამად საქმე საწადელი, დიდი შენი მოჭირვება ჩემგან არი გარდუქდელი, წავალ, დგომად აღარა მცაღს, დრო მოსრულა შარშანდელი, და ფიცხლა ქაჯეთს მოვიყვანო მათი მომსპობ-ამწყენდელი“.

u 1299-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ფატმანს უთხრა: „დროულად ამისრულდა წადილი (საწადელი საქმე), შენს დიდ გარჯას მე ვერ გადავიხდი, წავალ, აქ გასახერებლად არ მცაღია, შარშანდელი დრო მოსულა, სასწრაფოდ მოვიყვან ქაჯეთში მათს (= ქაჯების) მომსპობს და ამომწყვეტს (= ტარიელს)“.

1308 ხათუნმან უთხრა: „ჰე, ღომო, ცეცხლი აწ უფრო ცხელდების, მოეშორების ნათელსა, გული ამისთჳის ბნელდების; ისწრაფე, ჩემი ნუ გაგვა, ხელი ეგრეცა ხელდების, და თუ ქაჯნი მოგესწრებიან, მუნ მისლვა გაგიძნელდების“.

u 1300-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჰე, ღომო (ჰე ღომო). პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ფატმან ხათუნმა უთხრა: „ჰე, ღომო, ცეცხლი ახლა უფრო ცხელდება, გული შორდება ნათელს, ამიტომ ბნელდება გული; იჩქარე, ჩემი ნუ გუნადვლება, შმაგი მაინც შმაგობს, თუ ქაჯები მოგასწრებენ, იქ (= ქაჯეთში) მისვლა გაგიჭირდებათ“.

1309 ყმამან ფრიდონის მონანი უკმნა, მასთანა ხლებულნი, უბრძანა: „მეჭდარნი აქამდის აწყა ვართ დაცოცხლებულნი, რაცა გჳინდოდა, მისითა სმენითა გაახლებულნი, და ჩჳენთა მტერთანი გიჩჳენნე წყლულნი მით, ვაგლახ, ლებულნი!“

u 1301-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

დ-ში რედაქციამ ი. გიგინეიშვილის წინადადებით მიიღო z-ის წაკითხვა: „ჩჳენთა მტერთანი გიჩჳენნე წყლულნი მით ვაგლახებულნი“. ტაეპის ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დაისვა წერტილი.

ს.შ.: მოყმემ ავთანდილმა უხმო მასთან მეოფე ფრიდონის მონებს, უთხრა: „აქამდის მეკვდრები ახლალა ვართ დაცოცხლებულები, რაც გვინდოდა, იმის

მოსმენით განახლებულნი, ამის გამო ჩვენი მტრების წყლულებს გიხვევებთ ვაგლახისა და ვაის სათქმელად ქცეულს.

1310 მიდით და ფრიდონს უამბეთ ამბავი არნაცქაფავი;
მე ვერა ვნახავ, ვისწრაფი, გზა ჩემი არს ნასწრაფავი.
მან გაანაფოს ჳმა ჳაფი, კჳლა უფრო გასანაფავი,
და თქვენ მოგცე ლარი ყჳელი მი, ჩემი ნაალაფავი.

u 1302-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მიდით და ფრიდონს უამბეთ ნამდვილი (არნატყუარი) ამბავი; მე ვერ ვინახულებ, ვჩქარობ, ჩემი გზა სასწრაფოა. მან გაანაფოს ხაფი (რიხიანი) ხმა, მომავალში უფრო გასანაფავი, თქვენ მოგცემთ მთელს საქონელს, ჩემს ნადავლს.

1311 ჩემსა ზედა დიდი არის ვალი, თქვენგან დანადები;
მადლსა სხჳებერ გარდავიწდი, თულა ფრიდონს შევეყრები;
აწ წაიდეთ ყჳელაკაი, მეკობრეთა წანადები,
და ამის მეტსა ვერას მოგცემ, ვიცი, ამაღ გეძუნწები.

u 1303-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: დიდია თქვენ მიერ ჩემზე დადებული ვალი; მადლობას სხვანაირად გადავიხდი, თუ ფრიდონს შევეყრები; ახლა წაიდეთ ყველაფერი, მეკობრეებისათვის წართმეული (რაც მეკობრეებს წავართვი), ამის მეტს ვერაფერს მოგცემთ, ვიცი, ამიტომ ძუნწად მოგეჩვენებით.

1312 სახლი არ მახლავს, არ ძალმაქჳს გაცემა საბოძვარისა“,
მისცა მართ საესე ხომალდი, რიცხჳი ტურფათა ჳარისა,
უბრძანა: „წადით, წაიდეთ, გზა წავლეთ მისვე არისა,
და ფრიდონს მართვის უსტარი ჩემგან, ძმადნაფიცარისა“.

u 1304-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: **დ-**ში ზოგიერთი ხელნაწერი ჩემგან-ის ნაცვლად მისგან-ს კითხულობს, რაც უფრო სწორი ჩანს. ამის მიხედვით ტაეპი ასე უნდა გაიმართოს: ფრიდონს მართვით უსტარი მისგან ძმადნაფიცარისა.

გ. კარტოზია: ჩემგან, ძმადნაფიცარისა – ჩემგან, ძმადნაფიცარისაგან ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციაა და პირვანდელი ჩანს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: ჩემგან, ძმადნაფიცარისა.

ს.შ.: შინ არა ვარ (სახლი ახლო არა მაქვს), ამიტომ არ შემოძლია საჩუქრის გაცემა“. მისცა საესე ხომალდი, მრავალი ტურფა ძვირფასი ნივთი,

უთხრა: „წადით, წაიღეთ, გაიარეთ იგივე გზა, ფრიდონს მიაერთეთ წერილი ჩემგან, ძმადნაფიცარისაგან“.

1980. 14. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ.ძიძიგური.

განიხილეს: **1313-1316** სტროფები (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1313 დაწერა: „ფრიდონ მაღალო, სწესრულო მეფეთ-მეფეო,
ლომისა მსგავსო ძალ-გულად, მზეო შუქმოიეფეო,
მოვლენილო და მორჭმულო, მტერთა სისხლისა მჩქეფეო,
და უმცროსმან ძმამან შორიშორ სალაში დავიყეფეო!

u 1305-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეფეთმეფე დაიწერა შერწყმულად.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს მოვლენილ-ის მნიშვნელობის შესახებ. ს. ცაიშვილის აზრით, იგი აქ ზეციდან მოვლენილს, წვეულს ნიშნავს; სხვების აზრით, მოვლენილი და მორჭმული სინონიმებია.

ს.შ.: დაწერა: „დიდებულო ფრიდონ, სვებედნიერო მეფეთმეფეო, ძალითა და გულადობით ლომის მსგავსო, შუქუხეო მზეო, მოვლენილო და მორჭმულო (= სვებედნიერო და სახელგანთქმულო) , მტერთა სისხლის მღვრელო, უმცროსმა ძმამ შორიდან სალაში ვთქვი (შემოგითვალე)!

1314 ჭირნი ვნახენ და მო-ცა-მხჷდა ნაცვალი ჭირნახულისა.

კარგა მოვდომა საქმისა ჩემისა გაზრახულისა;
მიცნია მართლად ამბავი პირისა მზედ სახულისა,

და დამარჩენელი ლომისა, მის ქუესკნელს დამარხულისა.

u 1306-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ლომისა, მის ქუესკნელს (ლომისა მის, ქუესკნელს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ჭირი (გასაჭირი) ვნახე და მერგო კიდეც გარჯის სანაცვლო, ჩემ მიერ განზრახული საქმის კარგად მოგვარება; დანამდვილებით შევიტყვე მზედ მიჩნეული პირისახის (= ნესტანის) ამბავი, (ამბავი), რომელიც დაარჩენს (აცოცხლებს) ქუესკნელში დამარხულ იმ ლომს (= ტარიელს).

1315 იგი მზე ქაჯთა მეფესა ჰყავს, ქაჯეთს პატიმარია.

მუნ მისლვა მიჩანს თამაშად, თუცა გზა საომარია.

ნარგისთათ წჷმბა ბროლისა წჷმის, ვარდი ნაწჷმარია,

და ჯერთ ქალსა ქაჯნი არ ახლვან, მაგრა სპა უამარია.

u 1307-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ის მზე (= ნესტანი) ქაჯთა მეფეს ჰყავს, ქაჯეთში პატიმრად არის. იქ (= ქაჯეთში) მისვლა თამაშად (გართობად, ადვილ საქმედ) მიმანია, თუმცა გზა საომარია (= ომს მოითხოვს). ნარგიზებიდან (= ნესტანის თვალებიდან) ბროლის წვიმა წვიმს (= ცრემლები იფრქვევა), ვარდი ნაწვიმარია (= პირისაზე ცრემლებით დასველებულია), ჯერ ქალთან (= ნესტანთან) ქაჯები არ არიან, მაგრამ ლაშქარი უამრავია.

1316 გულმხიარული ვიხარებ, ამაღ არ ცრემლი მმიღების,
სადაცა შენ და შენი ძმა ხართ, ძნელი გაადვილდების;
რაცა მოგინდეს უცილოდ იქთ, იგი არ აგცილდების,
და არ თურე კაცმან დაგიდგნეს, ვეჭუ, კლდეცა გაგილბილდების.

u 1308-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ იქთ (იქით), დაგიდგნეს (დაგიდგნა).

ი. გიგინეიშვილი დ-ის სართიმო სიტყვად უკეთესია **გაგიცვილდების**, რომელიც რიგ ხელნაწერშია დაცული. მე სარწმუნოდ მიმანია ის არგუმენტები, რომლებიც მოყვანილი აქვს ა. შანიძეს (1966, 160-161) ამ წაკითხვის სასარგებლოდ. ამ კონტექსტში **გაგილბილდების** ზმნაში **გა-** პრევერბის ნაცვლად უფრო მოსალოდნელი იყო **და-** გვექონოდა. **გა-** უფრო გარდაქცევითობას აღნიშნავს.

ს. ცაიშვილი: **გაგიცვილდების** უკეთესია ალიტერაციულადაც: **კლდეცა გაგიცვილდების**.

ე. მეტრეველი: კლდის გაცვილება გარბილებასთან შედარებით მხატვრულად უკეთესია.

ა. ბარამიძე: **გაგილბილდების** სავსებით გასაგები ფორმაა და არ ჩანს საფუძველი ხელნაწერთა უმრავლესობაში მისი მეორეულობის საგულგებლად.

გ. კარტოზია: **გაგილბილდების** ფორმის წინააღმდეგ მოყვანილი არგუმენტებიდან არც ერთი არ არის იმ ხასიათისა, რომ გამორიცხავდეს მის პირვანდებობას. ანგარიში უნდა გაეწიოს ხელნაწერთა ჩვენებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ვეჭუ, კლდეცა **გაგიცვილდების** (წინააღმდეგნი- ა. ბარამიძე, გ. კარტოზია).

ს.შ.: გულმხიარული ვხარობ, ამიტომ ცრემლი ნაკადივით არ მდის, სადაც შენ და შენი ძმა (ტარიელი) ხართ, ძნელი საქმე გაადვილდება (ადვილი ხდება); რაც მოგინდებათ, იმას აუცილებლად აასრულებთ, ის არ აგცილდებთ; არა თუ კაცმა გაგიძლოთ, ვფიქრობ, კლდეც ცვილად გადაგექცევათ.

1980. 21. VII

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1317-1318** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); **1319-1322** სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1317 აწ შემინდევ, ვერა გნახე, შორს ამისთჳის წაგვიარე,
გზა-გზა ყოენად აღარა მცალს, პატიმრად-ა იგი მთჳარე;
ადრე მოვალთ მხიარულნი, ჩჳენი ნახვა გაიხარე,
და ამის მეტი რაღა გკადრო, ძმასა ძმურად მოგვმარე.

u 1309-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა. შედგენილი შემასმენელი ბ პატიმრად-ა, გამონაკლისის სახით, დარჩა დეფისით.

ს.შ.: ახლა მაპატიე, ვერ გინახულე, შენგან შორს იმიტომ ჩავიარე, (რომ) გზადაგზა დასაყოვნებლად არ მცალია, პატიმრად არის ის მთვარე (= ნესტანი); მალე მოვალთ მხიარულნი, ჩვენი ნახვით გაიხარე, ამის მეტი რაღა გითხრა, ძმას ძმურად მოეხმარე.

1318 ამა მონათა ჩემზედა გარდაუკდელი გულია:
ამოდ მმსახურეს, თქჳენიმცა გული ამათთჳის სრულია!
ქება რად უნდა მას, ვინცა თქჳენთანა ხანდაზმულია?
და მსგავსი ყჳელაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“.

u 1310-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ამ მონების სამსახური (გულითაღობა) მე ვალად მადევს: კარგად მემსახურნენ, თქვენი გული ამათ გამო კმაყოფილი იყოს! ქება რად სჭირდება მას, ვისაც თქვენთან ხანი დაუყვია? ყველა თავის მსგავსს წარმოშობს, ეს ბრძენთა ნათქვამია“.

1319 ესე უსტარი დაწერა, შეკრა და წა-ცა-სჳია მან,
მისცა ფრიდონის მონათა ვარდმან და თმითა იამან;
შესთჳალა ზეპირ, რაცა კმდა, სრულად, მართ ვითა ჰგია მან,
და მათ მარგალიტი უჩჳენის ძოწისა კარმან ღიამან.

u 1211-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ-ში რაცა კმდა-ს შემდეგ დასმულია მიძე. რამდენადაც გ-ს ზოგი ფორმის (სრულად / სულად, ჰგია, მან / გიამან) წკითხვასა და გაგებაში რედაქციის წევრთა შორისაც სხვადასხვაობაა, გადაწყდა: სტროფის განხილვა გადაიდოს იმ დროისათვის, როცა რედაქცია უფრო სრული შემადგენლობით შეიკრიბება.

1319,1 მოქარავენეთა უბრძანა: „საქმე მიც, გითხარ განაო,
კარგად მომივდა მოყურობა მე თქუენი, მესუიანაო,
რაცა მინდოდა, ყუეელი ვქმენ, ღმერთმან მაგუღვანაო,
და აწ აღარა მცაღს, ბადრაგა სხუა წაიტანეთ თანაო“.

x 1512-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მოყურობა (მოყვსობა),
გ ვქმენ (ვქენ); ა და ბ-ს ბოლოს წერტილ-მიძიმის ნაცვლად დასმულია მიძიმე,
ბ-ში მიძიმე გადასმულია: კარგად მომივდა მოყურობა მე თქუენი, მესუიანაო
(კარგად მომიხდა, მოყვრობა მე თქუენი მესუიანაო).

რადგანაც სტროფის ნამდვილობა ჩანართობის შესახებ აზრთა სხვადა-
სხვაობაა, სტროფის განხილვა გადაიდო რედაქციის უფრო სრული შემადგენ-
ლობით შეკრების დროისათვის.

1320 მონახა, პოვა ავთანდილ ნავი მისისა მჯარისა,
გამოემართა იგი მზე პირითა საესე მთუარისა,
მაგრა დაგდება უმძიმდა ფატმანის გულმწუხარისა;
და მისთა გამყრელთა ნაკადი ჩასდის სისხლისა ღუარისა.

u 1312-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: „ვტ“-ის ენისათვის მოულოდნელია ბრუნვაში შეუთანხმე-
ბელი მსაზღვრელი (საესე მთუარისა) ამიტომ ანგარიშგასაწევეია $A^3 A^{10} A^{11}$ -ის
ჩვენება (მზგავსი / მგზავსი). ტექსტში უნდა მივიღოთ: პირითა მსგავსი
მთუარისა.

ც. კიკვიძე: მზგავსი / მგზავსი მხოლოდ სამ ხელნაწერშია. სხვა ხელნა-
წერში საესეს-ს კითხულობენ. ეს მეტად დამაფიქრებელია. ენობრივი სიახლე
– მსაზღვრელის შეუთანხმებლობა საზღვრულთან – რუსთველის ენისათვის
მოულოდნელი არ უნდა იყოს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: პირითა მსგავსი მთუარისა (წინა-
აღმდეგი – ც. კიკვიძე).

ს.შ.: ავთანდილმა მონახა, იპოვა მისი მხარისაკენ (მიმავალი) ხომალდი,
წამოვიდა ის მზე (= ავთანდილი), პირით მთვარის მსგავსი (გაბადრული), მაგ-
რამ გულმწუხარე ფატმანის დატოვება უმძიმდა; მის გამყრელებს სისხლის
ღვარის ნაკადი ჩამოსდით.

1321 ფატმან, უსამ და მონანი ტირან ცრემლითა ცხელითა,
იტყუიან: „მზეო, რა გუიყავ? დაგწუწუენ ცეცხლითა მწუელითა!
რად დაგუაბნელენ შენისა მოშორვებისა ბნელითა!
და და-ცა-გუემარხენო ველითა, ჩუენითა დამმარხველითა“.

u 1313-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ, თუმცა **უსამ** კონიექტურაა (ხელნაწერებში იკითხება **უსენ**), მისი მიღება გამართლებულია. პროექტი მიღებულ იქნა. შემდგომში დ-ს ბოლოს დაისვა ძახილის ნიშანი და ბრჭყალები.

ს.შ.: ფატმანი, უსამი და (ფრიდონის) მონები ცხელი ცრემლებით ტირიან, ამბობენ: „მზეო, რა გვიყავი? მწველი ცეცხლით დაგვწვი! შენი მოშორების სიბნელით რატომ დაგვაბნელე! დაგვმარხე კიდევ ჩვენი დამმარხველი ხელით!“

1322 გამოვლნა ზღუანი ავთანდილ მგზავრითა რათმე ნავითა,
პირმხიარული აცორვებს მართ ოდენ მარტო თავითა;
მას შეყრა ტარიელისა უხარის მით ამბავითა,
და კვლგანპყრობილი გულითა არს ღმრთისა საესავითა.

u 1314-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკვიძე: გ-ში ხელნაწერები გვაძლევენ პარალელურ წაკითხვას: **ტარიელისა / ტარიელისი**. ორივე: ფორმა დასაშვებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ტექსტში დატოვებულია **ტარიელისა**, როგორც ლექსთწყობის თვალსაზრისით უკეთესი. პროექტში მიღებულ იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა ზღვები გამოიარა მის გზაზე მიმავალი რაღაც ხომალდით, მხიარულს ნება-ნება მიჰყავს (ცხენი) თავისი თავის ამარა; მას ტარიელის შეხვედრა უხარია იმ ამბის გამო, ხელაპრობილი გულით არის ღვთის მოიმედე.

1980. 11. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს: **1323–1328** სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1323 მოწურვილ იყო ზაფხული, ქუეყნით ამოსლვა მწუანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.

და სულთქუნა, რა ნახა ყუავილი მან, უნახავმან ხანისა.

u 1315-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში გაუგებარია შესიტყვება – **ვარდის ფურცლობის ნიშანი**: ვარდის ფურცლობა ტარიელისა და ავთანდილის პაემნის ნიშანია (**შდრ.** ამა უამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდიეფსა, **933ვ**) ზოგიერთი ხელნაწერის (**A² A¹⁰ A¹¹**) ჩვენების საფუძველზე ტაეპი ასე უნდა გადაკეთდეს: **ვარდის ფურცლობა** – ნიშანი, დრო მათის პაემანისა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: **ვარდის ფურცლობა – ნიშანი...**

ს.შ.: მოახლოებული იყო გაზაფხული, მიწიდან მწვანის ამოსვლა, ვარდის ფურცლობა – მათი (ავთანდილისა და ტარიელის) პაემნის ნიშანი და დრო, მზისგან ზოდიაქოს შეცვლა, კირჩხიბზე შეჯდომა. ამოიოხრა, ყვავილი რომ დაინახა, დიდი ხნის უნახავმა.

1324 აგრგუინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცქართთა;
ვარდთა აკოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დართთა;
უბრძანა: „გიჭურეც თქალითა, გულტკილად შემხედვართთა,
და მისად სანაცვლოდ მოვილხენ თქვენთანა საუბართთა“.

u 1316-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ბ-ში ი. გიგინეიშვილის წინადადებით, მიღებულ იქნა წაკითხვა: **მით ვარდისავე დართთა.**

ს.შ.: ცა აგრგვინდა და ღრუბლები ბროლის ცვარს ცრიდნენ; (ავთანდილმა) ვარდებს აკოცა ვარდისავე მსგავსი ბაგით; უთხრა: „გიყურებთ ტკილად შემხედვარი თვალთ, მის (= ტარიელის) ნაცვლად თქვენთან საუბრით ვილხენ“.

1325 რა მოგონის მოყუარე, სდინდიან ცრემლნი მწარენი.
ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი,
უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი,
და სადაცა ნახნის, დაჯოცნის ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი.

u 1317-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე.

ს.შ.: მეგობარი რომ მოაგონდებოდა, მწარე ცრემლები სდიოდა. ტარიელისკენ იარა ძნელი (საშიში) გზები, უდაბური და უგზო, უცხო ადგილები (მიდამოები); სადაც ნახავდა, ხოცავდა შამბნარში მობინადრე ლომ-ვეფხებს.

1326 ქუაბნი გამოჩნდეს, ეამა, იცნა, თქუა: „იგი კლდენია,
სადაა ჩემი მოყუარე და ვისთვის ცრემლი მდენია;
ღირს ვარმცა, ვნახო პირისპირ, უამბო, რაცა მსმენია,
და არ მოსრულ იყოს, რაღა ვქმნა, ცუდ ჩემი განაგლენია!“

u 1318-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **გ უამბო (ვუამბო).** პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გამოქვაბულები გამოჩნდა, გაუხარდა, იცნო, თქვა: „ის კლდეებია, სადაც არის ჩემი მეგობარი, ვისთვისაც ცრემლი მდენია; (ნეტავ) ღირსი გავხედე, პირდაპირ ვნახო, ვუამბო, რაც გამიგია, თუ არ იყოს მოსული, რაღა ვქნა, ამოდ ჩამივლის ჩემი გარჯა!“

1327 თუ მოსრულა, უღონოდ შინა ხანსა არ დაზმიდა,
 მინდორს სადმე წავიდოდა, მგეცისაებრ ველთა ვლიდა;
 სჯობს, თუ შამბ-შამბ წავიარო“, – იგონებდა, იხედვიდა,
 და ესე თქვა და მიუქცია, მინდორთაკენ წამოვიდა.

u 1319-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მინდორთაკენ (მინდორთაკე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: რომც მოსულიყო, უეჭველად შინ ხანს არ დაყოფდა, მინდორში წავიდოდა სადმე, მხეცივით ველებს მოივლიდა; სჯობს, რომ შამბნარში გავიარო“, – ფიქრობდა, (აქეთ-იქით) იყურებოდა, ეს თქვა და მობრუნდა, მინდვრე ბისკენ წამოვიდა.

1328 მიაცორვებს და იმღერის მხიარულითა გულითა,
 მართ სახელდებით უყივის კმითა მით სახარულითა.
 ცოტაი წავლო, გამონდა მზე სინათლითა სრულითა:
 და შამბისა პირსა ტარიელ დგა კრმლითა მომასულითა.

u 1320-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ცხენს მიაცორვებს (ცხენი ნარნარად მიჰყავს) და მღერის მხიარული გულით, სახელს უძახის ტარიელს გახარებული ხმით. ცოტა გაიარა, გამონდა და მზე სრული სინათლით: შამბის პირას იდგა ტარიელი გალესილი ხმლით.

1980. 18. VI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1329, 1330 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1331–1332, I სტროფები (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1329 ტარიელს ლომი მოეკლა, მით კრმალსა სისხლი სცხებოდა;
 შამბისა პირსა ქუეითი დგა, ცხენი არა ხლებოდა;
 ყივილი ავთანდილისა ესმოდა, ეოცებოდა,
 და შეხედნა, იცნა, გაიქცა, მისკენ მირბოდა, ხლტებოდა.

u 1321-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ავთანდილისა (ავთანდილისი), მისკენ (მისკე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ტარიელს ლომი მოეკლა, ხმაღზე სისხლი მოსცხებოდა; შამბის პირას იდგა, ცხენი არ ახლდა; ავთანდილის ძახილი ესმოდა, გაოცებული იყო, შეხედა და იცნო, გაიქცა, მისკენ მირბოდა, მიხტოდა.

1330 **ტრმალი გასტყორცა ტარიელ, მიმართა მისსა ძმობილსა.
ყმა ცხენისაგან გარდიჭრა, ჰგვანდა ეტლისა სწრობილსა.
მათ ერთმანერთსა აკოცეს, ჰგვანან ყელგარდაჭდობილსა,
და ჰმა შაქრისფერად გაუკდა ვარდსა, ჳშირ-ჳშირად პობილსა.**

u 1322-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ტარიელმა ხმალი გადააგდო, გაეშურა თავისი ძმობილისაკენ. მოჴმე (ავთანდილი) ცხენიდან ჩამოიჭრა, ჰგავდა ეტლის (ზოლიაქოს, თანავარსკვლავედის) გამსწრებს (თანავარსკვლავედზე უფრო სწრაფად მოძრავს). მათ ერთმანეთს აკოცეს, ყელგარდაჭდობილებს ჰგვანან, ხმა შაქარივით დაუტკბა (საამო გაუხდა) მალიმად გაპობილ ვარდს (= ტუჩებს).

გ. კარტოზიას მიაჩნია, რომ **დ-ს** აზრია: ლაპარაკისას ბაგეებს შაქარივით ტკბილი ხმა გამოსდიოდათ.

1331 **ტარიელ მოთქმა ტირილით სიტყუა ნატიფი, მჭევრები:
სისხლისა ღჳარმან შელება წითლად გიშრისა ტვერები,
აღვასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები, –
და „რათგან შენ გნახე, რა მგამა, პატიუი მჭირდეს მე რეები!“**

u 1323-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ მე რეები** (მეგ რები).

გ. კარტოზია: **დ-ს** სარითმო სიტყვებად აღდგენილია აღრინდელი გამოცემების **მე რეები**, რომელსაც ხელნაწერთა ოთხივე რედაქცია უჭერს მხარს. **მეგ რები**, რომელსაც ხელნაწერთაგან მხოლოდ **D⁴** კითხულობს (თანაც ამ აღგილას ეს ხელნაწერი აღდგენილია), იდენტური რითმის გასამართავად მოხმობილი სიახლე ჩანს. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ტარიელმა მოთქმით წარმოთქვა ნატიფი, მოხდენილი სიტყვები: – სისხლის ღვარმა წითლად შელება გიშრის ტვერები [= სისხლიანმა ცრემლმა წითლად შელება შავი წამწამები], აღვის ხეს (= ტარიელს) რწყავს (= ასველებს) ცრემლის წყარო, ცრემლის ღვარები, „რადგან შენ გიხილე, რა მე ნადვლება, მრავალი ტანჯვაც რომ მჭირდეს!“

1332 **ტარიელ ტირს და ავთანდილ სიცილით ეუბნებოდა;
გალიმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა;
ეტყოდა: „ვცანო ამბავი, შენ რომე გეამებოდა,
და აწ გაახლდების ყუაილი, ვარდი აქამდის ჳნებოდა.“**

u 1324-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ტარიელი ტიროდა და ავთანდილი სიცილით ეუბნებოდა: გაიღიმა, ძოწი (= ბაგეები) გააპო, კბილებიდან ელვა უკრთოდა; ეუბნებოდა: „გავიგო

შენი საამებელი ამბავი, აწ გაცოცხლდება ყვავილი, ვარდი (= ტარიელი) აქამდის ჭკნებოდა“.

1332,1 „ამა ამბავსა გიამბობ, არს ჩემგან მონასმინები:
მასცა მოშორდა საწუთრო, ვის ჰგვანდეს ფერად მინები:
კიდე შემოგვსნის ჯინჯილსა, ხელობისათჳის ვინ ები,
და კჳელა მასვე გიზამს სოფელი, ნუ სჭმუნავ, რაცა ინები.“

x 1325-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ ნუ სჭმუნავ** (თუ სჭმუნავ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ამ ამბავს გიამბობ, ჩემგანაა მოსმენილი: საწუთრო (ამქტვეენიური უბედურება) იმასაც მოშორდა, ვისაც ფერად მინა (მინანქარი) ჰგავდა (ე. ი. ნესტანს); ჯაჭვს კვლავ შეგხსნის (მას), ვინც სიშმაგისათვის დაბმული იყავი, ნუ წუხარ, ისევ იმასვე გიზამს წუთისოფელი, რასაც მოისურვებ.

1980. 25. VI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **1333; 1334** სტროფები (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1333 ტარიელ უთხრა: „ჰე, ძმაო კმარის, დღეს რაცა მღხენია,
ყოველი ჩემი სალხინო მინახავს, ნახვა შენია;
სხჳად ნუ ყოს ღმერთმან წამალი, არცა რა მოგისმენია:
და კაცმანმცა სოფელს ვით პოვა, რაცა რა საქმე ზენია!“

u 1325 -თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ა ჰე, ძმაო, (ჰე ძმაო), კმარის** (კმა არს), **რაცა რა საქმე** (რაც არა საქმე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ტარიელმა უთხრა: „ჰე, ძმაო, საკმარისია, რაც დღეს გამხარებია, მთელი ჩემი სალხინო (გასახარელი) მინახავს –შენი ნახვა; სხვაფრივ ნუ ყოს ღმერთმა წამალი, არც არაფერი გაგიგია: კაცი როგორ იპოვის ამქვეყნად (იმას), რაც ზეციური საქმეა (= რაც ზეცის მიერ არის განგებული)!“

1334 რა ტარიელ არ შესჯერდა, ავთანდილცა არ დასწყნარდა,
მის ამბისა დაყოვნება ველარ გასძლო, აუჩქარდა,
გამოიღო რიდე მისი, ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა.
და რა ტარიელ ნახა, იცნა, გამოუღო, შემოვარდა.

u 1326-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ა დასწყნარდა, (დაწყნარდა), გ ბაგეთა (ბაგეთათ).**

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა დიდ ნაწილში და ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში დასწენარდა ზმნაში ს- პრეფიქსის ხმარება ანგარიშგასაწევი ფაქტია. ს- აქ გაუჩინარებული ირიბი ობიექტის ნიშანია.

გ. კარტოზია: ფრაზეოლოგიზმი **ბაგეთა ვარდი** დასტურდება ინდო-ხატაელთა ამბავში: გარდაუკონა პირი და **ბაგეთა ვარდი** თხელები. გამოთქმისათვის **ბაგეთა ვარდი ვარდა** შდრ. სამთავე დაწმთა ალაშნი არღაენის ფერად ალაშნეს. 940ვ.

ი. გიგინეიშვილის აზრით, შესაძლებელია ტექსტში გვექნოდ: **ვინ ბაგეთათ** ვარდი ვარდა = ვინც ბაგეებიდან ვარდები ყარა).

ს.შ.: როღესაც ტარიელმა არ დაიჯერა, ავთანდილიც არ დაწენარდა, ამ ამბის (= ნესტანის ამბის) შეტყობინების გადაღება ველარ შექლო, აჩქარდა, გამოიღო იმისი რიღე, ვინც ბაგეების ვარდი ვარდად აქცია. როცა ტარიელმა დაინახა, იცნო, მივარდა, გამოსტაცა.

1980. 10. IX

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიბიგური.

განიხილეს: 1335-340 სტროფები (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1335 **წიგნი და კიღე რიღისა იცნა და გა-ცა-შაღა მან,**
 პირსა დაიღვა, დაეცა, ვარღმან ფერიტა მერთაღამან,
 სულნი გაექცეს, მოღრიკა თავი გიშრისა ტაღამან.
 და მისნი ვერ გასძღნეს პატიუნი ვერ კაენ, ვერცა საღამან.

u 1327-თან შეღარებით პროექტში ცვლილებაა: **გ გაექცეს (გაიქცეს).** პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: წერილი და რიღის ნაჭერი იცნო მან (ტარიელმა) და გაშაღა, პირზე დაიღო ფერმერთაღმა ვარღმა (ტარიელმა) და დაეცა, გული წაუვიდა („სული გაექცა“), თავი მოღრიკა გიშრის გუშაგმა (= შაგმა წამწამებმა) (ე. ი. ტარიელმა თვალი დახუჭა). მის ტანჯვებს ვერ გაუძლებს ვერც კაენი (ყაისი) და ვერც საღა (ღეიღის ქმარი).

1336 **ავთანდილ უჭწრეტს ტარიელს, უსულოდ ქწემღებარესა,**
 შეჭფრინდა, შეწელად მიმართა მას, ტკბიღად მოუბარესა,
 ვერა ვერ არგო დამწწარსა, სრულად ცეცხლნადებარესა;
 და მისთა ნიშატთა სიცოცხლე მართ მისი მიიბარესა.

ა 1328-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ შეჭფრინდა (შეფრინდა), დ ნიშატა (ნიშანთა). დ-ის აზრი ასეა გაგებული: მისმა (= ტარიელის) სიხარულმა მისი (= ტარიელის) სიცოცხლე წაიღო (= ტარიელი სიხარულმა მოკლა).

ი. გიგინეიშვილი: შეჭფრინდა ფორმის ნაცვლად უნდა აღვადგინოთ შეფრინდა. ტაეპის აზრია: ავთანდილი შეხტა და მივარდა ტარიელს.

გ. კარტოზია: შეჭფრინდა ორპირიანგი ზმნაა (= შეაფრინდა მიაფრინდა ტარიელს), ჰ – პრეფიქსი აქ აუცილებელია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა შეფრინდა (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ა. ბარამიძე: დ-ში ნიშატა-ს ნაცვლად უფრო მართებულია ნიშანთა. ტაეპის აზრია: მისმა (= ნესტანის) ნიშნებმა მისი (= ტარიელის) სიცოცხლე მიიბარეს (ე. ი. ტარიელი მოკლეს). შდრ. აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა! 1304₁.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

ს.შ. ავთანდილი უყურებს უსულოდ მდებარე ტარიელს, მივარდა, საშველად მიმართა მას, ტკბილად მოსაუბრეს, ვერაფერმა უშველა დამწვარს, მთლად ცეცხლმოკიდებულს; მისმა (= ნესტანის) ნიშნებმა მისი (= ტარიელის) სიცოცხლე მიიბარა (= სიცოცხლე წაართვა).

1337 ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ჳმითა შუენიერთა,
ყორანსა გაჰგლეჯს ჳშირ-ჳშირად, აფრთხობს ბროლისა
ჭერთა;

გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კჭერთა,

და მუნით წყარონი გამოჳდეს, ძოწსა გამსგავსენ ფერთა.

ა 1329 -თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა ტირილი დაიწყო, მშვენიერი ხმით ტირის, ყორანს გლეჯს (= თმას იგლეჯს) ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლის ლატნებით (= თეთრი თითებით), გახეთქა გათლილი ლალი (= სახე) აღმასის უროთი (= მაგარი მუშტით), იქიდან წყაროები (= სისხლი) წარმოდიინდა, ფერთ ძოწს გამსგავსე.

1337,1 ტარიელს ეგრე გასრულსა მზე დასტირს, იტყჳის: „ახა, ვად!
ღმერთო, ნუ მოჳკლავ ჳერ ჟამად!“ თქჳა: „ბრალ არს
დასამარხავად;

ნუ გჭწჳავ ცეცხლითა ცხელითა, ნუ გაგჭკდი სხჳათა
მზრახავად;

და სოფელო, მოგჭეც სიახლე, ვისთჳის გაქჳს გული მჳმახავად“.

x 1532-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ა გასრულსა (გასულსა), ახა, ვად! (ახა ვა!), ბ დასამარხავად (დასამარხავა), გ გაგუჭვი (გაგუხვი), მზრახავად (მზრახავა), დ მჭმახავად (მჭმახავა), ბ და გ-ის ბოლოს დასმულია წერტილ-მძიმე ბ-ში ბრჭყალებისა და წერტილის ნაცვლად, გ-ში მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.**

ს.შ.: ამ დღეში ჩავარდნილ ტარიელს მზე (= ავთანდილი) დასტირის, ამბობს: „ახ, ვაი! ღმერთო, ნუ მოკლავ ჯერ ცოტა ხანს!“ თქვა: „ცოდვია დასამარხავად; ნუ გეწვავ ცხელი ცეცხლით, ნუ გაგეხდი სხეების დასაძრახავად; წუთისოფელო, გვადირსე მისი (ე. ი. ნესტანის) სიახლოვე, ვის გამოც გული გვაქვს დაძმარებული“.

**1338 პირსა იხოკს, ღაწუთა სისხლი ჩასდიოდა მისსა მჭურეტსა:
რაცა ვქმენო, არ უქნია არცა შმაგსა, არცა რეტსა;
წყალი სწრაფით, რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად
დასაშრეტსა!**

და ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტისმეტსა.

u 1330-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: პირს იხოკს, ღაწუებზე სისხლი ჩამოსდიოდა (ავთანდილს) მის (= ტარიელის) მჭურეტელს: „რაც მოვიმოქმედე, არ უქნია არც შმაგს, არც რეტიანს; წყალი უცბად დავასხი ძნელად ჩასაქრობ ცეცხლს! გული ვერ გაუძლებს მეტისმეტ სიხარულს, უეცრად თუ ეწვია.“

**1339 მე მოგკალ ჩემი მოყუარე: რა მმართვეს გაწბილებულსა?
თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა!
ცრუ კაცი კარგად ვერა იქს საქმესა გაძნელებულსა,
და თქმულა: „ სიწყნარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“**

u 1331-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **გ** იქს (იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს **გ-ში ცრუ-ს** მნიშვნელობის შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ძველ ქართულ ტექსტში დასტურდება **ეცრუა** და **ეუკეთურა** ფორმების რედაქციული მონაცვლეობა (იხ. ილ. აბულაძე 1973, 520). ამდენად შესაძლებელია **ცრუ** აქ „უკეთურს“ ნიშნავდეს.

ს.შ.: მე მოგკალი ჩემი მეგობარი; რა მეკუთვნის მე, შერცხვენილს? თავს ვაბრალებ გულდასმით მოუფიქრებელ საქმეს! უკეთური კაცი კარგად ვერ მოაგვარებს ძნელ საქმეს, თქმულა: „გამობილი აუჩქარებლობა სჯობს ქებულ სიჩქარეს!“

1340 უცნობქმნილი ტარიელ ძეს მსგავსად ნატუსალისად,

ავთანდილ ადგა, გამოვლნა შამბნი საძებრად წყალისად,
მან პოვა სისხლი ღომისა, მოაქუს საესებლად აღისად,
და მკერდსა დაასხა, გა-ვე-ჭდა ლაჟუარდი ფერად ლალისად.

u 1332-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: გონდაკარგული ტარიელი დევს ფერშეცვლილი (გალურჯებული სახით). ავთანდილი ადგა, შამბი გამოიარა წყლის მოსაძებნად, ღომის სისხლი იპოვა, მოაქუს, აღის ჩასაქრობად, მკერდზე დაასხა, ლაჟუარდი ისევ ლალისფერად გადაიქცა (= გალურჯებულ ტარიელს ისევ ფერი მიეცა).

1980. 17. IX

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს: 1341; 1342 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 1343-1345,1 სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1341 ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ღომსა სისხლი ღომისა;
ტარიელ შეერთა, შეიძრა რაზმი ინდოთა ტომისა,
თჟალნი აახუნა, მიეცა ძალი ზე წამოჯდომისა.

და ლურჯად ჩანს შუქი მთჟარისა, მზისაგან შუქნაკრომისა.

u 1333-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა მკერდზე დაასხა იმ ღომს (= ტარიელს) ღომის სისხლი; ტარიელი შეერთა, შეინძრა ინდოთა (ინდოელთა) რაზმი (= წამწამები), თვალები გაახილა, წამოჯდომის ძალა მიეცა, ლურჯად ჩანს მზისგან შუქ მოკლებული მთვარის შუქი.

1342 ზამთარი ვარდთა გააკმობს ფურცელნი ჩამოსცჳივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწჳავს, გჳალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ჳმასა ყივიან, –

და სიცხე სწჳავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯელვე სტკივიან.

u 1334-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ზამთარი ვარდს ახმობს, ფოთლები სცვივა, ზაფხულში მზის სიახლოვე წვაკს, გვალვას უჩივიან, მაგრამ მასზე (= ვარდზე) ბულბულები მშვენიერი ხმით სტვენენ, – სიცხე წვაკს, ყინვა აზრობს, ჭრილობები ორივე შემთხვევაში სტკივა.

1343 აგრევე გული კაცისა მოსაგჭარებლად ძნელია,
ჭირსა და ღხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწვივ წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.

და იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!

u 1335-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი ა-ში მოსაგჭარებლად ფორმის ნაცვლად ზოგი ხელნაწერი კითხულობს: მოსაგებელად. კონტექსტით ეს უფრო გამართლებულია (ტაქის აზრია: ადამიანის გულის მოგება ძნელია).

ც. კიკვიძე: მოსაგებელად ძალიან გამჭირვალე, გასაგები სიტყვაა და გაუგებარია მისი გადაკეთება მოსაგვარებლად ფორმად.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ გულის მოგება ძველ ტექსტებში არ გვხვდება. ამასთან მოგება-ს ძველსავე ქართულში აქვს „მოწყობის, მოწესრიგების“ მნიშვნელობაც. ანგარიში უნდა გაეწიოს ხელნაწერთა და გამოცემათა ტრადიციას.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა მოსაგჭარებლად (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი და ე. მეტრეველი).

ი. გიგინეიშვილი: დ-ის სართომო სიტყვად ზოგ ხელნაწერში (და გამოცემაში) გვაქვს მკლველია, რაც რითმის თვალსაზრისით უკეთესია.

გ. კარტოზიას აზრით, ხელნაწერთა უმრავლესობაში მტერია-ს გაბატონებას, შესაძლოა ხელი შეუწყო იმან, რომ თავის მტერი ფრაზეოლოგიური გამოთქმაა ქართულში.

ა. ბარამიძემ, ც. კიკვიძემ, ე. მეტრეველმა აღნიშნეს, რომ მკლველია მეორეული წაკითხვა ჩანს, რაც იდენტური რითმის საჭიროებით არის გამოწვეული. ელია / ერია ტიპის არაიდენტური რითმა „ვტ“-ში სხვაგანაც დასტურდება.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა თავისა მტერია (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია).

ს.შ.: ასევე ადამიანის გული მოსაწესრიგებლად ძნელია, ჭირსა და ღხინზე – ორივეზე შმაგივითაა, მუდამ წყლულდება (იჭრება), მისი წუთისოფელი არასოდეს არის მრთელი (სადი). ის მიენდოს წუთისოფელს, ვინც თავის მტერია.

1344 ტარიელ ნახა ნაწერი კჷლაცა მკლველისა მისისა,
იკითხავს, თუცა აშეთებს კითხვა წიგნისა მისისა;
დაუყვის ცრემლმან სინათლე, ბნელად ჩანს შუქი დღისასა.

და ავთანდილ ადგა, დაუწყო თხრობა სიტყვისა მქისისა.

u 1336-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ. ტარიელმა ისევ ნახა თავისი მკლველის (= ნესტანის) ნაწერი, კითხულობს, თუმცა ახელებს მისი წერილის კითხვა; ცრემლმა სინათლე დაუფარა, დღის შუქი ბნელად ჩანს. ავთანდილი ადგა, მკვახე საყვედურები უთხრა.

1344,1 მიკვირს, თუ რად ნამუსად გიჩს, ცრემლნი მიგდიან მორევად;
მზე პატიმრად გყავს, სოფელი იჭირვის ჩვენად მორევად;
ფრიდონ მოვიკმით ღომგული, ძმადფიცი ჩვენად სწორევად,
და მან მოგწაშეელოს ლაშქარი მათ გრძნეულთათჳის მორევად.

x 1540-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ და გ ჩვენად (ჩვენდა). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ში გიჩს შეიცვალა გიჩნს ფორმით.

ს.შ.: მიკვირს, რა ნამუსია, ცრემლი რომ მორევად მოგდის; მზე (= ნესტანი) პატიმარია, წუთისოფელი ჩვენს მორევას ცდილობს; ღომგული ფრიდონი მოვიხმით, ჩვენი სწორი ძმადნაფიცი, მან ლაშქარი მოგვაშეელოს იმ გრძნეულების მოსარევად.

1345 იტყჳის, თუ: „ნაქმრად არ ვარგა კაცისა გასწავლილისად,
აწ რადღა გუმართებს ტირილი? ჳამს, დავსხდეთ ქმნად
ღიმილისად;

ადეგ, წავიდეთ, საძებრად მის მზისა წაჯღომილისად!

და ადრე მიგიყვან, მიყვანა არს შენგან მონღომილი სად.

u 1337-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ამბობს: „სწავლული კაცისათვის შეუფერებელი საქციელია (ნამოქმედარია), ახლა რადღა გუმართებს ტირილი? ღიმილის დროა (ჯერარს გავიღიმოთ)! ადექ, წავიდეთ იმ დაკარგული მზის საძებნელად! მალე მიგიყვან (იქ) სადაც გსურს, რომ მიგიყვანო (= საითკენაც მიისწრაფი).

1345,1 ტარიელ მითხარ, სიმღერა მაგ ჳმითა მოგწრინავითა;
ამ ჩემსა სულსა ზღჳას შეერთავ, მზესა შინ მოგწრი ნავითა,
სულ ქაჯთა პირქვე დავამჯობ გველებრიგ მოგწრინავითა,
და თუ ჩემი მოსჳელა გრძნებისა, მოვალ და მოგწრი ნავითა.

x 1542-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა მაგ ჳმითა (მო ხმითა), ბ ჩემსა სულსა (ჩემს ასულსა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ტარიელ, მითხარი სიმღერა მაგ გვრინით, ამ ჩემს სულს ზღვას შეუერთებ, მზეს (= ნესტანს) ნავით შინ მოგგვრი, ქაჯებს მთლიანად პირქვე დავამხობ მხოხავი გველივით.

დ-ის აზრი ბუნდოვანია. კერძოდ, გაუგებარია გრძნებისა ფორმის მნიშვნელობა.

1980. 24. IX

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიბიგური.,

განიხილეს: **1346-1351** სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1346 ვითა გუმართებს გახარება, პირველ აგრე გავიხარნეთ,
მერმე შევსხდეთ, გავემართნეთ, ქაჯეთისკენ თავნი ვარნეთ,
კრმალნი ჩვენნი ვიწინამძღვნეთ, მათნი ზურგით დავიყარნეთ,
და უჭირველნი შემოვიქცეთ, იგი მძორთა დავადარნეთ“.

u 1338-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: როგორც შეგვეფერება, ჯერ ისე გავიხაროთ, შემდეგ შევსხდეთ (ცხენებზე), გავემართოთ, ქაჯეთისაკენ ვიაროთ, ჩვენი ხმლები წინ წავიმძღვართ, მათი (ხმლები) კი ზურგს უკან დავყაროთ, შეუწუხებელნი დავბრუნდეთ, ისინი კი მძორს დავამსგავსოთ.

1347 მერმე ტარიელ ამბავსა ჰკითხავს, აღარა ბნდებოდა,
შეხედნის, თუალნი ამართნის, შავ-თეთრი ელვა კრთებოდა,
მართ ვითა ლალსა მზისაგან, მას ფერი ეზარდებოდა;
და ვინ ღირსა, თუმცა წყალობით ცა მიწყვი მობრუნდებოდა!

u 1339-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის .

ი. გიგინეიშვილის აზრით, დ-ში ღირსა შედგენილი შემასმენელი კი არ არის, არამედ ზმნის მწკრივის ფორმაა (= აღირსა), რომელიც დღესაც იხმარება დასავლურ კილოებში.

ე. მეტრეველი იზიარებს ამ ვარაუდს.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ ღირსა შედგენილი შემასმენელია (= ღირს ა = ღირს არს).

ს.შ.: შემდეგ ტარიელი ამბავს ეკითხება, გული აღარ უღონდებოდა. შეხედავდა, თვალებს ახელდა, (მათგან) შავ-თეთრი ელვა გამოკრთოდა, როგორც ლალს მზისაგან, მას ფერი ემატებოდა; ვინაა ღირსი, რომ (მისთვის) ცა მუდამ წყალობით ბრუნავდეს!

1348 ავთანდილს მადლი უბრძანა, ქმნა უყო საუბარისა:
„მე შენი ქება ვითა ვთქუა, ბრძენთაგან საქებარისა!
ვითა ზემთისა წყარომან, მორწყე ყუთავილი ბარისა,
და დამწყუიდე დენა ცრემლისა, ნარგისთა ნაგუბარისა.

u 1340-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ნარგისთა (ნარგისთათ).

ი. გიგინეიშვილი: გ-ში **ზემთისა** ორ სიტყვად უნდა დაიწეროს! (ვითა ზემთისა წყარომან): **ზე** ან ზმნიზედად უნდა გავიგოთ (= ზემოდან), ან ნაწილაკად (შდრ. **ქვე** სიტყვის ანალოგიური ხმარება „**ვტ.**“-ში **ქვე** წვა, **ქვე** ზის...).

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა **ზემთისა წყარომან** (= ზემო მთის წყარომ).

ც. კიკვიძე: ამავე ტაეპში ზოგი ხელნაწერი **მორწყე**-ს ნაცვლად **მომრწყე**-ს კითხულობს. ვფიქრობ, **მორწყე** უფრო მართებული ფორმაა, როგორც ზოგადი აზრის გადმომცემი.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ეს თვალსაზრისი.

ც. კიკვიძე: დ-ში **ნარგისთათ** ფორმა შინაარსობრივად გაუმართლებელია. **ნარგიზებიდან ნაგუბარი** გაუგებარი შესიტყვებაა. ამიტომ უპირატესობა მივეცით **ნარგისთა** ფორმას: **ნარგისთა ნაგუბარი** = ნარგიზების (ნარგიზების მიერ) ნაგუბარი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა **ნარგისთა**.

ს.შ.: ავთანდილს მადლობა უთხრა, დაუწყო საუბარი: „მე როგორ ვთქვა შენი, ბრძენთაგან საქებარის, ქება! როგორც ზემო მთის წყარომ, მორწყე ბარის ყვავილი, შემიწვიტე ნარგიზების (= თვალების) მიერ დაგუბებული ცრემლის დენა.“

1349 **მე ვერა გიყო, ნაცვალსა ღმერთი გარდიჯდის ციერი,**
 ზეგარდმით მისით შემოგზღოს მუქაფა ჩემმაგიერი!“
 შესხდეს და შინა წავიდეს, მათ ლხინი ჰქონდა ძლიერი;
 და აწ გა-ვე-აძღო სოფელმან ასმათ, ადრითგან მშიერი.

u 1341-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ა-ში **გარდიჯდის** ფორმის ნაცვლად უფრო მართებულია ზოგ ხელნაწერში დადასტურებული **გარდგიჯდის**. შდრ. სხვა ზმნათა სასხვისო ქცევის ფორმები ამავე სტროფში: გიყო, შემოგზღოს.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ **გარდიჯდის**, რომელიც ხელნაწერთა უმეტესობაში გვაქვს, კონტექსტით სავსებით დასაშვები ფორმაა. არ არის აუცილებელი, რომ სტროფში ყველა ზმნა ერთი ფორმით (სასხვისო ქცევის ფორმით) იყოს წარმოდგენილი.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა **გარდიჯდის** (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ბევრი ხელნაწერი წარმოგვიდგენს **ჩემაგიერი** ფორმას. ეს არ არის შემთხვევითი. ამ სიტყვაში ერთი მანის ხმარება ჩვეულებრივია საშუალი ქართულის ძეგლებში.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა – **ჩემმაგიერი**.

ს.შ.: მე ვერაფერს გაგიკეთებ, სამაგიეროს ზეციერი ღმერთი გადაიხდის, მაღლიდან თავისით გიზღავთ ჩემმაგიერ საზღაურს!“ შესხდნენ (ცხენებზე)

და შინ წავიდნენ. მათ დიდი სიხარული ჰქონდათ; ახლა გააძღო (გაახარა) წუთისოფელმა ადრიდან მშიერი (მწუხარე, ტანჯული) ასმათი.

1350 ქუაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არბარგოსანი.
შეხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი, –
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი, –
და მაშინვე იცნა, აგარდა მოშლილი, პერანგოსანი.

u 1342 -თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ქუაბის კართან ასმათი მარტო ზის მოურთავი (ჩაუცმელი). შეხედა, იცნო ტარიელი, მასთან ერთად თეთრცხენიანი მოყმე, – ორივენი კარგად მღეროდნენ, როგორც მომღერალი ბულბული, – მაშინვე იცნო, წამოვარდა თმაგაშლილი, პერანგის ამარა.

1351 აქამდის მიწყივ ენახა ქუაბს მისლვა მოტირალისა,
აწ გაუკვირდა დანახვა სიცილით მომღერალისა.
ზარადებული აგარდა, ცნობა უც ვითა მთრვალისა,
და არ იცის სმენა ამბისა ჯერთ მისგან სასურვალისა.

u 1343-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: აქამდე მუდამ ხედავდა, რომ (ტარიელი) ქუაბში მოტირალი მოდიოდა, ახლა გაუკვირდა მხიარულად მომღერალის დანახვა. გაოგნებული წამოვარდა, გონება მთვრალივით (არეული) აქვს, ჯერ არ იცის, რომ თავის სასურველ ამბავს მოისმენს.

1980. 15. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1352-1354 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1355-1358 სტროფები (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1352 მათ რა ნახეს, შემოჰყივლეს სიცილით და კბილთა ჩენით:
„ჰე, ასმათო, მოგჭივიდა მოწყალება ღმრთისა ზენით:
ვპოვეთ მთჳარე დაკარგული, რაცა გუწაღდა, იგი ვქმენით,
და აწ გაგკვდით ბედისაგან ცეცხლთა შრეტით, ჭირთა ლხენით!“

u 1344-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ პირველ ტაქტში ჰე-ს შემდეგ დასმულია მძიმე.

გ. კარტოზია: ბ-ის ასმათო ფორმაში -ო წოდებითი ბრუნვის ნიშანი კი არ არის, არამედ სხვათა სიტყვის ნაწილაკია. პირთა სახელებთან წოდებითი ბრუნვის ნიშნის დართვა არც ძველ ქართულს, არც ახალ სალიტერატურო ქართულს არ ახასიათებს. სტროფის შინაარსის გადმოცემისას ტექსტში სხვათა სიტყვის ნაწილაკის არსებობა უნდა აისახოს.

ი. გიგინეიშვილი: ასმათო წოდებითი ბრუნვის ხალხური ფორმაა, რომელიც დღესაც გვხვდება და, სავარაუდოა, რუსთველსაც აქვს ნახმარი. პირთა სახელების წოდებითში ბრუნვის ნიშნის დართვა ისეთივე მოვლენაა, როგორც ამავე ტიპის სახელებთან სახელობითსა და მოთხრობითის ნიშანთა დართვა და რაც უკვე ძველ ქართულ ძეგლებსა და „ვტ“-შიც იჩენს თავს.

დაადგინეს: ასმათო-ში ო მინუელ იქნეს წოდებითი ბრუნვის ნიშნად (წინააღმდეგნი – ა. ბარამიძე, გ. კარტოზია). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: მათ რომ დაინახეს, დაუძახეს სიცილით და კბილების ჩენით (= დიმილით): „ჰე, ასმათ, მაღლიდან მოგვივიდა ღვთის წყალობა; ვიპოვეთ დაკარგული მთვარე, რაც გვწადდა, ის გავაკეთეთ, ახლა ბედმა ტანჯვის ცეცხლი ჩაგვიქრო და მწუხარება შევებით შეგვიცვალა!“

1353 ავთანდილ ცხენსა გარდაჰჭდა ასმათის მოსახეველად,
მან მიჰყო ჯელი ალვასა, შტო მოჰყვა მოსარხეველად,
ყელსა და პირსა აკოცებს, არის ცრემლისა მფრქვეველად;
და „რა სცანო, რა ჰქმენ, მიაბზე, ვტირ შენი მოაჯე ველად“.

u 1345-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გარდაჰჭდა (გარდახდა). პროექტი მიღებულ იქნა.

ა. ბარამიძის, გ. კარტოზიას, ს. ცაიშვილის აზრით, ბ-ში (მან მიჰყო ჯელი ალვასა, შტო მოჰყვა მოსარხეველად) მან გულისხმობს ასმათს, ალვა და შტო კი – ავთანდილის ტანს; ი. გიგინეიშვილის, ც. კიკვიძის, ე. მეტრეველის აზრით, მან ავთანდილს მიემართება, ალვა და შტო, – ასმათის ტანს.

ს.შ.: ავთანდილი ცხენიდან ჩამოვიდა ასმათის მოსახეველად; მან (ასმათმა) ხელი მოხვია ალვას (= ტანს), შტო (= ტანი) დაემორჩილა, ყელზე და პირზე ჰკოცნის, ცრემლებს აფრქვევს: „რა გაიგე, რა გააკეთე, მიაბზე, ტირილით გთხოვო“.

1354 ავთანდილ ასმათს უსტარი მისცა მისისა ზრდილისა,
ალვისა შტოდამჯნარისა, მთჳარისა ფერმიჯდილისა;
უთხრა, თუ: „ნახე ნაწერი მის პატიჟგარდაჯდილისა;
და მზე მოგჴეახლა, მოგჴეცა ჩჴენ მოშორება ჩრდილისა“.

u 1346-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა ასმათს მისცა წერილი მისი გაზრდილისა, შტოდამკ-
კნარი ალვისა, ფერმიხდილი მთვარისა (= ნესტანისა), უთხრა: „ნახე იმ ნატან-
ჯის (= ნესტანის) ნაწერი: მზე მოგვიახლოვდა, ჩრდილი მოგვშორდა“.

1355 ასმათ რა ნახა უსტარი, ცნა მისი დანაწერობა,
გაჰკუთრდა, ზარმან აიღო, ათრთოლებს, ვითა ხელობა,
ტერფით თხემამდის გაუკდა მას მეტი საკუთრველობა;
და იტყვის: „რა ვნახე, რა მესმის? არსმცა ამისი მრთელობა?!“.

u 1347-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ გაჰკუთრდა (გაკვირ-
და). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ასმათმა რომ წერილი ნახა, იცნო მისი (= ნესტანის) ნაწერი. გაუკ-
ვირდა, მდელვარებამ აიტანა, ათრთოლებს, როგორც შმაგობა, თავით ფეხამ-
დე შეიპყრო იგი (გაუარა მას) დიდმა გაკვირვებამ ; ამბობს: „რა ვნახე, რა
მესმის? (ნუთუ) ეს მართალია (ეს სინამდვილე იქნება)?!“

1356 ავთანდილ უთხრა: „ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია;
ლხინი მოგწეცა, მოგწეშორდა ყოველი ჭირი ძნელია,
მზე მოგწეახლა, უკუნი ჩუენთუის აღარა ბნელია,
და ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“

u 1348-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს.შ.: ავთანდილმა უთხრა: „ნუ გეშინია, ეს მართალი ამბავია; ლხენა მო-
გვეცა, მოგვშორდა ყველა მძიმე ჭირი, მზე მოგვიახლოვდა, უკუნი აღარ არის
ჩუენთვის ბნელი, ბოროტებს სძლია სიკეთემ, მისი (= სიკეთის) არსებობა
მუდმივია!“

1357 ინდოეთ მეფე მხიარული ასმათს რასმე უბრძანებდა;
ერთმანერთსა ეხწეოდეს, სიხარული ატირებდა;
ვარდსა ზედა ყორნის ბოლო ნამსა თხელსა აპკურებდა.
და კაცსა ღმერთი არ გასწირავს, თუმცა კაცი შეიგებდა.

u 1349-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს.შ.: ინდოთა მეფე (=ტარიელი) მხიარული ასმათს რაღაცას ეუბნებოდა;
ერთმანეთს ეხვეოდნენ, სიხარული ატირებდა; ვარდზე (= სახეზე) ყორნის ბო-
ლო (= წამწამები) თხელ ნამს (=ცრემლებს) აპკურებდა. კაცს ღმერთი არ
გაწირავს, თუ კაცი შეიგნებს.

1358 ღმერთსა მისცეს დიდი მადლი, თქუეს: „გუთიყო, რაცა სჯობდა;
აწუა ვცანით, უარესსა პირი თქუენი არ გაბრჭობდა,

ინდოთ მეფე მხიარული ჯელგანაყრობით ამას ჯმობდა.

და ქუაბს შევიდეს მხიარულნი, ასმათ რასმე მასპინძლობდა.

u 1350-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძის წინადადებით ა-ს ბოლოს დაიხურა ბრჭყალები და დაისვა წერტილი, ბ-ის დასაწყისში გაიხსნა ბრჭყალები. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს.შ.: ღმერთს დიდი მადლობა შესწირეს, თქვეს: „რაც უკეთესი იყო, ის გვიყო“. „ახლად გავიგეთ, თქვენი (= ავთანდილის) პირი ცუდს არ გადა-წვევტა“, ინდოთა მეფე (= ტარიელი) მხიარული ხელგაშლით ამას ამბობდა. გამოქვაბულში შევიდნენ მხიარულნი, ასმათი მასპინძლობდა.

1980. 22. X

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1359-1363 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1359 ტარიელ ეტყუის: „ავთანდილ, ისმინე სიტყუა ასები, გიამბობ რასმე ამბავსა, მოამბედ ნუ გენასები: მე ოდეს ქუაბნი წაუხუნენ, დავვოცე დევთა დასები, და მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირნაფასები.

u 1351-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა ეტყუის: „ავთანდილ, ისმინე (ეტყვის ავთანდილს: „ისმინე), გ წაუხუნენ (წაუხუნენ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელი ეუბნება: „ავთანდილ, მოისმინე ასეთი სიტყვები, გიამბობ რაღაც ამბავს, ცუდ მოამბედ ნუ ჩამთვლი: მე როდესაც გამოქვაბულები წა-ვართვი, დავხოცე დევთა გუნდები, მას შემდეგ აქ დევს მათი ძვირნაფასი განძი.

1360 მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მნდომია; მოდი და გაეცხნათ, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია“. ეამა, ადგეს ორნივე, არცა ქუე ასმათ მჯდომია, და დალეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია.

u 1352-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რამდენადაც არ დამჭირვებია, ამდენად მე არ მინახავს; მოდი და გავხსნათ, გავიგოთ, თუ რაოდენია განძი“. გაუხარდა [ავთანდილს], ორივენი ადგნენ, არც ასმათი დარჩა მჯდომარე, დალეწეს ორმოცი კარი, ომი არ დას-ჭირვებიათ.

1361 პოვეს საჭურჭლე უსახო, კულა უნახავი თუალისა, მუნ იდვა რიყე თუალისა, ჯელწმიდად განათალისა, ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა საბურთალისა; და ვინმცა ქმნა რიცხუი ოქროსა, ვერვისგან დანათუალისა!

u 1353 -თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იპოვეს უმაგალითო განძი, მანამდე თვალთ უნახავი, იქ ყვარა წმინდად გათლილი თვლების რიყე (გროვა), ჩანდა საბურთაო ბურთის ოდენი მარგალიტი; ვინ დათვლის [იმ] ოქროს, ვერავისგან დათვლილს!

1362 იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი.
პოვეს ერთი ზარადხანა, აბჯრისათვის სახლად ქმნილი;
მუნ აბჯარი ყოვლიფერი ასრე იღვა, ვითა მწნილი,
და შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდული, არგაცსნილი.

u 1354-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ის ორმოცივე ოთახი გატენილი იყო. ზარადხანა (= იარაღის საწყობი), იარაღის საცავად გაკეთებული; იქ ყოველგვარი იარაღი ისე იდო, როგორც მწნილი, შიგ ერთი დაბეჭდილი (დალუქული), გაუხსნელი კიდობანი.

1363 ზედა ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,
ჯაჭუ-მუზარადი, აღმასი კრმალი ბასრისა, მჭრელიო;
თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი ძნელიო!
და უმისუამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკლველიო“.

u 1355-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ზედ ეწერა: „აქ დევს საკვირველი იარაღიო, ჯაჭვის პერანგი და მუზარადი, ბასრის აღმასი, მჭრელი ხმალიო; თუ ქაჯები დევებს შეებრძოლებიან, ის დღე იქნება მძიმეო! იმ დრომდე ვინც გახსნის, მეფის მკვლეელი იქნებაო.“

1980. 29. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1364-1366 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 1367-1369 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1364 კიდობანი გაცსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,
რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი:
ჯაჭუნი, კრმალი, მუზარადი, საბარკული მათი გვანი, –
და ზურმუხტისა ბუდეებითა იყენეს ვითა ღუსკუმანი.

u 1356-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბ ვით (ვინ), გ გვანი (მგვანი).

გ. კარტოზია: მგვანი კონიექტურაა: ხელნაწერებში ყველგან უმანო ფორმაა. გვან- ფუძე გვაქვს აგრეთვე გიგვანე (1592) ზმნაშიც. ამიტომ აღვადგინეთ ადრინდელი გამოცემების წაკითხვა.

ს. ცაიშვილი: საბაც გვან-ს იცნობს და არა მგვან-ს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა.

ს. შ.: კიდობანი გაცსნეს, იქ ნახეს სამი ხელი აბჯარი, რასაც კი აისხამს სამი მეომარი მოყმე: ჯაჭვის პერანგი, ხმალი, მუზარადი, მათი შესაფერისი საბარკული, – ზურმუხტის ბუდეებით სკივრებით იყო (= იდო).

- 1365** თითომან თითო ჩაიცუმეს, თავის თავს გამოსცდილიან, ჯაჭუმ-მუზარადსა აბჯარი მართ ვერა ვერ მოჰკიდიან; ჯრმალი რკინასა მოჰკრიან, ვით ბამბის მკედსა სჭრიდიან, და მათ უღირს ყოფლად ქმეყანად, შევატყუმე, არ გაჰყიდიან.
- u** 1357-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა თითომან თითო (თვითომან თვითო), ბ ჯაჭუმ-მუზარადსა აბჯარი (ჯაჭუმ-მუზარადსა, აბჯარსა). პროექტი მიღებულ იქნა.
- ს. შ.:** თითომ თითო [ხელი] ჩაიცვა, თავიანთ თავს ცდიდნენ, ჯაჭვს პერანგსა და მუზარადზე ვერავითარ იარაღს პირს ვერ აკიდებინებდნენ (ე. ი. ვერ აჭრევენებდნენ, ვერ გააჭრევენეს); ხმაღს რკინას [რომ] დაჰკრავდნენ, ჭრიდნენ, როგორც ბამბის ძაფს, მათ მთელ ქვეყნად უღირთ [ეს იარაღი], შევატყვე, რომ არ გაყიდიან.
- 1366** თქუმეს: „ესე ნიშნად გუმეოფის, ვართო კარგითა ბედითა; ღმერთმან მოგუმხედნა თუქალითა, ზეგარდმოთ მონახელითა“. აიღეს იგი აბჯარი თავის-თავისა ქელითა, და თითო მათ, ერთი ფრიდონის საძღუნობლად შეკრეს ღუმელითა.
- u** 1358-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ თითო (თვითო).
- ც.** კიკვიძის წინადადებით, ზეგარდმოთ შეიცვალა ზეგარდმო ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.
- ს. შ.:** თქუმეს: „ეს საკმარისია ნიშნად, კარგი ბედისანი ვართ, ღმერთმა გადმოგვხედა ზემოდან გადმომზირალი თვალითო“. ის იარაღი აიღეს თავთავიანთი ქელით (ე.ი. მხარზე გადაიკიდეს), თითო მათ [აიღეს], ერთი [კი] ფრიდონისთვის საჩუქრად შეკრეს ღვედით.
- 1367** ოქროც რამე წაიტანეს, მარგალიტი ღარიბები; გამოვიდეს, გამობეჭდეს ორმოცივე საჭურჭლები. ავთანდილ თქვა: „ამას იქით დაგამაგრო ვრმალსა ნები, და ამას ღამე არსად წავალ, რა გათენდეს, არ დავედგები“.
- u** 1359-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.
- ს. შ.:** იშვიათი მარგალიტები და ცოტაოდენი ოქროც თან წაიღეს; გამოვიდნენ, დაბეჭდეს ორმოცივე საგანძური. ავთანდილმა თქვა: ამის შემდეგ ხმაღს მოვკიდებ ხელს (ხმაღს ხელს არ გაუშვებ), ამაღამ არსად წავალ, რომ გათენდება, არ დავედგები“.
- 1367,1** აქა, მხატვარო, დახატე ძმათ უმტკიცესნი ძმობილნი, იგი მიჯნურნი მნათობთა, სხუათა ვერვისგან სწრობილნი, ორნივე გმირნი მოყმენი, მამაცობისა ცნობილნი; და რა ქაჯეთს მივლენ, გასინჯოთ ომი ღახუართა სობილნი.
- x** 1565-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა ძმათ (ძმად), ბ სხუათა (სხვისა), დ გასინჯოთ (გასინჯეთ).
- რედაქციის წევრებს სარწმუნოდ მიაჩნიათ ლიტერატურაში წარმოდგენილი არგუმენტები სტროფის ჩანართობის თაობაზე. ს. ცაიშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ ენობრივად გაუმართავია მამაცობისა ცნობილნი, თანაც ცნობილი გვიანდელი მნიშვნელობით არის ნახმარი.

მეოთხე ტაეპში დაისვა მძიმე: გასინჯოთ ომი, ლახუართა სობილნი, ფრა-
ზის შინაარსი ასე იქნა გაგებული: ნახავთ ომს და ლახვრით განგმირულეხს.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: აქ, მხატვარო, დახატე ძმებზე უფრო მტკიცე ძმობილები, მნათობთა მიჯნურები, სხვისაგან ვერავისგან ნაჯობნი, ორივე გმირი მოყმე, ვაჟკაცობით ცნობილნი; ქაჯეთში რომ მივლენ, ნახავთ ომს და ლახვრით დაჭრილებს.

1368 **რა გათენდა, გაემართნეს, წაიტანეს ასმათ თანა,
ნურადინის ქუეყანამდის შეისწიან მათ უკანა;
მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღწანა;
და აეთანდილ კმა ყოლაუზად, სხუამცა ვინდა წაიტანა!**

u 1360-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს. შ.: რომ გათენდა, წავიდნენ, ასმათი თან წაიყვანეს, ნურადინის ქვეყნამ-
დე [ცხენზე] უკან შემოისვეს; იქ ვაჭარმა ცხენი მისცა ოქროს ფასად, კი არ
აჩუქა; ავთნდილი კმარა მეგზურად, სხვას ვიდას წაიყვანს [ტარიელი]!

1369 **იარეს და ზედა შეჰკდეს ნურადინის მეჯოგეთა;
ჯოგი ნახეს, მოეწონა, ფრიდონისთჳის ვაგეთა.
მუნ აეთანდილს ინდო ეტყჳის; „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა,
და მოდი, ფრიდონს ველაღობნეთ, ჯოგსა მისსა მოვადგეთა!**

u 1361-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა შეჰკდეს
(შეხდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იარეს და ზედ მიადგნენ ნურადინის მეჯოგეებს; ჯოგი ნახეს, მო-
ეწონათ, ფრიდონის შესაფერისად მიიჩნიეს. აქ აეთანდილს ინდო (= ტარი-
ელი) ეუბნება: „კარგ სიშმაგეს ჩაგადენინებ, მოდი, ფრიდონს გავეხუმროთ,
მის ჯოგს [წასართმევად] დავერიოთ!“

1980. 5. XI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტ-
რეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1369,1 – 1375 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1369,1 **მიუვდეს, ჯოგი წაუსხეს, დაღეწეს ჩიხი და ღობა,
იგ უყჳეს შეუტყობელად მათ ლაღთა კარგი ლაღობა;
ფრიდონ გაფრთხილდა საომრად, მაგრამ ტარიელ დაღობა.
და სამთავ შეენოღა სიცილი და ტკბილი ამხანაგობა.**

სტროფი მხოლოდ A⁵-შია, დაბეჭდილია წიგნში: ს. ყუბანეიშვილი, ვეფ-
ხისყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, 1959, გვ. 327. იქ დაბეჭ-
დილ ტექსტთან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მესამე ტაეპის
ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად წერტილია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მისცივდნენ, ჯოგი წაასხეს, დაღეწეს ჩიხი და ღობე, ეს იხუმრეს
გახარებულებმა (ფრიდონისთვის) მოულოდნელად; ფრიდონი საომრად მოემ-

ზადა, მაგრამ ტარიელი გადაელობა. სამივეს შვენოდა სიცილი და ტკბილი ამხანაგობა.

1370 ჯოგი წაუღოთ, მოსრულნი ვესმით ჯოგისა წადებად,
გამოემართვის საომრად, ველთა სისხლითა დაღებად,
ანაზდად გწიცირობს, გაკრთების, გულსა შელამის დაღებად, –
და ამოა კარგი ლაღობა, ლაღსა შეგე-იქს ლაღებად“.

u 1362-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა წაუღოთ (წავეუღოთ), დ შეგე-იქს (შეგე-იქმს). პროექტი მიღებულ იქნა. 1980. 19. XI-ის სხლომაზე ანაზდად შეიცვალა ანაზდათ ფორმით (შდრ. 10763).

ს. შ.: ჯოგი წავართვათ, ვგონება, რომ ჯოგის წასართმევად მოვედით, გამოემართება საომრად, ველების სისხლით შესაღებად, ანაზდეულად გვიცნობს, შეცბება, შეეცდება გულის დაწყნარებას, – საამოა კარგი ხუმრობა, მხიარულს კიდევ უფრო გაამხიარულებს“.

1371 დაუწყეს პერობა ტაიჯთა ფრიდონის უკეთესებსა.
მუნ მეჯოგეთა ფანოსი შეექმნა, ეკრა კუესებსა;
უყივლეს: „ვინ ხართ, მოყმენო, ვინ იქთ საქმესა ზესებსა?
და ჯოგი მისია, ვინ მტერსა ჰკრავს ჳრმაღსა, არ აკუნესებსა“.

u 1363-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გ იქთ (იქმთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დაუწყეს ფრიდონის საუკეთესო ცხენებს დაჭერა. იქ მეჯოგეებმა აანთეს სანიშნო ცეცხლი, კვესებს გაჰკრეს; შეუძახეს: „ვინ ხართ, მოყმენო, ვინ ჩადიხართ თქვენს შეძლებაზე აღმატებულ (თავხედურ) საქმეს? ჯოგი მისია, ვინც მტერს ხმაღს ჰკრავს [მოსაკლავად] და არ აკუნესებს (კუნესას არ დააცლის)“.

1372 მათ მშვილდები დაიწყადეს, მეჯოგეთა გაეკიდნეს.
მეჯოგენი მიიზახდეს, ვმანი მათნი გაადიდნეს:
„გწიშეღეთო, გწიშეღეთო, მეკობრეთა ამოგწყწიღნეს!“
და ვმა შეიქმნა, შეიყარნეს, ფრიდონს ჰკადრეს, არ დარიდნეს.

u 1364-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: მათ მშვილდები მოიმარჯვეს, მეჯოგეებს გაეკიდნენ. მეჯოგეები ყიჟინით გარბოდნენ, ყვირილს უმატეს: „გვიშეღეთო, გვიშეღეთო, მეკობრეებმა ამოგწყწიღნესო!“ ატყდა ხმაური, მოგროვდნენ, ფრიდონს მოახსენეს, არ დაერიდნენ.

1373 შეეკმაზა ფრიდონ, შეჯდა, შეკაზმული გამოვიდა.
ვმა შეიქმნა, შეიყარნეს, რაზმი ველთა დაჰფარვიდა.
იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაზურვიდა;

და დაეხურა ზარადები, პირსა მათსა უფარვიდა.

u 1365-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონი მოემზადა, შეჯდა [ცხენზე], აღჭურვილი გამოვიდა. ატყდა ხმაური, მოგროვდნენ, რაზმი მინდვრებს ფარავდა. მოეგებნენ ის მზეები (= ტარიელი და ავთანდილი), რომლებსაც ზამთარი ვერ დააზრობდა (= ტანჯვა ვერ დააძაბუნებდა); ჩამოეხურათ ჯაჭვის ბადეები, მათ პირს უფარავდა.

1374 რა ტარიელ ფრიდონ იცნა, თქვა: „ვნახეო ვინცა მინა“.

მუზარადი მოიხადა, გაიღიმნა, გაიცინა;

ფრიდონს უთხრა: „რასა ღამი, ჩქენი მოსლვა რას გეწყინა?

და პურად ავი მასპინძელი მოგუეგებვი ომად წინა!“

u 1366-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ტარიელმა რომ ფრიდონი იცნო, თქვა: „ვნახე, ვინც მინდაო“. მუზარადი მოიხადა, გაიღიმა, გაიცინა; ფრიდონს უთხრა: „რასა ღამობ (რას ჩადი), ჩვენი მოსლვა რად გეწყინა? პურად ცუდი მასპინძელი წინ საომრად გვეგებები!“

1375 ფრიდონ ფიცხლა გარდაიჭრა, დავარდა და თაყუანისცა,

იგინიცა გარდაუგდეს, მოეხუივნეს, აკოცისცა.

ფრიდონ ღმერთსა გელაპყრობით უსაზომო მადლი მისცა;

და დიდებულნი აკოცებდეს, იცნობდიან იგი ვისცა.

u 1367-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა თაყუანისცა (თაყვანის-სცა). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონი სწრაფად გადმოიჭრა [ცხენიდან], დავარდა [მიწაზე] და თაყვანი სცა, – ისინიც ჩამოუხდნენ [ცხენიდან], მოეხვივნენ, აკოცეს კიდევ. ფრიდონმა ხელაპყრობით ღმერთს უზომო მადლი შესწირა; დიდებულები, ვისაც ისინი იცნობდნენ, კოცნიდნენ.

1980. 12. XI

სხლომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1376-1378 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1376 ფრიდონ უთხრა: „რასა სდეგით? მოგელოდი უწინარე,

მე მზა ვარო, სამსახური თქუენი რამცა დავიზარე!“

ჰგვანდა, თუმცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთჭარე,

და ერთმანერთი დააშუენეს, გაემართნეს, იქცეს გარე.

u 1368-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა უთხრა: „რად დაყოვნდით? უფრო ადრე მოგელოდით, მე მზად ვარ, თქვენთვის რა სამსახურს დავიზარებო!“ [იმას] ჰგავდა, რომ [ერთად] შეყრილიყვნენ ორი მზე და ერთი მთვარე, ერთმანეთი დაამშვენეს, გაემართნენ, გაბრუნდნენ [ფრიდონის სასახლისაკენ].

1377 ფრიდონის სახლსა გარდავდეს ორნივე, ტურფად გებულსა.
ახლოს დაისუამს ავთანდილს, მისსა ძმადშეფიცებულსა;
ტარიელ დაჯდა საჯდომსა, ოქსინოგარდაგებულსა;
და მათ უძღვნეს იგი აბჯარი ფრიდონს, ჭაბუკად ქებულსა.

u 1369-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ სტროფში ტაეპები ასე გადაანაცვლა: აგბდ. პროექტი ამ ცვლილებით მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონის საუცხოოდ ნაშენ სახლში ჩამოხდნენ ორივენი. ტარიელი დაჯდა ოქსინოგადაფარებულ ტახტზე; ახლოს დაისვა ავთანდილი, თავისი ძმადნაფიცი; მათ მიუძღვნეს ის აბჯარი ფრიდონს, ვაჟაკად ქებულს.

1378 უთხრეს: „ჯერთ ჟამად არა გუაქუს სხუა შენთჳის არმადანია,
მაგრა ტურფანი მრავალნი ქუე სამე გუისხენ სხუანია“.
მან დასდვა პირი მიწასა, არ დაიყოვნა ხანია;
და „ჩემთჳის ამისი ბოძება არს თქუენი შესაგვანია“.

u 1370-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: უთხრეს: „ჯერხნობით სხვა ძღვენი შენთვის არა გვაქვს, მაგრამ მრავალი სხვა ძვირფასეულობა სხვაგან გვაქვს“. მან მიწას პირი დაადო (თაყვანი სცა), არ დაყოვნა: „ჩემთვის ამის (= აბჯრის) ბოძება თქვენს შესაფერია (ეს ძღვენი თქვენი შესაფერისია).

1980. 19. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1379-1384 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1379 გამოისჳენეს მას ღამით ფრიდონის მასპინძლობითა;
აბანოს ბანნა, აავსნა შესამოსლისა ძღუნობითა,
დამოსნა ტურფა-ტურფითა, ერთმანერთისა მჯობითა,
და თუალ-მარგალიტი ღარიბი უძღუნა ოქროსა გობითა.

u 1371-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: იმ დამით მოისვენეს ფრიდონის მასპინძლობით; აბანოში აბანა [ისინი], მრავლად უძღვნა სამოსელი, შემოსა საუცხოო, ერთმანეთის მჯობი [სამოსით], უძღვნა იშვიათი თვალ-მარგალიტი ოქროს გობით.

1380 უთხრა, თუ: „ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა, ჰგავს, მომწყნოდეს სტუმრობა თქვენ ბრძნისა ვითა ხელისა, მაგრა აწ ყოვნა არ ვარგა, წავლა სჯობს გზისა გრძელისა, და თუ ქაჯნი მოგწესწრებიან, საეჭუი არს სიძნელისა.

u 1372-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: უთხრა: „ეს ცუდი მასპინძლის სიტყვაა, თითქოს მომწყნოდეს თქვენი, ბრძენთა, სტუმრობა, ისე როგორც შმაგებისა, მაგრამ ახლა დაყოვნება არ ვარგა, გრძელი გზის გაველა [დროულად] სჯობს, ქაჯებმა რომ მოგვასწრონ, [ომი] გაძნელდება (საფიქრებელია სიძნელე).

1380,1 კწლავ ფრიდონ ეტყუის: „რაც გწადდეს, ჩემზედა ნუ გაქწს რიღია,

ეს თავი ჩემი თქვენისა ფერჯისა გზა და ვიღია, ოქრო და ლარი აიღეთ, ორნივე სალაროს მიღია;

და ესეცა ბრძანეთ, ლაშქარი ცოტა გვინდა თუ დიღია?“.

x 1577¹-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა ეტყუის (ჰკადრა), გწადდეს (გინდეს), ჩემზედა (ჩემგან თქვენ), გაქწს (გაქვთ), გ ოქრო და ლარი (თვალ-მარგალიტი), ორივე (ორნივე), დ ცოტა (მცირე). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა კვლავ უთხრა [მათ]: „რაც გწადდეთ, ნურაფერს მომერიდებით (მითხარით); ეს ჩემი თავი თქვენი ფეხის გზა და ხიღია; ოქრო და ლარი აიღეთ, ორივე სალაროში მიღევს; ესეც ბრძანეთ, მცირე გვინდა ლაშქარი თუ დიდი?“.

1381 დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა? კარგნი გწინდან და ცოტანი; სამასი კაცი გწეყოფის, წავიღეთ მართ მეოტანი; ჩწენ ქაჯეთს ქაჯთა საომრად დავაგნეთ ვრმალთა კოტანი, და მას ადრე ვჰპოვებთ, ვისიცა მოგწკლავს ალვისა, მო-, ტანი.

u 1373-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: დიდბალ ჯარს რას ვაქნევთ? (= დიდი ლაშქარი რად გვინდა?) კარგი გვინდა და ცოტა; სამასი კაცი გვეყოფა, [სწრაფად] წავიღეთ, როგორც მართლაც გაქცეულნი; ქაჯეთში ქაჯებთან საომრად ხმლებს დავაგოთ კოტები (= მოვამზადოთ ხმლები), მალე ვპოვებთ მას (ნესტანს), ვისი ალვის ტანიც გვკლავს.

1382 ქაჯეთს ერთხელ კჷლაც ყოფილვარ, ნახავთ, თქვენცა გემაგრების; ყოველგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების; თუ იღუმაღ არ შეუვალოთ, ცხადად შებმა არ ეგების, და მით ლაშქარი არად გჷინდა, რაზმი მალეით ვერ მოგჷყვების“.

u 1374-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ქაჯეთში (ქაჯეთის ციხესიმაგრეში) ერთხელ ადრეც ყოფილვარ, ნახავთ, თქვენც მაგრად მიინევთ; ყოველი მხრიდან კლდეა, მტერი გარეშემო ვერსაით მიუდგება; თუ მალულად არ შევალთ, აშკარად შებრძოლება არ ეგების (შეუძლებელია), ამიტომ [დღი] ლაშქარი არაფრად გვინდა, რაზმი მალულად ვერ გამოგვეყვება“.

1383 იგინიცა დაემოწმნეს ამა მისსა ნაუბარსა. მუნ დააგდეს ქალი ასმათ, ფრიდონ მისცემს საჩუქარსა. თჷით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს, გმირთა დარსა. და ბოლოდ ღმერთი გაუმარჯჷებს ყოველსა, პირველ შენაზარსა.

u 1375-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ისინიც დაეთანხმნენ მის ამ ნათქვამს. იქ (ფრიდონისას) დატოვეს ასმათი, ფრიდონი საჩუქარს აძლევს. თვითონ გმირთა დარი (ტოლი) სამ-ასი კარგი მეომარი წაიყვანეს. ღმერთი თავიდან დატანჯულს ბოლოს ყველას გაამარჯვებინებს.

1384 ზღჷა გაიარეს სამთავე ერთგან ძმად შეფიცებულთა; ფრიდონ გზა იცის, იარეს დღისით და ღამით რებულთა. ფრიდონ თქჷა: „ვახლავთ არეთა ჩჷენ, ქაჯეთს მიახლებულთა, და აქათგან ღამით ვლა გჷინდა მით არას გამჷდავანებულთა“.

u 1376-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ იარეს დღისით (იარეს, დღისით). პროექტი მოღებული იქნა.

ს. შ.: ერთად გაიარა ზღვა სამივე ძმად შეფიცულმა; ფრიდონმა გზა იცის, იარეს დღისით და ღამით (იარეს დღისით და ღამით მოსიარულეებმა). ფრიდონმა თქვა: „ქაჯეთთან ახლოს ვიმყოფებით (ახლო ვართ ქაჯეთთან ახლომდებარე ადგილებთან), აქედან ღამე უნდა ვიაროთ, რომ არ გავჷდავანდეთ“.

1980. 26. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.
განიხილეს სტროფები: 1385 – 1390 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1385 ამა ფრიდონის თათბირსა სამნივე ერთგან ზმიდიან:
რა გაუთენდის, დადგიან და ღამით ფიცხლა ვლიდიან;
მივიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთ აღვიდიან,
და გარე კლდე იყო, გუშაგთა ვმა ჯარვით გაადიდიან.
u 1377-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ბ** ფიცხლა (ფიცხლად). პროექტი მიღებულ უქნა.

ს. შ.: ფრიდონის ამ რჩევას სამივენი ერთად ასრულებდნენ: რომ გაუთენდებოდათ, გახერდებოდნენ, ღამით [კი] სწრაფად მიდიოდნენ; მივიდნენ, გამოჩნდა ქალაქი, იმდენი მცველი იყო, ვერ დაითვლიდი (მცველებს ვერ თვლიდნენ), გარეთ კლდე იყო, გუშაგები ხმამაღლა იძახდნენ.

1385,1 ყოვლგნით მგრგჷალი, შეუვალი, არსით იყო ყოლა პირი;
სამთა კართა ცხრა ათასი ზედა სცვიდა მოყმე გმირი;
შუა ციხე ამართული, კლდე კეკლუცი, არ დუხჭირი,
და გჷირაბითა შესავალი, ავჷრეტილი, ვითა სტჷირი.

x 1584-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ა** მგრგჷალი (მრგვალი), **დ** შესავალი, ავჷრეტილი (შესავალი ახერეტილი).

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს სტროფის ნამდვილობა-ჩანართობის თაობაზე.

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ სტროფს იცნობს ყველა დაუზიანებელი ხელნაწერი, ამასთან, შინაარსობრივად და ენობრივადც გამართულია. ვახტანგის გამოცემაში მისი არ არსებობა საკმარისი არგუმენტი არ არის სტროფის ჩანართად ჩასათვლელად.

ა. ბარამიძეს სტროფი ჩანართად მიაჩნია. მისი აზრით, აქ საქმე გვაქვს ინტერპოლატორისათვის დამახასიათებელ განმეორებასა და დეტალიზაციასთან. ქაჯეთის ციხის აღწერა, მცველთა რაოდენობის აღნიშვნა ადრე ნათქვამის გამეორებაა. სტროფი ენობრივად გაუმართავია. უადგილოდ არის ნახმარი სიტყვები: **პირი, კეკლუცი, დუხჭირი, ავჷრეტილი, სტჷირი.**

ს. ცაიშვილიც ფიქრობს, რომ სტროფში ინტერპოლატორი უბრალოდ იმეორებს ადრე ნათქვამს. შდრ. „სამთა კართა ცხრა ათასი ზედა სცვიდა მოყმე გმირი“ და „გჷირაბის კარსა ნიადგ მოყმე სცავს არ პირნასები, ქალაქის კართა სამთავე – სამათას-სამათასები“ (1238_{1,3}).

გ. კარტოზიას აზრით, ესა და მომდევნო სტროფი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. თუ მომდევნო სტროფში გვირავის მცველთა რიცხვის აღნიშვნას არ ჩავთვლით ინტერპოლატორის ნახელავად, ასევე უნდა მოვიქცეთ ქალაქის კართა მცველების რიცხვის აღნიშვნის შემთხვევაშიც. ენობრივადც სავსებით გამართული სტროფია.

ი. გიგინეიშვილიც მხარს უჭერს სტროფის ნამდვილობას და აღნიშნავს, რომ სტროფში ყველაფერი რიგზეა ენობრივი თვალსაზრისით. **კეკლუცი, კერ-**

ძოდ, სავსებით ბუნებრივია ამ კონტექსტში. ასევე გასაგებია **დუსტირი**, პირი და სხვ.

ც. კიკვიძეს მიაჩნია, რომ **კლდეკელუცი** ციხის მსაზღვრელი სიტყვაა და ამიტომ შერწყმულად უნდა დაიწეროს.

სტროფი ჩანართად მიაჩნიათ ა. ბარამიძეს, ს. ცაიშვილს, შ. ძიძიგურს; ძირითადად – გიგინეიშვილს, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს. მოგვიანებით სტროფის ჩანართობა გაიზიარა ე. მეტრეველმაც.

ს. შ.: ყოველი მხრიდან მრგვალი, შეუვალი [იყო ქალაქი], სრულიად არსაიდან იყო შესასვლელი, სამ კარს ცხრა ათასი გმირი მოყმე იცავდა, შუაში ციხე [იყო] ამართული, მშვენიერი, არა უშნო კლდე, გვირგვინით შესასვლელი, ახვრეტილი, როგორც სტვირი.

1386 გვირაბის კარსა ჭაბუკი ათი ათასი მცველია.

მათ ლომთა ნახეს ქალაქი, მთწარე დგას მუნ ნათელია;

თქვეს: „ვითათბიროთ, ვითა ვქმნათ, აწ გამორჩევა ძნელია;

და ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“.

u 1378-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში უფრო სწორია წაკითხვა – „ერთი ათასსა აჯობებს“. ასეა A³-ში. სხვა ნუსხებში **ერთი** ან ათად არის გადაკეთებული, ან ასად. ყოველ შემთხვევაში, თუ ერთი არ იქნა მიღებული, მე მხარს დავუჭერ ათს.

ც. კიკვიძე **ასს** მეორეულ წაკითხვად თვლის და მართებულად მიაჩნია **ათი**.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა – „ასი ათასსა აჯობებს“ (წინააღმდეგი – **ი.** გიგინეიშვილი და ც. კიკვიძე).

ს. შ.: გვირაბის კარზე ათი ათასი რაინდია მცველი. იმ ლომებმა (= ტარიელმა, ავთანდილმა, ფრიდონმა) ნახეს ქალაქი, ნათელი მთვარე იდგას; თქვეს: „ვითათბიროთ, როგორ მოვიქცეთ, ახლა შერჩევა ძნელია; ასი ათასს აჯობებს, თუ უმჯობეს [ხერხს] გამოიხატავს.“

1387 ფრიდონ თქვა: „სიტყვას სიტყვასა, ვეჭუ, ჩემი არ დამცდარია;

ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია;

პირისპირ ომი არ ძალგუიცი, არ ჟამი საკუეხარია,

და ათას წელ ვერსით შეუვალოთ, თუ ზედ დაგუიკშან კარია.

u 1379-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა თქვა: „სიტყვას ვიტყვი, ვფიქრობ, ჩემი [ნათქვამი] მცდარი არ არის: ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქს დიდი ლაშქარი უნდა ეომოს (ქალაქს დიდი ლაშქარი თუ შეებრძოლება); პირისპირ ბრძოლა არ შეგვიძლია, კვეხნის დრო არ არის, ათას წელს ვერსაიდან შეუვალოთ [ქალაქში], თუ კარს დაგვიხმავენ.“

1388 ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან, მასწავლენს მათნი საქმენი, მახლტუნებდიან, მწერთიდიან; ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალი ვერ მომკიდიან, და ვინცა მჭურეტდიან ყმაწვილნი, იგიცა ინატრიდიან.

u 1380-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ჩემს ბავშობაში გამზრდელები მუშაითობას მასწავლიდნენ, მასწავლეს მათ (მუშაითების) საქმეები, მახლტუნებდნენ, მწვრთნიდნენ; ისე გავიდი სოლმე თოკზე, რომ თვალს ვერ მომკრავდნენ, ვინც მიჭურეტდნენ ყმაწვილები, შემომნატროდნენ.

1389 აწ ვინცა ვიცით უკეთე შეტყორცა საგდებელისა, მან ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წყერი საბლისა გრძელისა, მას ზედა გავლა ასრე მიჩნს, ვითა გარბენა ველისა, და თქვენ ჭირად გიყო შიგანთა პოვნა კაცისა მრთელისა.

u 1381-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: გ მიჩნს (მიჩნს). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ახლა ვინც უკეთესად ვიცით ქამანდის ტყორცნა, ერთ-ერთ ბურჯზე გადავაცვათ გრძელი თოკის წვერი, მასზე (თოკზე) გავლა ისე მიმანია, როგორც ველის გარბენა, თქვენ საძნელოდ გაგიხდით შიგნით მყოფთა შორის მრთელი (ცოცხალი) კაცის პოვნას.

1980. 3. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1390 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 1391-1393 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1390 აბჯრითა გავლა არად მიჩნს ჭირად, გატანა ფარისა; შიგან ჩავლხტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა, ლაშქართა დავკოც, გავახუამ, ნახოთ გადება კარისა! და თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმას ზრიალი ზარისა“.

u 1382-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ა მიჩნს (მიჩნს).

ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ პირველი ტაეპი რიგ ხელნაწერში განსხვავებულად იკითხება: „აბჯრითა გავალ, არად მიჩნს ჭირად გატანა ფარისა“.

რედაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს პროექტის წაკითხვას. პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს. შ.: აბჯრით გავლა და ფარის გატანა არავითარ სიძნელედ არ მი-
მანია; შიგ (= ქალაქში) ჩაეხტები მარდად, ქარივით ვეცემი მათ, ლაშქარს
დაეხოცავ, კარს გავადებ, ნახავთ მის გაღებას! თქვენც იქ მოლით, სადაც შე-
მოგესმებათ თავზარდამცემი ხმაური“.

1391 ავთანდილ უთხრა: „ჰე, ფრიდონ, მოყუასნი ვერ გიჩივიან:
ლომთა მკლავთაგან იმედი გაქუს, არა წყლულნი გტკივიან;
სთათბირობ ძნელსა თათბირსა, მტერთა ივაგლახ-ივიან,
და მაგრა თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყივიან!

u 1383-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა ჰე, ფრიდონ
(ჰე ფრიდონ).

o. გიგინეიშილი: მეოთხე ტაეპში უმჯობესია ზოგი ხელნაწერის ვარი-
ანტი – **ახლო-ახლოს**. გაორკეცებულ კომპოზიტიში პირველ ნაწილზე ბრუნვის
ნიშნის (-ს) დაურთველობა საგსებით გასაგებია.

გ. კარტოხია: **ახლო** ზმნიზედა დამოუკიდებლად „ვეფხისტყაოსანში“,
მართალია, არა გვაქვს (**ახლოს** ფორმა იხმარება), მაგრამ იგი უკვე ძველ
ქართულში გვაქვს. ამდენად **ახლო-ახლო** საგსებით დასაშვები ფორმაა
რუსთველთან.

ც. კიკვიძე: **ახლო-ახლოს** შესაძლებელი ფორმაა, მაგრამ არ ჩანს
საფუძველი **ახლო-ახლო-ს** დაწუნებისა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა – **ახლო-ახლო**. პროექტი უცვლელად
იქნა მიღებული.

ს. შ.: ავთანდილმა უთხრა: ჰე, ფრიდონ, მახლობელნი ვერ გიჩივიან: ლო-
მი (ძლიერი) მკლავების იმედი გაქვს, ჭრილობები არ გტკივა; [მოწინააღ-
მდევისათვის] საძნელო რჩევას იძლევი, მტრები ივაგლახებენ და „ვაის“
იტყვიან, მაგრამ თუ გესმის, გუშაგები რა ახლო-ახლო ხმიანობენ!

1392 რა გახჭიდოდე, გუშაგთა ესმის აბჯრისა ჩხერება,
გიგრძნობენ, თოკსა მოჰკუთენ, ამისი ვამს დაჯერება;
წაგივდეს ცუდად ყუელაი, დაგრჩეს ცუდიდა ფერება,
და ეგე თათბირი არ ვარგა, სხვაებერ ვქმნათ თავის ტერება.

u 1384-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს. შ.: [თოკზე] რომ დაიწყებ გასვლას, გუშაგები გაიგონებენ აბჯრის ჩხა-
რუნს, გაგიგებენ, თოკს გადაჭრიან, ეს უნდა დაიჯერო; ყველაფერი ამაოდ ჩა-
გივლის, შეგრჩება ამაო მცდელობა, ეგ რჩევა არ ვარგა, სხვაგვარად ვუპატ-
რონოთ თავს (სხვა რამ მოვიმოქმედოთ).

1393 სჯობს, დადგით დამალულნი თქვენ ადგილსა იდუმალსა,
ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს შემავალსა,
სავაჭროთა შევეკაზმვი, ვიქ საქმესა სამუხთალსა,

და ერთსა ჯორსა გარდავჰკიდებ მუზარადსა, ჯაჭუსა, კრმალსა.

u 1385-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გ ვიქ (ვიქმ), სა-
მუხთაღსა (მე მუხთაღსა). პროექტი მიღებულ იქნა.

მთავარი რედაქციის წევრები იზიარებენ ი. გიგინეიშვილის თვალსაზ-
რისს „სამუხთაღსა“ ფორმის პირვანდელობის შესახებ (იხ. მისი „გამოკვლე-
ვები“, I თბ., 1975, გვ. 313-316).

ს. შ.: ჯობია, თქვენ განერდით ფარულ ადგილას დამალული, ისინი არ
აკაგებენ ქალაქში შემავალ მგზავრებს, სავაჭრო [ტანსაცმლით] მოვიკაზმები,
მუხანათურ საქმეს ჩავიდენ, ერთ ჯორს გადავკიდებ მუზარადს, ჯაჭვის პე-
რანგსა და ხმალს.

1980. 10. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკ-
ვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1394-1397,2 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1394 სამთავე შესვლა არ ვარგა, თუ გუიგორძან, არს სათუები;
მე მარტო შევალ ვაჭრულად და კარგად შევეტყუები,
მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გაფნდები, გავეცრუები,
და ღმერთმან ქნას, უხუად ვადინო შიგნით სისხლისა რუები!

u 1386-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში შიგნით უნდა შეიცვალოს შიგანთ (= შიგნით მყოფების) ფორმით (შდრ. A³-ის წაკითხვა: ვადინო [ში]განთა სისხლ-
თა რუები). მომდევნო სტროფის საწყისი სიტყვის ამოსავალი შიგანთა ფორმა
ანალოგიურად არის შეცვლილი შიგნითა / შიგნით ფორმებით მთელ რიგ
ხელნაწერსა და გამოცემაში.

მთავარი რედაქციის სხვა წევრები წინააღმდეგი არიან კონიექტურისა.
პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს. შ.: სამივეს [ერთად] შესვლა არ ვარგა, თუ გაგვიგებენ, სათუთა (სა-
ეჭვო გახდება ჩვენი საქმე), მე მარტო შევალ როგორც ვაჭარი და თავს კარ-
გად შევატყუებ, მალულად ჩავიცვამ აბჯარს, გამოვფნდები, გავაეცრუებ [მათ],
ღმერთმან ქნას, შიგნით უხვად ვადინო სისხლის რუები!

1395 შიგანთა მცველთა მოვიცლი მე უნახავად ჭირისად,
თქვენ გარეთ კართა ეცენით ყოველნი მსგავსად გმირისად;
კლიტეთა დაფლევწ, გავახუამ, დამიდგამს ვერ ქვიტკირი სად.
და თუ რა სხუა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩეველად ამ
პირისად“.

u 1387-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: შიგნითა (შიგნით მყოფ) მცველებს გაუჭირვებლად მოვიცილებ, თქვენ ყველანი გარეთ კარებს ეცით გმირულად; საკეტებს დავლეწავ, გავაღებ, ვერსად ვერავითარი ქვიტკირი ვერ გამიძლებს. თუ სხვა [ხერხი] სჯობია, თქვენ თქვით, [მე] ამ საქმის მრჩეველი ვარ“.

1396 ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა, თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა; ვიცი, გწადს ომი ფიცხელი, არ ცუდი ვრმალთა ღირობა, და კაციმცა მაშინ თქვენ გახლავს, რა ომმან ქმნას გაჭირობა.

u 1388-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ტარიელმა უთხრა: „მე გავიგე თქენი გმირთა უმეტესი გმირობა, თქვენს ძალასა და გულადობას შვიფერის თქვენივე თათბირი, რჩევა; ვიცი, ფიცხელი ომი გწადიათ, ხმლების არა ამო მოღერება, კაცი მაშინ უნდა იყოს თქვენთან, ომი რომ გაძნელდება.

1397 მაგრა იყვენით ჩემთუისცა საქმისა რასმე რჩევითა: ვმა ესმას ჩემსა ხელმქმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა, თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა? და ესე მე დამსჯრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა.

u 1389-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: მაგრამ ჩემთვისაც რაიმე საქმე გამოარჩიეთ: ჩემს გამშმაგებელს (= ნესტანს) [ბრძოლის] ხმა შემოესმას, ზევიდან მზესავით გადმოდგეს, თქვენ [კი] ფიცხელი ომი გქონდეთ, მე როგორ მნახოს უომრად? ეს მე შემარცხვენს, საამებელ სიტყვებს ნუ მეუბნებით.

1397,1 როს ვიყვენით ორნივ შვებით, გვქონდის ღხინი უკლებელად, მისთვის ვლეწენ სამეფონი და ავწყვიტენ მხეცნი ველად; აწე თვის წინ საომარსა ვით ვყო თავი უკუმვლეულად, და არ ვაჩვენო, ვით ვყოფილვარ ანუ ახლა, ან პირველად.

არის მხოლოდ ერთ, XIX ს-ის (H 783) ნუსხაში.

x 1596¹-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სტროფის ბოლოს ბრჭყალები მოშლილია. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: როცა ორივე განცხრომით ვიყავით, ღხინი მოუკლებლად გვქონდა, მისთვის დავლეწე სამეფოები და ამოვწყვიტე მხეცები ველზე; ახლა ჩემი საომრის წინაშე როგორ დავიხიო უკან, როგორ არ ვაჩვენო, როგორი ვიყავი უწინ, ან როგორი ვარ ახლა.

1397,2 არა მნახოს თქვენთან ომსა, უკუ ვიყო დამალული,
არ იტყვის, თუ: «თვით რა ქმნილა იგი პირველ მოქადული?»
ამა დღესა ვერ ვერგვნო, მაშ, სად მნახოს ომს შესული?
და გამიგონეთ, ნუთუ სჯობდეს სიტყვა აწე ჩემგან თქმული.
არის მხოლოდ H 783 ნუსხაში.

x 1596² -თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბ დასმულია კუთხოვანი ბრჭყალები, ტაეპის ბოლოს წერტილ-ძიძის ნაცვლად დასმულია კითხვის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: არ დამინახოს თქვენთან ერთად ომში, უკან ვიყო დამალული, არ იტყვის: „ის თვითონ სად არის, თავიდან რომ იმუქრებოდა?“ ამ დღეს თუ ვერ ვერგვნო, მაშ სად მნახოს ომში? გამიგონეთ, ეგების ახლა ჩემგან ნათქვამი სიტყვა სჯობდეს.

1980. 17. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1398-1402 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1398 მაგა თათბირსა ესე სჯობს, ვქმნათ ჩემი მონაცხენები:
გავიყოთ კაცი ას-ასი, რა დამე ჩნდეს ნათენები,
სამთავე სამგნით მიემართოთ, ფიცხლა დავსხლიტოთ ცხენები;
და მოგწეგებვიან, ვემცრობით, ჩვენ რმალსა მივსცეთ მძლე ნები.

u 1390-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გ ფიცხლა (ფიცხლად).

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში ერთადერთი მართებული წაკითხვაა „დავწკიპოთ ცხენები“, რაც ხელნაწერთა გარკვეულ ჯგუფს შემოუნახავს. დავსხლიტოთ შინაარსობრივად არ უდგება ამ ადგილს. დასხლეტა უნებური მოქმედებაა და აქ შეუფერებელია. დავწკიპოთ (= დავწკეპლოთ, დავამათრახოთ) კი კონტექსტს კარგად უდგება.

პროექტის ავტორებსა და რედაქციის სხვა წევრებს მიანჩიათ, რომ „ფიცხლა დავსხლიტოთ ცხენები“ ეფონიურად უკეთესი წაკითხვაა.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად (წინააღმდეგი – ი. გიგინეიშვილი).

ს. შ.: მაგ რჩევას ეს სჯობს, შევასრულოთ ჩემი ნათქვამი: გავიყოთ ასი-ასი კაცი, როგორც კი დამე მიიწურება (გამთენიისას), სამივემ სამი მხრიდან მიემართოთ, სწრაფად მოვწევიტოთ (დავძრათ) ცხენები; მოგვეგებვიან, მცირერიცხოვნად მოვეჩვენებით, ჩვენ ხმლებს ვწვდეთ ძლიერი ხელით.

1398,1 ვინცა შეუსწრას, ჰფარავსმცა მას ღრმთისა საფარველია!

კარი დაფლენეთ, დაგვოცნეთ ყოველნი კართა მცველია;
სამთავე იქით მიემართოთ, მაშინ აღარა ძნელია,
და ძლევა მან მოგუცეს, რომელი სათქმელად საზარელია.

x 1598-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ დაფლენეთ (დაფლენეს), დაგვოცნეთ (დახოცნეს), ყოველნი (ყოველი), დ სათქმელად (სათქმელად-ცა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვინც შეუსწრებს [ციხეში], ღვთის საფარველი ფარავდეს მას! კარები დაფლენოთ, დახოცნოთ ყველა კართა მცველი; სამივემ იქით მიემართოთ, მაშინ აღარაა ძნელი, გამარჯვება მან მოგვცეს, რომელიც სათქმელად საზარელია (საკრძალავია).

1399 ფიცხლა შევებნეთ, შევსჯარნეთ, ვერ მოგუასწრებენ კარებსა,
სამთაგან ერთი შეუვალოთ, სხუა გარეთ ვსცემდეთ გარებსა,
მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცნეთ სისხლისა ღუარებსა,
და კელი კელა ვჰვადოთ აბჯარსა, მას ჩუენგან მძლედ ნავმარებსა“.

u 1391-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დ ვჰვადოთ (ვხადოთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სწრაფად შევებათ, მოვიმწყვდიოთ, კარის დაკეტვას ვერ მოგვასწრებენ, სამთაგან ერთ-ერთი შევადწევთ, სხვები გარეთ ვებრძოლოთ გარეთ მყოფებს, იმ ერთმა შიგნით მყოფებს სისხლის ღვარი აღინოს შიგნით, კვლავ ხელი მივეყო ჩვენგან ძლევა მოსილად ნახმარ ხმალს“.

1400 ფრიდონ უთხრა: „შემიგნია, გამიგია, ვიცი მე რა:
მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრებენ კართა ვერა;
ოდეს გიძღუნენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გუინდა ქაჯთა მზერა,
და თუარა ყოლა არ გიძღუნინდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა.

u 1392-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის აზრით, პირველ ტაეპში უნდა მივიღოთ წაკითხვა გაგია და მე-ს შემდეგ დაიწეროს მძიმე: „შემიგნია, გაგია, ვიცი მე რა“.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ეს აზრი და პროექტი ამ სახით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა უთხრა: „შემიტყვია, ვიცი მე, რაც გაგირიგებია (განგიზრახავს): მაგ ჩემეული ცხენისათვის კარის დახურვას ვერ მოასწრებენ; როცა გაჩუქე, არ ვიცოდი, ქაჯეთში თუ მოგვიხდებოდა ქაჯთა ხილვა (= ქაჯებთან პირისპირ შეხვედრა), თორემ სულაც არ გაჩუქებდი, ჩემი სიძუნწის ამბავი უნდა გითხრა“.

1401 ფრიდონ ღალი ამხანაგობს საზუბართა ესოდენტა.
ამას ზედა გაიცინნეს მათ წყლიანთა, სიტყუაბრძენტა,
ერთმანერთსა ელაღობნეს ღაღობათა, მათთა მშუენტა,

და გარდავდეს და დაეკაზმნეს, უკეთესთა შესხდეს ცხენთა.

u 1393-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ლაღი ფრიდონი ასეთი საუბრით ხუმრობს. ამაზე გაიცინეს ენა-წყლიანებმა და ბრძნულად მოუბრებნა, ერთმანეთს გაეხუმრნენ, მათ რომ შეშვენოდათ, ისეთი ხუმრობით, ჩამოქვეითდნენ და მოიკაზმნენ, საუკეთესო ცხენებზე შესხდნენ.

1402 კჷლა ერთმანერთსა მიუგეს სიტყუები არ პირმკუახები, დაასკჷნეს იგი თათბირი, ტარიას განაზრახები: გაიყვეს კაცი ას-ასი, ყჷელაი გმირთა სახები, და ცხენებსა შესხდეს, აიდეს მათ მათი ჩაბალახები.

u 1394-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ისევ უთხრეს ერთმანეთს ტკბილი სიტყვები, მიიღეს ტარიელის რჩევა: გაიყვეს ას-ასი კაცი, ყველა გმირთა მსგავსი, ცხენებზე შესხდნენ, აიდეს თავიანთი [ჯაჭვის] ჩაბალახები.

1980. 24. XII

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს სტროფები: 1403; 1404 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1403 იგი ჭაბუკნი შუქითა ენახენ მზისაცა მეტითა; მათ სამთა შჷიდნი მნითობნი ჰფარვენ ნათლისა სჷეცითა; ტარიელ შავსა ზედა ზის ტანითა მით წერწეცითა; და დალიენეს მტერნი ომითა, ვითა მჭჷრეტელნი ჭჷრეტითა.

u 1395-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ის ჭაბუკები თვით მზეზე მეტად შუქმომფინარენი იყვნენ; იმ სამს შვიდი მნათობი ფარავს ნათლის სვეცი; ტარიელი შავ ცხენზე ზის წერწეცი ტანით; მტრები ისე დახოცეს ომით, როგორც მჭვრეტელები ცქერით.

1404 ჩემი აწ ესე ნათქჷამი მათი სახე და დარია: რა ზედა წჷიმდენ ღრუბელნი და მათათა ატყდეს ღჷარია, მოვა და კვეთა მოგრანის, ისმის ზათჷი და ზარია, და მაგრა რა ზღჷასა შეერთვის, მაშინ ეგრეცა წყნარია.

u 1396-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დ ზღჷასა (ზღვათა).

ი. გიგინეიშვილის აზრით, მეოთხე ტაეპში უფრო სწორია წაკითხვა – „**ზღჷათა** შეერთვის“. შდრ. მეორე ტაეპის „**მთათა** ატყდეს ღუარია“.

რელაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში მაინც გადამწვევტია ხელნაწერთა რელაქციების ჩვენება, რომელიც **ზღჷასა** ფორმას უჭერს მხარს.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: ეს ჩემი ახლა ნათქვამი მათი მსგავსი და შესაფერი: როცა ზემოდან ღრუბლები იწვიმებენ და მთებში მოსკდება ღვარი, მოდის და ხეებს მოლექავს (მოანგრევს), ისმის ზათქი და ხმაური, მაგრამ ზღვას რომ შეერთვის, მაშინვე წყნარდება.

1981. 7. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1405-1410 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1405 **თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთემიუწდომნია,**
მაგრა ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომნია;
მზე მნათობთაცა დაჰფარავს, არცაღა ნათლად ხომნია.

და **აწ იყურებდით, მსმენელნო, გესმენ ფიცხელნი ომნია!**

u 1397-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა სიკეთემიუწდომნია (სიკეთემიუწდომნია). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუცა ფრიდონი და ავთანდილი ვაჟკაცობით მიუწვდომელნი არიან. მაგრამ ტარიელთან შებრძოლებას არავინ ინდომებდა; მზე მნათობებსაც (= მთვარესა და პლანეტებს) ფარავს, არც ვარსკლავთა კრებული ანათებს, ახლა ისმინეთ, მსმენელნო, გაიგონებთ ცხარე ომის ამბავს!

1406 **სამთავე სამად გაიყვეს, თითომან თითო კარები** ;
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყწელაი გმირთა დარები.
მას ღამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები,

და **გათენდა, გაჩნდეს, მიმართეს, თავის-თავ ჰქონდა ფარები.**

u 1398-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა თითომან თითო (თვითომან თვითო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სამივემ სამად გაიყო [სამი კარი], თითოეულმა თითო კარი [ირგუნა]; თან ჰყავდათ სამასი კაცი, ყველა გმირთა დარი. იმ ღამით დაზვერეს, უტყუვრად, სწრაფად (ხაატარეს ზუსტი, სწრაფი დაზვერვა). გათენდა, გა-მონდნენ, მიმართეს [ქაჯეთს], თავ-თავიანთთვის ჰქონდათ ფარები.

1407 **პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად,**
მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახჷდეს გულხმიერად;

**გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად,
და მიდგეს გარეთ, მუზარადნი დაიხურნეს ჟამიერად.**

u 1399-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა, ოღონდ მესამე ტაეპის ბოლოს მიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მიმიე.

ს. შ.: ჯერ ნელა მიდიოდნენ ვილაც (უბრალო) მგზავრების მგსავსად, შიგნით მყოფებმა ვერაფერი შეუტყვეს, ვერც ყურადღებით (ფხიზლად) დახედნენ; გულში შიში არ ჰქონდათ, მშვიდად და უზრუნველად იდგნენ; მიადგნენ გარეთ, მუზარადები დროულად დაიხურეს.

**1408 ანაზდათ ცხენი გაქუსლეს, მათრავმან შექმნა წრიალი.
რა ნახეს, კარნი გაახუნეს, ქალაქით გაჰკდა ზრიალი,
სამთავე სამგნით მიმართეს, თავსა მით უყვეს რიალი,
და იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი.**

u 1400-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა ანაზდათ (ანაზლად), მეორე ტაეპის ბოლოს წერტილის ნაცვლად მიმიეა დასმული.

რედაქციას სარწმუნოდ მიანჩნია ამ სტროფის შინაარსეული ანალიზი, რომელიც მოცემულია გ. ცოცანიძის წერილში (იხ. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1979,2). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: უეცრად ცხენები გაქუსლეს, მათრავმა წული დაიწყო. [მცველებმა] რომ დაინახეს, კარები გააღეს, ქალაქიდან ზრილის ხმა გამოვიდა, სამივეს (= ტარიელს, ავთანდლს, ფრიდონს) სამი მხრიდან მიმართეს [მცველებმა], ამით თავს ავნეს (ზიანი უყვეს), ჩაჰბერეს საყვირს, დაჰკრეს დაფდაფს (დოლს), შეიქნა ბუკთა (საყვირების) ტკრციალი.

**1409 მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა:
კრონოს, წყრომით შემხედველმან, მოიშორვა სიტკბო მზისა;
მათვე რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგჷლე ცისა,
და ველნი მკჷდართა ვერ იტევედეს, გადიადდა ჯარი მკჷდრისა.**

u 1401-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: მაშინ ქაჯეთს დაატყდა ღვთის უზომო რისხვა: გამწყრალმა (წყრომით შემხედველმა) კრონოსმა (= სატურნმა) მოიშორა მზის სიტკბო; მათვე (= მცველებს) რისხვით გადაუბრუნდათ ცის ბორბალი და გუმბათი, ველები მკვდრებს ვერ იტევედა, გამრავლდა მკვდრების რიცხვი.

**1410 კაცსა უკრავად დაბნედლის ვმა ტარიელის ვაფისა,
აბჯარსა ფრეწდის, გაცუდდა სიმაგრე ჯავშან-ქაფისა.
სამგნითვე კართა შესჯარნეს, ჭირი არ ნახეს კაფისა,
და რა ქალაქს შეკდეს, შეიქმნა სიხარკე ციხეს სწრაფისა.**

u 1402-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: კაცს [ხმლის] დაუკვრელად არეტიანებდა მრისხანე ტარიელის ხმა, [მტრის] აბჯარს ფხრეწდა, გაცუდდა ჯავშნისა და ჯაჭვის სიმაგრე. სამი მხრიდან კარებთან მიიმწყვდიეს [მცველები], არ გაუჭირდათ [მათი] კაფვა, ქალაქში რომ შევიდნენ, შეიქნა ზრუნვა იმისა, რომ ესწრაფათ ციხეში.

№№ 1411-1429 სტროფების განხილვის ოქმი რუსთაველის კომიტეტის არქივში არ აღმოჩნდა. წარმოვადგენთ მთავარი რედაქციის მიერ დადგენილ პოემის ტექსტსა და სტროფების „შინაარსს“:

1411 ავთანდილ და ლომი ფრიდონ შიგნით ერთგან შეიყარნეს,
მტერნი სრულად აეწყვიდნეს, სისხლნი მათნი მოეღწარნეს,
უყიფლეს და ერთმანეთი ნახეს, დიდად გაეხარნეს,
და თქვეს: «ტარიელ რა იქმნაო?» მისად ჭჭრეტად თვალნი არნეს.

ს. შ.: ავთანდილი და ლომი ფრიდონი შიგნით ერთმანეთს შეხვდნენ, მტრები ერთიანად გაეწყვიტათ, მათი სისხლი ღვარად ედინათ, (ერთმანეთს) შესძახეს და ერთმანეთი ნახეს, ძალიან გაუხარდათ, თქვეს: „ტარიელი რა იქნაო?“ მის სანახავად თვალი (ირგვლივ) მოატარეს.

1411,1 ქაჯეთს მიუკდეს საომრად იგ სამნი გმირნი ლომები;
კაცსა უნახავს ვგზომნი, მათ ქონდა ბრძოლა-ომები?!
კარნი დაღეწეს, დაკოცეს, გავს, იყვნეს დაუშრომები.
და ტარიელ გავა, საღ იყო იგ მაღლა ასაძრომები.

სტროფი არის მხოლოდ C³-ში.

ს. შ.: ქაჯეთს მიუხდა საომრად ის სამი გმირი ლომი, კაცს განა უნახავს, მათ რომ ჰქონდათ, იმდენი ბრძოლა-ომი! კარები დაღეწეს, დახოცეს, ეტყობა, არც დაღლილან. ტარიელი გავიდა [იქით], სადაც იყო მაღლა ასაძრომი.

1411,2 ფრიდონ შეუტყუა, ეს იყო თათბირი ტარიელისა;
ყველას მიუსწრა, შეიჭრა, მის მზისა შეყრას ელისა;
ჭირნი გაჰქარდა, დაივსო, ცეცხლი მათისა მწველისა,
და აწ შეიყარნეს, შერე-შრა ნაკადი ცრემლთა სველისა.

სტროფი არის მხოლოდ C³-ში.

ს. შ.: ფრიდონმა შეატყო, ეს იყო (= ამას გულისხმობდა) ტარიელის რჩევა: ყველას მოასწრო, შეიჭრა (ციხე-სიმაგრეში), იმ მზის შეხვედრას ელის; ჭირი განქარდა, დაივსო მათი დამწველი ცეცხლი, ახლა შეიყარნენ, შემრა სველი ცრემლების ნაკადი.

1412 ერთმანცა არა იცოდა, ვერა ცნეს ტარიერისა.
ციხისა კარსა მიმართეს, რიდი არ ჰქონდა მტერისა;

**მუნ ნახეს რიყე აბჯრისა, ნალეწი კრმალთა წყერისა,
და ათი ათასი ნობათი, უსულო, მსგავსი მტერისა.**

ს. შ.: არც ერთმა არ იცოდა (ტარიელის ამბავი), ტარიელისა ვერაფერი გაიგეს, ციხის კარებს მიმართეს, მტრის შიში არ ჰქონდათ; იქ ნახეს აბჯრის რიყე, ხმლებით დაჭრილ-დაღეწილი; ათი ათასი გუშაგი, უსულო, მტერის მსგავსი.

**1413 ციხისა მცველი ყველა იდგა მართ ვითა სნეული,
თავით ფერკამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული,
ციხისა კარნი განხმულნი, კართა ნალეწი სრეული,
და ცნეს ნაქმრად ტარიელისად, თქვეს: „საქმე არს მისეული“.**

ს. შ.: ციხის ყველა მცველი სნეულივით ეყარა, ერთიანად (თავიდან ფეხებამდე) დაჭრილი, აბჯარიც დაფლეთილი (ეყარა), ციხის კარები გაღებული, კართა ნამტვრევები გაბნეული (იყო), შეიცნეს ტარიელის ნამოქმედარად, თქვეს: „მისეული საქმეა“.

**1414 გზანი დახედეს შეკაზმულნი, შევიდეს და გაძრეს ჯურელსა,
ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა,
მუხარადი მოეკადა, შეენის აკრვა თმასა ლელსა,
და მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭლო ყელი ყელსა.**

ს. შ.: გზები გახსნილი დახვდათ, შევიდნენ და გაძრნენ ხვრელში, ნახეს, მზესთან (ტარიელთან) შესახვედრად გამოეშვა მთვარე (ნესტანი) გველს (ქაჯეთს), მუხარადი მოეხადა (ტარიელს), შეენის აკვრა სწორ (არა ხუჭუჭ) თმას, მკერდი მკერდისათვის შეეწებათ, გადაეჭლოთ ყელი ყელისათვის.

**1415 ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღჭარნეს;
ამას ჰგჳანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს.
მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშენდეს და შუქნი არნეს,
და აქანამდის ჭირნახულთა ამას იქით გაიხარნეს.**

ს. შ.: ეხვეოდნენ ერთმანეთს, აკოცეს და ცრემლი ღვარეს; იმას ჰგავდა, იუპიტერი და სატურნი ერთად რომ შეიყრებიან. მზე რომ ვარდს შემოადგება, დამშვენდება და შუქს გამოსცემს, აქამდე ჭირგადახდილებმა ამის შემდეგ გაიხარეს.

**1416 მათ ერთმანერთსა აკოცეს, დგანან ყელგარდაჭდობილნი.
კჳლა შეეწებნეს ჳშირ-ჳშირად ვარდნი ბაგეთათ პობილნი.
აწ ესენიცა გავიდეს, შეკრბეს სამნივე ძმობილნი,
და მას მზესა მისცეს სალამი, წადგეს მართ ვითა ჳმობილნი.**

ს. შ.: მათ ერთმანეთს აკოცეს, ყელგადახვეულნი დგანან. ბაგეების ნაპობი ვარდები ისევ ხშირ-ხშირად ეწებებოდნენ. ახლა ესენიც გავიდნენ, შეი-

კრიბნენ სამნივე ძმობილნი. იმ მზეს (= ნესტანს) მიესალმნენ, წვეულებივით წარდგნენ.

1417 მზე მოეგება პირითა ტურფითა, მოცინართა,
აკოცა მისთა მეშველთა ლაღმან ცნობითა წყნართა,
მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა მით ნარნართა,
და ორნივე ერთგან უბნობდეს ამოთა საუბნართა.

ს. შ.: მზე (= ნესტანი) მოეგება ლამაზი მოცინარი სახით, ლაღმა დაწყნარებული გონებით აკოცა თავის დამსწნელებს, ლამაზი სიტყვებით მათ თავმდაბლად მადლობა უთხრა, ორივენი (= ავთანდილი და ფრიდონი) საამოდ ესაუბრებოდნენ.

1418 ტარიელსცა უსალამეს, მას ალვისა მორჩსა ვით ხეს,
მიულოცეს გამარჯვება, ერთმანერთი მოიკითხეს;
არა სჭირდა, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხეს,
და თავნი მათნი გაალომნეს, მათი მბრძოლი იშუღეს, ითხეს.

ს. შ.: ალვის შტოს მსგავს ტარიელსაც მიესალმნენ, მიულოცეს გამარჯვება, ერთმანეთი მოიკითხეს; არაფერი სჭირდათ, არ ინანეს, რომ აბჯარი არ გაითხელეს (?). თავი გაალომნეს [ლომად წარმოაჩინეს], მოწინააღმდეგეები კი შუღლად და თხად აქციეს.

1419 სამასისა კაცისაგან ას-სამოცი შეჰყოლოდა;
ფრიდონს უმძიმს სპათა მისთა, მაგრა ერთკერძ უხაროდა;
მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა მბრძოლი დარჩომოდა,
და რომე პოვნეს საჭურჭლენი, აწმცა თჳალვით ვით ითქმოდა!

ს. შ.: სამასი კაციდან ას სამოცი კაცი შეჰყოლოდათ (გადარჩენილიყო ცოცხალი); ფრიდონს უმძიმდა თავისი მეომრების დაღუპვა, მაგრამ სხვა მხრივ უხაროდა, მონახეს და არ აცოცხლეს, რაც მტერი გადარჩენოდათ, (მათ) რომ სიმდიდრე ნახეს, ახლა როგორ დაითვლება!

1420 მოკრიფეს ჯორი, აქლემი, რაცა ვით პოვეს მალევი;
სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თჳალები,
თჳალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები,
და იგი მზე შესწეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები.

ს. შ.: შეკრიბეს ჯორები, აქლემები, რაც კი სწრაფად მავალი ნახეს; სამი ათასს აჰკიდეს მარგალიტები და თვლები, ყველა თვალი დათლილი, იაგუნდები და ლალები, ის მზე (= ნესტანი), მათგან დაცული, შესწეს ტახტრევეანზე.

1421 სამოცი კაცი დაადეს ქაჯეთს ციხისა მცველია,
წამოიყვანეს იგი მზე, მათილა წაგურა ძნელია,

ზღვათა ქალაქსა დამართეს, თუცა გზა მუნით გრძელია,

და თქვეს: „ფატმან ვნახოთ, მუქაფა გზაც მისი გარდუჭდელია“.

ს. შ.: ციხის მცველად ქაჯეთში სამოცი კაცი დატოვეს, წამოიყვანეს ის მზე (= ნესტანი), მისი მათგან წართმევა ძნელია, გამოემართნენ ზღვათა ქალაქისაკენ, თუმცა იქიდან გრძელი გზაა, თქვეს: „ფატმანი ვნახოთ, მისი გარდაუხდელი ვალი გვაღვეს“.

1422 **ზღვათა მეფესა წინაშე გაგზავნა მახარობელი,**
შესთავალა: „მოვალ ტარიელ, მტერთა მძლე, მოსრვით
მსპობელი;

ქაჯეთით მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა მსობელი;

და მწადიან, გნახნე პატივით, ვითა მამა და მშობელი.

ს. შ.: ზღვათა მეფესთან გაგზავნა მახარობელი, შეუთვალა: „მოვდივარ ტარიელი, მტრების მძლეველი, მათი ამომწყვეტი; ქაჯეთიდან მომყავს ჩემი მზე (= ნესტანი), ჩემთვის ლახვართა დამსობი; მინდა გნახოთ პატივისცემით, როგორც მამა და მშობელი.“

1423 **აწ მე მაქვს ქაჯთა ქვეყანა და მათი დანადებია;**
მეფეო, კარგი ყველაი მე თქვენგან წამკიდებია;
ფატმანს უცხნია ჩემი მზე, სდედებია და სდებია,
და ამისად მუქფად რა გიძღვნა? მძულს ცუდი ნაქადებია.

ს. შ.: ახლა მე მაქვს ქაჯების ქვეყანა და მათი აელა-დიდება; მეფეო, ყველაფერი კარგი მე თქვენგან შემხვედრია; ფატმანს უცხნია ჩემი მზე (= ნესტანი), დედად და დად გახდომია, ამის სამაგიეროდ რა მოგიძღვნა? მძულს ამო დაპირება.

1424 **მოდი, გვნახენ, გავიარდეთ ქვეყანასა შენსა ვირე,**
სრულად ქაჯთა სამეფოსა გიძღვნი, ჩემგან შეიწირე,
კაცნი შენნი შეაყენენ, ციხე მაგრად დაიჭირე,
და მე ვისწრაფი, ვერა გნახავ, შენ წამოდი, ჩემ კერძ ირე.

ს. შ.: „მოდი, გვნახე, ვიდრე შენს ქვეყანას გავივლიდეთ, ქაჯების სამეფოს მთლად გიძღვნი, ჩემგან შეიწირე, შენი კაცები (= მეციხოვნეები) ჩააყენე, ციხე გაამაგრე, მე ვჩქარობ, ვერ გინახულებ, შენ წამოდი, ჩემკენ იარე.“

1425 **თქვენ უბრძანეთ ჩემ მაგიერ უსენს, ქმარსა ფატმანისსა,**
გამოგზავნოს, ეამების ნახვა მისი ჳსნილსა მისსა;
მისგან კიდე ინატრიდა, ჳჭრეტასამცა სხჳადლა ვისა,
და ვინ მზესაცა უნათლეა, ასრე ვითა ბროლი ფისსა!“

ს. შ.: „თქვენ უბრძანეთ ჩემ მაგიერ უსენს, ფატმანის ქმარს, გამოგზავნოს (ფატმანი), ეამება მისი ნახვა მის მიერ დახსნილს (= ნესტანს); მის გარ-“

და კიდევ ვის ნახვას ინატრებს, ვინც მზეზე უფრო ნათელია, ისევე როგორც ბროლი ფისზე!“

1426 რა კაცი ტარიელისა ესტუმრნა ზღვათა მფლობელსა, –
წესია, გული გაჰკრთების ამბავსა გასაკრთობელსა, –
მისცა მადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბრჭობელსა,
და მაშინვე შეჯდა, არ უნდა მისღვა სხვასადა მკმობელსა.

ს. შ.: ტარიელის (გაგზავნილი) კაცი რომ ესტუმრა ზღვათა მეფეს, – წესია, ასაღლელებელ ამბავზე გული შეკრთება, – ღმერთს, მართლის განმკითხავს, მადლობა შესწირა და აღიდა, მაშინვე შეჯდა (ცხენზე), სხვა დამძახებლის (მაწვეველის) მისვლა არ სჭირდება.

1427 ბარგი აჰკიდა, გააგო ქმნა ქორწილისა მათისა,
მას მიაქვს რიცხვი ტურფათა, არს სიდიადე სათისა;
ფატმან ჰყავს თანა, იარეს სავალი დღისა ათისა;
და უხარის ნახვა ლომისა და მზისა, კმელთა მნათისა.

ს. შ.: ბარგი აჰკიდა (ჯორ-აქლემებს), გადაწყვიტა მათი (ტარიელისა და ნესტანის) ქორწილის გადახდა, მას მიაქვს ბევრი ძვირფასი თვალი, არის ბევრი გიშერი; ფატმანი ახლავს, ათი დღის სავალი იარეს; უხარიათ ლომის (ტარიელის) და ხმელეთის მანათობელი მზის (ნესტანის) ნახვა.

1428 შორს გაეგებნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა,
გარდაკდეს, მდაბლად აკოცეს, გა-რე-სწყდეს ჯარსა სპათასა;
შეასხეს ქება ტარიელს, მან მადლი გაუათასა,
და ქალი რა ნახეს, სტრფიალობს შუქსა მას ბროლ-ბაკმათასა.

ს. შ.: სამივენი შორს გაეგებნენ ზღვათა დიდ მეფეს, ოდნავ მოსწყდნენ მეომართა ჯარს, ჩამოხდნენ, თავმდაბლად აკოცეს; (მეფემ და მისმა მხლებლებმა) ქება შეასხეს ტარიელს, მან ათასი მადლობა უთხრა, ქალი (ნესტანი) რომ ნახეს, (მეფე) შეეტრფის ბროლ-ბაკმის (ნესტანის სახის) შუქს.

1429 ფატმან ხათუნს, მისსა მჭვრეტსა, ედებოდა ცეცხლი ნელი,
მოეხვია, გარდუკოცნა კელი, ფერცი, პირი, ყელი;
იტყვის: „ღმერთო, რა გამსახურო, განმინათლდა რათგან ბნელი!
და ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“.

ს. შ.: ფატმან ხათუნს, მის (ნესტანის) მჭვრეტელს, ნელი ცეცხლი ედებოდა, მოეხვია, დაუკოცნა ხელი, ფეხი, სახე, ყელი; ამბობს: „ღმერთო, რით გამსახურო, რადგან ბნელი გამინათლდა, გავიგე ბოროტების ხანმოკლეობა, შენი (ე. ი. ღვთის) სიკეთეა ხანგრძლივი (მარადიული).“

1981. 11. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1430–1436 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1430 ქალი ფატმანს ეხვეოდა, ტკბილად იტყვის, არ გამწყრალი: „ღმერთმან გული გამინათლა გახეთქილი, გა-ცა-მწკრალი, აწ აგრე ვარ გავსებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი, და მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით ვჩან არდამზრალი“.

u 1422-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ბ** გამინათლა (განმინათლა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალი (ნესტანი) ფატმანს ეხვეოდა, ტკბილად ამბობდა და არა მწყრალი: „ღმერთმა გამინათლა გაბზარული, გახეთქილი გული, ახლა ისევე ვარ გავსებული, როგორც ადრე ვიყავი გაღეული, მზემ შუქი მომაფინა, იმიტომ ვარ (ვჩანვარ) ვარდი დაუმზრალი.“

1431 ზღვათა მეფე გარდაიკდის მუნ ქორწილსა მეტად დიდსა; ქაჯეთიცა დაუმაღლა, არ გაუშვა დღესა შვიდსა; უხვად გასცემს საბოძვარსა, საჭურჭლესა ანაკიდსა, და პერპერასა დაფანტულსა ზედა სცხეთენ ვითა კიდსა.

u 1423-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. **ა ბ-ს** ბოლოს დაისვა მძიმეები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ზღვათა მეფე იქ მეტად დიდ ქორწილს იხდის, ქაჯეთისათვის (ქაჯეთის ჩუქებისათვის) მადლობა უძღვნა (ტარიელს), შვიდ დღეს არ გაუშვა, უხვად გასცემს საბოძვარს, (ტვირთად) ახაკიდ საგანძურს, დაყრილ პერპერას (= ოქროს ფულს) (სიარულით) ისე ცვეთენ, როგორც ხიდს.

1432 მუნ იდვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა; ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერდანადები ფასისა, იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა, და კჳლა ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ ხალასისა.

u 1424-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ იდო ლარის (ძვირფასი ქსოვილის), ფარჩისა და ატლასის გორა; ტარიელს უძღვნა ფასდაუდებელი გვირგვინი, ყვითელი, რჩეული იაგუნდისა, კიდევ ხალასი წითელი (ბაჯადლო) ოქროს ერთი ტახტი.

ა. ბარამიძის, გ. კარტოზიასა და ს. ცაიშვილის აზრით, ლარი აქ (პირველ ტაეპში) ძვირფას საქონელს ნიშნავს.

1433 ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა, შემეკული თჳალითა,

იაგუნდითა წითლითა, ბალახშითა და ლალითა.

დასხდეს ორნივე ქალ-ყმანი პირითა ელვა-მერთალითა,

და მათნი მჭვრეტელნი დაიწუნეს ცეცხლითა მართ ახალითა.

u 1425-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა, ოღონდ ბ-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად დაისვას წერტილ-მძიმე.

ს. შ.: ნესტან-დარეჯანს უძღვნა ყაბაჩა (= ქალის მოკლე ქათიბი), შემკული ძვირფასი თვლებით, წითელი იაგუნდით, ბალახშითა და ლალით; დასხდნენ ორივენი – ქალი და ვაჟი – ელვის გამომერთომელი სახით, მათი მჭვრეტელები დაიწუნენ ახალი (ძლიერი) ცეცხლით.

1434 ავთანდილს და ფრიდონს უძღვნა უსაზომო დიდი ძღვენი:

ძვირფასისა უნაგირი, უკეთესი თწითო ცხენი,

თწითო კაბა თწალიანი, უცხოფერთა შუქთა მფენი,

და მოაჯსენეს: „მადლი რა ვთქვათ, სწიანმცაა დავლა თქვენი!“

u 1426-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა უცხოფერთა (უცხო ფერთა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილსა და ფრიდონს უძღვნა უზომოდ დიდი ძღვენი: ძვირფასი უნაგირი, თითო საუკეთესო ცხენი, თვლებით შემკული თითო კაბა (კაცის კალთებიანი ტანსაცმელი), იშვიათ ფერთა მფენი, (მათ) მოახსენეს: „რა მადლობა ვთქვათ, ბედნიერი იყოს თქვენი ხელმწიფობა!“

1435 ტარიელ მადლსა გარდიჯდის ტურფასიტყვითა ენითა:

„დიდად ვიამე, მეფეო, პირველ, ნახვითა შენითა,

მერმე, აგვაგსენ მრავლითა ტურფაფერთა ძღვენითა,

და ვიცი, შორიშორ არჩავლა ჩვენ თქვენი კარგად ვქმენითა“.

u 1427-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა ტურფასიტყვითა ენითა (ტურფა სიტყვითა, ენითა), გ-ში ტურფაფერთა (ტურფა ფერთა).

გ. კარტოზია: ტურფა ა გ-ში მსახდვრელი სიტყვა კი არ არის, არამედ კომპოზიციის პირველი წევრია.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელი მადლობას იხდის მოქარგული ენით: „დიდად გავიხარე, მეფეო, ჯერ თქვენი ნახვით, მერმე იმით, რომ აგვაგსე მრავალი მშვენიერი ძღვენით, ვიცი, კარგად მოვიქცით, შორს რომ არ ჩავიარეთ“.

1436 ზღვათა მეფე მოაჯსენებს: „კელმწიფეო, ლომო, ქველო,

მოახლეო სიცოცხლეო, ვერამჭვრეტო შორით მკლელო,

მსგავსი თქვენი რამცა მეძღვნა, შწენიერო სანახველო!

და რა მოგშორდე, რა მერგების, საჭვრეტელად სასურველო?“

u 1428-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ზღვათა მეფე ეუბნება: „ხელმწიფე, ლომო და ქველო, ახლოს მყოფთა სიცოცხლე, ვერმჭვრეტელთა შორიდან მკვლელო, თქვენი შესაფერი რა უნდა მეძღვნა, მშვენიერო სანახაო! რომ მოგშორდები, რა მერგება (სა-ნაცვლო), საჭვრეტლად სასურველო?“

№№ 1437-1447 სტროფების განხილვის ოქმი რუსთაველის კომიტეტის არქივში არ აღმოჩნდა. წარმოვადგინთ მთავარი რედაქციის მიერ დადგენილ პოემის ტექსტსა და სტროფების „შინაარსს“.

1437 ტარიელ ფატმანს უბრძანა: „მე თავი შენი მიღია;
დავ, გული შენი ჩემზედა გარდაუჭდელი, დიღია;
აწ რაცა ქაჯთა საჭურჭლე ქაჯეთით ამიკიღია,
და მომიცემია, წაიღე, არ კიდე მომიყიღია“.

ს. შ.: ტარიელმა ფატმანს უთხრა: დად მიმანხიხარ (მე შენი თავი დად მიმიჩნევია); დაო, გადაუხდელია და დიდი შენი სიკეთე ჩემზე; ახლა მთელ საგანძურს, რაც ქაჯეთიდან (ჯორ-აქლემზე) აკიდებული წამომიღია, გიძღვნი, წაიღე, არ კი მომიყიღია.

1438 ფატმან ხათუნ თაყვანისცა, ჰკადრებს მადლსა მეტისმეტსა:
„მე, მეფეო, ნახვა შენი მიღებს ცეცხლსა დაუშრეტსა;
რა მოგშორდე, რა ვიქნები? მე დამაგდებ ვითა რეტსა.
და ახ, ნეტარბი მოახლეო! ვაგლახ თქვენსა ვერამჭვრეტსა!“

ს. შ.: ფატმან ხათუნმა თაყვანი სცა, დიდ მადლობას მოახსენებს: „მეფეო, შენი ნახვა (შენთან შეხვედრა) ჩაუქრობელ ცეცხლს მიღებს; რომ მოგშორდები, რა მომივა (რა ვიქნები)? მე მტოვებ რეტდაცემულს. ახ, ნეტავი (შენს) ახლო მყოფებს! ვაი თქვენს ვერმჭვრეტელს!“

1439 ზღვათა მეფესა ეტყვიან ორნივე შუქთა მაფენი,
კბილნი ბროლნი და ბაგენი სადაფთა მოსადაფენი:
„უთქვენოდ მყოფთა არ გწინდან ნიშატნი საჩანგდაფენი,
და მაგრა გაგვიშვენ, წავიდეთ, ჟამია, ვართ მოსწრაფენი.“

ს. შ.: ზღვათა მეფეს ეუბნებიან ორნივე (= ნესტანი და ტარიელი), შუქთა მფენელნი, (მათი) კბილები და ბაგეები – სადაფის ბუდეები: „თქვენ გარე-შე მყოფთ არ გვინდა საჩანგდაფო (= ჩანგისა და დაფის დაკვრით) მხიარულება, მაგრამ გაგვიშვი, წავიდეთ, (წასვლის) დროა, გვეჩქარება.“

1440 შენ იყავ ჩენი მშობელი და ჩენი საესავიო,
მაგრა ამასცა ვიაჯით, გწიბოძო ერთი ნავიო“.
მეფემან ბრძანა: „არა მშურს სამიწოდ თქვენად თავიო,
და რათგან ისწრაფი, რა გკადრო? წა, გიწინამძღვრდეს მელავიო!“

ს. შ.: შენ იყავი ჩვენი მშობელი, ღვთისებრ საიმედო, მაგრამ ამასაც გთხოვთ, ერთი ხომალდი გვიბოძო“. მეფემ თქვა: „თქვენთვის თავი სასიკვდილოდ არ მშურს, ვინაიდან ჩქარობ, რა მოგახსენო? წადი, მკლავი გიწინამძღვრებდეს!“

1441 მეფემან ნავი-ხომალდი მოკაზმა ზღვისა კიდესა.
გამოემართა ტარიელ, გამყრელნი ცრემლსა ღჭრიდესა,
თავსა იცემდეს, იგლეჯდეს, თმა-წვერსა გაიყრიდესა,
და ფატმანის ცრემლთა შედენით თვით ზღვაცა გაადიდესა.

ს. შ.: მეფემ ნავი-ხომალდი მოამზადა ზღვის ნაპირს, გამოემართა ტარიელი, მისი გამყრელები ცრემლს ღვრიდნენ, თავში იცემდნენ (ხელს), თმა-წვერს იგლეჯდნენ (და) ყრიდნენ, ფატმანის ცრემლებმა შედენით თვით ზღვაც გაადიდეს.

1441,1 ფატმან ავთანდილს თვალითა ტკბილითა შემხედველია.
ავთანდილ უთხრა: „მუხთალი სოფელი ეგრე მქნელია;
აღარვისად მცალს უმისოდ, გული ვისთვისცა მწველია,
და ბრძენთა თქმულია: „მოყვარე არ გაიშვების ძველია“.

1441-1441₃ სტროფები არის მხოლოდ **D¹-D⁵** ნუსხებში და **B²**-ში (მიწერილია არშიებზე).

ს. შ.: ფატმანი ავთანდილს ტკბილად უყურებს. ავთანდილმა უთხრა: „მუხთალი წუთისოფელი ასეთი (საქმეების) ჩამდენია; აღარავისთვის მცალია მის გარდა, ვისთვისაც გული მეწვის, ბრძენთა ნათქვამია: „ძველი სატრფოს დატოვება არ ეგების“.

1441,2 კჟლა ფატმან ჰკადრა სამთავე სიტყუები დასათხოველი:
„ავთანდილისგან გამოვა ქმნად საქმე კარგი ყოველი;
ნუ მოიშორებთ, გიყვარდეს, გაფიცო ღმერთი ცხოველი.
და რადგან გამსახურეთ, რაც ვქენით, ცოდვით აღარას მოველი“.

ს. შ.: ისევ ფატმანმა უთხრა სამივეს გამოსათხოვარი სიტყვა; „ავთანდილი ყველა კარგი საქმის გამკეთებელია, ნუ მოიშორებთ, გიყვარდეთ, ცხოველ ღმერთს დაგაფიცებთ. რადგან გამსახურეთ, რაც გავაკეთე, ცოდვად აღარაფერს მივიჩნევ“.

1441,3 ტარიელ ბრძანა: „ჰე, ფატმან, ჩვენთვის ხარ კარგის გულითა,
შენ გაგვინათლე სიბნელე, ვსხედით შუქდაკარგულითა,
ხარ ნიადაგმცა ყოველითა საქმითა საკარგულითა;
და ვართ ჩვენის გულით შენისა გულთანა დანერგულითა“.

ს. შ.: ტარიელმა თქვა: „ჰე, ფატმან, ჩვენთვის კარგი გულით ხარ, შენ გაგვინათლე სიბნელე, შუქდაკარგული ვისხედით, ნიადაგ სასიკეთო საქმის (ჩამდენი) იყავი; ჩვენი გულით შენს გულთან დანერგული ვართ.

- 1442 გამოვლენეს ზღწანი სამთავე, ერთგან ძმად შენაფიცართა,
კჳლა ამტკიცებდეს სიტყვათა, მათ პირველ დანამტკიცართა;
შჳენის მღერა და სიცილი მათ, მისთა არ უიცართა,
და ბაგეთათ შუქი შეადგის ზედან ბროლისა ფიცართა.
ს. შ.: სამივემ, ძმად შეფიცულებმა, ერთად გამოიარეს ზღვები, იმ თავდა-
პირველ მტკიცე სიტყვებს კვლავ ამტკიცებდნენ; შვენით სიმღერა და სიცილი
მათ, (მღერა-სიცილის) მცოდნეებს. ბაგეებიდან (კბილების) შუქი აღებოდა
(მათ) ბროლისებრ სახეებს.
- 1443 მუნით კაცი ასმათს თანა მათ გაგზავნეს მახარობლად,
კჳლა ფრიდონის თავადთასა – ნაომართა მათთა მთხრობლად:
„მანდა მოვა, მოიმალლებს მზე მნათობთა მამაგრობლად,
და ჩჳენ, დამზრალნი აქანამდის, აწ გავევდით დაუზრობლად“.
ს. შ.: იქიდან ასმათთან გაგზავნეს კაცი მახარობლად, აგრეთვე ფრი-
დონის მხედართუფროსებთან – ომის ამბების მთხრობლად: „მანდ მოდის, ზე
მოემართება მზე (= ნესტანი) მნათობების გამაძლიერებლად; ჩვენ, აქამდის
დამზრალნი, ახლა გავხდით დაუზრობელნი.
- 1444 იგი მზე შესჳეს კუბოსა, იარეს გზა ზღწის პირისა,
მიყმაწჳილობდეს, უხარის მათ გარდაკლომა ჭირისა;
მივიდეს, სადა ქჳეყანა იყო ნურადინ გმირისა,
და მოეგებნიან, ისმოდის კმა სიმღერისა კშირისა.
ს. შ.: ის მზე (= ნესტანი) ჩასვეს ტახტრევანში; ზღვისპირა გზაზე ია-
რეს, მხიარულად მოდიოდნენ, უხაროდათ, გასაჭირი რომ გადაიტანეს; მივიდ-
ნენ, სადაც ნურადინ გმირის ქეყანა იყო, მოეგებნენ, უწყვეტი სიმღერის ხმა
ისმოდა.
- 1445 მუნ მიეგება ყოველი ფრიდონის დიდებულები.
ასმათი, სავსე ლხინითა, ვის აღარ აჩნდა წყლულები,
ნესტან-დარეჯანს მოეჭდო, რომე ვერ გაჰჳსნის ცულები,
და აწ გაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულები.
ს. შ.: იქ ფრიდონის ყველა დიდებული მიეგება. ასმათი, სიხარულით სავ-
სე, ვისაც აღარ აჩნდა გადატანილი ტკივილები, ნესტან-დარეჯანს მოეხვია
(ისე), რომ ცულიც ვერ დააშორებს (ერთმანეთს), ახლა გაუსრულა მან ყოვე-
ლივე თავისი ერთგულად ნამსახური.
- 1446 ნესტან-დარეჯან ეხჳევის, პირსა აკოცებს პირითა;
უბრძანა: „ჩემო, ვაგლახ მე, შენცა აგავსე ჭირითა,
აწ ღმერთმან მოგჳცა წყალობა, ვცან, მისი არსიძჳირითა;
და მე გუელსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიკდი რითა!“

ს. შ.: ნესტან-დარეჯანი ეხვევა (ასმათს), პირზე ჰკოცნის; უთხრა: ჩემო, ვაგლას მე, შენც გაჭირვებით აგავსე, ახლა ღმერთმა მოგვანიჭა წყალობა, მისი წყალობა შევიცანი სიუხვით. შენს ამოდენა სიკეთეს, არ ვიცი, რითი გადავიხდი!“

1447 ასმათ ჰკადრა: „მადლი ღმერთსა, ვარდნი ვნახენ არდაზრულნი, ბოლოდ ასრე გააცხადნა გონებამან დაფარულნი, სიკჳდილიცა სიცოცხლედ მიჩნს, ოდეს ვნახენ მხიარულნი“.
და სჯობან ყოველთა მოყჳარულთა პატრონ-ყმანი მოყჳარულნი.

ს. შ.: ასმათმა უთხრა: „მადლობა ღმერთს, ვარდები ვნახე დაუმზრალი; ბოლოს გონებამ (ღმერთმა) ასე გააცხადა დაფარული (საიდუმლო), ახლა, როცა მხიარული ვნახე, სიკვდილიც სიცოცხლედ მიმანია. ყველა მოყვა-რულთ სჯობს მოყვარული პატრონ-ყმა.“

1981. 4. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1448-1450 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა), 1451-1454 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1448 დიდებულთა თავყანის-სცეს, მოაჳსენეს დიდი ქება:
„რომე ღმერთმან გაგჳახარნა, კურთხეულ არს მისი ღმრთება!
ჩვენ გჳიჩვენა პირი თქჳენი, აღარა გჳწჳავს ცეცხლთა დება,
და წყლულსა, მისგან დაკოდილსა, მასვე ძალუც განკურნება.“

u 1440-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მეორე ტაეპში კურთხეულ არს მისი ღმრთება გამოიყო ტირევით. მე-სამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე. პროექტი მიღე-ბულ იქნა.

ს. შ.: დიდებულები თავმდაბლად მიესალმნენ, დიდი ქება უთხრეს: რად-გან ღმერთმა გაგვახარა, – კურთხეულია მისი ღმერთობა! – ჩვენ თქვენი თავი გვიჩვენა, (ამიტომ) ცეცხლი აღარ გვწვაავს; მისგან მიყენებული ჳრილობის განკურნება მასვე შეუძლია.

1449 მოვიდეს და პირი კელსა დასდევს, აგრე გარდაკოცნეს.
მეფე ეტჳის: „მმათა თქჳენთა თავნი ჩჳენტჳის დაიხოცნეს,
იგი შუება საუკუნოს ცხადად პოვეს, არ იოცნეს,
და ერთსა მიხჳედეს საზიაროდ, დიდებანი იასოცნეს.“

u 1441-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: მესამე ტაეპში ზოგი ხელნაწერი და გამოცემა საუკუნო-ს კითხულობს. იგულისხმება, რომ საუკუნო მსაზღვრელია სიტყვის – შჳება. ეს უფრო სწორი წაკითხვა ჩანს.

ს. ცაიშვილი: **საუკუნო** მეორეგანაც გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა 788-4) და არსებითი სახელია (= საუკუნო სასუფეველი). წინამდებარე სტროფშიც არსებით სახელად უნდა გავიგოთ.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ **საუკუნო** ძველ ქართულში არსებით სახელადაც იხმარება და ზედსართავადაც. ასეთივე ვითარება უნდა გვქონდეს „ვტ“-შიც.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: იგი შუება საუკუნო ცხადად პოეპს (წინააღმდეგი ს. ცაიშვილი).

ს. შ.: მოვიდნენ და პირით ხელზე ეამბორნენ, ასე გადაკოცნეს. მეფე (ტარიელი) ეუბნება: „თქვენმა ძმებმა ჩვენთვის თავი გაწირეს, ის საუკუნო შუება ცხადად მოიპოვეს, არა ოცნებით, ერთს (სიხარულს) ეწივნენ საზიაროდ (საერთოდ), დიდება ასოცმაგად გაიმრავლეს.

1450 **თუცა მე მათი დავოცა მტკივის და სატკივარია,
მაგრამ მათ მისჯდა უკუდავი მუნ დიდი საჩუქარია“.**
**ესე თქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოვლსა არია,
და ნარგიხთათ იბრძვის ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვარია.**

u 1442-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში ბოლო მძიმე უნდა მოიშალოს და ტაეპის მეორე ნახევარი ერთ წინადადებად გავიგოთ: ვარდსა ზრავს იანვარია.

ა. ბარამიძე: მძიმე აუცილებლად უნდა დარჩეს. ტაეპის აზრი ასე უნდა გავიგოთ: ნარგიხებიდან (= თვალებიდან) ქრის ქარი და ზრავს ვარდს (= პირი-სახეს), იანვარი დგას.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ პოემაში დასტურდება ორივე გაგების საილუსტრაციო მაგალითები: **ა)** ქარი, ველთა მონაქროლი, ლაღისფერსა ვარდსა ზრვიდა; თუალთა ცრემლნი გარდმოსცვივდეს, გული უფრო აუჩუქდა, მონაქროლმან ვარდი დაზრა, წამწამთაგან ბუქი ბუქდა. **ბ)** მოსთქვამს: „თუმცა მზე გუეახლა, ჩუენ ზამთარი ვერ დაგუზრვიდა“; იგი მზენი მოეგებნეს, ვის ზამთარი ვერ დაზრვიდა.

ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას.

ი. გიგინეიშვილი, ს. ცაიშვილი მოითხოვენ მძიმის მოშლას.

ს. შ.: თუმცა მე მათი დახოცვა გულს მტკენს და (მართლაც) გულსატკენია, მაგრამ მათ იქ (= სასუფეველში) წილად ხვდათ დიდი „უკუდავი საჩუქარი“. ეს თქვა, ნელა ატირდა და წვიმა თოვლში არია (ცრემლები სახეზე დააფრქვია), ნარგიხებიდან უბერავს ბორიო, ვარდს ზრავს (ატკნობს), იანვარია (იანვარი დგას).

1451 **მუნ ატირდეს ყუეღაკანი, რა ტირილად იგი ნახეს,
რაცა ვისცა დაჰკლებოდა, მათ ტირილით, სულთქმით ახეს;**

**დადუმდეს და მოახსენეს: „რათგან ბრძენთა მზეებრ გსახეს,
და თქვენთა მჭურვტთა მღერა მართებს, რასათჳისმცა ივაგლახეს!**

u 1443-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: მაშინ ატირდნენ ყველანი, ის (ტარიელი) რომ მტირალი ნახეს, ვისაც ვინ დაჰკარგვოდა, მათ ტირილით, ოხვრით იგლოვეს; (შემდეგ) დადუმდნენ და უთხრეს: „რადგან ბრძენებმა მზეს დაგადარეს, თქვენს მჭურვტულებს სიმღერა (მხიარულება) შეეფერებათ, რატომ უნდა იწუხონ!

1452 ვინ ღირს-ა თქვენსა ეგზომსა ტირილსა, შეჭირვებასა!
თქვენთვის სიკუდილი დია სჯობს მიწათა ზედა რებასა“.
კჳელა ფრიდონ ჰკადრა მეფესა: „ნურათ იქთ გამწარებასა,
და ღმერთიმცა მუქფად მოგიზღავს ათასსა გახარებასა!“

u 1444-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იქთ (იქმ). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ვინ არის ღირსი თქვენი ამდენი ტირილისა და წუხილისა! თქვენთვის სიკვდილი ბევრად სჯობს სიცოცხლეს (მიწაზე სიარულს)“. ხოლო ფრიდონმა უთხრა მეფეს (ტარიელს): „ნურაფრით (ნურაფრის გამო) შეწუხდებით, ღმერთი სამაგიეროდ შემოგზღავს ათას (= ბევრ) სიხარულს!“

1453 ავთანდილცა მიუმტკივნა, ეტყუის დიდსა სიმძიმელსა;
მათ შეასხეს ქება, უთხრეს: „თაენი მივსცნეთ აწ ღიმილსა,
რადგან მიხჳდა დაკარგული ღომი მზესა წაკდომილსა,
და აღარა ვსტირთ სატირალსა, აღარ დავსდებთ თჳალთა მილსა“.

u 1445-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ავთანდილმაც მიუსამძიმრა (მუღლაზანზარელებს), დიდ მწუხარებას გამოთქვამს; მათ ქება შეასხეს და უთხრეს: „ახლა ვიმხიარულოთ (ღიმილს მივცეთ თავი), რადგან შეხვდა დაკარგული ღომი (= ტარიელი) დაკარგულ მზეს (= ნესტანს), აღარ ვტირით სატირელს, აღარ ვღვრით ცრემლს (თვალთაგან ცრემლის ნაკადს არ ვიდენტ)“.

1454 მივიდეს, სადა ქალაქი დიდი მუღლაზანზარია;
სცემდეს ბუქსა და ტაბლაკსა, გავდა ზათქი და ზარია,
დაბდაბისა და ქოსისა ვმა ტურფად შენათხზარია,
და მოატყდეს მოქალაქენი, დააგდეს მუნ ბაზარია.

u 1446-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: მივიდნენ დიდ ქალაქ მუღლაზანზარში (მივიდნენ იქ, სადაც დიდი ქალაქი მუღლაზანზარი არის), უკრავდნენ საყვირსა და დოლს, შეიქნა დიდი

ხმაური, დოლისა და ქოსის (სპილენძის დოლის) ხმა მშვენივრად არის შეწყობილი. მოაწყდნენ ქალაქელები, დატოვეს ბაზარი.

1981. 11. III

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1455-1460 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1455 შუკათა მოდგეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭურეტელთა ჯარია;
შორს უარებდეს სარანგნი, ჳელთა აქუს მათ აბჯარია;
მოიჯრებოდეს ჯალაბნი, სარანგთა დამსაჯარია,
და მათად საჭურეტლად მიშეება მუნ მათგან ნააჯარია.

u 1447-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: შუკებში (ქუჩებში) გამოვიდნენ ვაჭრები, ყოველი მხრიდან მჭვრეტელთა ჯარია; შორს უვლიდნენ სარანგები (წესრიგის დამცველები), ხელთ იარაღი ჰქონდათ; გროვდებოდნენ სახლეულები, სარანგთა შემაწახებელები, მათ (= მოსულთა) საჭვრეტლად მიშვებას ითხოვდნენ.

1456 გარდაცდეს ფრიდონისასა, სრა ნახეს მოსაწონები.
გამოეგება მრავალი ოქროს სარტყლითა მონები,
ფერვთა საფენლად ოქსინო მართ მათგან არს ნაქონები,
და თავსა აყრიდეს ოქროსა, ხწეტს ჯარი მუნ ნარონები.

u 1448-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ჩამოხდნენ ფრიდონისას, ნახეს ჩინებული (მოსაწონი) სასახლე. გამოეგება ოქროს სარტყლიანი მრავალი მონა (მსახური), ფეხის საფენად ოქსინოები (ხავერდის ფარდაგები) ჰქონდათ, თავზე ოქროს აყრიდნენ, კრეფდა იქ მყოფი (მოსიარულე) ხალხი.

1456,1 საქორწილოთ ამზადებდნენ მათ ქალ-ყმათა მზისა დართა,
უცხოს რიგათ იქცეოდნენ, რაგვარ უნდა მათთა გვართა,
ქვეყანასა ამშვენებდნენ, ვითა ჰფერობს მზისა დართა.
და იგი არე ააყვავეს, ვისა სცაღდა კრეფა ვარდთა.

(არის მხოლოდ S 4997-ში).

x 1658-1-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: საქორწილოდ ამზადებდნენ იმ მზის დარ ქალსა და ვაჟს (= ნესტანსა და ტარიელს), საუცხოოდ იქცეოდნენ, როგორც მათ მსგავსთ შეეფერა

ბა, ქვეყანას ამშვენებდნენ, როგორც შეეფერება მზის მსგავსებს, ის არემარე ააყვავეს, ვის ეცალა ვარდის საკრეფად!

1456,2 მუნ მრავალნი სათამაშო სანახავი ცეცხლოსანი,
სა[ცა] უნდა, წარავლინეს ყველგან კარგნი ცხენოსანი.
რა გაისმა ქორწილობა, მოდიოდნენ სხვაგნით სხვანი.

და მაშინდელი ქება მათი მოქმედი უნდა რა მისანი!

(არის მხოლოდ S 4997-ში).

x 1658-2-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** საცა (სა წა).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ მრავალი სათამაშო ცეცხლოვანი სანახაობა (იყო). სადაც გასაგზავნი იყო, ყველგან გააგზავნეს კარგი ცხენოსნები (ამბის შესატყობინებლად). ქორწილის ამბავი რომ გაისმა, მოდიოდნენ სხვა მხრიდან სხვები. მაშინდელი მათი ქების მოქმედად მისანია საჭირო!

1457 მათ ქალ-ყმათათჳის საჯდომი დაედგა თეთრ-ძოწეული,
წითელ-ყვითლთა თჳალითა ზედა კეკლუცად ფრქვეული;
ავთანდილისთჳის – ყვითელი და შავი ერთგან რეული;

და მოვიდეს, დასხდეს; მჭურეტელი ვცან მათი სულდალეული.

u 1449-თან) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ ქალისა და ვაჟისათვის (= ნესტანისა და ტარიელიესათვის) დაედგათ თეთრ-წითელი ტახტი, წითელ-ყვითელი ძვირფასი თვლებით ღამაზად მოოჭვრილი; ავთანდილისთვის – შავ-ყვითელი (თვლებით მორთული); მოვიდნენ, დასხდნენ; მათი მჭურეტელი სულდალეული, (სულსწრაფი, ცქერას დახარბებული) იყო.

1458 მგოსანნი მოდგეს, ისმოდა ვმა სიმღერისა ტკბილისა;
ქორწილი ქმნეს და გამრავლდა ძღწნობა ღარისა ლბილისა,
ფრიდონის, პურად კარგისა, არ მასპინძლისა წბილისა;

და ნესტან-დარეჯანს უშუენის ღიმილი, ჩენა კბილისა.

u 1450-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტის მიხედვით, ფრიდონის, პურად კარგისა მსაზღვრელია (უბრალოდ დამატება) ძღწნობა – სიტყვისა.

ი. გიგინეიშვილს მიაჩნია, რომ ფრიდონის მსაზღვრელია (განსაზღვრება) ღარისა სიტყვისა.

II და **III** ტაეპების აზრით: გამრავლდა ფრიდონის, პურადი მასპინძლის, რბილი ღარის ბოძება.

გ. კარტოზიას აზრით, როგორც ფრიდონის, ისე ღარისა ძღწნობა სიტყვის მსაზღვრელია. შდრ. მსგავსი კონსტრუქციები „ვეფხისტყაოსანში“: „ტა-

რიელს უგავს სიცილი ბროლისა ვარდთა ფრქვევასა“; „ცუდი არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა“. **ფრიდონის** აქ ნიშნავს ფრიდონის მიერ.

ს. შ.: მოვიდნენ მგოსნები (მეჩანგე-მომღერლები), ისმოდა ტკბილი სიმღერის ხმა; ქორწილი გამართეს და გახშირდა რბილი ლარის (ძვირფასი ქსოვილის) ბოძება ფრიდონის, პურადი (ღირსეული) მასპინძლისაგან. ნესტანდარეჯანს შევენის ღიმილი, კბილების ჩენა.

1459 მოიდეს ძღუენი უსახო ფრიდონის არალქატისა:
ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა,
კჳლა ერთი თჳალი, სამსგავსო მზისა შუქმონამატისა,
და მას წინა ღამით ძალ-ედვის მხატვარსა ხატვა ხატისა.

u 1451-თან შედარებით შემდეგი ცვლილებაა: I ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად ორწერტილია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოიტანეს არალარიბი ფრიდონის შეუდარებელი ძღვენი: ცხრა მარგალიტი, სიდიდით როგორც ბატის კვერცხი, კიდევ ერთი თვალი, შუქმომატებული მზის მსგავსი, მის წინ (= მის შუქზე) ღამით შეეძლო მხატვარს სურათის ხატვა.

1460 კჳლა უძღუნა თჳითო ფარდული, გარდასაყრელი ყელისა,
მრგჳლად დათლილისა თჳალისა, იაგუნდისა მრთელისა;
კჳლა მოაქჳს ერთი ტაბაკი, მძლედ საჭირავი ველისა,
და ავთანდილისთჳის ღომისა, ძღუენი ფრიდონის ქჳელისა.

u 1452-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: კიდევ უძღვნა თითო მძივი, ყელზე ჩამოსაკიდი, მრგვალად დათლილი თვალის, მთლიანად იაგუნდისა; კიდევ მოაქვთ ერთი ტაბაკი (სინი), ხელით ღონიერად დასაჭერი, ღომი ავთანდილისთვის ქველი (უხვი) ფრიდონის ძღვენი.

1981. 25. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1461 -1462 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა), 1463-1466 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1461 იგი ტაბაკი სავსეა მარგალიტითა სხჳილითა.
ავთანდილს უძღუნა ყჳელაი არა სიტყჳითა წბილითა.
აივსო სახლი სტავრითა და ოქსინოთა ღბილითა,
და ტარიელ მადლი უბრძანა, ლაღმან სიტყჳითა ტკბილითა.

u 1453-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა, ოღონდ მეოთხე ტაეში მძიმე მოიშალა.

ს. შ.: ის ტაბაკი (სინი) სავსეა მსხვილი მარგალიტით. ავთანდილს ყოველი უძღვნა გულწრფელი (არაცრუ) სიტყვებით. აივსო სახლი სტავრით (ოქროქსოვილით) და რბილი ოქსინოთი (ხავერდით), ლაღმა (= ამაყმა) ტარიელმა მადლობა უთხრა ტკბილი სიტყვით.

1462 ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა;
ყოველთა დღეთა მართმიდის უფასოსა ძღუენსა მზასა;
დღე და ღამე არ გასწყუედდის ჩაღანა და ჩანგი მასა.
და აჰა, მიხუდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.

u 1454-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონი რვა დღე იხდის დიდზე დიდ ქორწილს; ყოველდღე მართმევდა ფასდაუდებელ მზა ძღვენს; დღე და ღამე არ წყვეტდა ჩაღანა და ჩანგი ხმას. აჰა, შეხვდა შესაფერი ვაჟი ქალს და ქალი – ვაჟს.

1463 ტარიელ ფრიდონს უბრძანა დღე ერთ სიტყუები გულისა:
„არს გული თქუენი საჩემოდ უფროსი ძმისა სრულისა,
არ გემუჭუების სიცოცხლე, არცა მოცემა სულისა,
და მე თქუენგან ვპოვე მოკუდავმან ჩემი წამალი წყლულისა.

u 1455-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დღე ერთ (დღე ერთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ დღეს ტარიელმა ფრიდონს გაუმუდავანა (თავისი) გულისთქმა: „თქვენი გული ჩემთვის ღვიძლ ძმისაზე უკეთესია, სამაგიეროს გადასახდელად არც (ჩემი) სიცოცხლე არის საკმარისი, არც სულის მოცემა, მე თქვენი წყალობით ვიპოვე მომაკვდავმა ჩემი წყლულის წამალი.

ს. ცაიშილის აზრით, **თქუენ** და **თქუენი** ნაცვალსახელი ამ სტროფში მხოლოდ ფრიდონს გულისხმობს. რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ აქ ფრიდონთან ერთად ავთანდილიც იგულისხმება (იხ. მომდევნო სტროფი).

1464 ავთანდილისგან შენც იცი ჩემთუის თავისა დადება,
აწ მე მაქუს ნაცვლად მისისა მოკმარებისა წადება:
შენ მიდი, ჰკითხე, რა უნდა, მან ქმნას ამისი ცხადება,
და ვითა დამივსო სავმილი, ვგრე მისიცა კმა დება.

u 1456-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: შენც იცი ავთანდილის ჩემთვის თავდადება, ახლა მე მაქვს სანაცვლოდ მისი მოხმარების სურვილი: შენ მიდი, ჰკითხე, რა უნდა, ეს გაამხილოს, როგორც (მან) ჩამიქრო (ტანჯვის) ალი, ასევე მისთვისაც საკმარისია ცეცხლის დება.

1465 უთხარ: „მხო, რა გარდიჯდის შენგან ჩემსა ჭირნახულსა!
ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა!
თუ ვერა ვიქ საწადელსა შენსა, შენთჳის განზრახულსა,
და არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა.

u 1457-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ვიქ (ვიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხარი: „მხო, რა გადაიხდის, რაც შენ ჩემთვის ჭირი გინახავს! ღმერთი მოგცემს წყალობას, მის მიერ ზეციდან განჩინებულს! თუ ვერ შევასრულებ შენს საწადელს, (ჩემგან) შენთვის განზრახულს, არ ვნახავ არც ჩემს სახლს, არც დარბაზს, არც ხულას (ქოხს).

1466 აწ მითხარ, ჩემგან რა გინდა, ანუ რათ მოგეკმარები?
ვარჩევ, წავიდეთ არაბეთს, იყავ ჩემიცა მარები;
ტკბილი სიტყჳითა გავმართოთ და კრმლითა – საომარები.
და თუ შენ შენს ცოლსა არ შეგერთავ, მე ჩემსა არ ვექმარები“.

u 1458-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა რათ (რით), გ ტკბილი (ტკბილით), კრმლითა – საომარები (ხრმლითა საომარები).

ც. კიკვიძე: მესამე ტაეპი ხელნაწერებსა და გამოცემებში სხვადასხვაგვარად იკითხება. პროექტის წაკითხვის პარალელურად გვაქვს: ტკბილით სიტყვითა გავმართოთ და რმლითა საომარები; ტკბილი სიტყჳითა გავმართოთ არ კრმლითა საომარები. აქედან პირველი წაკითხვა აზრობრივად გამართული არ არის, მეორე წაკითხვას ხელნაწერთა მცირე ჯგუფი უჭერს მხარს. ჩვენ მხარი დაუჭირეთ რიგი ხელნაწერისა და sz გამოცემათა წაკითხვას. ტაეპის აზრია: ტკბილი (კარგი) საქმე სიტყვით მოვაგვართოთ და საომარი – ხმლით.

ი. გიგინეიშვილი: პროექტის წაკითხვას, ვფიქრობ – ხმლით ფაქტობრივი ხასიათის დაბრკოლება ეღობება. ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი არაბეთში საომრად ვერ (არ) წავიდოდნენ. ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს ზოგიერთი ნუსხისა და გამოცემის წაკითხვას: ტკბილით სიტყჳითა გავმართოთ არ კრმლითა საომარები.

ა. ბარამიძე: ტარიელი არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია ავთანდილისა და თინათინის შეყრას დაბრკოლება შეექნას, ამიტომ მზად არის ხმლით მოავაროს საქმე.

ს. ცაიშვილი: მომდევნო სტროფების ტექსტი, სადაც ავთანდილის პასუხია ტარიელის წინადადებაზე, ეჭვს არ ტოვებს, რომ ტარიელს არაბეთში საქმის ტკბილად, მშვიდობიანად, მოლაპარაკებით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში ბრძოლად არა აქვს გამორიცხული.

პროექტის წაკითხვა, ამდენად, წინააღმდეგობას არ შეიცავს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის წაკითხვა.

ს. შ.: ახლა მითხარი, ჩემგან რა გინდა, ან რით მოგეხმარები? ჩემი რჩევაა, არაბეთში წავიდეთ, მეც წამიყვანე; ტკბილი (= სასიკეთო საქმე) სიტყვით

მოვაგვაროთ და საომარი – ხმლით. თუ შენ შენს ცოლს არ შეგერთავ, მე ჩემს არ გავეუწევ ქმრობას“.

1981. 1. IV

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაი-
შილი.

განიხილეს სტროფები: 1467 –1470 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1467 რა ფრიდონ უთხრა ავთანდილს ტარიას მოციქულობა,
მას გაეცინნეს, გაღიმა, შეწენოდა მხიარულობა;
თქვა, თუ: „მეშეელი რად მინდა? მჭირს არავისგან წყლულობა!
და ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს, არცა სჭირს ლხინაკლულობა.

u 1459-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიდე-
ბულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა რომ უთხრა ავთანდილს ტარიელის დანაბარები, მას
გაეცინა, გაღიმა, მხიარულება შეწენოდა, თქვა: „დამხმარე რად მინდა? არა-
ვისგან ვარ დაჭრილი! ჩემი მზე (= თინათინი) არც ქაჯებს ჰყავთ, არც გა-
ჭირვებულთა.

1468 ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორჭმული ღმერთისა ნებითა,
საკრძალავი და უკადრი, ლალი, არვისგან ვნებითა,
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა,
და მას ზედა შეეღა რად მინდა, რად მეჭუ რასაცა თნებითა?

u 1460-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიდე-
ბულ იქნა.

ს. შ.: ჩემი მზე (= თინათინი) ღვთის ნებით ტახტზე ზის ბედნიერი, მო-
სარიდებელი და შეუბედავი (ვისაც ვერაფერს შეჰკადრებენ), ამაყი, არავისგან
არის შეჭირვებული, არც რამე უჭირს ქაჯებისაგან, არც ჯადოქართა ჯადო-
ქრობით; მის (= თინათინის) გამო შეეღა რად მინდა, რატომ ვფიქრობ, რომ
ვპირმოთნეობ (გულწრფელად არ ვამბობ):

1469 რა მოვა ჩემთუის განგება, ზეცით მოსრულნი ზენანი,
ღმერთი იწადებს, მომივლენ გულსა საკმილთა ლხენანი;
მაშინდა მომხედეს მოკუდავსა მზისა ელვათა ფენანი;
და უმისუამისოდ ცუდნია ჩემგან მი და მო რბენანი.

u 1461-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიდე-
ბულ იქნა.

ს. შ.: როცა ჩემზე აღსრულდება განგება, ზეციდან მოვლენილი ნება,
ღმერთი (თუ) ისურვებს, გულში (ტანჯვის) ცეცხლს გამინელვებს; მხოლოდ

მაშინ მერგება წილად მომაკვდავს მზის სხივთა მოფენა; იმ დრომდე ჩემგან ამოა ყოველგვარი გარჯა (აქეთ-იქით სირბილი).

1470 მიდი და ჰკადრე ტარიელს პასუხი ჩემგან თხრობილი:
„მაღლი რად უნდა, მეფეო, ხარ რაზომ გინდა ღმობილი?
ვარ მუცლითგანვე დედისათ თქვენად სამონოდ შობილი,
და ღმერთმან მუნამდის მიწა მყოს, ვირ მეფე იყო ცნობილი.

u 1462-თან შედარებით ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიდი და უთხარი ტარიელს ჩემგან ნათქვამი პასუხი: მაღლობა რა საჭიროა, მეფეო, რამდენადაც უნდა შეგტკიოდეს ჩემთვის გული? დედის მუცლიდანვე თქვენს სამონოდ ვარ დაბადებული, ღმერთმა მანამდე შენი ფეხთა მტკვერი მყოს, ვიდრე (შენ) ცნობილი (აღიარებული) მეფე იქნები.

1981. 8. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1471-1474 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1471 გებრძანა: „შეყრა მწადიან საყვარელისა შენისა“.
ეგე არს მსგავსი გულისა ღმობიერისა თქვენისა;
მუნა მე ვრმალი არ მიკუეთს, არცა სივრცელე ენისა,
და მიჯობს მოლოდნა საქმისა მის განგებისა ზენისა.

u 1463-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: გეთქვა: „მსურს შენი შეყრა საყვარელთან“, ეგ სურვილი თქვენი მოწყალე გულის შესაფერია; იქ მე ხმალი არ მიჭრის, არც ენამჭვერობა, მიჯობს დაველოდო, რას იზამს ზეციური განგება.

1472 ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:
ინდოეთს გნახო მორჭმული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,
გწერდსავე გიჯდეს მნათობი, პირი ელვათა მერთომარე,
და მებრძოლნი თქვენნი მოგესრნენ, არვინ ჩნდეს მუნ მეომარე.

u 1464-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: „ეს არის ჩემი საწადელი და ჩემი მოსანდომი: ინდოეთში გნახო ბედნიერი, ტახტზე მჯდომი, გვერდითვე გიჯდეს მნათობი, სხივთა მფრქვეველი სახე (= ნესტანი), თქვენი მოწინააღმდეგენი გაგეწყვიტოთ, არავინ ჩანდეს იქ (თქვენთან) მეომარი.

1473 „რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
მაშინლა მივალ არაბეთს, მომხედენ მის მზისა ზღებანი;
ოღესცა სწადდეს, დამივსნეს ამა ცეცხლისა დებანი.
და სხუად თქვენგან არა არ მინდა, მძულან რასაცა თნებანი“.
u 1465-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს. შ.: როცა შემისრულდება ეს ჩემი გულისწადილი, მხოლოდ მაშინ მი-
ვალ არაბეთში, მერგება იმ მზესთან (= თინათინთან) ახლოს ყოფნა; როცა
ისურვებს, ჩამიქრობს ამ ცეცხლს. სხვა მხრივ თქვენგან არაფერი მინდა,
მძულს ყოველგვარი პირფერობა.

1474 რა ფრიდონ ჰკადრა ტარიელს ესე სიტყუანი ყმისანი,
მან ბრძანა: „მაგას არა ვიქ, ამას არ უნდა მისანი.
ვითა მან პოვნა მიზეზნი ჩემისა სულთა დგმისანი,
და ეგრევე მანცა სამისოდ ნახნეს ძალ-გულნი ძმისანი.
u 1466-თან) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბ ვიქ (ვიქმ).
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა რომ უთხრა ტარიელს მოყმის (= ავთანდილის) ეს სიტყ-
ვები, მან თქვა: მაგას არ ვიზამ, ამას არ უნდა გულთმისანი, როგორც მან
იპოვა ჩემი სიცოცხლის მიზეზი, ასევე მანაც (ავთანდილმაც) ნახოს სამისოდ
ძმის ძალა და გული (= მეგობრული თავდადება).

1981. 15. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკ-
ვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1475-1482 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1475 მიდი, უთხარ ჩემ მაგიერ სიტყუა ჩემგან არნათნები:
„მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები.
ვეჭუ, მრავალი დამეგოცოს მონა, მისგან საყუარლები,
და ვითხოვ ხოლმე შენდობასა, ეგეთილა მოვბრუნდები“
u 1467-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს. შ.: მიდი და უთხარი ჩემ მაგიერ არა მოსაფერებლად (არა საამებ-
ლად) ნათქვამი სიტყვა: „მე შენი გამზრდელის (= მეფე როსტევანის) უნახა-
ვად არ გაეჩერდები. ვფიქრობ, მრავალი მისი საყვარელი მონა (მსახური)
მყავს დახოცილი, მხოლოდ შენდობას (პატიებას) ვითხოვ და ამის შემდეგღა
დავბრუნდები“.

- 1476 ესე უთხარ: „ამის მეტსა მოციქულობ ნურას ნუო,
ხვალე წასლვა არ დაგშალო, არცა საქმე გაავათუო;
მე არ მიზამს არაბთ მეფე, რომე სიტყუა გაგაცრუო,
და ამოდ ვსთხოვო ქალი მისი, შევეხეწეწო, შევაგუო“.
u 1468-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.
ს. შ.: ეს უთხარი (ავთანდილს): „ამის მეტს ნურაფერს მოციქულობ-თქო, ხვალ წასვლას არ დავიშლი, არც სათუოდ გავხდი საქმეს; არაბთა მეფე იმას არ მიზამს, რომ სიტყვა გამიცრუედეს (= არაბთა მეფესთან სიტყვა უქმად არ ჩამივლის), ტკბილად ვთხოვ (როსტევანს) მის ქალს, შევეხევეწები, შევაგუებ (დავითანხმებ, შევაჩვენებ ამ აზრს)“.
- 1477 უამბო ფრიდონ ავთანდილს ტარიას მოციქულობა:
„არ დადგებისო, ცუდია შენგან ცდისაღა თქმულობა“.
მას დაუმიმდა, მოედგა კწელა გულსა კწამლალმულობა.
და ასრე ვამს რიდი მეფეთა, ყმათაგან მოკრძალულობა!
u 1469-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.
ს. შ.: ფრიდონმა უამბო ავთანდილს ტარიელის დანაბარები: „არ გაჩერდებო, ამო შენი ცდა, რომ განზრახვა გადაგათქმეინო“. მას (ავთანდილს) ეწყინა, კვლავ მოედო გულზე კვამლი და აღმური. ასე უნდა მეფეების მორიდება (შიში), ყმათა მოკრძალება!
- 1478 ავთანდილ მივა მუკლმოყრით ტარიას შესახეწეწელად,
ფერხთა ეხეწეწის, აკოცებს, აღარ შეხედავს ზე წელად,
ეტყუის: „კმა, რაცა შევცოდე როსტანს წლეულად მე წელად,
და კწელა ნუ მიქ ერთგულობისა გამტეხლად, და-ცა-მლეწელად.
u 1470-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მიქ (მიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: ავთანდილი მუხლმოყრილი (ჩოქვით) მიდის ტარიელის შესახეწეწად, ფეხებზე ეხეწეწა, აკოცნის, აღარ უყურებს წელზემთ, ეუბნება: „კმარა, რაც წელს შევცოდე როსტევანს, კვლავ ნუ გამხდი ერთგულების გამტეხად და დამლეწელად.“
- 1479 რასაცა ლამი, არ მოგცემს მას ღმრთისა სამართალია,
გამზრდელსა ჩემსა ვით ვჰკადრო მე საქმე სამუხთალია!
მე მისთუის კელი ვით გავძრა, ვინ ჩემთის ფერნამკრთალია!
და ვით მოივმაროს მონამან პატრონსა ზედა ვრმალია!
u 1471-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: შენს განზრახვას (იმას, რასაც ღამობ) არ აგისრულებს ღვთის სამართალი, ჩემს გამზრდელს როგორ გავუბედო მუხთლობა (მუხთლური საქმე)! მე როგორ აღემართო ხელი მის წინააღმდეგ, ვინც ჩემ გამო ფერმიხდილია! როგორ უნდა იხმაროს ხმალი პატრონზე ყმამ (ვასალმა)!

1480 ეგე საქმე მე და ჩემსა საყურელსა შეგუამდურებს,
ვამ თუ გაწყრეს, გაგულისდეს, კუშტი გულსა შეაურვებს,
ამბავსაცა დამიძირებს, ჭურეტი სათუის მომასურვებს,
და შენდობასა ვორციელი კაცი ვერა დამიურვებს“.

u 1472-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვამ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეგ საქმე მე და ჩემს სატროფოს (ერთმანეთთან) დაგვამდურებს, ვაითუ გაწყრეს, გაბრაზდეს, კუშტი (მწყრალი) გულს დაიმწუხრებს, (თავის) ამბავსაც დამიძირებს, თავის ნახვას მომანატრებს, (მისგან) პატიებას ძეხორციელი ვერავინ გამომითხოვს“.

o. გიგინეიშვილის აზრით, მეოთხე ტაეპში ვერა უარყოფითი ნაწილაკია და არა ნაცვალსახელი.

1481 ტარიელ უთხრა სიცილით, მან მზემან შექნაფენამან,
ჭელი მოჰკიდა ავთანდილს, ამართა, ააყენა მან:
„მიყო კარგი ყუელაი მომართებამან შენამან,
და მაგრა სჯობს, შენცა გალხინოს ჩემმან შენითა ლხენამან.

u 1473-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელმა, იმ გასხივონებულმა მზემ, სიცილით უთხრა, ხელი მოჰკიდა ავთანდილს, ამართა, წამოაყენა: „ყველაფერი კარგი შენმა დახმარებამ მიყო, მაგრამ სჯობს (კარგი იქნება) შენც გაგახაროს შენ მიერ ჩემმა გახარებამ.

1482 დია მძულს მეტი მოყურისა შიში, კრძალვა და რიდობა,
მძულს გაუწყვედლად კუშტობა და სულმძიმობა, დიდობა;
თუ მოყურა, გულისა ქმნას ჩემკენ მონაზიდობა,
და თჳარა, მე ჩემდა, იგ მისდა, დია სჯობს კიდისკიდობა.

u 1473-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: ძალიან მეჯავრება მოყვრის მეტისმეტი შიში, კრძალვა, რიდი, მძულს განუწყვეტლად კუშტობა, გულჩახვეულობა, ამპარტაენობა; თუ მოყვარა, გული ჩემკენ მოზიდოს, თორემ მე ჩემთვის, ის თავისთვის, დიახაც ჯობს ცალ-ცალკე ყოფნა.

1981. 22. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: **1483-1486;** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1483 მე ვიცი გული საშენოდ შენისა საყუარელისა,
არ ეწყინების სტუმრობა შენისა მე შემყრელისა.
რადმცა რა ვჰკადრე მეფესა თხრობა რასაცა ჭრელისა!
და ოდენ ნახვისა მათისა ნატრა მაქუს სანატრელისა.

u 1475-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა. რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მეორე ტაეპში **მე** ნაცვალსახელის ხმარება გრამატიკულად გაუმართლებელია. ა. შანიძე მის ნაცვლად კონიექტურას უშვებს: შენისა ჩემ შემყრელისა.

გ. კარტოზიამ აღნიშნა რომ, პროექტის მომამზადებელმა ჯგუფმა კონიექტურა არ მიიღო და ჩათვალა, რომ ტაეპში პოეტური ლიცენცია გვაქვს: მსახდგრელსა და სახდგრულს შორის ჩართული **მე** ნაცვალსახელი ნათესაობით ბრუნვაშიც სახელობით-მოთხრობით-მიცემითის ფორმით არის წარმოდგენილი.

დაადგინეს: მიღებულ იქნას პროექტის წაკითხვა: **შენისა მე შემყრელისა.**

ს. შ.: მე ვიცი, რომ შენი სატრფოს გული შენია, არ ეწყინება ჩემი, შენი შემყრელის, სტუმრობა. რატომ (როგორ) გავუბედავ მეფეს რაიმე შეფერადებულ-შელამაზებულს, მხოლოდ მათი (თინათინისა და როსტევეანის) ნახვა მენატრება.

გ. კარტოზიას აზრით, მეოთხე ტაეპში **მათი** მხოლოდ როსტევეანს გულისხმობს.

1484 ამას ოდენ მოვახსენებ მუდართით და შეპოვნებით,
რომე მოგცეს ქალი მისი მან მისითა მოგონებით.
რათგან ბოლო შეყრავეა, სიშორესა ვით ეთნებით!
და დააშენეთ ერთმანერთი, თავის-თავის ნუ დასჯნებით“.

u 1476-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: მხოლოდ ამას მოვახსენებ მუდართით (ხვეწით) და რიდით, რომ თავისი ქალი მოგცეს თავისივე ნება-სურვილით. რადგან ბოლო მაინც შეყრავა, სიშორეს როგორ ეგუებით (შენ და თინათინი)! ერთმანეთი დაამშვენეთ, ცალ-ცალკე ნუ დაჯნებით“.

1485 რა ავთანდილ ტარიასაგან ცნა, წასლვასა არ დაშლიდა,
არა ჰკადრა შეცილება, საუბარსა ზედა რთვიდა;
ფრიდონ კაცსა დარჩეულსა სათანაოდ გარდასთჳლიდა,

და თანა წაჰყვა, განაღამცა მათთანავე გზასა ვლიდა.

u 1477-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: როცა ავთანდილმა ტარიელისაგან გაიგო, რომ (არაბეთში) წასვლას არ დაიშლიდა, შედავება აღარ შეჰკადრა, დაეთანხმა. ფრიდონი საუკეთესო ხალხს თან წასაყვანად არჩევდა, თან წაჰყვა (ტარიელსა და ავთანდილს), მათთან ერთად გზას დაადგა.

1485,1 მივლენ უცხოს შექცევითა, რაცა უნდა, უხაროდათ, ერთმანერთსა ულოცვიდენ, ვითარიგათ წესი ჰქონდათ, გზასა კეთილს მიდიოდნენ, შევლა ღმრთისა სხვა რა უნდათ?

და იგონებდნენ ჭირნახულსა, ახლა ღხინი კარგი უნდათ.

სტროფი არის მხოლოდ S 4997 ხელნაწერში.

პროექტში შემდეგი ცვლილებაა: რაცა უნდა, უხაროდათ (რაცა უნდა უხაროდათ). პროექტი მიღებული იქნა.

1485,2 მივიდოდნენ სიხარულით გზათა შინა, რაცა უნდათ, ნადირობდნენ, მხეცთა სვრიდენ, ანგარიში არა უნდათ, კაცნი რასაც ღმერთსა სთხოვენ, წყალობანი მისგან უნდათ, და რადგან ბოლო კარგი მოგა, უკეთესი სხვა რა უნდათ!

სტროფი არის მხოლოდ S 4997 ხელნაწერში.

პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

1486 ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს: ღმერთი კარგსა მოაგლინებს და ბოროტსა არ დაბადებს, აგსა წამ ერთ შეამოკლებს, კარგსა ხანგრძლად გააკუწლადებს, და თავსა მისსა უკეთესსა უზადოჰყოფს, არ აზადებს.

u 1477-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ დივნოს აქ იგივეა, რაც დიონოსი 1741-ში (ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს), და დიონოსე არეოპაგელს გულისხმობს. ორსავე შემთხვევაში ბრძენი ამ პიროვნების მსახდრელია. ამიტომ უნდა შეიცვალოს 1741-ის პუნქტუაცია: ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს.

ყურადღება მიექცა იმასაც, რომ II ტაეპის წაკითხვა: და ბოროტსა არ დაბადებს მხოლოდ D¹D²-ში გვაქვს. ხელნაწერთა უმეტესობაშია არ ბოროტსა არ დაბადებს.

ც. კიკვიძის აზრით, ანგარიშგასაწევია ხელნაწერთა უმეტესობის წაკითხვა. ა. ბარამიძე და გ. კარტოზიაც მხარს უჭერენ ამ აზრს. აღინიშნა, რომ ასეთი განმეორება უარყოფითი არ ნაწილაკისა „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც დასტურდება.

ი. გიგინეიშვილსა და ს. ცაიშვილს ეეჭვებათ: **D¹D²**-ის წაკითხვა პირველადი ხომ არ არის?

დაადგინეს: მიღებულ იქნას წაკითხვა: ღმერთი კარგსა მოაველინებს, **არ, ბოროტსა არ დაბადებს.**

ს. შ.: ამ დაფარულ საქმეს ბრძენი დიენოსი (დიონისე აეროპაგელი) გააცხადებს (ცხადს ხდის): ღმერთი სიკეთეს მოაველენს, არა, ბოროტებას არ შექმნის, ბოროტებას ერთ წამად შეამოკლებს, სიკეთეს მუდმივად გააგრძელებს, თავის თავს უკეთესს, უნაკლოს ხდის, ნაკლოვანს არ ხდის.

1981. 29. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: **1487-1491** (პროექტი მოამზადა **III** ჯგუფმა).

1487 ფრიდონისით გაემართნეს იგი ლომნი, იგი მზენი,
თანა მიჰყავს პირი მზისა, ქალი მჭურეტთა ამაზრზენი,
ჰკიდავს ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, დანათხზენი,
და მუნ ბალახშსა აშვენებდეს სინატიფე-სინაზენი.

u 1479-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონის ქვეყნიდან წავიდნენ ის ლომები, ის მზეები, თან მიჰყავთ პირ-მზე (მზის სახის მქონე), ქალი (მშვენიებით) შემხედველთა ამაზრზენი (ჟრუანტელის მომგვრელი), ბროლზე (= ყელზე) ყორნის ბოლო (= შავი თმა) ჰკიდა = დაწყობილი, დაწული, იქ ბალახშს (= სახეს) აშვენებდა სინატიფე და სინაზე.

1488 იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე არონინებდეს;
მინადირობდეს, ნადირსა მუნ სისხლსა დაადინებდეს;
სადაცა დახუდის ქუეყანა, მჭურეტელთა მოალხინებდეს,
და მოეგებნიან, სძღუნობდიან, აქებდეს, არ აგინებდეს.

u 1480-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ის მზე (ნესტანი) უჯდათ ტახტრევანზე და ასე მიჰყავდათ; მინადირობდნენ, იქ ნადირს სისხლს ადენდნენ; სადაც შეხვდებოდათ ხოლმე დაბასოფელი, მნახველებს ახარებდნენ, ისინი ეგებებოდნენ, ძღვენს სძღენდნენ, აქებდნენ, არ აძაგებდნენ.

1489 მას ჰგვანდეს, თუმცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთუარეთა;
იარნეს დღენი მრავალნი ლაღთა, ბრძნად მოუბარეთა;

**შიგან მათ დიდთა მინდორთა, ყოველგნით კაცმიუმსუდარეთა,
და სად ყოფილიყო ტარიელ, მიხუდეს მის კლდისა არეთა.**

u 1481-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

გ. კარტოზიას წინადადებით მეორე ტაეპის ბოლოს მოიშალა სასვენი ნიშანი (წერტილ-მძიმე), მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილმძიმე.

ს. შ.: იმას ჰგავდა, თითქოს ცარგვალზე მთვარეებს შუაში მზე უჯდა; მრავალი დღე იარეს ლაღებმა, ბრძნულად მოსაუბრეებმა ყოველმხრივ უკაცრიელ იმ დიდ მინდვრებში; მიაღვნენ იმ კლდის მიდამოებს, სადაც ტარიელი ადრე იმყოფებოდა.

1490 ტარიელ ბრძანა: „**მე მმართვეს დღეს თქვენი მასპინძელობა;
მუნ მივალ, სადა ყოფილვარ, მჭირდა სადამდის ხელობა;
მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, მას უც ვორცისა ვმელობა,
და მე რომე გიძღუნი ტურფათა, აქოთ ლარისა ჭრელობა**“.

u 1482-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ტარიელმა თქვა: „დღეს მე მმართვეს თქვენი მასპინძელობა; იქ მივალ, სადაც ვყოფილვარ, ვიდრე სიშმაგე მჭირდა; იქ გვიმასპინძლოს ასმათმა, მას აქვს ხმელი ხორცი, მე რომ მოგიძღვნით ძვირფასეულობას, შეაქებთ საქონლის მრავალფეროვნებას“.

1491 მივიდეს, შიგან გარდავდეს ქებასა მას დიდთა კლდეთასა.
ასმათს უც ვორცი ირმისა, იქს მასპინძლობა-კუეთასა.
ამხანაგობდეს, ლაღობდეს წასლვასა მათ საქმეთასა,
და ღმერთსა მადლობდეს შეცვლასა ღხინად ჭირისა დღეთასა.

u 1483-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **იქს (იქმს).** პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: მივიდნენ, იმ დიდ კლდეთა გამოქვაბულში ჩამოხდნენ. ასმათს აქვს ირმის ხორცი, მასპინძლობს და ესიყვარულება (მათ). ამხანაგურად (მეგობრულად) იქცეოდნენ, ხარობდნენ იმ საქმეთა დასრულებას, ღმერთს მადლობდნენ გაჭირვების დღეთა ღხინად შეცვლას.

1981. 6. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1492-1496,1 (პროექტი მოამზადა **III** ჯგუფმა).

- 1492 მოიარეს ქუაბოვანი, თამაშობდეს მხიარულნი,
პოვნეს იგი საჭურჭლენი, ტარიასგან დაბეჭდულნი,
ვერცა ვისგან დანათჷალნი, ვერცა ვისგან შეგებულნი;
და არ იტყვიან, არა გუაქესო, იგ ამისთვის გულნაკლულნი.
u 1484-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.
ს. შ.: მოიარეს გამოქვაბულები, მხიარულნი თამაშობდნენ (ერთობოდნენ), ნახეს ის საგანძური, ტარიელის მიერ ბეჭედდასმულნი, ვერც ვინმესგან დათვლილი, ვერც ვინმესგან გონებით წარმოსადგენი; ამის გამო ისინი გულნაკლულები არ არიან, არ ამბობენ, არაფერი გვაქესო.
- 1493 უბოძა ტურფა მრავალი მათ-მათი შესადარები,
კჷლა ფრიდონისნი აავსნა, სპა ჰყვა თუ სპასალარები.
აივსო კაცი ყველაი, მაშინ მათ თანა ნარები,
და მაგრა ძეს რომე საჭურჭლე, ჰგვანდა კაცდაუკარები.
u 1485-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა, ოღონდ მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარში ე. მეტრეველის წინადადებით დაისვა ტირე: ჰგვანდა – კაცდაუკარები (= ჰგვანდა, რომ იყო კაცდაუკარები) .
ს.შ.: მრავალი მათი შესაფერი ძვირფასი ნივთი აჩუქა, ისევ აავსო საჩუქრებით ფრიდონის ხალხი, მოლაშქრეები ჰყავდა თუ სარდლები. (ძღვენით) აივსო ყველა კაცი, ვინც მაშინ თან ახლდა, მაგრამ საგანძური რომ დევს, თითქოს კაცის ხელუხლებელი იყო.
- 1494 ფრიდონს უთხრა: „ვალი შენი ჩემგან ძნელად გარდიჯდების,
მაგრა თქმულა: „კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ წაჯდების“,
აწ საჭურჭლე რაზომიცა აქა ძეს და ან იდების,
და შენი იყოს ყველაკაი, შენ წაიდე, ვითა გხედების“.
u 1486-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.
ს. შ.: ფრიდონს უთხრა (ტარიელმა): „შენი ვალი ჩემგან ძნელად გადაიხდება, მაგრამ ნათქვამია: „კარგის მქმნელი კაცი საბოლოოდ არ დაიკარგება“. რა საჭურჭლედ ახლა აქ ძევს ან აღმოჩნდება, შენი იყოს ყველაფერი, შენ წაიდე, როგორც მოგიხდება (მოგიხერხდება).“
- 1495 ფრიდონ მდაბლად თაყუანისსცა, ჰკადრა მადლი მეტისმეტი:
„მე, მეფეო, რად გგონივარ უჭკუო და აგრე რეტი?
მტერი ყოვლი ჩაღად გიჩანს, ვინმცა იყო ვითა კეტი?
და ჩემი ღხინი მუნამდისა, ვირე ვიყო შენი მჭურეტი.
u 1487-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია კითხვის ნიშანი. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა მდებლად თაყვანი სცა, უდიდესი მადლობა მოახსენა: „მე, მეფევე, რატომ გგონივართ უჭუო და ასე რეტიანი? ყველა მტერი ჩაღად მიგაჩნია, ვინ იქნება შენს წინაშე კეტივით, ჩემი ღვინი მანამდის გაგრძელდება, ვიდრე შენი მჭვრეტელი ვიქნები!“

1496 **ფრიდონ კაცნი დააბრუნნა მოსასხმელად აქლემისად, სახლსა მისსა მისაღებლად მის ყუელასა საჭურჭლისად; აწ მუნითცა გაემართნეს არაბეთით მივლად გზისა, და ავთანდილა გალყული შესაყრელად მთუარე მზისად.**
u 1488-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით მესამე ტაეში მივლად შეიცვალა წაგლად ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა კაცები დააბრუნა აქლემების მოსასხმელად, ყველა იმ საგანძურის თავის სახლში წასაღებად; ახლა იქიდანაც გაემართნენ არაბეთისაკენ გზის გასავლელად, ავთანდილი არის მზის შესაყრელად გალყული მთვარე.

1496,1 **მუნდგან ვლეს შექცევითა, რომე მეტი არ იქნების, ასრე რომე ყოველ დღივა ნადირობა არ აკლდების; გაცემა და წყალობანი დიდსა, მცირეს, რაც შეხვდების, და ერთმანერთის ახლო ყოფით ვითა ვარდნი აყვავდების.**
არის მხოლოდ **S-4994** ხელნაწერში.

ს. შ.: იქიდან იარეს, მეტი რომ არ იქნება, (ისეთი) გართობით, ასე რომ ყოველდღე ნადირობა არ აკლდებათ; დიდსა და პატარას, ვინც შეხვდებოდათ, ასაჩუქრებდნენ და სწყალობდნენ. ერთმანეთთან ახლოს ყოფნით ვარდუბივით ყვავიან.

1497-1507 სტროფების განხილვის ოქმები დაკარგულია. ვბეჭდავთ მთავარი რედაქციის მიერ მიღებულ ტექსტსა და სტროფების „შინაარსს“.

1497 **მიხედეს არაბთა საზღუარსა, რა ვლეს მრავალი ხანები. დახუდა სოფლები, ციხეები, ვშირ-ვშირად, თანისთანები, მუნ შიგან მყოფსა ემოსა ტანსა ლურჯი და მწუანები, და ავთანდილისთვის ყუელაი ცრემლითა არს ნაბანები.**
u 1489-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დიდი ხანი რომ იარეს, მიადგნენ არაბეთის საზღვარს. ხშირ-ხშირად დახვდათ სოფლები და ციხეები, ერთი მეორეზე მიყოლებული, იქ მყოფს ტანზე ლურჯი და მწვანე ტანსაცმელი ემოსა, ავთანდილის გამო ყველა ცრემლით არის ნაბანი.

1497,1 ავთანდილ იცნეს, გაისმა ვმა მათგან სიხარულისა;
დაიწყეს ყოველგნით ლაშქართა ქნა მათკენ სიარულისა,
თაყუანისსცემდა სიმრავლე სპისა პირმხიარულისა;
და ქალი ნახიან: „შუენება – თქუიან, – არს მზისა სრულისა“.

x 1700-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: ავთანდილი იცნეს, გაისმა მათი სიხარულის ხმა; ყოველი მხრიდან წამოვიდა მათკენ ლაშქარი, აურაცხელი პირმხიარული სპა თაყვანს სცემდა; ქალს რომ ნახავდნენ, ამბობდნენ: „სრულყოფილი მზის მშვენებაა“.

სტროფი არის ოთხივე რედაქციის ნუსხებში, მაგამ ბეჭდურ გამოცემებში (ხ, k-ს გარდა) მიჩნეულია ჩანართად. შემდეგ (ოქმებში არ ჩანს თუ როდის) მთავარმა რედაქციამ სტროფი რუსთველისეულად მიიჩნია და პოემის ძირითად ტექსტში შეიტანა. ამის გამო მომდევნო სტროფების ნომრები 1-ით გადაიდდა.

1499 ტარიელ კაცი გაგზავნა წინაშე როსტან მეფესა,
შესთჳალა: „გაკადრებ, მეფეო, სურვილთა სიიფესა;
მე მოვალ, მეფე ინდოთა, დარბაზსა თქუენსა სეფესა,
და გიჩუენებ, ვარდსა კოკობსა, უფრჭუნელსა, მოუკრეფესა.

u 1490-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: ტარიელმა როსტევან მეფის წინაშე გაგზავნა კაცი, შეუთვალა: „შემოგაკადრებ, მეფეო, მრავალი სურვილის ასრულებას; მე, ინდოთა მეფე, მოვლივარ თქვენს სამეფო სასახლეში, გიჩვენებ კოკობ ვარდს, დაუმკნარს, მოუკრეფელს (ნესტანს).

1499,1 მე ვით ვიმართლო თქუენს წინა შემცოდე ჩემი თავია?
მქონდა მე მაშინ ხელ-ქმნილსა გული ცეცხლშენართავია,
ლაშქარი ვნახე, მომეცა ჭირი ჭირს დანართავია;
და აწ ღხინით ვნახოთ მგოსანნი და ჩანგთა გამმართავია.

სტროფი არის D¹ D² D³ D⁴ D⁵ ხელნაწერებში.

ს. შ.: მე როგორ გავიმართლო თქვენს წინაშე შემცოდე თავი? მაშინ მე გახელებულს, გულზე ცეცხლი მეკიდა, ლაშქარი რომ დავინახე, ჭირზე ჭირი დამერთო; ახლა მოლხენით ვნახოთ მგოსნები (მომღერლები) და მეჩანგენი.

1500 „მაშინ თქუენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა,
ცდა შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტევება ცხენისა;
მე შენთა სპათა ვაჩუენე ნიშანი რამე წყენისა,
და დაგვოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქუენისა.

u 1491-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: მაშინ (= პირველი შეხვედრის დროს) თქვენ გეწყინათ ჩემი – თქვენი მიწისა და მტერის ნახვა. ცუდი ჰქენი, რომ ჩემი შეპყრობა სცადე და ცხე

ნით გამომეკიდე; მე შენს მეომრებს ვაჩვენე მტრობის რაღაც ნიშანი, დავხოცე ბევრი მონა, თქვენი სასახლის მსახური.

1501 „აწ ამად მოვალ წინაშე, დავეარენ ჩემნი გზანია,
შემინდოთ, რაცა შეგცოდე, ჰქმნეთ გაწყრომისა კმანია.
ძღუენი არა მაქუს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია,
და ოდენ ძღუნად თქუენი ავთანდილ მე თქუენთუის მომიტანია“.

u 1492-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: ახლა ამიტომ მოვდივარ (თქვენს) წინაშე, დავაგდე ჩემი გზა, (რომ) შემინდოთ, რაც შეგცოდეთ (დაგიშავეთ), იკმართო წყრომა. ძღუენი არა მაქუს, მემოწმობიან ფრიდონი და მისი ყმები, მხოლოდ ძღუნად თქვენი ავთანდილი მომიყვანია თქვენთვის.

1502 რა მიუვიდა მეფესა მახარობელი ჟამისა,
ვით გაეხარნეს ვერ იტყუის ენა ერთისა წამისა;
თინათინს დაწუთა ემატა ელვა შუქისა სამისა,
და ბროლსა და ლალსა აშუენებს მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა.

u 1493-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს.შ.: მეფეს რომ მიუვიდა დროის შესაფერისი მახარობელი, თუ როგორ გაუხარდა, ვერ იტყვის ენა ნაუცბადევად, თინათინს დაწვებზე მოემატა სამი შუქის სხივი, ბროლსა და ლალს (= თეთრ-წითელ პირისახეს) ამშვენებს წარბ-წამწამის ჩრდილი.

1503 ტაბლაკსა ჰკრეს და გაისმა სიცილი თქართქარებისა.
ლაშქარნი რბოდეს მი და მო, ქმნა სწადდა მათკე რებისა.
დაიწყეს მოსხმა ცხენისა, მოღება უნაგრებისა,
და შესხდა სიმრაველე მოყმისა მკლავფიცხელ, გულმაგრებისა.

u 1494-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს.შ.: დოლს დაჰკრეს და გაისმა სიცილის ხმა. მოლაშქრეები იქით-აქეთ დარბოდნენ, მათკენ (ტარიელისა და მისი მხლებლებისაკენ) უნდოდან წასვლა. დაიწყეს ცხენების მორეკა, უნაგრების მოტანა, (ცხენებზე) შესხდა მრავალი მკლავფიცხელი (მკლავმაგარი) და გულმაგარი მოყმე.

1504 მეფე შეჯდა, გაეგებნეს თავადნი და სრულად სპანი.
ვისცა ესმის, მოვიდიან მას წინაშე სხუაგნით სხუანი.
ყუელაკაი ღმერთსა მადლობს, გაამადლნეს მათნი ვმანი,
და თქუეს: „ბოროტსა უმყოფო, კეთილნია შენთუის მზანი!“

u 1495-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს.შ.: მეფე (როსტევანი) ამხედრდა, გაეგებნენ სარდლები და მთელი ლაშქარი. ვინც იგებდა (ამბავს), მოდიოდნენ მის წინაშე სხვა მხრიდან სხვები.

ყველა ღმერთს მადლობას, ხმას აუმაღლეს, თქვეს: „ბოროტების არშემქმნელო სიკეთეა შენთვის ბუნებრივი!“

1505 რა ერთმანერთი აუჩნდა მიგებულ-მოსაგებავთა,
ავთანდილ ეტყვის ტარიელს სიტყუათა დანაზებავთა:
„აგერა ხედავ მინდორთა, მტყერითა შენაღებავთა?
და ამაღ მეღების საგმილი, გულსა ეცხელა, ებავთა.

u 1496-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: როდესაც მიგებულ-მოსაგებებლებმა (= დამხვდურმა და მოსულელებმა) ერთმანეთი დაინახეს, ავთანდილმა უთხრა ტარიელს ნაზი (განაზებული) სიტყვები: „აგერ ხედავ მტერით დაფარულ მინდვრებს? ამიტომ მეღება ცეცხლი, გულს ეცხელა, ეძწარა.

1506 „ისია ჩემი გამზრდელი და თქვენდა მოგებებულა.
იქი ვერ მივალ, მრცხუნენიან, გულსა საკმილი დებულა,
ჩემად არაკად სულდგმული კაცი არ გაწბილებულა,
და რასაცა მიზამთ, თქვენ იცით, ფრიდონ თქვენდავე ხლებულა.“

u 1497-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: ის არის ჩემი გამზრდელი თქვენ მოგებებებით. იქ ვერ მივალ, მრცხვენია, გულზე ცეცხლი მომდებია, ჩემსავით სულიერი კაცი არ შერცხვენილა, თქვენ იცით, რასაც მიზამთ, ფრიდონიც თქვენ გახლავთ.

1507 ტარიელ უთხრა: „კარგსა იქმ შენ პატრონისა კრძალვასა.
აწ დადგ, იქი ნუ მოხვალ, იქმცა უჩემოდ ხალვასა.
მე მივალ, უთხრობ მეფესა შენგან თავისა მალვასა,
და ვეჭ, ღმრთითა ადრე შეგყარო მზესა მას, ტანად ალვასა“.

u 1498-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: ტარიელმა უთხრა: „კარგს შერები, რომ პატრონს (მეფეს), მოკძალებით ეკიდები. ახლა დადექი, იქ ნუ წამოხვალ, უჩემოდ მარტო იყავი. მე მივალ, ვეჭყვი მეფეს, რომ ემალები (თავს არიდებ). ვფიქრობ, ღვთის შეწევნით მალე შეგყრი (შეგახვედრებ) იმ მზეს, ტანად ალვას (= თინათინს)“.

1508 მუნ დადგა ლომი ავთანდილ, დაიდგა მცირე კარავი,
ნესტან-დარეჯან მუნვე დგას, იგია მჭურეტთა მზარავი,
მისთა წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი არავი,
და წავიდა მეფე ინდოთა მისრული, მიუპარავი.

u 1499-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: იქ განერდა ლომი ავთანდილი, პატარა კარავი დაიდგა. ნესტან-დარეჯანი იქვეა, ის არის მჭურეტელთა გულის შემძვრელი. მისი წამწამების ნიავი ქრის, როგორც არავი (სამხრეთის ქარი), წავიდა ინდოეთის მეფე (= ტარიელი) აშკარად, არა მალულად.

1981. 3. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშივილი.

განიხილეს სტროფები: 1509-1511 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა), 1512; 1512,1; 1513

(პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1509 ფრიდონ წაჰყვა, განაღამცა გავლეს ველი დიდსა ხანსა,
ცნა მეფემან, ტარიელა, მარტო მოვა, მოხრის ტანსა;
გარდაკდა და თაყუანის-სცა მას უკადრსა, ლომებრ ჯანსა,
და სდებს პატივსა ინდოთ მეფე, მართ მამისა შესაგვანსა.

u 1500-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა ტაეპის შიგნით წერტილის ნაცვლად მძიმეა დასმული, ბ ტარიელა, მარტო მოვა (ტარიელი მარტო მოვა).

შედგენილი შემასმენელი ტარიელა, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, როგორც გამონაკლისი, დაიწერა დეფისით: **ტარიელ-ა**. დაადგინეს: ასევე დეფისით გამოიყოს მეშველზმნისეული -ა თინათინ-ა, ავთანდილ-ა და მსგავს ფორმებში.

ა. ბარამიძე: **დ** ტაეპში უნდა მივიღოთ წაკითხვა: სდებს პატივსა ინდოთ **მეფეს**. მომდევნო (ძირითადი) სტროფის **ტარიელცა თაყუანის-სცა** იმაზე მიუთითებს, რომ ამ სტროფში გადმოცემული მოქმედება (გარდაკდა, თაყუანის-სცა, სდებს პატივსა) მთლიანად როსტვეანს მიეწერება.

ს. ცაიშივილი და გ. კარტოზია აღნიშნეს, რომ **ინდოთ მეფეს** კონიექტურაა, ხელნაწერებში არ დასტურდება. გ. კარტოზია ფიქრობს, რომ მომდევნო სტროფის **ტარიელცა თაყუანის-სცა** არ გამორიცხავს ამ სტროფში პროექტისეული წაკითხვის შესაძლებლობას: როსტვეანმა თაყვანი სცა ტარიელს, ტარიელმაც მამის შესაფერი პატივი სცა, რაც იმით გამოიხატა, რომ ისიც უთაყვანა. ე. მეტრეველი და ი. გიგინეიშვილი მხარს უჭერენ კონიექტურის მიღებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: სდებს პატივსა ინდოთ **მეფეს** (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ს. ცაიშივილი).

ს. შ.: ფრიდონი წაჰყვა, დიაღაც რომ დიდხანს იარეს ველზე, გაიგო მეფემ (როსტვეანმა), (რომ) ტარიელია, მარტო მოდის, ტანს მოარხევს, ჩამოქვეითდა და თაყვანი სცა ამაყს, ლომივით ძლიერს, ინდოეთის მეფეს (ტარიელს) სწორედ მამის საკადრის პატივს სცემს.

1509,1 მუნით როსტან მოეგება, არ ჰყოფს ზრდილობის კლებასა,
ცხენით გარდახდნენ, იქმოდნენ შეყრისა მოსწრაფებასა;

არაბთა მეფე სალამსა ჰკადრებს ტარიელს, ქებასა,
და შეტრფობით უმზერს, მიეცა როსტენ მუნ დიდსა შებასა.

სტროფი არის H 1079-ში. ის შეთხზულია გ. თუმანოვის მიერ.

ს. შ.: იქიდან როსტევანი მოეგება, არ აკლებს ზრდილობას, ცხენიდან ჩა-
მოხდნენ, შეხვედრას ჩქარობდნენ; არაბთა მეფე ტარიელს სალამსა და ქებას
მოახსენებს, სიყვარულით უყურებს, როსტევანი იქ დიდ სიხარულს მიეცა.

1510 ტარიელცა თაყუანის-სცა, მივა კოცნად, სასალამოდ;
მეფე ყელსა აკოცებდა მართ ბაგისა დასაამოდ,
გაკვირვებით ეუბნების, არის მისგან სათამამოდ;
და „შენ მზე ხარო, შენი გაყრა არის დღისა შესაღამოდ“.

u 1501-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ სტროფი
ერთგვარ ეჭვს იწვევს ენობრივი თვალსაზრისით.

ს. შ.: ტარიელმაც თაყვანი სცა, მიდის საკოცნელად, მისასალმებლად,
მეფე (როსტევანი) ყელზე ჰკოცნიდა ბაგის საამებლად. გაკვირვებით ეუბნება,
არის მისგან თამამად: „შენ მზე ხარ, შენი გაყრა (დაშორება) დღის დაძლ-
მებელია“.

1511 გაეკვირვა მეფე მისსა თჳაღადობა-სიტურფესა,
პირსა უჭურეტს გაკვირვებით, უქებს მკლაგთა სიაღფესა;
კჳელა ფრიდონცა უსალამა, თაყუ-ანის-სცა მან მეფესა,
და მას მეფესა, ავთანდილის ნახვისათვის მოსწრაფესა.

u 1502-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღ-
ებულ იქნა.

ს. შ.: მეფე გაეკვირვებინა მის (ტარიელის) თვაღადობა-სიმშვენიერეს,
სახეში უყურებს გაკვირვებით, უქებს მკლაგის ძალას; შემდეგ ფრიდონიც მი-
ესალმა, თაყვანი სცა მეფეს (როსტევანს), ავთანდილის ნახვის მოსწრაფე მე-
ფეს.

1512 მეფე ტარიას ქებასა დაჰკრთების, დაედონების.
ტარიელ ეტყუის: „მეფეო, აწ გული შენ გემონების;
მიკუირს, თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გგონების!
და რათგან ავთანდილ შენია, სხჳა რად ვინ მოგეწონების?“

u 1503-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღ-
ებულ იქნა.

ა. ბარამიძე: რამდენადაც წინა სტროფებში არაფერია ნათქვამი ტარიე-
ლის მიერ როსტევანის ქებაზე, ამ სტროფის ა ტაეპის ტარიას ქება უნდა
გავიგოთ როგორც როსტევანის მიერ ტარიელის ქება. როსტევანმა აქო, აქო
ტარიელი და მერე უცებ მოიწყინა (რადგან ავთანდილი არ ახლდა). სწორია
ს. იორდანიშვილის თარგმანი: хваля Таризла, царь загрустил.

გ. კარტოზია: ამ შესიტყვებაში (ქებასა დაჰკრთების) ქებასა არ შეიძლება დროულობას გადმოსცემდეს (ქების დროს, ქებისას). იგი ირიბი დამატებაა.

ქებასა დაჰკრთების = ქება აკრთობს.

ს. შ.: მეფე ტარიელის ქებამ შეაკრთო, დააღონა, ტარიელი ეუბნება: „მეფევ, ამიერიდან გული შენ გემონება. მიკვირს, ჩემი სიკეთე აგრე რიგად რად გეჩვენებათ! რადგან ავთანდილი შენია, სხვა ვინმე რატომ მოგეწონება?“

1512,1 კწლავ მეფე ჰკითხავს: „რა უყავ თქუენი უღირსი ძმობილი?
თან რად არ გახლავსთ, ეს მიკვირს, სჭირს რამე
დასავმობილი?“

შენთა წამალთა ძებნითა გულსა ლახჭარი სობილი,
და ამა ლაშქართა თავადი, ჩემგან ძელობით ხმობილი“.

x 1714¹-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის

ი. გიგინეიშვილი: თქუენი უღირსი = თქვენთვის შეუფერებელი.

ს. შ.: ისევ მეფე ეკითხება: „რა უყავით თქვენი უღირსი (თქვენთვის შეუფერებელი) ძმობილი? თან რატომ არ გახლავს, ეს მიკვირს, რამე დასავმობი სჭირს? შენი წამლის ძებნით გულს ლახვარსობილი, ამ ლაშქრის თავი, ჩემგან ძედ ნახმობი.“

1513 ნუ გიკვირს მისი ვერნახვა და დაყოვნება ხანისა!
მოდი და დავსხდეთ, მეფეო, ამოა კორდი მწვანისა,
გკადრო მიზეზი მისისა თქუენს წინა ვერ-მოტანისა,
და ვიაჯი რასმე, აწ მმართვეს მოთხოვა მე ფარმანისა.

u 1504-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ნუ გიკვირთ მისი (=ავთანდილის) ვერნახვა და დაყოვნება! მოდი და დავსხდეთ, მეფევ, სასიამოვნოა მწვანე კორდი, მოგახსენებ თქვენს წინაშე მისი (= ავთანდილის) არმოყვანის მიზეზს, ერთ რამეს ვითხოვ, ახლა მმართვეს თქვენგან ფარმანის (ნებართვის) მოთხოვნა.

1981. 10 VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს 1514-1519 სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1514 დასხდეს მეფენი, მოადგა გარე სიმრავლე რაზმისა.
ტარიელს პირსა ციმციმი ათქს, უნათლესი ბაზმისა;
ჭურეტა ახელებს მჭურეტელთა ყოფაქცევისა და ზმისა;
და დაუწყო თხრობა მეფესა სიტყუისა, ბრძნად ნაკაზმისა.

u 1505-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. მსჯელობის საგანი გახდა **ბ** და **დ** ტაეპის პუნქტუაცია.

ა. ბარამიძე: ტაეპებს შიგნით მძიმეები საჭირო არ არის, უნდა მოიშალოს.

გ. კარტოზია: უნათლესი ბაზმისა და ბრძნად ნაკაზმისა განკერძოებული განსაზღვრებებია და ამიტომ მძიმით უნდა გამოიყოს. (საზღვრულის მომდევნო მსაზღვრელები თანმხლები სიტყვებითურთ).

შ. ძიძიგური: მართალია, სინტაქსურად ასეა, მაგრამ ლექსში შეიძლება უზულებელვყოთ ეს წესი და მძიმეები არ დაესვათ.

ი. გიგინეიშვილი: ამ შემთხვევაში განკერძოება არა გვაქვს, უბრალოდ მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებულ წყობასთან (პოსტპოზიცია) გვაქვს საქმე.

დაადგინეს: **ბ** და **დ** ტაეპებში (შიგნით) მძიმეები მოიშალოს (წინააღმდეგი – გ. კარტოზია).

ს. შ.: მეფეები დასხდნენ, გარშემო (მოლაშქრეთა) მრავალი რაზმი მოადგათ. ტარიელს პირზე ლამპარზე უნათლესი ნათელი ადგას; მისი (= ტარიელის) ქცევისა და მოქმედების ცქერა აშმაგებთ მჭვრეტელებს; მეფეს უთხრა ბრძნულად შეკაზმული (მოქარგული) სიტყვა.

1515 **„მეფეო, თავი მემცრობის მე მისად მოსაკსენებლად,
მაგრა მოსრული თქვენს წინა ვარ შემოხვეწა-მქენებლად,
თჳით იგი იაჯს, რომელი ჩანს მზეებრ შუქთა მფენებლად,
და ვინ არის ჩემად სინათლედ და ჩემად გამათენებლად.**

u 1506-სთან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფე მე ამის სათქმელად თავი მეპატარავება (თავს ღირსად არ ვოვლი). მაგრამ თქვენს წინაშე მოსულვარ მახვეწრად, მევედრებლად; თვითონ ის (= ნესტანი) ითხოვს, ვინც მზესავით შუქთა მფენელად ჩანს, ვინც ჩემი სინათლეა და ჩემი გამათენებელი.

1516 **აწ ამას გკადრებთ ორნივე ხჳეწნით და შემუდარებით:
ავთანდილ დამდვა წამალი მისგან თავისა დარებით,
დაჰვიწყდეს, რომე პატიუნი სჭირდეს ჩვენთავე დარებით,
და არ გაწყენ, გრძელი ამბავი არს ჩვენგან მიუმხვდარებით.**

u 1507-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს **ბ** ტაეპის სარიტმო სიტყვის წაკითხვისა და გაგების თაობაზე.

ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი მხარს უჭერენ დარებით ფორმას. იგი როგორც **დადებით**, ისე **წარებით** ფორმებზე უკეთესია რითმის თვალსაზრისით. (იდენტურ ღრმა რითმას ქმნის).

ი. გიგინეიშვილს მიაჩნია, რომ პირველადი წაკითხვაა **წარებით** (A⁹ A¹³). **რება** ზმნიდან ნაწარმოებ ზმნასთან ამ კონტექსტში **წა-პრევერბი** უფრო გასაგებია, ვიდრე **და-**. რიგ ხელნაწერში **ხარებით** ფორმის გადაკეთებას **და-რებით** ფორმად, ალბათ, ხელი შეუწყო სხვა ტაეპების სართიმო სიტყვათა ანალოგიამ.

დაადგინეს: დარჩეს **დარებით** (წინააღმდეგი – ი. გიგინეიშვილი).

ს. შ.: ახლა ამას შემოგბედავთ ორივე ხეწნითა და მუდარით: ავთანდილმა თავისი სიარულით განმეურნა, (წამალი დამდვა). (მას) დაავიწყდა, რომ ჩვენს მსგავსად ტანჯვა სჭირდა. (თავს) არ შეგაწყენ, გრძელი ამბის თქმა ჩვენთვის მიუხვედრებლობა იქნება.

ს. ცაიშვილს მიაჩნია, რომ **დავიწყდეს** აქ ნიშნავს: დაივიწყა.

1517 **თქვენთა უყუარს ერთმანერთი, ქალი მას და იგი ქალსა,
მით ვიგონებ საბრალოსა, მტირალსა და ფერნამკრთალსა;
მუხლმოყრილი გეაჯები, ნულარ აწვევ იმათ ალსა,
და რომე მისცეთ ქალი შენი მკლავმაგარსა, გულფიქალსა.**

u 1508-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: თქვენებს უყვართ ერთმანეთი, ქალი (= თინათინი) მას (= ავთანდილს) და ის (= ავთანდილი) ქალს, ამიტომ ვიგონებ საბრალოს, მტირალსა და ფერდაკარგულს;

მუხლმოყრილი გთხოვ, ნულარ აწვევინებ მათ ალს, რომ მისცეთ თქვენი ქალი მკლავმაგარს, გულფიქალს (ავთანდილს).

1518 **ამის მეტსა არას გაადრებ, არ მოკლესა, არცა გრძელსა“.**

ამოილო ხელმანდილი, მოინასკვა იგი ყელსა,

ადგა, მუკლნი მიუყარნა, ეაჯების, ვითა მზრდელსა.

და გაუკვირდა ყოვლსა კაცსა, მის ამბვისა მომსმენელსა.

u 1509-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** მიუყარნა (დაუყარნა). რედაქციამ ადადგინა **დაუყარნა**, რომელიც ოთხივე რედაქციის ხელნაწერებშია დაცული.

ს.შ.: „ამის მეტს არაფერს მოგახსენებ, არც მოკლეს, არც ვრცელს“. ამოილო ხელმანდილი, ყელზე შემოისკვნა, ადგა, მუხლი მოუყარა, როგორც გამზრდელს (ისე) ევედრება. გაუკვირდა ყველას, იმ ამბის მომსმენელს.

1519 **რა ტარიელ მუკლმოყრილი ნახა, მეფე შეუზარდა,
შორს უკუდგა, თაყუანი-სცა, ქუე მიწამდის დაუვარდა,
მოასხენა: „კელმწიფეო, ლხინი ყოვლი გამიქარდა,
და თქვენმან აგრე სიმდაბლემან ნახვა თქვენი ჩამადარდა.**

u 1510-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ტარიელი რომ მუხლმოყრილი დაინახა, მეფე შეძრწუნდა, მოშორებით უკან დაიხია, თაყვანისცა, მიწამდე დაიხარა. უთხრა: „ხელმწიფე, ყველა ლხინი გამიქარდა, თქვენმა ასეთმა თავმდაბლობამ თქვენი ნახვა დარდად მიქცია.“

1981. 17. VI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1520-1527 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1520 ვით ეგების, რაცა გწადდეს, რომე კაცი არ მოგთმინდეს,
ანუ მშურდეს ქალი ჩემი, საკლავად და ტყუედცა გინდეს;
გებრძანამცა სახლით თქუენით, ცრემლი არცა მაშინ მდინდეს;
და სხუა მისებრი ვერა პოვოს, ცათამდისცა გა-ცა-ფრინდეს!”

u 1511-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: როგორ შეიძლება, რომ, რაც შენ გინდოდეს, ის კაცმა არ იკისროს (იტვირთოს), ან ჩემი ქალი დავიშურო, მოსაკლავად და ტყვედაც (რომ) გინდოდეს; თქვენი სახლიდანაც (შინიდანაც) რომ გებრძანათ, ცრემლი არც მაშინ დამედინებოდა; სხვას მის მსგავსს ვერ ნახავს (თინათინი), ცამდეც (რომ) გაფრინდეს.

1521 მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა;
თუით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქუს და მას ეფერა;
ვარდი ახლად იფურჭუნების, მე ყუავილი დამებერა,
და რადმცა ვჰკადრე შეცილება, რასცა ოდენ იგი ჯერა!

u-1512-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: მე ავთანდილზე უკეთეს სიძეს ვერ ვიპოვნი; მეფობა კი ჩემს ქალს მივეცი, აქვს და მას დაშვენდა (მისი შესაფერისი აღმოჩნდა); ვარდი ახლად იფურჩუნება, მე კი ყვავილი დამიბერდა, (= ყვავილი დამიჭკნა, დავბერდი). რატომ ვკადრებ შეცილებას იმაზე, რითაც ის კმაყოფილია!

1521,1 „ქალსაცა ჰკითხეთ, აცნობეთ, იქს თქუენსა გაგონებასა;
მათ ერთმანერთი უნდოდეს, მეცა ღვთით დავრთავ ნებასა,
მემცა ნუ ვნახავ ცოცხალი, მე – მათსა რასმე ვნებასა;
და რადგან შეყრაა მიზეზი, რა მოაქუს დაყოვნებასა!“

x 1723,1-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბ ღვთით (ღმერთით); გ ცოცხალი, მე მათსა რასმე (ცოცხალი მე რასმე მათსა); ბ ტაე

პის ბოლოს მიძევა დასმული (წერტილ-მიძემის ნაცვლად), გ ბოლოს – წერტილ-მიძემე (მიძემის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ქალსაც ჰკითხეთ, აცნობეთ, თქვენ გაგიგონებთ; მათ (თუ) ერთმანეთი მოუნდებთ, მეც ღვითთ დავრთავ ნებას, მე ცოცხალი ნუ ვნახავ მათს რაიმე საზიანოს; რადგან (მათი) შეყრაა მიზეზი, დაყოვნებას (კარგი) რა მოაქვს!“

1521,2 თინათინს ჰკადრეს ყოველი მეფეთა საუბარია:
„მწადიან მიხედეს ავთანდილს პირი ბრძენთ საქებარია;
ინდოთა მეფე შექმნილა ჩვენს შუა დამწყობარია;
და აწყან გათავდეს ყწელაი, გული გულს შენაბარია“.

x 1723,2-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ბ** მწადიან (გწადიან), მიხედეს (მიგცე) პირი ბრძენთ (პირ-ბრზენთა); **ბ** ტაეპის ბოლოს წერტილ-მიძემე (კითხვის ნიშნის ნაცვლად); **გ** ტაეპის შიგნით (ცეზურასთან) მიძემე მოშლილია, ტაეპის ბოლოს მიძემის ნაცვლად წერტილ-მიძემეა; **დ** გული გულს (გული, გულს).

გ კარტოზიას აზრით, ა ტაეპში მეფეთა = მეფის (ე. ი. როსტევეანის) და არა მეფეების, როგორც პროექტის ავტორები ვარაუდობენ. გვიანი ხანის ინტერპოლატორებისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტექსტის ენიბრივი თავისებურება pluralis majestatis-ის ხმარება.

ა. ბარამიძე ფიქრობს, რომ ინტერპოლატორის ენაში მოულოდნელია pluralis majestatis. მეფეთა აქ ნიშნავს: მეფეების (ე. ი. როსტევეანის და ტარიელის).

ც. კიკვიძის აზრით, სტროფის ენობრივი შეუსაბამობანი მისი ჩანართობით აიხსნება.

ს. შ.: თინათინს უამბეს მეფეების მთელი ნაუბარი: „მწადია, ავთანდილს ხვდეს ბრძენთ საქებარი პირი (= თინათინი); ინდოთა მეფეა ჩვენს შორის (საქმის) მომრიგებელი; ახლა დამთავრდეს ყველაფერი, გული გულს შეთანაბრებულია“.

1521,3 ქალმან ჰკადრა, თუ: „მეფეო, რადღა ვიკმარებ ენასა,
მაგრა მოველი მშობლურად თქვენგან არავე წყენასა;
თუ თქვენ გაწყინო, ნუმც ოდეს მოველი ზეცით ღხენასა,
და ბრძანებას ვექმნე მორჩილი, ესე თურე სწადს ზენასა“.

x 1723₂-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ბ** მაგრა (მაგრამ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა უთხრა: „მეფეო, რატომღა დავძრავ ენას, მაგრამ თქვენგან, როგორც მშობლისაგან, განაწყენებას არ მოველი; თუ თქვენ გაწყინოთ, ნუმც როდისმე მოველოდები ზეციდან ღხენას, ბრძანებას რომ დავემორჩილო, თურმე ეს სწადია უზენაესს.“

1522 თუ შეგერთო ერთი მონა, თქვენთჳის არცა მაშინ მშურდა.

ვინმცა გაკადრა შეცილება, უშმაგომცა ვინ მოგმდურდა!
თუ ავთანდილ არ მიყუარდა, ასრე მისთჳის რად მომსურდა?

და დია, ღმერთო, წინაშე ვარ, ესე ჩემგან დადასტურდა“.

u 1513-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს დ ტაეპის პირველი ნახევრის (დია, ღმერთო, წინაშე ვარ) გაგების თაობაზე.

ა. ბარამიძის აზრით, ფრაზის აზრია: ღმერთო, შენს წინაშე ვარ, შენს წინაშე ვაღიარებ. (იხ. ვ. ნოზაძე...).

გ. კარტოზიას აზრით, დია, ღმერთო დადასტურებითი შესიტყვებაა. წინაშე ვარ = თანახმა ვარ, (თქვენი) მსახური ვარ. შდრ. წინაშე ზმნისართისაგან ნაწარმოები ზმნა: ვიწინაშე: განაღამცა ვიწინაშე (= ნამდვილად უნდა გემსახურო) (იხ. ნათაძე, 1974, გვ. 484).

დაადგინეს: ნახევარტაეპის აზრია: დიაღ, ღმერთო, შენს წინაშე ვაღიარებ.

ს.შ.: მონაც რომ შეგერთო (ჩემი ქალისათვის), თქვენთვის არც მაშინ დავიშურებდი. ვინ გაგებდავს შეცილებას, არაშმაგი (ჭკუათამყოფელი) ვინ მოგიმდურებთ! ავთანდილი თუ არ მიყვარდა, ასე რატომ მომენატრა? დიაღ, ღმერთო, შენს წინაშე ვაღიარებ, ეს ჩემგან დადასტურდა“.

1523 რა ტარიელ მეფისაგან ესე სიტყუა მოისმინა,
დადრკა, მდაბლად ეთაყუნა, პირსა ზედან დაეფინა.
კჳლა მეფემან თაყუნანისსცა, წამო-რე-ფლო, წადგა წინა,
და ერთმანერთი მოიმაღლეს, მართ ერთსაცა არ ეწყინა.

u 1514-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს ბ ტაეპის მეორე ნახევრის (პირსა ზედა დაეფინა) შინაარსზე. უმრავლესობას მიაჩნია, რომ პირსა ნიშნავს მიწის პირს, მიწას. პირსა ზედა დაეფინა = მიწაზე განერთხა, მიწაზე დაემხო.

გ. კარტოზიას აზრით, პირი აქ სახეს ნიშნავს. პირსა ზედან დაეფინა = პირით დაეფინა (მიწას), პირით მიწას შეეხო.

ს. შ.: ტარიელმა რომ მეფისაგან ეს სიტყვა მოისმინა, დაიხარა, თავმდაბლად ეთაყვანა, მიწაზე დაემხო. მეფემ (როსტევეანმა) კვლავ თაყვანი სცა, ოდნავ წამოიწია, წინ წადგა, ერთმანეთის გული მოიგეს, ნაწყენი არც ერთი არ დარჩა.

1523,1 ტარიელ ფრიდონ გაგზავნა მის ყმისა მოსაყვანელად;
შესთჳალა: „მოდი, გიბრძანებს იგი, შენ ვისად სჩან ელად;
ჭირნი გარდავდეს, მოგაკლდა ცრემლი დაწჳისა მბანელად,
და ნულარ ეშიშვი საკმილსა, შენი დამწველია ნელად“.

x 1725-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ. ტარიელმა ფრიდონი გაგზავნა იმ ყმის (= ავთანდილის) მოსაყვანად; შეუთვალა: „მოდ, გიბრძანებს ის, ვისთვისაც ელი (მოხეტიალე) ჩანხარ. გაჭირვებამ გაიარა, დაწვების გამბანელი ცრემლი შეგიმცირდა, ნუღარ გეშინია (სიყვარულის) ცეცხლისა, შენი დამწველი (ცეცხლი) განელეგბულია.“

№ 1524-1527 სტროფების განხილვის ოქმები დაკარგულია. ვაქვეყნებთ მთავარი რედაქციის მიერ დადგებილ ტექსტსა და სტროფების „შინაარსს“.

1524 ფრიდონ შეჯდა, ავთანდილის მახარობლად გაექანა,
ესდენ დიდი სიხარული გაეხარნეს მასცა განა!
წავიდა და წამოუძღვა, მოიყვანა, მოჰყვა თანა,
და მაგრა ირცხუის მეფისაგან, შუქნი ბნელად მოევანა.

ს. შ. ფრიდონი შეჯდა ცხენზე და ავთანდილის მახარობლად გაექანა, ესოდენ დიდად სასიხარულო ამბავი მასაც ნამდვილად გაუხარდა! წავიდა და წამოუძღვა, მოიყვანა, (თვითონაც) თან მოჰყვა, მაგრამ (ავთანდილს) მეფისა რცხვენია, შუქი ბნელად მოეფინა (სახე ჩამოუბნელდა).

1525 მეფე ადგა, მოეგება, ყმა გარდაჯდა, რა მივიდა;
ჯელთა ჰქონდა ჯელმანდილი, პირსა მითა იფარვიდა.
მზე ღრუბელსა მოჰფარვოდა, ქუშდებოდა, ვარდსა ზრვიდა,
და მაგრა მისს შვენებასა რამცა ვითა დაჰფარვიდა?!

ს. შ. მეფე (როსტევანი) ადგა, მოეგება, მოყმე (ავთანდილი) ცხენიდან ჩამოსტა, რომ მივიდა. ხელთ ხელმანდილი ჰქონდა და სახეს იმით იფარავდა. მზე ღრუბელს მოჰფარვოდა, პირქუშობდა, ვარდს აზრობდა, მაგრამ მის მშვენებას რა და როგორ დაფარავდა?!

1526 მეფე კოცნასა ლამოდა, აღარა ცრემლნი სდენიან;
ავთანდილ ფერჯთა ეხუევის, შუქნი ქუე დაუფენიან;
უბრძანა: „ადეგ, ნუ ირცხუი, შენ ზნენი გამოგჩენიან“
და რათგან მერჩიო, ნუ მერცხუი, გაე, რასალა გრცხუენიან!“

ს. შ. მეფე (როსტევანი) კოცნას ლამობდა (ცდილობდა), ცრემლები აღარ სდის; ავთანდილი ფეხებზე ეხვევა, (სახის) შუქი მიწაზე მოუფინია; (მეფემ) უთხრა: „ადექი, ნუ გრცხვენია, შენ ვაჟკაცობა გამოგიჩენია, რადგან ჩემი მორჩილი ხარ, ნუ მორცხვობ, კმარა, რიდასი გრცხვენია!“

1527 მოეხუია, გარდუკოცნა მას პირისა არემარე;
„დამივსეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არ ემარე;
ვინ გიშერი დააჯოგა და წამწამი არემა-რე,
და გუალე, შეგერი, ლომო, მზესა, თავი მისკე არე, მარე“.

ს. შ. მოეხვია, დაუკოცნა მან (მეფემ) პირისახე (პირის მიდამო); „ცხელი ცეცხლი (მე კი) ჩამიქრე, მაგრამ (შენ) წყალი არ მიუხვედი (მას), ვინც

წარბ-წამწამის გიშერი დააჯოგა და რემად აქციაო. იარე, ლომო, შეგერი (შე-
გახვედრებ) მზეს (= თინათინს), თავი მისკენ ატარე, (მეც) მატარე (წა-
მიყვანე)!”

1981. 23. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკ-
ვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1528-1534 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1528 მეფე ყელსა ესწეოდა მას ლომსა და ვითა გმირსა,
ახლოს უზის, ეუბნების, აკოცებს და უჭურეტს პირსა
იგი მზე და კელმწიფობა ასრე მიხჭდა, ვითა ღირს-ა.
და მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსა.

u-1519-თან შედარებით პროექტის ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს. შ. მეფე ყელზე ესწეოდა ლომსა და გმირის მსგავსს (ავთანდილს),
ახლოს უზის, ესაუბრება, ჰკოცნის და სახეში შეჭყურებს; ის მზე (თინათინი)
და ხელმწიფობა ისე შეშენის, როგორც ღირსია. მაშინ არის ლხინი საამო,
როცა კაცი ჭირს გადაიხდის. დ-ს ბოლოს, შ. ძიძიგურის წინადადებით,
თარგმანი შეიცვალა: ჭირს გადაიხდის (გაჭირვებას გამოივლის).

1529 ყმა მეფესა მოაგსენებს: „მიეკვირს, სხუასა რად რას ჰბრძანებ!
რად არ გინდა ნახვა მზისა, ანუ რადღა აგვიანებ?
მიეგებვი მხიარული, სახლსა თქვენსა მოიყვანებ,
და შემოიმოს შუქთა მისთა, ნათლად გარე მოივანებ“.

u 1520-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს. შ. მოყმე (ავთანდილი) მეფეს ეუბნება: „მიეკვირს, სხვა რამეს რად
ბრძანებ! რატომ არ გსურს მზის (= ნესტანის) ნახვა, ან რატომ აგვიანებ?
მიეგებვი მხიარული, თქვენს სახლში მოიყვან, შემოირტყამ (შემოივლებ) მის
შუქს, გარშემო ნათლად დაიყენებ“.

1530 ტარიელსცა მოაგსენა: შესხდეს, ქალსა მიეგებნეს,
მათ სამთავე გოლიათთა მზისა ფერად დაწუნი ღებნეს,
მიხჭდეს მათსა საწადელსა, იგი პოვეს, რაცა ძებნეს,
და კელი ჰკადეს კრმალთა მათთა, არა ცუდად წელთა ებნეს.

u 1521-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ჰკადეს (ხადეს).
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. ტარიელსაც მოახსენა; ცხენებზე შესხდნენ, ქალს (ნესტან-
დარეჯანს) მიეგებნენ, სამივე გოლიათთა დაწუნი მზესავით შეიღება (= მზეს
დაამსგავ-სეს). თავიანთ საწადელს ეწივნენ, რასაც ეძებდნენ, ის იპოვეს,
თავიანთი ხმლები მოიხმარეს, უქმად არ ერტყათ წელზე.

1531 მეფემან ქალს უსალამა, მან შორით გარდაკლომილმან.

**დაუწყუნა თქალნი ელვამან, მისთა დაწუთაგან კრთომილმან;
გამოეგება, აკოცა კუბოსა შიგან ჯდომილმან,**

და დაუწყო ქება მეფემან, თუით ვერას ვერ მისუდომილმან.

u 1522-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ე. მეტრეველისა და **გ.** კარტოზიას აზრით, **გ** გულისხმობს, რომ ნესტანი კუბოდან (ტახტრევანიდან) კი არ გადმოსულა, არამედ ტახტრევანით მიიყვანეს როსტრევანთან.

ს. შ. მეფე (როსტრევანი) შორს (მოშორებით) ჩამოხდა ცხენიდან და ქალს (ნესტან-დარეჯანს) მიესალმა. თვალი მოსჭრა მისი (ნესტანის) დაწვებიდან გამომკრთალმა სხივმა; გამოეგება, აკოცა ტახტრევანში მჯდომმა (ნესტანმა), დაუწყო ქება მეფემ, თვით ვერაფერს მიმხვდარმა (= ქალის მშვენიერებით გაოგნებულმა).

1532 ეტყვის: „მზეო, ვითა გაქო, ნათელო და დარიანო!

შენთუის ხელნი გონებანი არა ცუდად არიანო,

მზიანო და მთუარიანო, ეტლად რაო და რიანო.

და თქვენ საჭურეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ იანო“.

u 1523-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ და **დ-ს** ბოლოს დაისვა ძახილის ნიშანი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებული იქნა.

ს. შ. ეუბნება: „მზეო, როგორ შეგაქო, ნათელო და დარიანო! შენ გამო გონება ამოდ არ ხელდება, მზიან-მთვარიანო, ეტლად რა ხარ და როგორი! ვარდებო და იებო, თქვენ აღარ მინდიხართ საჭურეტლად!“

1533 გაჰკუირდეს ყოველნი მხედველნი მისთა ელვათა ფენასა;

ვით მზემან, დაყენა მჭურეტელთა თქალნი ნათლისა ჩენასა;

მისგან დამწუარნი მისცნიან გულნი ჭურეტითა ლხენასა,

და სითცა გამოჩნდის, იქმოდეს ჯარნი მუნითკენ რბენასა.

u 1524-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ყველა მჭურეტელი გააკვირვა მის (ნესტანის) სხივთა ფენამ; როგორც მზემ (ნესტანმა), თავისი სინათლის გამოჩენით დააბრმავა მჭურეტელთა თვალი; მისგან დამწვარი გულები მისი (ნესტანის) ჭურეტით აღხინეს, საითაც გამოჩნდებოდა, ხალხი იქით გარბოდა.

1534 შინა წავიდეს ყოველნი, შესხდეს თავისა დარებად,

ჰქონდეს შუიღნივე მნათობნი მის მზისა დასადარებლად,

არ მიხედომის სიტურფე, არს მათგან მიუმსუდარებლად,

და ადრე მოვიდეს მეფისა სახლად საყოფად, არებად.

u 1525-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ა. ბარამიძე: თეიმურაზ პირველთან გვხვდება **დ-ს** მეორე ნახევრის თავისებური ვარიანტი: სახლად, სამყოფად, სრაებად. ხომ არ მიუთითებს ეს იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ **სარებად** გვქოდა?

ი. გიგინეიშვილი: შეიძლება ეს იმაზე მიუთითებდეს, რომ თეიმურაზი იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ისეთ ხელნაწერს, რომელშიც აღნიშნული სიტყვა **სარებად** ვარიანტს შეიცავდა.

გ. კარტოზია: **სარებად**, გარდა იმისა, რომ ხელნაწერებსი არ დასტურდება, ღრმა რითმას (დარებად) არღვევს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა **არებად**.

ა. ბარამიძის წინადადებით, **სახლად საყოფად** გაგებულ იქნა სინონიმებად (და არა მსაზღვრელ-საზღვრულად) და მათ შორის დაისვა მძიმე.

ს. შ. ყველანი შინ წავიდნენ, (ცხენებზე) შესხდნენ წასასვლელად, შეიდივე მნათობი ჰქონდათ იმ მზის (= ნესტანის) დასადარებლად (= შეიდივე მნათობს უდარებდნენ ნესტანს). (მისი) სიტურფის მიწვდომა შეუძლებელია, მათგან მიუწვდომელია, მალე მივიდნენ მეფის სამყოფში (საცხოვრებელში), სახლში, არემარეში (კარმიდამოში).

1981. 30. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1534 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა), 1535-1541 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1535 შევიდეს, ნახეს თინათინ, მჭურეტთა მიმცემი ჭირისა;
სკიპტროსან-გუთრგუთინოსანი შეწენოდა ცმა პორფირისა,
მისრულთა პირსა შეადგა ელვა მისისა პირისა;
და შევიდა მეფე ინდოთა, იგი მზე, მსგავსი გმირისა.

u 1526-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: მისრულთა (მოსრულთა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. შევიდნენ, ნახეს თინათინი, მჭვრეტელთა შემაწუხებელი (სილამაზით თავზარდამცემი), სკიპტრისა (სამეფო კვერთხისა) და გვირგვინის მქონეს უხდებოდა პორფირის (წითელი სამოსის) ჩაცმა; მისულებს პირისახეზე შეადგათ მისი პირისახის სხივი; შევიდა ინდოთა მეფე (ტარიელი), გმირის მსგავსი მზე.

1536 ტარიელ და ცოლმან მისმან ქალსა მდაბლად უსალამეს,
მოეგებნეს, აკოცეს და საუბარი დაამეს,
იგი სახლი გაანათლეს, არ ნათელი შეაღამეს,
და ბროლ-ბალახში გააღაწეს და გიშერი აწამწამეს.

u 1527-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ც. კიკვიძე: ხელნაწერებში ბ-ს **მოეგებნეს** ფორმას აქვს ვარიანტი: **მოეგება** (იგულისხმება თინათინი). ვფიქრობ, სტროფში ყველა ზმნა ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას გამოხატავს და, შესაბამისად, მრავლობითში უნდა იდგეს.

ა. ბარამიძე: მოეგება უფრო მართებული ფორმა. პროექტის წაკითხვით გამოდის, თითქოს თინათინი უძრავად იყო. ისიც უნდა შეგვებოდა მოსულებს.

ბ. კარტოზია: მიეგება-ს უნდა უჭერდეს მხარს ანალოგიური სურათი 1530 სტროფში (მეფემან ქალს უსალამა, მან შორით გარდაკლომილმან... გა-მოეგება, აკოცა კუბოსა შიგან ჯდომილმან). რიგ ნუსხაში ზმნის მხოლოდობითის შეცვლა მრავლობითის ფორმით მეზობელი ზმნების გავლენას უნდა მიეწეროს.

მიეგება-ს უჭერენ მხარს ს. ცაიშვილი და შ. ძიძიგური. ამავე წაკითხვას იცავს ი. გიგინეიშვილიც (იხ. მისი წიგნი).

დაადგინეს: მიღებულ იქნას წაკითხვა – მოეგება. მას შემდეგ დაისვას წერტილ-ძიძიე (წინააღმდეგი – ც. კიკვიძე).

ს. შ. ტარიელი და მისი ცოლი ქალს (= თინათინს) მიესალმნენ, მოეგება (თინათინი); აკოცეს და საამოდ ესაუბრნენ, ის სახლი გაანათეს, ნათელი არ დააღამეს, ბროლ-ბალახში ღაწვად და გიშერი წამწამებად აქციეს.

1537 თინათინ ზედა აწიფინა ტახტსა მეფეთა ზეთასა,
ტარიელ უთხრა: „შენ დაჯე, სწადიან ბრჭესა ბრჭესათა,
დღეს ტახტი შენი შენ გამართებს მეტად ყოველთა დღეთასა,
და მე ლომი ლომთა დაგისტა გუერდსა შენ, მზესა მზეთასა“.

u 1528-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ. თინათინმა მაღალ სამეფეო ტახტზე მიიწვია ისინი, ტარიელმა უთხრა: „შენ დაჯექი, (ასე) სურს (დმერთს) მსაჯულთა მსაჯულს, ყველა სხვა დღეზე მეტად შენი ტახტი დღეს შენ შეგეფერება, მე ლომთა ლომს (= ავთანდილს) გვერდით დაგისვამ შენ, მზეთა მზეს.“

1538 ორთავე ჰელი მოჰკიდეს და დასტეს ტახტსა თავისსა,
გუერდსა დაუსტეს ავთანდილ, სურვილსა მოეკლა ვისსა;
უნახავსა და ნახულსა სჯობს ყოველსა სანახავისსა,
და ნუ ეჭუ მიჯნურთა მათებრთა ნუცა თუ რამინს და ვისსა.

u 1529-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ბ-ს მეორე ნახევარი (სურვილსა მოეკლა ვისსა) ორაზროვანია. სურვილისაგან მოკლულად შეიძლება ავთანდილიც ვიგულისხმოთ და თინათინიც. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ უფრო თინათინი იგულისხმება. ს. ცაიშვილს შეუძლებლად მიაჩნია თინათინის ვარაუდი. რუსთველი ქალის განცდებს ასე არ გადმოსცემს (სურვილის მოკლად). მხოლოდ მამაკაცი (ავთანდილი) უნდა ვიგულისხმოთ.

ს. შ. ორივემ (ნესტანმა და ტარიელმა) მოჰკიდა ხელი (თინათინს) და მის ტახტზე დასვეს, გვერდით დაუსვეს ავთანდილი, ვის სურვილსაც მოეკლა; ეს (სანახაობა) სჯობს ყოველგვარ უნახავ და ნახავ სანახაობას, ნუ ფიქრობ, მათი მსგავსი მიჯნურები იყვნენ რამინი და ვისიც კი.

1539 ქალსა შესწბა, გაუკუირდა ავთანდილის გუერდსა ჯდომბა,
ფერი ჰკრთა და გაუფიცხა შე- და გამო- გულმან კრთომბა.
მეფე ეტყუის: „შვილო, ჩემგან გაქუს სირცხილი თუ რა ზომბა,

და ბრძენთა უთქუამს სიყუარული, ბოლოდ მისი არწავლობა.

u 1530-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ქალს, (= თინათინს) შერცხვა, გაუკვირდა ავთანდილის გვერდით ჯდომა, ფერი ეცვალა და გაუხშირდა გულის ძგერა (გაუხშირა გულმა ძგერა), მეფე ეუბნება: „შვილო, ჩემი რაც უნდა გრცხვენოდეს, ბრძენთ უთქუამთ სიყვარული, საბოლოოდ მისი გამარჯვება (არდაღუპვა).

1540 „აწ შვილო, ღმერთმან თქვენ მოგცეს ათას წელ დღეთა გრძელობა, სწესწიანობა, დიდობა, კულა ჭირთა გარდუჭდელობა! ცამცა ნუ შეგცვლის, მოგხუდების თუით მისებრ შეუცვლელობა!

და თქვენით კელითა მეღირსოს მიწათა შემოყრილობა!“

u 1531-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. „ახლა, შვილო, ღმერთმა თქვენ მოგცეთ ათას წელს დღეგრძელობა, ბედნიერი ბედი, დიდებულობა, კვლავ არ შეგხვედროდეთ გაჭირვება! ცაც ნუ შეგცვლით, წილად გხვდეთ თვით მისი მსგავსი შეუცვლელობა! თქვენი ხელით მეღირსოს მიწის დაყრა!“

1541 მართ მეფემან სპათა ბრძანა ავთანდილის თაყუანება: „ესეაო მეფე თქვენი, ასრე იქმნა ღმრთისა ნება, დღეს ამას აქუს ტახტი ჩემი, მე – სიბერე ვითა სნება, და ჩემად სწორად მსახურებდით, დაიჭირეთ ჩემი მცნება!“

u 1532-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. მეფემ ლაშქარს უბრძანა თაყვანი ეცათ ავთანდილისათვის: „ეს არისო თქვენი მეფე, ასე იქმნა ღვთის ნება, დღეს ამას აქვს ჩემი ტახტი, მე – სიბერე როგორც სნეულება, ჩემს თანასწორად ემსახურეთ, ჩემი სურვილი შეასრულეთ!“

1981. 14. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 1542-1543,3 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1542 ლაშქარნი და დიდებულნი დადრკეს, მდაბლად ეთაყუანნეს, მოავსენეს: „მიწად ვექმნეთ, ვინცა მიწად მოგუთყუანნეს, მორჩილქმნილნი დაგუადიდნეს, ურჩნი მკუდართა დაგუაგუანნეს, და მტერთა მკლავნი შეაძუნტნეს, გულნი ჩუენნი აგულვანნეს“.

u-1533-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

რედაქციის წევრების აზრით, ა-ს ზმნის (ეთაყვანნეს, ისევე, როგორც ბ-ს მოაწესენეს ზმნის) ირიბ ობიექტად როსტვეანი იგულისხმება. მიწად მო-გუიყვანეს ნიშნავს დაგეშარხავს (გვიპატრონებს).

ს. შ. ლაშქარმა და დიდებულებმა თავი მოიდრიკეს, თაყვანი სცეს (როსტვეანს), უთხრეს: „ფეხთა მტვერი ვიქნებით იმისი, ვინც ჩვენი დამმარხველი – პატრონი – იქნება, (ვინც) მორჩილებს აღგვაზევებს, ურჩებს მკვდრებს დაგვამსგავსებს, მტრების მკლავებს დაასუსტებს, ჩვენ გულებს გააგულოვნებს“.

1543 **ტარიელცა უთხრა ქებით იმედისა გადიდება;**
ქალსა ეტყჳის: „შემიყრიხართ, აღარა გწჳავს ცეცხლთა დება,
ქმარი შენი ძმაა ჩემი, მწადს ვგრეთვე თქჳენი დება,
და ორგულთა და შემცილეთა თქჳენთა მე ვქმნა გაფლიდება“.

u-1534-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ა თავსა დება** (გადიდება).

ც. კიკვიძე: ა-ს დასასრული სხვადასხვა ვარიანტითაა ხელნაწერებში წარმოდგენილი: იმედისა თავსა დება, იმედისა გადიდება, იმედის გათაყება. შესიტყვება: იმედის გადიდება ან იმედის გათაყება ძველ ტექსტებში არსად დასტურდება, იმედის დება კი გვხვდება.

გ. კარტოზია: **იმედისა თავსა დება და იმედის დება** სხვადასხვა შინაარსის შესიტყვებებია. ტექსტში უნდა აღდგეს **იმედისა გადიდება**. ტაეპის აზრით: ტარიელმაც ქებით დიდი იმედი უთხრა (= მისცა).

ს. ცაიშვილი: პროექტის წაკითხვა უნდა მივიღოთ. ტაეპის აზრი ასე უნდა გავიგოთ: ტარიელმა უთხრა ჯარს, რომ კარგი ქნეს, იმედი რომ იკისრეს.

ა. ბარამიძე: -ცა ნაწილაკი (ტარიელცა) იმაზე მიუთითებს, რომ ტარიელი ავთანდილს მიმართავს.

დაადგინეს: მიღებულ იქნას პროექტის წაკითხვა: **იმედისა თავსა დება**.

ი. გინეიშვილი (4. 11. 81. ოქმის კითხვისას): ასევე მსურს, თქვენ გახდეთ ჩემი და, **თქვენი დობა**-ს ნაცვლად. **დობა** აბსტრაქტული ცნებაა.

ს. შ. ტარიელმაც ქებით დააიმედა (ავთანდილი), ქალს ეუბნება: „შემიყრიხართ, ცეცხლი აღარ გწვავთ, შენი ქმარი ჩემი ძმაა, ასევე მსურს თქვენი დობა, თქვენს ორგულებს და მოცილეებს (= თქვენს მტრებს) გააფლიდებ (შეგარცხვენ).“

1543,1 **რომ გენახნეს ოთხნივ ერთად ტახტსა ზედა მსხდომნი ჯგუფად,**
აღზრდილიყო სარო ნორჩი ყმა ახოვნად, ქალი სუფთად;
მუნა მყოფთა მათთვის ეზღუნა უშურველად სულნი მუფთად;
და წამწამთაგან დაჭრილიყო მჭერეტელთ გული ყიმა ქუფთად.

x-1748-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ბ-ში ქალი-ს** შემდეგ დაისვა ტირე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. რომ გენახათ ოთხივენი ტახტზე ერთად დამსხდარნი, ნორჩი სარო ყმა აღზრდილიყო ახოვნად, ქალი – ფაქიზად; იქ მყოფებს მათთვის მიეძღვნათ სულები უშურველად; (მათი) წამწამებისაგან მჭკრეტელთა გულები ნაკუწ-ნაკუწად დაჭრილიყო.

1543,2 აბა, ეს არის ღვინო და, თუ გინდა ერთა ჭამება!
მათთა შუქთა და ელვათა თვალი არ შეეღვამება;
მუნ შინა მყოფთა გაყრისა ნდომა არ დაეწამება;
და როსტან ღვინობს და მასპინძლობს, დღე არ მიუჩანს ღამება.
x-1749-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. აბა, ეს არის ღვინო და, თუ გინდა, ერთაჭამა! მათ შუქსა და ელვას თვალი არ შეეღვამება, იქ მყოფთ გაყრის ნდომას ვერ დასწამებ; როსტევანი მოიღვინოს და მასპინძლობს, დღე და ღამეს არად მიიჩნევს.

1543,3 ქორწილი ავთანდილისა, იგ სხდომა ოთხთა მზეთასა;
მუნ კრთომა ელვა-შუქისა ციურთ უზენე ზესთასა,
ქალთა უტურფეს მნათობთა, ყმათა უმგნესთა მგნეთასა;
და როსტევან ფრიდონს მუკლმოყრით ველთ ღვინით სავსეა თასა.
x-1750-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. ავთანდილის ქორწილი, ოთხი მზის (ერთად) ჯდომა; იქ ციურ მნათობებზე უზენაეს ზენათა ელვა-შუქის კრთომა, მნათობებზე უღამაზესი ქალებისა, გმირთა გმირი მოყმეებისა; როსტევანმა ფრიდონს მუხლმოყრით ხელში ღვინით სავსე თასი მიართვა.

1544-1561 სტროფების განხილვის ოქმები დაკარგულია. ვაქვეყნებთ მთავარი რედაქციის მიერ დადგენილ ტექსტსა და სტროფების „შინაარსს“.

1544 მას დღე ავთანდილ პატრონად ზის და კვლმწიფე ზენია,
მას თანა მჯდომსა ტარიელს შუენიან სინაზენია;
ნესტანჯარ ახლავს თინათინს, მჭურეტელთა ამაზრზენია,
და ჰგავს, თუ ცა მოდრკა ქუეყანად, შეყრილან ოთხნი მზენია.
ს. შ.: იმ დღეს ავთანდილი პატრონად (მეფედ) ზის და უზენაესი ხელმწიფეა, მასთან მჯდომ ტარიელს შუენის სინატიფე. ნესტანდარეჯანი, მჭურეტელთა ჟრუანტელის მომგვრელი, თინათინს ახლავს, თითქოს ცა ჩამოსულა მიწაზე. ოთხი მზე შეყრილა (ერთად).

1545 დაიწყეს მორთმა პურისა ლაშქართა მის მესავსისა,
ზროხა და ცხვარი დაკლული არს უმრავლესი მხავსისა,
შეიქმნა ძღწეობა ძღწენისა, მათისა შესამსგავსისა,

და მათ ყოველთა შუქი ანათებს პირისა მზისა მსგავსისა.

ს. შ.: დაიწყეს ლაშქრისათვის უხვად საჭმლის მორთმევა, ხარ-ძროხა და ცხვარი ხავსზე ბევრი არის დაკლული, დაიწყეს მათი შესაფერი ძღვენის მორთმევა; ყველას ანათებს მზისგავსი სახის შუქი.

1546 იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები,
კჳლა უცხოფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები.
მის ქორწილისა მაქები კაცი ბრძენთაგან იქები,

და მჭურეტელო, გულისა ეტყოდი: „ნუ აეხსნები, იქ ები!“

ს. შ.: იყო იაგუნდის ჯამები, ლალის ჭიქები, იშვიათ ჭურჭელს ელო სხვადასხვანაირი ტვიფარი. იმ ქორწილის შემქმნელი ადამიანი ბრძენთაგან საქები ხარ, მხილველო, გულს უთხარი: „ნუ წახვალ, აქ იყავი!“

1547 მუტრიბნი მოდგეს ყოველგნით, ისმოდის კმა წინწილისა:
შეყრით ძეს გორი ოქროსა და ბალახშისა თლილისა;
მსმელთათჳის წყარო ღჳინისა ასგან დის, მსგავსი მილისა,

და ბინდით ცისკრამდის სმა იყო, გარდავდა ჟამი დილისა.

ს. შ.: მომღერლები მოვიდნენ, ყოველმხრივ ისმოდა წინწილას ხმა; გროვად აწყვია ოქროსა და გათლილი ლალის გორა; მსმელებისათვის ღვინის წყარო ასგან მოდის ისე, როგორც მილიდან. სადამოდან გათენებამდის სმა იყო, დილის ჟამი გადავიდა.

1548 არა დარჩა უსაბოძტრო არ კოჭლი და არ საპყარი;
მოდიოდა მარგალიტი მოფანტული, მონაყარი;
გაბედითდა წასადებლად ატლასი და ოქრო მყარი.

და სამ დღე იყო ინდოთ მეფე ავთანდილის ვით მაყარი.

ს. შ.: არავინ დარჩა დაუსაბუქრებელი არც კოჭლი და არც საპყარი; მოედინებოდა მოყრილ-მოფანტული მარგალიტი; გაცუდდა წასადებად ატლასი და მკვრივი ოქრო (=ატლასი და ოქრო არავის მიჰქონდა), სამი დღე იყო ინდოეთის მეფე (ტარიელი) ავთანდილის მაყრად.

1549 ხვალისა მეფე არაბთა კჳლა პურობს, არ დაფალია;
ტარიელს უთხრა: „შენი მზე საჭურეტლად სატურფალია.
მეფე ხარ ყოველთა მეფეთა და ეგე დედოფალია;

და კამს, ყურსა გჳეგდოს საყურად ჩჳენ თქჳენი ნატერფალია.

ს. შ.: მეორე დღეს არაბეთის მეფე (როსტევანი) ისევ ნადიმობს, უხალისოდ არ არის; ტარიელს უთხრა: „შენი მზე (ნესტანი) საჭურეტლად მომხიბლავია. მეფეთ მეფე ხარ, ეგ კი დედოფალია; თქვენი ნატერფალი (ნალი) ყურში საყურედ (მონობის ნიშნად) უნდა გვქონდეს.

1550 აწ, მეფეო, არ ეგების ჩჳენი სხდომა თქჳენად სწორად“.

საკვლამწიფო საჯდომი და სხვა დაუდგა ტახტი შორად.

ქვემოთ დასხნა ავთანდილ და ცოლი მისი მათად სწორად.

და პირველ ძღუენი ტარიასთჳის მოილიან, იდვის გორად.

ს.შ.: ახლა, მეფე, არ შეიძლება ჩვენი დასხდომა თქვენ თანასწორად. ხელმწიფური დასაჯდომი და სხვა (მეორე) ტახტი მოშორებით დაუდგა. ქვემოთ დასვა ავთანდილი და მისი ცოლი მათ გასწრივ. პირველად ტარიელისთვის მოჰქონდათ ძღვენი, (რაც) გორად იდო.

1551 არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს ოდენ არიფობასა,
ზოგჯერ მათ ახლავს, ზოგჯერ მათ, არ ივმობს კვლამწიფობასა,
გასცემს და უქებს ყუელაი უხუთბა-იეფობასა.

და ფრიდონ ზის ახლოს ავთანდილს, ჩუეული თუით მეფობასა.

ს.შ.: არაბეთის მეფე (როსტევეანი) მასპინძლობს, მათ ეამხანაგება, ხან ერთთან არის, ხან მეორესთან, ხელმწიფობას არ იმჩნევს, საჩუქრებს არიგებს და ყველა უქებს სიუხვებს, ფრიდონი ავთანდილის ახლოს ზის, როგორც ჩვეულა მეფობას.

1552 მეფესა ქმრითურთ პატივი ჰქონდა ინდოთა ქალისა,
სიყუარული და ჩუქება, ვით სიძისა და სძალისა;
რომე სძღუნა, არა ეგების თქმა არცა ნაათაღისა, –

და თუითო სკიპტრა და პორფირი და გუირგუინები თუაღისა.

ს.შ.: მეფე (როსტევეანი) პატივს სცემდა ინდოთ მეფის ქალს (ნესტანს) და მის ქმარს (ტარიელს), მათი სიყვარული ჰქონდა და ასაჩუქრებდა მათ, როგორც სიძესა და რძალს; რომ უძღვნა, იმის მეათედის თქმაც შეუძლებელია, – თითო სკიპტრა (სამეფო კვერთხი), პორფირი (მეფეთა წითელი სამოსელი) და ძვირფასი თვლებით მოოჭვილი გვირგვინები.

1553 კუელა უძღუნა ძღუენი ორთავე, მსგავსი მათისა ბედისა:
ათასი თუალი, ნაშობი რომანულისა დედისა,

კუელა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კუერცხი ტრედისა,

და ათასი ცხენი ტაიჭი, სიდიდით მსგავსი ქედისა.

ს.შ.: ისევ მიაერთვა ორივეს (= ტარიელსა და ნესტანს) მათი ბედის შესაფერისი ძღვენი: ათასი ძვირფასი თვალი, რომანული დედის ნაშობი (= რომანული ჯიშისა, ე. ი. განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი სახეობის იაგუნდები), აგრეთვე ათასი მარგალიტი, მტრედის კვერცხის ოდენი, ათასი ცხენი, სიდიდით ქედის მსგავსი.

1554 ფრიდონს უძღუნა ცხრა ტაბაკი მარგალიტი თავშედგმული,
ცხრა ტაიჭი, ძვირფასისა უნაგრითა შეკაზმული.

ინდოთ მეფე თავყუანისსცემს ლაღი, ბრძენი, არ მახმული,
და მადლი ჰკადრა ფხიზელურად, თუცა იყო ღუინოსმული.

ს.შ.: ფრიდონს უძღვნა მარგალიტით თავშედგმული (მეტად სავსე) ცხრა ტაბაკი (ხონჩა), ძვირფასი უნაგირით შეკაზმული ცხრა ტაიჭი (ცხენი). ინდოეთის მეფე (ტარიელი), ლალი, ბრძენი, განა თუ მოვრალი, თაყვანს სცემს (როსტევანს), მაღლობა მოახსენა, როგორც ფხიზელს შეეფერება, თუმცა ღვინონასვამი იყო.

1555 რას ვაგრძელებდე? გარდაცდეს დღენი ერთისა თუისანი.
თამაშობდიან, არ იყენეს ყოლა გაყრანი სმისანი.
ტარიელს სძღუნია უცხონი თუალნი ლალისა ქვისანი,
და მათ ყოვლთა მათნი ელვანი ჰფარვენ მართ ვითა მზისანი.

ს.შ.: რა გავაგრძელო? ავიდა ერთი თვე. ერთობოდნენ, სმას (ნადიმს) არ წყვეტდნენ. ტარიელს სძღვნიდნენ საუკეთესო ლალის თვლებს, ყველას მათი სხივები მზის სხივებივით ეფინებოდა.

1556 ტარიელ ჰგვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად,
ავთანდილ როსტვანს წინაშე გაგზავნა დასათხოველად,
შესთუალა: „შენი სიახლე კმა ჩემად ღხინად ყოველად,
და მტერთა აქუს ჩემი სამეფო, ვიცი მუნ შიგან მძოველად.

ს.შ.: ტარიელი ვარდს ჰგავდა, მაგრამ იყო ფიფქის მთოველი (ცრემლებს ღვრიდა), ავთანდილი როსტევანთან გაგზავნა წასვლის ნებართვის სათხოვნელად, შეუთვალა: „შენი სიახლოვე ჩემთვის ღხინად საკმარისია, (მაგრამ) მტრებს აქვთ ჩემი სამშობლო, ვიცი, რომ იქ ძოვენ (=იქაურობას აოხრებენ).

1557 „უცებნი მოსრნის მცოდნელთა ცოდნამან, კვლოვნებამან.
ვუჭუ, მოგცეს თქუენცა დადრეჯა ჩემმან რასაცა ვნებამან;
წავიდე, ავი არ მიყოს მე აქა დაყოვნებამან,
და ადრე კულა გნახნე მორჭმულნი, ინებოს ღმერთისა ნებამან“.

ს.შ.: უცოდინართ ხოცავს მცოდნეთა ცოდნა, ხელოვნება. ვფიქრობ, თქვენც დაგაღონებთ ჩემი რაიმე ზიანი; წავალ, აქ დაყოვნებამ ცუდი არ მიყოს, თუ ღმერთი ინებებს, მაღე ისევე გნახავთ მორჭმულთ (ძღვევამოსილთ)“.

1558 როსტევანს ეთქუა: „მეფეო, რად ხართ რასაცა რიდითა?
რაცა გიჯობდეს, იქმოდით, გასჭურეტდით, გაიცდიდითა,
ავთანდილ თანა წამოგყვეს, წადით ლაშქართა დიდითა,
და თქუენტა მტერთა და ორგულთა დაჰფრეწდით, და-ცა-სჭრიდითა“.

ს.შ.: როსტევანს ეთქვა (შემოეთვალა): „მეფეო, რატომ მერიდებით (რატომ ხართ რაიმე რიდით)? რაც გერჩით, ის გააკეთეთ, განსაჯეთ, აწონდაწონეთ, ავთანდილი თან წაგყვეს, დიდი ლაშქრით წადით, თქვენი მტერი და ორგული დაფლითეთ და დაჭერთ“.

1559 ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყუები ორები.
მან უთხრა: „გაე, ნუ უბნობ, შეცევ ბროლისა ყორები,
ახალშეყრილსა მთუარესა, მზეო, ვით მოეშორები?“

და ავთანდილ უთხრა: „მაგითა შენგან არ მოვიდორები.
ს.შ.: ავთანდილმა უთხრა ტარიელს ეს ორიოდე სიტყვა. მან (ტარიელმა) მიუგო: „კარგი, ნუ ლაპარაკობ, დაფარე ბროლის ყორები (= კბილები), მზეო,

ახალშეყრილ მთვარეს (= ახალშერთულ ცოლს) როგორ მოშორდები?“ ავთანდილმა უთხრა: „მაგით ვერ მომატყუებ.“

1560 არ, დია გინდა დამაგდო, წახშიდე ჩემად მზრახავად!
„ცოლი უყუარსო, გამწირა“, იყო ამისად მსახავად;
მე დავრჩე შენი გაყრილი თავისა მევაგლახავად;
და კაცსა მოყურისა გაწირვა ახ, მოუკდების, ახ, ავად!“
ს.შ.: ძალიან გინდა დამტოვო, წახვიდე ჩემი მძრახველი: „ცოლი უყვარს, გამწირა“, – ასე იფიქრო; მე შენთან განშორებული დავრჩე თავისა მოვაგლახედ. ადამიანს მეგობრის გაწირვა კარგს არაფერს უზამს!“

1561 ტარიელს უგავს სიცილი ბროლისა, ვარდთა ფრქვევასა;
უბრძანა: „ვიტყუი უშენოდ შენისა უფრო მე ვასა“,
რათგან გწადიან, წამომყევ, დამწამებ ნურას თნევისა.“
და ავთანდილ ბრძანებს ლაშქართა ყოველგნით მის თანა წყევასა.
ს.შ.: ტარიელს სიცილი მიუგავს ვარდთაგან ბროლის ფრქვევას; უთხრა: „უშენოდ მეოფი შენზე მეტად მე ვიგლოვ; რადგან გსურს, წამომყევი, ნურავითარ პირფერობას ნუ დამწამებ“. ავთანდილი ბრძანებს ყოველი მხრიდან ლაშქრის მასთან შეკრებას.

1981. 18. XI

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 1562-1565 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1562 შეყარნა სპანი არაბეთს, აღარა ხანსა ზმულია,
კაცი ოთხმოცი ათასი, ყუელაი დაკაზმულია,
კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია.
და არაბთა მეფე მათითა გაყრითა ნაფელტმულია.
u 1553-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.
ი. გიგინეიშვილი: პირველ ტაეპში (შიგნით) მძიმე წინ უნდა გადმოიხვას: შეყარნა სპანი, არაბეთს აღარა ხანსა ზმულია. რამდენადაც მეორე ტაეპში **დაკაზმულია** შედგენილ შემასმენლად გვესმის (დაკაზმული არის), ამიტომ ტაეპის შიგნით მძიმე უნდა მოიშალოს.
რედაქციის სხვა წევრები წინააღმდეგნი არიან პირველ ტაეპში მძიმის გადასმისა. ამასთან გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ **კაცი ოთხმოცი ათასი** პირველი ტაეპის **სპანი** სიტყვის დანართს წარმოადგენს, ამიტომ **აღარა ხანსა ზმულია** ტირეებით უნდა გამოიყოს. I-II ტაეპის აზრია: აღარ დაავიანა, შეყარა არაბეთში სპა, ოთხმოცი ათასი კაცი, ყველა დარაზმულია.
დაადგინეს: პირველ ტაეპში დაისვას ტირეები: შეყარნა სპანი არაბეთს, – აღარა ხანსა ზმულია, – კაცი ოთხმოცი ათასი, ყუელაი დარაზმულია.
ს.შ.: შეყარა ჯარი არაბეთში, – აღარ დაავიანა, – ოთხმოცი ათასი კაცი, ყველა აღჭურვილია. კაცს და ცხენს ემოსა ხვარაზმული აბჯარი. არაბთა მეფე მათი გაყრით დანადვლიანებულია.

1563 ერთმანერთისა გაყრილნი ქალნი ორნივე, დობილნი,

**ერთმანერთისა დადფიცნი, სიტყვისა გამონდობილნი,
მკერდითა მკერდსა შეკრულნი, ყელითა გარდაჭდობილნი,
და ტიროდეს; მათთა მჭურეტელთა გულნიცა ესხნეს წდობილნი.**

u 1554-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

o. გიგინეიშვილი: პირველ ტაეპში B⁶ ნუსხა **გაყრილნი-ს** ნაცვლად **გამყრელნი-ს** კითხულობს. ეს უფრო სწორი ჩანს შინაარსობრივად: თუ „მკერდითა მკერდსა შეკრულნი“ და ყელგარდაჭდობილნი არიან, **გაყრილნი** როგორ იქნებიან?!

ც. კიკვიძემ და **გ.** კარტოზიამ აღნიშნეს, რომ შინაარსობრივადც ტექსტში უფრო მართებულია ვნებითი გვარის მიმღეობის (გაყრილნი) არსებობა. ამიტომ ანგარიში უნდა გაეწიოს ხელნაწერთა აბსოლუტური უმეტესობის წაკითხვას.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა **გაყრილნი.**

ს.შ.: ერთმანეთს გაყრილი ორივე ქალი, დობილები, ერთმანეთის დადნაფიცნი, სიტყვის მნდობნი (ერთმანეთის სიტყვის მიმნდობნი), მკერდით მკერდზე მიკრულები, ყელგარდაჭდობილნი, ტიროდნენ; მათ მჭურეტელებს წროთობილი გულები უნდა ჰქონოდათ.

1564 **მთწარე ცისკრისა ვარსკულავსა რა თანაშეესწოროსა,
ორნივე ერთგან ნათობენ, მოშორდეს, მოეშოროსა;
არა თუ იგი მოშორდეს, მართ ცამან მოაშოროსა,**

და მათად საჭურეტად მჭურეტელმან, ვამს, თავი იქედგოროსა.

u 1555-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ დამაფიქრებელია პირველ ტაეპში ნუსხათა უმეტესობის წაკითხვა: **ცისკრის ნიაესა**. ქართული მწერლობის ძეგლებში არსად დასტურდება, რომ ნიაეს ჰქონდეს მნათობის მნიშვნელობა. კონტექსტით კი მნათობის აღმნიშვნელი სიტყვა ივარაუდება (შდრ. ორნივე ერთგან ნათობენ). ამ მხრივ დამატებითი ძიებაა საჭირო.

ს.შ.: მთვარე რომ ცისკრის ვარსკულავს შეხვდება, ორივენი თანაწოროდ ნათობენ, თუ ერთი მოშორდება, მეორეც მოშორდება, ერთმანეთს დასცილდებიან, იგი კი არ მოშორდება (თვითონ), ცა მოაშორებს, მათ საჭურეტლად საჭიროა მჭურეტელი ქედსა და გორაზე ავიდეს.

1565 **მათადვე სახედ, რომელსა ესენი დაუბადიან,
იგივე გაჰყრის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან,
ვარდსა სწებვენ და აპობენ, ტირან და ცრემლნი ჩასდიან.**

და მათთა გამყრელთა ყოველთა სიცოცხლე არ იქადიან.

u 1556-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჩასდიან (ჩადიან).

გ. კარტოზიას წინადადებით, ტექსტში აღდგენილ იქნა ჩადიან. აღინიშნა, რომ პოემაში რითმის საჭიროების გამო სხვაგანაც გვხვდება ამგვარი არარეალური ფორმები ამ ზმნისა: მებაღე მირბის, იხარებს, ოფლნი ქვე მკრდამდის ჩადიან. პროექტი ამ ცვლილებით მიღებული იქნა.

ს.შ.: მათ (= მთვარისა და ცისკრის ვარსკულავის) მსგავსადვე, ვისაც ესენი (= პოემის გმირები) შეუქმნია, იგივე (= ღმერთივე) გაყრის, ნებით კი არ სწადიათ განშორება, ვარდს (= ბაგეებს) აწებებენ (ერთმანეთს) და აშო-

რებენ (= ჰკოცნიან ერთმანეთს), ტირიან და ცრემლები იღვრება. მათგან მოშორებულებს სიცოცხლე არაფრად მიაჩნიათ.

1981. 25. XI

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გივინიეშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: **1566-1570** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1566 ნესტან-დარეჯან თქვა: „ნეტამც ყოლა არ შეგმეცნებოდი,
მზისა გამყრელი გაყრითა აწ ასრე არ დაგვცნებოდი;
ამბავსა სცნევი, მაცნევი, წიგნითა მეუბნებოდი,
და ვითა მე შენთვის დამწუარ ვარ, აგრევე შენ
ჩემთვის სდნებოდი“.

u 1557-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა შეგმეცნებოდი (შემოგმცნებოდი). პროექტი მიღებულ იქნა. რელაქციას მიზანშეწონილად მი-აჩნია ტექსტში კონიექტურის (შეგმეცნებოდი) შეტანა (იხ. გ. კარტოზია, „ვეფ-ხისტყაოსნის“ ტექსტის საკითხები, თბ., 1975, გვ. 62- 67).

ს.შ.: ნესტან-დარეჯანმა თქვა: „ნეტავ სულ არ გამეცანი, მზესთან გაყრილი გაყრით ახლა ასე არ დაგვცნებოდი. ამბავი გაიგე, გამაგებინე, წერილით შემატყობინე ხოლმე, როგორც მე შენთვის დამწუარი ვარ, ასევე შენც ჩემთვის დადნი“.

1567 თინათინ უთხრა: „ჰე, მზეო, შენთა მჭურეტელთა ლხინებო,
რადმცა გაგწირე, თუ ვითა გაყრასა მოვითმინებო!
ღმრთისაგან დღეთა თხოვისა ნაცჳლად სიკუდილი ვინებო,
და აგრემცა მივი, რაზომსა მე ცრემლსა დავიდინებო!“

u 1558-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: თინათინმა უთხრა: „ჰე, მზეო, შენთა მჭურეტელთა ლხინო, რატომ გაგწირავ, თუ როგორმე გაყრას ავიტან! ღმრთისაგან დღეების (სიცოცხლის თხოვნის) ნაცვლად სიკვდილს ვისურვებ, იმდენ ხანს მყავდე ცოცხალი, რამდენსაც მე ცრემლს დავიდენ!“

1568 კულა აკოცეს ერთმანერთსა, გაიყარნეს იგი ქალნი,
ქჳე დამდგომმან წამავალსა ვერ მოსწყუიდნა ყოლა თჳალნი;
იგი უჭურეტს უკუღმავე ედებოდეს ამით აღნი.
და რომე მწადდეს, ვერ დავწერენ მე სიტყუანი ნათალნი.

u 1559 - თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: კიდევ აკოცეს ერთმანეთს, გაიყარნენ ის ქალები; დარჩენილმა წამავალს ვერ მოსწყუიტა თვალი; ის უკან იყურება, ამით აღი (უფრო) ედებოდა. რომ მიხლოდა, იმის მეთაუდიც ვერ დავწერე.

1569 როსტან მათითა გაყრითა ხელთაგან უფრო ხელდების,
ათასჯერ იტყუის ვაგლახსა, არ სულთქმა უერთველდების,

**ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მართ ვითა ქუაბი ცხელდების;
და ტარიელ არის დადრეჯით, ფიფქი ნასდების, თხელდების.**

u 1560-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: როსტვეანი მათი გაყრის გამო ხელზე უარესად ხელდება, ათასჯერ იტყვის ვაის, ოხვრა არ უნელდება, ცხელი ცრემლის წყარო სდის, მღუღარე ქვაბივით დუღდება. ტარიელიც დადრეჯილია, სახეზე ფერი ეკარგება.

1570 **ტარიელს ვარდსა დაუტყლეს მეფე ხუვენით და კოცებით;
იტყვის, თუ: „თქვენი სიახლე მიჩნს აქამდისცა ოცებით;
რათგან მოგშორდი, დავრჩები პატიუთა გაასოცებით,
და შენგან მოგშეცა სიცოცხლე, შენგანვე დავივოცებით“.**

u 1561-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: **ბ** მიჩნს (მიჩს). პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ.: ტარიელს დაწვებს უტყლეს მეფე ხუვენით და კოცნით; ამბობს: „თქვენი სიახლოვე აქამდე ოცნებად მიმანდა; რადგან მოგშორდი, დავრჩები (ჩემი) ტანჯვის გაასკეცებით (ასჯერ გამრავლებით), შენგან მოგვეცა სიცოცხლე, შენგანვე დავიხოცებით.“

1981. 2. XII

სხლომას დაესწრნენ; **ა.** ბარამიძე, **გ.** კარტოზია, **ც.** კიკვიძე, **ე.** მეტრეველი, **ს.** ცაიშივილი.

განიხილეს სტროფები: 1571 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1572; 1573 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1571 **ტარიელ შეჯდა მეფისა გამყრელი, გამომსალამე;
სრულად ლაშქართა სდიოდა ცრემლი, მინდორთა სალამე;
„მზე შენ გელისო საომრად და თავი შენ მას ალამე“.**

და უბრძანა: „თქვენთჳის მტირალსა ყოლა რად მიჩნდეს სალა მე“
პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით მესამე ტაეპის მნიშვნელობა.

ა. ბარამიძე; მზე (მნათობი) შენ გელის საომრად და შენ მისთვის აალამე თავი (ე. ი. მზად იყავი საბრძოლველად).

ც. კიკვიძე; მზე (მნათობი) შენ გელის საომრად და შენც მას შეეცილე.

ს. ცაიშივილი, **ე.** მეტრეველი: მზე (ნესტანი) შენ გელის საომრად (რომ იომო) და შენი თავი მას ასურვე.

გ. კარტოზია; მზე (მნათობი) შენ გელის საომრად (შენ უნდა შეებრძოლო, შეეცილო მზეს) და შენ მას დაადარე თავი.

მეოთხე ტაეპის **სალა**, პროექტის მიხედვით, სალ კლდეს ნიშნავს. **ა.** ბარამიძის აზრით, სალა ლიტერატურული პერსონაჟის სახელად უნდა გავიგოთ. რედაქციის წევრებმა მიიღეს ეს უკანასკნელი თვალსაზრისი.

მეოთხე ტაეპში დარჩა წაკითხვა **ყოლა რად**. რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი გამოცემის **ყოლ არად** პოემის მონაცემებით ნაკლებ საგულგებელია. „**ვტ**“-ში ყველგან **ყოლა** იხმარება და არა **ყოლ**.

ს.შ.: მეფესთან გაყრილი, გამომსალმებელი ტარიელი შეჯდა (ცხენზე): მთელ ლაშქარს სდიოდა ცრემლი, მინდორთა დასაღამავი: „მზე შენ გელის საომრად და შენც მას შეეცილე“. უთხრა: თქვენ გამო მტირალს რად უნდა მიმანდეს სალა (სალას ტანჯვა)?

1572 **გაემართნეს და წავიდეს ღია სპითა და ბარგითა –
ტარიელ, ფრიდონ, ავთანდილ თავითა მეტად კარგითა,
კაცი ოთხმოცი ათასი ჰყუა ცხენებითა ვარგითა,
და მივლენ სამნივე გულითა ერთმანერთისა მარგითა.**

ს.შ.: გაემართნენ, წავიდნენ ბევრი (დიდი) ლაშქრითა და ბარგით – ტარიელი, ფრიდონი და ავთანდილი, მეტად კარგნი, ოთხმოცი ათასი კაცი ჰყავდათ ვარგისი (კარგი) ცხენებით, სამივენი მიდიან ერთმანეთის მარგებელი გულით.

1573 **სამ თვე ვლეს, - დმერთმან მათებრი სხვა ნურა ნუ დაბადოსა!
მოეგებნიან, მტერობა ვერავინ დაიქადოსა!
მინდორსა შიგან სადილად გარდაკდეს უდილადოსა,
და ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა.**

u 1564-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

მსჯელობის საგანი გახდა მესამე ტაეპის **უდილადოსა**.

ც. კიკვიძის აზრით, **უდილადო** უზმას ნიშნავს, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ **უდილადოსა** = არა დილაზე, ან დილამდე, ან დილის შემდეგ. უფრო საგულებელია, რომ დილის შემდეგ (მაშინ, როცა დილა გადასული იყო).

პროექტი მიღებულ იქნა. სტროფის ნამდვილობა-ჩანართობის საკითხს რედაქცია დაუბრუნდება ინდო-ხატაელთა ამბის განხილვისას.

ს.შ. სამი თვე იარეს, – დმერთმა მათებრი (მათი მსგავსი) სხვა ნურავინ გააჩინოს! ეგებებოდნენ, მტრობას ვერავინ დაიქადებს (შეებდავს)! მინდორში გაჩერდნენ პურის საჭმელად (სადილად) უდილადოს (დილა გადასული იყო). როგორც შეეფერებოდათ, (ისე) პურობდნენ, ღვინოს სვამდნენ და არა დოს.

1981. 09. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს ჩანართი სტროფები 1573₁-1573₁₁ (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

ს. ცაიშვილი: რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ დამაჯერებლად არის გარკვეული, რომ ეს მონაკვეთი და კიდევ რამდენიმე სტროფი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე გვიანდელი ინტერპოლაციებია და ისინი ეკუთვნის XIX ს-ის პირველ ნახევარში მცხოვრებ პუბლიცისტს და სახელმწიფო მოხელეს – გიორგი თუმანიშვილს. ეს სტროფები თავდაპირველად განეწილა ვახტანგის გამოცემიდან 1823 წელს გადაწერილ ნუსხაში (H-1079), რომლის მფლობელი გ. თუმანიშვილი იყო. სტროფები მიწერილია არშიებზე მისივე ხელით.

ამ ჩანართებს (და მთელ ნუსხასაც) ახასიათებს მოგვიანო ხანის ენობრივი მოვლენები: გარჩეულია გრამატიკული სქესი (რუსული ენის გავლენით – „მეფე“ და „მეფა“); დამახინჯებულია ფორმები („მეცნენ სიხარულებსა“).

გ. თუმანიშვილის ინტერპოლატორობას ადასტურებს ხელნაწერის გვიანდელი მფლობელის, ბარბარე ქობულაძის, მინაწერებიც.

ა. ბარამიძე: განსახილველი 11 სტროფის ჩანართობა სადავო არაა. ამჟამად აუცილებლად არ მიმაჩნია ენობრივი ანაქრონიზმების დეტალური განხილვა. სტროფებს დავურთოთ „შინაარსი“ და აკადემიურ გამოცემაში შევიტანოთ იმ ადგილას, სადაც ე. წ. „არტანუჯულ“ ვარიანტებშია.

წინადადება მიღებულ იქნა.

1573₁ მუნით გაგზავნეს ინდოეთს კაცნი ჰ[ა]მბავთა მცნეველად;
(1779₁) შექსთვალეს: „მოვალს ტარიელ, მოჰყავსცა თვისი მზე ველად,
ვის ვერა ჰგავსო სარო და ვერცა კინამო მრხეველად,
და წინ მოგვეგებეთ, იყვენით დღისით და ღამის მთეველად“.

ს. შ.: იქიდან ინდოეთში გააგზავნენ კაცები ამბის შესატყობინებლად; შეუთვალეს: „მოდის ტარიელი, ველად მოჰყავს თავისი მზე, რომელსაც ვერ შეედრებდა (ტანის) რხევით სარო და ვერც ღარიჩინის ხე მოგვეგებეთ, დღისით და ღამით იარეთ.“

1573₂ ოდეს ინდოთ იგი მეფე შვილთა თვისთა მწუნარებით
(1779₂) საწუთროსა გასალმოდა, სოფლის ბრუნვის ჩვეულებით,
სრულ ინდონი ათერამეტ თვე იყვნენ გლოვით, ვალალებით,
და არსით უჩნდათ სანუგეშო, დედოფალსა ჰყმობდენ კრებით.

ს. შ.: როდესაც ინდოთა მეფე (= ფარსადანი) თავის შვილებზე მწუნარებით წუთისოფელს გამოსალმებოდა, სოფლის ბრუნვის ჩვეულებისამებრ, ინდოელები მთლიანად თერამეტი თვე გლოვითა და ვაებით იყვნენ, არსაიდან ეგულებოდათ სანუგეშო, დედოფალს ემორჩილებოდნენ ერთიანად.

1573₃ რა მისულიყო ინდოეთს ჰამბავი ტარიელისა,
(1779₃) შეჰქმნოდათ სიხარულითა დენა ცრემლისა ცხელისა,
დედოფალს ჰკადრეს: „მოგვეცა შორად განდევნა ბნელისა,
და მოგვეხდნა ღმერთმან წყალობით, ჟამი გვხვდა სანატრელისა“.

ს. შ.: ინდოეთში რომ მისულიყო ტარიელის ამბავი, სიხარულით ცხელი ცრემლის დენა დაეწყოთ, დედოფალს მოახსენეს: „სიბნელე მოგვემორდა, ღმერთმა წყალობით მოგვეხედა, სანატრელი ჟამი დაგვიდგა“.

1573₄ შეკრბა სიმრავლე სპათა და თავადთა დიდებულეთა;
(1779₄) ისწრაფეს, დასხდენ ტაიჭთა ტურფადრე დაკაზმულებთა;
უსწრობდეს ერთი მეორეს, მიეცნენ სიხარულებთა,
და გაისმა, სრულად ინდოელთ მიეცა შვება გულებთა.

ს. შ.: შეიკრიბნენ ლაშქარნი და დიდებულთა თავკაცები; აჩქარდნენ, შესხდნენ ტურფად დაკაზმულ ტაიჭებზე; ერთმანეთს ასწრებდნენ, გაისმა: ინდოელებს ერთიანად მიეცათ გულის შვებაო.

1573₅ დედოფალმან პალატისა დიდებულნი ხასნი სრულად
(1779₅) მათ მეფეთა დასახვედრად მიაგება მხიარულად,
საჭურჭლენი უთვალაენი წინა უძღვნა დატვირთულად,

და უბრძანა, თუ: „ნურას ზოგავთ, რადგან ვარდნი არ არს ზრულად“.

ს. შ.: დედოფალმა სასახლის რჩეული დიდებულები ერთიანად მეფეებს დასახვედრად მიაგება მხიარულად, უთვალავი საგანძურით დაახვედრა ძღვნად, უბრძანა (თავის ქვეშევრდომებს): „ნურაფერს ზოგავთ, რადგან ვარდები არ დამზრალან“.

1573₆ (1779₆) გასცა ინდოეთს ბრძანება ახლად შავისა სრულისა, შემოსვა მოწეულისა და ზარქაშისა მკულისა: „გვეღირსა ზესითა წყალობით პოვნა ჩვენ დაკარგულისა, და განსდევნეთ ჭმუნვა ყოველთა, დღე გვაქვს აწ სიხარულისა“.

ს. შ.: ინდოეთში ბრძანება გასცა, ერთიანად გაეხადათ შავები, შეემოსათ მოწეული და შემეკობილი ზარქაში (ოქრომკედი): „ზეციური წყალობით გვეღირსა დაკარგულის პოვნა, ყველამ მოიშორეთ მწუხარება, აწ სიხარულის დღე გვაქვს“.

1573₇ (1779₇) მოვიდეს სრულნი ინდონი, ტარიელს ესალმოდინ, ფერხთა და ხელთა ჰკოცნიდეს, ცრემლითა უსურვოდინ, ნესტან-დარეჯანს ვით ვარდსა ბულბულებრ გარს ეტრფოდინ, და იგ დიდებითა დიდითა მათ მეფეთ წინ უძღოდინ.

ს. შ.: მოვიდნენ ერთიანად ინდოელები, ტარიელს მიესალმებოდნენ, ფეხსა და ხელზე ჰკოცნიდნენ, ცრემლით ესურვილებოდნენ (?), ნესტან-დარეჯანს, როგორც ვარდს, ბულბულივით სორიდან ეტრფოდნენ, დიდი დიდებით მეფეებს წინ უძღოდნენ.

1573₈ (1779₈) მივიდნენ ქალაქს, შეიქმნა ხშირად საკრავთა ტკბილობა, მოქალაქეთა შეეკმნათ ქვე სტავრათ დაფენილობა, აყრიდენ ზედა თვალ-გოჭარს, არვის აქვს მოწყენილობა, და სრასა შევიდნენ; დედოფალს თვალად ჰსჩანს ცრემლის ნილობა.

ს. შ.: ქალაქში მივიდნენ, დაიწყეს საკრავთა ტკბილი დაკვრა, მოქალაქეებს ფეხქვეშ სტავრას უფენდნენ, თავზე აყრიდნენ თვალ-მარგალიტს, არავინ იყო მოწყენილი. სასახლეში შევიდნენ; დედოფალს თვალებიდან ცრემლი ნი-ლოსივით მოსდის.

1573₉ (1779₉) მაშინ ყოველთა მეფისათვის აატირეს გული ჩვილი, მოსთქვეს: „გმირო სიუხვისა, ვა, მოგვშორდა ნილოს ქმნილი!“ ტარიელცა ცრემლსა აფრქვევს, – მისგან იყო ტკბილად ზრდილი, –

და „დაგჰკარგეო მზისა სწორი, მომდგომია ბნელი ჩრდილი“.

ს. შ.: მაშინ ყველამ მეფის (= ფარსადანის) გამო აატირა ჩვილი გული, ტირილით თქვეს: „ვაი, მოგვშორდა გმირი, რომელიც სიუხვით ნილოსს ჰგავდა!“ ტარიელიც ცრემლს აფრქვევს, – მისგან (= ფარსადანისგან) ტკბილად გაზრდილი იყო, – „მზის თანასწორი დავკარგე, ბნელი ჩრდილი მომდგომიაო“.

1573₁₀ (1779₁₀) დედოფალი გარდევნია მათ ორთავე თვისსა შვილთა, აკოცებს და ეუბნების გულსადებთა სიტყვა[თ] ტკბილთა;

**„ვა, გიმუხთლათ საწუთრომან თქვენ ედემის ალვა-ზრდილთა,
და ნურღა ჰსწუხხართ, აწ დასხედით მეფობისა ტახტ-ადგილთა“.**

ს. შ.: დედოფალი გადაეხვია თავის ორივე შვილს, ჰკოცნის და ეუბნება გულის საამებელ ტკბილ სიტყვებს: „ვაი, საწუთრომ გიმუხთლათ თქვენ, ედემის ზრდილ ალვებს, ნულარ წუხხართ, აწ დასხედით სამეფო ტახტზე“

**1573¹¹
(1779¹¹)** **მიუძღვა და ტახტსა დასხნა, ერთობილნი ულოცვიდეს,
დედოფალსა სხვასა ტახტსა შემკობილსა ცალკე სმიდეს,
ავთანდილს და ფრიდონს მრავლად უსასყიდლოს ძღვენსა
ძღვნიდეს,**

და შუქმნეს სმა და სიხარულით მათ შებებანი განადიდეს.

ს. შ.: გაუძღვა და ტახტზე დასხა, ყველანი ულოცავდნენ, დედოფალი ცალკე დასვეს სხვა შემკულ ტახტზე, ავთანდილსა და ფრიდონს მრავლად უძღვნიდნენ უსასყიდლო ძღვენს, დაიწყეს ნადიმი და სიხარულით შებებულხენა გაადიდეს.

1981. 16. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს „დასაწყისის“ სტროფების შინაარსები.

პოემის ერთი ნაწილი (№ № 1 – 162 ძირითადი და ამავე მონაკვეთის 96 ჩანართი სტროფი) დადგენილია მთავარი რედაქციის მიერ აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით 1968-1972 წლებში. მთ. რედაქციის მაშინდელი მუშაობა ოქმებით დაფიქსირებული არაა. „რუსთაველის კომიტეტის“ არქივში დაცულია მხოლოდ აღნიშნული 258 სტროფის დადგენილი ტექსტი, მისი ხელნაწერული და ბეჭდური გამოცემების კითხვასხვაობანი და ფილოლოგიური (ენობრივ-ტექსტოლოგიური და პოეტიკური) კომენტარები, რაც გამიზნული იყო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისათვის. შემდეგ, 1981-82 წლებში, გაკეთდა ამ მონაკვეთის (როგორც ძირითადი, ისე ჩანართი) სტროფების „შინაარსები“ თანამედროვე ქართულ ენაზე. ქვემოთ წარმოდგენილია ეს სტროფები და მათი „შინაარსები“.

**0,1 პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად,
უკმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ვორცს, არ სულად,
საეროა, არ ავსენებს სამებასა ერთარსულად,
და თუ უყურა მონაზონმან, შეიქნების გაპარსულად.**

სტროფი არის ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში, ამდენად, ითვლება ერთ-ერთ უძველეს ინტერპოლაციად და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ დაწერილ პირველ კრიტიკულ შენიშვნად, რითაც პოემა მიჩნეულია საერო, არასაეკლესიო თხზულებად.

ს. შ.: პირველად (იმთავითვე), სათავე, დასაწყისი, ნათქვამია სპარსულად, ვეფხისტყაოსნის ვუწოდებთ, არსს (არსებას) ქმნის ხორციელად, საეროა, სამებას ერთარსად არ ახსენებს, ბერმონაზონმა თუ უსმინა, გაიპარსება.

1 რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგუცა ქვეყანა, გუაქეს უთუალავი ფერითა,
და მისგან არს ყოველი ჳელმწიფე სახითა მისმიერითა.
ს. შ.: ვინც შექმნა სამყარო ძლიერი ძალით, ზემოდან შექმნა არსებანი ზეციდან მონაბერი სულის მქონეებად (= ზემოდან არსებათ შთაბერა ზეციური სული), (და) ჩვენ, ადამიანებს, მოგვცა ქვეყანა, (რომელიც) გვაქეს ფერით უთვალავი (= მრავალფეროვანი), მისგან არის ყოველი ხელმწიფე, მისმიერი (მის მიერ მოცემული) სახით.

1,1 შენ შექმენ დავით მაღალი, თუით მეფე, დავითიანად,
გონება დიდად მოწყალე, მართ ერთობ გულმოწყლიანად,
მნათობი ყოვლთა მხედველთა ვითა მზე სინათლიანად,
და უმისოდ ჳომი ვერ ნათობს, ვერც ლომი არს ნაკუთიანად.
არის მხოლოდ A¹⁰ B¹⁰ B¹¹ B¹³ D⁴ ხელნაწერებში.
ს. შ.: შენ შექმენი მაღალი დავითი, თვითმპყრობელი მეფე, დავითიანად, დიდად გონებამოწყლე ერთობ გულმოწყალედ, ყოველი შემხედველის მნათობი, როგორც სინათლიანი მზე, მის გარეშე ხომლი (ვარსკვლავთა კრებული) ვერ ნათობს, ვერც ლომი არის ნაკუთიანი (კარგი აღნაგობისა).

1,2 გვირგვინი, ტახტი, პორფირი, ღვთისგან გაქეს სკიპტრა
პირველი,
ერთგულთა დიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მჭირველი,
შენად სამონოდ მეფენი მოვლენ სხვაგნითა მირველი,
და ჳამს თუმცა პაპი პრომისა შენთვისაც იყო მწირველი.
არის მხოლოდ A¹⁰ B¹⁰ B¹¹ B¹³ D⁴ ხელნაწერებში.
ს. შ.: გვირგვინი, ტახტი, პორფირი (= მეფეთა სამოსელი), უპირველესი სკიპტრა (= სამეფო კვერთხი), ღვთისაგან გაქეს, [ხარ] ერთგულთა დიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მპყრობელი, შენ რომ დაგემორჩილონ, მეფეები მოდიან სხვა მხრიდან მირველი (?), ჯერარს, რომ რომის პაპი შენთვისაც სწირავდეს.

2 ჳე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოველისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკუდილმდე გასატანისა,
და ცოდვათა შესუბუქება, მუნ თანაწასატანისა.
ს. შ.: ჳე, ღმერთო ერთო, შენ შექმენი ყოველი ტანის სახე (= შენ მიეცი ყოველ საგანს ფორმა), შენ დამიფარე, გამიმარჯვე ეშმაკის დასათრგუნად (= გამამარჯვებინე ეშმაკზე), მომეცი მიჯნურობის წადილი, სიკვდილამდე გასაყოლი, იქ (= საიქიოში) თანაწასაყოლი ცოდვების შემსუბუქება.

3 ვის შეენის, – ლომსა, – ჳმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის – თამარისა, ღაწუ-ბალახშ, თმაგიშერისა,
– მას, არა ვიცი, შეგმართო შესხმა ხოტბისა შერისა,
და მისთა მჭურეტელთა ყანდისა მირთმა ჳამს მართ მი შერისა.
ს. შ.: ბალახშის (= ლალის) მსგავსი ღაწვისა და გიშრის მსგავსი თმის მქონე მეფე-მზე თამარის ლომს, ვისაც შეენის შუბისა და ფარ-ხმლის ხმარე

ბა, არ ვიცი, შევბედო რჩეული ხოტბის შესხმა?! მისმა მჭვრეტელებმა ნამდვილად შაქარი [და] გოლეული თაფლი უნდა მიართვან მას.

4 თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული,
ვთქუნენი ქებანი ვისნი მე არავად გამორჩეული.
მელნად ვივმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული,
და ვინცა ისმინოს, დაესწას ლახწარი გულსა ხეული.

ა. ბარამიძე: მე ადრევე, ამ სტროფის პირველსავე განხილვაზე აღვნიშნე, რომ ხელნაწერებში დაცული მინა დამახინჯების შედეგია; საჭიროა მივიღოთ ნ. მარისა და იუსტ. აბულაძის კონიექტურა მე ნა. ნა – ლერწამი კონტექსტით სავსებით გამართლებულია. იგი ტანის მეტაფორაა. შდრ.: ტანი კალმად მაქნეს, კალამი – ნაველსა ამონაწები, 12882. პოემაში რხევა ლერწამზე ითქმის; შდრ.: ტანი ლერწამობს რხევითა 9754, რხეული მინა სრულიად მოულოდნელი, სხვა მაგალითებით შეუმაგრებელი შესიტყვებაა.

ს. ცაიშვილი მხარს უჭერს ტექსტში მე ნა-ს მიღებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: – მე ნა. კომენტარებში მიეთითოს, რომ პირველი ტომის მთავარი რედაქტორის – გ. წერეთლის აზრით, ძირითად ტექსტში უნდა იკითხებოდეს მინა (= ინკრუსტირებული, მოვარაყებული კალამი).

ს. შ.: სისხლის ცრემლების მღვრელებმა ვაქოთ თამარ მეფე, ვისი კარგად გამორჩეული (= რჩეული) ქებაც მე ვთქვი [ადრე]. მელნად ვიხმარე გიშრის ტბა (= თვალები) და კალმად რხეული ლერწამი (= ტანი). ვინც მოისმენს, გულს დაესობა გამგძირავი ლახვარი.

5 მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მის მიჯრით მიწყობილისა.

და გასტეხს ქვასაცა მაგარსა გწრდემლი ტყუივისა ლბილისა.

ს. შ.: მიბრძანეს მათ (= თამარის) შესაქებად ტკბილი ლექსების თქმა, წარბებისა და წამწამების, თმებისა და ბაგე-კბილის, თლილი, მიჯრით მიწყობილი ბროლ-ბალახშის (= ბაგე-კბილის) ქება. მაგარ ქვასაც (= ალმასაც) ტეხს რბილი ტყვიის გრდემლი.

6 აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და კელოვანება, –
ძალი მომეც, და შეწვენა შენგნით მაქნეს, მიესცე გონება;
მით შევეწიფნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ვსენება,
და მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანერთის მონება.

ს. შ.: ახლა გამოსათქმელად მინდა ენა, გული და ოსტატობა, – [ღმერთო] მომეცი ძალი, რომ მასზე ვიფიქრო, დახმარება კი შენგან მაქვს; ამით მწვედ ვექმნეთ ტარიელს, ლამაზად (ლამაზი სიტყვით) უნდა ხსენება. ეს სამი მნათობი გმირი ერთმანეთის მონები (ერთგულნი) არიან.

6,1 შენ გევედრები, მაღალო, მცნობელო გულის კმათაო,
მომეც ძალი და შეწვენა, უფალო უფლებათაო,
ჩვენ ქება გვინდა მათ გმირთა, მათფერად კადრებათაო,
და პირველად ტარიელისა და მერმე მისთა კმათაო.
არის მხოლოდ D⁴-ში.

ს. შ.: შენ გევედრები, მაღალო [ღმერთო], ზრახვათა მცნობელო, მომეცი ძალა და შემწეობა, უფლებათა უფალო (მეუფეთა მეუფეო), ჩვენ იმ გმირების ქება გემართებს, მათ შესაფერისად თქმა. პირველად ტარიელისა და მერე მისი ძმებისა.

7 **მო, დაესხდეთ, ტარიელისთჳის ცრემლი გჳედის შეუშრობილი;**
მისებრი მართ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი!
დაფჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთჳის გულლახვარსობილი,
და აქამდის ამბვად ნათქჳამი, აწ მარგალიტი წყობილი.

ს. შ.: დაესხდეთ, ტარიელის გამო შეუშრობელი ცრემლი გედის; მისი მსგავსი მართლაც ვინ დაიბადება! დაფჯექი მის გამო გულმოკლული (= გულს ლახვარდასობილი) [და] რუსთველმა გავლექსე. აქამდე ამბად თქმული, ახლა კი ასხმული მარგალიტის მსგავსი (= ლექსი).

7,1 **ტარიელს, კარგსა მოემესა, მკლავმაგარსა ძალიანსა,**
პირად ვარდსა, ტან-საროსა, გული მისი რკინიანსა,
უხვს, უშურველსა, გამცემსა, ტკბილმოუბარსა, წყლიანსა;
და მით ქება ნესტან-დარეჯანს რათ ეთქმის პირად მზიანსა.

არის მხოლოდ B და C რედაქციების ზოგიერთ ხელნაწერში.

ს. შ.: ტარიელს, კარგ მოემეს, მკლავმაგარს, ღონიერს, სახით ვარდს, ტანსაროს, რკინისგულიანს, უხვს, უშურველს, მოწყალეს, ტკბილმოუბარს, სიტყვაწყლიანს; სახემზიანი ნესტან-დარეჯანის ქება როგორღა გამოითქმის?!

8 **მე, რუსთველი ხელობითა, ვიქ საქმესა ამა დარი:**
ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთჳის ვხელობ, მისთჳის
მკჳდარი;
დაუძღურდი, მიჯნურთათჳის კჳელა წამალი არსით არი,
და ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

ს. შ.: მე, რუსთველი, სიშმაგით (= სიყვარულით გახელებული) ჩავდივარ ამგვარ საქმეს: ვისაც ემორჩილება დიდი ლაშქარი (= ლაშქრის სიმრავლე), მის გამო ვშმაგობ მის გამო მკვდარი; დაუძღურდი, მიჯნურებისათვის წამალი კვლავ არსად არის, ან მომცეს განკურნება, ან დასამარხი მიწა (= ან განმკურნოს, ან დამმარხოს).

9 **ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,**
ვით მარგალიტი ობოლი, ჳელის-ჳელ საგოგმანები,
ვიპოვე და ლექსად გარდავთქჳი, საქმე ვქმენ საჯოჯმანები,
და ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები.

ს. შ.: ეს სპარსული ამბავი, ქართულად გადმოთარგმნილი, როგორც ხელისხელ საგოგმანებელი ობოლი მარგალიტი, ვიპოვნე და გავლექსე. საჯოჯმანო საქმე ჩავიღინე, ჩემმა გამშმაგებელმა, ლაღმა (= ამაყმა) და ნაზმა, თავისი ნებისა დამმართოს (= რაც უნდა, ის მიყოს).

10 **თჳაღთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;**
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხჳდომია ველთა რბენა!
მიაჯეთ ვინ, ვორცთა დაწჳა კმარის, მისცეს სულთა ლხენა.
და სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ლეგნა.

ს. შ.: მისგან (= თამარისგან) დაბრმავებულ თვალებს მოენატრებათ ხელახლა დანახვა (= ახელა, ჩინის დაბრუნება); აჰა, გული გამიჯწურდა, წილად ხედომია ველად გაჭრა! ვინმემ მითხოვეთ (ჩემთვის ითხოვეთ), რომ მისცეს [ჩემს] სულს ლხენა, კმარა (საკმარისია) ხორციელი ტანჯვა. სამი გმირის საქმე ლექსებს ლამის უნდა მოლევა (დამთავრება).

11 რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს;
მუშა მიწვივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს;
კჷლა მიჯნურსა მიჯნურობა უყჷარდეს და გამოსცნობდეს,
და არცა ვისგან დაეწუნოს, არცა სხჷასა უწუნობდეს.

ს. შ.: ვისაც რას მისცემს ბედი, მას უნდა დასჯერდეს და მასზე ლაპარაკობდეს: მუშა მუდამ [უნდა] მუშაობდეს, მეომარი მამაცობდეს; მიჯნურს კიდევ მიჯნურობა უყვარდეს (მიჯნურობას მისდევდეს) და იცოდეს, არც ვინმემ დასცინოს, არც სხვას დასცინოდეს.

11,1 თუ მიჯნურსა მიჯნურობა ეტლად მომცა რადგან ბედმან,
მე მით ვიცან საქმე მათი თავით ჩემით შენახედმან,
სიტყჷა კარგი გამოვაგო ლექსმრავალმან, ენამეტმან,
და შეიზომნეს ჭირნი მათნი ჭირთა ჩემთა მეთადმან.

არის A⁹ A¹⁰ B⁶ B¹⁰ B¹¹ B¹³ C¹⁻⁷ D¹ ხელნაწერებში.

ს. შ.: რადგან მოჯნურს მიჯნურობა ბედმა მომცა წერად, ჩემი თავის შემყურემ ამით გავიგე მათი (= მიჯნურების) საქმე, ლექსმრავალმა, უხვსიტყვიანმა კარგი სიტყვა უნდა ვთქვა, მათი ჭირის ფარდია ჩემი ჭირის მეთადი.

12 შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
სადმართო, სადმართოდ გასაგონი, მსმენელთათჷის დიდი მარგი,
კჷლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;

და გრძელი სიტყჷა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.

ს. შ.: შაირობა (მელექსეობა) იმთავითვე არის სიბრძნის ერთი დარგი, სადვთო, სადვთოდ შესაცნობი, მსმენელებისათვის დიდად მარგებელი, აგრეთვე აქაც (ამქვეყნად) სიამოვნებას ჰგვრის [მის] მომსმენ ღირსეულ კაცს; გრძელი სიტყვა (გრძლად სათქმელი) მოკლედ (ლაკონურად) ითქმის, ამიტომ არის შაირი (ლექსი) კარგი.

13 ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯჷედ ქნევა,
მართ აგრევე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,

და რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა,

ს. შ.: როგორც ცხენს გამოცდის გრძელი გზა და დიდი სრბოლა (ჭენება), მობურთალს – მოედანი, [ჩოგნის] სწორად დარტემა და მარჯვედ მოქნევა, ასევე მელექსეს – გრძელი ლექსის თქმა და უკან დახევა (დროზე თავის შეკავება), როდესაც გაუჭირდება (გაუძნელდება) საუბარი და ლექსი დაუწყებს კლებას.

14 მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხედეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძჷირობა;
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყჷამცირობა,

და **ველ-მარჯვენად სცემდეს ჩოგანსა, იკმაროს დიდი გმირობა.**

ს. შ.: მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა (პოეტური ოსტატობა), როდესაც ვერ ჩასწვდება ქართულს (= სიტყვას), ლექსი გაუიშვიათდება, არ შეამოკლოს ქართული (= სიტყვა), ნუ იქნება სიტყვაძუნწი, ხელმარჯვენად იქნევდეს ჩოგანს, გამოიჩინოს დიდი მამაცობა.

14,1 მე ვიკადრებ ლექსთა კარგთა, ვერავენ თქუას ჩემი ფერი;
ცხელის ცრემლით ავატირო მე სოფელი ჩემი მტერი;
ცა-ქუეყანა შევათავო, ვითა მიწა გაგამტყერი,
და ამა ჩემმან საუბარმან შეაქციოს ყმა და ბერი.

არის მხოლოდ B და C რედაქციების ზოგიერთ ხელნაწერში.

ს. შ.: მე ვიტყვი კარგ ლექსებს, ვერავენ იტყვის ჩემნაირს; ცხელი ცრემლებით ავატირებ ჩემს მტერ წუთისოფელს; ცასა და ქვეყანას ბოლოს მოვუღებ, მიწასავით გაგაცამტყერებ. ეს ჩემი საუბარი შეაქცევს ახალგაზრდასა და მოხუცს.

15 მოშაირე არა ჰქუიან, თუ ვინმე თქუას ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია მელექსეთა კარგთა სწორი;
განადა თქუას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
და მაგრა იტყუის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯორი.

ს. შ.: მოშაირე (მელექსე) არ ჰქვია, თუ ვინმე იტყვის ერთი-ორს [ლექსს]; სრულიადაც ნუ ჰგონია თავი კარგი მელექსეების თანასწორი; იქნებ თქვას ერთი, ორი, შეუსაბამო (შეუფერებელი) და ერთმანეთთან დაუკავშირებელი, მაგრამ ამბობს: „ჩემი [ლექსი] სჯობსო“, ჯორივით ჯიუტობს.

16 მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალუც სრულქმნა სიტყუათა, გულისა გასაგმირეთა,
ვამსგავსე მშუილდი ბედითი ყმაწუილთა მონადირეთა:

და დიდსა ვერ მოჰკლვენ, ჭელად აქუს ჯოცა ნადირთა მცირეთა.

ს. შ.: მეორე [რიგის] ლექსი, პატარა (მოკლე), ხვედრია [იმ] მელექსეებისა, რომელთაც არ შეუძლიათ გულის გამგმირავი სიტყვების სრულყოფა; [მას] შევადარე უხეირო (უსარგებლო) მშვილდი ყმაწვილი მონადირეებისა; დიდს ვერ კლავენ, პატარა ნადირების ხოცვა შეუძლიათ.

16,1 ამბავი წურილად უამბოს, ზე სადმე არა წასთუალოს;
ყოფლსა კაცსა ამეტებდეს, ჭირსა თავი არ აკრძალოს;
ლექს-ქართული აღარიბოს, საუბარი გაასრულოს;

და ნახოს კარგმან გამგონემან, არასადა არ აბრალოს.

არის B⁶ B⁹ B¹⁰ B¹¹ B¹³ C¹ C³ C⁴ C⁶ C⁸ D⁴ ხელნაწერებში.

ს. შ.: წურილად უამბოს ამბავი, ზედ არაფერი წაუმატოს; ყველა კაცს გადააჭარბოს, ჭირს თავი არ მოარიდოს; ლექსი და სიტყვა საუცხოო გახადოს, საუბარი სრულყოს; კარგი გამგონე რომ გაიგებს, არასდროს დასდოს ბრალი.

17 მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერეღად,
სააშიკოდ, საღაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩუენ მათიცა გუემების, რაცა ოდენ თქუან ნათელად.

და მოშიარე არა ჰქვია, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.
ს. შ.: მესამე [რიგის] ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერად, სააშიკოდ, სახუმაროდ, ამხანაგების გასაკილადად; ჩვენ მათი გვეამება, რასაც კი ნათლად იტყვიან. მელექსე არა ჰქვია [იმას], ვინც ვერ იტყვის გრძელად (= ვინც ვერ შექმნის ვრცელ ნაწარმოებს).

17,1 მე გიამბობ, ვინცა იყენეთ ხელობისა მოძებარი,
სხუასა ყოვლგნით მოეშენით, სოფლის ღხინად იგი კმარი.
მათად საქმე ვერ ვამსგავასე, ვითა სმასა მეომარი,

და ვისთა თუალთა ყოვლი თემი ერთად უჩანს, იგი ვარი.
არის მხოლოდ B და C რედაქციების ზოგიერთ ხელნაწერში.
ს. შ.: მე გიამბობთ, ვინც იქნებით ხელობის (= მიჯნურობის) მძებნელი, სხვას ყოველმხრივ (ყველაფერს) მოეშვით, წუთისოფლის ღხინად ის კმარა. მათ საქმეს ვერაფერი საქმე მივამსგავსე, როგორც სმას მეომარი (?), მე იგი ვარ, ვისაც ყველა თემი (= ტომი, ხალხი) ერთნაირად მიაჩნია.

18 ვამს, მელექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთუის კელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამკობდეს,

და მისგან კიდე ნურა უნდა, – მისთვის ენამუსიკობდეს.
ს. შ.: საჭიროა, რომ მელექსე თავის ნაჭირნახულებს (= ნამუშავეს) ამოდ (ფუჭად) არ აბნევდეს, ერთი ჰყავდეს სატრფიალო, ერთ ვინმეს ეტრფოდეს, ყველაფერს მისთვის ქმნიდეს (ოსტატურად), მას აქებდეს, მას ამკობდეს, – მის გარდა ნურავინ უნდა, – მისთვის ენაწყლიანობდეს.

19 ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;

და მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.
ს. შ.: ჩემი [ამბავი] ახლა გაიგეთ ყველამ, მას ვაქებ, ვინც მიქია; ეს მიმანია დიდ სახელად, თავი არ შემირცხვენია! ის არის ჩემი სიცოცხლე, შეუბრალებელი როგორც ჯიქი. მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს და მიქია.

20 ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გუართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა;
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა;

და ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა.
ს. შ.: ვიტყვი პირველ (უზენაეს) მიჯნურობაზე (= სიყვარულზე), ერთ-ერთ ზეციურ კატეგორიათა რიგისაზე, ძნელად სათქმელზე, ენით გაჭირვებით გამოსათქმელზე; ის არის ზეციური საქმე, ზევით (ზეცად) აღმაფრენელი; ვინც შეეცდება [მიჯნურობას], მრავალი წყენის მოთმენა მოუწევს.

21 მას ერთსა მიჯნურობასა ჰქვიათ ვერ მიხედებიან,
ენა დაშურების, მსმენლისა ყურნიცა დავაღდებიან;
ვთქვნი ხელობანი ქვენანი, რომელნი გორცთა ხედებიან;
და მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან.

ს. შ.: ის ერთი მიჯნურობა კეთილგონიერთა ხვედრი არ არის, ენა დაიღ-
ლება, მსმენელის ყურებიც დაიქანცება, ვიტყვი ამქვეყნიურ სიშმაგეზე, რომე-
ლიც ხორცის ხვედრია (ხორციელია). მასვე (= იმ პირველ მიჯნურობას) ემს-
გავსება, მხოლოდ თუ არ მეძაობენ, შორიდან იბნიდებიან.

22 მიჯნური შმაგსა გჭიქეიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერმინჯდომისა წყენითა;
ზოგსა აქეს საღმრთო სიახლე, დაშურების აღმაფრენითა,
და კჭლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.

ს. შ.: მიჯნური შმაგს ჰქვია არაბულად, იმიტომ, რომ შმაგობს, მისი ვერ-
წვდომით განაწყენებული; ზოგიერთი მიჯნური ღმერთთან ახლოა, იღლება
ზეცისკენ ფრენით, ზოგიერთებს კიდევ აქვთ ბუნება, რომ კეკლუცებს აღტა-
ცებით შეჰყურებდნენ.

23 მიჯნურსა თქალად სიტურფე მართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიუხუე, სიმდიდრე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
და ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

ს. შ.: მიჯნურს მართებს (შეჰფერის) თვალად მზესავით სიღამაზე, სიბრძ-
ნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყმაწვილე და მოცალეობა (მოცლილობა), ენა, გო-
ნიერება, მოთმენა, ძლიერ მოწინააღმდეგეებზე გამარჯვება. ვისაც ეს [თვისე-
ბები] სრულად არ ახასიათებს, აკლია მიჯნურთა ზნეობა (თვისებები).

23,1 ვის ეს ყუელა არა სჭირან, არვის დასთჳლის მიჯნურთ თანა;
შექცევასა მოეშორვოს, მათთჳის იხოს გულსა დანა;
მისი კერძი ყუელგნით დაწჳს, ვარდი აზროს, ნამოს დანა.
და ვინცა ესე არ მისმინოს, ვერა ირგოს ვერსით მანა.

არის მხოლოდ C რედაქციაში.

ს. შ.: ვისაც ეს ყველაფერი არ სჭირს, [მას] მიჯნურებში არავენ ჩარიც-
ხავს; გართობას მოშორდეს, მათ გამო გულს დანა დაისოს; მისი წილი
ყველგან დაწვას; ვარდი დააზროს, დანა დანამოს (?). ვინც ამას არ მოისმენს,
ის ვერსაიდან ვერაფერს ირგებს.

24 მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გჭიარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი;
იგი სხჳაა, სიძვა სხჳაა, შუა უზის დიდი ზღჳარი,
და ნურვინ გარევეთ ერთმანერთსა, გესმის ჩემი ნაუბარი?

ს. შ.: მიჯნურობა არის ლამაზი, გასაგებად ძნელი კატერგორია; მიჯნუ-
რობა სხვა რამეა და არა სიძვას შესადარებელი; ის სხვაა, სიძვა სხვაა, მათ
შორის დიდი ზღვარია, ნურვინ გარევეთ ერთმანეთში! გესმით ჩემი ნათქვამი?

25 ვამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყუარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მისჯდეს, თუნდა ქუში;
და მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლამი-მტლუში.

ს. შ.: მიჯნური უცვალეებელი უნდა იყოს, არა მეძავი, ბილწი [და] მრუ-
ში, სატრფოს რომ მოშორდება, ოხრვა და ვაება გაახშიროს, გული ერთს და-

აჯეროს, უკმეხი შეხვდება თუ პირქუში; მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა და მტლაში-მტლუში.

25,1 მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
ნუცა ლხინსა აუზნავდეს, ნუცა ჭირსა შეუზარდეს;
მისთჳის დასთმოს ყწელაკაი, მისთჳის ველთა გამოვარდეს,
და ნურა ჰგავა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს.
არის ოთხივე რედაქციაში. j k s z გამოცემებში შეტანილია ძირითად ტექსტში.

ს. შ.: მას ცოცხალი ნუ შეეღევა, ვინც პირველად შეუყვარდება, ნურც ლხინს გაუთამამდება, ნურც ჭირს შეუშინდება, მის გამო დათმოს ყველაფერი, მის გამო ველად გამოიჭრას, ნუ ენადვლება, მისი წილი წუთისოფელიც რომ განადგურდეს.

26 ამა საქმესა მიჯნური ნუ უგმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხუა, სთმობდეს გაყრისა თმობასა;
ესე მღერასა ბედითსა ჰგავს, ვაჟთა ყმაწჳილობასა.
და კარგი მიჯნური იგია, ვინ იქს სოფლისა თმობასა.
ს. შ.: ამ საქმეს მიჯნური ნუ უწოდებს მიჯნურობას: დღეს ერთი უნდოდეს, ხვალ – სხვა, იტანდეს [მიჯნურთან] გაყრას; ეს ამო თამაშს ჰგავს, ყმაწვილკაცების გართობას. კარგი მიჯნურია ის, ვინც [სატრფოსათვის] წუთისოფელს დათმობს.

27 არს პირველი მიჯნურობა არდაჩენა ჭირთა, მალვა,
თავისწინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კუდომა, შორით დაგვა, შორით ალვა,
და დასთმოს წყრომა მოყურისაგან, მისი ჰქონდეს შიში, კრძალვა.
ს. შ.: უზენაესი მიჯნურობაა გაჭირვების არდამჩნევა, დამალვა, მარტოდ მყოფი [სატრფოზე] ფიქრობდეს, მუდამ განმარტოებული იყოს, შორიდან იბნიდებოდეს, შორიდან კვდებოდეს, შორიდან იდაგებოდეს, შორიდან იწვებოდეს, აიტანოს სატრფოს წყრომა, მისი ჰქონდეს შიში, მოკრძალება.

28 ვამს, თავისსა ხუაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაი-ჰაი“ ზმიდეს, მოყურესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
და მისთჳის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთჳის ცეცხლსა მოიდებდეს.
ს. შ.: თავისი საიდუმლო [მან] არავისთან უნდა გაამჟღავნოს, ამოდ არ ვიშვიშებდეს, სატრფოს [არ] არცხვენდეს; არაფერში ემჩნეოდეს მიჯნურობა, არსად (სადაც უნდა იყოს) შეიფეროს [მიჯნურობა], მისთვის გაჭირვება ლხინად მიაჩნდეს, მისთვის ცეცხლს მოიდებდეს.

28,1 მე გასწავლნე, სურვილითა ვინცა იწვით ვისგან ვინა;
კჳელავ ქებანი ვჰკადრენ ვის მე, არვის უთქმან ჩემგან წინა;
ისჰად მოსომახოს მსგავსი არ დავაცდენ, ვისცა მინა.
და მისთჳის ვლექსობ, სიტურფითა ვინ შეუქთა ჰფენს ვმელთა შინა.
არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: მე გასწავლით, ვინც ვისგან სიყვარულით იწვით; ვისაც მე კვლავ შევკადრე ქება, ჩემზე უწინ არავის უთქვამს; მეომრად მოსომახოს მსგავსი, ვისაც მინდა, არ ავაცდენ. მისთვის ვლექსობ, ვინც სილამაზით შუქსა ჰფენს სმელეთს.

28,2 ვერვინ ველ-ყოს შესა...
შორს იცნობის თქვენც შე...
გონება და სიტყვის წყობა მას ჰქონ...
და გასინჯეთ თავ-ბოლომდის სიტყვის გვ...

28,3 მიჯნურნო, ხედავთ რუსთველი, თუ როგ...
სიტყვას შეგიძობს საფერსა, როგორიც...
ტარიელს ველად გააჭრობს, ასმათ გვერც...
და ხან ლხინსა მისცემს სიტყვითა, ხან...

28,4 მელექსეთ აწვრთნის, ნუ ცდილობ...
რა რომ ქართული შეგიმცრდეს, გე...
დადრმობილს სიტყვას ვერ მიხ...
და მაშინ დაიწყოს უწყებტ...
სტროფები: 28,2 – 28,4 არის მხოლოდ B¹ ხელნაწერში. მიჩნეულია, რომ ჩამატებულია ამ ნუსხის გადამწერის იოსებ ტფილელის მიერ. ფურცელი დაზიანებულია და მეტი აღარ იკითხება.

29 მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყუარე გაამჩინოს?
ამის მეტი რამცა ირგო: მას ავნოს და თუითცა ივნოს.
რათამელა ასახელოს, რა სიტყვითა მოაყივნოს?
და რა ჰგავა, თუ მოყუარესა კაცმან გული არ ატკივნოს!
ს. შ.: მას უშმაგო როგორ მიენდობა, ვინც სატრფოს გათქვამს? ამის მეტს რას ირგებს (მოიგებს): მას ავნებს და თავადაც ივნებს. რაღათი ასახელებს, სიტყვით რომ შეარცხვენს? რა იქნება (განა ძნელია), რომ სატრფოს კაცმა გული არ ატკინოს!

30 მიკუირს, კაცი რად იფერებს საყუარლისა სიყუარულსა:
ვინცა უყუარს, რად აყივნებს მისთვის მკუდარსა მისთვის
წყლულსა?
თუ არ უყუარს, რად არა სძულს? რად აყივნებს, რაცა
სძულსა?!

და ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.
ს. შ.: მიკვირს, კაცი რატომ იფერებს სატრფოს სიყვარულს: ვინც უყვარს, რატომ არცხვენს მისთვის მკუდარს, მისთვის დაჭრილს?! თუ არ უყვარს, რატომ არა სძულს? რაც სძულს [იმას] რატომ არცხვენს?! ცუდი კაცს ცუდი სიტყვა სულსა და გულს ურჩევნია.

31 თუ მოყუარე მოყურისათვის ტირს, ტირილსა ემართლებს;
სიარული, მარტოობა შუენის, გაჭრად დაეთულებს;
იგონებდეს, მისგან კიდევ ნურად ოდეს მოეცდების,
და არ დააჩნდეს მიჯნურობა, სჯობს, თუ კაცთა ეახლებს.

ს. შ.: თუ მიჯნური მიჯნურისათვის ტირის, ტირილი მართებულის: ხეტი-
ალი [და] მარტობა შვენის, გაჭრად ჩაეთვლება; უნდა იგონებდეს, მის (=
მიჯნურის) გარდა ნურასოდეს ნურაფრისთვის მოიცილის, სჯობს, რომ არ და-
ანდეს მიჯნურობა, როცა ხალხში (ადამიანებთან) იქნება.

31,1 **ჰე, ღმერთო, შენგან იქების საქმე ყოველისა ტანისა,
შენ ხარ ჩვენ, არსთა სიმაღლე, სიმდაბლე, სიბრტყე განისა,
ზე ანგელოზთა სიმაღლე, ჩამგდები ქვე სატანისა;
და ვერ გიტყუის ძალი ენისა, გონება ველოვანისა.**
სტროფი არის მხოლოდ A^{10} და D^4 ხელნაწერებში.

ს. შ.: ჰე, ღმერთო, შენ მიერ იქება ყოველი სხეულის საქმე, შენ ხარ ჩვე-
ნი, არსებების სიმაღლე, სიმდაბლე, განის სიბრტყე; ზეცაში ანგელოზთა სი-
მაღლე, სატანის ქვესკნელში ჩამგდები; ვერ გამოგთქვამს ენის ძალა, ხელო-
ვანის გონება.

1982. 20. I

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრევე-
ლი, ს. ცაიშივილი, შ. ძიძიგური.
განიხილედ და დაამტკიცეს 32-70,1 სტროფების „შინაარსები“.

32 **იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სწიანი,
მაღალი, უხუი, მდაბალი, ლაშქარმრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი,
და თუით მეომარი უებრო, კულა მოუბარი წყლიანი.**

ს. შ.: არაბეთში იყო როსტევან, ღვთით ბედნიერი მეფე, ამაღლებული,
უხვი, თავმდაბალი, დიდძალი ლაშქრისა და ყმის (ქვეშევრდომის) მყოლი,
სამართლიანად განმსჯელი და მოწყალე, ბედნიერი და კარგად განმგებელი,
თვითონ უებრო მეომარი, აგრეთვე ენაწყლიანი მოსაუბრე.

32,1 **იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევანისი;
მას ჰქონდა სპარსთა ქუეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი;
უძრწის და მონებს ყოველი, ველთა აქუს მას საბრძანისი;
და თქუეს, თუ: „ვამს ვმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ისი“.**
სტროფი არის B და C რედაქციების ნუსხებში, აგრ. $A^3 A^{10} A^{12} D^1$ -ში.

ს. შ.: არაბეთში იყო მეფე როსტევანის მეფობა; მას ჰქონდა სპარსთა ქვე-
ყანა, როგორც შანშეს ანისი; ყველა [მისი შიშით] ძრწის და ემონება, ხელთ
უპყრია საბრძანებელი; თქვეს: „ხმელეთის პატრონად უნდა იყოს ან ალექსანდ-
რე, ან ის“.

33 **სხუა ძე არ ესუა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული,
სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული;
მან მისთა მჭურეტთა წაუღის გული, გონება და სული,
და ბრძენი ვამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული.**

შ. ს.: მეფეს სხვა შვილი (= მემკვიდრე) არ ჰყავდა, ჰყავდა მარტოდენ
(ერთი) ასული, ქვეყნის მანათობელი მნათობი, მზის დასის (= მნათობების

გუნდის წევრი); იგი თავის მჭვრეტელებს ართმევდა გულს, გონებასა და სულს, მის მაქებრად საჭიროა ბრძენი და უთვალავი (ათასჯერ ასი) ენა.

- 34 მისი სახელი – თინათინ, არს ესე საცოდნარია!
რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია.
მეფემან უშმნა ვაზირნი, თწით ზის ლალი და წყნარია,
და გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.

ს. შ.: მას ერქვა თინათინი, ეს უნდა ვიცოდეთ (საჭიროა ეს ვიცოდეთ)! როცა გაიზარდა, დასრულდა (დაქალდა), მზე მისგან დაინაგრა. მეფემ იხმო ვაზირები, თვითონ ზის ლალი და მშვიდი, გვერდით მოისვა და დაუწყო მათ საამო საუბარი.

- 35 უბრძანა: „გეკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბნაროსა:
რა ვარდმან მისი ყწაგილი გაავმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავდების, სხტა მოვა ტურფასა საბაღნაროსა;
და მზე ჩაგწისუენდა, ბნელსა ვსტურეტთ დამესა ჩწენ უმთწაროსა.

ს. შ.: უთხრა: „გეკითხებით ერთად მოსალაპარაკებელ საქმეზე: როცა ვარდი თავის ყვავილს გაახმობს და დააჭკნობს, ის წახდება და სხვა მოვა (აყვავდება) ტურფა ბაღნარში. ჩვენთვის მზე ჩაესვენა, სიბნელეს და უმთვარო დამეს შეგვქურბთ.

- 36 მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,
დღეს არა, ხვალე მოვეკედები, სოფელი ასრე მქმნელია;
რალაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!
და ჩემი ძე დავსუათ კელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“.

ს. შ.: ჩემი დრო მოთავებულია, ჭირზე უფრო ძნელი რამ მჭირს – სიბერე, დღეს თუ არა ხვალ მოვეკედები, წუთისოფელი ასე იქცევა; რალაა ის სინათლე, რომელთანაც სიბნელეა ახლოს?! ხელმწიფედ დავსვათ ჩემი შვილი, რომელიც მზეს ჩაგრავს“.

- 37 ვაზირთა ჰკადრეს: „მეფეო, რად ჰბრძანეთ თქუენი ბერობა?
ვარდი თუ გავმეს, ვგრეცა გწმართებს მისივე ჯერობა:
მისივე მეტობს ყწაგილი, სული და ტურფაფერობა.
და მთწარესა მცხრალსა ვარსკტლაგმან ვითამცა ჰკადრა მტერობა?!

ს. შ.: ვეზირებმა ბრძანეს: „მეფე, რატომ ახსენეთ თქვენი სიბერე? ვარდი რომ გახმება, მაინც მასვე უნდა დაეჯერდეთ: მისივე ყვავილი, სუნი და სილამაზე აღემატება [სხვას]. დამცხრალ მოვარეს ვარსკვლავი როგორ შეჰბედავს მტრობას?!

- 38 მაგას ნუ ჰბრძანებთ, მეფეო, ჯერთ ვარდი არ დაგტნობია,
თქუენი თათბირი ავიცა სხტისა კარგისა მჯობია;
კმდა განაღამცა საქმნელად, რაცა თქუენ გულსა გლმობია:
და სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია.

ს. შ.: მაგას ნუ ამბობთ, მეფე, ჯერ ვარდი არ დაგტკნობიათ, თქვენი რჩევა, ცუდიც კი, სხვის კარგს სჯობს; ნამდვილად საჭიროა გაკეთდეს, რაზეც თქვენ გული შეგტკივთ: სჯობს და მას მიეცი მეფობა, ვისგანაც მზე დამონებულია.

- 39 **თუცა ქალია, კელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;**
არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გუითქუამს კჳლა დია;
შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
და ლეკუი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხუადია“.
ს. შ.: თუმცა ქალია, ხელმწიფედ ნამდვილად ღვთისაგან არის დაბადებული; არ გეპირფერებით, იცის მეფობა, სხვა დროსაც უთქვენოდ ბევრჯერ გვითქვამს; მის სხიუთა (= მისი ბრწყინვალეობის) მსგავსად მისი საქმეც მზე-სავით ცხადი და აშკარაა. ლომის ლეკვები თანასწორნი არიან, ძუ იქნება თუ ხვადი.
- 40 **ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირ-სპასალარისა,**
საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთუარისა,
ჯერო უწუერული, სადარო ბროლ-მინად საცნობარისა;
და მას თინათინის გონება ჰკლვიდის, წამწამთა ჯარისა.
ს. შ.: ავთანდილი იყო სარდალი, მთავარსარდლის შვილი, კვიპაროსზე უფრო ტანადი, მზისა და მთვარის მსგავსი, ჯერ უწვერო, ბროლ-მინად მისაჩნვეის (= ჩასათვლელის) დარი; მას კლავდა ფიქრი თინათინზე, ხშირ წამწამებზე.
- 41 **გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;**
რა მოშორდის, ვერმჭურეტელმან ვარდი შექმნის ფერნაკლულად;
ნახის, ცეცხლი გაუახლდის, წყლული გაკდის უფრო წყლულად.
და საბრალთა, სიყუარული კაცსა შეიქს გულმოკლულად!
ს. შ.: თავის გულში ფარულად ატარებდა მის სიყვარულს; რომ მოშორდებოდა, [მისი] ვერმჭურეტი ვარდს აფერმკრთალებდა (თინათინის ვერმჭურეტს დაწვები უფერმკრთალებოდა); რომ ნახავდა, [სიყვარულის] ცეცხლი გაუახლდებოდა, ჭრილობა უფრო უღრმავდებოდა. შესაბრაღისია კაცი, სიყვარული მას გულს უკლავს!
- 42 **რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,**
ავთანდილს მიხუდა სიამე, ვსება სჭირს მის სოქალისა;
თქუა: „ხედა-ხედა მომხუდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა,
და ნუთუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი, ფერგამქრქალისა!
ს. შ.: როდესაც მეფემ თავისი ასულის გამეფება ბრძანა, ავთანდილს ესიამოვნა (= გაუხარდა), ცეცხლი ჩაუქრა; თქვა: „ხშირად მომიწევს იმ ბროლ-ფიქალის (= თინათინის) ნახვა, იქნებ როგორმე ვიპოვო ჩემი, ფერმკრთალის წამალი!“
- 43 **არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:**
„თინათინ ჩემი კელმწიფედ დავსუი მე, მისმან მშობელმან,
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
და მოღით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან!“
ს. შ.: დიდმა არაბთა მფლობელმა [მთელ] არაბეთში გასცა ბრძანება: „ჩემი თინათინი მე, მისმა მამამ, ხელმწიფედ დავსვი; ის გაანათებს ყველას, როგორც მანათობელი მზე. მოღით და ნახეთ ყველა [მისმა] მაქებარმა და შემამკობელმა!“

- 44 მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:
ავთანდილ პირმზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრათასისა,
ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
და მათ რომე დადგეს საჯდომი, თქუეს: „უთქმელია ფასისა!“
ს. შ.: არაბები უკლებლად მოვიდნენ, თავი მოიყარა დიდძალმა წარჩინებულმა: პირმზე ავთანდილი, მრავალათასიანი ლაშქრის სარდალი, ვეზირი სოგრატი, მეფის ამაღასთან ერთად; მათ რომ ტახტი დადგეს, თქვეს: „ფასდაუდებელია“!
- 45 თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასუა და თავსა გუირგუინი დასდგა თავისა ჳელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
და ქალი მზეებრ სჭურეტს ყოველთა ცნობითა ზემხედველითა.
ს. შ.: თინათინი ნათელი პირისახით მიჰყავს მამას, [ტახტზე] დასვა და თავზე გვირგვინი დაადგა თავისი ხელით, [ხელში] სკიპტრა მისცა და სამეფო ტანსაცმლით შემოსა. ქალი (= თინათინი) მხესავით უყურებს ყველას, ზეცისკენ მიპყრობილი გონებით.
- 46 უკუდგეს და თაყუანისსცეს მეფემან და მისთა სპათა,
დალოცეს და მეფედ დასუეს, ქება უთხრეს სხუანით სხუათა,
ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ვმათა.
და ქალი ტირს და ცრემლსა აფრქუევს, ხრის ყორნისა ბოლო-
ფრთათა.
ს. შ.: უკან დაიხიეს და თაყვანი სცეს მეფემ და მისმა ლაშქარმა, დალოცეს და მეფედ დასვეს, სხვებმა სხვა მხრიდან შეაქეს, ბუკი დაუკრეს და წინწილები თავიანთ ხმებს ატკობდნენ. ქალი (= თინათინი) ტირის და ცრემლს აფრქევს, ხრის ყორნის ბოლოსა და ფრთებს (= წამწამებს).
- 47 მამისა ტახტსა საჯდომლად თავი არ ეღირსებოდა,
ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა;
მეფე სწურთის: „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა,
და ამისად ქმნამდის დამწუელი ცეცხლი არ დამევესებოდა“.
ს. შ.: თავი ღირსად არ მიაჩნდა, რომ მჯდარიყო მამის ტახტზე, ამიტომ ტირის, ვარდის ბალი(= პირისახე) ცრემლით ივსებოდა; მეფე არიგებს (ასწავლის): „ყოველ მამას შვილი ცვლის, ვიდრე ამას არ გავაკეთებდი, დამწველი ცეცხლი არ ჩამიქრებოდა“.
- 48 უბრძანა: „ნუ სტირ, ასულო, ისმინე ჩემი თხრობილი:
დღეს შენ ხარ მეფე არაბეთს, ჩემგან კელმწიფედ ჳობილი,
აქათგან ესე სამეფო შენია მართ მონღობილი.
და ხარმცა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წყნარი და ცნობილი!
ს. შ.: უთხრა: „ნუ ტირი, შვილო, მოისმინე ჩემი ნათქვამი; დღეს შენ ხარ არაბეთში მეფე, ჩემ მიერ ხელმწიფედ აღიარებული, დღეიდან ეს სამეფო ნამდვილად შენზეა მონღობილი. იყავი საქმის ბრძნულად გამკეთებელი, იყავი მშვიდი და გონიერი!

- 49 ვარდთა და ნეხჭთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წჭრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხჭი ავსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების.
და უხჭად გასცემდი, ზღჭათაცა შესდის და გაედინების.
ს. შ.: რადგანაც ვარდსა და ნეხვს მზე თანასწორად ეფინება, შენც ნუ მოგეწყინდება დიდთა და მცირეთა წყალობა! უხვი თავაშეებულს დააბამს, ვინც დაბმულია, ის თვითონაა დაბმული. უხვად გაეცი, ზღვებსაც შეედინება და გაედინება.
- 50 მეფეთა შიგან სიუხჭე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხჭსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
და რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!“
ს. შ.: მეფეთ შორის სიუხვე ისევეა [ბუნებრივი], როგორც ედემში დარგული ალვა; უხვს ემორჩილება ყველა, ისიც, ვინც ორგულია; სმა-ჭამა ძალიან შესარგია, შენახვა რა გამოსადეგია?! რასაც გასცემ, შენია, რასაც არ გასცემ, დაკარგულია!“
- 51 ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წჭრთასა არ მოიწყინებდა;
მეფე სმასა და მღერასა იქს, მეტად მოილხინებდა;
და თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა.
ს.შ.: მამის შეგონებას ქალი (= თინათინი) ბრძნულად ისმენდა, ყურს უგდებდა, შეისმენდა, დარიგება არა სწყინდებოდა; მეფე სვამდა და ერთობოდა, მეტად ილხენდა; თინათინი მზეს ჩავრაავდა, მაგრამ მზე თინათინობდა.
- 52 მოივმო მისი გამზრდელი, ერთგული, ნაერთგულევი,
უბრძანა: „ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი,
მომართვი ჩემი ყჭელაი, ჩემი ნაუფლისწულევი“.
და მოართვეს, გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.
ს. შ.: [თინათინმა] მოიხმო თავისი გამზრდელი, ერთგული, ერთგულობაში ნაცადი, უთხრა: „ჩემი საგანძური, შენ მიერ დაცულ-დაბეჭდილი, უფლისწულობაში ნაქონი, მომართვი ყველაფერი“. მოართვეს, გასცა უზომო, უთვალავი და დაულეველი.
- 53 მას დღე გასცემს ყჭელაკასა სივაჟისა მოგებულსა,
რომე სრულად ამოაგებს მცირესა და დიდებულსა.
მერმე ბრძანა: „ვიქ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა,
და ჩემსა ნუვინ ნუ დამალავთ საჭურჭლესა დადებულსა“.
ს. შ.: იმ დღეს გასცემს ყველაფერს, ყმაწვილქალობისას ნაშოვნს, ისე, რომ ამდიდრებს დიდსა და მცირეს. შემდეგ თქვა: „მამისაგან სწავლებულს შევასრულებ, ნურავინ დამალავთ ჩემს შენახულ საგანძურს“.
- 54 უბრძანა: „წადით, გავსენით, რაცა სად საჭურჭლენია!
ამილახორო, მოასხი რემაჯოგი და ცხენია!“
მოიღეს, გასცა უზომო, სიუხჭე არ მოსწყენია.
და ლარსა ხჭეტდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია.

ს. შ.: უბრძანა: „წადით, გახსენით, სადაც რა საგანძურია! ამილახორო (= მეჯინიბეთუხუცესო), მოასხი რემის ჯოგი და ცხენები!“ მოიტანეს, უამრავი გასცა, სიუხვე არ მოსწყენია. ლარს (= ძვირფას საქონელს) ისე კრეფდნენ მოლაშქრეები, როგორც ყაჩაღები.

55 ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,
მას ტაიჭსა არაბულსა, ქუენაბამსა, ნასუქალსა;
რომე ჰგუანდა სიუხუთა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა,
და არ დაარჩენს ცალიერსა არ ყმასა და არცა ქალსა.

ს. შ.: მის განძეულობას იტაცებდნენ როგორც ნათურქალს (= ნადავლს), არაბულ ტაიჭებს, ადგილზე ნაბამს, ნასუქს, ისე რომ, [ეს ყველაფერი] სიუხვით ზეციდან ნაბუქარ ბუქს ჰგავდა; ხელცარიელს არ ტოვებს არც კაცს და არც ქალს.

56 დღე ერთ გარდახდა. პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა,
ნადიმად მსხდომთა ლაშქართა მუნ დიდი შემოყრილობა.
მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა.

და „ნეტარ, რა უმძიმს, რა სჭირსო?“ - შექმნეს ამისი ცილობა.

ს. შ.: ერთი დღე გავიდა; პურობა, სმა-ჭამა და ხილით შექვევა, სანადიმოდ მსხდომი მოლაშქრეების დიდი თავშეყრა [იყო]. მეფემ თავი ჩაკიდა და მოიწყინა. „ნეტავი რა აწუხებს, რა სჭირსო?“ – ამაზე დაიწყეს ღვა.

57 თავსა ზის პირმზე ავთანდილ, მჭურეტთაგან მოსანდომია,
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია;
ვაზირი ბერი სოგრატი თუთ მას თანავე მჯდომია.

და თქვენს, თუ: „რა უმძიმს მეფესა, ანუ რად ფერი ჰკერთომია?“

ს. შ.: [სუფრის] თავში ზის პირმზე ავთანდილი, მჭურეტელებისათვის სასურველი, ლაშქრის სარდალი, ჩაუქი, როგორც ვეფხვი და ლომი; თვითონ ვეზირი, მოხუცი სოგრატი, მასთანვე ზის. თქვენს: „რა აწუხებს მეფეს, ან ფერი რატომ დაჰკარგვია?“

58 თქვენს, თუ: „მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
თუარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა“.

ავთანდილ თქუა: „სოგრატი, ვჰკითხოთ, გუითხრას, ვინმცა
შეგუეცილა?“

და ვჰკადროთ რამე სალაღობო, რასათუისმცა გაგუაწობილა?“

ს. შ.: თქვენს „მეფე რაღაც ამო ფიქრს მისცემია, თორემ აქ მისი შესაწუხებელი სრულიად არაფერი მომხდარა“. ავთანდილმა თქვა: „სოგრატი, ვკითხოთ, გვითხრას, ვინ შეგვედავება (ვინ დაგვიშლის)? შეგვედოთ რამე სახუმარო, რატომ გაგვაწობილებს?“

59 ადგეს სოგრატი და ავთანდილ ტანითა მით კენართა,
თითო აიგესეს ჭიქები, მივლენ ქცევითა წყნართა,
წინა მიუსხდეს მუკლმოყრით, პირითა მოცინართა.

და ვაზირი ლაღობს ენითა, წყლიანად მოუბნართა:

ს. შ.: აღდგენ სოგრატო და ტანკენარი ავთანდილი, აივსეს თითო ჭიქა, ღინჯად მიდიან [მეფისაკენ], წინ დაუსხდნენ მუხლმოყრილნი, პირმოცინარენი. ვეზირი ენაწყლიანად ხუმრობს:

60 „დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო,
მართალ ხარ: წაჭდა საჭურჭლე თქუენი მძიმე და ძუირიო,
ყუელასა გასცემს ასული თქუენი საბოძეარჯშირიო;
და ყოლამცა მეფედ ნუ დასუი! თავსა რად უგდე ჭირო?“

ს. შ.: „მოგიწყენია, მეფეო, აღარ გიცინის სახე. მართალი ხარ, გაქრა თქვენი დიდი და ძვირფასი განძეულობა, ყველაფერს გასცემს თქვენი უხვად მბოძებელი ასული; მეფედ სულაც არ დაგესვა! თავს ჭირი რატომ აუტეხეთ?“

61 რა მეფემან მოისმინა, გაცინებით შემოხედნა,
გაუკუირდა: ვით მკადრაო, ან სიტყუანი ვით გაბედნა?!
„კარგი ჰქმენო, – დაუმაღლა, ბრძანებანი უიმედნა, –
და ჩემი ზრახვა სიძუნწისა, ტყუვის, ვინცა დაიყბედნა.“

ს. შ.: მეფემ რომ მოისმინა, გაცინებულმა შემოხედა, გაუკვირდა: როგორ შემომკადრა, ან [ეს] სიტყვები როგორ გაბედაო?! „კარგად მოიქეციო, – დაუმაღლა, წყალობის იმედი მისცა, – ტყუის, ვინც დაიყბედა [და] სიძუნწისათვის დამძრახა!“

61,1 მეფემან ბრძანა: „მიფიცავს, ვირცხვი ამისა თხრობასა,
გამცინოთ, არად ამოგჰკრეფ, ვერვინ მიზრახვით თხოობასა,
შვილი არა მყავს, მუნ ხედავთ, ვეცი ლახუართა სობასა,
და მოასპარეზედ გამეწერთნა, სწავლიდეს მშუილდოსნობასა“.

არის მხოლოდ C რედაქციაში.

ს. შ.: მეფემ თქვა: „ფიცავ, მრცხვენია ამის თქმა, თუ გამცინებთ, არად მივიჩნევ, ვერვინ მისაყვედურებს თხოობას (სილაჩრეს); ხედავთ, შვილი არა მყავს, – [ამიტომ] ლახვარი მესობა, – [რომ] მოასპარეზედ გამეწერთნა, მშვილდოსნობა ესწავლა“.

62 ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწუილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩუენია,
და რომე მას ჩემგან ესწავლენს სამამაცონი ზნენია.

ს. შ.: ეგ არ მაწუხებს, ვეზირო, ეს არის, რომ მწყენს: დავბერდი, განვვლე ახალგაზრდობის დღეები: კაცი არ არის ჩვენს საბრძანებელში, რომ ჩემგან ესწავლოს სავაჟაკო ჩვევები.

63 ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმაშვილი, - ვარ საწუთროსა თმობითა, -
ანუმცა მგუანდა მშუილდოსნად, ანუცა მობურთლობითა;
და ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა“.

ს. შ.: ერთი ასული მყავს, სათუთად გაზრდილი; ღმერთმა არ მომცა ვაჟი-შვილი, რომ მშვილდოსნობაში ან მობურთლობაში მგავდეს, ვითმენ საწუთროს [ამ სასჯელს]; ცოტათი მგავს ავთანდილი, რადგან ჩემი გაზრდილია“.

- 64 ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა,
თავმორეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშუენდა,
თეთრთა კბილთა გამომკრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
და მეფე ჰკითხავს: „რას იცინი, ანუ ჩემგან რა შეგრცხუენდა?“
ს. შ.: ლალი მოყმე (= ავთანდილი) მეფის ნათქვამს მშვიდად ისმენდა, თავი მოიდრიკა და გაიღიმა, გაცინება დაშუენდა, თეთრი კბილებიდან გამომკრთალ შუქს ველს აფენდა. მეფე ეკითხება: „რას იცინი, ან ჩემგან რა შეგრცხვა (რა მიიჩნიე აუკად)?“
- 64,1 მეფემან ბრძანა სიცილით კჳლა მოლიზდარედ ზმებია;
ავთანდილ ქჳეშ-ქჳეშ იცინის, არ ავად პირადრებია.
მეფემან უთხრა: „რას ღრიშობ, გაფიცე ჩემი მზებია,
და თუ ჩემი თავი გიყუარდეს, მიაბზე, რასა სწებია.“
არის მხოლოდ C რედაქციაში.
ს. შ.: მეფემ კვლავ სიცილით და ხუმრობით თქვა ზმები; ავთანდილი ჩუმ-ჩუმად იცინის, არა ცუდად პირდაღებული! მეფემ უთხრა: „რას იღიმები, გაფიცებ ჩემს მზეს, თუ ჩემი თავი გიყვარს, მითხარი, რატომ გრცხვენია“.
- 65 კჳლა უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას იცინი, რა დამგმეო?“
ყმამან ჰკადრა: „მოგავსენებ და ფარმანი მიბოძეო,
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყრეო,
და არ გამჰადო კადნიერად, არ ამიკლო ამაზეო.“
ს. შ.: კვლავ უთხრა: ჩემს თავს გაფიცებ, რას იცინი, რა დამიგმე (რა დამიწუნე)?“ მოყმემ უთხრა: „მოგახსენებ და ფარმანი (= პატიების პირობა) მიბოძეო, კადნიერად არ ჩამთვალო, ამის გამო არ ამიკლო“.
- 65,1 ავთანდილ ჰკადრებს: „საჭურჭლით საგსე მაქჳს დარბაზებია;
შეგკადრო, არ გამირისხდე, მიწყრომო, არ დაფრჩებია;
გული პირმზემან წამილო, ვის, ვაგლახ, ვის თავს ვებია;
და თუ გამიწყრები, ყჳელაი თქჳნს წინა მონადებია.“
არის მხოლოდ D რედაქციაში.
ს. შ.: ავთანდილი ჰკადრებს: „დარბაზები საგსე მაქვს განძით; შეგკადრებ, არ გამირისხდე, [თუ] გამიწყრები, არ გადაფრჩები; გული პირმზემ წამართვა, ვისხეც, ვაგლახ, დავბმულვარ; თუ გამიწყრები, ყველაფერი თქვენ წინაა მოტანილი“.
- 65,2 უბრძანა, თუ: „მისმან მზემან, რაცა გინდა, იგი თქჳიო;
შენი თხრობა რად მეწყინოს, მოცინარედ აქა ვზიო;
შენგან არა მეწყინების, რაცა მკადრო, მოგისმიო;
და არას გაწყენ, თავმან ჩემმან, ვარდი შენი არ ვაჭკმიო.“
არის მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში.
ს. შ.: უბრძანა: ვფიცავ მის მზეს, რაც გინდა, ის თქვიო; შენი თქმა რატომ მეწყინება, გაცინებული აქ ვზივარ; შენგან არაფერი მეწყინება, რასაც მკადრებ, მოგისმენ; არაფერს გაწყენ, თავს ვფიცავ, შეს ვარდს არ დავაჭკნობო“ (არ გაგიწყრები, არაფერს დავიშავებ).
- 66 უბრძანა: „რადმცა ვიწყინე თქმა შენგან საწყინარისა!“

ფიცა მზე თინათინისა, მის მზისა მოწუნარისა.
ავთანდილ იტყვის: „დავიწყო კადრება საუბნარისა:
და ნუ მოჰკრებს მშვილდოსნობასა, თქმა სჯობს სიტყვისა წყნარისა.
ს. შ.: (მეფემ) უთხრა: „რატომ ვიწყენ შენგან საწყინარის თქმასაც კი?“
დაიფიცა თინათინის, მზის დამნაგვრელის, მზე. ავთანდილი ამბობს: „სათქმელს მოგახსენებ: ნუ იკვები მშვილდოსნობას, დინჯი სიტყვის თქმა სჯობს.“

66,1 ავთანდილ ჰკადრა: არ ღირს ვარ, მაგრამ ვინ გაძაბუნების!
მინდორს ვესროლოთ ნადირთა, ვნახოთ, ვინ ეჯობინების;
თუ ბედმან ჩემმან მითოვოს, გაჯობო, ნუ გეწყინების;
და თავჩამოგდებით, დადრეჯით სწემაში ნუ მოგეწყინების!
არის მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში.
ს. შ.: ავთანდილმა ჰკადრა: „ღირსი არა ვარ, მაგრამ ძაბუნად ვინ გეჩვენება (ძაბუნად ვერ გეჩვენები)! მინდორში ვესროლოთ ნადირს, ვნახოთ, ვინ აჯობებს; თუ ჩემმა ბედმა [სიკეთე] დამათოვოს და გაჯობო, ნუ გეწყინება; თავჩამოგდებულნი, შეწყინებული სმაში ნუ მოიწყენ.“

67 მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია;
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ მოწმად თქვენნივე სპანია;
მოასპარეზედ ვინ მგავსო? - ცუნდილა უკუთქმანია.
და გარდამწყედელი მისიცა ბურთი და მოედანია!“
ს. შ.: თქვენი მიწა (= ფეხთა მტვერი) ავთანდილიც თქვენს წინაშე (მყოფი), მშვილდოსანია; დავნაძლევედეთ, მოწმეებად თქვენივე მოლაშქრეები მოვივანოთ; მოასპარეზედ ვინ მგავსო? [ახლა] ამაოლაა გადათქმა. ამის გადამწყეტი ბურთი და მოედანია!“

67,1 მეფე ლალი და წყლიანი გამხიარულდა მეტადრე;
სიცილით უთხრა ავთანდილს: „შვილად გზრდი, მით შემეკადრე;
იცი, არ გიწყენ, გზრდილო, მით შემომიხვე ზედადრე;
და თუ არ გასწბილდე, მაჯობო, ბედი გეყოფის ბედადრე.“
არის ოთხივე რედაქციის ნუსხებში. მაინც მიჩნეულია გვიანდელ ჩანართად (მთ. რედაქციამ ახალი შემადგენლობით ძირითად ტექსტში შეიტანა 1997 წ. 8 ივნისის სხდომაზე).
ს. შ.: ლალი და ენაწყლიანი მეფე მეტად გამხიარულდა; სიცილით უთხრა ავთანდილს: „შვილად გაგზარდე, იმიტომ შემომბედე; იცი, რომ არ გიწყენ, გზრდილო, ამიტომ შემომიტიე (გამითამამდი), თუ არ გაწბილდები, [და] მაჯობებ, ბედი გეყოფა ბედად“.

67,2 როსტევან უთხრა, მით მკადრე არ ეჭმდი ჩემგან წყენასა;
რასთუის შემეკადრე საუბრად, ვით ათქმენინე ენასა!
სრულ სპათა ყური მიუპყრან ჩემთა ნათქვამთა სმენასა,
და თუ არ გასწბილდე, მაჯობო, ბედი გიყოფდეს ზე ნამსა“.
არის მხოლოდ B და C რედაქციებში.
ს. შ.: როსტევანმა უთხრა: იმიტომ გამიბედე, რომ არ მოელოდი ჩემგან გაწყრომას, რატომ გამიბედე ლაპარაკი, რამ გათქმევინა (ენას როგორ ათქმევინე)! მთელმა ლაშქარმა ჩემს ნათქვამს ყური დაუგდოს, თუ არ გაწბილდები, [და] მაჯობებ, ბედი ზეცის ნამს დაგათოვს“.

- 68 – „მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა მაგისსა დაცილებასა.
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქო შედრეკილობა-კლებასა,
კარგთა კაცთასა ვიქმოდეთ მოწმად ჩვენ თანა ხლებასა,
და მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვისძი უთხრობდენ ქებასა!“
ს. შ.: [როსტევიანმა უთხრა]: „მე არ შეგარჩენ შენ მაგაში ჩემთან გაჯიბ-
რებას. მობრძანდი, ვისროლოთ, ნუ დაიწყებ მერყეობასა და უკან დახვევას,
მოწმეებად რჩეული კაცები ვიახლოთ, შემდეგ გამოჩნდება მოედანზე, თუ ვის
შეაქებენ!“
- 69 ავთანდილცა დამორჩილდა, საუბარი გარდასწყვიდეს,
იციოდეს, ყმაწვილობდეს, საყუარლად და კარგად ზმიდეს,
ნაძლევიცა გააჩინეს, ამა პირსა დაასკუნიდეს:
და „ვინცა იყოს უარესი, თავშიშეული სამ დღე ვლიდეს!“
ს. შ.: ავთანდილიც დაემორჩილა, საუბარი [ამით] დაასრულეს, იციოდ-
ნენ, ყმაწვილურად ხუმრობდნენ, სიყვარულით, კარგად ექცეოდნენ
ერთმანეთს, ნაძლევიც დათქვეს, ამ პირობაზე შეთანხმდნენ: „ვინც უარესი
იქნება (ვინც დამარცხდება), სამი დღე თავშიშეულმა იაროს!“
- 69,1 მეფე უბრძანებს: „კაცი კამს ჩუენთა ნაკრავთა მთჳალავად,
ნაკოდთა შემადარებლად და მკჳდართა არდამმალავად,
სხჳანი ისრისა მმართავად, მომრთმელი არ დაფალ-ავად,
და შენტა ნაკრავთა მართლად თქმა, სხჳათათჳის არ დამმალავად“.
არის მხოლოდ B და C რედაქციების ნუსხებში.
ს. შ.: მეფე ეუბნება: „საჭიროა კაცი, რომ ჩვენი ნაკრავი (მონახვედრები)
დათვალოს, დაჭრილები შეადაროს და დახოცილები არ დამალოს, სხვეები
[იმიტოვის], რომ ისარი გამართონ, მკვირცხლად და კარგად მოგვართვან, რა-
საც მოახვედრებ, იმაზე მართალი თქვან, სხვეებს არ დაუმალონ“.
- 69,2 კჳლა ბრძანა: „მონა თორმეტი შევსხათ ჩუენ თანა მარებლად,
თორმეტი ჩემად ისრისა მომრთმეველად, მოსაგმარებლად, -
ერთი შენი შერმადინ არს მათად დასადარებლად, -
და ნასროლ-ნაკრავსა სთჳალვიდენ უტჳურად, მიუმცდარებლად“.
სტროფი წარმოდგენილია ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში, მაგრამ,
ვინაიდან შეიცავს ფაქტობრივ უზუსტობას და შინაარსით უპირისპირდება 73-
ე სტროფს, მთავარი რედაქციის მიერ მიჩნეულია გვიანდელ ჩანართად.
ს. შ.: ისევ ბრძანა: „თორმეტი მონა შევსხათ [ცხენებზე], რომ ჩვენთან ია-
რონ, თორმეტი ჩემთვის ისრის მომრთმეველად, მოხმარედ, ერთი შენი შერმადი-
ნია მათი დასადარი, ნასროლი და მონახვედრები თვალონ მართლად, შეუც-
დომლად.“
- 70 მონადირეთა უბრძანა: „მინდორნი მოიარენით,
დასცვეით ჯოგი ნადირთა, თავნი ამისთჳის არენით“.
ლაშქარნი სამზოლ აწჳივნეს: „მოდიოთ და მოიჯარენით“.
და გაყარეს სმა და ნადიმი; მუნ ამოდ გავიხარენით.
ს. შ.: [მეფემ] მონადირეებს უბრძანა: „მინდვრები მოიარეთ, ნადირთა
ჯოგს მიხედეთ (რომ არ დაიფანტოს), ამისთვის წადით! ლაშქარს მზად-

ყოფნა უბრძანეს: „მოდით და მოგროვდით!“. შეწყვიტეს სმა და ნადიმობა; იქ საამოდ გავიხარეთ.

70,1 უბრძანა სრულად ლაშქართა, ვით ჯელმწიფეთა წესია;
„ყოვლგნით მოცევით მინდორი, მუნ ცეცხლი ნუ აკუესია,
სადაც ვინ ნახოთ ნადირი, ჩენზედ მოასხით ესია!“
და აწ პატრონ-ყმანი ნახენით, რომელი უარესია!

არ იცნობს $A^2 A^9 B^1 C^5$ ხელნაწერები.

ს. შ.: მთელ ლაშქარს უბრძანა, როგორც ხელმწიფეთა წესია: „ყოველი მხრიდან შეკარით მინდორი, იქ ცეცხლს ნუ დაანთებთ; სადაც ვინ ნახავთ ნადირს, ჩვენკენ გამორეკეთ!“ ახლა ნახეთ პატრონი და ყმა, რომელია უარესი!“

1982. 27. 1

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს და დაამტკიცეს 71-119 სტროფების „შინაარსები“.

71 დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,
ძოწუელითა მოსილი, პირად ბროლბალახშოსანი,
პიროქრო რიდე ესწია, შუენოდა ქარქაშოსანი,
და მეფესა გასლვად აწუევდა, მოდგა თეთრტაიჭოსანი.

ს.შ.: დილით ადრე მოვიდა ის სოსანივით ტანადი (= ავთანდილი), ძოწუელით შემოსილი, ბროლ-ბალახშის ფერი სახით, ოქრომკედით ნაქსოვი რიდე ესვია, მშვენიერი იყო [მშვილდით და] ქარქაშით (ისრის ბუდით) აღჭურვილი. თეთრი ცხენით მოვიდა, მეფეს გასასვლელად იწვევდა.

72 შეეკაზმა მეფე, შეჯდა, ნადირობას გამოვიდეს;
მგრგჷლივ მინდორსა მოსდგომოდეს, ალყად გარე
შემოჰკრვიდეს;
ზეიმი და ზარი იყო, სპანი ველთა დაჰფარვიდეს,
და ნაძლევისა მათისათჷის ისროდეს და ერთგან სრვიდეს.

ს. შ.: მეფე მოემზადა, ამხედრდა, სანადიროდ გამოვიდნენ; მინდორს ირგულივ [მარეკები] მოსდგომოდნენ, ალყა შემოერტყათ; ზეიმი და ხმაური იყო, მოლაშქრეები ველებს ფარავდნენ, მათი სანაძლეოსთვის ისროდნენ და ხოცავდნენ [ნადირს].

73 უბრძანა: მონა თორმეტი მოდით, ჩვენთანა ვლიდითა,
მშვილდსა ფიცხელსა მოგჷცემდით, ისარსა მოგჷართმიდითა,
ნაკრავსა შეადარებდით, ნასროლსა დასთჷაღვიდითა!
და დაიწყო მოსლვა ნადირმან ყოვლთა მინდორთა კილითა.

ს. შ.: [როსტვეანმა] უბრძანა: „თორმეტი მოდით, ჩვენთან იარეთ, მაგარ (დაჭიმულ) მშვილდს მოგვაწვდიდეთ, ისრებს მოგვართმევდეთ, ნაკრავს (მონარტყამს) შეადარებდეთ, ნასროლს (ისრებს) დათვლიდეთ!“ მინდვრის ყველა მხრიდან დაიწყო ნადირმა მოსვლა.

- 73,1 როსტან უბრძანა მომვრეთა, თჳითან აქავე დგებოდა;
 მუნით ფიცხლადვე წავიდეს, ურჩობა არ ეგებოდა;
 მოვიდა ჯოგი, ისრისა სხუათ ტყორცნა ვერ ერგებოდა;
 და მათ პატრონ-ყმისა ნასროლი უცთურად დაეგებოდა.
 არის მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში (C⁵-ის გარდა).
 ს.შ.: როსტევანმა [წასვლა] უბრძანა დამხმარეთ, თვითონ აქვე დადგა, იქი-
 დან სწრაფად წავიდნენ, ურჩობა არ შეიძლებოდა; მოვიდა [ნადირთა] ჯოგი,
 ისრის ტყორცნის ნება სხვებს არ ჰქონდათ; მათ (= ნადირებს) პატრონისა და
 ყმის ნასროლი უცდენლად ესობოდა.
- 74 მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშიუწყდომელი:
 ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მაღლად მხლტომელი.
 მას პატრონ-ყმანი გაუკდეს, ჭურეტადმცა სჯობდა რომელი!
 და აჰა მშვილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!
 ს. შ.: მოვიდა უთვალავი ჯოგი ნადირთა: ირემი, თხა და კანჯარი, მაღ-
 ლა მხტომელი ქურციკი. მას (ნადირთა ჯოგს) პატრონი და ყმა (როსტევანი
 და ავთანდილი) გაედევნენ, საჭკრეტლად რა აჯობებდა [ამას!] აჰა, მშვილდი
 და ისარი და მოუღლევი მკლავი!
- 74,1 მას პატრონ-ყმანი გაუკდეს, საჭრეტლად უნდა გორიო;
 მას დღესა მოკლა ავთანდილ, დავსუთაღეთ ას და ორიო;
 ისრითა ეტლსა დააბამს, არ უჩანს მისი სწორიო;
 და ვისმცა დასცდების ლახუარი, ახლოს არს თუნდა შორიო?!
 არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).
 ს. შ.: მას (= ჯოგს) პატრონი და ყმა გაეკიდნენ, (მათ) საჭკრეტლად გო-
 რაა [გორაზე ყოფნა] საჭირო; იმ დღეს [რომ] დახოცა ავთანდილმა, ასორი
 დავთვალეთ; ისრით ეტლს (ზოდიაქოს) დააბამს, მისი თანასწორი არა ჩანს;
 ვის ასცდება ლახვარი, ახლოს იყოს, თუნდა შორს?!
- 75 ცხენთა მათთა ნატერფალნი მზესა შუქთა წაუხმიდეს,
 მიჰხოცდეს და მიესროდეს, მინდორს სისხლთა მიასხმიდეს,
 რა ისარი დაელივის, მონანი-ყე მიართმიდეს.
 და მწეცნი, მათგან დაკოდილნი, წაღმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს.
 ს. შ.: მათი ცხენების ნატერფალი [მტვერი] მზეს შუქს ართმევდა, (აბ-
 ნელებდა) ჰხოცავდნენ და მიესროდნენ, მინდორს სისხლს ასხამდნენ, ისარი
 რომ დაელეოდათ, მონები მიართმევდნენ. მათგან დაჭრილი ნადირი წინ ბიჯ-
 საც ვერ აღვამდა.
- 76 იგი ველი გაირბინეს, ჯოგი წინა შემოისხეს,
 დაკოცეს და ამოწყყიდეს, ცათა ღმერთი შეარისხეს,
 ველნი წითლად შეეღებნეს, ნადირთაგან სისხლი ისხეს.
 და ავთანდილის შემხედველთა: „ჰგავსო ალვას, ედემის ხეს“.
 ს. შ.: ის ველი გაირბინეს, ჯოგი წინ გამოირეკეს, დახოცეს და ამოწყ-
 ყვიტეს, ცაში ღმერთი გაარისხეს, ველები წითლად შეეღებათ, ნადირის სისხ-
 ლით თვითონაც დაისვარნენ. ავთანდილის მაყურებლებმა [თქვეს]: „ალვას,
 ედემის ხეს, ჰგავსო“.

- 76,1 დაუწყეს პყრობა ნადირთა, სროლა არ დავიწყებოდა;
დაჯოცილითა მათითა ქქეყანა აივსებოდა,
მათ მქქდართა სისხლნი სდინდიან, კლდე და ღრე იწებებოდა;
და მათთა მნახავთა კქლა ნახვა მათივე ენატრებოდა.
არის მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში (C⁵-ის გარდა).
ს. შ.: დაიწყეს ნადირის შეპყრობა, სროლა არ დავიწყებოდათ; ქქეყანა აი-
ვსებოდა მათ მიერ დახოცილით [ნადირით]; დახოცილებს სისიხლი სდიოდათ,
კლდე და ღრე [სისხლით] იწებებოდა; მათ (როსტევეანისა და ავთანდილის)
მნახველებს ენატრებოდათ მათი ხელახლა ნახვა.
- 77 იგი მინდორი დალიეს, მართ მათგან განაბენია,
მინდორსა იქით წყალი დის და წყლისა პირსა ტყენია.
ნადირნი ტყესა შეესწრნეს, სადა ვერა რბის ცხენია.
და იგი მაშქრალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მხნენია.
ს. შ.: ის მინდორი გალიეს, ჭენებით გაირბინეს, მინდვრის იქით მდინარე
მიედინება და მდინარის პირას ტყეა. ნადირმა ტყეში შეასწრო, სადაც ცხენი
ვერ რბის. ისინი ორივენი დადლილნი ჩამორჩნენ [ნადირის ჯოგს], თუმცა
მხნედ იყვნენ.
- 77,1 რა მორივნა დღემ ღამესა და გუმბათსა მზე მოვიდა,
დაჯოცილითა სისხლნი სდიან, ქქეყანასა შეღებვიდა;
თქქეს: „ავთანდილ აჯობაო“, მისად ჭურეტად ჯარი ვიდა;
და ყოვლგნით ალყა დაიშალა, ოთხ კიდეთა ვმა გავიდა“.
არის მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში (C⁵-ის გარდა).
ს. შ.: დღე რომ ღამეს მოერია (= როდესაც გათენდა) და [ცის] გუმ-
ბათზე მზე ამოვიდა, დახოცილს [ნადირს] სისხლი სდიოდა, მიწას დებავდა;
თქქეს: „ავთანდილმა აჯობაო“, მის საჭურეტად დიდძალი ხალხი მოვიდა; ყო-
ველი მხრიდან მოიშალა ალყა, ოთხივე მხარეს გავარდა ხმა.
- 78 ერთმანერთსა, თუ: „მე გჯობო“, სიცილით ეუბნებოდეს,
ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს.
მერმე მოვიდეს მონანი, რომელნი უკან ჰყვებოდეს,
და უბრძანა: "თქქითო მართალი, ჩქენ თქქენგან არ გქეთნებოდეს".
ს. შ.: სიცილით ეუბნებოდნენ ერთმანეთს: „მე გჯობივარო“, ხუმრობდ-
ნენ, ლაღობდნენ, აქეთ და იქით დგებოდნენ. მერმე მოვიდნენ [ის] მონები,
რომლებიც უკან დაჰყვებოდნენ, [მეფემ] უთხრა: „მართალი თქვით, პირფერო-
ბას ნუ დაიწყებთ“.
- 78,1 იგი მისრე მონანი მეფეს წინ მოეგებოდა;
ჰკითხავს გაზრდილის ამბავსა, სიცილით ეუბნებოდა;
ჰკადრეს: „ვეჭუთ, მისი ნასროლი მზესაცა ეკქირვებოდა,
და რასაცა ოდენ შესტყორცნა, დაცთენა არ ეგებოდა“.
არის მოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა) და A³-ში.
ს. შ.: ისრების მომწოდებელი მონები მეფეს წინ ეგებებოდნენ; (მეფე) გაზ-
რდილის ამბავს ეკითხებოდა, სიცილით ელაპარაკებოდა; მოახსენეს: „ვეჭი-
რობთ, მისი ნასროლი მზესაც უკვირდა, რასაც კი სტყორცნა, არ აუცდენია.

79 მონათა ჰკადრეს: „მართალსა გკადრებთ და ნუ გემცთარებით; მეფეო, ყოლა ვერ ვიტყვით შენსა მაგისა დარებით, აწვეცა დაგუჟოც, ვერა ჰგაგ - ვერათ ვერ მოგეკმარებით, - და ვისგან ნაკრავნი გჭინახვან მვეცნი ვერ წაღმა წარებით. ს. შ.: მონებმა მოახსენეს: „მართალს მოგახსენებთ და შემცდარად ნუ ჩაგეთვლით; მეფეო, ვერასგზით ვიტყვით, რომ მაგის დარი ხარ, ახლავე რომ დაგვხოცო, ვერაფრით მოგეხმარებით, - ვერ ჰგაგხარ იმას, ვის მიერ დაჭრილი მხეცებიც წინ ნაბიჯწადგმული არ გვინახავს.“

79,1 მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ვერ მოგახსენეთ რილითა; ლომსა ავთანდილს უფროსი მოუკლავს ოცდაშვილითა; თქუენი ნაკრავი წავიდის, ყუელასა ვერ მოჰკლავილითა; და სისხლსა მიგჰკუთვლით, მივსდევით, დასაწყისამდის ვლილითა“.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).
 ს. შ.: მონებმა შეჰკადრეს: „მეფეო, მორიდების გამო ვერ მოგახსენეთ: [რომ] ავთანდილს ოცდაშვიდით მეტი მოუკლავს; თქვენ მიერ დაჭრილი [ბევრი] წავიდა, ყველას ვერ ხოცავდით, სისხლის კვალს მივყვებოდით, მივდევდით, დასაწყისამდე (?) მივდიოდით.“

80 ორთავე ერთგან მოკლული ყუელაი ასჯერ ოცია, მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუვოცია: არ დასცთომია ერთიცა, რაც ოდენ შეუტყორცია, და თქუენი მრავალი მიწითა დასჭრილი გაგუჟოცია“. ს. შ.: ორივეს მოკლული ერთად სულ ორი ათასია, მაგრამ ავთანდილს ოცით მეტი დაუხოცავს; ერთიც არ აუცდენია, რაც კი უსვრია, თქუენი [ისარი კი] ბევრი გაგვიწმენდია მიწით დასვრილი.

80,1 მეფე თავის სიჯაბნესა ცხენს აბრალობს: „არა რბოდა, შენი ცხენი კარგად რბოდა, მუნით ფიცხლა მიმასწრობდა“. იგი ეტყვის: „დაგაჭარბე!“ და მეფეცა იკუთრობდა; და ქება უთხრა უსაზომო, საბოძჳარიც მისკენ რბოდა. არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).
 ს. შ.: მეფე თავის დამარცხებას ცხენს აბრალებს: „ვერ დარბოდა, შენი ცხენი კარგად დარბოდა, იქით ფიცხლად მასწოვებდა“. ის (ავთანდილი) ეუბნება: „გაჯობე!“ და მეფესაც უკვირდა; (მეფემ) უზომო ქება უთხრა, საჩუქარიც მას (ავთანდილს) მისდიოდა.

81 მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა, უხარის ვერე სიკეთე მისისა განაზარდისა, აქუს მიჯნურობა ამისი, ვითა ბუღბუღსა ვარდისა, და სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოსლვა დარდისა. ს. შ.: მეფეს ეს ამბავი ისე მიანია, როგორც ნარდის თამაში, უხარია თავისი გაზრდილის ასეთი სიკარგე (სიმარჯვე), ისე უყვარს იგი, როგორც ბუღბუღს ვარდი. სიცილით ლაღობს (ხარობს), გულიდან დარდი გადაეყარა.

- 82 იგი ორნივე საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა.
 ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოდგეს უფროსნი ბზეთასა.
 ახლოს უთქს მონა თორმეტი, უმხნესი სხუათა მხნეთასა.
 და თამაშობდეს და უჭურეტდეს წყალსა და პირსა ტყეთასა.
 ს. შ.: ორივენი ხეების ჩრდილში ჩამოხდნენ [ცხენებიდან]; ჯარმა [მონა-
 დირებმა და მაყურებლებმა] დაიწყეს მოსვლა, ბზეზე უმრავლესნი მოგროვ-
 დნენ. [მათ] ახლოს უდგას თორმეტი მონა (მოყმე), მამაცთაგან უმამაცესნი.
 ერთობოდნენ, მდინარესა და ტყის პირს უცქერდნენ.
- 82,1 აქა ჩადის წყალი რამე, პირსა ხე უთქს ამოსრული,
 ხეთა ძირსა ლომი იჯდა, ტანად ალვა, ჯავარსრული,
 ტანსა ეცუა ვეფხის ტყავი, წამს არ მისცის თუალთა რული,
 და სხუას სევდასა შეევიწრა და შეექნა დანასრული.
 სტროფს არ იცნობს ოთხივე რედაქციის 9 დაუზიანებელი ნუსხა.
 ს. შ.: აქ ერთი მდინარე ჩადის, ნაპირზე ხე დგას ამოსული, ხის ძირას
 ლომი იჯდა, ალვისტანა, მოხდენილი, ტანს ვეფხის ტყავი ეცვა, წამით თვალს
 არ მიღუღავდა, სხვა რამ სევდას შეეწუხებინა და დაეჩაგრა.
- 83 ნახეს, უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
 შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა,
 ვშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.
 და ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მღუღარად ანატირსა.
 ს. შ.: დანახეს, [რომ] ვილაც უცხო მოყმე მტირალი იჯდა მდინარის პი-
 რას, შავი ცხენი სადავით ეჭირა ლომისა და გმირის დარს. ლაგამ-აბჯარ-
 უნაგირი უხვად იყო შემკული მარგალიტით. ვარდი (=სახე) დაეთრთვილა
 ცრემლს, გულში მღუღარედ ატირებულს.
- 83,1 მნახავნი მოდგეს: „ჩვენ ვნახეთ ტურფა რამ სანახავია:
 ტირს ვინმე გმირი ცრემლითა, უღელავს ზღვითა ნავია,
 ვეშაპისოდენი ცხენი ჰყავს, ლამაზი რამე შავია;
 და რაც შეიტყობის იმისგან, ჩვენთან არ უჩანს ზავია.
 არის მხოლოდ C³-სა და A¹²-ში.
 ს. შ.: მნახველები მოვიდნენ [და მოახსენეს მეფეს]: „ჩვენ მშვენიერი რამ
 სანახავი ვნახეთ: ვილაც გმირი ცრემლით ტირის, ზღვა აღელვებს მის ნავს
 (= თვალი ცრემლით აქვს სავსე?), ვეშაპისოდენა ცხენი ჰყავს, ლამაზი, შავი;
 როგორც შევატყვეთ, ჩვენთან ურთიერთობა არ უნდა.
- 83,2 მეფემან ბრძანა: „ვინ არის უცხო პირად და ტანადო?“
 უბრძანა ერთსა მონასა: „წადი ფიცხლად და ჯანადო,
 «გიბრძანებს, უთხარ, ვერ გიცნობ ჩემთა ლაშქართა თანადო,
 და ვინცა ხარ, მოდი წინაშე შენ ჩემთან მონაყვანადო»“.
 არის ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში. მიჩნეულია გვიანდელ ჩანარ-
 თად (მთ. რედაქციამ ახალი შემადგენლობით ძირითად ტექსტში აღადგინა
 1997 წ. 8 ივნისს).
 ს. შ.: მეფემ თქვა: „ვინ არის [ეს] სახითა და ტანით საუცხოლო?“ ერთ
 მონას უბრძანა: „წადი სწრაფად და მხნედ, უთხარი: «გითვლის, ჩემს მოლაშ-

ქრედ ვერ შეგიცანი, ვინცა ხარ, ჩემთან მოდი შენ, როგორც ჩემგან მონაცვანი (მოწვეული)ა“

83,3 როსტევან შსჭვრეტდა მას ყმასა, გლახ, დიდად განკვირებული, უბრძანა მონას: „მიდიო, ვინ არს მზებრ განათლებული, მოვიდეს, ვნახოთ, შევიტკობოთ, რად არს-ყე დაჭმუნვებული, და რა უმძიმს, რა ჰჭირს, გვაცნობოს, ჰსწამს თუ ზე დასთაკრებული“.

მიწერილია არშიაზე ერთ გვიანდელ (1823 წ.) ნუსხაში.

ს. შ.: როსტევანი დიდად გაკვირებული უჭვრეტდა იმ მოყმეს, მონას უბრძანა: „მიდი [მასთან], ვინც მზესავით ნათელია; მოვიდეს, ვნახოთ, შევითვისოთ, რატომ არის დადარდიანებული, გვაცნობოს, რა აწუხებს, რა სჭირს, თუ სწამს ზეციურ გუნდთა კრებული (= ანგელოზები).

83,4 როსტევან მონა გაუგზავნა: „ნახე, ვინ ზის წყლისა პირსა, ხელსა ვისმე დავამსგავსე, მით საწუთრო არა ჰქუირსა, შემოჰყრია კაეშანი, მიცემულა დიდსა ჭირსა, და მოაცსენე სოფლის მზესა, ტკბილად ჰკითხე, რასთჳის ტირსა“.

სტროფს არ იცნობს A და D რედაქციების ნუსხები.

ს. შ.: როსტევანმა მონა გაუგზავნა: „ნახე ვინ ზის წყლის პირსა? (მიჯნურობით) გახელელებულს დავამსგავსე, ამიტომ ამქვეყნიური ცხოვრება არ უკვირს (= არ აინტერესებს), კაეშანი შეჰყრია, დიდ ჭირში ჩავარდნილა, მოახსენე ამქვეყნიურ მზეს (= უცხო მოყმეს), ტკბილად ჰკითხე, რატომ ტირის“.

83,5 „მოახსენე: «მეფე გიხმობს», დაიმდაბლოს იმან სული, თავმან ჩემმან, მე მას მივსცე, რაცა უნდა ჩემეული, ბრძანებასა დამორჩილდეს, ამაღ ნუ აქუს გული წყლული, და ვითვისო და შევეთვისო, გაუახლო გული წყლული“.

სტროფს არ იცნობს A და D რედაქციების ნუსხები.

ს. შ.: „მოახსენე: «მეფე გიხმობს», მან თავი დაიმდამლოს, თავს ვფიცავ, მივცემ ჩემს კუთვნილს, რაც მას უნდა, ბრძანებას დაემორჩილოს, ამიტომ ნუ აქუს გული დაჭრილი, შევეთვისებ და შევეთვისები, დაჭრილ გულს მოვურჩენ“.

84 მას ტანსა კაბა ემოსა, გარეთმა ვეფხის ტყავისა, ვეფხის ტყავისა ქუდივე იყო სარქმელი თავისა, ხელთა ნაჭედი მათრავი ჰქონდა უსხოსი მკლავისა; და ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა.

ს. შ.: მას ტანზე ეცვა ვეფხის ტყავის კაბა (ბეწვგარეთად შეკერილი), ვეფხის ტყავისავე ქუდი ეხურა თავზე, ხელში ეჭირა მკლავზე უმსხოსი ნაჭედი მათრახი; დაინახეს და [იმ] უცხო (იშვიათი) სანახავის [ახლო] ნახვა მოუნდათ.

85 წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდღუღარისად, თავწამოგდებით მტირლისა, არ ჰჭურეტიოთ მოლიზღარისად, – მუნვე წჳიმს წჳიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად, – და ახლოს მივიდა, მოსცაღდა სიტყვისა თქმად აღარისად.

ს. შ.: წავიდა მონა იმ გულმდღვარე, თავდახრით მტირალ, არა ალერსით მაცქერალ მოყმესთან სასაუბროდ, – იქვე წვიმს ბროლის წვიმა (= ცრემლები), – სადაც გიშრის ღარია (= წამწამებია), ახლოს მივიდა, ვერაფრის თქმა შეძლო.

86 ვერა ჰკადრა საუბარი, მონა მეტად შეუზარდა,
დიდხანს უჭურეტს გაკჭირვებით, თუცა გული უმაგარდა;
მოაწსენა: „გიბრძანებსო“, ახლოს მიდგა, დაუწყნარდა.
და იგი ტირს და არა ესმის მისგან, გაუშუმეცარდა.

ს. შ.: ვერ შევბედა დალაპარაკება, მონა ძლიერ შეშინდა, დიდხანს უყურა გაკეირვებით, თუმცა გული გაიმაგრა; უთხრა: „გიბარებსო“, ახლოს მივიდა, წყნარად მიმართა. ის ტირის და მისი არაფერი ესმის, სრულიად უცნობო გახდა (ვერაფერი გაიგო).

86,1 მონა მივა, ბრძანებასა მეფისასა ეუბნების,
„თავმან მისმან, არ წამოხშვალ, სრულად ჯარი მოგადგების,
ანუ მოგკლვენ, ან დაგკოდენ, მზისა შუქი წაგიკვდების,
და ჰელშეკრულსა წაგიყუანენ, ესე ყწეღა გარდაგვდების“.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: მონა მიდის, მეფის ნაბრძანებს ეუბნება: „მის (მეფის) თავს ვფიცავ, (თუ) არ წამოხვალ, ღაშქარი მოგადგება, ან მოგკლავენ, ან დაგჭრიან, მზე დაგიბნელდება, ხელშეკრულს წაგიყვანენ, ეს ყველაფერი გარდაგხდება (თავს).“

87 მის მონისა არა ესმა სიტყუა, არცა ნაუბარი,
მათ ღაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი,
უცხოოდ რამე ამოსკენოდა გული ცეცხლთა ნადებარი,
და ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის, ვითა ნაგუბარი.

ს. შ.: იმ მონის ვერც სიტყვა გაიგონა [და] ვერც ნათქვამი, ჯარის (ხალხის) ყვირილი (ხმაური) სულ არ გაუგია; რაღაც უჩვეულოდ ამოსკენოდა ცეცხლმოდებული გული, ცრემლს სისხლი ერეოდა, მოსდის, როგორც ნაგუბარი (გუბიდან ღვარად მომდინარი).

87,1 აჰა, ძმაო, რა გიამბო, რაცა მჭირდეს მე ღმრთისაგან;
მე რას მაქნევს მეფე თქუენი, რამც მიამოს კაცისაგან;
სხუასა ვისმცა დავაბრალო, შეპყრობილ ვარ ეტლისაგან.
და მიჯნურობა აჯობინეს, კუელაც მასმია ბრძენისაგან.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: „აჰა, ძმაო, რა გითხრა, რაც მე ღმრთისაგან მჭირს; მე რაში გამოვადგები თქვენს მეფეს, რა შეამება ადამიანისაგან! სხვას ვის ენდა დავაბრალო, ბედისწერისაგან ვარ შეპყრობილი, მიჯნურობა ყველაფერზე უკეთესია, კიდევ მსმენია ბრძენისაგან“.

88 სხუაგან ქნის მისი გონება მისმან თავისა წონამან!
ესე მეფისა ბრძანება ერთხელ კუელა ჰკადრა მონამან.
არცა დააგდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,
და არცა გაგლიჩა ბაგენი, თავი ვარდისა კონამან.

ს. შ.: მისი თავის დახრა (მწუხარება) მის ფიქრს სხვაგან მიმართავდა. მეფის ეს ბრძანება კიდევ ერთხელ შეჰკადრა მონამ. [უცხო მოყმემ] არც ტირილი შეწყვიტა და არც რაიმე გაიგონა, არც ვარდის კონამ გასსნა ბაგეები.

89 რა პასუხი არა გასცა, მონა გარე შემობრუნდა,
როსტანს ჰკადრა: „შემიტყვია, იმას თქვენი არა უნდა;
თუაღნი მზეებერ გამირეტდეს, გული მეტად შემიდრწუნდა,
და ვერ ვასმინე საუბარი, მით დაფყოფნე ხანი მუნ, და –“.

ს. შ.: პასუხი რომ არ გასცა, მონა გამობრუნდა, როსტევანს მოახსენა: „როგორც შევატყვე, იმას თქვენი არაფერი უნდა (თქვენთან ურთიერთობა არ სურს); თვალები მხესავით მომჭრა, გული ძალიან შემიდრწუნდა, ვერ შევასმინე ნათქვამი, ამიტომ დაფყავი იქ ხანი“.

89,1 „მე საწუწევრად მონა გჰკადრე, მას თურ მოსდის პირსა ქაფი“.
შეუზახა ათი მონა: „შეიმოსეთ ჯავშან-ქაფი,
პირველ ჰკადრეთ: «მეფე გივმობს, არად გინდა აწ მარქაფი»,
და არ მოვიდეს, შეიპყარით, მისი სისხლი ველთა ჩქაფი!“

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: „მე მოსაწვევად მონა გაეუგზავნე, მას (კი) თურმე პირზე ქაფი მოსდის (სიბრაზით)“. შეტყვება უბრძანა ათ მონას: „შეიმოსეთ ჯავშნითა და სამკლავებით, ჯერ უთხარით: «მეფე გიხმობს, არ გჭირდება ახლა მარქაფა (ცხენი)», (თუ) არ მოვიდეს, შეიპყარით, მისი სისხლი ველს მოახსით!“

90 მეფე გაჰკუთრდა, გა-ცა-წყრა, გული უც მისთვის მწყრომარე;
გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე,
უბრძანა: „ველთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე,
და მიდით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მჯდომარე!“

ს. შ.: მეფეს გაუკვირდა, გაწყრა კიდევ, გული მოუვიდა მასზე, გაგზავნა მის წინ მდგომი (იქვე მყოფი) თორმეტი მონა, უბრძანა: „ხელში აიღეთ საომარი იარაღი, მიდით და აქ მომგვარეთ, ვინც იქ ზის!“

90,1 ცხენთა შესხდეს, წამოვიდეს, გარეშემო მოესწივნეს,
მისთა ეგზომ სინაზეთა მისნი მჭურეტნი გაეკუთრვნეს,
რა შეხედნეს პირსა მზესა, მათ მონათა აეტირნეს;
და ცხენსა შეჯდა, წამოვიდა, მუნით უკან მოეწივნეს.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: ცხენებზე შესხდნენ, წამოვიდნენ, გარეშემო შემოესწივნენ, მის ასეთ სილამაზეს მისი მჭურეტელები გაეკვირვებინა, მზესავით პირისახეს რომ შეხედეს, მონები ატირდნენ; [მოყმე] ცხენზე შეჯდა, წამოვიდა, [მონები] იქიდან უკან მიეწივნენ.

91 მონანი მიდგეს, მივიდეს, გავდა აბჯრისა ჩხარია;
მაშინდა შეერთა იგი ყმა, ტირს მეტად გულმდულარია,
თუაღნი მთარნა ყოველგნით, ნახა ლაშქართა ჯარია,
და ერთხელ ესეუთქვა: "ვაჟ მეო", სხუად არას მოუბარია.

ს. შ.: მონები მიუახლოვდნენ, მივიდნენ, გაისმა იარაღის ჩხარუნი; მაშინდა შეერთა ის მოყმე, ტირის, მეტად გულმდულარე, თვალი მოავლო ირგუ-

ლივ, დაინახა უამრავი ლაშქარი, ერთი ეს კი თქვა: „ვაი მეო“, სხვაფრივ არაფრის მოქმედია.

91,1 რა ყმამან ნახნა მონანი, ტირილსა მისცა ჴეესია,
არ გაიკითხვენ მიჯნურსა, არაბთა შიგან წესია,
მას ჴელთა ჰქონდა მათრავი მკლავისა მუნ უსქესია,
და ესრე დაფრიწა თავები, მკუდართ შიგან დანაწესია.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: მოყმემ რომ დაინახა მონები, ტირილს მისცა ხვესი (?), არ განსჯი-
ან მიჯნურს, არაბებში [ასეთი] წესია, მას ხელთ მკლავზე უმსხოსი მათრა-
ხი ჰქონდა, ისე დაუფრიწა თავები (მონებს), მკვდრებში შერაცხულნი არიან.

92 თუალთა ჴელი უკუივლო, ცრემლნი ცხელნი მოიწურნა,
ჯრმალ-კაპარჭი მოიმაგრა, მკლავნი გაიმამაცურნა,
ცხენსა შეჯდა, - მონათამცა საზუბარნი რად იყურნა!-
და სხჴასა მხარსა გაემართა, მათი ჴირი არ განკურნა.

ს. შ.: თვალებზე ხელი მოისვა, ცხელი ცრემლები მოიწმინდა, ხმალ-კა-
პარჭი გაისწორა, მკლავები მძლავრად გამართა, ცხენზე შეჯდა, - მონების
ლაპარაკს რად დაუგდებდა ყურს! - სხვა მხარეს გაემართა, მათს (მონების)
გასაჭირს არ უშველა (მათი წადილი არ შეასრულა).

93 მონათა ჴელი გამართეს მის ყმისა შესაპყრობელად.
მან, გლახ, იგინი დაჯადნა მტერთაცა საწყალობელად:
ჰკრა ერთმანერთსა, დაჯოცნა თავსა ჴელაუპყრობელად,
და ზოგსა გარდაჰკრის მათრავი ჴეე მკრდამდის გასაპობელად.

ს. შ.: მონებმა ხელი აღმართეს იმ მოყმის შესაპყრობად, მან ისინი ისე
გახადა, მტრებსაც შეებრალეობდათ: ერთმანეთს ჰკრა, დახოცა, ისე რომ თა-
ვიანთ თავს ვერა უშველეს რა, ზოგს გადაჰკრავდა მათრახს და მკერდამდე
აპობდა.

93,1 მეფეს უანბეს, რაც იქნა საქმე თავსდანატკაცისა, -
ეგრე უწყალოდ დაჯოცა ერთობ მის თორმეტ კაცისა:
„შორით ისმოდა ყოველგნით მისის მათრახის ტკაცისა,
და ვნახეთ მრავალი უწყალოდ მიწათა დანატკაცისა“.

არის მხოლოდ ერთ (D¹) ნუსხაში.

ს. შ.: მეფეს უთხრეს, თავშისაცემი (სამწუხარო) საქმე რაც მოხდა, -
მისი თორმეტი კაცის შეუბრალეებლად დახოცვა: „შორიდან ყველგან ისმოდა
მისი მათრახის ტკაცუნი, ბევრი ვნახეთ უმოწყალოდ მიწას დანარცხებული“.

93,2 „შეუპყრივარ კაეშანსა, რადღა გამჯსნი მისგან კრულსა!
ესე მონა დაგიჯოცე, მოგაბარებ ამით სულსა;
სრულად სპანი მომიზახნე, ვერა მნახავ დაჭირულსა;
და მიჯნური ვარ, გამირისხდი, მე გატკივნებ ამით გულსა“.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: „კაეშანს შევუპყრივარ, რატომ მათავისუფლებ მისგან შეკრულს! მონები დაგისოცე, ამათ სულს მოგაბარებ; მთელი ლაშქარი რომ მომისიო, (მაინც) ვერ მნახავ დაჭერილს; მიჯნური ვარ, (რადგან) გამირისხლი, ამიტომ გატკენ გულს“.

93,3 **„ვისთვის ხელი გამოჭრილვარ, მასვე მზესა თაყუანისვსცე;
რამ დამბადა, მუნით ვეძებ, სად მისწუთების მისი სივრცე
ჩემი მღვენი ნიანგიცა იყოს, იგიც ჭირსა მივსცე;
და სხუამან ფიფქმან ვერ დამაზროს, მის მზისა მზე დავიფიცე“.**

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: „ვის გამოც [მიჯნურობით] გახელეზული გამოვჭრილვარ, იმავე მზეს თაყვანსა ვცემ (იმავე მზის თაყვანისმცემელი ვიქნები); მას შემდეგ (რაც გამოვიტყერი) დავეძებ (ყველგან), სადამდეც მისწვდება ჩემი შემქმნელის (ღმერთის) სივრცე; ჩემი მღვეარი ნიანგიც რომ იყოს, მასაც გასაჭირში ჩავაგდე; სხვა ფიფქი ვერ დამაზრობს (= სხვა განსაცდელი ვერაფერს დამაკლებს), იმ მზის (= ჩემი სატრფოს) მზე დავიფიცე“.

94 **მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარნიცა შეუზახნა;
მან მღვეართა მიწვენამდის არ უჭურტიცნა, არცა ნახნა,
რაზომნიცა მიეწივნეს, ყოვლნი მკუდართა დაასახნა,
და კაცი კაცსა შემოსტყორცა, როსტან ამაღ ივაგლახნა.**

ს. შ.: მეფე გაწყრა, გაგულისდა, ლაშქარიც მიუსია, მან (= უცხო მოყმემ) მღვერებს, ვიდრე არ მიეწივნენ, არც შეხედა (ისინი არაფრად ჩააგდო), რამდენიც მიეწია, ყველა მკვდრებს დაამსგავსა, კაცი კაცს შემოსტყორცნა, როსტევანმა ამიტომ ივაგლადა.

95 **შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწვევლად.
იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხევევლად,
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად,
და შეიგნა მისლვა მეფისა მისად უკანამღვევლად.**

ს. შ.: მეფე და ავთანდილი (ცხენებზე) შესხდნენ იმ მოყმის დასაწვევად. ის კი, ამაყი და უკადრისი, მიდის ტანის რხევით, – ცხენი მიუგავს მერანს, – მიეფინება მზე ველზე, მიხვდა, რომ უკან მეფე მისდევდა.

95,1 **მეფე შეჯდა, გაეკიდა: „რა კაცია, სადაური?“
მან ცნა, ფიცხლად გარდაეგო, მეფეაო აქა მდგური.
ვერ შეიპყრობთ, მიჯნურია კაეშნითა ატწირთური,
და ეძებს რასმე, იარების, მაშრიყს მივა მალრიბური.**

არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: მეფე (ცხენზე) შეჯდა, გაეკიდა, (თქვა): „რა კაცია, სადაური?“ მან (= უცხო მოყმემ) გაიგო, აქაური მეფე არისო (და) სწრაფად გადაიკარგა. ვერ შეიპყრობთ, მიჯნურია, კაეშნით დამძიმებული, ვიდაცას ეძებს, დადის, მაშრიყს (აღმოსავლეთში) მიდის მალრიბელი (დასავლელი).

96 **რა ცნა, მეფე მოვიდაო, ჰკრა მათრავი მისსა ცხენსა.
მასვე წამსა დაიკარგა, არ უნახავს თჳალსა ჩწენსა,
ჰგუანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა ანუ ზეცად ანაფრენსა;**

და ეძებდეს და ვერ ჰპოვებდეს კუალსა მისგან წანარბენსა.
ს. შ.: როდესაც გაიგო, მეფე მოვიდაო, თავის ცხენს მათრახი გადაჰკრა, იმ წამსვე გაუჩინარდა, არ უნახავს ჩვენს თვალს, ჰგავდა ქვესკნელს ჩამძვრალს ან ზეცაში აფრენილს, ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ მის ნაკვალევს.

96,1 ვერ შეიპყრეს, შემობრუნდეს, არ მიეცნეს სიამესა,
აგრე მისსა გაფრენასა ყოვლნი არსნი გაჰკურდესა;
მეფე წყრების, არ მიუშვებს კაცსა მისსა სიახლესა;
და იგი ღხინნი გაგუმწარნეს, შეჭირვება მოგუცა დღესა.
არის მხოლოდ C რედაქციაში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: ვერ შეიპყრეს და შემობრუნდნენ, სიხარულს არ მისცემიან (ხალისი დაეკარგათ), მისი ასე გაუჩინარება ყველას გაუკვირდა; მეფე წყრება, თავის სიახლოვეს არავის უშვებს; ის ღხინი ჩაგვიმწარდა, დღეს საწუხარი გაგვიჩინა [იმ მოყმემ].

97 კუალი ძებნეს და უკურდა ვერპოვნა ნაკუალევისა,
აგრე კუალწმიდად წაკდომა კაცისა, ვითა დევისა;
ლაშქარნი მკურდართა სტიროდეს, სწრაფა აქუს წყლულთა
ხვევისა.

და მეფემან ბრძანა: „ვნახეო მიზეზი ღხინთა ლევისა“.
ს. შ.: კვალი ძებნეს და უკვირდათ, რომ ნაკვალევი ვერ იპოვნეს, რომ კაცი ასე უკვალოდ დაიკარგა, როგორც დევი. მოლაშქრეები მკვდრებს ტიროდნენ, ჩქარობდნენ ჭრილობების შესხვევას, მეფემ თქვა: „ღხინის (სიხარულის) დასრულების მიზეზი ვნახეო“.

98 ბრძანა: „ღმერთსა მოეწინა აქამდისი ჩემი შუება,
ამად მიყო სიმწართა სიამისა დანავლლება,
სიკურდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალუც განკურნება.
და მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება“.

ს. შ.: თქვა: „ღმერთს მოსწინდა აქამდე რაც ვიხარე, ამიტომ გამიმწარა სიამე, სამუდამოდ დამჭრა (დამამწურა), არავის შეუძლია ჩემი განკურნება (შველა). მადლობა მასვე (ღმერთს)! ეს ყოფილა მისი სურვილი და ნება“.

99 ესე თქუა და შემობრუნდა, დაღრეჯილი წამოვიდა,
არცადა ჰკრა ასპარეზსა, ვამი ვამსა მოურთვიდა;
ყუელაკაი მოიშალა, სადაცა ვინ მვეცთა სრვიდა;
და ზოგთა თქუეს, თუ: „მართალია“, ზოგი, ღმერთო, უზრახვიდა.

ს. შ.: ეს თქვა და შემობრუნდა, დაღონებული წამოვიდა, აღარც საასპარეზოდ გავიდა, დარდი დარდს ემატებოდა; ყველამ, ვინც ნადირს ხოცავდა, თავი დაანება (ნადირობას). ზოგიერთებმა თქვეს: „მართალიაო“, ზოგი (კი), ღმერთმანი, ძრახავდა.

100 მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი;
მისგან კიდე არვინ შეჰყვა, ავთანდილ უჩს ვითა შვილი.
ყუელაკაი გაიყარა, ჯალაბი ჩანს არდაჯრილი.
და გაბედითდა სიხარული, ჩადანა და ჩანგი ტკბილი.

ს. შ.: მეფე საწოლში (მოსასვენებელ აპარტამენტში) შემოვიდა, სევდიანი, დაღონებული; მის (ავთანდილის) გარდა არავინ შეჰყვება, ავთანდილს შვილივით უყურებდა. ყველა წავიდ-წამოვიდა, სახლეული დაიშალა. გაცუდდა სიხარული, ტკბილი ჩაღანა და ჩანგი.

100,1 ავთანდილცა შეუზარდა და თხრობასა დაუპირდა;
„ნუ იჭირვით“, – მოაწსენა, კელმწიფესა გაუკირდა,
მუხთალია ეს სოფელი, შურს და ღხინი დაგუიძუირდა“.
და მისსა მზესა შეუთვალა, კელმწიფესა რაცა სჭირდა.
არის მხოლოდ B და C რედაქციებში.

ს. შ.: ავთანდილიც შეძრწუნდა და გადაწყვიტა თქმა; მოახსენა: „ნუ წუხხართ“, – ხელმწიფეს გაუკვირდა, „მუხთალია ეს წუთისოფელი, შურს და [ამიტომ] ღხინი მოგვაკლდა“. თავის მზეს (= თინათინს) შეუთვალა, ხელმწიფეს რაც აწუხებდა.

101 თინათინს ესმა მამისა ეგეთი დაღრეჯილობა,
ადგა და კარსა მივიდა, – ჰქონდა მზისაცა ცილობა, –
მოლარე იკმო, უბრძანა: „ძილია თუ ღუიძილობა?“
და მან მოაგსენა: „დაღრეჯით ზის, სჭირსო ფერშეცვლილობა.“

ს. შ.: თინათინმა შეიტყო მამის ასეთი დაღონება; ადგა და კართან მივიდა, (სილამაზით) მზესაც ეცილებოდა, იხმო მოლარე (და) ჰკითხა: „სძინავს თუ ღვიძავს?“ მან მოახსენა: მოწყენით ზის, ფერშეცვლილიაო.

102 ერთაი ახლავს ავთანდილ, წინაშე უზის სკამითა;
უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დაღრეჯით ამითა“,
თინათინ ბრძანა: „აწ წავალ, შესლვა არ ჩემგან ჟამითა,
და მიკითხოს, ჰკადრე: იყო-თქო აქა ერთითა წამითა“.

ს. შ.: მარტო ავთანდილიდა ახლავს, წინ უზის სკამზე; ვიდაც უცხო მოყმე უნახავს, ამიტომ არის ასე მოწყენილიო. თინათინმა თქვა: „ახლა წავალ, ჩემი შესვლის დრო არ არის, თუ მიკითხოს, მოახსენე, აქ იყო, ერთი წამით“.

103 ხანი გამოვდა, იკითხა: „ნეტარ, რასა იქს ქალიო,
ჩემი ღხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალიო?“
მოლარე ჰკადრებს: „მოვიდა აწყალა ფერნამკრთალიო,
და დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო“.

ს. შ.: ხანი გავიდა, [როსტევეანმა] იკითხა: „ნეტავ რას შერება [ჩემი] ქალიო, ჩემი ღხინი და ჯავარი (მშვენება), ჩემი ამ ქვეყნის სინათლე (ელვარება)“, მოლარემ მოახსენა: „ახლახან მოვიდა ფერდაკარგული, გაიგო, რომ მოწყენილი იყავით და გაბრუნდა თქვენთან მომავალი“.

104 უბრძანა, თუ: „წადი, უკმე! უმისობა ვით გავსძლეო?
მოაგსენე: რად დაპბრუნდი შენ, მამისა სიცოცხლეო?
მოდ, ჭმუნვა გამიქარვე, გულსა წყლულსა მეწამლეო,
და გითხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ღხინთა რად დავლეო“.

ს. შ.: უბრძანა: „წადი, უხმე! უმისოდ როგორ გაეძლო? მოდი, დარდი გამიქარვე, [ჩემს] დაჭრილ გულს წამლად (მაღამოდ) დაედე, გეტყვი [იმის] მიზეზს, თუ რატომ აღარ ვილხენ“.

105 თინათინ აღვა, მივიდა, მიჰყვა მამისა ნებასა,
უგავს პირისა სინათლე მთწარისა მოვანებასა,
მამამან გჭერდსა დაისვა, აკოცა ნება-ნებასა,
და უბრძანა: „მახლავ რად არა, რად მეღი მოყვანებასა?“

ს. შ.: თინათინი აღვა, მამის ნებას დაჰყვა, პირისახის სინათლე შექმნო-მატებულ მთვარეს მიუგავს, მამამ გვერდით დაისვა, ნება-ნება კოცნის, უთხრა: „რატომ ჩემთან არა ხარ, რატომ ელოდები რომ მოგიყვანო (მოგიწვიო)?“

106 ქალმან ჰკადრა: „ველმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,
ვინმცა გნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს,
თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დაამჯობდეს.
და კაცმან საქმე მოიგწაროს, ვეჭუ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“.

ს. შ.: ქალმა ჰკადრა: „ხელმწიფეო, ვინც გაიგებს, რომ მოწყენილი ხარ, ვინ გაკადნიერდება და გნახავს, როგორი თამამიც უნდა იყოს! თქვენი ასე დაღონება მნათობებსაც დაამხობდა (ძირს დასცემდა). კაცმა საქმე მოიგვაროს, ვფიქრობ, დაღონებას ეს აჯობებს“.

106,1 იგი პირ-მზე ეუბნების, – ვერვინ ნახა ნაუბარი, –
„მიცემულხარ ჭირსა რასმე, ცრემლსა აფრქვევ გულმდღუღარი,
ზოგჯერ შეთად გაიზახი, ჰგავს, ატყინებს ცეცხლსა ქარი,
და მაჯლიშითა გაგიახლოთ, ესე სვედა რამე არი“.

არის მხოლოდ C რედაქციაში.

ს. შ.: პირმზე (= თინათინი) ეუბნება, – ვერავინ ნახა მოლაპარაკე, – „რადაც მწუხარებას მისცემიხარ, გულმდღუღარე ცრემლებს აფრქვევ, ზოგჯერ შეშლილივით გაიძახი, ჩანს, ქარი ცეცხლს აძლიერებს (= წუხილი გიძლიერდება), წვეულებით გაეხალისდეთ, ეს რადაც სვედაა“.

107 უბრძანა: „შვილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,
შენი ჭჭრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია,
მომქარვებელი სვედისა, მართ ვითა მუფარახია.

და ვეჭუ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია.

ს. შ.: უთხრა: „შვილო, რაოდენ სავაგლახო (= სავალალო) საქმეც უნდა მჭირდეს, მაინც ლხინად მეჩვენება შენი ყურება და სიახლოვე, სვედის გამქარვებელი, როგორც მუფარახი (წამალი). ვფიქრობ, შენც გამამართლებ, როცა გაიგებ ჩემი კენესისა და ოხერის მიზეზს.

108 „უცხოსა და საკწირველსა ყმასა რასმე გარდგეკიდე,
მისმან შუქმან გაანათლა სამყარო და ვმელთა კიდე.
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე;

და ჩემად ნახვად არ მოვიდა, გავგულისდი, წაგეკიდე.

ს. შ.: ვილაც უცხო (უცნობ) და საკვირველ მოემეს გადავეყვარე, მისმა შუქმა გაანათა ზეცა და მთელი ხმელეთი. არ ვიცოდი რა აწუხებდა, ან ვისთვის ტიროდა; ჩემს სანახავად არ მოვიდა, გავგულისდი, წაგეკიდე.

- 109 მე რა მნახა, ცხენსა შეჯღა, თუალთა ცრემლნი მოივოცნა.
 შესაპყრობლად შევუზახენ, სპანი სრულად დამივოცნა,
 ვითა ეშმა დამეკარგა, არ კაცურად გარდამეკოცნა,
 და ჯეროცა ესე არა ვიცი, ცხადი იყო, თუ მეოცნა.
 ს. შ.: მე რომ დამინახა, ცხენზე შეჯღა, თვალეზე ცრემლი მოიხოცა,
 ჯარი მივუსიე შესაპყრობად, (მან კი ისინი) მთლიანად დახოცა. როგორც ეშ-
 მა დამეკარგა, ადამიანივით არ გადამეკოცნა (ადამიანივით არ შემხვდა). ეს
 ახლაც არ ვიცი, ცხადი იყო, თუ მომეჩვენა.
- 110 აწ ესე მიკუთრს, რა იყო, ანუ რა ვნახე და რული!
 მან დამივოცა ლაშქარი, სისხლი აღინა ღჭარული.
 კაცთა ვორცისად ვით ითქმის ისრე თუალთაგან ფარული?!
 და უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული.
 ს. შ.: ახლა ეს მიკვირს, რა იყო, ან რა ვნახე და რანაირი! მან ლაშქარი
 დამიხოცა, სისხლი ღვარად აღინა. ხორციელ კაცად (ადამიანთა ბუნების
 მქონედ) როგორ ითქმის თვალთაგან ისე გაუჩინარებული?! უთუოდ ღმერთს
 მოვსძულდი აქამდე მხიარული.
- 111 ტკბილნი მისნი წყალობანი ბოლოდ ასრე გამემწარნეს,
 დამავიწყდეს, რაცა დღენი მხიარულსა წამეარნეს.
 ყოვლმან პირმან ვაგლას მიყოს, ველარავინ მინეტარნეს,
 და სადამდისცა დღენი მესხნენ, ველარამან გამახარნეს!“
 ს. შ.: მისი (ღვთის) ტკბილი წყალობა ბოლოს ასე გამიმწარდა, დამა-
 ვიწყდა, რა დღეებიც მხიარულს გამიტარებია; [ამიერიდან] ყველა მიტირებს,
 ველარავინ შემომნატრებს, ვიდრე ვიცოცხლებ, ველარაფერი გამახარებს!“
- 111,1 მაგას ნუ მრძანებ, მეფეო, ეგე კჳლა ბედნიერია,
 ყოვლი კჳეყანა შეიპყარ, ფერვთ კჳეშე მოამტჳერია,
 მოგჩჳენებია გრძნეულად მუხთალი შენი მტერია,
 და ეგე არა ვამს, სიტყჳასა გაადრებ და დამიჯერია.
 არის მხოლოდ B და C რედაქციებში.
 ს. შ.: მაგას ნუ ამბობ მეფეო, ეგ (შენი ბედი) ისევე ბედნიერია, მთელი
 კჳეყანა დაიპყარი, ფეხკვეშ მტერად აქციე, შენი მუხთალი მტერი (= ეშმაკი)
 გრძნეულად მოგჩვენებია; ეგ(= ბედის მღურვა) არ ეგების, სიტყვას გაადრებ
 და დამიჯერე.
- 111,2 თუ ცუდი რამე გინახავს, მაცთური ანუ ქაჯია,
 ამისთვის, მეფე, რად სჭმუნავ, რად თავი გაგისაჯია!
 სიტკბოსა ნაცვლად ღვთისაგან სიმწარე რად გიაჯია!
 და მასვე ევედრე, მოასხი ყოვლი მუყრი და აჯია!
 არის მხოლოდ B და C რედაქციებში.
 ს. შ.: თუ ფუჭი რამე გინახავს, მაცდური ან ქაჯი, ამის გამო, მეფეო, რა-
 ტომ წუხარ, თავი რატომ გაგიტანჯია! სიტკბოს ნაცვლად ღვთისთვის სიმწა-
 რე რად გითხოვია! მასვე (= ღმერთსავე) ევედრე, მოიყვანე ყველა მუყრი (=
 მოლა) და ჰაჯი (მექაში მოსალოცად ნამყოფი კაცი)!

- 111,3 იგი პირმზე მოაჯსენებს: მაგად ნურა გენაღჷლების; კაცი იყო ჳორციელი მოვნახოთ და გამონდების; ეგ ნუ გიმძიმს, თჳარემ შენი სიმძიმელი მე მომხუდების, და რად დააჯნობ ყაყაჩოსა? – უშენობა არ აშენდების. არის მხოლოდ B და C რედაქციებში.
ს. შ.: ის პირმზე (= თინათინი) ეუბნება: „მაგიტომ ნურაფერი გენაღვლეუბა; (თუ) ხორციელი ადამიანი იყო, მოვნახოთ და გამონდება; ეგ ნუ გაწუხებს, თორემ შენი მწუხარება მეც მიპყრობს, რატომ აჯკნობ ყაყაჩოს (= რატომ მაღონებ)? უშენობა არ უხდება (= შეუფერებელია).
- 112 ქალმან ჰკადრა: „მოგაჯსენებ მე სიტყუასა დანაყბედსა: ჰე მეფეო! რად ემდური ანუ ღმერთსა, ანუ ბედსა? რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათჳის ტკბილად მხედსა? და ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა!
ს. შ.: ქალმა უთხრა: „მოგახსენებ დანაყბედ (დაუფიქრებლად, უადგილოდ ნათქვამ სიტყვას): ჰე, მეფეო, რატომ ემდური ან ღმერთს, ან ბედს? [შენს] გამწარებას რატომ სწამებ ყველას ტკბილად შემხედველს [ღმერთს]? ბოროტს რატომ შექმნიდა კეთილის შემოქმედი?!
- 113 მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი, შორს არის თქვენი საზღვარი, ბრძანებაშიუთხრობელი. გაგზავნე კაცი ყოველგან მისთა ამბავთა მცნობელი, და ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი თუ უშობელი".
ს. შ.: მე ამას ვამჯობინებ, მეფე ხარ, მეფეთა მფლობელი (მბრძანებელი), შორს არის თქვენი [სამფლობლოლოს] საზღვარი, (ისე შორს), ბრძანებას რომ ვერ მიაწვდენ. ყველგან გაგზავნე ხალხი, ვინც მის ამბავს შეიტყობს; მალე გაიგებ, ის მოყმე ძეხორციელია თუ უხორცო (უსხეულო).
- 114 თუ ყოფილა იგი მოყმე ჳორციელი, ჳმელთა მგლელად, მას ნახვიდა სხუაცა ვინმე, გამონდების მასწავლელად, თუ არ, ეშმა გრჳენებია ღხინთა შენტა შემცუღელ-მშღელად; და სევდისაგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოუცღელად?
ს. შ.: თუ ის მოყმე ხორციელი ადამიანია, ხმელეთზე მოსიარულე (ამქვეყნიური), მას სხვაც ვინმე ნახავდა [და] ის მიგვასწავლის, თუ არა, ეშაკაი მოგრჳენებია შენი ღხინის შემცვლელად და დამშღელად; სევდა მოიშორე, [სევდას] რატომ არ ეშვები?
- 114,1 არას გჳარგებს სიმძიმელი, უსარგებლოდ ცრემლთა ვღჳრიდეთ; თუ გავიჭრათ საძებარად, მოვიაროთ კიდით-კიდეთ, სჯობს, რომ მასვე შემოქმედსა ვეაჯნეთ და დავმორჩილდეთ, და კლიტე გავსენ მაჯლიშისა, ღხინი ღხინსა ჩამოჰკიდეთ. არის მხოლოდ B და C რედაქციებში.
ს. შ.: არაფერს გვარგებს დარდი, უსარგებლოდ ცრემლები რომ ვღვართოთ; თუნდაც საძებრად გავიჭრათ, მთელი ქვეყანა მოვიაროთ; სჯობია, რომ ღმერთსვე ვეხვეწოთ და დავმორჩილდეთ, მეჯლისის კლიტე გააღე (= იმსიარულე), ღხინი ღხინს გადააბით.

114,2 როსტენს სიტყვა ასულისა მოეწონა, ეკეთაცა;
პირი ჳელით დაუჭირა, გარდაკოცნა კჳლა და კჳლაცა;
უბრძანა, თუ: „დაგმორჩილდე, რაცა მითხრა, აგრე ვქნაცა.
და იგივეა მჳსნელი ჩემი, ვინცა მიწა გამაკაცა.
არის ოთხივე რედაქციაში.

ს. შ.: როსტენს თავისი ასულის სიტყვა მოეწონა, კარგადაც მოეჩვენა; პირისახე ხელით დაუჭირა, კოცნა და კოცნა; უთხრა: „დაგმორჩილები, რასაც მეტყვი, იმას ვიზამ კიდევ. იგივეა ჩემი მსნელი, ვინც მე, მიწა, კაცად მაქცია“.

115 მოასხნეს კაცნი, გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა,
უბრძანეს: „წადით, პატიუთა თავიმცა რად დაჰრიდეთა?
მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხჳად ნურად მოიცლიდეთა,
და მისწერეთ წიგნი, სადაცა ვერ მისწვდეთ, ვერ მიხჳიდეთა“.

ს. შ.: მოიყვანეს კაცები (ხელქვეითნი), გაგზავნეს ქვეყნის ოთხივე მხარეს, უბრძანეს: „წადით, ტანჯვა-წვალებას თავს ნუ აარიდებთ (თავი რატომ უნდა აარიდოთ?!) მონახეთ, ეძებთ ის მოყმე, სხვა ნურაფრისათვის მოიცლით, სადაც ვერ მისწვდებით, ვერ მიხვალთ, წერილი მისწერეთ.

116 კაცნი წავიდეს, იარეს მართ ერთი წელიწადია,
მონახეს, ძებნეს იგი ყმა, იკითხეს კჳლა და კჳლა ღია,
ვერცა თუ ნახეს ნახული ღმრთისაგან დანაბადია,
და ცუდად მაშჳრალნი მოვიდეს, მათსავე გულსა ზადია.

ს. შ.: კაცები წავიდნენ, ერთი წელიწადი იარეს, ეცადნენ მოენახათ, ძებნეს ის მოყმე, ისევ და ისევ ბევრჯერ გამოიკითხეს, ვერ ნახეს მისი მნახველიც კი, ღვთისაგან გაჩენილი (= ადამიანი), ამოდ გარჯილნი მოვიდნენ, თვითონვე არიან გულნაკლულნი.

117 მონათა ჰკადრეს: „მეფეო, ჩჳენ ჳმელნი მოვიარენით,
მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა გავიხარენით,
მისსა მნახავსა სულდგმულსა კაცსა ვერ შევეყარენით,
და ჩჳენ ვერას გარგებთ, საქმენი სხჳანი რა მოიგჳარენით“.

ს. შ.: მონებმა შეჰკადრეს [როსტენს]: „მეფეო, ჩვენ ხმელეთი მოვიარეთ, მაგრამ ის მოყმე ვერ ვიპოვეთ, ამიტომ ვერ გავიხარეთ, მის მნახველ სულდგმულ ადამიანს ვერ შევხვდით, ჩვენ ვერაფერი გარგებთ, სხვა რამ მოახერხეთ (საქმე სხვანაირად მოაგვარეთ)“.

118 მეფე ბრძანებს: „მართალ იყო ასული და ჩემი ძეო,
ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გარდმოჭრილი ზეცით ზეო.
და გამიშვია შეჭირვება, არა მგამა ყოლა მეო“.

ს. შ.: მეფე ამბობს: მართალი იყო ჩემი ასული და მეგვიდრე, ეშმაკის რაღაც სიცრუე და სიბილწე მინახავს, ჩემს სამტროდ წამოსრული, ზეციდან ჩამოჭრილი. მიმიტოვებია მწუხარება, სრულიად არაფერი მენადგვებო“.

118,1 მეფე დაამდა ქალისა სიტყუითა ღმობიერითა,
მაგრა თინათინ დაჭმუნდა გულითა გონიერითა,
სწადდა შეტყობა, რომლისა ნახეს თვალცრემლიერითა,
და ღონედ მონახა ტანსარო პირითა შვენიერითა.
არის მხოლოდ D¹ D³ ხელნაწერებში.
ს. შ.: მეფე ქალის გულისხმიერი სიტყვებით ნასიამოვნები დარჩა, მაგრამ ბრძენი გულის მქონე თინათინი დადარდიანდა, უნდოდა შეტყობა [იმ მოყმის ამბისა], რომელიც თვალცრემლიანი ნახეს, მშველელად (დამხმარედ) მონახა პირმშვენიერი ტანსარო (= ავთანდილი).

118,2 მეფე ადგა, მუკლმოყრილმან შემოქმედსა თაყუანისსცა;
მრავალგუჟარი სასმელები მელუინეთა ჳელთა მისცა;
„მუკლმოყრილნი ვადიდებდეთ, დაგაჯერნა რაცა ვისცა,
და ამაღ ნურას გეაჯებით, შეგუაცილოს სხუასა ვისცა“.
არის მხოლოდ B და C რედაქციებში.
ს. შ.: მეფე ადგა, მუხლმოყრილმა ღმერთს თაყვანი სცა, მეღვინეებს (მერიქიფეებს) მრავალი სასმისი მისცა ხელთ [და თქვა]: „მუხლმოყრილებმა ვადიდოთ [ღმერთი იმისათვის] ვისაც რა გვაკმარა, ამიტომ ნურაფერს ვთხოვთ, [თორემ] სხვა ვინმეს შეგვაცილებს (წაგვიღებს).“

119 ესე თქუა და სიხარულით თამაშობა აღიადა.
მგოსანი და მუშაითი უკმეს, პოვეს რაცა სადა.
ღია გასცა საბოძუარი, ყუელა დარბაზს შემოსადა.
და მისი მსგავსი სიუხუითა ღმერთმან სხუამცა რა დაჰბადა!
ს. შ.: ეს თქვა და სიხარულით გართობა გაამრავლა (გაახშირა); მოუხმეს მომღერლებსა და ჯამბუებს, სადაც ვინ იპოვეს; ბევრი საჩუქარი გასცა, ყველა დარბაზში შემოიყვანა; სიუხვით მის მსგავსს ღმერთი სხვას ვის შექმნის!

1982. 7. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.
განიხილეს და დაამტკიცეს 120-163 სტროფების „შინაარსები“.

120 ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცუა ოდენ მართ პერანგი,
იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი.
შემოვიდა მას წინაშე თინათინის მონა ზანგი,
და მოაგსენა: „გიბრძანებსო ტანი ალვა, პირი მანგი“.
ს. შ.: ავთანდილი მარტო იჯდა საწოლში (მოსასვენებელ აპარტამენტში), ეცვა მხოლოდ პერანგი, მღეროდა და ხარობდა, წინ ჩანგი ედგა. მასთან შემოვიდა თინათინის ზანგი მონა, მოახსენა: „გიბრძანებსო ტანად ალვა და პირად მთვარე“.

120,1 ჩანგსა ჰკრავს პირმზე ავთანდილ, საწოლს ზის პერანგოსანი;
იგ ხელობს ვითა ბუღბული, ვარდზედ მღერს ვითა მგოსანი;
მას ტანსა მვინესა ჩაიცვა ტურფა რამ შესამოსანი,

და იგ შეყრად მზესა პატიჟობს ზანგი პირშავი, თმოსანი.
ს. შ.: ჩანგზე უკრავს პირმზე ავთანდილი, საწოლში ზის პერანგის ამა-
რა; ის ბუღბუღლივით შმაგობს, მგალობელივით დამღერის ვარდს; ახოვან
ტანზე ჩაიცვა ლამაზი სამოსელი, მზესთან (= თინათინთან) შესახვედრად
ეპატიუება შავსახიანი, თმიანი ზანგი.

121 ავთანდილს მიხუდა მოსმენა საქმისა სანატრელისა,
ადგა და კაბა ჩაიცუა, მჯობი ყოველისა ჭრელისა;
უხარის შეყრა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა.
და ამოა ჭურეცა ტურფისა, სიახლე საყუარელისა!

ს. შ.: ავთანდილს ეღირსა სანატრელი ამბის მოსმენა, ადგა და ჩაიცვა
კაბა, ყველაზე ძვირფასი (ყველა ფერად-ფერადზე უმჯობესი); უხარია, რომ
შეხვედება ვარდს (თინათინს), რომელსაც (ადრეც) პირისპირ შეხვედრია, საა-
მოა ლამაზის ჭურეცა, სატრფოს სიახლოვე.

122 ავთანდილ ლალი, უკადრი მივა, არვისგან რცხუნოდა,
მას ნახავს, ვისთა ვამთაგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა;
იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შუნოდა,
და მთწარესა მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა.

ს. შ.: ლალი, ამაყი ავთანდილი მიდის, არავისი რცხვინია, მას ნახავს,
ვისზე ოხრვისაგან მრავალჯერ სდენია ცრემლი; ის უებრო (= თინათინი)
პირქუშად იჯდა, ელვის მსგავსად მშვენიერი იყო, მის შუქისაგან მთვარეს
უკუნი გადაჰფენოდა (= მის შუქს მთვარე დაეხენებინა).

123 გაძრცუილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,
შუნოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,

და მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი არუკშირონი.
ს. შ.: მოურთველ ტანზე ემოსა უსაპირო (უსარჩულო?) ყარყუმის ბეწვი,
მოშლით (შეუკრავად) ეხურა უძვირფასესი (ფასის თქმა რომ გაჭირდებოდა,
ისეთი) რიდე, შეველოდა გულის გამგმირავი შავი წამწამები, თეთრ ყელზე
გრძლად ჩამოშვებული ჰქონდა შავი თმა.

124 დადრეჯით იყო მჯდომარე ძოწუულითა რიდითა,
ავთანდილს უთხრა დაჯდომა წყნარად, ცნობითა მშუიდიტა.
მონამან სელნი დაუდგნა, დაჯდა კრძალვით და რიდითა.

და პირისპირ პირსა უჭურეცდა, სავსე ღხინითა დიდითა.
ს. შ.: ძოწუული (წითელი) რიდით (თავსაბურავით) მჯდომარე მოწყენი-
ლი იყო, ავთანდილს დაჯდომა შესთავაზა წყნარად, გონებადამშვიდებით. მო-
ნამ [ავთანდილს] სელი (სავარძელი) დაუდგა, (ავთანდილი) მოკრძალებითა
და მორიდებით დაჯდა. პირდაპირ სახეში შესცქეროდა დიდი სიხარულით
აღსავსე.

125 ქალმან უბრძანა: „ზარი მღევს მე ამისისა თხრობისა;
მწადდა არათქმა, რომლისა ღონე არა მაქუს თმობისა,
მაგრა იცია მიზეზი, შენისა აქა კმობისა,
და რად ვზი ქუშად და დადრეჯით ასრე მივდილი ცნობისა?“

ს. შ.: ქალმა უთხრა: „ამის თქმის შიში მღევს; მინდოდა არ მეთქვა [ის], რისი მოთმენაც არ შემოიძლია, მაგრამ თუ იცი შენი აქ მოხმობის მიზეზი, ასე გონებადაკარგული რატომ ვზივარ პირქუშად და მოწყენით?“

126 ყმამან ჰკადრა: „საზაროსა ჩემგან თქმადა ვით იქმნების?
მზესა მთქარე შეეყაროს, დაილევის, და-ცა-ჭნების;
აზრად არად აღარა მცალს, თავი ჩემი მეგონების,
და თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების“.

ს. შ.: მოყმემ (ავთანდილმა) შეჰკადრა: „როგორ იქნება ჩემგან იმის თქმა, რაც [თქვენთვის] ზარდამცემია? მთვარე მზეს რომ შეეყრება, დაილევა და კიდევ დაჭენება (შუქი მოაკლდება); არაფრის მოაზრება შემოიძლია, ჩემი თავი მაფიქრებს (მადარდებს), თქვენ თვითონვე ბრძანეთ, რაც გაწუხებთ და რაც გიშველით“.

126,1 ავთანდილ ჰკადრა: „მეფეო, ბრძანე, რაცა გწადებოდეს;
ვეჭობ, რომ თქვენი სიტყვითა ზღვას ცეცხლი მოედებოდეს,
თვარ ქვეყნად რაცა მოგინდეს, არქნა ვით მოგინდებოდეს,
და სასამსახუროდ ჭირსა და სასჯელს ვინმე ერიდებოდეს?“

არის მხოლოდ D¹ ხელნაწერში; f-ში დაბეჭდილია როგორც ჩანართი.

ს. შ.: ავთანდილმა ჰკადრა: „მეფეო, ბრძანე, რაც გინდოდეს; ვფიქრობ, რომ თქვენი სიტყვით ზღვასაც ცეცხლი მოედება, თორემ ქვეყანაზე რაც მოგინდება, [მისი] არგაკეთება როგორ მოგინდება(?), (თქვენი) სამსახურისთვის ჭირს და გარჯას ვინ მოერიდება?“

127 ქალმან უთხრა საუბარი კეკლუცსიტყუად, არ დუხჭირად,
იტყვის: „თუცა აქანამდის ჩემგან შორს ხარ დანამჭირად,
მიკჭირს, მოგხუდა წამის ყოფით საქმე შენგან საეჭუი რად,
და მაგრა გითხრა პირველ ხუალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად.“

ს. შ.: ქალმა უთხრა სათქმელი სიტყვამოხდენილად, ლამაზად (არა უშნოდ), ამბობს: „თუმცა აქამდის შორს მყავდი დაჭერილი, მიკვირს, რატომ გხვდა ასე უცბად შენთვის საფიქრებელი საქმე, მაგრამ უპირველესად გეტყვი, რა სენიც მჭირს.“

128 გაგსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მჭეცი დაგეპოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეპოცა?
მას უკანით გონებამან მისმან ასრე დამამპოცა,
და შენ გენუკეე მონახვასა, კიდით კიდე მოლაპოცა.

ს. შ.: გახსოვს, როცა შენ და როსტევანს მინდორში ნადირი დაგეხოცათ, ვილაც უცხო მოყმე გენახათ, ცრემლები რომ მოეწმინდა (რომელიც ტირილდა)? იმის შემდეგ მასზე ფიქრმა ასე დამამხო (გამლია) კიდევ; შენ გთხოვ [ის მოყმე] მონახო, კიდით კიდემდე მოიარო.

129 აქანამდის ნაუბარსა თუცა ვერას ვერ გეტყვია,
მაგრა შორით სიყუარული შენგან ჩემი შემოიტყვია,
ვიცი, რომე გაუწყუედლად თქალთათ ცრემლი გისეტყვია,
და შეუპყრიხარ სიყუარულსა, გული შენი დაუტყვია.

ს. შ.: თუმცა ვერ გეტყვი, რომ (შენ) აქამდე [ამაზე] რაიმე გეთქვას, მაგრამ შორიდან რომ მეტრფი, შემიტყვია, ვიცი, რომ თვალთაგან განუწყვეტლად სეტყვასავით გიყრია ცრემლი, სიყვარულს შეუპყრისხარ, შენი გული დაუტყვევებია.

130 **ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამაღ ორად;
პირველ, ყმა ხარ, ვორციელი არავინ გწყყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად;
და წადი იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად!**

ს. შ.: ასე გეტყვი, ჩემი სამსახური გმართებს ამ ორი რამის გამო: ჯერ ერთი, – ყმა ხარ, ძეხორციელი შენი ბადალი არავინ გყავს, მეორეც, – ჩემი მიჯნური ხარ, [ეს] ნამდვილია, არა მოჭორილი; წადი, ის მოყმე ძებნე, ახლო იქნება თუ შორს.

130,1 **ქალმან უთხრა: „რადცა მინდი, არ ეგების არამბობა,
პირველ, დაგდებ სამსახურსა, გაგიჩნდების ჯომარდობა,
ნამუსი და ჭკუათა ხლათვა, ვნახო შენი ნახარდობა;
და შემობრუნდე, ედემს მსგავსად აგიყვავდე შენ ვარდობა.**

არის მხოლოდ B და C რედაქციებში.

ს. შ.: ქალმა (= თინათინმა) უთხრა: რისთვისაც მჭირდები, არ შეიძლება არ გითხრა, პირველად გავაღებ სამსახურს, მოგიწევს ჯომარდობა (ყოჩაღად მოქმედება); ვნახავ შენს პატიოსნებას (ერთგულებას), ჭკუის მოქნილობას და შენს გაზრდილობას; რომ შემობრუნდები, ედემის მსგავსად აგიყვავდება ვარდი.

130,2 **„იგი კაცი შეენიერი წმელთა იყოს, გნუკეგ პოვნად;
კიდით კიდე მოიარე ამაყურად, შეუპოვნად;
მზისა შუქი მოგეფინოს, ვერვინ კელგყოს დასათოვნად;
და სცნა მის ყმისა ყოფა სადმე, ფიცხლად მოდი, დაუყოვნად“.**

არის მხოლოდ B და C რედაქციებში.

ს. შ.: ის მშვენიერი კაცი ხმელეთზე თუ იქნება, გთხოვ მონახო; კიდით კიდე მოიარო ამაყად, მზის შუქი მოგეფინოს, ვერვინ შეძლოს შენი დათოვნა (წყენინება); თუ გაიგო იმ მოყმის სადმე ყოფნა, სწრაფად მოდი, დაუყოვნებლივ.

131 **„შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამსვნა შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყარე.
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,
და მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე.**

ს. შ.: შენი მხრივ ჩემი სიყვარული ამით უფრო განამტკიცე, რომ მომაშორო მწუხარება, ბილწი ეშმაკი დათრგუნე (საპყარად აქციე); [ჩემი] გულის გარშემო საიმედო ია დარგე, ვარდი მიმოაბნიე; მერე მოდი, ლომო, მზე შეგეყრები, შემეყარე.

132 **სამსა ძებნე წელიწადსა იგი შენი საძებნარი;
ჰპოვო, მოდი გამარჯვებით, მხიარულად მოუბნარი;**

ვერა ჰპოვებ, დავიჯერებ, იყო თურე უჩინარი;
და კოკობი და უფურჭუნელი ვარდი დაგხედე დაუმჯნარი.
ს. შ.: სამ წელიწადს ეძებე ის შენი საძებნელი; [თუ] იპოვი, მოდი გა-
მარჯვებული, მხიარულად მოუბარი; [თუ] ვერ იპოვი, დავიჯერებ, [რომ] თურ-
მე უჩინარი (= მოჩვენება) ყოფილა; კოკობი და გაუმღელი ვარდი დაუჭკნო-
ბელი დაგხვდები.

133 ფიცით გითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხედეს ხორციელი, ჩემთჳის კაცად შენაქმარი,
სრულად მოვსწყდე სამოთხესა, ქჳესკნელს ვიყო დასანთქმარი,
და შენი მკლავიდეს სიყუარული, გულსა დანა ასაქმარი!“.
ს. შ.: გეფიცები: შენ გარდა თუ შევირთო ვინმე ქმრად, ხორცშესხმული
მზეც რომ მერგოს, ჩემთვის კაცად შექმნილი, [მაშინ] სრულიად მოვწყდე
სამოთხეს, ქვესკნელში დასანთქმელი ვიყო, შენი სიყვარული მკლავდეს –
გულის დამჭრელი დანა!“.

134 მოაკსენა ყმამან: „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე,
სხუა პასუხი რამცა გკადრე, ანუ რამცა შევიწამე?
მე სიკუდილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,
და ვითა მონა, სამსახურად გაღანამცა წავე, წა-, მე!“
ს. შ.: მოყმემ მიუგო: მზეო, ვისაც გიშერი წამწამებად გაქვს, სხვა რა
პასუხი გკადრო ან რა განვიზრახო (რა გადავწყვიტო)? მე სიკვდილს მოვე-
ლოდი, შენ სიცოცხლე დამიმოწმე (დამიდასტურე), როგორც მონა [თქვენდა]
სამსახურად დიახაც წავალ!

135 კულაცა ჰკადრა: „აჰა, მზეო, რათგან ღმერთმან მზედ დაგბადა,
მით გმორჩილობს, ზეციერი მნათობია რაცა სადა;
მე რომ თქვენგან მოვისმინენ წყალობანი, მედიდა.
და ვარდი ჩემი არ დატუნების, შუქი შენი იეფად ა“.
ს. შ.: კვლავაც უთხრა: „აჰა, მზეო, რადგან ღმერთმა მზედ შეგქმნა,
ამიტომ გემორჩილება, სადაც რა ზეციურო მნათობია; მე რომ თქვენგან
წყალობის სიტყვები მოვისმინე, მებეკრა. ჩემი ვარდი არ დატუნება, (რადგან)
შენი შუქი უხვადაა“.

135,1 თავი ჩემი სამსახურად შენად რადმცა შევიწყალე!
არასათჳის არ დავდგები, უსაცილოდ წავალ ხუალე;
გული ფერად ლაჟუარდისა გავაწითლე, გავალაღე;
და სიცოცხლისა უკეთესი რა მიბოძე, რამც ვივალე!“
არის ოთხივე რელაქციის ნუსხებში და b f k z გამოცემებში.
ს. შ.: ჩემს თავს შენს სამსახურად როგორ დავზოგავ! არაფრის გამო არ
გავჩერდები, აუცილებლად წავალ ხვალ; ლაჟვარდისფერი გული გავაწითლე,
ლალისფრად ვაქციე; სიცოცხლეზე უკეთესს რას მიბოძებ, რა ვივალო (რას
დავიდებ ვალად)?

136 კულა შეჰფიცეს ერთმანერთსა, დააპირეს ესე პირი,
გასალდეს და გაამრავლეს საუბარი სიტყუა შირი.
გაადვილდა, აქანამდის გარდევდა რაცა ჭირი;

და თეთრთა კბილთა გამოჰკრთების თეთრი ელვა ვითა ჭჭირი.
ს. შ.: ისევ შეჰფიცეს ერთმანეთს, ამაზე შეთანხმდნენ, განმტკიცდნენ და ბევრი ისაუბრეს. შეუმსუბუქდათ, რაც აქამდე ჭირი გადაეხადათ, თეთრ კბილებს გამოჰკრთის თეთრი ელვა, როგორც სხივი.

137 ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს,
ბროლ-ბალახში შეხუჭული და გიშერი ასადაგეს;
ყმა ეტყჳის, თუ: „შენთა მჭურეტთა თავი ხელი, ა, სად აგეს!
და ცეცხლთა, შენგან მოდებულთა, გული ჩემი ასადაგეს“.

ს. შ.: ერთად დასხდნენ, ილაღობეს, ბევრი ისაუბრეს (სასაუბრო გააასეს). ერთმანეთს შერწყმული ბროლი და ბალახში (პირისახეები) და გიშერი (თვალ-წარბი) გაასადაგეს (ერთმანეთს გაუშინაურდნენ, ერთმანეთთან თავი უბრალოდ, სადად ეჭირათ); მოყმე ეუბნება: „შენმა მჭურეტელებმა შმაგ თავს, აი, რა დამართეს! შენ მიერ მოდებულმა ცეცხლმა გული დამიდაგა!“

137,1 ახლოს უზის ლაღი ჭურეტად, მისსა მკჳლელსა ეუბნების,
წამ-წამ იაჯს შევლასა და შემოქმედსა მიენდობის.
„თუ ზოგნიცა არ დაგეხოცოს, ღმერთმან სხჳანი რადმცა
შობის?“

და სხჳამან რამამც დაავიწყოს, იგი პირმზე ეგონების.
არის მხოლოდ B და C რედაქციებში.

ს. შ.: ახლოს უზის ლაღი (= ავთანდილი) საჭვრეტლად, თავის მკველს (= თინათინს) ელაპარაკება, გამუდმებით შევლას ითხოვს და ღმერთს ანდობს თავის თავს: „თუ ზოგიერთები არ დაგეხოცა, ღმერთი სხვეს რატომ გააჩენს?“ სხვა რა დაავიწყებს, ის პირმზე აგონდება.

138 ყმა წავიდა, სიშორესა თუცა მისსა ვერ გასძლებდა,
უკუღმავე იხედვიდა, თჳალთა რეტად აყოლებდა,
ბროლსა სეტყჳს და ვარდსა აზრობს, ტანსა მჭევრსა
ათრთოლებდა,

და გული ჰქონდა გულისათვის, სიყვარულსა ავალებდა.

ს. შ.: მოყმე წავიდა, თუმცა მის (თინათინის) სიშორეს ვერ ითმენდა, უკანვე იხედებოდა, თვალებს რეტიანივით აყოლებდა, ბროლს (ცრემლს) სეტყვა-სავით ყრიდა, ვარდს (სახეს) აზრობდა, წერწეტ ტანს ათრთოლებდა. გული გაცვლილი ჰქონდა (სატრფოსთან) გულში (და ეს) სიყვარულს აკისრებდა.

138,1 ყმა წავიდა, მას იგონებს, ხელი გული ვისთვის კჳდების:
„მზევ, მოგშორდი, ჩემად ნაცჳლად შენი ჭურეტა ვის
მიხჳდების?“

მე წაველ და შენი შუქი აღარავის უხხჳდების,

და შენს მგონესა სული ჳორცთა წჳას ვეღარა მიუხჳდების“.

არის B და C რედაქციებში.

ს. შ.: მოყმე წავიდა, მას იგონებს, ვისთვისაც კვდება გახელებული გული: „მზეო, მოგშორდი, ჩემ მაგიერ შენი ჭურეტა ვის ერგება? მე წავედი და შენი შუქი აღარავის ეფინება უხვად, შენზე მოფიქრალს სული ვერ მიუხვდება ხორციელ ტანჯვას“.

139 თქუა: „მზეო, ვარდსა სიშორე შენი დამაჩნდეს ეს ადრე,
ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უწყითლესადრე.
მაშინ რაღა ვქმნა, ვერჭურეტა რა მომხდეს კჳლა უგრძესადრე!
და სამს მოყურისათვის სიკჳდილი, ესე მე დამიც წესადრე“.

ს. შ.: თქვა: „მზეო (= თინათინ), შენი სიშორე ვარდს (= მე) მალე და-
მაჩნდება, ბროლი და ლალი ქარვაზე უფრო ყვითლად გადაექცეულვარ. მა-
შინ რაღა ვქნა, შენი უნახაობა კვლავ უფრო მეტად რომ გამიგრძელდეს! სა-
ტროსათვის უნდა მოვეკვდე, ეს მეც წესად მაქვს“.

140 საწოლს დაწვა, ტირს, მტირალსა ცრემლი ძნელად ევცების,
ვითა ვერხუი ქარისაგან, ირხევის და იკეცების;
რა მიღუღნის, სიახლევე საყუარლისა ეოცების,
და შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატიჟი ეოცების.

ს. შ.: საწოლ ოთახში დაწვა, ტირის, მტირალი ცრემლს ვეღარ იმშრა-
ლებს, როგორც ქარისაგან ვერხვი, ირხევა და იკეცება; რომ მიღუღნობდა
(მიეძინებოდა), ეჩვენებოდა, რომ კვლავ სატროსთან იყო, შეკრთებოდა, ხმა-
მადლა დაიძახებდა, ამით ტანჯვა უძრავდებოდა.

141 მოშორვება საყუარლისა მას შეჰქმნოდა მისად დაზოდ,
ცრემლსა ვითა მარგალიტსა სწუიმს ვარდისა დასანაზოდ.
რა გათენდა, შეეკაზმა მისთა მჭურეტთა სალამაზოდ,
და ცხენსა შეჯდა, გაემართა, დარბაზს მივა სადარბაზოდ.

ს. შ.: სატროს მოშორება მას თავის სადარდებლად გადაჰქცეოდა,
ცრემლს მარგალიტით აწვიმებს ვარდის (= სახის) დასანაზებლად. რომ გა-
თენდა, შეეკაზმა მისი მჭურეტლებისათვის თავის მოსაწონებლად, ცხენზე
შეჯდა, გაემართა, სასახლეში მიდის სადარბაზოდ.

142 დარბაზს ეჯიბი შეგზავნა, მართ მისგან შენარონია,
შესთჳალა: „გკადრებ, მეფეო, მე ესე გამიგონია:
ყოველი პირი მიწისა თქვენ ჳრმლითა დაგიმონია,
და აწ თუ სჯობს, ესე ამბავი ცნან, რაცა გარემონია.

ს. შ.: სასახლეში [მეფესთან] შეგზავნა ეჯიბი, მისგან [ადრეც] შენაგზავ-
ნი, შეუთვალა: „გკადრებ, მეფეო, მე ეს შემიტყვია: მთელი მიწის პირი თქვენ
ხმლით დაგიმორჩილებიათ, ახლა, თუ სჯობს (თქვენ თუ საჭიროდ მიიჩნევთ),
ეს ამბავი გაიგოს, ვინც კი გარშემო მყოფია.“

143 მე წავიდე, მოვიარო, ვილაშქრო და ვინაპირო,
თინათინის კელმწიფობა მტერთა თქვენთა გუღსა ეპგმირო,
მორჩილქმნილთა გავახარო, ურჩი ყოველი ავატირო,
და ძღუენნი გკადრნე ჳედა-ჳედა, არ სალამი დავაძჳირო“.

ს. შ.: მე წავალ, მოვივლი, ვილაშქრებ, ვინაპირებ (საზღვრებს დავიცავ),
თინათინის ხელმწიფობას თქვენს მტრებს გუღზე (დახვარივით) დავსცემ,
მორჩილებს გავახარებ, ყველა ურჩს ავატირებ, ხშირად მოგართმევ ძღვენს,
მოკითხვას არ დაგიგვიანებ“.

143,1 შევიწიო ბედი თქუენი და შევიბა საგდებელი,

ვინაპირო მტერთა მოსრვად, კჷლა გეახლო სისხლთა
მღჷრელი,

არ გაუშვა შეუპყრობლად ბუღბულიცა ინდოელი,
და სანაპირო დაფარბიო, დაგამონო თქჷენ ყოველი.
არის მხოლოდ B და C რედაქციებში.

ს. შ.: დავიხმარ თქვენს ბედს და შევიბამ საგდებელს (ქამანდს), გავამაგრებ საზღვრებს მტერთა მოსასპობად, ისევ გეახლები სისხლის მღვრელი, შეუპყრობლად არ დავტოვებ ინდურ ბუღბულსაც, მოსაზღვრე ქვეყნებს დაფარბევ. ყველას თქვენს მონად ვაქცევ.

144 მეფესა ეთქვა ამისი დიადი მადრიელობა,
ებრძანა: „ლომო, არა გჭირს შენ ომთა გამდრეკელობა,
აწ მაგა შენსა თათობისა ჰგავსო შენივე ქველობა.“
და წა, მაგრა მომხედეს, რაღა ვქნა, თუ სიშორისა გრძელობა!”

ს. შ.: მეფეს ამის გამო ბევრი მადლობა ეთქვა; ებრძანებინა: „ლომო, შენ ომში შედრეკა არ გჩვევია, ახლა მაგ შენ რჩევას ჰგავს შენივე სიქველე. წადი, მაგრამ რაღა ვქნა, თუ შენთან ხანგრძლივმა განშორებამ მომიწიოს!“

145 ყმა შევიდა, თაყვანისცა, მადლი რამე მოასენა:
„კელმწიფეო, მიკვირს, ქება რად იკადრეთ ჩემი თქვენა?!
აწ ნუთუ კჷლა სიშორისა ღმერთმან ბნელი გამითენა,
და პირი თქჷენი მხიარული მხიარულსა კჷლა მიჩჷენა!“

ს. შ.: მოყმე შევიდა [მეფესთან], თაყვანისცა, მადლობა მოასენა; „ხელმწიფე, მიკვირს, ჩემი ქება რატომ ინებეთ?! ახლა იქნებ კვლავ გამითენოს ღმერთმა განშორების სიბნელე, თქვენი მხიარული სახე მხიარულს კვლავ მიჩვენოს“.

146 მეფე ყელსა მოეხჷა, გარდაკოცნა ვითა შვილი.
სხჷა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი!
ყმა ადგა და წამოვიდა, მას დღე მათი ჩანს გაყრილი;
და როსტან მისთჷის აატირა გონიერი გული, ლბილი.

ს. შ.: მეფე ყელზე მოეხვია, შვილივით გადაკოცნა; სხვა მათი მსგავსი არ ყოფილა არც გამზრდელი, არც გაზრდილი! მოყმე ადგა და წამოვიდა, იმ დღეს მათ (= როსტევანს) გაშორდა; როსტევანმა მის გამო აატირა ბრძენი, ლმობიერი გული.

147 გამოემართა ავთანდილ, მოყმე მვნე, ლაღად მავალი.
ოც დღე იარა, ღამეცა დღეს ზედა წართო მრავალი.
იგია ღხინი სოფლისა, იგია ნივთი და ვალი,
და არ მისცილდების თინათინ მისი მას, ვისგან სწჷავ ალი.

ს. შ.: გამოემართა ავთანდილ, მხნე, ლაღად მავალი მოყმე. ოცი დღე იარა, დღეს მრავალი ღამეც წაემატა. ის არის ამ ქვეყნის ღხინი, მისი სიმდიდრე და ვალი (ე. ი. ქვეყანა მისი მოვალეა). მას არ ავიწყდება თავისი თინათინი, ვისი (სიყვარულის) ალიც სწვავს.

148 რა მოვიდა, სიხარული შიგან გავდა სამეფოსა.
მოეგებნეს დიდებულნი, ძღჷენსა სძღჷნიდეს იეფოსა.

იგი პირმზე არ მოსცთების სიარულსა სასწრაფოსა.
და მიხუდეს მყოფნი მას წინაშე სიხარულსა სადაფოსა.
ს. შ.: როცა მოვიდა, [ავთანდილის] სამეფოში სიხარული შეიქნა; მოე-
გებნენ დიდებულები, უხვ ძღვენს მიართმევდნენ; ის პირიმზე (ავთანდილი) არ
ანელებს სვლას; მის წინაშე მყოფთ წილად ხვდათ დიდი (დაფის დაკვრა
რომ შეეფერებოდა, ისეთი) სიხარული.

149 ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ ზღუდესა უქვიტკიროსა.
ყმამან მუნ დაყო სამი დღე ამოსა სანადიროსა,
და გაზრდილი მისი შერმადინ დაისწა სავაზიროსა.
ს. შ.: გამაგრებული (შეუვალი) ქალაქი ჰქონდა სანაპიროს (სასაზღვრო
მხარის) ზარის დამცემად. გარშემო კლდე იყო, არნაშენი (უქვიტკირო, ბუნებ-
რივი) ზღუდე. მოყმემ იქ დაყო სამი დღე საამო სანადირო სანახებში, თავისი
გაზრდილი შერმადინი დაისვა სათათბიროდ.

149,1 ესეა მონა შერმადინ, ზემოთცა სახელდებული,
თანაშეზრდილი, ერთგული და მისთჳის თავდადებული,
მან არ იცოდა აქამდის მის ყმისა ცეცხლი დებული,
და აწ გაუცხადა სიტყუები მის მზისა იმედებული.
არის ოთხივე რედაქციაში.
ს. შ.: ეს არის მონა (ვასალი) შერმადინი, ადრეც რომ მოვიხსენიეთ, თან-
შეზრდილი, ერთგული [და] მისთვის თავდადებული; მან აქამდე არ იცოდა,
მისი (ავთანდილის) სიყვარულის ამბავი, ახლა კი უამბო (ავთანდილმა) იმ
მზის (თინათინის) საიმედო ნათქვამი.

150 უბრძანა: „აჰა, შერმადინ, ამაღ მე შენგან მრცხუენიან,
ჩემნი საქმენი ყოველნი გცოდნიან, გაგივლენიან,
მაგრა არ იცი აქამდის, რანიცა ცრემლნი მდენიან!
და მე ვისგან მქონდეს პატიჳნი, აწ მასვე მოუღხენიან.
ს. შ.: უთხრა: „აჰა, შერმადინ, შენი ამის გამო მრცხვენია, ჩემი ყველა
საქმე გაგიგია, სამსახური გაგიწევია, მაგრამ არ იცი, აქამდე რა ცრემლი
მდენია! ვისგანაც მე ვიტანჯებოდი, ახლა მასვე მოუცია ჩემთვის შვება.

151 მე მოუკლავ თინათინის სურვილსა და სიყუარულსა,
ცრემლი ცხელი ასოვლებდის ნარგისთაგან ვარდსა ზრულსა,
ვერ ვაჩენდი აქანამდის ჭირსა ჩემგან დაფარულსა,
და აწ მიბრძანა საიმედო, ამაღ მხედავ მხიარულსა.
ს. შ.: მე მოუკლავარ თინათინის ნდომასა და სიყვარულს, ნარგიზებიდან
(= თვალებიდან) [მონადენი] ხცელი ცრემლები ასველებდა დაზრულ ვარდს
(= ფერდაკარგულ სახეს), აქამდე ვერ ვამხედდი ჩემ მიერ დაფარულ გასა-
ჭირს, ახლა მითხრა საიმედო [სიტყვა], ამიტომ მხედავ მხიარულს.

151,1 შენცა იცი, თინათინის სხივი მზესა უადრესობს,
გული ჩემი გააბედე, იგი ჩემზედ ტალობს, კუესობს;
აწ გიცხადებ დაფარულსა, გააჭე, რაცა უმჯობესობს,
და მონათათჳის ბრძანებულის აღსრულება რჯულად წესობს.

არის მხოლოდ ერთ (H-1079) ნუსხაში. ფ. 18 r-ის არშიაზე.

ს. შ.: შენც იცი, რომ თინათინის სხივი მზეს სჭარბობს, ჩემი გული აბედად ვაქციე, ის (= თინათინი) ჩემთვის ტალი (და) კვესია; ახლა საიდუმლოს გიმჟღავნებ, განსაჯე, რაც რაც უმჯობესია, მონებისათვის ნაბრძანების ასრულება კანონადაა დაწესებული.

151,2 პირველად მქონდა მე მისი შორს ყოფნის ცეცხლი მდებარე,
აწ შემიწყალა, მომიტკბა, მექმნა იმედთა მდებარე;
მითხრა თუ: „წადი, გაიჭერ, ქენ თავი გარდამდებარე,
და ძებნე იგი ყმა, ცოცხალა, ან მკლარი ჰპოვე მდებარე!“
არის D¹ D³ ნუსხებში.

ს. შ.: თავიდან მე მისი შორს ყოფნის ცეცხლი მედებოდა, ახლა შემიბრალა, დამიტკბა, იმედი მომცა; მითხრა: „წადი, გაიჭერი, თავი გადადე, მოძებნე ის მოყმე, იპოვე ცოცხალი, ან მკვლარი!“

152 მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა დაკარგულისა,
მოხვიდე, სრულ-გქმნა მაშინდა შენი წადილი გულისა,
ქმარი არ მინდა უშენო, მომხედეს ხისაცა რგულისა!“
და მომცა წამალი გულისა, აქამდის დადაგულისა.

ს. შ.: მიბრძანა: „იმ დაკარგული მოყმის ამბავი გამიგე, [რომ] მოხვალ (დაბრუნდები), შენი გულის წადილს მაშინდა ავასრულებ, ჩემ გარდა [სხვა] ქმარი არ მინდა, ხესავით ტანაყრილიც რომ შემხვდეს!“ მომცა აქამდე დადაგული გულის წამალი.

152,1 ავთანდილ ეტყუნის შერმადინს ლალი და შეუპოველი:
„თინათინ მითხრა იმედი, პოვნასა ზეცით მოველი;
მზისაცა შოვნა ვის ძალუც, დაფასდეს მოუქსოველი?“
და ფიცი მაქუს, ვერ გამიცრუებს, მოწმად მყავს არსი ყოველი“.
არის B და C რედაქციებში.

ს. შ.: ლალი და შეუპოვარი ავთანდილი ეუბნება შერმადინს: „თინათინმა იმედი მომცა, (იმ მოყმის) პოვნას ზეცისაგან მოველი; მზის შოვნა ვის შეუძლია, ან მოუქსოველის (შეუსრულებელი საქმის) შეფასება? შემომფიცა, ვერ მიმტყუნებს, მოწმედ მყავს ყველა სულიერი.“

153 პირველ, ყმა ვარ, წასლვა მინდა პატრონისა სამსახურად, –
კამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გჳმართებს ყმასა ყმურად, –
მერმე, ცეცხლი დაუვსია, აღარა მწვავეს გულსა მურად.
და კამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მიუვდეს მამაცურად.

ს. შ.: ჯერ ერთი, ყმა ვარ, უნდა წავიდე, რომ პატრონს ვემსახურო, წესია მეფეთა ერთგულება, ყმებს ყმური მოქცევა გვმართებს; მეორეც, [სიყვარულის] ცეცხლი დაუვსია, [ეს ცეცხლი] გულს აღარა მწვავეს აღმურივით. საჭიროა, რომ ადამიანი გასაჭირს არ შეუდრკეს, მამაცურად შეებრძოლოს.

153,1 პირველ, ყმა ვარ და ვაამებ, არავის ვესათნოვები;
იგი შუქთა მფენს, არ მაზრობს, სხუასმცა ვის შევეპოვები?
ფიცი მომცა და შევჭფიცე, მანამდის არ ვიპოვები,
და სრულ სპათა ჩემთა მოგათჳლი, სამ წლამდი დაგეთხოვები.

არის მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში (C⁵-ის გარდა).

ს. შ.: ჯერ ერთი, ყმა ვარ და ვაამებ, (სხვას) არავის მოვეფერები; ის შეუქს მფენს, არ მყინავს, სხვას ვის შევეპუები! ფიცი მომცა და შეფვიცე, მანამდის გამოვჩნდები (ვიდრე არ მოვბრუნდები), მთელ ჩემს ლაშქარს ჩაგაბარებ, სამ წლამდე გამოგეთხოვები.

154 ვართ უმოყურესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა,
ამისთჳის გნუკევე სმენასა შენ ამა ჩემთა ვმათასა:
ჩემ წილ დაგაგდებ პატრონად, თავადად ჩემთა სპათასა,
და ამა საქმესა ვერა ვიქ მე განდობასა სხუათასა.

ს. შ.: მე და შენ ყველა პატრონ-ყმაზე უფრო მოყვარულნი ვართ, ამიტომ გთხოვ, მოუსმინო ჩემს ხმას (= ნათქვამს): ჩემს ნაცვლად პატრონად დაგტოვებ, ჩემი ლაშქრის უფროსად, ამ საქმეს მე სხვებს ვერ მივანდობ.

155 ლაშქართა და დიდებულთა ალაშქრებდი, ჰპატრონობდი;
დარბაზს კაცსა გაჰზავნიდი და ამბავსა მათსა სცნობდი,
წიგნსა სწერდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღუენსა სძღუნობდი,
და აქა სადმე არყოფასა ჩემსა მათმცა რად აგრძნობდი!

ს. შ.: ლაშქარი და დიდებულები ალაშქრე, [მათ] უპატრონე; სამეფო კარზე კაცი აგზავნე და მათი ამბავი შეიტყვე [ხოლმე], ჩემ მაგიერ წერილები მისწერე, ძვირფასი ძღვენი მიართვი [ხოლმე], ჩემი აქ არყოფნა მათ რატომ უნდა აგრძნობინო?!

156 ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,
აქათ სამ წელ მომიცადე, ხუთშიადი შემინახე,
მე ნუთუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჭნა ხე,
და არ მოვბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე.

ს. შ.: შენი ლაშქრობა და ნადირობა ჩემსას დაამსგავსე (ჩემსავით ილაშქრე და ინადირე), დღეიდან სამ წელს მომიცადე, საიდუმლო შემინახე, მე ეგებ დავბრუნდე, ჩემი ალვის ხე არ დაჭენეს (არ დავიღუპო); [თუ] არ დავბრუნდი, მიგლოვე, მიტირე და [ჩემზე] ივაგლახე.

156,1 პაემანსა არ მოვესწრა, ნულარ მიცდი, მოგჰკუე თურე,
ამბე ჩემი ნაუბარი, საქმე ასე აღსტურე:
„ვაი, დაგჰკარგე ჭირთნახული, წაგდა, რაცა ვიმსახურე!“
და გაუმჟღავნე ყმათა ჩემთა, ცრემლი ხშირად მოიწურე.

არის D¹ ნუსხაში (ფ. 18v).

ს. შ.: დათქმულ დროს თუ ვერ მოვედი, ნულარ მოიცდი, ჩათვალე, რომ მოვკვდი, უამბე ჩემი ნათქვამი (მეფეს), ეს საქმე დაადასტურე: „ვაი, დაგჰკარგე ნაშრომ-ნაღვაწი, დაიკარგა, რაც ვიმსახურე!“ ჩემს ყმებს გაუმჟღავნე, ცრემლი ხშირად შეიმშრალე (= ბევრი იტირე).

156,2 ცის კიდემდის ვიარები ცრემლთა რევით სისხლთა მღუწრელი,
ვევედრები შემოქმედსა, იგი არის მომცემელი;
ნუთუ მისით შეწვენითა ვპოვო ჩემი სასურველი,
და მე მისითა მიზეზითა მოვიარო ზღუა და კმელი.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C¹-ის გარდა).

ს. შ.: ცის კიდემდის ვივლი ცრემლის შერევით სისხლის მღვრელი, ღმერთს ვთხოვ, ის არის (წყალობის) მომცემი; იქნებ მისი დახმარებით ვიპოვო, ვინც მინდა, მე მის გამო მოვივლი ზღვასა და ხმელეთს!

157 მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალთა,
 აცნობე ჩემი სიკჳდილი, – იყავ მართ ვითა მთრვალთა, –
 მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათჳის გარდუვალთა.
 და გლახაკთა მიეც საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალთა.

ს. შ.: მხოლოდ მაშინ მოახსენე მწფეს არასასურველი ამბავი, აცნობე ჩემი სიკვდილი, [მწუხარებისაგან] იყავი როგორც მთვრალი, ისეთი რამე დაე-მართა, რაც ყველასათვის გარდაუვალთა-თქო. ღარიბ-ღატაკებს მიეცი სიმდიდრე, ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ფული.

157,1 ესე არის ამ სოფლისა სიმუხთლე და მისი ფერი,
 ჰკადრე: „მწეცთა შეგჳიჭამეს მისი ტანი შჳენიერი“.
 მუხთალია ეს სოფელი, სწორად უჩანს ყმა და ბერი,
 და ნუ ინაღჳლით, ჩემად ნაცჳლად სხჳას გიბოძებს სახიერი.

არის მხოლოდ C რედაქციაში (C¹ C⁵-ის გარდა).

ს. შ.: ეს არის ამ წუთისოფლის სიმუხთლე და მისი შესაფერი საქმე, მოახსენე: „მხეცებმა შეგვიჭამეს მისი მშჳენიერი სხეული“. მუხთალია ეს წუთისოფელი, თანასწორად მიაჩნია ახალგაზრდა და მოხუცი, ნუ ინაღვლებთ, ჩემ მაგივრად სხვას გიბოძებთ ღმერთი.

158 მაშინ უფრო მომეგმარე, ამისგანცა უფრო მკნედრე,
 ნუთუ ადრე დამივიწყო, მაჯსენებდი ზედა-ზედრე!
 მეტად კარგად დამიურვე, სული ჩემი შეივედრე,
 და ზრდანი ჩემნი მოიგონენ, გული შენი მოიმედრე“.

ს. შ.: მაშინ უფრო დამეხმარე, ამაზე მამაცურად, ნუთუ მალე დამივიწყებ? ხშირად მახსენე! მეტად კარგად მიპატრონე, ჩემი სული ჩაიბარე (ჩემს სულს უპატრონე). ჩემგან [შენი] გაზრდა მოიგონე, გული აიხუყე“.

159 რა შერმადინ მოისმინა, გაუკჳირდა, შეეზარა,
 თჳალთათ ვითა მარგალიტი ცხელი ცრემლი გარდმოღვარა,
 მოავსენა: „უშენომან გულმან რამცა გაიხარა!“

და ვიცი, რომე არ დასდგები, მაგას გიშლი ამაღ არა.

ს. შ.: მონამ (= ვასალმა) რომ მოისმინა, გაუკვირდა, შეზარდა (შეძრ-წუნდა), თვალებიდან ცხელი ცრემლები მარგალიტით გადმოჳარა, მოახსენა: „უშენოდ მყოფი გული რით გაიხარებს! ვიცი, რომ არ გაჩერდები, ამიტომ მაგას (= წასვლას) არ გიშლი.“

159,1 განა ჰქნა ლომმან, იმედი დაგედვას რაცა მზისადა,
 მეფისა ცამდის მადლისა, მზისაცა უფრო მზისადა;
 უთქჳენოდ მყოფი არ ვარგვარ, არცა თუ აქა, ვზი სადა;
 და მარტოსა თავი ვით დაგიც სავალად მაგა გზისადა?

არის ოთხივე რედაქციის ნუსხებში (C⁵-ის გარდა). გამოცემებში მიჩნეულია ჩანართად.

ს. შ.: ნამდვილად გააკეთებ, ლომო, რა იმედიც მიგიცია მზისთვის (თინათინისთვის), ცამდე მაღალი მეფის, მზეზე უფრო მაღლისათვის; უთქვენოდ მყოფი არ ვარგივარ არც აქ, სადაც ვზივარ; მარტოს მაგ გზის გასავლელად როგორ გადაგიდვია თავი?

160 **„ჩემად ნაცულად დაგადებო“, – ესე სიტყუა ვით მიბრძანე?
რაგუარა ვქმნა პატრონობა? რამც გიფერე, რამც გიგუანე?
შენ მარტოსა გიგონებდე, მემცა მიწა ვიაკვანე!
და სჯობს ორნივე დავიპარნეთ, წამოგყვები, წამიტანე!“**

ს. შ.: „ჩემ მაგივრად დაგტოვებო“ – ეს სიტყვები როგორ მიბრძანე? როგორ გავწიო პატრონობა? [ჩემი] რა მიგამგვანო (= რით მიგემსგავსო, რით მიგემგვანო)? შენს მარტობაზე მაფიქრალმა მიწა ვიაკვანო (მოგვედე)! სჯობს ორივე გავიპაროთ, წამოგყვები, წამიყოლე!“

161 **ყმამან უთხრა: „მომისმინე, მართლად გითხრობ, არა ჭრელად:
რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად.
მარგალიტი არვის მიხედეს უსასყიდლო უვაჭრელად.“**

და კაცი ცრუ და მოღალატე გამს ლახურითა დასაჭრელად.

ს. შ.: მოყმემ (= ავთანდილმა) უთხრა: „მომისმინე, მართლა გეუბნები, არა ტყუილად: მიჯნური რომ ველად ირბენს (იხეტიალებს), მარტო უნდა იყოს გაჭრილი, არავის შეხვდება (ერგება) ფასდაუდებელი მარგალიტი უვაჭრელად (გაწვალების, ტანჯვის გარეშე), ცრუ და მოღალატე ადამიანი ლახურით უნდა დაიჭრას (გაიგმიროს).“

161,1 **მისი ცეცხლი გულსა ჩემსა დამწველი და მეღებია;
მას ერთსაცა ვერ გაუტეხ, რაცა მიიმედებია;
შენგან კიდე არვინ მივის, ძმები, არცა მე ღებია;**

და იმოქმედე ღღეთა შენთა, რაცა გიმოქმედებია!

არის ოთხივე რედაქციის ნუსხებში (C⁵-ის გარდა). ყველა გამომცემელ-რედაქტორის მიერ მიჩნეულია ჩანართად.

ს. შ.: „მისი ცეცხლი ჩემს გულს წვაეს და ეღება; მას (= თინათინს) ერთსაც ვერ გაუტერუებ, რაც იმედი მიმიცია; შენ გარდა არავინ მყავს, არც ძმა და არც და; იმოქმედე, რაც შენ სიცოცხლეში გიმოქმედია.“

162 **ვისმცა უთხარ ხუაშიადი? შენგან კიდე არვინ ვარგა;
უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქს კარგა?
სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს ვერ იბარგა!**

და კულა ნუთუმცა შემოვიქეც, ღმერთმან სრულად არ დამკარგა.

ს. შ.: ვის ვუთხრა საიდუმლო? შენ გარდა არავინ ვარგა. თუ არ შენ, ვის მივანდო პატრონობა, ვინ გასწევს კარგად? სანაპირო (= საზღვრები) გაამაგრე, მტერმა ახლოს ვერ დაიბანაკოს! ეგებ ისევ მოვებრუნდე, ღმერთმა მთლად არ დამკარგოს.

163 **განგებაა სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი;
მარტობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი;
აქათ სამ წელ არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა, ფლასი;**

და წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდეს, ვინცა იყოს ჩემი ხასი".

ს. შ.: [თუ] ღვთის ნებაა, ერთნაირად მოკლავს, ერთი იქნება, თუ ასი; მარტოობა ვერაფერს მიზამს (დამაკლებს), თუ მიცავს ცის ძალთა დასი (= ანგელოზები). დღეიდან (თუ) სამ წელს არ მოვიდე, მაშინ გმართებს გლოვა და ძაბით შემოსვა; წერილს მოგცემ, რომ დაგემორჩილოს ყველა ჩემი დიდებულები.

1983. 16. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების, კერძოდ, ძირითად ტექსტთან ინდო-ხატაელთა ამბის მიმართების საკითხი.

ა. ბარამიძემ ვრცლად ილაპარაკა საკითხის ისტორიაზე. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად ინდო-ხატაელთა ამბის ენობრივი და მხატვრული გაუმართაობისა (რაც საკმაოდ საბუთიანობით არის წარმოდგენილი ლიტერატურაში), ეს ეპიზოდი შინაარსობრივად აუცილებელია პოემის სიუჟეტური მთლიანობისათვის. უდავოა, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი სიუჟეტურად პოემის ორგანული ნაწილია, მაგრამ იგი რუსთველის ნაწარმოები არ არის; ეს არის გვიანდელი ხანის რესტავრატორის მიერ განახლებული, აღდგენილი რედაქცია დაზიანებული ტექსტისა. რამდენადაც ვიცი, რედაქციის წევრები ამ საკითხში ერთსულოვანნი არიან. განსვენებული ი. გიგინეიშვილიც ამავე აზრისა იყო. აკადემიურ გამოცემაში უნდა შევიტანოთ ინდო-ხატაელთა ეპიზოდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, პირობითად, ზემოაღნიშნული თვალსაზრისის საგანგებო მითითებით.

შ. ძიძიგური: მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ, მიუხედავად ბევრი სუსტი ადგილისა, რომლებიც რუსთველისა ვერ იქნება, ინდო-ხატაელთა ეპიზოდი მაინც უნდა შევიდეს ძირითად ტექსტში.

ს. ცაიშვილი: „ვტ“, როგორც ეპიკური ნაწარმოები, უნდა დამთავრდეს არაბეთის ამბებით, ე. ი. იმით, რითაც დაიწყო. ინდო-ხატაელთა ამბავი, ისევე როგორც ხვარაზმელთა და გმირთა სიკვდილის ამბები, სხვადასხვა დროის დანართებს წარმოადგენს. ძველთაგანვე მათდამი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარი იყო. კერძოდ: ა) საბას თავის ლექსიკონში 50 სიტყვა აქვს შეტანილი „ვტ“-იდან, აქედან ორი (ვარკანჩო და დამაჯნება) – ინდო-ხატაელთა ამბიდან. ხვარაზმელთა ამბიდან არც ერთი სიტყვა არ არის, როგორც ჩანს, საბა ხვარაზმელთა ამბავს არ მიიჩნევდა „ვტ“-ის კუთვნილებად; ბ) ყველა ხელნაწერში შედის გაგრძელებები. მხოლოდ A¹² არღვევს ამ ტრადიციას: ხვარაზმელთა ამბავი და გმირთა გარდაცვალება არ შეაქვს და ამით მისდევს ვახტანგს, მაგრამ ინდო-ხატაელთა ამბავი მასში, ვახტანგისგან განსხვავებით, მთლიანად არის; გ) ეპილოგი ჩნდება პირველად ინდო-ხატაელთა ამბავთან, მერე იწყება ახალი ციკლი და ეპილოგს კვლავ ურთავენ. ჩემი წინადადებაა: ინდო-ხატაელთა ამბავს ვუწოდოთ „დანართი II“, გმირთა სიკვდილის ამბავს – „დანართი III“.

გ. კარტოზია: ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტობრივი სიახლე უდავოა. ვახტანგის მოქმედება მართებულია, მაგრამ იგი, ვფიქრობ, ბოლომდე თანმიმდევრული არ არის. ჩვენ ბოლომდე თანმიმდევრული უნდა ვიყოთ და რესტავ-

რირებულად მივიჩნით ვახტანგის გამოცემის დაბოლოებაც („ტარიელს და ცოლსა მისსა“-დან ეპილოგის ჩათვლით).

ც. კიკვიძე: ინდო-ხატაელთა ამბის ტექსტი რუსთველისა რომ არ არის, ეს აზრი სარწმუნოა. ისიც ცხადია, რომ სიუჟეტურად საჭიროა: ძირითად ტექსტ-ში გვაქვს მასზე მითითება. მაგრამ რა მოცულობით უნდა ყოფილიყო ეს ამ-ბავი, არ ვიცით. მეც ვფიქრობ, რომ „ქედსა ზედა გარდამოდგა“-დან ბოლომდე ტექსტი აღდგენილად უნდა ჩავთვალოთ.

ე. მეტრეველი: მგონია, შ. ონიანის ძალა იმაშია, რომ კარგად იცის: თუ ინდო-ხატაელთა ამბის რუსთველურობას დაამტკიცებს ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით, მაშინ დაამტკიცებს ამ ამბის რუსთველურობას სიუჟეტურადაც. ლოგიკურად მართალია, მაგრამ ამ ეპიზოდის ენობრივ-მხატვრულ გამართულობას იგი ვერ ასაბუთებს. ვერც ჩვენ დავასაბუთებთ. რედაქციის წევრები შეთანხმდნენ: ინდო-ხატაელთა ამბავი მიჩნეულ იქნეს დაზიანებული ტექსტის აღდგენა-რესტავრაციად და სიუჟეტური მთლიანობისათვის, შინაარსობრივი ხარვეზის შევსების მიზნით, დაიბეჭდოს პოემის აკადემიური გამოცემის ძირითად ტექსტში, ოღონდ განსხვავებული შრიფტით. ტექსტის გამართვის მიზნით ზოგიერთი სტროფის ამოღებისაგან ან კონიექტურის გამოყენებისაგან თავი შევიკავოთ. ძირითად ტექსტში შევიტანოთ ყველა ის სტროფი, რომელიც მოიპოვება ყველა რედაქციის ნუსხეებში; ის სტროფები, რომლებიც მხოლოდ თითო-ოროლა ხელნაწერშია, ამ რესტავრირებული ტექსტის ჩანართებად ჩაითვალოს.

1983. 23. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1574-1583 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1574 ქედსა ზედა გარდამოდგა მეტად დიდი ქარავანი,
კაცები და სავედრები ერთობ იყო შაოსანი;
გარეშემო მოეკუეცნეს უკანამო-დალალანი;
და მეფე ბრძანებს: „მოასხითო, ჩვენ დავყოვნოთ აქა ხანი“.

x 1780-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მოეკუეცნეს (მოეკეცნეს), უკანამო-დალალანი (უკანამო დალალანი).

გ. კარტოზია: უკანამო ისევე უნდა იყოს ნაწარმოები, როგორც წინამო. თუ წინამო წინა (ყურთწინა) კავებია, უკანამო ყურთუკანა კავები გამოდის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქედზე გადმოდგა მეტად დიდი ქარავანი, კაცები და სახედრები (საჯდომი და საზიდარი ცხოველები) მთლიანად შავით იყვნენ მოსილი; გარეშემო მოეჭრათ უკანამო (= ყურთუკანა კავები) და დალალები; მეფე (ტარიელი) ამბობს: „მოიყვანეთ, ჩვენ აქ დავყოვნდებით (ხანს დავყოფთ)“.

1575 მოასხნეს იგი ვაჭარნი და მათი უხუცესია;
უბრძანეს: „ვინ ხართ, შავითა რად ტანი შეგიბლესია?“
მათ მოასხნეს: „სით მოვალთ, მუნ ასრე დანაწესია,
და ინდოეთს მისრით მოსრულთა გუივლია გზა უგრძესია“.

x 1781-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ტანი (ტანნი), დ ინდოეთს (ჰინდოეთს), მისრით (ნისრით).

ა. ბარამიძე: ბ-ში გაუგებარია **შეგიბლესია** („შავითა რად ტანი შეგიბლესია?“)

ბ. კარტოზია: მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ **ბლესა** იგივეა, რაც **ფლასვა**, მაგრამ ვფიქრობ, არსებობდა **ბლეს-ფუძე**. **შეგიბლესია** > **შეგიგლესია** (ზოგიერთ ხელნაწერში) უფრო გასაგები პროცესია, ვიდრე პირიქით.

ა. ბარამიძე: თუ მიჩვენებთ **ბლეს-ფუძის** ხმარების მაგალითს, მაშინ თანახმა ვიქნები; თუ არა და დავტოვოთ ზოგიერთი ხელნაწერის **შეგიგლესია** („შემოგიტყერია, შემოგიტყევია“-ს მნიშვნელობით).

მიღებულ იქნა წაკითხვა: რად ტანი **შეგიგლესია**.

ს. შ.: მოიყვანეს ის ვაჭრები და მათი უფროსი; უთხრეს: „ვინ ხართ, ტანი შავით რატომ შემოგიგლესიათ (შემოგიტყერია, შემოგიტყემანიათ)?“ მათ მოახსენეს: „საიდანაც მოვდივართ, იქ ასეა დაწესებული, ინდოეთში მისრეთიდან (ეგვიპტიდან) მოსულებს გრძელი გზა გაგვივლია“.

1576 გაეხარნეს მათ ვაჭართა ინდოეთით მომავლობა,
მაგრა თავი უმეცარ ყვეს, არა მისცეს ყოლა გრძნობა;
უცხოურად ეუბნების, მათ ვერა ქმნეს მათი ცნობა,
და არ ესმოდა ინდოური, არაბულად ყვეს უბნობა.

x 1782-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ინდოეთით (ჰინდოეთით), გ ქმნეს (ცნეს), დ ინდოური (ჰინდოური); გ-ის ბოლოს წერტილია მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გაუხარდათ, რომ ის ვაჭრები ინდოეთიდან მოდიოდნენ, მაგრამ თავი უმეცრად მოაჩვენეს, არ აგრძნობინეს; უცხოურად ეუბნება [ტარიელი], მათ (ვაჭრებმა) ვერ გაუგეს მას. [თითქოს] არ ესმოდათ ინდური, არაბულად დაიწვეს ლაპარაკი.

1577 უბრძანეს: „გუითხართ, ვაჭარნო, ამბავი ინდოეთისა“.
მათ ჰკადრეს: „ზეციით მოსრულა ინდოეთს რისხვა ზეცისა;
დიდსა და წყრილსა ყუელასა ცრემლი სდის მსგავსი წყეთისა,
და მას შიგან მყოფსა ბრძენსაცა ცნობა აქუს ვითა შეთისა“.

x 1783-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გუითხართ (გვითხართ), ინდოეთისა (ჰინდოეთისა), ბ ინდოეთს (ჰინდოეთს), დ მას შიგან (მუნ შიგან); ა-ს ბოლოს ბრჭყალების წინ დასმულია ძახილის ნიშანი.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხრეს: „გვითხართ, ვაჭრებო, ინდოეთის ამბავი!“ მათ მოახსენეს: „ზეციდან მოსულა ინდოეთში ზეციური რისხვა; დიდსა და პატარას ყველას წვეთის მსგავსი ცრემლი სდის, იქ მყოფ ბრძენსაც გიჟის ჭკუა აქეს“.

1578 თუით მათვე მათსა ამბავსა უამბობს, არის წყლიანი:
„ფარსადან, მეფე ინდოთა, იყო კელმწიფე სუიანი,
მას ესუა ქალი მნათობი, მზისაცა უფრო მზიანი,
და კბილმარგალიტი, ტანალვა, დაწე-ბალახშ-ყორანთმიანი.

x 1784-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** ინდოთა (ჰინდოთა), **დ** ღაწუბალას-მ-ყორანთმიანი (ღაწუ-ბადასმ, ყორან-თმიანი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თვით მათ (ტარიელსა და ნესტანს) მათსავე ამბავს უამბობს, სიტყვაწყლიანია: „ფარსადანი, ინდოელთა მეფე, სვებედნიერი ხელმწიფე იყო, მას ჰყავდა მანათობელი ქალი, მზეზე უფრო მზიური, კბილმარგალიტი, ტანალვა, ღაწუვლადი, თმაყორანი (შავთმიანი).“

1579 მას ქალსა და ამირბარსა ერთმანეთი შეუყვარდა.
ამირბარმან სიძე მოკლა, ვმა მეფესა დაუყარდა;
იგი ქალი პატარაი მამიდასა გაეზარდა,
და ბუქთა მისგან მონაქროლთა ინდოეთი გარდაქარდა.

x 1785-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **გ** მამიდასა (მამის დასა), **დ** ინდოეთი (ჰინდოეთი), გარდაქარდა (გარდაჰქარდა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ ქალს და ამირბარს ერთმანეთი შეუყვარდა. ამირბარმა სიძე მოკლა, [ეს] ამბავი მეფეს მიუვიდა; ის ქალი პატარაობიდანვე მამიდას გაეზარდა, მისგან მონაქროლი ქარბუქისაგან ინდოეთი გაცამტვერდა.

1580 მამიდაი ქაჯი იყო, გრძნეულობა იცის კარგა,
მით შემართა საშინელი, მზე ვმელეთსა დაუკარგა;
თწითცა მოკუდა უბედური, მართ საცოცხლოდ არად ვარგა;
და იგი ქალი დაიკარგა, ალვა მორჩი სხვაგან დარგა.

x 1786-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ** დაიკარგა (დაუკარგა). პროექტი მიღებულ იქნა.

აღინიშნა სტროფის ენობრივი გაუმართაობა: **ა** გრძნეულობა **იცის** (= იცოდა) კარგა; **გ** მართ საცოცხლოდ არად ვარგა (= ვარგოდა).

ს. შ.: მამიდა ქაჯი იყო, კარგად იცოდა გრძნეულობა, ამიტომ გაბედა საშინელი რამ, მზე ხმელეთს დაუკარგა; თვითონაც მოკვდა უბედური, სასიცოცხლოდ ნამდვილად არაფრად ვარგოდა; ის ქალი (= ნესტანი) დაიკარგა, ნორჩი ალვა სხვაგან დარგო (= თავისი თავი სხვაგან დაამკვიდრა).

1581 ცნა ამირბარმან, წავიდა ღომი მის მზისა მძებნელად,
იგიცა წავდა, ინდოეთს გავდა მთწარე და მზე ბნელად;
ორნივე წავდეს, პოვნადა მათი არს აწ საგებნელად;
და მეფემან ბრძანა: „ჰე, ღმერთო, რად ცეცხლსა მომიდებ ნელად?“

x 1787-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** ინდოეთს (ჰინდოეთს), **დ** ჰე, ღმერთო (ჰე ღმერთო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამირბარმა შეიტყო და წავიდა ღომი იმ მზის (= ქალის) საძებნელად, ისიც დაიკარგა, ინდოეთში მზე და მთვარე დაბნელდა; ორივენი დაიკარგნენ, ახლა მათი პოვნადა არის მოსაგვარებელი; მეფემ (ფარსადანმა) თქვა: „ჰე, ღმერთო, ცეცხლს ნელად რატომ მიკიდებ?“

1582 მეფე გაშმაგდა მათისა უღონოქმნილი ძებნისა;
ვად შეიცვალა ინდოეთს ვმა ქოს-წინწილთა, ებნისა;
ცოტასა ხანსა გა-ვე-სძლო დება საკმილთა გზნებისა;
და აწ თწითცა მოკუდა, შეექმნა ბოლო სრვისა და ტკეებისა“.

x 1788-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** ინდოეთს (ჰინდოეთს), **დ** შეექმნა (შექმნა), სრვისა (სრისა), ტკეპნისა (ტკეპნისა); **გ**-ის ბოლოს წერტილ-მძიმეა მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფე გაშმაგდა, მათი მოძებნა რომ ვერ შეძლო, ინდოეთში ვაებად შეიცვალა ქოსის (სპილენძის დოლის), წინწილების (საკრავი თეფშების) და ებნის (ქნარის) ხმა; ცოტა ხანს კიდევ გაუძლო ცეცხლის კიდებას, ახლა თვითონაც მოკვდა, ერგო დასასრული დაღუპვისა და მიწად დაფლვისა“.

1583 **რა ვაჭარმან ესე სიტყვა თქვა, საქმენი გააკჷლადნა, ქალმან დიდნი დაიკივლნა, ფიცხლა თავსა მოივადნა; ტარიელცა დაიზახნა, დაფარულნი გააცხადნა; და ნარგისთაგან ნაწეიმარი ღჷარი ადგა, თოვლი გადნა.**

x 1789-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ** ნაწეიმარი (ნაწვიმარნი); წერტილ-მძიმეა **ბ**-ის ბოლოს წერტილის ნაცვლად, **გ**-ის ბოლოს – მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როცა ვაჭარმა ეს სიტყვა თქვა, საქმეები [სიტყვიერად] გაიმეორა, ქალმა (ნესტანმა) ხმამაღლა დაიკივლა, სწრაფად თავსაბურავი მოიხადა, ტარიელმა დაიყვირა, საიდუმლო გამოამჷდავანა; ნარგიზებიდან (= თვალეებიდან) ნაწეიმარი ღვარი (უხვი ცრემლი) დადინდა, (თითქოს) თოვლი გადნა.

1983. 30. XI

სხლომას დაესწრენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. იდიგური.

განიხილეს: 1584-1589 (პროექტი მოამზადა III ჯგეფმა).

1584 **მომკალ, ქალსა თავშიშუელსა თუ მზე ვითა ეურჩოსა! სული ვარდსა დავამსგავსე, თავმოვდილი ყაყაჩოსა; თუ ბრძენიცა მაქებარი მისი ივმოზს ვირებრ „ჩოსა“, და ჰგავს, თუ ტყუბი მარგალიტი ზის ბროლისა ვარვანჩოსა.**

x 1790-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ა** თავშიშუელსა (თავ მოხდილსა), **ბ** თავმოვდილი – ყაყაჩოსა (თავ-შიშველი ყაყაჩოსა), **გ** ვირებრ (ვირებ), **დ** ვარვანჩოსა (ხარხანჩოსა).

პროექტის მიხედვით, **გდ** რთული ქვეწოვობილი წინადადებაა, სადაც **გ** პირობითი დამოკიდებული წინადადებაა: „თუ მისი მაქებარი ბრძენიც კი ვირივით „ჩო“-ს იხმოზს, ჩანს, რომ...“

გ. კარტოზიას აზრით, **გ** და **დ** სინტაქსურად დამოუკიდებელი წინადადებებია. **გ**-ის აზრით: „მისი მაქებარი ბრძენიც კი (თუნდაც ბრძენი) ვირივით „ჩოს“ იხმოზს“.

რედაქციამ მიიღო ეს უკანასკნელი გაგება.

ს. შ.: მომკალი, თავშიშველ ქალს თუ მზემ როგორმე ურჩობა გაუწიოს! სუნი ვარდს დავამსგავსე, თავმოხდილი [ქალი] – ყაყაჩოს; თითქოს ტყუბი მარგალიტი (= კბილები) ზის ბროლის ბუდეში; მისი მაქებარი ბრძენის ნათქვამიც ვირის ყროყინს ემგვანება.

- 1585** **ქალი საბრალოდ მამასა ტირს, ბუღბუღისა მსგავსია,
თმა გაიგლიჯა, გაყარა, დაწვი ცრემლითა ავსია,
ვარდი შექნილა ზაფრანად, ლალი მართ ვითა მხავსია,
და მზესა ღრუბელი ეფარვის, ამაღ ნათელი დავსია.**
x 1791-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა სტირს (ტირს), გ შექნილა (შექმნილა), ხავსია (მხავსია). პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: ქალი საბრალოდ ტირის მამას, ბუღბუღის მსგავსი, თმა დაიგლიჯა, გააბნია, დაწვები ცრემლებით გაეფსო, ვარდი ზაფრანად შექმნილა (= პირისახე გაჰყვითლებია), ლალი (= ბაგეები) ხავსივით გახდომია, მზეს ღრუბელი ეფარება, ამიტომ სინათლე დავსებია (მოჰკლებია).
- 1586** **იხოჭს და იგლეჯს, ზახილით ტირს სიტყვახაფი უარე;
სისხლი და წყალი თვალთაგან სდის ცრემლი გარე უარე;
მოვკვეო შენთჳის, მამაო, შვილი ყოველთა უარე,
და ვერა გამსახურა ასულმან, ვერცა რა შეგაგუარე.**
x 1792-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა იგლეჯს ზახილით, ტირს (იგლეჯს, ზახილით ტირს), ბ სდის, ცრემლი (სდის ცრემლი), გ მოვკვეო (მოვჰხეო), დ შეგაგუარე (შეგაგუარე).
ბ-ში უარე („ცრემლი გარე უარე“) რელაქციას მიაჩნია პოეტურ ლიცენციად, რება ზმნის ფორმად; ცრემლი გარე უარე – გარშემო ცრემლი სდის.
გ. კარტოხიას შესაძლებლად მიაჩნია უარე ნიშნავდეს „უარეო“-ს, „უსახლვრო“-ს (იხ. ნ. ნათაძე).
გ-ში მოვკვეო-ს ნაცვლად მიღებულ იქნა მოვჰხეო [= გამოვედი, გამოვდექი (ა. ჭინჭარაული)].
ს. შ.: [დაწვებს] იფხაჭნის და [თმებს] იგლეჯს ყვირილით, კიდევ უფრო შემზარავი სიტყვებით ტირის; თვალებიდან სდის სისხლი და წყალი, გარშემო ცრემლი სდის: „მამავ, შენთვის ყველა შვილზე უარესი გამოვდექი, ვერ გამსახურა ასული, ვერც რამე გასიამოვნა.“
- 1587** **„ჩემთჳის ბნელქმნილო მამაო, ნათელო თჳალთა ჩემთაო,
ჩემთა რა გაცნევს ამბავთა, გულისა მონაცემთაო!
მზეო, რადლა გაქჳს სინათლე, რადლა ანათობ თემთაო?
და რად არ დაიქეც, ქჳეყანავ, რადლა ჰმართიხარ ზე, მთაო?“**
x 1793-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ქჳეყანავ (ქვეყანა), მართიხარ (ჰმართიხარ). პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: ჩემ გამო ბნელქმნილო მამავ, ჩემი თვალების სინათლევე, ჩემი გულის მონაცემ (ჩემი გულიდან მომდინარე) ამბავს რა გაცნობებს (გაგაგებინებს)! მზევე, რატომღა გაქვს სინათლე, რატომღა ანათებ ქვეყანას? ქვეყანავ, რატომ არ დაიქეცი, რატომღა ხარ ამართული, მთავ?“
- 1588** **ტარიელ მოთქჳამს: „გამზრდელი, ჰაძჳად, რა საქმე მსმენია!
მიკჳირს თუ მზელა რად ნათობს, რად არა დაუჩენია?!
მზე მოჰკჳე ყოველთა სულ-დგმულთა, სოფელი აღარ შენია,
და ღმერთსა მიმადლე, შემინდევე, რაცა შენ ჩემგან გჳყენია.“**
x 1794-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჰაძჳად (ჰაი), ბ მიკჳირს, თუ მზელა რა ნათობს (მიკვირს თუ, მზელა რად ჰნათობს), გ მოჰკჳე (მოვჰკვე), დ მიმადლე (მოჰმადლე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელი მოთქვამს: „გამზრდელი, ჰაიჰაი, რა ამბავი გავიგონე! მიკვირს, თუ მზე რატომღა ანათებს, რატომ არაფერი დასტყობია?! მოჰკვდი ყველა სულდგმულის მზე, წუთისოფელი შენი აღარ არის, ღვთის სამადლო ქენი, შემინდე, რაც შენ ჩემგან გწყენია“.

1589 **მაშინ გაკდეს ყუელაკანი მტირალად და ცრემლთა მღვრელად; დიდი ხანი მოტირეს თავის-თავის გაუყრელად; ავთანდილ და ფრიდონ ტირან გულსადაგად, არ თუ ჭრელად, და მაგრა ექმნეს სულის მღებლად კათალიკოს-მაწყვერელად.**

x 1795-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გაკდეს (გაჰხდეს), დ სულის მღებლად (სულსა მღებელ), კათალიკოს-მაწყვერელად (კათოლიკოს-მაწყვერელად).

ა. ბარამიძე: რამდენადაც აქ ორ პირზეა (ავთანდილსა და ფრიდონზე) ლაპარაკი, ა-ში კათალიკოსი და მაწყვერელი უნდა ვიგულისხმოდ და არა კათალიკოსი მაწყვერელი. რაც შეეხება ამ კომპოზიციის ახლებურ გააზრებას (კათოლიკე მაწყვერელად) არასარწმუნოა და მიუღებელი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მაშინ გახდა ყველა მოტირლად და ცრემლების მღვრელად (ყველა ატირდა და ცრემლებს ღვრიდა); დიდხანს გაუყრელად თავთავისთვის იტირეს; ავთანდილი და ფრიდონი ტირიან გულწრფელად, არა პირფერულად, მაგრამ [ისინი] გაუხდნენ [მათ] დამამშვიდებლებად, კათალიკოსად და მაწყვერელად (აწყურის ეპისკოპოსად).

1983. 7. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1590-1595 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა.); 1596-1599 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1590 **ზე ადგეს და მოავსენეს: „ჰე, მნათობნო, ცისა მზენო, დასთმეთ, გული დაიწყნარეთ, ქენით, რაცა მოგავსენო; „იგი ღმერთმან გაამაღლა, ვითა ორბი, მისნო ფრთენო, და აქა ყოფნა არა გუმართებს, არცაღა გუცაღს გლოვად ჩვენო“.**

x 1796-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჰე, მნათობნო (ჰე მნათობნო); გ-ის დასაწყისში ბრჭყალები მოშლილია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფეხზე წამოდგნენ და მოახსენეს: „ჰე, მნათობები, ცის მზეებო, მოითმინეთ, გული დაიწყნარეთ, გააკეთეთ, რასაც მოგახსენებთ; ის ღმერთმა გაამაღლა, როგორც ორბი, იმის (ე.ი. ფარსადანის) ფრთებო, აქ ყოფნა არა გუმართებს, საგლოვადაც აღარ გვცაღლიაო“.

1591 **მადლი უბრძანეს, აწუივნეს, ქუე დასხდეს ზე ადგომილნი; მუნვე დგეს იგი ვაჭარნი, პირსა ფერჰაერკრთომილნი; გაკუთრებულნი საბრალოდ, მართ ვერას ვერ მიხულომილნი; და უბრძანეს: „მმანო, რა გიკუთრს, ჩვენ იგი ვართ წავლომილნი“.**

x 1797-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მიხედომილნი (მიხედომილნი), დ უბრძანეს (უბრძანა), ძმანო (ძმაო), რას (რა); ბ-ის ბოლოს მძიმეა წერტილ-მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მადლობა მოახსენეს, მიიწვიეს, ქვევით დასხდნენ ფეხზე მდგომნი; იქვე იდგნენ ის ვაჭრები, ფერ და იერშეცვლილნი (ფერგამკერთაღნი), საბრალოდ გაკვირვებულები, ვერაფერს მიმხედარნი; უთხრეს: „ძმებო, რად გიკვიროთ, ჩვენ ვართ ის დაკარგულები“.

1592 კწლა უბრძანებდეს: „გწიამბეთ ამბავი დანარჩომია!“
მათ მოაგსენეს: „პატრონო, ინდოეთს დიდი ომია,
მოსრულა ხატათ ლაშქარი, ქალაქსა შემოსდგომია,
და რამაზ არს ვინმე კელმწიფე, მათად პატრონად მჯდომია.“

x 1798-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ პატრონო (პატრონო), ინდოეთს (ჰინდოეთს), გ ხატათ (ხათა); ა-ს ბოლოს ძახილის ნიშანია წერტილის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისევ უბრძანეს: „გვიამბეთ დანარჩენი ამბავი!“ მათ მოახსენეს: „პატრონო, ინდოეთში დიდი ომია, ხატაელების ლაშქარი მოსულა [და] ქალაქს შემოსდგომია; არის ვინმე რამაზ მეფე მათი პატრონი.“

1593 ჯერთ დედოფალი ცოცხალა, მკუდართაგან უფრო მკუდარია;
იბრძვის ინდოთა ლაშქარი, თუც იმედგარდამწყდარია;
გარეთ ციხენი წაუხმან, ყუელაი გარდამგდარია.
და მზენო, თქვენ შუქნი მოფინეთ, ჰაფაჰ, რა ავი დარია!

x 1799-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ცოცხალა (ცოცხალა), ბ ინდოთა (ჰინდოთა), დ ჰაფაჰ (ჰაი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჯერ დედოფალი ცოცხალია, (მაგრამ) მკუდარზე უარესია; ინდოელთა ლაშქარი იბრძვის, თუმცა იმედგარდაწყვეტილია; გარეთა ციხეები წაუღიათ (წაურთმევიათ). ყველა დაკარგულია. მზებო, თქვენ შუქი მიაფინეთ, ჰაი-ჰაი, რა ცუდი დარია!

1594 მუნა მყოფსა ყუელაკასა შეეკერა, ჩვენცა, შავი;
რამაზს წინა გამოვედით, მისრულად ვთქვით ჩენი თავი;
მეფე ჩენი დიდი არის, მათ ეწადა მისი შავი,
და გამოგწიშენა, წაედითო, არა გწიყო ყოლა ავი“.

x 1800-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. შ.: იქ მყოფს ყველას შავი შეეკერა [და] ჩვენც შავი შევიკერეთ; რამაზის წინ გამოვედით, მისრულად (ეგვიპტელებად) გამოვაცხადეთ ჩენი თავი; ჩენი მეფე დიდია, მას (რამაზს) მასთან შავი სურდა, [ამიტომ] გამოგვიშვა, წაედითო, ცუდი არაფერი გვიყო“.

1595 რა ტარიელს ესე ესმა, მეტად ფიცხლად აიყარა,
ეჯი სამ დღე წასავალი ერთსა დღესა წაიარა;
დროშა მისი აიმართა, წინა არა მოიფარა,
და აწ ნახე, თუ გოლიათი გული ვითა ამაგარა!

x 1801-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ფიცხლად (ფიცხლა).

ბ-ში (შიგნით) დაისვა მძიმეები: „ეჯი, სამ დღე წასავალი, ერთსა დღესა წაიარა“; გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაიწერა წერტილ-მძიმე.

ს.შ.: ტარიელმა რომ ეს მოისმინა, ძალიან სწრაფად აიყარა (დაიძრა), სამი დღის სავალი მანძილი ერთ დღეში გაიარა; თავისი დროშა აღმართა, წინ არაფერი მოიფარა; ახლა ნახე, თუ გოლიათი გული როგორ გაიმავრა!

1596 ინდოეთს ზედა წაადგა, მუნ მთა და დიდი ქედია;
აჩნდა ლაშქარი უსახო, ესაკუთრველა, ედია.
ტარიელ ბრძანა: „მოყმენო, აწ თქვენგან რა იმედია?
და ადრე მოვიცლი იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია!

x 1802-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ინდოეთს (ჰინდოეთს), ბ ესაკუთრველა, ედია (მესაკუთრველა, მე, დია), დ მოვიცლი იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია! (მოვიცლი, ჩემთანა ღმერთი და ჩემი ბედია!).

რედაქციამ დ-ის წაკითხვად მიიღო: „ადრე მოვიცლი, ჩემთანა ღმერთი და ჩემი ბედია!“ (წინააღმდეგი – გ. კარტოზია).

ს. შ.: ინდოეთს ზედ მიადგა, იქ დიდი მთა და ქედია; გამონდა აურაცხელი ლაშქარი, გაუკვირდათ, ებევრათ. ტარიელმა თქვა: „რაინდებო, ახლა თქვენ რა იმედს მადღევთ? მალე მოვიცილებ [მათ], ღმერთი და ჩემი ბედი ჩემთანაა!

1597 იმა ლაშქართა უნახვან კჳლაგ ვრმალთა ჩემთა კჳეთანი;
ერთხელ შემებნეს, დავკოცენ, შეეკნენ აბჯართა ფეთანი“.
ავთანდილ ჰკადრა: „რად უნდა თქმანი სიტყუათა მძლეთანი?
და მართ ვითა მტჳერთა წავისუამთ, მიხუდენ ფერვითა ცჳეთანი“.

x 1803-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა კჳლა (კვლაე), ვრმალთა (ხმალთა), ბ დავკოცენ (დავჰხოცენ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მოლაშქრეებს წინათაც უნახავთ ჩემი ხმლის კვეთა; ერთხელ შემებრძოლნენ, დავხოცე, [მათი] აბჯარი დავფლითე“. ავთანდილმა მოახსენა: „რად უნდა ამას მაგარი სიტყვების თქმა? ნამდვილად მტვრად ვაქცევთ (გავაცამტვერებთ), მოუწევთ ფეხით გაცვეთა (გასრესა)“.

1598 დაეკაზმნეს საომარად, გაამაყდეს, გაჩაუქდეს,
ცხენთა შესხდეს უკეთესთა, საჯედარნი ასუბუქდეს,
ერთმანერთსა აჯობინეს, მჳკვრეტელთაგან არ გაუქდეს,
და იგი ქედი ჩაიქროლეს, ბუქისაცა უფრო ბუქდეს.

x 1804-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: საომრად შეიჭურვნენ, გაამაყდნენ, გაჩაუქდნენ (გაყოჩაღდნენ), საუკეთესო ცხენებზე შესხდნენ, სამგზავრო ცხენებს ტვირთი შეუქმნებულად, [მჳკვრეტელებმა] ისინი ერთმანეთზე უმჯობესად მიიჩნიეს (ერთმანეთს ამჯობინეს), მჳკვრეტელებისაგან შეუქმნელი არ დარჩენილან, ის ქედი ჩაიქროლეს, ქარბუქზე უფრო ძლიერ ბუქობდნენ (ბუქზე უფრო სწრაფად ჩაიქროლეს).

1599 წინ მავალნი დარაჯათა მათთა ზედა გარდეკიდეს;
ტარიასთა გააქცივნეს, მიეწივნეს, ჩამოჰყრიდეს.
მოაგებნეს მჯარდაკრულნი, მათ წინაშე მოასხმიდეს,
და აიზიდნეს: „ვისნი ხართო?“ – ჰკითხეს, ხანსა და-რე-ზმიდეს.

x 1805-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ და-რე-ზმიდეს (დარე-ზმიდეს); ბ-ის ბოლოს წერტილია მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეწინავეები მათს დარაჯებს წააწყდნენ, ტარიელის მოლაშქრეებმა გააქციეს, მიეწივნენ, [ცხენებიდან] ყრიდნენ. მოაგებეს მხარშეკრულები, მათ წინაშე მოჰყავდათ, წამოიწიეს [ტყვეებმა], „ვისი ხართო?“–ჰკითხეს [ტყვეებს], ცოტა ხანს აყოვნებდნენ.

1983. 21. XII

ხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.
განიხილეს: 1600-1607 (პროექტი მოამზადდა II ჯგუფმა), 1608; 1609 (პროექტი მოამზადდა III ჯგუფმა).

1600 მათ მოაჯსენეს: „მეფეო, ჩვენ – ცუდად დადორებულნი, რამაზის კელმწიფისანი აქა დარაჯად რებულნი“.
უბრძანა: „წადით, რეგვენო, თქვენ ჩვენგან გაფიცებულნი, და აცნობეთ თქვენსა პატრონსა: «მოვლენ გულითა ქებულნი“.
x 1806-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ-ის მეორე ნახევარი ჩასმულია კუთხოვან ბრჭყალებში. პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: მათ მოახსენეს: „მეფეო, ჩვენ, ამოდ მოტყუებულები, ხელმწიფე რამაზის ხალხი ვართ, აქ დარაჯად მყოფნი“. უბრძანა [ტარიელმა]: „წადით, რეგვენო, ჩვენ მიერ ასწრაფებულები, აცნობეთ თქვენს პატრონს: „მოდინ გულით ქებულები“.

1601 უთხარით: «ბრძანებს ტარიელ, მეფე ლალი და ჯანია, იგი კელმწიფე მაღალი, მებრძოლთა მემაჯანია: ჩემსა ამბავსა გაცნევენ თქვენნივე დარაჯანია, და შიში ვერ გიკსნის სიკჳდილსა, ცუდნიდა დადრეჯანია!
x 1807-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: უთხარით [რამაზს]: „მობრძანდება ტარიელი, ამაყი და ძლიერი მეფე, მაღალი ხელმწიფე, მოწინააღმდეგეთა დამჯაბნებელი; ჩემს ამბავს გაცნობებენ შენივე დარაჯები, შიში ვერ დაგიხსნის სიკვდილისაგან, წუხილი ამოა!“

1602 დია დიდთა დამაჯნება უშმაგომან ვით გააგო!
ინდოეთსა ვით მოადეგ, შმაგთაგანცა უფრო შმაგო?
აჰა, მოვედ იგი ცეცხლი, რომე სრულად ამოგდაგო,
და კრმალი ჩემი მოლესული შენს ტანზედა დავაბლაგო.
x 1808-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ინდოეთსა (ჰინდოეთსა), გ მოვედ (მოველ). პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: ძალზე დიდთა დაჯაბნება ჰკვიანმა (არაშმაგმა) როგორ გადაწყვიტა! ინდოეთზე როგორ გამოილაშქრე, შმაგებზე უფრო შმაგო? აჰა, მოვედი

ის ცეცხლი, პირწმინდად რომ ამოგდაგავ, ჩემს გალესილ ხმალს შენზე და-
ვაბლაგვებ.

1603 აწ დაემზადე, მოპარვა მე თქვენი არა მწადიან;
შემები, რაზმი გარდმაწყევ, წინასვე გამიცხადიან;
პირბოზო, ჩემი მორევნა რა დიდი დაგიქადიან?
და მე ჩაბალახად გაგმარნე, რაცა გიმუხარადიან“.

x 1809-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ჩაბალახად (ჩაბალა-
ხათ); ბ-ის ბოლოს წერტილ-მძიმეა ორწერტილის ნაცვლად. პროექტი მიღე-
ბულ იქნა.

ს. შ.: ახლა მოემზადე, მოპარვით თქვენზე თავდასხმა არა მსურს; შემე-
ბი, რაზმი შემაბრძოლე, წინდაწინვე გამიცხადებია; პირბოზო (= პირობისა და
ფიცის გამტეხო), ჩემი ჯობნა რა ძალიან დაგიქადია? მე ჩაბალახად მო-
გახმარ, რაც მუხარადად გაქვს“.

1604 დარაჯანი წავიდეს და ერთმანერთსა მიუსწრობდეს,
რამაზს უთხრეს ყუელაკაი, დამალვასა ვერა სთმობდეს;
„მოვიდაო ინდოთ მეფე, ლაშქარნიცა კარგნი ჰყმობდეს,
და ვინცა ვითა გარდისხეწოს, იგი ერთი ორთა სჯობდეს!“

x 1810-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ სთმობდეს, გ ინდოთ
(ჰინდოთ); ა-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულია მძიმე.

ბ-ში უთხრეს შეიცვალა ჰკადრეს ფორმით. ამ ცვლილებით პროექტი მი-
ღებულ იქნა.

ს. შ.: დარაჯები წავიდნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ, რამაზს მოახსე-
ნეს ყველაფერი, დაფარვა ვერ გაბედეს: „ინდოთა მეფე მოვიდაო, კარგი ლაშ-
ქარიც ემორჩილება, ვინმე როგორ გადაიხევეწება, ის ერთი ორს აჯობებს (=
მისი ერთი მოლაშქრე ჩვენს ორს აჯობებს)!“

1605 ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და ალაში უბია,
დროშა არაბთა მეფისა მისსა თანავე ჰყუდია;
არაბთა იცის ყუელამან, მათი აბჯარი შუბია;
და ფრიდონ – მზე მოყმე, რომელმან შექმნა სისხლისა გუბია.

x 1811-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ინდოთა (ჰინდოთა), დ
შექმნა (შექნა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ინდოთა დროშა ტარიელს აქვს და ალაში უბია, არაბთა მეფის
დროშა მასთანვეა აღმართული; არაბების [ამბავი] ყველამ იცის, [რომ] შუბია
მათი იარაღი; ფრიდონი – მზე მოყმე, რომელმაც სისხლის გუბე დააყენა.

1606 ცოტაი წავლეს, გამოჩნდეს ხუთასნი ცხენოსანანი;

შეტევებასა ლამოდეს ყმანი არაბთა თანანი;
ტარიელ გაწყრა: „ნუ იქით“, მისცნა საქმისა ნანანი;
და მოვიდეს, აჩნდეს უაბჯროდ, ჰქონდეს არცა თუ დანანი.

x 1812-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ხუთასნი (ხუთასი), ბ შეტევებასა (შეტეობასა), ლამოდეს (ჰლამოდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ცოტა გაიარეს, გამოჩნდა ხუთასი ცხენოსანი; შეტევას ლამობდნენ არაბთა მოყმეები; ტარიელი გაწყრა: „ნუ შერებითო“, განზრახვა (საქმე) ანანა [მათ]; მოვიდნენ, უაბჯრონი აღმოჩნდნენ, დანაც კი არ ჰქონდათ.

1606¹ (1812¹) უბრძანა: „ერთხელ კჳლაგვ ენახე რამაზის სიმუხთალია, იმათი ისრე მოდენა ჩვენზედა არ მართალია; ფიცი არა სწამს დღეკრულსა, არცა მაჰმადის რჯულია, და დალატს ეცდების უცილოდ, ეს მათგან გაზრახულია.“
არის D³ D⁴ D⁵-ში.

ს. შ.: უთხრა: „ერთხელ ადრეც ენახე რამაზის სიმუხთლე, ჩვენზე მათი ასე გამოლაშქრება უსამართლობაა: ფიცი არ სწამს ბედკრულს, არც მაჰმადის რჯული, დალატს შეეცდება აუცილებლად, ეს აქვთ განზრახული“.

1606² (1812²) აწ შეუტით, ნუ ვარჩევთ, მათ გაუცუდოთ ფლიდობა“. ავთანდილ ბრძანა: „ვაცადოთ, ქნან ჩვენკენ მონაზიდობა; ჩვენცა ცოტანი ვერჩვენეთ, ვსცნათ მათი ვმალთა დიდობა, და გამოაცხადებს უცილოდ, სადა ჰყავს ლაშქართ ყრილობა“.
არის D³ D⁴ D⁵-ში.

ს. შ.: „ახლა შეუტით, ნუ ვთათბირობთ, მათ გაუცუდოთ ფლიდობა“. ავთანდილმა თქვა: „ვაცადოთ, მოგვიახლოვდნენ; ჩვენც მცირერიცხოვნად ვერვენოთ, შევიტყოთ მათი ხმლების სიმრავლე, აუცილებლად გამოამუღვენებს, სადა ჰყავს შეყრილი ლაშქარი“.

1606³ (1812³) რამაზ ბრძანა: შევეხეწუნეთ, შევეტყუნეთ საქმით ჩვენით, ვერას უზამთ გოლიათთა, თუ არ კერკით, თუალთა ჩენით, შეგჳანანებს, აქ მოსჳლასა, ამოგვაგდებს ლაშქრით ჩვენით“.
და შევეხეწუნეთ, «ნუ დაგჳკოცო», მიუვიდეთ ნებით ჩვენით“.
არის D³ D⁴ D⁵-ში.

ს. შ.: რამაზმა თქვა: „შევეხეწუნოთ, ჩვენი მოქმედებით შევეტყუნოთ, გოლიათებს ვერას დავაკლებთ, თუ არა მოხერხებით, თვალთმაქცობით, აქ მოსვლას გვანანებს [ტარიელი], ჩვენი ლაშქრიანად ამოგვაგდებს, შევეხეწუნოთ, «ნუ დაგვხოცავო», ჩვენი ნებით მივიდეთ მასთან“.

1606⁴ (1812⁴) აღარ აცაღეს მათ გმირთა მათ კერკთა გამამრჩევლობა, შესძახეს: „ნახეთ აწ, რამაზ, ამ ჩვენთა ვმალთა მკჳეთელობა, ცოტა წინარე წამოდგე, არას გიშველის დედლობა, და ფრიდონის სიკისკასობა, შენს ლაშქარზედა ქჳელობა“.
არის D³ D⁴ D⁵-ში.

ს. შ.: აღარ აცაღეს იმ გმირებს ხერხის შერჩევა, შესძახეს: „ახლა ნახეთ, რამაზ, ამ ჩვენი ხმლების მკვეთლობა, ცოტა წინ წამოდექი, ლაჩრობა არას გიშველის, [ახლა ნახე] ფრიდონის სიკისკასე, შენს ლაშქარზე მხნეობა“.

1606⁵ მართ ამაზუდა შეიქნა შეტყვევებ-შემოტყვევება;
(1812⁵) ხატაელთ ღმერთი შერისხდა, შეექნა გამომჟღავნება;
ლაშქარნი სრულად მოვიდეს, რაც რამაზს გულში ენება.
და ავთანდილ ბრძანა: „ამათი მე ესე ასრე მენება“.

არის D³ D⁴ D⁵-ში.

ს. შ.: სწორედ ამ დროს დაიწყო შეტყვევებ-შემოტყვევებ; ხატაელებს ღმერთი გაურისხდა, გამომჟღავნდნენ; ჯარები ერთიანად მოვიდნენ, რაც რამაზს გულში სწადდა. ავთანდილმა თქვა: „ამათი გამომჟღავნება მე ასე მინდოდა“.

1606⁶ აქეთ არაბნი გაუგდეს და შეუტივეს ცხენები,
(1812⁶) ტარიელ ჳელთა აილო, შუბსა ავმარა მძლე ნები,
უკრა და ცხენსა გაავლო, იგ სიკუდილისა მქენები;
და რამაზს შეჰყარა აწ ღმერთიან სამთა გმირთაგან სენები.

არის D³ D⁴ D⁵-ში.

ს. შ.: აქეთ არაბნი მიუხდნენ და ცხენები მიაგდეს მათზე. ტარიელმა ხელში აილო და ძლიერი ხელით იხმარა შუბი, ჰკრა და ცხენს გაუტარა, ის (= რა-მაზი) სიკუდილის მავედრებელია; ახლა ღმერთმა რამაზს სამი გმირის მეშვეობით სენი შეჰყარა.

1606⁷ უბრძანა თუ: „სიმუხთაღე ორჯელ შენი შემიტყვია,
(1812⁷) არ გაგიშვებ, შენ ცოცხალსა, ესე ჩემგან შეგიტყვია,
არც გაუშვებ ხატაელთა, რაცა ჩვენთა ჳელთა ტყუეა“.
და შიში მოჰკლავს უსაცილოდ რამაზს, ესე შემიტყვია.

არის D³ D⁴ D⁵-ში.

ს. შ.: ტარიელმა რამაზს უთხრა: „შენი სიმუხთაღე ორჯერ შემიტყვია, შენ ცოცხალს არ დაგტოვებ, ეს ჩემგან შეგიტყვია, არც ხატაელებს დაგტოვებ [ცოცხალს], ვინც კი ჩვენს ხელში ტყვედაა“. რამაზს აუცილებლად შიში მოკლავს, ეს შემიტყვია.

1607 ცხენის ფერკთა მოეხვია, მუხლმოყრილი შეეხვეწა,
მოავსენა: „შემიბრალე, მისსა ძალსა, ვინცა გხვეწა;
უმართლე ხარ, ნუ მაცოცხლებ და წამიღონ მკუდარი მე, წა – !
და გული თქუენი სასაკუთრო ბედმან ასრე დამიღეწა.

x 1813-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ცხენის ფერკთა (ცხენთა ფერხსა); ბ-ის ბოლოს წერტილ-მიმემა ძახილის ნიშნის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ცხენის ფეხებს მოეხვია [რამაზი], მუხლმოყრილი შეეხვეწა, მოახსენა: „შემიბრალე, გაფიცებ მის (= ღვთის) ძალას, ვინც შეგქმნა („გაგთაღა“); მართალზე მართალი ხარ, ნუ მაცოცხლებ და მკუდარი წამიღონ! სათქვენო გული (გული, რომელიც თქვენი ერთგული უნდა ყოფილიყო) ბედმა ასე დამიღეწა.

1607¹ მე ღმერთიან მიყო მუქაფა, ფიცისა გამტყენლობა,
(1813¹) კუღაცა მენახე და მეცნა ომშიგან თქუენი ქველობა,
ეს თემი გავდა უმეფოდ, გჭირდა აქამდის ხელობა,
და არა ვიცოდი სიცოცხლე, ღვთისაგან თქუენი მლხენობა.

არის D⁴-ში.

ს. შ.: მე ღმერთმა მიყო სამაგიერო, ფიცის გატეხა (= ღმერთმა ფიცის გატეხის სამაგიერო მიყო), აღრეც მყავლი ნანახი და გამოცდილი მქონდა ომში თქვენი მხნეობა; ეს თემი (=ინდოეთი) უმეფოდ დარჩა, აქამდის [სიყვარულით] გახელელებული იყავით, არ ვიცოდი, რომ ცოცხალი იყავით, რომ ღმერთმა გალხინათ.

1608 დაიკარგენით, წაჰკვდით თქვენ, წელიწადი მეთათენია, გავდეს მფრინველნი უმეფოდ, არწივსა მოსტყდეს ფრთენია; ამაღ შეემართენ საქმენი მათნი საკამათენია, და აღრე გამიტყდა სოფელი, მართ ვითა კაბათენია“.

x 1814-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** ფრთენია (ფრთანი ა); **დ**-ის ბოლოს დახურულია ბრჭყალები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეთე წელია, რაც თქვენ გადაიხვეწეთ და დაიკარგეთ, ფრინველები უმეფოდ დარჩნენ, არწივს ფრთები მოსტყდა; ამიტომ შევბედე მათი საცილობელი საქმე, მალე კამათელივით მიღალატა წუთისოფელმა“.

1609 შინა წავიდეს, გარდავდეს, ეს თურე არ ლაყაბია; რამაზ ჰყავს ორთა დედათა, ყელსა მანდილი აბია; შეშინებული საბრალოდ დუღდა, მართ ვითა ქუაბია, და „შეგცოდე, მომკალ მე ხოლე, რამცა ვინ მიასაბია.

x 1815-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **გ** შეშინებული საბრალოდ (შეშინებული, საბრალოდ), **დ** ხოლე (ხვალემ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შინ წავიდნენ, ჩამოქვეითდნენ, ეს თურმე ტყუილი ნათქვამი არ არის; რამაზი მიჰყავს ორ ქალს, ყელზე მანდილი აბია; შეშინებული საცოდავად ქვაბივით დუღდა (= დელავდა); „შეგცოდე, მარტო მე მომკალი, ვინ რას დამეხმარება.

1983. 28. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1610-1617 (პროექტი მოამზადდა III ჯგუფმა).

1610 ვიაჯი, მომკალ მე ხოლე, ყწელაი ჩემი ბრალია; მერმე ვაზირი ხუთასი მყავს, აქათ წაუვალია, თავები დასტერ, ადინე სისხლი, მართ ვითა წყალია, და სპა უბრალთა, ნუ დაჰვოც, ამაღ ვტირ გუღმხურვალთა“.

x 1816-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ა** ხოლე (ხვალემ). პროექტი მიღებულ იქნა.

ა. ბარამიძე: **ბ**-ში წაუვალი („მერმე ვაზირი ხუთასი მყავს, აქათ წაუვალია“) ნიშნავს იმას, ვინც ვერ წავა, ვისაც წასასვლელი გზა არა აქვს.

ს. შ.: ვიხვეწები, მარტო მე მომკალი, ყველაფერი ჩემი ბრალია; მერმე ხუთასი ვეზირი მყავს, აქედან რომ ვერ წავლენ, თავები დასტერი, სისხლი ადინე წყალივით, ლაშქარს ბრალი არა აქვს, ნუ დახოცავ, ამიტომ ვტირი გუღმხურვალედ“.

- 1611** ყოვლთა მისცეს ზენაარი, მიუყარნეს მუკლნი წინა:
„ნუ დაგუჯოცო, მისსა ძალსა, ვინცა აგრე დაგარჩინა!“
ტარიელ დგას დაყმუნვებით, რამაზ წინა მოეფინა.
და ღმერთი აღხენს მონანულსა, არ შეუნდობს კაცი ვინა!
x 1817-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** აგრე დაგარჩინა (აქა მოგაწინა), **გ** დაყმუნვებით (დაყმუნებით), **დ** მონანულსა (შეხვეწილსა), შეუნდობს (შეუნდოს). პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: ყველამ ფიცი მისცა, მის წინაშე მუხლი მოიყარეს: „ნუ დაგვხოცავ, გაფიცვებთ მის ძალას, ვინც ასე გადაგარჩინაო!“ ტარიელი დგას დადუმებული, რამაზი წინ დაუვარდა. მონანულს ღმერთი ღხენას აძლევს, რომელი ადამიანი არ შეუნდობს!
- 1612** კაცი ცრემლითა შეინდობს, თუ ცოდვა მას თანაც არსა.
ვით ნინეველნი, ისხმიდეს თავსა მტვერსა და ნაცარსა,
ამით დაეკვნენ რისხჴაცა, ზეცით მოსრულსა, ნაცარსა,
და წაღმავე წაგრეს სოფელი კჴელა მისგან უკუნაცარსა.
x 1818-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** ისხმიდეს (ისხემდეს), **გ** მოსრულსა, ნაცარსა (მოსრულსა ნაცარსა), **დ** სოფელი (სოფელსა), უკუნაცარსა (უკუ ნაცარსა). პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: ადამიანი ცრემლით მიიღებს შენდობას, თუკი მასთან არის ცოდვა (თუ ცოდვა აქვს). ნინეველებით თავზე მტვერსა და ნაცარსა იყრიდნენ, ამით გადაურჩნენ ზეციდან მოსულ ციურ რისხვას. წუთისოფელი წაღმავე წაგრეს სხვა დროს მისგან უკულმა დაგრეხილს.
- 1613** ბრძენმან ვინმე მოსწავლემან საკითხავნი ესე ჰპოვნე,
ესეაო მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე;
„ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლაგ, დაიყოვნე;
და გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყუა დაივსოვნე“.
x 1819-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **გ** ოდეს (ოდის).
რედაქციამ ა-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დასვა ორწერტილი და ბ-ის დასაწყისში გახსნა ბრჭყალები, გ-ის თავში კი მოშალა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.
ს. შ.: ვინმე ბრძენმა მოსწავლემ ეს საკითხავი (= წიგნი) უნდა ნახო: „ეს არისო მამაკაცის ყველაზე დიდი გულოვნობა: როდესაც მტერს მოერევი, ნულარ მოჰკლაგ, შეჩერდი; თუ გინდა სრულყოფილი მამაკაცობა, ეს სიტყვა დაიმახსოვრე“.
- 1614** ტარიელ მოტკბა, ღმრთისავე მსგავსად იგ წარმართულია;
„აღარ დაგოცო“, უბრძანა, – ძღუელი შიშმან თუ ღია, –
წაღმავე წაგრეს საქმესა, რაცა უკულმა სთულია,
და „ნაქმარი მრუდი ყწეღაი აწ ჩემგან გამართულია“.
x 1820-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **გ-ის** თავში ბრჭყალები მოშლილია და გახსნილია **დ-ის** თავში. პროექტი მიღებულ იქნა.
ს. შ.: ტარიელი დატკბა, ღვთისავე მსგავსად ის მართალია; „აღარ დაგხოცავო“, – უთხრა, – დამარცხებული შიშმა თუ დაღია, – წაღმავე წაგრეს იმ საქმეს, რაც უკულმა დართული; „ყველა მრუდად გაკეთებული საქმე ახლა ჩემ მიერ გამართულია“.

1615 თაყნისსცეს და დალოცეს, ყოვლთა ვმა ერთად იერეს, ღმერთსა შევედრეს ზახილით, სჲე მათი გააძლიერეს, თავები დაჰვსნეს სიკუდილსა, სიცოცხლე ამისმიერეს, და ტარიას ჳრმალნი ვერ გაძღეს, ჯერთ ვორცი მოიმშიერეს.

x 1821-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ამისმიერეს (ამის მიერეს), დ გაძღეს (დაძღეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: თაყნის სცეს და დალოცეს, მთელმა ჯარმა ერთხმად დაიძახა, ღმერთს ხმამაღლა შევედრნენ, თავიანთი ბედი გააძლიერეს, თავი დაიხსნეს სიკვდილისაგან, სიცოცხლე მის (ტარიელის) მიერ შენარჩუნებულად ჩათვალეს. ტარიელის ხმალი ვერ გაძღა, ჯერჯერობით ხორცი მოიმშია.

1616 ტარიას ჳრეტად მოსრული მუშთარი ახლოს მგჳრეტია; რისხვისა ცეცხლი ტარიელს სიტკბოთა დაუშრეტია; მოვიდეს, ნახეს; რამაზის ღაშქარი ძლივღა ეტია, და ინდოეთს ჴეცით სინათლე ჩადგა, მართ ვითა სჲეტია.

x 1822-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ინდოეთს (ჰინდოეთს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელის საჳვრეტლად მოსული მუშთარი (იუპიტერი) ახლოს მაყურებელია; ტარიელს რისხვის ცეცხლი სიტკბოთი ჩაუქრია; მოვიდნენ, ნახეს; რამაზის ღაშქარი ძლივღა დაეტია, ინდოეთში ჴეციდან სინათლე სჳეტით ჩადგა.

1617 ერთი კაცი მათ ღაშქართა მახარობლად მიუვიდა: „არ დაგვოცსო, შეგიწყალნა“, – ყჳელაკი დალოცვიდა; ბუესა ჳკრეს და იხარებდეს, ზოგი ამას მოზრახვიდა; და „მოვიდაო იგი მოყმე, რომე ერთი ბევრსა სრვიდა“.

x 1823-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ბევრსა (ბევრთა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთი კაცი იმ ღაშქარს მახარობლად მიუვიდა: „არ დაგხოცავთ, შეგიწყალათ“, – ყველა ღოცავდა [ტარიელს]; ბუეს ჳკრეს და ხარობდნენ, ზოგი ამას ამბობდა: „მოვიდა ის მოყმე, ერთი რომ ბევრს ხოცავდაო“.

1984. 4. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს: 1618; 1619. (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1618 მოეგებნიან ტარიელს, შორი-შორ უსალამიან; შიგანთა დროშა ინდოთა მათად ცნეს, აალამიან. ვერ გამოენდნეს ინდონი, თქჳეს, თუ: „ღალატსა ჰლამიან“. და არ მოელოდეს ტარიელს, მით ცრემლი დაილამიან.

x 1824-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ინდოთა (ჰინდოთა), მათად ცნეს (მათ იცნეს), გ ინდონი (ჰინდონი), ღლამიან (ჰლამიან), დ ცრემლი (ცრემლნი); გ-ის ბოლოს წერტილია მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელს ეგებებოდნენ, შორიდან ესალმებოდნენ; შიგნით მყოფებმა ინდოელების დროშა თავიანთად იცნეს, [ინდოეთის] აღმად მიიჩნიეს. ვერ ენდვნენ და არ გამოვიდნენ ინდოელები, თქვეს: „ღალატს ღამობენ“. ტარიელს არ მოელოდნენ, ამიტომ ცრემლს ღვრიდნენ.

1619 **ტარიელ მიდგა, უყივლა: „მე მოველ, მეფე თქვენით, თანა მყავს ჩემი მნათობი, პირი ელვათა მფენით, ჩვენ მოგუცა მაღლით მაღალმან წყალობა მისი ზენით, და გამოდით, თქვენი სიშორე არს ჩვენგან მოუთმენით“.**

x 1825-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: ტარიელი წინ წადგა, შესძახა: „მე მოვედი, თქვენი მეფეო, თან მყავს ჩემი მნათობი (= ნესტანი), ელვის მომფენელი სახის მქონე, ჩვენ მოგუცა მაღალმა ღმერთმა მაღლიდან თავისი ზეციური წყალობა, გამოდით, თქვენი სიშორე ჩვენგან მოუთმენელია“.

1984. 11. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური. განიხილეს: 1620-1622 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1620 **მაშინღა იცნეს ტარიელ, მათგან მი და მო სრბანია, სრულად მჭურეტლითა აივსო ზღუდე და ბანისბანია; ხმამაღლად კმობდეს, იზახდეს: „მოგეშორდეს საღმობანია, და აქამდის რისხვა მაღალმან, აწ მოგუცნა წყალობანია“.**

x 1826-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **დ** მოგუცნა (მოგვცა).

რედაქციამ მიიღო **დ-ის** ნ. ნათაძისეული წაკითხვა და გაგება: აქამდის რისხვა, მაღალმან აწ მოგუცნა წყალობანია [= მაღალმა (ღმერთმა) აქამდის შეგვრისხა, ახლა კი წყალობა მოგვცა]. წინააღმდეგი – გ. კარტოზია, რომელიც იცავს პროექტის წაკითხვას: აქამდის რისხვა მაღალმან აწ მოგუცნა წყალობანია [= აქამდის მეტად მრისხანემ (ღმერთმა) ახლა წყალობა მოგვცა].

ს. შ.: მაშინღა იცნეს ტარიელი, იქით და აქეთ დაიწყეს სირბილი, ერთიანად მჭურეტლებით აივსო ზღუდე და ბანისბანია; ხმამაღლა ყვიროდნენ, იძახდნენ: „მოგეშორდა სატკივარი, მაღალმა (ღმერთმა) აქამდის შეგვრისხა, ახლა კი წყალობა მოგვცა“.

1621 **კარნი გაახუნეს, გამოჩნდეს, მოიხუნეს მათ კლიტენია; ერთობ ფლასითა მოსილნი მათ მზეთამზეთ მჭურეტენია; ტირან ორნივე ქალ-ყმანი, ვარდისა ბაღსა ტენია, და ზახილით თავსა იგლეჯენ, ყორნის ფრთა ბროლსა სტენია.**

x 1827-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** მზეთამზეთ (მზეთა მზედ), **დ** ფრთა ბროლსა სტენია (თმა ბროლსა ტენია).

პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: [ქალაქის] კარები გააღეს, გამოჩნდნენ, მოიტანეს კლიტეები. ერთიანად ძაბით შემოსილები მზეთა მზეებს უჭვრეტენ; ორივე ქალ-ვაჟი (ნეს-

ტანი და ტარიელი) ტირის, ვარდის ბაღში ტენია (ნესტია) (= პირისახე ცრემლით დასველებული აქვთ), ყვირილით თმას იგლეჯენ, ყორნის ფრთა (= შავი თმა) ბროლშია (= თეთრ თითებშია) ჩატენილი (ჩაბლუჯული).

1622 ვითა გამზრდელსა მართებდა, გაზრდილი ეგრეც ხელია;
რომე სდის ცრემლი თჳალთაგან, კვლა ცეცხლთა უფრო
ცხელია;
თავსა იგლეჯს და იზახის, ტირს მეტად გულფიცხელია,
და გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია.

x 1828-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა მართებდა (კმართებდა), ბ ცეცხლთა უფრო (ცეცხლი უფრო), დ მოჰფოცხდა (მოჰფოცხვდა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როგორც გამზრდელს (ფარსადანს) შეეფერებოდა, გაზრდილიც (ტარიელი) ისეა გაშმაგებული; თვალებიდან რომ ცრემლი სდის, ცეცხლზე უფრო ცხელია; თმას იგლეჯს და ყვირის, ტირის მეტად გულფიცხი, გიშრის ტევრს = თმებს) ფოცხავდა (= გლეჯდა) ბროლის საფოცხელი (= თეთრი თითები).

1984. 18. I

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე.
განიხილეს: 1623-1631 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1623 რა ნახნა ხასნი, ვაზირნი ფლასითა დამოსილნია,
კვლა დაიზახნა ტარიელ უფროსნი დანაკივლნია;
სისხლი და ცრემლი თჳალთაგან სდის და მიწყობით მილნია.
და მოვიდეს, ყელსა მოეჭდვენეს, ვითა ძმანი და შვილია.

x 1829-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც დაინახა ძაძით შემოსილი დიდებულები და ვეზირები, ტარიელმა ისევ დაიყვირა, დაიკივლა უფრო ძლიერად; თვალებიდან სისხლი და ცრემლი მილად მოსდის. მოვიდნენ, ყელზე მოეხვივნენ, როგორც ძმები და შვილები.

1624 დიდებულნი მოეხვივნეს, მოუზრუნვეს მათ ცოლ-ქმართა;
ქალი დაბნდა, მამისათჳის ტირილიცა ვერ შემართა,
ვარდსა შტონი ჩამოსცჳივდეს, ზე ვერავინ წამომართა,
და მუნა კაცთა ვერ ვხედვედი გაცინებით მოლიმართა.

x 1830-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ შტონი (რტონი), ჩამოსცჳივდეს (შთამოსცვივდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დიდებულები მოეხვივნენ და მიუსამძიმრეს ცოლ-ქმარს; ქალი (ნესტანი) დაბნდა, მამის გამო ტირილიც ვერ შეძლო, ვარდს შტოები ჩამოსცვივდა (= ნესტანი ჩაიკეცა), ზევით ვერავინ წამოაყენა, იქ კაცი არ მინახავს გაცინებით გალიმებული.

1625 დედოფალი გამოჭრილი მოვიდოდა მათად ნახვად,

უბრძანებდა: „რად ვინ სტირთო? – ესე ჰქონდა წყრომა-
ზრახვად,
ღმერთმან რისხვა მოაქცია წყალობისა გამოსახვად,
და გუმართებს, რომე მადლი მივსცეთ, აღარა გუცაღს გლოვა-
ახვად“.

x 1831-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ მოაქცია (მოაქცევა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: [ქალაქიდან] გამოჭრილი დედოფალი მათ სანახავად მოდიოდა, [ყველას] ეუბნებოდა: „რატომ ტირითო?“ – ამაზე წყრებოდა და ძრახავდა, – ღმერთმა რისხვა შეცვალა წყალობის გამოსახატავად, მოვალენი ვართ, რომ მადლი შევწიროთ, გლოვისა და ოხვრისათვის არ გვცაღია“.

1626 ტარიელ ზედა მოიჭდვნა მჭურვალთა ცრემლთა მდენელმან,
იტყუის, თუ: „ცეცხლი დამეფსო ცხელი, აწ დამწუა მე
ნელმან,

დადუმდი, სული დაიდე ჩემგან ამისმან მსმენელმან;
და თქუენი სიცოცხლე მალხინა ღმერთმან, ობოლთა მლხენელმან“.

x 1832-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა ტარიელ ზედა მოიჭდვნა (ტარიელს ზედა მოიჭდვნა); გ-ის ბოლოს წერტილ-მიძევა მიძიმის ნაცვლად.

გ. კარტოზია: ტექსტში დატოვებულია ხელნაწერთა უმეტესობაში და-ცული ნარიანი ფორმა ზმნისა: მოიჭდვნა, თუმცა ობიექტის სიმრავლის გა-მოსატყა აქ კონტექსტით გაუმართლებელია. ზოგიერთ ნუსხაში წარმოდგენი-ლი უნარო ფორმა (მოუჭდო/მოუჭუდა) ვნებითი გვარისაა, რაც მოთხრობითში დასმულ სუბიექტთან შეუთავსებელია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელი [გულზე] მიიკრა [დედოფალმა] ცხელი ცრემლის მღვრელ-მა, ამბობს: „ცხელი ცეცხლი ჩამიქრა, ახლა ნელმა ცეცხლმა დამწვა; დადუმ-დი, გაჩუმდი ჩემგან ამის მომსმენი; თქვენი სიცოცხლით გამახარა ღმერთმა, ობოლთა გამხარებელმა“.

1627 ქალმან დედასა შესტირნა: „ჰაჰაჰა, რაღა ექმნა, დედაო!
შესამოსლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო,
მამამან ტახტი დასცალა, აღარ ზის მადლა ზედაო!“

და დედამან ცრემლნი მოჰჰოცნა, ეტყვის: „დადუმდი, ბედაო!“

x 1833-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა ჰაჰაჰა (ჰაი), ექმნა (ექნა), გ აღარ ზის მადლა (არა ზის მასდა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა (ნესტანმა) დედას შესტირა: „ჰაჰაჰა, რაღა ექნა, დედაე! [ძვირფასი] სამოსლით დაგტოვე, ახლა შავით (სამგლოვიაროთი მოსილს) გხედაე, მამამ ტახტი მიატოვა, აღარ ზის მადლა ზედაო!“ დედამ ცრემლი მოსწმინდა, ეუბნება: „დადუმდი, ავი ბედისავ!“

1628 გარდაუკონა პირი და ბაგეთა ვარდი თხელები,
ვარდსა დაუტყლეს ბაგითა, გახდა ალვისა მთხელები,
ნესტანჯარს ეტყუის: „რადღა ვთქუათ სიტყუები ბედით-ხელები?
და ჩვენ ყოველთა გუმართებს ნეტარძი ათასი, არ ერთხელები“.

x 1834-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ ბაგითა (ბაგეთათ), გ ნესტანჯარს (დარეჯანს), რადღა (რაღა), ბედით-ხელები (ბედით ხელები).

პროექტში გაზიარებულია გ-ის დაბოლოების ნ. ნათაძისეული წაკითხვა და გაგება: „სიტყვები ბედით-ხელეები“ (= უსარგებლო და უგუნური, შმაგური სიტყვები). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გადაუკონა სახე და ბაგეების თხელი ვარდი, ვარდს (= სახეს) უჭყლეტს ბაგით, ალვა გაცვითა (?), ნესტან-დარეჯანს ეუბნება: „რადასთვის ვთქვათ უსარგებლო და შმაგური სიტყვები? ჩვენ ყველას გემართებს ათასი მადლობა („ნეტავის“ თქმა) და არა ერთი“.

1629 რა გარდავდა მცირე ხანი, ჟამი იქმნა გარდასრულად,
დიდებულნი ეთაყუნნეს, ერთობილნი ადგეს სრულად;
იგი მზენი მიეგებნეს, მოეხუივნეს გულისგულად,
და აკოცეს და მოიკითხეს თავის-თავის, თუითეულად.

x 1835-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა იქმნა (იქნა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მცირე ხანი რომ გამოხდა, დრო გავიდა, დიდებულებმა თავყვანი სცეს, ყველანი ერთიანად აღგნენ; ის მზენი (ნესტანი და ტარიელი) მიეგებნენ, გულითადად მოეხვივნენ, აკოცეს და მოიკითხეს ცალ-ცალკე, სათითაოდ.

1630 ავთანდილ და ფრიდნ ჰკადრეს დედოფალსა მიმტკივნება;
ტარიელ თქვა: „დედოფალო, გჭირს ამათი არმეცნება.
ესენია მხსნელნი ჩუენნი, აწ არა გვცაღს გრძლად უბნება;
და ამათგან გუაქუს ჩუენ ორთავე სიცოცხლისა მოპოვნება“.

x 1836-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ არმეცნება (არა-მცნება).

გ. კარტოზია: პროექტში შეტანილი ცვლილება ემყარება A⁸ F¹² Z-ის წაკითხვას, რაც უფრო მართებული ჩანს. ძველად „ცნობის“, „გაცნობის“ მნიშვნელობით მეცნება იხმარებოდა და არა მცნება. ამდენად არმეცნება > არა-მცნება უფრო გასაგები პროცესია, ვიდრე პირიქით. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილმა და ფრიდონმა დედოფალს მიუსამძიმრეს; ტარიელმა თქვა: „დედოფალო, ამათ არ იცნობ, ესენი არიან ჩვენი მხსნელები, ახლა ხანგრძლივი საუბრისთვის არ გვცაღია; ამათი წყალობით მოვიპოვეთ ჩვენ ორივემ სიცოცხლე“.

1631 ადგეს და ქალაქს შევიდეს, თვით გარდავდეს სრასა მათსა;
ერთსა ბრძანებს დედოფალი, მართ სიტყასა ვითამ ათსა;
„ღმერთმან მოსრნა მტერნი ჩუენნი, ვერ დაგუცემენ ყოლ
შამათსა,

და ამად შევიქ სიხარულსა მართ გულისა საკამათსა“.

x 1837-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა ადგეს (ადგა), შევიდეს (შევიდა), გარდავდეს (გარდახდა), დ მართ (მით). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ადგნენ და ქალაქში შევიდნენ, ჩამოხდნენ თავიანთ სასახლეში, დედოფალი ერთს ამბობს, თითქოს ათი სიტყვა იყოს: „ღმერთმა თქვენი მტრები გაწყვიტა, სრულებით ვეღარ დაგვაშამათებენ (დაგვაშამარცხებენ), ამიტომ ვხარობ ნამდვილად გულის სასიამოვნოდ“.

1984. 22. II

სხდომას დაესწრნენ: გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს: 1632; 1633 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1632 უბრძანა: „გლოვა გაცსენით, ქოს-წინწილასა ჰკარითო, დიდი ზათქი და ზეიმი გავიდეს ჩვენით კარითო; ნახლები თქვენნი ოქროსა სარტყლითა მოიკარითო, და იცინოდით და იმღერდით, ნუ ცრემლი აწანწკარითო“.

x 1838-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ზეიმი (ზაამი); ა-ში გახსნილია ბრჭყალები: „გლოვა გაცსენით...“

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უბრძანა: „გლოვა დაამთავრეთ (მიატოვეთ), ქოს-წინწილას (სპილენძის დოღსა და საკრავ თევზებს) დაჰკარით, ჩვენი კარიდან დიდი ზათქი და ზეიმი გაისმოდეს; თქვენი ძვირფასი ქსოვილები (= სამოსელი) ოქროს სარტყლით შეიკარით, იცინეთ და იმღერეთ, ცრემლებს ნუ აწანწკარებთ (ღვრით)“.

1633 დედოფალმან მათ ცოლ-ქმართა თუითო ჳელი დაუჭირა, ზედა ტახტსა მეფისასა ერთგან დასხმა გაუპირა, მოიშორვა კაეშანი, გული მდედრი აქვიტკირა, და გლოვა ცვალა სიხარულად, აღარავინ აატირა.

x 1839-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მოიშორვა (მოიშორეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დედოფალმა ცოლ-ქმარს (ორივეს, ნესტანსა და ტარიელს) ხელი ჩასჭიდა, დაუპირა მეფის ტახტზე ერთად დასმა, კაეშანი მოიშორა, ქალური გული გაიმაგრა, გლოვა სიხარულად შეცვალა, აღარავინ აატირა.

1984. 7. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1634-1636 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1634 დედოფალმა შეიმოსა, შავი ძაბა აიჭადა, დიდებულთა შესამოსი მხიარული დაუმზადა, ყუელაკაი დამოსა და საბოძოვარი უდიადა, და ბრძანა: „ჭირი დავივიწყოთ, რათგან ლხინი დაგუებადა“.

x 1840-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ რათგან (რადგან). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დედოფალმა [საზეიმო ტანსაცმელი] ჩაიცვა, შავი ძაძა გაიხადა, დიდებულებს სამხიარულო ტანსაცმელი დაუმზადა, ყველანი დამოსა და უხვად დაასაჩუქრა, თქვა: „ჭირი დავივიწყოთ, რადგან ღვინო დავვიღვა“.

1635 ტახტსა ზედა ერთგან მსხდომნი ტარიელ და ცოლი მისი ერთმანერთსა შეჭფერობდეს, ქალი ყმისა შესატყვისი, გონება და ანუ ენა გამოსთქმიდა მათმცა ვისი!

და რამცა ჰგუანდა ვორციელი სოფელს შვილი ადამისი!

x 1841-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ზედა (ზედან); ა-ს ბოლოს მიძე მოშლილია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტახტზე ერთად მსხდომი ტარიელი და მისი ცოლი ერთმანეთს შეეფერებოდნენ, ქალი მოყმის შესაფერისი [იყო]; ვისი ენა და გონება გამოთქვამდა (შეაქებდა) მათ! ამქვეყნად რა ხორციელი ადამის შვილი იქნება მათი მსგავსი!

1636 ტარიელს და ცოლსა მისსა მიხუდა მათი საწადელი – შვილი ტახტი საველმწიფო, საშუებელი გაუცდელი.

მათ პატიუთა დაავიწყებს ღვინო ესე აწინდელი,

და ყოლა ღვინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარდუკდელი.

x 1842-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ღვინთა (ღვინსა); გ-ის ბოლოს წერტილ-მიძეა მიძის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელს და მის ცოლს წილად ხვდათ თავიანთი საწადელი – შვილი სახელმწიფო ტახტი, არნახული ღვინო. ეს ახლანდელი ღვინო იმ ტანჯვას დაავიწყებს [მათ]; ჭირგადაუხდელი კაცი ღვინს სრულად ვერ იამებს.

1984. 14. III

სხდომას დაესწრნენ: გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1637-1640 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1637 თუით ორნივე ერთგან მსხდომნი ნახნეთ, მზეცა ვერა სჯობდეს; ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასწეს, ქოსნი ვმასა დაატკობდეს; მისცეს კლიტე საჭურჭლეთა, თავთა მათთა მიანდობდეს;

და „ესეაო მეფე ჩუენი“, – იზახდეს და ამას კმობდეს.

x 1843-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ** კმასა (ხმათა); **დ** ჩუენი“, – იზახდეს (ჩუენი“ –იზახდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. ორივე ერთად მსხლომი რომ ნახოთ, მზეც ვერ აჯობებს; ბუკი დაუკრეს და მეფედ დასვეს, ქოსნი (დოლები) ტკბილ ხმას გამოსცემენ; საგანძურის კლიტე მისცეს, თავიანთ თავს ანდობდნენ; „ესაა ჩუენი მეფეო“, – ყვიროდნენ და ამას გაიძახოდნენ.

1638 ავთანდილ და ფრიდონისთვის ორნი ტახტნი დაამზადნეს; –
ზედა დასხდეს კელმწიფურად, – დიდებანი უდიადნეს;
ღმერთმან სხუანი ვორციელნი მათებრნიდა რა დაბადნეს!
და ამბობდიან ჭირთა მათთა, ყუელაკასა გაუცხადნეს.

x 1844-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ბ**-ში, ცეზურასთან, მძიმის შემდეგ დასმულია ტირე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. ავთანდილისა და ფრიდონისთვის ორი ტახტი დაამზადნეს, – ზედ ხელმწიფურად დასხდნენ, – ბევრი ქება-დიდებათ მიმართეს; ღმერთი მათს მსგავს სხვა ხორციელს რას გააჩენს! თავიანთ გარდახდილ ჭირს ჰყვებოდნენ, ყველას გაუმჟღავნეს.

1639 სმა, პურობა, გახარება ქმნეს, ჯალაბი გაადიდეს;
ვითარცა ქორწილობა კამს, ეგეთსა გარდიკდიდეს.
მათ ოთხთავე თავის-თავის ძღუენსა სწორად მიართმიდეს,
და გლახაკათუის საბოძვარსა საჭურჭლესა ერთგან ჰყრიდეს.

x 1845-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: **ა** ქმნეს (ქნეს), **დ** ჰყრიდეს (ყრიდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. სვეს, ინადიმეს, გაიხარეს, მთელი სახლობა შეყარეს; როგორც საჭიროა, ისეთ ქორწილს იხდიდნენ. ოთხივეს ცალ-ცალკე ძღვენს თანასწორად მიართმევდნენ, ღარიბებისათვის მისაცემ სიმდიდრეს ყველასთვის ერთად ყრიდნენ.

1640 დედოფალმან ვერე ბრძანა: „ობოლ-ქერიენი მოასხენით,
ყუელაკაი დაამდიდრეთ, საბოძვრითა აავსენით“;
თუით უბოძა უსაზომო, რომ არ ითქმის ყოლა ენით;
და „ულოცეთო დღეგრძელობა, ესე ღმერთსა შევედრენით“.

x 1846-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ძახილის ნიშანი და ბრჭყალებია დასმული **ბ**-ის ბოლოს ბრჭყალებისა და წერტილ-მძიმის ნაცვლად, **დ**-ის ბოლოს – წერტილის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. დედოფალმა ბრძანა: „ობოლ-ქერიენი მოიყვანეთ, ყველა გაამდიდრეთ, საბოძვრით აავსეთ;“ თვით უბოძა უზომოდ ბევრი, რომ ყველაფრის თქმა შეუძლებელია, – „მათი დღეგრძელობისთვის ილოცეთ, ესენი ღმერთს შეავდრეთო“.

1984. 21. III

სხდომას დაესწრნენ: გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.
განიხილეს 1641-1654 სტროფები.

1641 ტარიელ თქვა „დედოფალო, გკადრებ ერთსა მოსაჯსენსა:
შეიწყალე რამაზ მეფე, მიავალე ღმერთსა შენსა;
ვნახე, მეტად შემებრალნეს, შეუშინდა ვრმალსა ჩვენსა.
და ღმერთი აღხენს მოცთომილსა მონანულსა, ცრემლ ნადენსა“.

x 1847-თან შედარებით ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ტარიელმა თქვა: „დედოფალო. მოგახსენებ ერთ სათქმელს: რამაზ მეფე შეიწყალე, ღვთის გულისათვის; ვნახე, ძალიან შემებრალა, ჩვენს ხმალს შეუშინდა. ღმერთი მიუტევებს მონანიე შემცოდეს, ნამტირალევე ადამიანს“.

1642 დედოფალმან ღმობიერად: „შეუნდობო“ – ესე ბრძანა;
მოიყვანა რამაზ მეფე, ჳელმწიფეთა ათაყვანა; –
ყოვლით კერძო მომღერალთა ჳმები გაეთანისთანა, –
და ჳირთა მათგან გარდაჯდილთა ესე ღხინი შეაგჳანა.

x 1848-სთან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: ზ მოიყვანა (მოიყვანეს).

რედაქციას მიაჩნია, რომ „ჳელმწიფეთა ათაყვანა“ = ტარიელსა და ნესტანს ათაყვანა. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. დედოფალმა ღმობიერად ეს თქვა: შევუნდობო; მოიყვანა რამაზ მეფე, ხელმწიფეთათვის თაყვანი აცემინა, – ყოველი მხრიდან მომღერალთა ხმები ერთმანეთს შეუერთდა (შეეწყო), – მათ გარდახდილ ჳირს ეს ღხინი შეუფერა.

1643 ოქრო, თჳალი, მარგალიტი, შჳენიერი სანახავად,
ყოვლგნით იღვის ვითა გორი, მოღის ველთა მოსარწყავად;
ვისცა სწადღის, ალაფობდის, წაიღებდის უკითხავად,
და მანდატურნი არვის სცვიდეს, ბოლოს ვინ ჯდის ანუ თავად.

x 1849-სთან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. ოქრო, (ძვირფასი) თვლები, მარგალიტი, სანახავად მშვენიერი, გორასავით ყველგან იღო, ველთა მოსარწყავად მოღის (მდინარესავით); ვისაც უნდოდა, უკითხავად მიჳქონდა; მანდატურები არავის იცავდნენ, ბოლოს იჯდა თუ თავში.

1644 ავთანდილ და ფრიდონისთა სპათა ეტყჳის მეფე დიდი:
„სტუმარნი ხართ, შოებისა სირცხჳილი და ნუ გაქჳს რიდი!“
თჳითოს კაცსა თჳითო ჯორი მარგალიტი ანაკიდი,
და ესე მისცა, საბოძგარსა სხჳას ყჳელასა ვერ დავსთჳილდი.

x 1850-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ავთანდილისა და ფრიდონის ჯარს ეუბნება დიდი მეფე (ტარიელი): „სტუმრები ხართ, შონის გამო ნუ გრცხვენიათ და ნუ გერიდებათ!“ თითო კაცს მარგალიტით დატვირთული თითო ჯორი მისცა, სხვა სანუქარი ყველა ვერ დაითვლებოდა.

1645 ავთანდილ და ფრიდონისთვის საბოძვარსა ვინ დასთქალავს!
ვერ გამოსთქვამს სიმრავლესა ენა, ამაღ თავსა კრძალავს!
რაცა იდგა, უკეთესსა დედოფალი არ დამალავს.

და მათ უკმობდა მკსნელად მათად, ტკბილად უჭურეტს, არა ლალავს.

x 1851- თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ავთანდილისა და ფრიდონის ბოძებულს ვინ დათვლის! მის სიმრავლეს ენა ვერ გამოთქვამს, ამიტომ თავს იკავებს. რაც შენახული იყო, საუკეთესოს დედოფალი არ მალავს. მკსნელებს უწოდებდა მათ, ტკბილად უჭვრეტდა, არ უწყრებოდა.

1646 სრულნი ინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ხადოდიან:
თქვენგან გუჭირს კარგი ყუელაი, – მართ ამას მოიტყოდიან,
ვითა პატრონსა სჭურეტდიან, რაც სწადლის, მას იქმოდიან.,

და სადარბაზებლად ნიადგ მათ წინა მოვიდოდიან.

u 1569-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. მთელი ინდოეთი ავთანდილს და ფრიდონს შემწეს (გადამრჩენელს) უწოდებდა: „ყველაფერი კარგი თქვენგან გეჭირსო“, - სულ ამას ამბობდნენ, პატრონებად მიიხნევენ, რაც მათ (ავთანდილს და ფრიდონს) მოუნდებოდათ, იმას იქმოდნენ; სადარბაზოდ (მოსაკითხავად) მუდამ მოდიოდნენ მათ წინაშე.

1647 ტარიელ რამაზ მეფესა უბოძა საბოძვარია,
უბრძანა: „ ხარკსა მოგუცემდი, მართ ვითა შენი გუარია!“
მან თაყუანისსცა, პირისა ქვე მდებლად დამდებარია,

და წავიდა მისი მლოცველი, არ ომთა მომკრეხარია.

x 1853-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: გ თაყუანისსცა (თაყვანი-სცა). პროექტი მიღებული იქნა.

ს.შ. ტარიელმა რამაზ მეფეს საბოძვარი უბოძა, უბრძანა: ხარკი მოგვეცი, როგორც შენი გვარი (მამა-პაპა) გვაძლევდა. მან თაყვანი სცა დაბლა (მიწაზე) პირის დადებით. წავიდა მისი (ტარიელის) მლოცველი და არა ომის მოქაღული.

1648 ინდოთ მეფე უბრძანებდა ასმათს, მისსა შეკდომილსა,
„რაცა შენ ჰქენ, არ უქნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა;
აწ ინდოეთს სამეფოსა მეშვიდესა, ერთსა წილსა,

და ზედა დაგსუამ, შენი იყოს, გუმსახურებდი ტკბილი ტკბილსა.

u 1570-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ინდოთ მეფემ (ტარიელმა) უთხრა ასმათს, მისთვის თავგამეტე ბუღს: „რაც შენ გააკეთე, არავის უქნია, არც განმზრდელს და არც გაზრდილს; ახლა ინდოეთის ერთ ნაწილს, მეშვიდე სამეფოს, საპატრონოდ მოგცემ, შენი იყოს და ერთგულად გვემსახურე.“

1649 ვინცა გწადდეს, ქმრად შეირთე, სამეფოსა უპატრონე;
მუნდაღმა გუმსახურებდი, თავი შენი დაგჭამონე!“
ასმათ ფერწნი გარდუკოცნა: „შენგანაო ჩემი ღონე,
და მონებისა უკეთესი, რამც ვიშოვე, რამც ვიქონე?“

u 1571-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ვინც გინდოდეს, ქმრად შეირთე, სამეფოს უპატრონე (მოყუარე); იქედან გვემსახურე, ჩვენი ხელქვეითი იყავი!“ ასმათმა ფეხები დაუკოცნა: „თუ ვარ, შენგან ვარ, (შენი) მონობის უკეთესს რას ვიშოვი ან რას ვიქონიებ?“

1649,1 მოახსენა: „ხელმწიფეო, ვიკადრებ და ნუ გასწყურები;
თუ კმელეთი სრულად მქონდეს, ვერცა მაშინ გაგეყრები,
მე მეყოფის შუქი თქვენნი, ვარ მზის ეტლთა შენასწრები,
და ვერ გავსწირავ ჩემგან ზრდილსა, არცა სხვაგან ვიარები“.

x 1855,1-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: გ მეყოფის (მეყოფა). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. მოახსენა (ასმათმა): „ხელმწიფეო, მოგახსენებ და ნუ გამიწყურები: მთელი ხმელეთიც რომ ჩემი იყოს, მაშინაც ვერ გაგეყრები (ვერ მოგშორდები), მე თქვენი წყალობა მეყოფა, მზის ეტლის შემსწრები ვარ. ვერ დავტოვებ ჩემს გაზრდილს (ნესტან-დარეჯანს), არც სხვაგან წავაღ“.

1649,2 კჳლაგცა უბრძანა ტარიელ: „კმარს შენი ჭირნახულები,
გვახსოვან შენი ჩვენზედა თჳალნი ცრემლნაფახულები;
სჯობს, მოისმინო ნათქვამი, ჰქნა ჩჳენი გაზრახულები,
და ბოროტი სცვალო კეთილად, გყვენ სპანი კმალმახულები“.

x 1855,2-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: ა ჭირნახულები (ჭირთ ნახულები); დ მალმახულები (ხმალ-მახვილები).

პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ.: კვლავ უთხრა ტარიელმა: „საკმარისია შენი ჭირგამოვლილობა, გვახსოვს შენი ცრემლიანი თვალები, სჯობს ჩვენი განზრახული შეასრულო, ბოროტი კეთილით შეცვალო, ხმალგალესილი (საიმედოდო შეტურვილი) ლაშქარი გყავდეს“.

1649,3 დამორჩილდა მოახსენა: „ჭირთა ჟამი ერთხელია“.
მიიყვანეს კარგი მოყმე, გონიერი, არ ხელია,
ასმათ მისცეს, მიუძღვების, დაუჭირა სახელია,
და იგიცა კაცი გაადიდეს რქჳეს მეფობის სახელია.

x 1855,3-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: დ რქჳეს (აქვს). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. დამორჩილდა (ასმათი), მოახსენა: „ჭირი დროებითია (წარმავალი)“. მიიყვანეს კარგი მოყმე (სასიძო), გონიერი, არა ხელი; ასმათი მისცეს,

(ის კაცი) მიუძღვება, სახელოზე მოჰკიდა ხელი. ის კაცი გაადიდეს, მეფის წოდება მისცეს.

1650 ერთგან სამთავე ძმობილთა დაყენეს ცოტანი დღენია,
თამაშობდიან, უსახო მიუდიოდის ძღუნენია,
რა მარგალიტი ღარბი, რა უკეთესი ცხენია!
და მაგრა ავთანდილს სურვილმან დაღრეჯა დააჩენია.

u 1572-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. სამმა ძმობილმა ერთად ცოტა ხანი დაჰყო, თამაშობდნენ (ასპარეზობდნენ), იშვიათი ძღვენი მიერთმეოდათ, რამდენი ძვირფასი მარგალიტი, რამდენი საუკეთესო ცხენი! მაგრამ ავთანდილს თინათინის მონატრების გამო მოწყენა დაეტყო.

1651 ტარიელ ცნა, ამა ყმასა ცოლისათვის მოესურვა;
უბრძანებდა: „გული შენი განაღამცა მომემდურვა;
აწ ვაგლახ მე, ჭირი შენი გონებაჲმან შუილით ურვა,
და მოგშორდები, საწუთრომან ლხინი ესე დაიშურვა!“

u 1573-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ტარიელი მიხვდა, ამ ყმას (ავთანდილს) ცოლი მოენატრა; უთხრა: „შენი გული, რა თქმა უნდა, დამემდურება; ახლა მე უარეს დღეში ვარ, შენი გასაჭირი მოგონებამ უფრო დამძიმა. უნდა მოგშორდე. წუთისოფელს ჩემი ლხინი შეშურდა.“

1652 კჳლა ფრიდონცა დაეთხოვა: „წავიდეო სახლსა ჩემსა,
ზედა-ზედა დაესტკეპნიდე დარბაზსა და ამა თემსა,
სამსახურსა მიბრძანებდი, უხუცესი ვითა მრწემსა;
და თქვენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“.

u 1574-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ფრიდონმაც წასვლის ნებართვა ითხოვა: „ჩემ სახლში წავალ, ხშირ-ხშირად მოვალ თქვენს სასახლეში და ამ ქვეყანაში, სამსახური მიბრძანე ხოლმე, როგორც უფროსმა უმცროსს; თქვენი ნახვა ისე მომენატრება, როგორც ირემს წყაროს წყალი“.

1653 მასცა უბოძა ფარმანი: „წა, სახლი მოიარეო,
მე ნუ გამწირავ, მეახლე, ადრე მობრუნდი გარეო“.
ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რამცა ვით გავიხარეო?
და რათგან ისწრაფი, ნუ გაგვა, მიგელის ღომსა მთჳარეო!“

u 1575-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: ბ მეახლე (მნახევდი). პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. მასაც დასტური მისცა (ტარიელმა): „წადი სახლი მოიარე, (მაგრამ) მე ნუ დამივიწყებ, მეახლე (ჩემს ახლოს იყავი), ადრე შემობრუნდი“. ავთანდილს უთხრა: „უშენოდ რით და როგორ გავიხარებ? რადგან გეჩქარება, ნუ ინაღვლებ (ჩვენს განშორებას), ღომს (შენ) მთვარე (თინათინი) გელოდება!“

1654 როსტანისთვის წაატანა ძღვნად ტურფები ჯუბაჩები,
კჷლა ჭურჭელი თჷალთა თლილთა, არ კოვზები, არ ჩამჩები:
„ჩემ მაგიერ მიუტანე, წაო, ნურას მეურჩები“.

და ავთანდილ თქვა: „არა ვიცი, მე უშენოდ ვით დავრჩები!“

u 1576-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. როსტევეანისთვის გაატანა ძღვნად ლამაზი ჯუბაჩები, კიდევ საჭურჭლე (განძი) ძვირფასი თვლებისა, არა კოვზები და ჩამჩები (კოშები): „ჩემგან მიაართვი, წადი, ნულარ ყოყმანობ“. ავთანდილმა თქვა: „არ ვიცი, მე უშენოდ როგორ ვიცოცხლებ“.

1984. 11. IV

სხლომას დაესწრნენ: გ. კარტოხია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს 1655-1661 სტროფები და მათი „შინაარსები“ (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1655 ქალმან ქალსა გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რიდე,
რომე ჩაცმა-დაბურვასა ვინ ღირს იყო მათგან კიდე!
ერთი თჷალი, – წამღებელმან ვერა თქჷას, თუ: „ცუდად
ვზიდე“, –

და ღამე მზეებერ გაანათლის, ჩნდის, სადაცა შეხედვიდე.

u 1577-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ნესტან-დარეჯანმა თინათინს გაუგზავნა ყაბაჩა და ერთი რიდე (ისეთი), რომელთა ჩაცმა-დაბურვის ღირსი მათ გარდა ვინ იქნებოდა! ერთი თვალი, – წამღებელი ვერ იტყოდა: ამოდო ვატარეო, – ღამით მზესავით ანათებდა, ჩანდა (ყველაფერი), სადაც შეხედავდი.

1656 ავთანდილ შეჯდა, წავიდა, ტარიას გაესალამა;
იგი ორნივე გაყრისა დაწუნა ცეცხლისა ალამა;
სრულად ინდონი მისტირან, ცრემლმან მინდორი დალამა;
და ავთანდილ იტყვის: „მომკლარ სოფლისა მე სამსალამა“.

u 1578-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებული იქნა.

ს. შ. ავთანდილი (ცხენზე) შეჯდა, ტარიელს დაემშვიდობა და წავიდა; ისინი ორივენი გაყრის მწუხარების ალმა დაწვა; მთელი ინდოეთი მისტირის, (მათმა) ცრემლმა მინდორი დატბორა; ავთანდილი ამბობს: მე წუთისოფლის საწამლაგმა მომკლარ.

1657 ერთგან ფრიდონ და ავთანდილ იარნეს დღენი მცირენი;
გზამან გაყარნა, წავიდეს თავის-თავ ანატირენი;
კარგად მოჰკდეს მათ მათნი საქმენი დანაპირენი;
და ავთანდილ მიჰკდა არაბეთს, ნახნა არ ცუდნი ჭირენი.

u 1579-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. ფრიდონმა და ავთანდილმა ერთად რამდენიმე დღე იარეს; გზამ გაყარა ისინი, ცალ-ცალკე წავიდნენ ატირებულნი. კარგად გამოუვიდათ თავიანთი განზრახული საქმეები; ავთანდილი მივიდა არაბეთში, გაჭირვება ამჟამად არ უნახავს.

1658 გამოეგებნეს არაბნი, სამეფო დააშვენა მან;
ნახა მზე მისი, მირიდა მისთა სურვილთა წყენამან;
მის თანა ტახტსა დაეფჯდა, ილხინა მჭერეტთა ლხენამან,
და გააკვლმწიფა გუირგუინი ზეცით მოსრულმან ზენამან.

u 1580-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: **გ. ილხინა (ალხინა).**

ც. კიკვიძე: მესამე ტაეპში პროექტით წარმოდგენილი წაკითხვა **ილხინა** ხელნაწერთა უმეტესობაშია; **მჭერეტთა ლხენა** ავთანდილია; გამოთქმის შინაარსია: თავისი მჭერეტელების გამხარებელმა გაიხარა. **გ.** კარტოზია მხარს უჭერს და იმოწმებს 992,4-ის ტექსტს; „**მისთა მჭერეტელთა ლხინისა**“.

ალ. ბარამიძის მოთხოვნით მიღებულ იქნა: **ალხინა.**

ს. შ. გამოეგებნენ არაბები, ავთანდილმა სამეფო დაამშვენა (= ყველა გაახარა); ნახა მისი მზე (თინათინი), მისი მონატრების დარდი მოსცილდა; მის გვერდით ტახტზე დაჯდა, მჭერეტელთა სიხარულით თვითონაც გაიხარა. ზეციურმა (ღვთის) წყალობამ ხელმწიფობის გვირგვინი არგუნა.

1659 მათ სამთავე კვლმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა კრმალთა და-ვე-წყლულდეს,
და მოიმატნეს სამეფონი, გაკვლმწიფდეს, გამორჭმულდეს.

u 1581-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ვფიქრობ, უნდა მივიღოთ წაკითხვა: კრმალთათ, – როცა მოქმედებითი ბრუნვაა, ჩვენ **-თათ** დაბოლოებას ვიღებთ.

ც. კიკვიძე: **-თათ** დაბოლოება მარტო **C** რედაქციის წაკითხვაა. ძირითად ტექსტში კი ვასწორებთ, მაგრამ ეს ნაწილი რესტავრირებულად გვაქვს მიხნეული და ამიტომ დავტოვეთ საიუბილეო გამოცემის წაკითხვა.

დაადგინეს: დარჩეს ფორმა: **კრმალთა**. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. სამივე ხელმწიფეს ერთმანეთი არ სძულდა. ერთმანეთს ნახულობდნენ, საწადელი შეუსრულდათ; (მათი) ბრძანების მოცილენი მათივე ხმლებით დაიჭრნენ; შეიმატეს სამეფოები, გაძლიერდნენ, აღმატებულნი გახდნენ.

1660 ფრიდონცა ესუა მოყურად, მათ წინა მიიყვანიან;
ერთმანერთისა მეშუელთა მებრძოლნი იმაჯანიან;
მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწები ააკვანიან,
და ორგულთა მკლავნი შემუსრნეს, ერთგულნი აგულვანიან.

x 1866-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონიც მეგობრად ჰყავდათ, მათთან მიიყვანდნენ ხოლმე; ერთმანეთის დახმარებით მოწინააღმდეგეთ სძლევენ: ურჩებსა და კადნიერებს

მიწას აკენად უქცევდნენ, ორგულებს მკლავები დაუმსხვრიეს, ერთგულებს მამაცებად აქცევდნენ.

1660,1 (1865¹) ფრიდონცა არის თავისასა მორჭმული შვეებით, ხარებით, მტერთა საშიში, ერთგულთა მოსაჯრმად დაუზარებით; მათ ძმათა ამბის საკითხი არ გაწყდის კაცი კარებით, და გასცემდის ოქრო-გუარსა, ლარს ნურვინ დაეკარებით. არის მხოლოდ A⁴-ში (W-27), ფ. 175r.

1661 ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს, ობოლ-ქერიენი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდეს, ავთა მქმნელნი დააშინეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს, და შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

u 1582-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: გ.: კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს (კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს).

გ. კარტოზია: კრავთა და უწოვდეს კონიექტურებია. ხელნაწერების წაკითხვა: კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს.

ს. ცაიშილი: ხელნაწერების წაკითხვის აზრი ზოგადი და ბუნდოვანია. უფრო გასაგებია პროექტით წარმოდგენილი ვარიანტი, რომლის შინაარსია: კრავი სხვა კრავის დედას ვერ მოწოვდა, ე. ი. ისეთი წეს-რიგი დამყარდა, რომ კრავებიც კი არ წოვდენ (არ იტაცებდნენ) სხვის კუთვნილ რძეს.

მიღებულ იქნა: კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს (წინააღმდეგნი ც. კიკვიძე და ს. ცაიშილი).

ს. შ.: ყველას თანაბრად თოვლივით (= უხვად) ათოვდენ წყალობას, ქვრივ-ობლები დაამდიდრეს და გლახაკები არ მათხოვრობდნენ; ავის მოქმენი დააშინეს, კრავებიც კი ცხვრების მოწოვას ვერ ბედავდნენ. მათ სახელმწიფოებში თხა და მგელი ერთად ძოვდა.

1984. 25. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშილი.

განიხილეს 1662-1667 სტროფები და მათი „შინაარსები“ (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1662 გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდაცდეს, გაველეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე ჟამისა!
ვის გრძლად ჰგონია, მისთუისცა არის ერთისა წამისა.
და ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისა ღამისა.

u 1583-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: დ ვსწერ (ვწერ). პროექტი მიღებულ იქნა.

ე. მეტრეველი: დგინდება, რომ არაბულიდან დამ სისხლის, მოდგმის შინაარსით შესულია სპარსულში. გასარკვევია, არის თუ არა თურქულ ენაში და მისი გავლენით – მესხურ კილოში?

ა. ბარამიძე: სპარსულში რომ დამი „სისხლის“ მნიშვნელობით არის, მეტად საყურადღებო ფაქტად მიმაჩნია.

გ. კარტოზია: თავისთავად საინტერესოა ნ. დუმბაძის დაკვირვება, რომ **დამი** მედუღუკეთა წრეში ჰანგს, ხმის შეწყობას ნიშნავს.

ს. შ. დასრულდა მათი ამბავი, როგორც დამის სიზმარი. წავიდნენ, გავლეს წუთისოფელი, ნახეთ დროის სიმუხთლე! ვისაც გრძლად მიაჩნია, მისთვისაც წამიერია. ვწერ ვინმე მესხი მელექსე, რუსთველის სისხლისა (= გვარისა).

1663 ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,
და ორგულთა მათთა დამწუჭელად, ერთგულთა გამახარებლად.

u 1584-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: ა ღმრთისა, დავითის ვის მზე (ღმრთისა დავითის ვის – მზე –).

ს. ცაიშვილი: ბ-ში გასარკვევია **საკამათებლად // მოსაჯმარებლად** ვარიანტების საკითხი.

გ. კარტოზია: „**მოსაჯმარებლად**“ არის მხოლოდ **A³A⁹A¹⁰** ნუსხებში, რომლებიც შეიცავს ნასწორებ, რედაქტირებულ ფორმებს.

ც. კიკვიძე: უნდა ვივარაუდოთ, რომ **საკამათებლად** გადამწერმა გაიგო შედავებად, რაც მეფის მიმართ უხერხულად მიიჩნია და ამიტომ შეცვალა **მოსაჯმარებლად** ფორმით.

დაადგინეს: ავთენტიკურად ჩაითვალოს **საკამათებლად**, შინაარსით: „**გასართობად**“. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. ქართველთა ღვთისა (= თამარის), ვისაც დავითის (= სოსლანის) მზე ემსახურება სატარებლად, გასართობად გავლექსე მე ეს ამბავი, (იმის გასართობად) ვინც არის აღმოსავლეთიდან დასავლეთში შიშის ზარის დამცემი, თავისი ორგულების დამწველი, ერთგულების გამხარებელი.

1663,1 მე ვთქუი ქება თამარისა და ჳმელთა შინა მნათისა,
ვთქუი მათი ქება, მიზეზად მქონდა ქებისა მათისა,
რომანულისა თჳალისა, მის ბროლისა და სათისა;
და მემცა ვით მექო, ვერ აქებს, ბრძენნი თუ შეკრბენ ათისა.

არის ოთხივე რედაქციის ნუსხებში.

x 2123-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის.

მთავარი რედაქციის აზრით, ა-ში და კავშირი ორ პიროვნებაზე მიუთითებს, ამიტომ მიიჩნია, რომ თამართან ერთად იგულისხმება დავით სოსლანი (წინააღმდეგი – ე. მეტრეველი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. მე ვთქვი თამარისა და ხმელეთზე მანათობლის ქება, – მათი ქება ვთქვი, მათი ქების მიზეზი მქონდა, – რომანული თვალის, ბროლისა და სათისა. მე როგორ მექო, ვერ შეაქებს, ათი ბრძენიც რომ შეიკრიბოს.

1664 დავითის ქნანი ვითა ვთქუნე სიჩალხე-სიჳაფეთანი!
ესე ამბავნი უცხონი, უცხოთა ჳელმწიფეთანი,
პირველ ჳნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,
და ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

u 1585-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ. დავითის (= სოსლანის) სიმკვირცხლისა და სიმედგრის საქმეები (= ამბები) როგორ ვთქვა! უცხო ხელმწიფეების ეს უცხო ამბები, ჯერ იმ მეფეთა ღირსებანი, საქმეები და ქება, ვნახე და ლექსად გარდავთქვი, ამით ვილაპებო.

1664,1. დასრულდა ესე ამბავი მათ კელმწიფეთა დიდისა,
ამოდ სასმენი, ბოლოჟამ საბრალო არსთა კიდისა,
მეურენი ვინცა იყურებთ, არ ჩავარდნაა კიდისა?
და ნახეთ, გასინჯეთ სიცრუე სოფლისა ამა ფლიდისა.

არის $A^9 A^{10}$ -ში და ორ გვიანდელ, კომპილაციურ ნუსხაში.

x 2124,1-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: გ მეურენი (მოყურენი).

ს.შ.: დასრულდა იმ დიდი ხელმწიფეების ეს ამბავი, სასიამოვნო სასმენი, ბოლოს არსებათა დასასრულის გამო შესაბრალისი, მსმენელნი, ვინც მოისმნთ, განა ხიდის ჩავარდნა (=უბედურება) არ არის? ნახეთ, გასინჯეთ, ამ ფლიდი წუთისოფლის სიცრუე.

1664,2. ცუდია ესე სოფელი, ვითა სიზმარი ღამისა,
არ მომეცმარა საჭურჭლე დედისა, არცა მამისა,
უხანობისა ქარი ქრის, ვითა ერთისა წამისა,
და ოკრად გაკდების აერი ტურფისა თჳალ-წამწამისა.

არის $A^9 A^{10}$ -ში და ორ გვიანდელ, კომპილაციურ ნუსხაში.

x 2124,2-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არც არის.

ს.შ.: ამოა ეს წუთისოფელი, როგორც ღამის სიზმარი. არ გამომადგა დედის საგანძური, არც მამისა, უხანობის (ხანმოკლეობის) ქარი ქრის, როგორც ერთი წამისა. ღამაზი თვალ-წამწამის იერი ოხრად დარჩება.

1665 ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თჳალისა და წამწამისა მსწრობელი!
რასა ვინ ეძებთ, რას აქნევთ? ბედია მაყივნებელი;
და ვის არ შეუცვლის, კარგია, ორისავე იყოს მხლებელი.

u 1586-თან შედარებით ტექსტში ცვლილება არ არის.

ს.შ.: ეს ასეთი წუთისოფელი, არვისგან მისანდობი, ადამიანის თვალის დახამხამებაა და დაწამწამებაზე სწრაფი! ვინ რას ეძებთ, რაში გარგიათ? ბედია შემარცხვენელი; ვისაც არ შეუცვლის, კარგია, ორივე ცხოვრებაში მყოფი იქნება.

1666 ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხომელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენადაუშრომელსა,
და ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთჳის ცრემლშეუშრომელსა.

u 1587-თან შედარებით ტექსტში შემდეგი ცვლილებაა: ა ხომელსა (ხონელსა).

გ. კარტოზია: ხომელსა მიღებულია ზუსტი რითმის ადღგენის მიზნით, **C⁴** და **Z**-ის მიხედვით. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამირან დარეჯანის ძე მოსე ხომელს შეუქია, აბდულმესია – შავთელს, რომელსაც ლექსი უქეს, დილარგეთი – სარგის თმოგველს, იმ ენადა-უშრომელს (ენამოუღლელს), ტარიელი – მის რუსთველს, მის გამო ცრემლ-შეუშრობელს.

1985. 27. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

დაიწვეს პოემის ტექსტის კომენტარების განხილვა 33-ე სტროფიდან.

ა. ბარამიძე (წინასწარი შენიშვნა): ინიციალები ყველგან ერთნაირად უნდა იყოს: ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი და ა. შ. (და არა – აკ. შანიძე, ივ. ჯავახიშვილი...); ი. აბულაძე უნდა შეიცვალოს: იუსტ. აბულაძე და ილ. აბულაძე.

ს. ცაიშვილმა აღნიშნა, რომ კომენტარის მომზადებაზე მუშაობდნენ: გ. არაბული, ა. გვახარია, ც. კიკვიძე, ნ. რამიშვილი.

ა. ბარამიძე: კომენტარები კარგად, კვალიფიციურად არის შედგენილი.
ე. მეტრეველი: საილუსტრაციო ტექსტების დამოწმებისას ყოველთვის მივუთითოთ ორი თარიღი (ძეგლის შექმნისა და გამოყენებული ნუსხის გადაწერისა), ხოლო მეცნიერული ლიტერატურის დამოწმებისას მისი პირველი პუბლიკაციის წელი უნდა მიეწეროს.

გ. კარტოზია: 37-ე სტროფის გ: „მისივე მეტობს ყწავილი“... ხელნაწერთა მიხედვით უნდა შეიცვალოს სიტყვით: **ყოველსა**.

დაადგინეს: შესწორება მიღებულ იქნეს. შესაბამისად გადალაგდეს ვარიანტები და შეიცვალოს „თარგმანი“ (შინაარსი). **ტურფაფერობა** განიმარტოს „სიტურფე“-დ.

1986. 7. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური, გ. არაბული, რ. ჩხეიძე, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს 46-70 სტროფების კომენტარები.

დაადგინეს: 46_ა-ში დაიწეროს **თაყნანისცეს**.

47_გ **„მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“** კომენტარი დაზუსტდეს.

52_დ **უზომო, უანგარიშო, ულვეი**, – ალიტერაციისათვის მიეთითოს ა. ბარამიძის წერილი (1951წ.).

53 **„შაჰ-ნამეს“** დათარიღება (XVII/XVII) უნდა გასწორდეს ასე: XV-XVI / XVII.

გ. არაბული ეჭვს გამოთქვამს ამ სტროფის ავთენტურობის თაობაზე:

1. მისი აზრით, სტროფი წარმოადგენს 52, 54, 55 სტროფების ზოგადი შინაარსის კომპილაციას და რაიმე ფაქტობრივ სიახლეს არ შეიცავს.

2. „ჩემსა ნუვინ ნუ დამალავთ საჭურჭლესა დადებულსა“ – ამ სტრიქონის გამაფრთხილებელი ტონი, რომ მისი „ნაუფლისწულევი“ ქონება ვინმემ არ დამალოს, მოგვაგონებს 69,2 ჩანართ სტროფში როსტეგან მეფის ბრძანებას: ყმებმა „ნასროლ-ნაკრავი“ დათვალონ „უტყუვრად“. ე. ი. იმავე ინტერპოლატორის სტილია.

3. ამ სტრიქონში უადგილოა სიტყვა **ნუვინ**. წინა (52) სტროფში თინათინი მიმართავს ერთ პიროვნებას, მის გამზრდელს, რომელსაც აბარია მეფის ასულის საჭურჭლე. ამიტომ მრავლობით რიცხვში მიმართვა: „ნუვინ ნუ დამალავთ!“ უმისამართო და უაზრო ნათქვამია, რაც პოემის ავტორს არ უნდა მიეწეროს.

წარმოდგენილი შენიშვნები არ იქნა მიჩნეული საკმარის არგუმენტებად სტროფის ჩანართობის მტკიცებისათვის.

54_გ დაიწერა: **რემაჯოგი** (ნაცვლად რემა, ჯოგი-სა) ა. ჭინჭარაულის დასაბუთების მიხედვით.

55_გ დაიწეროს: **ნაბუქარსა**, რადგან ძველ ქართულ ტექსტებში **ნაბუქალი** არ დასტურდება.

65_გ **ფარმანი** ჩაიწეროს სამივე ვარიანტი (**ფარმანი, ფარვანი, ფირმანი**).

67_ა **მიწაცა თქუენი ავთანდილ...**

დაზუსტდეს ბაგრატის წარწერის თარიღი.

ამავე სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარული გამოცემის წინასიტყვაობა.

1987. 1. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, გ. არაბული, თ. ცქიტიშვილი, ნ. რამიშვილი.

განიხილეს პროლოგის სტროფების კომენტარები.

1-ლი სტროფი: „რომელმან შექმნა სამყარო ...“

აღ ბარამიძე: დაემატოს, რომ ა. სვანიძე უარყოფს პროლოგის ტექსტის რუსთველისეულობას (ბაღმონტის თარგმანის წინასიტყვაობაში).

გ. კარტოზია: საერთოდ, აღვნიშნოთ დ. კარიჭაშვილის, კ. კეკელიძის, კ. ეკაშვილის, ა. სვანიძის, თ. ჭილაძის მოსაზრებები პროლოგის ავთენტიკურობისა და შედგენილობის თაობაზე.

ც. კიკვიძე: მეორე სტრიქონის შინაარსი ასეა წარმოდგენილი: [ღმერთმა] ზემოდან (მაღლიდან) არსებები სულიერი გახადა. ზმნიზედა **ზეგარდმო-ს** სრული (უკუშეველი) ფორმაა ძველ ქართულში **ზეგარდამო**. აგრეთვე ვარიანტულ წაკითხვებში (ზეგარდმით, ზეგარდამით) მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოება – **თ** ამ სიტყვაში ძველსა და რუსთაველის ხანის ძეგლებში არ დასტურდება.

დაადგინეს: მოიძებნოს **ზეგარდმოს** მაგალითები ძველი და საშუალო ხანის ძეგლებში. „გვაქვს უთვალავი ფერთა“ განმარტოს: გვაქვს ფერთ უთვალავი, მრავალფეროვანი. IV ტაეპთან და-ს ფუნქციისათვის მიეთითოს: ნ. მარის, ვ. ბერიძის, შ. ძიძიგურის, ს. ცაიშვილის წერილები და მოსაზრებები.

2_ა „**ჰე ღმერთო ერთო...**“

გ. კარტოზია: „**სახე ყოვლისა ტანისა**“ განმარტებულია როგორც: ყოველი სხეულის, საგნის ფორმა.

თ. ცქიტიშვილი: გავითვალისწინოთ ზ. გამსახურდიას აზრი, რომ **ტანი** არ არის საგანი, ტანი ცოცხალი სხეულია, ხოლო **სახე** არის პირველსახე. ტაეპის აზრია: ღმერთო, შენ შექმენი ყოველი ტანის პირველსახე (პროტოტიპი).

დაადგინეს: ტანი–სათვის დავტოვოთ გ. თევზაძის გაგება (1985,32), სხვე-
ბისა (საბა, თ. ბაგრატიონი, ივ. ლოლაშვილი...) – როგორც განსხვავებული
გაგება.

2გ ც. კიკვიძე: მესამე სტრიქონის შინაარსია: მომეცი სიკვდილამდე
გასატანი, მიჯნურებისათვის დამახასიათებელი სიყვარული.

გ. კარტოზია: აღინიშნოს, რომ **გასატანისა** პოეტური ლიცენციაა; უნდა
იყოს: **გასატანთა**. მიეთითოს ზ. გამსახურდია (1987, № 4): „**ძღვეა მეც... სატა-
ნისა**“, – ძალის მიმადლებას შესთხოვს **ძე ღმერთს**, ძალს ღვთისას. „**მომეც
მიჯნურთა სურვილი**“, ეს ვედრება მიმართულია სულიწმიდისადმი, რომელიც
მოჰმადლებს ადამიანებს სიყვარულს, მიჯნურობას... აგრეთვე ცოდვის
შემსუბუქებას, „სულთა ღხენას“.

3 „ვის შეენის, – ლომსა...“

გ. კარტოზია: უნდა დაზუსტდეს სიტყვების მნიშვნელობა: **მიშერ** – არაბ.
მაშარ (?), **ყანდი** – კანდ (?), ხოტბისა **შერისა** – ხუტბა შერ (?). პროექტით
წარმოდგენილია სტრიქონის ასეთი შინაარსი: მისმა მჭვრეტელებმა დავით
სოსლანს შაქარი და გოლეული თაფლი უნდა მიართვან.

გ. არაბული: იქნება უფრო სწორია განსხვავებული გაგება (ნ. ნათაძე,
ზ. გამსახურდია და სხვ.), რომ მის მჭვრეტელებს უნდა მიერთვათ საუკეთესო
ტკბილეული?

ხმების უმრავლესობით დარჩა არსებული შინაარსი.

4 „თამარს ვაქებდეთ“...

დაემატოს ზ. გამსახურდიას თვალსაზრისი: სულიწმიდის მიწიერი გა-
მოვლინებაა თამარ მეფე, ახალი სოფია, პარაკლეტი, სულთა მღხენელი ...
(ლიტ. ძიებ., 2, 1987, 244).

5ა „მიბრძანეს მათად საქებრად“...

გ. არაბული: **მათად საქებრად** კომენტარში აღინიშნოს მ. თოდუას
განსხვავებული თვალსაზრისი, რომ ქების ობიექტებად იგულისხმებიან პოე-
მის გმირები – ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი – და ამის გათვალისწინე-
ბით, სტროფის ადგილი უნდა შეიცვალოს, ის უნდა გადავიდეს მე-6 სტრო-
ფის შემდეგ.

6 „აწ ენა მინდა“...

თ. ცქიტიშვილი: მეორე ტაეპის პუნქტუაცია ასე უნდა შეიცვალოს: „ძა-
ლი მომეც და შეწვენა, შენგნით მაქვს, მივსცე გონება“. (ზ. გამსახურდია
მხოლოდ ცეზურასთან სვამს მძიმეს).

ხმების უმეტესობით დარჩა ძველებურად.

7 „მო, დავსხდეთ“...

ბ შინაარსი: მისი მსგავსი, მართლაც, ვინ დაიბადება! განსხვავებული
გაგებისათვის მიეთითოს ზ. გამსახურდია: მისებრი, დაბადების (შესაქმის)
შემდეგ, ვინ იშვება („დაბადება“ არის მხოლოდ სამყაროს შექმნა).

დ „აწ მარგალიტი წყობილი“...

შინაარსში დაიწეროს: ახლა კი ასხმული მარგალიტი (= ლექსი).

8 „მე რუსთველი“...

ა კონიექტურა ალამდარის გამო აღინიშნოს, რომ ალამდარი გვიანდელი (XVII-XVIII ს-ის) ტერმინია. მოვიტანოთ მაგალითები.

10_ა „თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა“ –

ეს ტაეპი შეიძლება კითხვადაც გავიგოთ, რომლის აზრი იქნება: განათამარის შევენებისაგან გონდაკარგული კაცი კვლავ გონზე მოსვლას ინატრებს? (ნ. ნათაძე, 1974, 519).

10_ბ „სამთა ფერთა საქებელთა, ღამის, ლექსთა უნდა ლეენა“, განიმარტოს: სამთა (სამი გმირის) შესაფერ სახობტო ლექსებს უნდა მოლევას (სრულად თქმა).

კომენტარში დაემატოს:

10_ბ „სამთა ფერთა საქებელთა“... სხვაგვარი გაგებისათვის: სამხმოვან სიმღერას (ან სიმღერებს).

ღამის = დიახაც რომ.

ლექსთა უნდა ლეენა = ლექსთა მიწოდება, სიტყვების მიცემა უნდა (ნ. ნათაძე, 1974, 16).

1988. 18. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, ა. გვახარია, გ. არაბული, ნ. რამიშვილი, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს ორთოგრაფიულად ვარიანტული სიტყვა-ფორმების დაწერილობა. დაადგინეს: ჰად, ჰად (649,4) დაიწეროს ერთ სიტყვად : ჰადჰად. აგრეთვე: ჰადჰადზმიდეს (28,2), ჰადჰადზმიდი (524,1).

ასევე ერთად დაიწეროს: ურჩეკმნას (385,4), ურჩეკმენ (336,3), უჩინოიქს (985,3), უსულოქმნა (206,2), თავისწინა (361,1).

272_ა დაბადა გასწორდეს: დაჰბადა.

201_ა, 1077_გ. ანაზდად – ანაზდათ.

839_გ ბრჭკლითა – ბრჭლითა.

907_დ დავსხენ – დავჰსხენ.

491_კ წყალ-ჯავარისა დაიწეროს დეფისით.

არს მეშველზმნის ნაშთი ა სხვა სიტყვებთან დაიწეროს დეფისით: ვინ-ა (361დ), დასტურ-ა (323დ).

ანუ-ს წინ დაისვას მძიმე: „სით უყვარ, ანუ ვით მკადრებს თხრობასა?“ (358ა); „რა მპოვაო, ანუ ვინ-ა“ (361დ); „ყვაფი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!“ (1086ა).

722დ „რაცა აჯა დათმობისა, გულმან ვისმცა მოუსმინა!“ მძიმე მოიშა-
ლოს. „ვამ, ჭირნი ჩემნი ეზომნი!“ „ვამ, სიცოცხლისა თმენანი!“ (941დ)
ვამ-ს შემდეგ დაისვას მძიმე.

1989. 24. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური,
ა. გვახარია, გ. არაბული.
განიხილეს 203-204 სტროფების კომენტარები.

203 „მე უხუცესმან“...

ე. მეტრეველი: ა, ბ-ის შინაარსი ასე მესმის: მე უფროსმა, უმცროს ძმებს
ის კაცი გამოვსთხოვე ხვეწნით [რომ არ მოეკლათ], ჩემმა მომდევნომ მისი
(უცხო მოყმის) ტაიჭი გამოვვთხოვა, ამიტომ აქო (ცხენი). მეორე ტაეპში
პუნქტუაცია ასე უნდა შევცვალოთ: „ჩემმან შედეგმან – ტაიჭი მისი, მით აქო
ქსენებით“.

ა. ბარამიძე: შეიძლება მივიღოთ ასეთი გაგება, ოღონდ პუნქტუაციის
შეცვლა საჭირო არ არის.

გ. კარტოზია: მესამე ტაეპში მიღებული გვაქვს უაღრესად ფორმა, რაც
ნიშნავს: ვუთხარით ალალი იყოსო. ტაეპის აზრია: მხოლოდ ამან (დაჭრილმა)
გვითხრა, მარტო მოვერევიო; ჩვენც ჩვენი ნებით დავეთანხმეთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წარმოდგენილი შინაარსი.

203,1 „ჩუენ მისითა მიზეზითა“...

გ. კარტოზია: ბ-ის კომენტარში ჩამატოს : A¹²-ის წაკითხვა – „ცაცა
მისთვის არა ჰკვირდა“ (= ცაც თავისთვის არ უკვირდა) – არის ტექსტის გაა-
ზრიანების ცდა. იზოლირებული წაკითხვა, ფაქტობრივად, ხელნაწერის კონი-
ექტურაა.

წინადადება მიღებულ იქნა.

204ა „ბროლმან ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიუნა“

ე. მეტრეველი: ვარდნი გაგებულა დაწვეების მეტაფორად; ვფიქრობ,
სახე უნდა ვიგულისხმოთ.

ა. ბარამიძე: რადგან მრავლ. რიცხვია (ვარდნი), ამიტომ უფრო სწორია
დაწვეები.

მიღებულ იქნა შინაარსი: ერთმანეთში შერეულმა წითელმა და თეთრმა
ფერმა დაწვეები გაანატიუნა.

ბ-ში გააყიუნა შეიცვალა გაამყიუნა ფორმით.

1989. 6. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვი-
ლი, შ. ძიძიგური, ა. გვახარია, გ. არაბული.
განიხილეს 212,1-214 სტროფები და მათი კომენტარები.

212,1ა „ჰპოვა ავთანდილ ტარიელ წინ-უკან მინადენია“...

გ. კარტოზია: სტრიქონის მეორე ნახევარი (წინ-უკან მინადენია) ტარიელის მსაზღვრელად უნდა იქნეს გაგებული. აქ ის აზრია, რომ ტარიელი წინ და უკან დადის უაზროდ. ასევე ფიქრობს ც. კიკვიძე.

გ. არაბული: სტრიქონში ისაა ნათქვამი, რომ ავთანდილმა იპოვა ტარიელი, ისინი მიდიან, ერთი წინ, მეორე – მის კვალზე. ამ აზრს უფრო ნათლად გამოხატავს ინტერპოლატორის სხვა სტროფი (212,2): „ავთანდილ მისდევს უკანა, ტარიელ მივა წინარე“...; კომენტარში ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სტროფი მხოლოდ ერთ ხელნაწერშია, ისინი მიწერილია B² ნუსხის არშიაზე (გვ. 7 r) და XVII ს-ის II ნახევრის ან უფრო გვიანდელი ხანის ავტორის ნახელავია. 212,1ა-ში ცეზურასთან მიძიმე უნდა დაისვას.

შენიშვნები გაზიარებულ იქნა.

214 „წინა-უკანა იარეს ორნი დღენი და ღამენი“...

გ. კარტოზია: ეს სტროფი ვალბად მიანჩნათ: იუსტ. აბულაძეს, მიხ. წერეთელს და პ. ინგოროყვას. მისი ჩანართობის საკითხი კვლავ დააყენა გ. არაბულმა და სცადა მისი დასაბუთება (იხ. მისი წიგნი, 1983, გვ. 40-48). მისი მთავარი არგუმენტებია: 1. სტროფი ენობრივად გაუმართავია: მეორე სტრიქონი სახელდებითი წინადადებაა, რომელიც სინტაქსურად არ უკავშირდება წინა და მომდევნო სტრიქონებს; გამოთქმა „თვალის წამენი“ ხელოვნური ფორმაა და რუსთველის ტექსტში არც გვხვდება. 2. მოქმედების დრო (ერთი დღე) არის გაზრდილი ორ დღეღამემდის; 3. „მათ თვალთა ცრემლი სდიოლეს“ ფაქტობრივი უზუსტობაა, – ავთანდილს იმჟამად სატირალი არაფერი ჰქონდა. წიგნში არის სხვა შენიშვნებიც. პირადად მე ეს არგუმენტები ვერ მარწმუნებს ამ სტროფის სიყალბეში.

ა. ბარამიძე: „ვეფხისტყაოსანს“ ისე არ უნდა შევხედოთ, როგორც ჩვეულებრივ ნაწარმოებს, მასში ბევრი რამეა პირობითი და გაზვიადებულიც. ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა ორი დღე-ღამე სიარული.

ს. ცაიშივილი: ზემოთ განხილული ჩანართი სტროფის ავტორს ეს სტროფი ძირითადად მიანჩნია და მას ბაძავს.

გ. არაბული: ინტერპოლატორისთვის ყველაფერი „ძირითადია“, რაც მასზე ადრე დაიწერა.

ც. კიკვიძე: ამ სტროფის სიყალბის მამხილებელი არგუმენტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მომდევნო სტროფის დასაწყისი: „დღისით ვლეს და საღამოჟამ გამოუჩნდეს დიდნი კლდენი“. ეს 213-ე სტროფის ლოგიკური გაგრძელებაა და მათ სიარულს ერთი დღით განსაზღვრავს.

კენჭისყრის შედეგად სტროფს ჩანართად თვლიან: ც. კიკვიძე, ა. გვახარია, გ. არაბული. ძირითადად – ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშივილი, შ. ძიძიგური.

1990. 19. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშივილი, ა. გვახარია, გ. არაბული, ნ. რამიშივილი.

განიხილეს 270-273 სტროფები.

კომენტარში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

შემდეგ იყო მსჯელობა 273,1-ის ჩანართობა-ძირითადობაზე („მისი მძებნელი იყომცა ჭკუითა მეტისმეტითა“...)

ბოლოს ყველა დაეთანხმა ძირითად ტექსტში შეტანის გადაწყვეტილებას, ს. ცაიშვილის გარდა. მას აექვევს, რომ: **1.** სტროფი არაა ვახტანგის გამოცემაში; **2.** ბუღბუღო „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არ გვხვდება; **3.** შინა-არსობრივ აყოვნებს თხრობას.

1991. 20. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური, ა. გვახარია, გ. არაბული.

განიხილეს 327–338 სტროფების კომენტარები.

327 „დღე და დამე მუჯამრითა“...

ა. გვახარია: მუჯამრი უფრო სწორი უნდა იყოს (და არა მუჯამარი).

328 „სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა“...

ა. გვახარია: შარდჷ სარდინიას აღნიშნავს და არა სარდინიულს. შარდის თხელი *муслин*, შესაძლებელია ამ ფუძეზე დ რითმისათვის იყოს დამატებული. ასეა „ვისრამიანში“.

დ „ტანითა, გაბონს განაზარდითა“...

ც. კიკვიძის წინადადებით განიმარტა: გაბონში გაზრდილი ნაძვის მსგავსი ტანის მქონე.

ბ დაჯრილა, დგას შეიცვალა : დაჯრილი დგის.

331 „პირმან ბროლბალახშეულმან“...

ა. გვახარია: $D^1D^2 A^{11} A^{12}$ - ში გვაქვს ვარიანტი: ბროლბალახშრეულმან, რაც უფრო სწორი ჩანს. „ვისრამიანში“ გვაქვს მსგავსი გამოთქმები: ვარდრეული, ქაფურრეული.

დაადგინეს: ა. გვახარიამ წარმოადგინოს უფრო ვრცელი დასაბუთება და შემდეგ დავაყენოთ ტექსტის გასწორების საკითხი.

334 ბ. „სიმძიმელსა მითხრობდიან“...

ა. გვახარია: ალბათ ნიშნავს: სამძიმარს მიცხადებდნენ.

ს. ცაიშვილი: სიმძიმელი მწუხარებაა.

გ. კარტოზია: ასე განვმარტოთ: მწუხარებას გამოთქვამდნენ.

მიღებულ იქნა.

335 „პატივს მცემდეს“...

ც. კიკვიძე: ეს ახალი წარმოებაა, უნდა გასწორდეს: პატივმცემდეს.

გ. კარტოზია: დასაბუთებაში დაემატოს II სერიის ფორმაც: პატივ-გცე.

337 „თავადობა ინდოთა და მრავალთაცა მქონდა სხუათა“..

შეტანილია ძირითად ტექსტში 1980. 8. X-ის სხდომაზე (წინააღმდეგი ა. ბარამიძე).

დასაბუთება იხ. – გ. არაბული 1983, გვ. 62-75.

337 „აღარა ვიცი, დამავიწყდეს, თუცა დიადი წელია“...
განხილული იყო 1980წ. 8 და 17 ოქტომბრის სხდომებზე. ჩაითვადა ჩანართად (წინააღმდეგნი: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი).
დასაბუთება იხ. იუსტ. აბულაძე 1926, XXXVI; გ. არაბული, 1983, 62-72.

1992. 23. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, გ. არაბული, ნ. რამიშვილი.

განხილეს 55-671 სტროფების კომენტარები.

55 ალაფობდეს საჭურჭლესა...

ა. ნათურქალსა განმარტებაში მიეთითოს: თ. ბაგრატიონი, დ. ჩუბინაშვილი, ს. იორდანიშვილი.

ბ ტაიჭ- სიტყვისათვის მოიძებნოს გ. წერეთლის სტატია (1966 წ.).

დ ცალიერსა მიღებულია ეს ფორმა, როგორც უფრო გავრცელებული რუსთველის ეპოქის ძეგლებში. დაემატოს მაგალითები.

56 დღე ერთ გარდახდა...

ბ ლაშქართა. მნიშვნელობისათვის მასალას მოიტანს ა. გვახარია. აგრ. იხ. ინგა კალაძე – „ვისრამიანის“ ლექსიკიდან (თსუ შრომები, ტ. 180, 1976 წ.).

58 თქვეს, თუ...

ბ. თვარა. ფორმისათვის დავიმოწმეთ საშუალო ქართულის ტექსტები და ვუკ. ბერიძე („ვეფხისტყაოსნის კომენტარი“, გვ. 54).

61 რა მეფემან...

გ. ბრძანებანი უიმედნა = საიმედო სიტყვა უთხრა. მოვძებნოთ სათანადო კონტექსტები ძველ ტექსტებში.

დ. ტყუის. უნდა იყოს: ტყუვის. დავასაბუთოთ მასალით.

66 კვლა უბრძანა...

ა. რა დამგმეო = რა დამიგმე (რა დამიწუნე).

კომენტარში აღინიშნოს, რომ სტროფს ჩანართად მიიჩნევს მ. წერეთელი.

67,1 მეფე ლადი და წყლიანი...

გ შემომიხჭელ. გასწორდა: შემომიხჭე.

სტროფის ჩანართობის საკითხი გადავწყვიტოთ რედაქციის გაფართოებულ სხდომაზე.

1992. 21. X.

სხდომას დაესწრნენ: ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, გ. არაბული, ნ. რამიშვილი.

განხილეს 68-75 სტროფების კომენტარები.

68 მე არ შეგარჩენ...

ბ. ნუ იქო შედრეკილობა-კლებასა განმარტებულია: ნუ შედრეკები, უკან ნუ დაიხევე. გასწორდეს ასე: ნუ შედრეკები, სისუსტეს ნუ გამოიჩენო.

69,1 მეფე უბრძანებს...

გ. არ ღაფალ-აფად გამოთქმისათვის შდრ.: „ყმა გარდასვა მასპინძელმან, არ ღაფალმან, ავმან, უქმან“ (728,1).

72 შეეკაზმა მეფე...

ა. შეეკაზმა-სთან დაემატა თ. ბაგრატიონის განმარტება: „საცხენო იარაღით შეეკაზმეა“.

გ. ა. გვახარია: ზეიმი არ არის праздник. ზეიმი = ზაჰმი // ზმა არის ჩოჩქოლი, ხმაური.

73 უბრძანა...

ბრძანებითის ფორმები თარგმანში გადმოიცეს II სერიის ბრძანებითე-ბით: **ა. ვლიდითა** = იარეთ! **ბ. მოგვეცემდით** = მოგვეცით! **გ. დასთვალვიდი-თა** = დათვალეთ!

75 ცხენთა მათთა...

გ. მონანიყე მიაართმედეს. ყე-ს მნიშვნელობისათვის მიეთითოს მ. ჯანაშვილი, 1912; სილ. ხუნდაძე, 1922; ა. შანიძე, 1957.

1992. 16. XII

სხლომას დაესწრნენ: **ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, გ. არაბული, ნ. რამიშვილი, თ. ცქიტიშვილი.**
განიხილეს 76-79 სტროფების კომენტარები.

76. იგი ველი გაირბინეს...

ბ ცათა ღმერთი შეარისხეს.

გ. კარტოზია: ცათა აქ ცის მრავლობითის ნათ. ბრუნვის ფორმა უნდა იყოს.

გ. არაბული: რუსთველის მიხედვით, ღმერთი მარტო ცათა კი არა, ხმელეთისაცაა, შდრ.: „ღმერთო წმელთა და ცათაო“ (807ა), ამიტომ „ცათა ღმერთი“ არაზუსტი ცნება გამოდის. ალბათ, იგულისხმება ცაში მყოფი, „მაღალი“ ღმერთი.

გ. კარტოზია: მე მგონია, არაა სავალდებულო ორივე კომპონენტის აუცილებლად ხმარება.

სხვები მხარს უჭერენ გაგებას: ცაში (მაღლა) ღმერთი განარისხეს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს უმრავლესობის აზრი. აგრეთვე აღინიშნოს, რომ ამ სტროფს ყალბად თვლიდა 1935 – 37 წწ. კომისია წინა და მომდევნო სტროფებთან აზრობრივი იდენტურობის გამო.

77 იგი მინდორი დალიეს...

დ. მოსწყდეს რაზომცა მხნენია, განიმარტოს: ჩამორჩნენ (გაქცეულ ნადირს), თუმცა კვლავ მხნედ იყვნენ.

77,1 ა. რა მორივნა დღემ ღამესა = დღე რომ ღამეს მოერია (როდესაც გათენდა).

1993. 20. IX

სხდომას დაესხნენ: ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, გ. არაბული. განიხილეს 80-82 სტროფების კომენტარები.

80_ა ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასჯერ ოცია –

გ. არაბული: ესაა ფანტასტიკური ჰიპერბოლა, სრულიად ზედმეტი და უსარგებლო როგორც აზრობრივი, ისე მხატვრული თვალსაზრისით. ორმა კაცმა ერთ დღეს 2000 სული ნადირი დახოცა და ამ უამრავ ნანადირეში 20-ით მეტი ჭაბუკი სპასპეტის, ავთანდილის, მოკლული იყო, – ამის თქმა საეჭვოს ხდის თვით ავთანდილის მონადირულ და მეომრულ უნარს, მის სიმარდესა და ჩუბინობას. ამიტომ უნდა მივიღოთ C³-ში, პ. ინგოროყვასა და მის. წერეთლის გამოცემებში არსებული ვარიანტი: „ათჯერ ოცია“. ორი კაცის წილად ორასი ნადირის მოკვლაც ჰიპერბოლაა, მაგრამ მხატვრულად მაინც გამართლებული და აზრობრივად მისაღები. ამასთან, ოცით მეტნაკლებობა ორასში რეალურ სხვაობას ნიშნავს და ავთანდილის უპირატესობას მართლაც წარმოაჩენს, რაც 2000-თან მიმართებით, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთის ტოლია.

ა. გვახარია: ასე ხელაღებით ვერ უარვევოთ ხელნაწერთა აბსოლუტური უმეტესობის ჩვენებას.

გ. არაბული: უნდა ვივარაუდოთ, რომ წაკითხვა „ასჯერ ოცია“ ერთ-ერთი ადრინდელი გადაამწერის უნებლიე შეცდომის ან მხატვრული სახის გაძლიერების გაუაზრებელი მცდელობის შედეგია, რომელიც შემდეგ სხვა ნუსხეში გავრცელდა (იხ. აგრ. პ. ინგოროყვა, 1953, 419).

დაადგინეს: საკითხის განხილვა გადაიდოს მთავარი რედაქციის გაფართოებული სხდომისათვის.

80,1 მეფე თავის სიჯაბნესა...

ა სიჯაბნე – სისუსტე, აქ: დამარცხება.

ბ მუნიო – იქიდან, აქ: იქით. შდრ.: „წადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნიოვე, შენი მზე სით-ა“ (924დ).

81 მეფესა ესე ამბავი...

დ ლაღობს. განმარტება: „ხუმრობს“ შეიცვალოს: ხარობს.

82 იგი ორნივე...

ა საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა = ხეების ძირს ჩამოხდნენ (ცხენებიდან) ჩრდილში.

1993. 27. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, გ. არაბული.
განიხილეს 83-86 სტროფების კომენტარები.

83 ნახეს უცხო...

ბ შავი ცხენი სადავითა...

ც. კიკვიძე: ვარიანტის **სადევითა** ავთენტიკურობა დასა ბუთებუღია
ა. ჭინჭარაულის მიერ.

გ. კარტოზია: განვიხილოთ შემდეგ, სრული შემადგენლობით.

ჰყვა – ჰყავდა, აქ: ეჭირა.

ლომსა და ვითა გმირსა, კონსტრუქციისათვის შდრ.: „ზაფრანად და
ვითა სპეტად“ (498ბ); „ზროხათა, ვითა ვირთაო“ (541გ).

გ ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა დაემატოს ი. გიგინეიშვილის ვარაუდი **ლაგამ-
აბჯანდ-უნაგირის** თაობაზე.

83,1 აქა ჩადის...

აღინიშნოს, რომ ხელნაწერებში სტროფი მოთავსებულია 83-ე სტროფის
წინ.

84,1 მნახავნი მოდგეს...

დ. ჩვენთან არ უჩანს ზავია. შინაარსი: ჩვენთან ურთიერთობა არ უნდა.

84,2 მეფემან ბრძანა: „ვინ არის...“

სტროფი დარჩა ჩანართად, თუმცა მისი ჩანართობის მტკიცებას არგუ-
მენტაცია აკლია. აღინიშნა, რომ სტროფის ავთენტიკურობის საბუთად მ. თავ-
დიშვილი თავიდან ბოლომდე იმეორებს კ. ჭიჭინაძისა და ნ. ნათაძის აზრებს
(მათ დაუსახელებლად). ე. ი. მას ახალი არგუმენტები არ აქვს.

84,3 როსტევან სჭვრეტდა...

ბ განათლებული = გაბრწყინებული.

84,4 როსტან მონა გაუგზავნა

ბ საწუთრო არა ჰკვირსა = ამქვეყნიური ცხოვრება არ აინტერესებს.

85 წავიდა მონა საუბრად...

სართომო სიტყვები დასაშვებია ბოლოკიდური **დ-ონის** გარეშე, მესამეს
(ღარი სად) გარდა, ამიტომ ყველგან დავტოვეთ **დ-ონით**.

86 ვერა ჰკადრა...

დ გაუშეცარდა-ს შესახებ გათვალისწინებულ იქნას იუსტ. აბულაძის,
ა. შანიძის, ი. გიგინეიშვილის მოსაზრებანი.

1994. 10. V

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე.
იმსჯელეს ზოგიერთი სტრიქონის განმარტებასა და კომენტარის შევსება-
ზე II ტომის დედანში.

165. მიწაცა თქენი...

დ. „ჩემსა მშვილდსა და ცერასა“. იუსტ. აბულაძის განმარტება ცერა-სი ორ ადგილასა. ალბათ, უნდა შევაერთოთ. დაზუსტდეს თარიღი – 1938 თუ 1937?

169. ესე წიგნი...

გ ბრძანა: „მინდორს შევჯდებიო“ = მინდორში წავალ [სანადიროდ]?

170 ბრძანა: „წადით...“

გ. მარტო გარე შემობრუნდა. იხ. ნ. ნათაძის განმარტება: გატრიალდა, გაბრუნდა.

171 იგი ველი გაირბინა...

კომენტარში აღინიშნოს, რომ სტროფს ყალბად თვლიდნენ. ა. ბარამიძე და იუსტ. აბულაძე, გაუგებარი მაჯამების გამო (ს. ყუბან. 1973, 164-166).

190 მითი ჩამოვიდა ავთანდილ...

ა. გვახარია: გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია. აქ და უფუნქციო ჩანს.

ბ. კარტოზია: ასეთი შემთხვევები ტექსტში სხვაგანაც არის, მაგ.: „სადაა ჩემი მოყვარე და ვისთვის ცრემლი მდენია“ (13262). და აქ სასვენ ნიშანს (მძიმეს) ცვლის.

გ. არაბული: ეს სტროფი არაა A რედაქციის ნუსხებში და C⁵-ში, რაც სერიოზულ ეჭვს აჩენს მის ავთენტიკურობაზე. მეორეც, ის ჩართულია ავთანდილის მსჯელობაში და აზრის ლოგიკურ მსვლელობას აფერხებს. თუ სტროფი მაინც დარჩება ძირითად ტექსტში, მას ადგილი უნდა შეეცვალოს, უნდა გადავიტანოთ 191-ე სტროფის შემდეგ. სიტუაცია ასეთია: ავთანდილი მაღალ მთაზე დგას და ფიქრობს, რომ უცხო მოყმის ძებნას აზრი აღარ აქვს. მან შინ დაბრუნება გადაწყვიტა და, მთიდან რომ ჩანდა, „მას მინდორსა დაემართა, [უკან დასაბრუნებელი] გზა თვალითა გამოსახა“. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ითქვას: „მითი ჩამოვიდა ავთანდილ“ და სხვ.

დ. კიკვიძე: ამ შენიშვნების იგნორირება არ შეიძლება. ვიფიქროთ და ჩვენი მოსაზრებები წარმოვადგინოთ შემდგომ სხდომაზე.

1997. 18. V

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის დასაბეჭდად მომზადებასთან დაკავშირებით რედაქცია მიუბრუნდა პოემის „დასაწყისის“ კომენტარებს მისი შევსებისა და დაზუსტების მიზნით.

01 პირველ თავი, დასაწყისი, ნათქვამია იგ სპარსულად...

ც. კიკვიძე: კომენტარში შევიტანოთ მ. გუგუშვილის შენიშვნა, რომ ესაა პირველი კრიტიკული შეფასება პოემის სიუჟეტის უცხოური წარმომავლობისა და მისი, როგორც იდეურად მიუღებელი წიგნის შესახებ.

გ. კარტოზია: ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნუსხების მეოთხე რედაქცია (D¹ D⁴ D⁵) იძლევა პრინციპულად სხვაგვარ წაკითხვას; გადამწერი ცვლის ინტერპოლაციის ტექსტს და წიგნს „მსმენელთათვის მარგებელს“ უწოდებს.

გ. არაბული: ჩემი აზრით, ტაეპის პირველი ნახევრის „თარგმანი“: „**პირველი თავი**, დასაწყისი, ანუ პოემის შესავალი, პროლოგი“ – სადავოა. (ასე „თარგმნიან“ ა. გაწერელია, მ. გუგუშვილი, შ. ონიანი, ბ. კილანავა და ჩვენი მთ. რედაქციაც მათ ეთანხმება). თუ „სპარსულობაზე“ საუბარი, წარმოუდგენელია, ინტერპოლატორს მხოლოდ პროლოგი მიეჩნია სპარსულიდან თარგმნილად ან სპარსული პოემების მიბაძვით დაწერილად.

ეგრძოდ, სიტყვა-ცნებების შესახებ: **პირველ** მიხნეულია ზედსართავად, ანუ მსაზღვრელად (პირველი თავი). ჩემი აზრით, **პირველ** ზმნიხედაა (= სულ პირველად). შდრ. ამავე პროლოგიდან: მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა **პირველ** შეუყვარდეს (261); „შაირობა **პირველადვე** (= იმთავითვე)...“ (121). აგრ. „ხოლო **პირველ** ათისა წლისა მირიან მეფისა... უფალმან ... გამოაჩინა მეფე მორწმუნე კონსტანტინე“ (წმ. ნინოს ცხ.), რაც ნიშნავს: მირიან მეფეზე ათი წლით ადრე...

სიტყვები: „**თავი**“, „**დასაწყისი**“ შეიძლება ნიშნავდეს: სათავეს, საფუძველს, ფაბულას ან თხზულების ორიგინალს, რომელიც პირველად სპარსულად შექმნილა. ცხადია, რომ ეს ცნობა ინტერპოლატორს პროლოგის მეცხრე სტროფიდან აქვს („ესე ამბავი სპარსული...“)

ა. გვახარია: საჭიროა კიდევ მასალის მოძებნა სადავო სიტყვა-ცნებების დაზუსტებისათვის. ამჯერად გ. არაბულის აზრი კომენტარში შევიტანოთ, როგორც უმრავლესობისაგან განსხვავებული.

12 გვირგვინი, ტახტი...

გ. **მირველი** კომენტარში შევიდეს ა. გვახარიას ეტიმოლოგია (მასალა სპარსულიდან მიმდინარეობაზე).

2_ა **სახე** ყოვლისა **ტანისა** იხ. 1987, I. XII–ის ოქმი.

2_ბ **ძლევა მეც**

ზ. სარჯველაძე: უნდა დავწეროთ დეფისით: **ძლევა-მეც**.

4_ა **თამარს ვაქებდეთ** მეფესა სისხლისა **ცრემლდათხეული**.

მეთითოს ზ. გამსახურდიას აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორიული პოემაა... (მაცნე, ელს, 1987, №4).

5_დ **გჭრდემლი ტყევივისა...**

კომენტარში დაემატოს ა. აბუნდაძე, 1994, გვ. 45.

6_გ **ტარიელ** სახელის ეტიმოლოგია და შინაარსი. დაემატოს ზ. გამსახურდია (აკად. მოამბე, 127, №3, 1987; ლიტ. ძიებანი, 2, 1987).

8_ა **ამა დარი**. გასწორდა: **ამადარი** (= ამგვარი, ამნაირი), მიხნეულია პოეტურ ლიცენციად. კომენტარს დაემატოს სხვაგვარი გაგებისათვის პ. ინგოროყვა, 1963, გვ. 83; 1970, გვ. 433-434.

8_ბ **მისთვის ვხელობ**

კომენტარს დაემატოს ზ. გამსახურდია (1987, მაცნე № 4): პოეტის მიჯნურობა თამარისადმი არის საღვთო მიჯნურობა...

9 ესე ამბავი სპარსული...

კომენტარში დაემატა: ნ. საღია (1965), გ. იმედაშვილი (1968), ნ. ჭოლოკავა (1993; 1994): რომ „სპარსული“ ლიტერატურული ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინია, გულისხმობს სამიჯნურო, საგმირო თავგადასავლის მომცველ ამბავს.

10 თჳალთა მისგან უნათლოთა...

ა. ახლად ჩენა. დაემატოს ზ. გამსახურდია (1987; 1991): აქ იგულისხმება „ახლად ჩენა“ ღვთისა, დაბრუნება სამოთხის ყოფისა.

დ სამთა ფერთა საქებულთა. დაემატოს: „სამი ფერი“ ნიშნავს სამ პირს, სამების ანარეკლს, სამსახოვან წმიდა გიორგის, რომელიც პოემის სამ გმირშია განპიროვნებული (ზ. გამსახურდია, 1987, 1991).

შინაარსი: სამი გმირის შესაფერ სახოტბო ლექსებს უნდა მოღვევა (სრულად თქმა).

11 რაცა ვისცა ბედმან მისცეს...

მიეთითოს განსხვავებული წაკითხვა: **რაცა ვის რა** (ა. ჭინჭარაული, 1992, 15).

12 შაირობა პირველადე...

გ კულა აქაცა ეამების... დაემატოს ზ. გამსახურდია (1991, 15): „აქაცა“ გულისხმობს საერო საზოგადოებას, სამონასტროს საპირისპიროდ.

17 მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ სამღერელად...

ც. კიკვიძე: პირველ ტაქტში მეტრული წყობა დარღვეულია: პირველ ნახევარში დაბალი შაირია (5+3), მეორეში – მაღალი (4+4). ეს გახდა მისი გასწორების მიზეზი: „მერმე ლექსი კარგი არის...“ (პ. ინგოროყვა), რომლის ავთენტიკურობის დასაბუთებას ცდილობს რ. ფირცხალაიშვილი $C^5(X)$ ხელნაწერზე დაყრდნობით.

გ. არაბული: სწორია რ. ფირცხალაიშვილის შენიშვნა, რომ C^5 -ის გადამწერი ტექსტს არ ასწორებს და ეს წაკითხვა მის მიერ დედნად გამოყენებულ ხელნაწერშიც ასე ყოფილა, მაგრამ ის მაინც მეორეული ჩანს და ვერსიფიკაციაში გარკვეული ერთ-ერთი გადამწერის შესწორება უნდა იყოს. ნუსხათა აბსოლუტურ უმეტესობაში მეტრულად გაუმართავი წაკითხვაა, რაც უფრო ძველი პროტოგრაფებიდან მოდის და რუსთველის რომელიღაც მიმბაძველის დამსახურებაა.

ამ სტროფის უფრო დიდი ნაკლის და მისი სიყალბის მაჩვენებელი სხვა რამეა: ის თეორიულად უპირისპირდება პოეზიის რუსთველისეულ კლასიფიკაციას. რუსთველისთვის პოეზიის ორი დარგი, ანუ ორი სახე (დღევანდელი ტერმინით – ჟანრი) არსებობს. ფორმის მხრივ ესენია გრძელი ლექსი (ეპოსი) და „ცოტა“, მოკლე ლექსი (ლირიკა); შინაარსის მიხედვით: პირველი – სიბრძნის შემცველი, მაღალი რანგისა და საღვთო დანიშნულებისაა (რელიგიური შინაარსისა და ღვთისმსახურების დროს შესასრულებელი); მეორე – საერო პირთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი ლექს-სიმღერებია, მათი ჭირისა და ღხინის აუცილებელი ატრიბუტი. ისინი, პირველთან შედარებით, დიდ შემოქმედე

ბით ნიჭსა და უნარს არ მოითხოვენ, ამით ჰგვანან ყმაწვილების სუსტ მშვილდ-ისარს. ამ დარგში (ჟანრში) შედის ის ნადიმში სამღერი, სააშიკო და სალადობო ლექსები, რომელთაც ინტერპოლატორი მესამე სახედ გამოყოფს.

ეს სტროფი, ფაქტობრივად, დეტალიზაცია და რეაბილიტაციის ცდაა მე-16 სტროფში „ცოტა ლექსად“ წოდებული ლირიკული ჟანრისა და თავის კომპილაციურ ხასიათს ლექსიკური ნასესხობითაც ავლენს: მესამე ტაეპში – „ჩვენ მათიცა გვეამების“ გამეორებაა 123-ისა: „კვლა აქაცა ეამების...“, ხოლო მეოთხე ტაეპი პარაფრაზია 143-ისა: „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვამცირობა“ და 151-ისა: „მოშიარე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი...“

ა. გვახარია: ხომ შეიძლებოდა, რომ ეს ჩამოთვლა, თემატიკის დაკონკრეტება, თვითონ რუსთველს გაეკეთებინა?

ბ. არაბული: ასე რომ იყოს, პოეტი ჯერ იტყოდა, რა თემატიკას მოიცავს „მეორე ლექსი“ და შემდეგ გადავიდოდა „მესამის“ დახასიათებაზე. მაგრამ რუსთველისთვის მესამე ჯგუფი (ჟანრი) არ არსებობს. მისთვის მეორე და მესამე ერთი და იგივეა, ანუ მეორე ჟანრია ის, რასაც მისი მიმბაძველ-კომენტატორი მე-17 სტროფში ასახელებს. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსთველის დონის პოეტი ასე პროზაულად არ გაიმეორებს წინა სტროფებში ხმარებულ გამოთქმებს. კიდევ – მეოთხე სტრიქონის შინაარსი უპირისპირდება პირველ სტრიქონს, რომ „მესამე [მოკლე] ლექსი კარგია“. ე. ი. ამ სტროფის ავტორი ოთხ სტრიქონს ისე ვერ წერს, რომ ლოგიკურ წინააღმდეგობას არ წააწყდეს.

ბ. კარტოზია: ეს სტროფი ძირითადი ტექსტის კუთვნილად არის მიჩნეული მთავარი რედაქციის იმ წევრების მიერ, რომლებიც ამჟამად ცოცხალნი არ არიან. ამიტომ, ახლა რომ ამოვიღოთ, მორალურად მათ მიმართ მართალნი არ ვიქნებით.

დაადგინეს: სტროფი დარჩეს ძირითად ტექსტში.

18 ხამს, მეღექსე ნაჭირვებსა მისსა ცუდად არ აბრკობდეს,
ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშიკობდეს...

ბ. არაბული: ამ სტრიქონების „თარგმანი“ (შინაარსი) არაზუსტია. **ბრკობა** („ბრკუმა“) ნიშნავს დაბრკოლებას, შეფერხებას, შეცდომას. მაგრამ ამ კონტექსტში ძალდატანებითი ჩანს ასეთი განმარტება: „ამოდ არ აფერხებდეს (აჩერებდეს) [ერთის გარდა სხვაზე]. ძნელდება „შეფერხებისა“ და „შეჩერების“ ცნებების მისადაგება პოეტურ შემოქმედებასთან. ამიტომ ცდილობენ კომენტატორები „ბრკობას“ მოუძებნონ კონტექსტის შესაფერი ნიუანსი (დახარჯვა, გაფანტვა, გაბნევა...).

მეორე სტრიქონში გაიგივებულია მიჯნურობა და აშიკობა (თარგმანშიც ორივე გამოხატულია ერთი ცნებით – „ტრფობა“), რაც ამ სტროფის რუსთველურობას სადავოს ხდის.

კომენტარის ერთი წინადადება – „არ არის აუცილებელი, მიჯნურობა და აშიკობა ყოველვის სრულ სინონიმებად გავიგოთ“ – კიდევ უფრო აბუნდოვანებს საკითხს. **მართლაც, არ უნდა გავიგოთ სინონიმებად!** რუსთველისა და მისი პერსონაჟებისათვის მიჯნურობასა და აშიკობას სხვადასხვა შინაარსი აქვს და ერთი პიროვნების მიმართ ორივე ტერმინის გამოყენება მათთვის დაუშვებელია. სტროფის ეს ორაზროვნება ან უნდა აიხსნას როგორმე, ან უნდა ვადიაროთ, რომ მისი ავტორი არა რუსთველი, არამედ სხვა პიროვნებაა, რომლისთვისაც მიჯნურობას დაკარგული აქვს რუსთველური შინაარსი და ის აშიკობას, ვულგარულ საყვარლობას უთანაბრდება.

დაადგინეს: მოვიძიოთ დამატებითი მასალა და შემდეგ დავუბრუნდეთ მის განხილვას.

19_ა ყოველმან, გასწორდა: ყველამან.

ა. გვახარია: მიეთითოს რ. ბერიძის წერილი („კალმასობა“, 1997, № 1), რომ „ყოველმან“ ხელნაწერებში არ არის; ეს ფორმა პირველი გამოცემის კორექტურული შეცდომის შედეგად დამკვიდრდა სხვა გამოცემებში.

19_ბ იგია ჩემი სიცოცხლე..

ც. კიკვიძე: კომენტარში დაემატოს დ. ქუმსიშვილის სხვაგვარი გაგება, რომ პოეტის ეს ფრაზა გულისხმობს არა თამარ მეფეს, არამედ რუსთაველის შემოქმედებას, რომელიც მისი (ავტორის) სიცოცხლის არსს წარმოადგენს (დ. ქუმს. 1968, 263-266).

1997. 26. V

სხლომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი.
განიხილეს პროლოგის 20-29 სტროფების კომენტარები.

20_ა ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა

ც. კიკვიძე: აქ უნდა ჩაემატოს სოლ. ცაიშვილი (1984, № 2): რუსთაველის „მიჯნურობა პირველი“ თანხვდება ქრისტიანული სამების შინაარსს. აგრ. ზ. გამსახურდია (1987, №4): „მიჯნურობა პირველი“ არის თავად ღმერთი. გამოთქმა „ტომი გვართა ზენათა“ სამებას გულისხმობს. ორივე ავტორი იმოწმებს იოანეს I ეპისტოლეს („სიყუარულ არს ღმერთი“).

ზ. სარჯველაძე: IV ტაეპის კომენტარში შ. ხიდაშელისა და პ. ინგოროყვას „თარგმანს“ მიეცეს მიუღებლის, ტექსტის არასწორად გაგების კვალიფიკაცია.

21_ა ჭკჭიანნი ვერ მიხედებია

გ. არაბული: ჩაემატოს ვლ. ნორაკიძის განმარტება (1966).

22_დ ქვე უც

ზ. სარჯველაძის წინადადებით დაიწერა ერთად: **ქვეუც**.

23_ბ სიმდიდრე-ს კომენტარში დაემატა დ. ქუმსიშვილის აზრი (როგორც მცდარი), რომ **სიმდაბლე** ეწინააღმდეგება მიჯნურის თვისებას (დ. ქუმს. 1988).

24_დ გესმის ჩემი ნაუბარი?

გ. არაბული: მე მთელი სტროფი ყაღბად მიმაჩნია და ამის ერთ-ერთი ნიშანი ეს „არაპოეტური და ფამილარული“ (შ. ნიშნიანიძის შეფასება) მიმართვაა. ბანალურია სტროფის აზრი, რომ მიჯნურობა და სიძვა „სხვადა-სხვაა“. გამოთქმა „ძნელი გვარი“ „ძნელად სათქმელის“ (20₂) ცუდი პარაფრაზია.

გესმას ფორმას მხარს უჭერენ: ბ. ბრეგვაძე, თ. ცქიტიშვილი.

გესმის? – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ა. გვახარია, ზ. სარჯველაძე.

დაადგინეს: დარჩეს ფორმა „გესმის?“. გ. არაბულის აზრი სტროფის ჩანართობის შესახებ აღინიშნოს კომენტარში.

25 ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში...

გ. არაბული: ეს სტროფი 24-ის აზრობრივი გაგრძელებაა და მის მსგავსად, ბანალური აზრების გამეორებით ხასიათდება, ხოლო ორიგინალობას იჩენს უარყოფითი ზედსართავ-ეპითეტების ჩამოთვლაში, რომლებიც ნამდვილ მიჯნურს არ უნდა ახასიათებდეს. მესამე სტრიქონი: „გული ერთსა დააჯეროს...“ პარაფრაზია 27-ე სტროფიდან მესამე-მეოთხე სტრიქონებისა: „...დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა...“ ის არაფერს კმატებს მიჯნურობის რუსთველისეულ გაგებას, რომელიც სრულად და ნათლად არის ჩამოყალიბებული მე-20-23-ე სტროფებში.

დაადგინეს: სტროფი დარჩეს ძირითად ტექსტში (წინააღმდეგნი გ. არაბული, თ. ცქიტიშვილი).

26 მას ცოცხალი ნუ ელევის...

გ. კარტოზია: სტროფი აზრობრივად და ვერსიფიკაციულად გამართულია, არის ყველა ხელნაწერში, ძირითად ტექსტში შეიტანეს კ. ჭიჭინაძემ (1934), ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ (1966). აგრეთვე ნ. ნათაძემ (1974), ერთგვარი ეჭვით და შენიშვნით. ჩვენ არა გვაქვს რეალური საფუძველი და მყარი არგუმენტი ჩანართად მიხნევისათვის.

გ. არაბული: ეს სტროფი, მართლაც, ცოტათი უკეთესია 24-ე, 25-ე სტროფებზე, მაგრამ მაინც სარისკო საქმეა მისთვის რუსთველურის სტატუსის მინიჭება. 24-დან დაწყებული 32-მდე მეტ-ნაკლებად ყველა სტროფი საეჭვოა, ყველა ერთსა და იმავე შინაარსს იმეორებს მცირე ლექსიკური და პოეტიკური ცვლილებებით. სამწუხაროდ, ვერცერთმა კომისიამ ვერ მოიცალა იმისათვის, რომ ჩაეტარებინა ვრცელი თეორიული და პოეტიკური ანალიზი და საგრძნობი კორექტივი შეეტანა პროლოგის პირველი ბეჭდური გამოცემით დამკვიდრებულ ტექსტში.

ზ. სარჯველაძე: რატომ გაქვთ ასეთი კრიტიკული პოზიცია მაინცდამაინც პროლოგის ტექსტის მიმართ?

გ. არაბული: კრიტიკული და ნიჰილისტური მიდგომა ამ ნაწილის მიმართ ტექსტის კომენტატორებსა და გამომცემლებს ყოველთვის ჰქონდათ. მათგან ზოგიერთმა „დასაწყისის“ მოცულობა 15-მდე, ზოგმა კი 5 სტროფამდე დაიყვანა. მიზეზიც გასაგებია: მიმბაძველთა მოქმედებისათვის თვით „დასაწყისის“ თემატიკა იძლეოდა საუკეთესო მოტივაციას; სიყვარული, მიჯნურობა, აშოკობა – ისეთი თემებია, ვინცკი კალამს აიღებდა ხელში, ყველა ეცდებოდა მის შევსებასა და „გამდიდრებას“. XVIII საუკუნის დამდეგისთვის პოემის ტექსტი ისე აიმღვრა და დამძიმდა ჩანართ-დანართთა ბალასტით, რომ პირველი გამოცემის მესვეურთათვის შეუძლებელი გამხდარა რუსთველისა და მის მიმბაძველთა შემოქმედების ზუსტად და უცდომლად გამიჯნვა. ვახტანგისეული რედაქციის ძირითად ნაწილში შემდეგ გარკვეული ცვლილებები მოხდა, „დასაწყისის“ შედგენილობა კი უცვლელი დარჩა, რაც ტექსტოლოგიური თვალსაზრისით მიუღებელი და არალოგიკურია. ყველაზე მეტად კრიტიკული განხილვა და ცვლილება აქ იყო აუცილებელი. ახლა, ჩვენს დღევანდელ საქმეს რომ მივუბრუნდეთ, 26-ე სტროფის შეტანა ძირითად ტექსტში საჭიროდ არ მიმაჩნია.

კენჭისყრით სტროფის აღდგენას მხარს უჭერენ: ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე. წინააღმდეგნი: გ. არაბული, თ. ცქიტიშვილი.

29 ხამს, თავისსა ზნაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს...

გ. არაბული: აქ და მომდევნო სტროფებშიაც კვლავ გრძელდება მომაბეზრებელი დიდაქტიკა და ზნეობრიობისკენ მოწოდება. ამასთან ერთად, იცვლება ტერმინოლოგია: მიჯნურის ნაცვლად მოყვარე ან საყვარელი გამოიყენება; „მოყვარეთა“ ურთიერთობა კი აშიკობის ან უფრო ვულგარული ფორმის – საყვარლობანას დონეზე განიხილება. მოკლედ, 29-31 სტროფებში რუსთველურ მიჯნურობაზე აღარ არის ლაპარაკი, აქ შეცვლილია მსჯელობის თემაც და მისი შეფასების კრიტერიუმიც. აქ სხვა ზნეობრივი ნორმები მოქმედებს. საყვარლების, ანუ „მოყვარეთა“, ურთიერთობის მუდმივი თანამდევია „გამჟღავნება“ და „მოყვინება“, რაც რუსთველური მიჯნურობის კოდექსში არ ფიგურირებდა.

ამის გამო დასახელებული სტროფების ავთენტიკურობა საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგას. არაერთხელ დაუყენებიათ ეს საკითხი ა. სარაჯიშვილს, ნ. მარს, იუსტ. აბულაძეს, პ. ინგოროყვას, დ. კარიჭაშვილს, მ. წერეთელს, ზ. გამსახურდიას და სხვებს, მაგრამ პრობლემა დღემდე გადაჭრილი არ არის.

კენჭისყრის შედეგად 29-ე სტროფი ჩანართად მიიჩნიათ: გ. არაბულს, ბ. ბრეგვაძეს, ა. გვახარიას, თ. ცქიტიშვილს. ძირითადად თვლიან: გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე. შემდეგ მათ შეუერთდა თ. გამყრელიძე.

1997. 8. VI

სხლომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს 67-84 სტროფები და მათი კომენტარები.

67, თქვენს წინა ზ. სარჯველაძის წინადადებით გასწორდა: თქვენ წინა.

67,1 მეფე ლალი და წყლიანი გამხიარულდა მეტადრე...

გ. კარტოზია: ეს სტროფი ჩანართად არის მიჩნეული მთავარი რედაქციის შემადგენლობის მიერ. ჩვენ ხელახლა განვიხილეთ 1992 წელს, მაგრამ მისი ჩანართობა-ძირითადობის საკითხი ვერ გადავწყვიტეთ რედაქციის არასრული შემადგენლობის გამო. აქ პრობლემა ასე დგას: როსტევეანისა და ავთანდილის დიალოგში მეფის ერთ-ერთი პასუხი ავტორისეული რემარკის გარეშე იწყება („მე არ შეგარჩენ...“), რაც ეპიკურ თხზულებაში სტილური ნორმიდან გადახვევად აღიქმება. ამ ხარვეზს ავსებს სადავო სტროფი, რომელიც სტილის მხრივ მთლად სრულყოფილი არაა, მაგრამ არც იმდენად უვარგისია, რომ მისი სიყალბის დამტკიცება შეეძლოთ. ნ. ნათაძემ შეიტანა სასკოლო გამოცემაში, თუმცა შენიშნავს, რომ: „დიდად საეჭვო სტროფია“.

ც. კიკვიძე და ა. გვახარია მხარს უჭერენ სტროფის ძირითად ტექსტში აღდგენას.

გ. არაბული: ირ. კენჭოშვილმა (1980 წ.) აღნიშნა: „ვტ“-ში ორი შემთხვევა გვაქვს, როცა დიალოგში მონაწილის სიტყვა ავტორის რემარკის გარეშე

იწყება, მაგრამ მან ერთმნიშვნელოვანი დასკვნა ვერ გააკეთა, 68-ე და 233-ე სტროფები ნორმისაგან გადახვევის შეგნებული ცდაა თუ შემთხვევითი რეციდივია? სადავო სტროფის -რე ნაწილაკიანი სართიმო სიტყვები (მეტადრე, ზედადრე, ბედადრე) მართლაც ტავტოლოგიის შთაბეჭდილებას ქმნიან, მაგრამ ვფიქრობ, მაინც უნდა შევიტანოთ ძირითად ტექსტში, რათა უფრო დიდი უხერხულობა ავიცილოთ; ოღონდ მანამდე მესამე ტაეპში **შემომიხვე** შევცვალოთ **შემომიწვედ** ფორმით. **მივდომა, ზედ შევდომა** სამტროდ მიჭრას, თავდასხმას ნიშნავს.

დაადგინეს: სტროფი აღდგეს ძირითად ტექსტში (წინააღმდეგნი ბ. ბრეგვაძე, ზ. სარჯველაძე); შემოწმდეს, ხელნაწერებში თუ არის „შემომიწვედ“, მაშინ შევიტანოთ.

69.1 კელა ბრძანა: „მონა თორმეტი...“

გ. კარტოზია: ეს სტროფი დიდხანს იყო ბეჭდური გამოცემების ძირითად ტექსტში, 1966 წლიდან კი ამოღებულია; ვფიქრობ, ხელახლა მსჯელობის საგანი აღარ უნდა გახდეს.

ბ. ბრეგვაძე: მე არ ჩავთვლიდი ყალბად, ვერ ვხედავ აზრობრივ ან სტილურ შეუსაბამობას რუსთველის ტექსტთან.

ც. კიკვიძე: შერმადინის ხსენება აქ უადგილოა; თანაც, რატომ უნდა ახლდეს თორმეტი დამხმარე მსახური როსტევეანს და მხოლოდ ერთი – ავთანდილს? ეს როგორი შეჯიბრება იქნება? ამ სტროფის სიყალბე საკმარისად არის დასაბუთებული. იხ. ა. სარაჯიშვილი (1895), ნ. მარი (1916), ი. აბულაძე (1926), გ. არაბული (1983), ნ. ნათაძე (1985).

გ. არაბული: ესაა ცუდი ვარიანტი 73-ე სტროფისა, იქ ჩანს „12 მონა“, რომლებიც ორივეს ემსახურებიან.

დაადგინეს: სტროფი დარჩეს ჩანართად.

76_დ ჰგაესო ალვას, ედემის ხეს.

კომენტარში დაემატოს ზ. გამსახურდია (1991, 136), რომ ეს და სხვა ანალოგიური გამოთქმები (50, 520, 691 სტროფებში) ბიბლიურ „ცხოვრების ხეზე“ მიაწინებენ.

79_გ აწეცა დაგვკოც – გასწორდა: აწეცა.

80_ა ...მოკლული ყწეღაი ასჯერ ოცია.

ბ. ბრეგვაძე და გ. არაბული მოითხოვენ, რომ შეიცვალოს **ათჯერ ოცით** (ასეა C³-ში, პ. ინგოროყვასა და მ. წერეთლის გამოცემებში).

იხ. აგრ. 20.IX.1993-ის ოქმი. კენჭისყრით დარჩა **ასჯერ ოცი**.

83_კ სადავითა – შეიცვალა: **სადევითა**. დასაბუთება იხ. ა. ჭინჭარაული 1962; 1982, 171-176 (წინააღმდეგნი: ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია).

83_გ აბჯარ-უნაგირსა ვარიანტული წაკითხვისთვის: **აბჯანდ** (ან: **აბჟანდ**) მიეთითოს ი. გიგინეიშვილი, მოხს. თეზისები, 1957.

84_ა კაბა ვეფხის ტყავისა

კომენტარში აღინიშნოს ცხოველის ტყავით შემოსვის ტოტემური წარმომავლობა და მაგიური დანიშნულება (ვ. აბაევი 1988; ზ. გამსახურდია 1987; მ. კარბელაშვილი 1996; ნ. კენჭოშვილი 2006).

84_გ მათრახი

კომენტარში დაემატოს, რომ მათრახი შუა საუკუნეების მხედართა საჭურველის ნაწილია, ქართულ მითოსში კი გმირების (კვირია, იახსარი, კოპალა, წმ. გიორგი და სხვ.) ერთ-ერთი საბრძოლო იარაღია.

84_ზ მეფემან ბრძანა: „ვინ არის...“

გ. კარტოზია: ეს სტროფი უარყოფილია ვახტანგის გამოცემაში და მის შემდეგაც (მ. ბროსეს, ს. კაკაბაძის, კ. ჭიჭინაძისა და ნ. ნათაძის გამოცემების გარდა). კ. ჭიჭინაძე ასახულებდა მისი აღდგენის აუცილებლობას, რასაც იმეორებს მ. თავდიშვილი (1989; 1991). მისი აზრით, ამ სტროფის გარეშე ირღვევა „ბრძანების ეტიკეტი“, რაც სხვაგან პოემაში ყოველთვის დაცულია. აქ არის ზოგიერთი სტილური უხერხულობა, თუმცა ეს საკმარისი არაა მისი სიყალბის დასამტკიცებლად.

თ. ცქიტიშვილი: აღ. ჭინჭარაული წერს, რომ ამ სტროფის ძირითად ტექსტში შეტანის აუცილებლობა არ არსებობს. ერთი ზმნის სამჯერ გამეორება (ბრძანა, უბრძანა, გიბრძანებს) ინტერპოლატორის ნახელავზე მიგვანიშნებს. მეც ვფიქრობ, რომ დეტალიზაცია საჭირო არ არის.

ც. კიკვიძე: კ. ჭიჭინაძის არგუმენტი, რომ მონა თავის ნებით ვერ წავიდოდა, მოხსნილი არ არის, მიუხედავად იმისა, თუ სტროფი რამდენად პოეტურია.

ბ. ბრეგვაძე: ეს არგუმენტი, ე.წ. ხიდის როლი არაა მართებული. მხატვრულადაც სუსტია; „მოდი... შენ ჩვენგან მონაცვანადო“, ცუდი სტილის ნიმუშია.

სტროფის ძირითად ტექსტში შეტანას მხარს უჭერენ: ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე. წინააღმდეგნი: ბ. ბრეგვაძე, გ. არაბული, თ. ცქიტიშვილი.

1997. 24. VI

სხდომას დაესწრნენ: თ. გამყრელიძე, გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს „ვტ“-ის აკადემიური გამოცემის მეორე ტომის მასალის სადავო საკითხები.

214_გ სადაცა მივა, მივიდეს, რამცა მოვლიდეს ზღუდენი.

გ. არაბული: აქ აუცილებელია კონიექტურა „მივიდეს“ (შდრ. ვარიანტი „მივჰყვები“). დამაბრკოლებელი ზღუდის გულისხმობა ტარიელის მიმართ აბსურდია; ავთანდილი ფიქრობს: სადაც ის (უცხო კაცი) მივა, მეც იქ მივალ, რა ზღუდე შემაჩერებს! მერე კი რაიმე საშუალებას გამოვნახავ მის გასაცნობად.

ამ აზრს ეთანხმება თ. ცქიტიშვილი. სხვებს მიაჩნიათ, რომ ორივე ვარიანტი შესაძლებელია.

გადაწყდა: დარჩეს ხელნაწერების წაკითხვა: **მივიდეს.**

215 წინა-უკანა იარნეს...

იხ. 1989, 6, XII-ის ოქმი.

სტროფი კვლავ ძირითად ტექსტში დარჩა.

219 ყრმამან უთხრა: „დაო ასმათ, ხიდნი ზღვასა ჩავვიცვივდეს...“

ც. კიკვიძე: სტროფი ყალბად იყო მიჩნეული 1935-37 წწ. კომისიის მიერ. მას არ იცნობს ხელნაწერების A და D რედაქციები, აგრეთვე C⁵. ფატობრივი მასალისა და სიუჟეტის მხრივ მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავს, ამდენად, საჭიროც არაა.

ყველა თანახმაა, სტროფი ჩაითვალოს ჩანართად.

223 მის მოყმისა წესი იყო...

გ. არაბული: სტროფის შინაარსი სრულიად ზედმეტი და უადგილოა: ამ მოყმის შესახებ არც ავთანდილმა და არც მკითხველმა ჯერ არაფერი იცინა და რა „წესზე“ აქ ლაპარაკი? ამას ემატება ქალის სახელის „ასმათის“ მოულოდნელი ხსენება.

ზ.სარჯველაძე: რას ნიშნავს „არას ეჯდა“? თუნდაც ვარიანტი: „არა ეჯდა“?

დაადგინეს: გადაიდოს შემდეგში განხილვისთვის. მოვებნოთ მასალა **ეჯდა/იჯდა-სა** და **ეჯ-ზე**.

238 კელა ეტყვის: „ემო, რად მპოვე...“

გ. არაბულსა და თ. ცქიტიშვილს მიაჩნიათ, რომ სტროფის შინაარსი მდაბიური გამეორებაა წინმდგომი და მომდევნო სტროფებისა. ამიტომ ჩანართად უნდა ჩაითვალოს. რედაქციის სხვა წევრები შესაძლებლად თვლიან სტროფის დატოვებას ძირითად ტექსტში.

240გ სხვასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამორჩევა.

თ. ცქიტიშვილი: გვაქვს ვარიანტები: „მოგვარება“ და „მოვიგონებ“.

გ. კარტოზია: ხელნაწერების უმეტესობაშია „მოგონება“, ამიტომ მძიმე გადმოვსვით ცეზურასთან და სტრიქონი რიტმულად გაიმართება.

მიღებულ იქნა ეს შესწორება.

258გ ტანსა მტერთა მემაჯანსა, შეიცვალა: ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა.

263გ ამარტის ფერად – ზ. სარჯველაძის წინადადებით დაიწერა ერთად: ამარტისფერად.

დაადგინეს: მსგავსი კომპოზიტები (პატივ-გცე ვარდის-წყალი, ზაფრანის-ფერად – ყველა დაიწეროს ერთ სიტყვად.

273გ მისი მძებნელი იყომცა ჭკუითა მეტისმეტითა...

ძირითადად (რუსთველისეულად) მიიჩნევენ: ც. კიკვიძე, თ. გამყრელიძე, ბ. ბრეგვაძე, გ. კარტოზია, გ. არაბული (არგუმენტები იხ. კომენტარში). ჩანართად თვლიან: ა. გვახარია, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი.

278_გ მათთანა, ვარგიყო – ზ. სარჯველაძის წინადადებით დაადგინეს: ესენი და მსგავსი კომპოზიციები გაიყოს ორ სიტყვად: მათ თანა, ვარგ იყო და ა.შ.

293_გ გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუხდელი ჭირისა, გასწორდა: მაგრა გარჯილ ხარ,...

295_გ დამიგდია სამსახური მისი, იქმნას, რაცა გინდა – გასწორდა: დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა გინდა.

301 კაცმან ვინ პოვოს...

გ. არაბული: ეს სტროფი უარყოფილია ბევრ გამოცემაში, დაწყებული 1867 წლიდან ამ საუკუნის 70-იანი წლების პ. ინგოროყვასა და ნ. ნათაძის გამოცემების ჩათვლით და მიმანია – მართებულადაც. მასში ზოგადი, სიტუაციისათვის შეუფერებელი მსჯელობაა, რაც აბრკოლებს აზრის ლოგიკურ გაგრძელებას 300-დან 302-სტროფში.

გ. კარტოზია: ამ სტროფს თუ ამოვიღებთ, მაშინ მისი მომდევნოც (302) უნდა ამოვიღოთ.

გ. არაბული: ამ სტროფებს საერთო არაფერი აქვს არც თემატურად და არც სიუჟეტურად. ჩემთვის გაუგებარია, რატომ გინდათ ძალისძალად ერთმანეთზე მიაბათ ისინი. პირიქით, ამ სადავო სტროფის მოცილებით ტარიელის მსჯელობა ბუნებრივად გაგრძელდება 302-ში და შინაარსი უფრო ნათელია იქნება.

დაადგინეს: გ. არაბულმა წერილობით წარმოადგინოს თავისი თვალსაზრისი და შემდეგ კვლავ ვიმსჯელოთ.

317 ასმათ, მითხრობდი...

გ. არაბული: ეს სტროფი არ დაბეჭდილა 1966 წლის კომისიისა და საიუბილეო გამოცემებში. მთავარი რედაქციის მიერ მისი აღდგენა ძირითად ტექსტში არაა დამაჯერებლად დასაბუთებული. ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები გამოქვეყნებულია. გთხოვთ, ერთმანეთთან შეაჯეროთ და საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტოთ.

დაადგინეს: სტროფი ჩაითვალოს ინტერპოლაციად.

329_გ ქვად ფაზარი სხდა

კომენტარში აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება მინერალური წარმოშობის ძვირფასი ქვა, რომელიც გამოიყენება სამშენებლო მასალად, აგრეთვე – სამკურნალოდაც.

1997. 6. VII.

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს 332-370 სტროფები და მათი კომენტარები.

332_ა მამა მომიკვდა, მოვიდა დღე სიკვდილისა მისისა.

ც. კიკვიძე: სიტყვა **მისისა** არღვევს ზუსტ რითმას, ამიტომ უნდა შევცვალოთ კონიექტურით **ვიშისა**. მას მხარს უჭერენ ბ. ბრეგვაძე, გ. კარტოზია, ზ. სარჯველაძე.

გ. არაბული: **ს** და **შ** ასობგერების სხვაობა არაა საკმარისი საფუძველი ხელნაწერთა წაკითხვის შეცვლისათვის. მეორეც, – **ვიში** მწუხარების შორისდებულად არ დასტურდება XVII ს-ზე ადრინდელ ძეგლებში.

მაინც მიიღეს: **დღე სიკვდილისა, ვიშისა** (წინააღმდეგნი: გ. არაბული, ა. გვახარია, თ. ცქიტიშვილი).

340 ბაღჩა ენახე უტურფესი...

ა. გვახარია: ამ სტროფს ა. ჭინჭარაული გვიანდელ ჩანართად თვლის. მეც მიმაჩნია, რომ მისი არგუმენტები ანგარიშგასაწევეია.

გ. არაბული: სტროფს სიყალბის ნიშნები აქვს. მას თუ არ ამოვიღებთ, მაშინ ძირითად ტექსტში უნდა შევიტანოთ ნუსხებში მისი მომყოლი სტროფი: „ზღუდედ მოვლიდა ზურმუხტი...“, თორემ მართლაც კურიოზული სიტუაცია იქმნება (იხ. მ. თავდიშვილი 1991, 163).

გ. კარტოზია: კიდევ შევაჯეროთ ერთმანეთთან ა. ჭინჭარაულის და მ. თავდიშვილის არგუმენტები და შემდეგ გადავწყვიტოთ.

346^ღ გარე მომრტემოდეს, **348^გ** ხარ-ღა, **349^ა** გარე შემომცვიდიან – დაიწერა შეერთებულად (თითო სიტყვად).

352^გ მიმაწინე! – შეიცვალა: მიმაწვინე!

361^გ თქვას რაძინა? – შეიცვალა: თქვას: „რა მინა“.

368^გ ინახვისცა, – შეიცვალა: ინახვისმცა.

370^გ მოსლვა თქვენს წინაშე კურთხეულ არს, ვინცა ღირსმც-ა! = კურთხეულია თქვენთან მოსვლა, ვინც ამისი ღირსი იქნება.

1997. 15. VII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი. განიხილეს 445-627 სტროფები და მათი კომენტარები.

445^ღ წინა კერძო დაიწერა ერთ სიტყვად.

446^ღ მათ შეჰქმნია ჩემი რიდი, – შეიცვალა: მათ შექმნიან...

464^ღ მაჭმევედა, – შეიცვალა: მიჭერეტდა.

476^გ ენიანნი კაბანი

კომენტარში შევიდეს ნ. ნათაძის განმარტება... აგრ. **მაემნიანი** (როგორც შესაძლებელი).

491^დ არავი დაიწეროს ორ სიტყვად: არ ავი.

493 თუცა მიგდის ღვარი ცრემლთა...

სტროფი გვიანდელ ჩანართად მიაჩნიათ გ. არაბულსა და თ. ცქიტიშვილს.

534^ს სულთა ვჰყიდდი გულისათვის... კომენტარში შევიდეს ა. გვახარიას განმარტება – გაზ. „ახალი განათლება“ 2000, № 36.

542^ა ეუბენ, – გასწორდა: ეუბნე.

555^გ ზარმაც თქმად ენით, – გასწორდა (როგორც გამონაკლისი): ზარ-მაც თქმად ენით.

558^გ აქა მომმართეთ, – გასწორდა: აქა მომართეთ.

598^ს ახლა, – გასწორდა: ახლოს (იხ, კომენტარი).

619 ლაშქარნი ფრიდონს...
ჩანართად მიაჩნიათ ც. კიკვიძეს და გ. არაბულს.

627^დ უჩემოსა ენახამცა ვისცა ისც ხე.

გ. არაბული: რუსთველის ეპოქისათვის მოულოდნელი ფორმა ისც გაკეთებულია რითმის სიზუსტისათვის, რაც საჭირო არაა; მის წინმდგომ სიტყვებში გამოყენებული -ცა ნაწილაკი ანაზღაურებს ამ სარითმო ცალის ნაკლებობას.

ც. კიკვიძე: ეს ც მხოლოდ B რედაქციაშია.

დაადგინეს: დაიწეროს ის ხე (წინააღმდეგი ა. გვახარია).

1997. 29. VII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს 631-705 სტროფები და მათ კომენტარები.

631^დ ...არაოდეს შეგვაწუხებს.

ც. კიკვიძე: „არაოდეს“ (= არასოდეს) შინაარსით არასწორია: უნდა იყოს: არა ოდენ, ე. ი. ღმერთი არა მხოლოდ შეგვაწუხებს, გვალხენს კიდევ. გასწორებას მხარს უჭერენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, თ. ცქიტიშვილი. ა. გვახარიას და გ. კარტოზიას უკეთესად მიაჩნიათ: არათ ოდეს.

638^გ სმენოდეს, – შეიცვალა: გსმენოდეს.

643^დ დაგაწამოთ = დაგარწმუნებთ (ი. გიგინეიშვილი)

ც. კიკვიძეს საჭიროდ მიაჩნია AD რედაქციებში არსებული ვარიანტით – „დაგემონნეთ“ – შეცვლა.

652_ა ... დეგთა შეეკაუნეს. იხ. 1002-ის კომენტარი.

653_ა მაშინდითგან აქა ვარ.

ბ. ბრეგვაძე: უფრო სწორი ფორმა არაა **მაშინდლითგან?**

ც. კიკვიძე: „მაშინდითგან“ უფრო ძველია, ამიტომ გამართლებულია მისი დატოვება.

663_ა უცხოს უცხო

გ. კარტოზია: დაწვეროთ ერთად: უცხოსუცხო (= სრულიად უცხო).

მიღებულ იქნა (წინააღმდეგი თ. ცქიტიშვილი).

665_ა ამაზედა – გასწორდა: **ამას ზედა.**

673_გ მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმით ლალი და შვებული. გასწორდა: მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, ლალი, შვებული.

675_ა მუნ ამბავი... მოახსენა.

ბ. ბრეგვაძე და თ. ცქიტიშვილი მოითხოვენ **მუნ**-ის შეცვლას ნაცვალ-სახელით „მან“.

გ. კარტოზია: **მან** მხოლოდ ერთ ნუსხაშია და მეორეული ჩანს. **მუნ** აქ ნიშნავს: „იქ, იმ დროს, ამაზე“ და უნდა დარჩეს.

679_ა დაულამოსა – გასწორდა: **მას ულამოსა.**

689_გ მას დღე იხარებს **სმისა და ჭამისა** არმოწყენითა.

თ. ცქიტიშვილს მიაჩნია, რომ უნდა შეიცვალოს D რედაქციის წაკითხვით: იხარებს გულამოდ ღხინისა არმოწყენითა.

დარჩა არსებული წაკითხვა.

697_გ ქალი ახლავს **საყვარლისა**, – შეიცვალა: **სასურველად** (B,C,D რედაქციების წაკითხვა). წინააღმდეგნი: ბ. ბრეგვაძე, თ. ცქიტიშვილი.

698_გ იტყვის: „**რა უთხრა** პასუხი...“

გ. არაბული: აქ ტექსტი დამახინჯებული ჩანს. აზრის გამართვისათვის აუცილებელია კონიექტურული გასწორება: **იტყვის: „რა უთხარ** პასუხი... ამას მოითხოვს ავთანდილის „პასუხი“ მომდევნო სტროფში: „დრო დამიც ჩემგან მისღვისა...“ და ა. შ.

ბ. ბრეგვაძე: მართლაც, ლოგიკური იქნებოდა ასეთი კითხვა-პასუხი.

დარჩა არსებული წაკითხვა.

705_გ დღისადა შეიცვალა: **დღესითგან.**

708 ა-ბ რა სჯობს...

კომენტარში გაიხსნას მეტაფორის შინაარსი და აღინიშნოს, რომ რედაქციის წევრებს სტროფი გვიანდელ ჩანართად მიაჩნიათ.

714_ა საწოლს მჯდომი...

დაადგინეს: შეტანილ იქნეს ძირითად ტექსტში (წინააღმდეგი გ. არაბული).

1997. 19. IX

სხლომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე თ. ცქიტიშვილი.
განიხილეს 736-766 სტროფები.

736_გ ღმერთმან, ნათელთა სახემან.

ც. კიკვიძე: ეს მეტაფორა B რედაქციაშია. C რედაქციის ვარიანტი: **თქვენმავე სახემან**. ორივე გამოთქმა, თითქოს, აზრობრივად არასწორი და ძნელი გასაგებია. ამიტომ იუსტ. აბულაძემ გააკეთა კონიექტურა: ღმერთმან, ნათელთა **მსახემან**, რომელიც შემდეგ გაიზიარეს მ. წერეთელმა, კ. ჭიჭინაძემ, კ. კეკელიძემ და სხვ.

გ. კარტოზია: ნათელთა სახე, შესაძლებელია „ნათელი დაულამებელის“ ვარიანტი იყოს. (შდრ. ზ. გამსახურდია: **სახე** არის პირველსახე, დასაბამი, ხოლო **ნათელთა სახე** თვით ღმერთია). თეოლოგებს დავეკითხოთ, იქნებ მათ ახსნან უფრო დამაჯერებლად. საკითხი შემდეგისთვის გადაიდო.

743_{ა-ბ} ... ლაშქარნი რად მოღორდენ! რად გაგიშვან, რად დაღორდენ...

გ. კარტოზია: აქ არასასურველი ტავტოლოგიაა, მაგრამ აცილება არ უხერხდება; ვარიანტი **რად დაღონდენ** მხოლოდ ერთ ნუსხაშია.

750_დ იგონებდა არ საქმეთა საომართა.

გ. არაბული: აქ ალბათ უნდა მივიღოთ ა. ჭინჭარაულის კონიექტურა: **საამართა**. საქმე არ საამარი = არა საამური, ძნელი, საწყენი საქმე.

ა. გვახარია: არის ეს სიტყვა „ვტ-ში“ ან სხვა ძეგლებში?

ც. კიკვიძე: „ვტ-ში“ არის **დასაამო**. ა. ჭინჭარაული იმოწმებს პოემიდან მსგავსი წარმოების სიტყვებს: საწუნარი, საცნობარი, საწყინარი და სხვ.

გ. კარტოზია: შევამოწმოთ სხვა ტექსტებშიც და შემდეგ გადავწყვიტოთ.

761_დ დანაშავითა – გასწორდა: დავაშავითა (= დაშავებით, ჩემი მიზეზით).

764,1 ყრმამან უთხრა: „შენთვის წყრომა...

764,2 მოახსენა კვლა ვაზირმან...

გ. არაბული: ეს სტროფები უნდა აღდგეს ძირითად ტექსტში. სიუჟეტურად ისინი საჭიროა, იხ. მ. ბროსეს, ს. კაკაბაძის, კ. ჭიჭინაძის, ნ. ნათაძის გამოცემები.

დაადგინეს: სტროფები შევიდეს ძირითად ტექსტში № 764-ის შემდეგ (წინააღმდეგი თ. ცქიტიშვილი).

1997. 26. IX.

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.
განიხილეს 784-807 სტროფები.

784_დ მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ველარ დავსთმობ **ვისსა ვერად?**

ტაეპის შინაარსი იწვევს კამათს.

გ. კარტოზია: ადრე მთ. რედაქციამ მიიღო ასეთი გაგება: მას (თინათნს) თუ დავთმობ, ჩემ სახლს ველარ დავთმობ?

თ. ცქიტიშვილი: მაგ შინაარსში გამოტოვებულია **ვისსა** (= რომლისას), ვინ იგულისხმება „ვისსა“-ში.

გ. არაბული: ჩემი აზრით, **ვისსა-ს** მაგიერ უნდა დავწეროთ ვარიანტი **ვისა**, მაშინ ტაეპის აზრი იქნება: მას (თინათნს) თუ დავთმობ, ჩემ სახლში ვის ველარ დავთმობ? (სხვა ვინ მყავს ისეთი, რომ ჩემგან არ დაითმობოდეს?)

ც. კიკვიძე: ამჯერად ასე მივიღოთ. კიდევ ვიფიქროთ.

787_გ „გკადრებ პლატონისგან სწავლათქმულსა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

გ. კარტოზია: **სწავლათქმული** ნიშნავს სასწავლად, სამოდგვროდ თქმულს.

ბ. ბრეგვაძე: პლატონს ასეთი ფრაზა არა აქვს. „ტიმეოსის“ ბიოლოგიურ მოძღვრებას ჰგავს, თუმცა შემოწმება უნდა. იქნებ სულაც პლოტინი იგულისხმება? მას უფრო მკაფიოდ აქვს გამოთქმული ეს აზრი.

796_გ ვჰგმობ კაცსა უაუგოსა, – გასწორდა: **აუგიანსა**.

802_ა ვარგიყოს – დაიწერა ორ სიტყვად: **ვარგ იყოს**.

807_ა ილოცავს, იტყვის: „მაღალო ღმერთო...“

თ. ცქიტიშვილი: „მაღალი“ ზოგჯერ ცალკეც იხმარება ღმერთის აღმნიშვნელად, აქ ცეზურაც ემთხვევა და შეიძლება მძიმით გამოიყოს.

ბ. ბრეგვაძე: ბერძნულ ბიბლიაში „მაღალი“ ცალკე არ გვხვდება. ღმერთის გვერდით მაღალი ყოველთვის მსახდვრელია, მისი მუდმივი ეპითეტია.

გ. კარტოზია: ცეზურა და პაუზა არ არის აქ გადამწვეტი.

დაადგინეს: „მაღალოს“ შემდეგ მძიმე არ დაისვას.

807_გ უცნაურო და უთქმელო... დაევალა ბ. ბრეგვაძეს – დაწეროს კომენტარი.

1997. 7. IX

სხდომას დაესწრნენ: თ. გამყრელიძე, გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი, ზ. სარჯველაძე.

განიხილეს 845-905 სტროფები.

845_ა გული, ცნობა და გონება...

გაკეთდეს ამ სტროფის კომენტარი (დაევალოს გ. არაბულს).

847_ა ამბად – გასწორდეს: ამბვად (აქაც და სხვაგანაც).

850_ბ მოსალბედისა, – გასწორდა: მოსალბე დისა.

852_ღ ველთა ვლისად, – გასწორდა: ველთა ველი სად.

853_ბ ვერ ვეახელ, – გასწორდა: ვერ ვიახლენ.

854_ღ რასადა, შეიცვალა: აღარას.

878_ღ მივწურვივარ. თ. ცქიტიშვილის აზრით, უნდა დაიწეროს: მიწურვილ ვარ.

881_ღ დამშლიან ჩემნი კავშირნი...

ბ. ბრეგვაძეს დაევალა კომენტარის დაწერა.

888 ეხვეწებოდა: „შეჯეო“...

რედაქციის წევრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ოთხივე ტაეპში სუბიექტი ავთანდილია. მეორე ტაეპი გამოიყო ტირეებით.

894_გ ... მაგა სამხრისა ლევასა.

გ. კარტოზია: უნდა გავიზიაროთ ა. შანიძის კონიექტურა: სამხრის არ ლევასა.

წინადადებას ეთანხმებიან: ა. გვახარია, გ. არაბული.

არსებული დაწერილობა გასაგებად მიაჩნიათ: ბ. ბრეგვაძეს, ც. კიკვიძეს, ხ. სარჯველაძეს, თ. ცქიტიშვილს.

900_გ გასწორდა ასე: არ თუ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკვდების.

905 ქელსა გარდავდეგ...

გ. კარტოზია: სტროფი ჩანართად არის მიჩნეული ა. სარაჯიშვილის, ს. კაკაბაძის, ვ. ბერიძის, კ. კეკელიძის, მ. წერეთლის, გ. წერეთლის, ს. ცაიშვილის, პ. ინგოროყვას მიერ. შინაარსით ზედმეტია. აბრკოლებს აზრის გაგრძელებას 904-დან 906-ე სტროფში. დასაბუთება იხ.: გ. არაბული 1983, გვ. 83-88.

დაადგინეს: სტროფი ამოღებულ იქნეს ძირითადი ტექსტიდან (წინააღმდეგნი: ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია).

1997. 24. X

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ხ. სარჯველაძე.

განიხილეს 948-991 სტროფები.

948 ვაჟ, სოფელო, რაშიგან ხარ...

ც. კიკვიძე: ეს სტროფი ავთანდილის სიტყვებად უნდა ჩავთვალოთ და ბრჭყალებში არ ჩაესვათ.

სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ სტროფი ავტორის ლირიკული გადახვევაა, მისი განწყობაა გამოსატყუარი.

951_ა ვარდი ჭნებოდა, ღვრებოდა...

ა. გვახარია: ღვრებოდა თუ ღრებოდა?

ზ. სარჯველაძე: ვ ზედმეტი ჩანს. შესამოწმებელია.

953_გ კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ იტკივნებს.

ც. კიკვიძე: შინაარსი ასე მესმის: კლდეს არაფერი ანადვლებს, არასოდეს (თავს) არ იტკივებს.

გ. კარტოზია, ზ. სარჯველაძე: კლდეს ვერაფერი დაჭრის, მას არაფერი ატკენს (არ ეტკინება). უნდა დავწეროთ: **არ ატკივნებს.**

ც. კიკვიძე: კიდევ შევამოწმოთ და დავაზუსტოთ „შესწონს“ სიტყვის მნიშვნელობა.

956_გ ნუ ამრუდებ უმართლესა, – გასწორდა: უმართლესსა.

960_გ უამბენ, – გასწორდა: უამბვენ.

969_დ უცხომ უცხო, – გასწორდა: უცხოსუცხო.

975_დ ხე ვითა – შეიცვალა: რხევითა.

980_ა მოამბედ – შეიცვალა: მოამბვედ.

982_ა გადმოსცვივდეს – გასწორდა: გარდმოსცვივდეს.

985 ა-ბ კომენტარში შევიდეს ა. ჭინჭარაულის გასწორება (ავტორეფ. 1992, 23-25).

991_ა შეუტიეს – გასწორდა: შეუტევეს.

991_დ სადავენი – გასწორდა: სადევენი.

1997. 4. XI

სხდომას დაესწრნენ: გ.არაბული, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.

ლექსიკური და მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული ცვლილებები შევიდა შემდეგ სტროფებში:

992_გ გაგსძელ... ამბისა, – გასწორდა: გაგსძელე... ამბვისა

996_ს მე, უცხოს, უცხო...

გ. კარტოზია აყენებს წინადადებას, რომ შეიცვალოს: მე უცხოსუცხო...
დარჩა არსებული წაკითხვა: მე, უცხოს, უცხო მანატრა...

1003_გ ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამხმელო.

გ. არაბული: ტაეპი ძნელად წარმოსადგენ და გაუგებარ მეტაფორას შეიცავს. კომისიის კომენტარის მიხედვით (იხ. ოქმი 1978, 6. X) ტარიელი არის „ხმელეთის მზეც“ და „სამყაროში მზის ეტლების გადაამადგილებულიც“. ეს აზრი არ ეთანხმება ასტროლოგიაში მიღებულ ზოგად დებულებას, რომ მზე თვითონ გადაადგილდება ცის ეტლებში (ზოდიაქოებში). ამას ემატება ახალი მეტაფორა მეოთხე ტაეპში: „**ცისა ეტლთა სინათლეო**“, რაც აზრობრივად გასაგებია, მაგრამ ტავტოლოგიას ქმნის მეორე ტაეპის „**მზისა ეტლთა**“-სთან. ამიტომ მიმანია, რომ ტაეპის მეორე ნახევარი ასე უნდა გასწორდეს: „**მზისა შუქთა გარდამრთხმელო**“ (= გადამფენელო). დასაბუთება იხ. მ. კარბელაშვილის წიგნში (1977, 123-126).

ც. კიკვიძე: მაგ ვარიანტს უჭერდა მხარს ს. ცაიშვილიც, მაგრამ მაშინ დავტოვეთ **გარდამხმელო**, როგორც ნუსხათა უმრავლესობის წაკითხვა.

თ. ცქიტიშვილი: გასარკვევია, **გარდამხმელი** ნიშნავს თუ არა „**გადაამადგილებულს**“, როგორც კომისიის ოქმებშია.

გ. კარტოზია: გამოცემებში არის აზრობრივად უფრო ნათელი წაკითხვა **გარდამხმელო**, მაგრამ მას ვერ მივიღებთ, რადგან ვახტანგის გამოცემიდან მოდის და კონიექტურას ჰგავს.

დაადგინეს: დარჩეს არსებული წაკითხვა: „**მზისა ეტლთა გარდამხმელო**“ (წინააღმდეგი გ. არაბული).

1005_გ აერ-ფერითა, – დაიწერა ერთად. განიმარტოს: აერი – ბრწყინვალეობა, ელვარება. აერფერი – ჰაეროვნება; გარეგნობა.

1008_ს გაამრავლებდეს მახალსა.

გასარკვევია მნიშვნელობა: მახალი ჭურჭელია თუ სასმელ-საჭმელი?

1014 მეორე-მესამე ტაეპების ბოლოს მოიშალა ტირეები.

1022 რად სიცხე გულსა...

ჩანართად მიანიათ: გ. არაბულს, ც. კიკვიძეს, თ. ცქიტიშვილს.

1029_დ მოსრულვარ, – დაიწერა ორ სიტყვად: მოსრულ ვარ.

1040_დ დაკოდილნი.

ც. კიკვიძეს და გ. კარტოზიას მართებულად მიანიათ შეცვლა ვარიანტი – **დამალულნი**, რომელიც ნუსხების უმეტესობაშია.

დარჩა **დაკოდილნი** (ა. გვახარია, გ. არაბული, თ. ცქიტიშვილი).

1997. 18. XI

სხლომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.
განიხილეს 1066-1116 სტროფები.

1066 თქვენებრთა საბატიოთა...

გ. არაბული: მეოთხე ტაეპი აზრობრივად განცალკევებულია და თითქოს, ზღუდესავით დგას 1066-1067 სტროფების შინაარსებს შორის; ეს უხერხულობა მოიხსნება, თუ მას გადავიტანთ პირველი ტაეპის შემდეგ, როგორც მ. წერეთლისა და პ. ინგოროყვას გამოცემებშია.

გ. კარტოზია: აზრობრივად უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ასეთი გასწორების საფუძველს ხელნაწერები არ იძლევა. ამიტომ უნდა დავტოვოთ არსებული თანამიმდევრობა.

1068გ ახარებს, – გასწორდა: იხარებს (წინააღმდეგნი ბ. ბრეგვაძე, ც. კიკვიძე).

ოფლნი ქვე მკრდამდის ჩადიან.

ბ. ბრეგვაძეს და თ. ცქიტიშვილს უკეთესად მიაჩნიათ **მკერდამდის** ვარიანტი, **ქვე**-ს ფუნქცია აქ გაურკვეველიაო.

გ. კარტოზია: **მკერდამდის** მიღებულია უფრო ძველი წაკითხვის (ქვე მკრდამდის გამარტივების გზით, პირუკუ პროცესი კი მოსალოდნელი არაა. ამიტომ უნდა დარჩეს „ქვე მკრდამდის“.

1076 ყმა ვაჭრულად იმოსების...

გ. არაბული: ეს სტროფი ჩანართია. მასში მოცემული დეტალები უადგილოა და არსებული სიტუაციისათვის შეუფერებელი. გულანშაროში ავთანდილის მოსვლიდან ჯერ ორი დღეც არ გასულა; მასა და ფატმანს შორის არავითარი მიმოსვლა არ ყოფილა იმ ორი ოფიციალური შეხვედრის გარდა, რომლებიც აღწერილია წინა სტროფებში. სტროფი შედგენილია მომდევნო თავებში გადმოცემული ამბების კომპილაციური გაერთიანებით.

ა. გვახარია: სტროფში არის საყურადღებო ცნობა, რომ რუსთველი იცნობდა „ვისრამიანს“.

გ. არაბული: თქვენ გულისხმობთ, რომ ასეთი ცნობები გვეხმარება „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის დათარიღებაში, მაგრამ ეს არგუმენტი სანდო და საიმედო არაა; ვისისა და რამინის თავგადასავალი რუსთველს შეიძლება სცოდნოდა ზეპირი ვერსიის მეშვეობითაც, ამიტომ მათი სახელების სხენება სტროფის რუსთველურობის საბუთად არ გამოდგება.

ც. კიკვიძე: სტროფი წარმოდგენილია ყველა ნუსხასა და ყველა ბეჭდურ გამოცემაში, ამიტომ ახლა ძალიან გაჭირდება ტრადიციის დარღვევა.

გ. არაბული: ვახტანგის გამოცემის ავტორიტეტი, სამწუხაროდ, დღევანდლამდე იცავს მასში თავშეფარებულ ინტერპოლაციებს.

გადაწყდა: სტროფი დარჩეს ძირითად ტექსტში.

1077 სჯობს სიშორე დიაცისა...

გ. არაბული: მე ეს სტროფიც ჩანართად მიმაჩნია. მისი მორალისტური დიდაქტიკური თვალსაზრისი ზოგადად ქალის შესახებ შეუძლებელია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს ეკუთვნოდეს.

რედაქციის წევრებმა არ გაიზიარეს ეს აზრი და სტროფი დარჩა ძირითად ტექსტში.

1080_გ შემარხეველი, – გასწორდა: შემარყეველი.

1082_კ შენზედა. დაიწერა: შენ ზედა.

1082_დ დამწუარვარ. დაიწერა: დამწუარ ვარ.

1087_გ გამოჭრილვარ. დაიწერა: გამოჭრილ ვარ.

1090_გ ბინდის გვარია. დაიწერა ერთად: ბინდისგვარია.

1099_დ სახლსა. შეიცვალა: თავსა.

1107_ბ ცეცხლი აწ ცხელი ა ნელად.

კომენტარში მიეთითოს ა. ჭინჭარაულის გასწორება: ცეცხლი ცხელია, წა ნელად.

1108_{გ-დ} კომენტარში აღინიშნოს ა. ჭინჭარაულის მოსაზრება ტაეპების ადგილშენაცვლების თაობაზე.

1116 მე და უსენი...

გ. არაბული და ა. გვახარია იზიარებენ ა. ჭინჭარაულის აზრს ამ სტროფის ჩანართობის შესახებ.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ წარმოდგენილი არაა სტროფის სიყალბის მტკიცე არგუმენტები. აგრეთვე, – ამ სტროფის გარეშე თხრობის დაწყება (ფაქტმანისაგან) არამოტივირებული (შეუმზადებელი) გამოდის.

1997. 28. XI.

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.
განიხილეს 1127-1154 სტროფები.

1127_ა რამე გასწორდა: რომე.

1132 პირველი და მესამე ტაეპების ბოლოს შეიცვალა პუნქტუაცია.

1142_გ იღვრების სავსე სათისა რუბები.

ა. გვახარია: აზრის სინათლისა და სიზუსტისათვის აუცილებელია რუბები შეიცვალოს რუეები-თ.

გ. კარტოზია: რუეები ძალიან დაარღვევს რითმას. ამიტომ უნდა დავტოვოთ არსებული წაკითხვა.

დარჩა: რუბები.

1146_ა გავანდევ, გასწორდა: გავანდევ.

1152_ა რაცა არ გითხარ...

ა. გვახარია მოითხოვს გასწორდეს: **რაცა რა გითხარ.**

თუმცა ხელნაწერებში არაა ასეთი წაკითხვა, გ. არაბული და თ. ცქიტშივილი მხარს უჭერენ გასწორებას.

გ. კარტოზია: **რაცა არ გითხარ** ახალ ქართულში შეიძლება ნიშნავდეს: „რაც კი გითხარი“. უნდა შევამოწმოთ, ძველში თუ ჰქონდა ასეთი ნიუანსი? თუ დადასტურდა, გასწორება საჭირო აღარ იქნება.

1154_ა გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბალი შეღმა შე-რე-შენდა.

გ. კარტოზია: ტაეპის აზრია: (მისი) ნაწნავები უწესრიგოდ მოიკეცა, თავი რომ ასწია (როცა შემოგვხედა). ამიტომ მართებული იქნება ბოლო სიტყვა ასე გავასწოროთ: **შე-რა-შენდა.**

გ. არაბული: ამ მეტაფორის აზრი ასე მესმის: ნაწნავები გაშლილი ჩამოეკეცა, ჩამოეშვა (წინ), სახე კი (მათ ჩრდილში) შიგნით შეემაღა. ამ შინაარსს ეთანხმება მეოთხე ტაეპიც: მზე ვეშაპსა დაებნელა (შუქმოკლებული იყო), ზედა **რათმცა** (ა. ჭინჭ. კონიექ). გაგვითენდა!

დაადგინეს გასწორება: **შე-რა-შენდა.**

1997. 12. XII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტშივილი.

განიხილეს 1161-1208 სტროფები.

1161_ა ... ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი.

ა. გვახარია: რამდენად ზუსტია **მსწრომელის** განმარტება „მეტიჩარად“? ხომ არ შეიძლება სხვა წაკითხვით შეცვლა?

ც. კიკვიძე: ხელნაწერების ვარიანტებიდან შესაძლებელია **მცთომელი**. კარგია **მსტრომელიც**, მახეზლარის მნიშვნელობით, მაგრამ კონიექტურაა (ა. ჭინჭარაულისა).

გ. კარტოზია: **მცთომელი** მხოლოდ ორ ნუსხაშია. დავტოვოთ **მსწრომელი** (= მსწრობელი – მეტიჩარა, ენაჭარტალა).

1164_ა მარჩენელო არსთა, მზეო.

მძიმე დაისვა პირველ სიტყვასთან: **მარჩენელო, არსთა მზეო.**

1178 არ ისმენდა მეფისასა...

ა. გვახარია: ა. ჭინჭარაულმა დაასაბუთა ამ სტროფის სიყალბე (1992, 39). ინტერპოლატორი იმეორებს 1154-ე სტროფის ლექსიკას და შინაარსს. ეპიზოდში აზრობრივად აუცილებელი არაა და უნდა ამოვიღოთ ტექსტიდან.

გ. არაბული და თ. ცქიტშივილი მხარს უჭერენ სტროფის ამოღებას. სხვა წევრები თავს იკავებენ. გადაიდო შემდეგისთვის.

1179_ა ამა ორთა კიდევანი...

ც. კიკვიძე და თ. ცქიტიშვილი მოითხოვენ შეიცვალოს ვარიანტი: **ამა ორთა კიდევანთა** (უფრო ბევრი ნუსხა უჭერს მხარს).

გ. არაბული: არსებული წაკითხვა საკმარისად არის დასაბუთებული (ა. ჭინჭარაული 1963; 1982). იგი გაიზიარა თვით ა. შანიძემ, რომელიც ადრე სხვა ვარიანტს იცავდა.

დაადგინეს: დარჩეს **ამა ორთა კიდევანი**.

1181კ მე დავახვედრო ესე **მზე, და-**, მისთვის დამზადებული. დასთან მოიშალა მძიმეები და დეფისი. გ. კარტოზიამ განმარტა, რომ **და** აქ მართებელი პაუზის ფუნქციას ასრულებს. პროზაულ ტექსტში მის ადგილზე იქნებოდა მძიმე ან ტირე.

1186გ ქალი ბედსა ეტყვის: „რა ბედი მიც...

ა. გვახარია: სტილის გამო, სჯობს შეიცვალოს: „**თავსა** ეტყვის... გასწორებას ეთანხმებიან ბ. ბრეგვაძე და თ. ცქიტიშვილი.

ც. კიკვიძე: **თავსა D** რედქციის წაკითხვაა და მისი ავთენტურობა ძალზე საეჭვოა.

გ. არაბული: აზრისა და სტილის გამართვისათვის უკეთესი იქნებოდა: **ბედსა** იტყვის (= ბედზე ამბობს), თუ თანახმა იქნებით ამ მცირე კონიექტურულ შესწორებაზე.

გ. კარტოზია: გასწორება აუცილებელი არაა; დარჩეს როგორც არის.

1192კ დავიწყდა, გასწორდა: **დაპვიწყდა**.

1194დ გავსებული გამოიყო მძიმეებით.

1203გ მოსრულიყო, დაიწერა: **მოსრულ იყო**

1204კ ჩემზედა, დაიწერა: **ჩემ ზედა**

1205კ მისრულიყო, დაიწერა: **მისრულ იყო**.

1997. 16. XII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.
განიხილეს 1209-1250 სტროფები.

1209 ვამ, საწუთრო, სიცრუით თავი სატანას ადარე...

გ. არაბული: ეს სტროფი თუ რუსთველისაა, მაშინ ფატმანის სიტყვებად და წინა თავის დასასრულად უნდა მივიჩნიოთ. არ შეიძლება ის პოეტის ლირიკული გადახვევა იყოს. დიდი ალბათობაა იმისა, რომ ეს სტროფი რომელიმე გვიანდელ ინტერპოლატორს ეკუთვნოდეს. ამაზე მიანიშნებს საწუთროს სიცრუესა და მუხთლობაზე ჩივილი, რაც XVI-XVII საუკუნეების მწერლობის ერთ-ერთი მთავარი მოტივია: აგრეთვე, სტროფის მაჯამური რითმა, რაც ამავე პერიოდის პოეზიის სტილური ატრიბუტია.

ა. გვახარია: გადავსვით სათაურის წინ და დაიბეჭდოს როგორც წინათავის დამამთავრებელი სტროფი.

თ. ცქიტიშვილი: ამით უფრო გავამყარებთ მის სტატუსს ძირითად ტექსტში, ჩემი აზრით, საერთოდ ზედმეტი და ამოსაღებია.

ბ. ბრეგვაძეს, გ. კარტოზიას და ც. კიკვიძეს მიაჩნიათ ავტორის ლირიკულ ჩანართად, ამიტომ შეიძლება დარჩეს აქამდე არსებულ ადგილზე.

1211_ს შვილი, გასწორდა: შვილნი.

1211_ხ მიმელულის ლულითა, გ. კარტოზიას და არაბულის აზრით, უნდა გასწორდეს: მიმეძინის ლულითა.

არ იქნა მიღებული.

1218_დ ბევრის ათისა ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობის ჩვენებით გასწორდა: ბევრ ათასისა.

1219_გ ზედა მოვესწრები დაიწერა ერთად.

1220_ა თანა წამომყევით დაიწერა ერთად.

1223_გ გარე მოვერტყენით დაიწერა ერთად.

1225_ა ვეუბენით, გასწორდა: ვეუბნენით.

1237_გ დაუყრიან მოყმენი, გასწორდა: დაუყრია მოყმები.

1247_ა ამბისა, გასწორდა: ამბვისა.

გ. არაბული: სტროფი წინმდგომი სტროფის (1246) ლექსიკური გამეორებით იწყება. II-IV ტაეპები კი მომდევნო სტროფების შინაარსის კომპილაციაა, რაც ამ მომენტისათვის სრულიად ზედმეტია. ამიტომ ჩანართად მიმაჩნია.

ა. გვახარია: ტექსტის სტილიც ზოგადად, საექვო ჩანს, მაგრამ ეპიზოდის საერთო შინაარსიდან რაიმე მნიშვნელოვანი გადახვევა არ შეინიშნება, რაც სიყალბის აშკარა არგუმენტი იქნებოდა.

სხვა წევრებიც ეთანხმებიან: სტროფის ჩანართობის უეჭველი საბუთი არ გვაქვსო.

1250_ა ქვათაცა, გასწორდა: ქვისაცა.

1250_დ ვარდსა, გასწორდა: ვარდთა.

1997. 19. XII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს 1251-1312 სტროფები.

1254 ფატმან მისსა შუენებასა...

1255 პური ჭამეს...

1256 ფატმან მივიდა...

გ. არაბული: ამ სტროფებში იმდენად მოულოდნელი შინაარსი და მოქმედებაა, რომ გულმოდგინე დაკვირვებასა და განსჯას მოითხოვს. რ. პატარიძემ განიხილა ეს ეპიზოდი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1254 და 1256 სტროფები ყალბია, ხოლო 1256-ის მეოთხე ტაეპის აზრის გაგება უნდა შეიცვალოს (ცისკარი, 1979, № 5). მთ. რედაქციის 1980, 30. I-ის სხდომაზე ი. გიგინეიშვილმა და ე. მეტრეველმა დასვეს 1254-ე სტროფის ჩანართობის საკითხი მისი სტილური და ვერსიფიკაციული გაუმართაობის გამო. რედაქციამ შესაძლებლად მიიჩნია მისი დატოვება ძირითად ტექსტში, რადგან... „შეიცავს დამატებით შინაარსობრივ დეტალებს“ (ეს „დეტალები“ ოქმში მითითებული არაა).

ამ სტროფის ახალი დეტალი ისაა, რომ ავთანდილი ფატმანს „რეგვენს“ უწოდებს (თავის გულში). მომდევნო სტროფებში კი მართლაც ისეთი „დეტალებია“, რომლებიც შეუძლებელია პოემის ავტორს ეკუთვნოდეს. 1255-ე სტროფის ცნობით, დასვენებულმა და კარგად გამოძინებულმა ავთანდილმა სადამოხანს ფატმანი მიიწვია თავისთან, ქარვასლაში. ფატმანი მივიდა, იგი მღელვარებისაგან ხმამაღლა ოხრაგდა და ამბობდა: უთუოდ მომკლავს ალვის ხის ტანის (ავთანდილის) სურვილიო (ასე ესმის მთ. რედაქციას).

ნამდვილად კი ამ სტროფის ავტორი იმას ამბობს, რომ ავთანდილს მოესმა ფატმანის ოხვრა და თქვა: უთუოდ მომკლავს ეს ალვისტანიანი ქალიო. ეს ის ავთანდილია, რომელიც იმავე დღეს, გამთენიისას, ცრემლისღვრით მოთქვამდა: ვაი ჩემ თავს! მე, ბუღბული, ვარდის ბუჩქის ნაცვლად, ნეხვის გროვაზე ვზივარ ყვავის მსგავსადო (1249). მსმენელსა და მკითხველს ბოდიშს მოვუხდი ამ გამოთქმის გამეორებისათვის და შევახსენებ, რომ რუსთველს არც ერთი პერსონაჟი არ გაუმეტებია ასეთი დამცირებისათვის. თუ ეს სტროფი ნამდვილად რუსთველისაა, იგი, ალბათ, ნეხვბალახას გულისხმობდა (იხ. ვ. ნოზაძე, შ. ღლონტი...). სამწუხაროდ, მკითხველთა და მკვლევართა უმეტესობა ვულგარულ ნატურალიზმს ხედავს ამ გამოთქმაში, რაც პოემის პერსონაჟებს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს; ბინძური სიტყვა შეურაცხყოფს არა მხოლოდ მის ადრესატს (ფატმანს), არამედ მის მოქმედსაც (ავთანდილს).

მაგრამ ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ავთანდილის მეორე ნათქვამს – ფატმანის მშვენიერი ტანის ეშხი მომკლავსო, – შესაძლებლად მივიჩნევ. საქმე ისაა, რომ არც ამ მომენტამდე და არც მის შემდეგ ავთანდილს არასოდეს გამოუხატავს სექსუალური მისწრაფება ფატმანის მიმართ. უფრო სწორად, ავტორი ისე წარმართავს თხრობას, რომ დამაჯერებლად გვაჩვენებს მათი აშკობის ცალმხრივობას; ფატმანს მართლაც ძლიერი გრძნობით და ქალური ჟინით უყვარს ავთანდილი, რომელიც გულსგარეთ, მოჩვენებით იფერებს ამ სიყვარულს. ამიტომ მიმანჩნია, რომ 1254-56 სტროფებში წარმოდგენილი სიტუაცია ინტერპოლატორის ფანტაზიის ნაყოფია. იმ დღეს ავთანდილს ერთი მიზანი ჰქონდა: ფატმანისთვის ეთქვა თავისი ვინაობა და შემდეგ დახმარება ეთხოვა ნესტანის გზა-კვალის მოძებნაში. ამიტომ ჩაიცვა საჭაბუკო სამოსი, რამაც ფატმანი გააკვირვა. მოულოდნელობით გამოწვეული მისი გაკვირვებით შეხედვის პასუხი მოცემულია 1257-ე სტროფში, ავთანდილის სიტყვებში, რომ ის ვაჭარი არაა და სულ სხვა მიზნით მოვიდა ამ ქალაქში. ე. ი. მათი დია-

ლოგი 1253-ე სტროფიდან უშუალოდ გრძელდება 1257-ე სტროფში. 1254, 1255, 1256 სტროფები კი ინტერპოლატორის ფუჭი მრავალსიტყვაობაა, რაც ეპიზოდს აბუნდოვანებს და შეუსაბამო ცნობებით ტვირთავს.

ც. კიკვიძე: სიტუაცია მართლაც ბუნდოვანია, მაგრამ ახლა რედაქციის ოთხი წევრი გვაკლია, კონკრეტულ გადაწყვეტილებას მაინც ვერ მივიღებთ. ამიტომ ამ საკითხის განხილვა სხვა დროისათვის გადავდოთ.

1271_გ მოლი რამე...

გ. კარტოზია: კომენტარში შევიდეს **მოლის** განმარტება ი. ლოლაშვილისა (1984) და თ. ცქიტიშვილის (1985) წერილების დამოწმებით.

1271_დ გარდაფრინდა, გასწორდა: **გარდაჰფრინდა.**

1274_დ მზისა შუქნი მოიცადენ...

გ. კარტოზია: ფრაზის შინაარსია: მზის შუქს მოუცადე. კომენტარში მივცეთ მოკლე დასაბუთება და წყაროზე მითითება („მაცნე“, 1992, № 2).

1276_გ მცნებელი.

გ. არაბული: კომენტარში აღინიშნოს გამოცემების ვარიანტები **მცენელი** (ი. აბულაძე) და **მცნებელი** (ნ. ნათაძე) და მათი შინაარსი.

1287_გ მისმანვე ცრემლმან დაუვისის, **ვის ედებოდა, ვის, ალი.**

გ. არაბული: ვფიქრობ, საფუძვლიანია რ. ბერიძის მსჯელობა და დასაბუთება, რომ **ედებოდა** უნდა გასწორდეს: **ედებოდის**, ხოლო **ვის ალი** ნიშნავს ვაების, მწუსარების ალს (ტანჯვას). მძიმეები უნდა მოიშალოს **ვის-თან**.

დაადგინეს: დაიწეროს **ედებოდის**, ხოლო **ვის ალის** საკითხი გადაიდოს შემდეგი სხდომისათვის.

1288_დ დაბმულხარ, დაიწერა ცალ-ცალკე: **დაბმულ ხარ.**

1291_ბ ჩემი მეთქვა: **გარდასრულდა...**

გ. კარტოზია და გ. არაბული მხარს უჭერენ ა. ჭინჭარაულის გასწორებას: **ჩემი მეთქვა გარდასრულად...**

ძველი ოქმის (1980, 26, III) გათვალისწინებით დარჩა არსებული წაკითხვა.

1300_გ მუნა გნახო, მანდვე გსახო...

თ. ცქიტიშვილი: **მანდვე გსახო** უაზრო გამოთქმაა. უნდა მივიღოთ D რედაქციის წაკითხვა **მასვე** ან ერთ-ერთი კონიექტურა: **მზედვე** (ა. ჭინჭარაულის), ან **მადვე** (1937 წ.), რაც შინაარსით იგივეა (მზეს გულისხმობს).

გ. კარტოზია: კიდევ ვიფიქროთ და შემდეგ გადავწყვიტოთ.

1309 დ წყლულნი მით ვაგლახებულნი, გასწორდა: **წყლულნი მით, ვაგლახ, ლებულნი.**

1312_ბ რიცხვი ტურფათა **ჯარისა.**

თ. ცქიტიშვილი: ფრაზა გაუგებარია. **ჯარისა** შევცვალოთ: **ლარისა.**

გ. არაბული: აღბათ, უნდა გავასწოროთ, ჯარი ძველ ქართულში ნივთის, საგნის მნიშვნელობით არ დასტურდება.

ც. კიკვიძე: შევამოწმოთ მასალაში და შემდეგ განვიხილოთ.

1997. 23. XII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე.

განიხილეს 1313-1365 სტროფები.

შესწორება შეტანილ იქნა შემდეგ სტროფებში:

1316_ღ გაგიცვილდების, გასწორდა: გაგილბილდების.

1317_ა შემინდევ, გასწორდა: შემინდევ.

1318_ა ჩემზედა, 1318_გ თქვენთანა, დაიწერა ცალ-ცალკე: ჩემ ზედა; თქვენ თანა.

1319_გ სულად მართ ვითა გიამან, გასწორდა: სრულად, მართ ვითა ჰგია, მან.

1319_ა მოქარაენეთა უბრძანა...

შეტანილ იქნა ძირითად ტექსტში (წინააღმდეგი გ. არაბული).

1320_გ პირითა მსგავსი მთვარისა, შეიცვალა: პირითა სავსე მთვარისა, – ასეა ხელნაწერებში, მხოლოდ სამშია „მსგავსი“ (წინააღმდეგი გ. კარტოზია)

1323_გ ვარდის ფურცლობა- ნიშანი, შეიცვალა: ვარდის ფურცლობის ნიშანი (წინააღმდეგი გ. კარტოზია).

1336_გ შეფურინდა, გასწორდა: შეჭფურინდა.

იქვე, **დ ნიშანთა. ა. გვახარია: აზრობრივად უკეთესია ნიშანთა (სიხარულმა).**

გ. კარტოზია: არა. აქ ნესტანის გამოგზავნილი ნიშნები იგულისხმება: წერილი და „კიდე რიდისა“.

დაადგინეს: დარჩეს: **მისთა ნიშანთა.**

1340_გ სისხლი ლომისა

გ. არაბული: კომენტარში შევიდეს მ. მამაცაშვილის აზრი სისხლის სიმბოლური შინაარსის შესახებ (ლიტ. საქ. 1986, № 10).

1342_ღ ორჯელევ, გასწორდა: ორჯერევ.

1343_ღ ვინცა თავისა მტერია.

ა. გვახარია და გ. კარტოზია მოითხოვენ **მტერიას** შეცვლას ვარიანტით **მკვლელია**.

გ. არაბული: **მკვლელობა** გვიანდელია. იხ. ოქმი 1980, 17. IX.
დაადგინეს: დარჩეს არსებული წაკითხვა.

1350 მარტო ზის, **არბარგოსანი**.

ა. გვახარია: გასარკვევია **არბარგოსანის** მნიშვნელობა.

გ. კარტოზია: ვნახოთ შ. გაბესკირიას წერილი და შემდეგ დავეუბრუნდეთ ამ საკითხს.

1359 ტარიელ ეტყვის: „ავთანდილ, გასწორდა: ტარიელ ეტყვის ავთანდილს; იქვე, ბ. მოამბუდ გასწორდა: მოამბუდ.

1363 შეიცვალა პუნქტუაცია და შინაარსიც: ჯაჭვ-მუზარადი აღმასი, კრმალი ბასრისა მჭრელიო.

იქვე, დ ვინც გახსნას, გასწორდა: ვინ გახსნას.

1365 თავის თავს, გასწორდა: თავის-თავ.

დაადგინეს: წაკითხვის დასაბუთება (ა. ჭინჭარაულისა) შევიდეს კომენტარში.

1997. 30. XII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.
განიხილეს 1381-1455 სტროფები.

1381ღ ვჰპოვებთ, გასწორდა: ვპოვებთ.

1382ა ყოფილვარ, გაიყო: ყოფილ ვარ.

1385 ა ყოველგნით მგრგვალი...

ც. კიკვიძის წინადადებას მხარი დაუჭირეს სხვა წევრებმა და სტროფი აღადგინეს ძირითად ტექსტში (წინააღმეგი – გ. არაბული). შდრ. 1980. 26. XI-ის ოქმი.

1389გ მიჩნს, გასწორდა: მიჩს.

1390ა გასწორდა: აბჯრითა გავალ, არად მიჩს ჭირად გატანა ფარისა.

1395გ ქვიტკირი, გასწორდა: ქვითკირი.

1410ღ სიხარკე შინაარსისათვის კომენტარში მიეთითოს: საბა – ხარკობა; აგრ. – ხარკით კეთება; დახარკება (ა. ჭინჭარაული, ხეცსურული ლექსიკონი).

1412 ა ტარიერისა

გ. არაბული: სტროფის რითმა (სხვა ტაქტებში) **ერისა**. A და B რედაქციებში იკითხება **ტარიელისა**. ე.ი. არასწორი ფორმა (ტარიერისა) მეორეულია. სასურველია, რომ გასწორდეს აქაც და 399ა-შიც („წიგნსა გიწერ ტარიერსა“). წინადადება არ იქნა მიღებული.

1413გ განხმულნი, გასწორდა: **გახმულნი**.

1414 ა გზანი დახვდეს **შეკაფულნი**.

გ. კარტოზია: ხელნაწერთა უმეტესობა იცავს ვარიანტს: **შეკაზმულნი**. **კაზმვას** აქვს მომზადების, გამზადების მნიშვნელობა. კენჭისყრით დარჩა **შეკაფულნი**.

1419გ ერთკერბ, გაიყო: **ერთ კერბ**.

1451 მუნ ატირდეს...

კომენტარში აღინიშნოს, რომ ა. ჭინჭარაულს ჩანართად მიაჩნია.

1452გ ნურათ იქთ, გასწორდა: **ნურათ იქ**.

1455ა შუკათა, გასწორდა: **შუკათათ**.

1998. 6. I

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვაძე, თ. ცქიტიშვილი. განიხილეს 1457-1520 სტროფები.

1461 იგი ტაბაკი სავსეა...

გ. არაბული აყენებს წინადადებას: I-II ტაქტების ბოლოს წერტილები შეიცვალოს მძიმეებით. მხარს უჭერენ ბ. ბრეგვაძე და ა. გვახარია. სხვა წევრებმა არ გაიზიარეს; დარჩა წერტილები.

1466გ ტკბილი სიტყვითა გაემართოთ და ხრმლითა – საომარები.

გ. არაბული: ტაქტის II ნახევარი ასე გავასწოროთ: **არ ხრმლითა საომარები** (= ხმლით საომარი საქმე არაა, ან: რაც ხმლით გადასაწყვეტი არაა), შდრ. ხელნაწერები A⁴ A⁹, ი. გიგინეიშვილი 1958 (თეზისები). არ იქნა მიღებული.

1483გ არ ეწინების სტუმრობა შენისა მე შემყრელისა.

ა. გვახარია: ტაქტი ენობრივად გაუმართავია.

გ. კარტოზია: გასწორება ვერ ხერხდება, ასე უნდა დარჩეს.

1486ა ბრძენი დიგნოს...

ა. გვახარია: ეს დიგნოსი და **დიონოსი ბრძენი** (175ა) ერთი პიროვნებაა.

გ. კარტოზია: მართლაც, ორგანვე ერთი პიროვნება იგულისხმება, მაგრამ გასარკვევია ეზროს-ის ვინაობა. ვთხოვთ ბ. ბრეგვაძეს, გაგვირკვიოს ეს პრობლემა.

1490_ა ყოფილვარ, დაიწერა: ყოფილ ვარ.

1498 მიხედვს არაბთა საზღვარსა...
კომენტარში აღინიშნოს, რომ ჩანართად თვლიან: ა. შანიძე და პ. ინგოროყვა.

1500_ა მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა, მიწისა შენისა.

გ. კარტოზია: **მიწისა შენისა** განკერძოებული განსაზღვრებაა (**ჩემი-სა**), მაგრამ მძიმე შეიძლება მოიშალოს, რადგან მსაზღვრელ-საზღვრული შორი-შორ არიან.

გ. არაბული: აზრის სწორად გაგებისათვის სჯობს მძიმე დარჩეს, თორემ მკითხველთა აბსოლუტური უმეტესობა იფიქრებს, რომ აქ რეალური მიწა, როსტეფანის სამფლობელო იგულისხმება.

გადაწყდა: მძიმე მოიშალოს.

1502_გ ელვა შუქისა სამისა.

ა. გვახარია: გავასწოროთ ა. ჭინჭარაულის მიხედვით: **შუქი ელვისა სამისა.**

ც. კიკვიძე: კონიექტურა საჭირო არაა, აზრი ერთი და იგივეა.

დარჩა არსებული წაკითხვა.

1509_დ სდებს პატივსა ინდოთ მეფეს...

გ. არაბული: ყველა ხელნაწერშია: **მეფე**. უნდა აღვადგინოთ ეს წაკითხვა.
გ. კარტოზია: გაგარკვიოთ, როდის შეიცვალა. შემდეგ სხდომაზე ვიმსჯელოთ.

1514_დ ტაეპის ბოლოს დაისვა ორწერტილი.

1520 (ვით ეგების...)

გ. არაბული: კომენტარში აღინიშნოს, რომ ჩანართად მიაჩნია ა. ჭინჭარაულს.

1998. 9. I

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე.
განიხილეს 1537-1573 სტროფები.

1537_ა ზედა აწვივნა, დაიწერა ერთად: ზედააწვივნა.

1543_ა იმედისა თავსა დება.

ც. კიკვიძე: ეს გამოთქმა აზრობრივად გაუგებარია, თანაც მხოლოდ D რედაქციის წაკითხვაა. სხვა ნუსხებში მისი ვარიანტია **იმედისა გათაეება**, რაც შეიძლება გაეიგოთ გამართლების, შესრულების მნიშვნელობით.

გ. კარტოზია: რითმა რომ ირღვევა?

ც. კიკვიძე: როგორც ჩანს, გადამწერმა სწორედ რითმის გამო შეცვალა ავთენტიკური წაკითხვა.

დარჩა **თავსა დება** (წინააღმდეგნი ც. კიკვიძე, გ. არაბული).

1544_გ ნესტანჯარ

ა. გვახარია: ეს ფორმა რუსთველის ტექსტში მიუღებელია.

გ. კარტოზია: ალბათ, გვიანდელი დამახინჯებაა. იქნება კონიექტურით გასწორდეს.

ც. კიკვიძე: შეიძლება საერთოდ გვიანდელი ტექსტი იყოს. მაშინ გამოდის, რომ ჩვენ ვაკეთებდით ნაყალბევ ტექსტს.

ბ. ბრეგვაძე: უკვე დასასრულისკენ მივდივართ და აქ ბევრია გვიანდელი ჩანართები.

დაადგინეს: დარჩეს **ნესტანჯარ**.

1545_გ უმრავლესი მხავისა.

ც. კიკვიძე: **მხავისი** არქაული ფორმაა, მაგრამ ნუსხებში **ხავისა**.

გ. კარტოზია: 195-ში გვაქვს: „ლაწენი შენცა **დაიმხავსენ**“. აქაც იყოს **მხავისი**.

ა. გვახარია: **1585-ში** რომ **ხავისა**?

გ. კარტოზია: იმ ტექსტის გვიანდელი უფრო მეტად სარწმუნოა, ამიტომაც პეტიტით აწყობილი.

დაადგინეს: დარჩეს **მხავისა**.

1558_გ თანა წამოგყვეს დაიწერა ერთად.

1563_დ წდობილნი

ა. გვახარია: ხომ არ უნდა: **წრთობილნი**?

გ. კარტოზია: ძველ ტექსტებში დონიანი ფორმითაა. ვტ-შიც (324-4). ასე გვაქვს: „გული აღმასი, წდობილი“.

1566_გ ყოლა თუ ყოლე?

გ. კარტოზია: **ყოლე** გვიანდელი ფორმაა. დარჩეს **ყოლა**.

1571_დ რად მიხნდეს სალა მე.

გ. არაბული: **სალა-ს** მნიშვნელობა გაუგებარია.

გ. კარტოზია: იქნება ფონდში ვნახოთ რამე მასალა.

1573_ა დაჰბადოსა, გასწორდა: დაბადოსა.

1998. 13. I

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, თ. ცქიტიშვილი.

სხდომა დაიწყო ზოგადი მსჯელობით „ინდო-ხატაელთა ამბის“ შესახებ.

გ. კარტოზია: ვფიქრობ, ყველა ჩვენგანი ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს ეპიზოდი რესტავრირებულია. ამდენად, აქ შევა ის სტროფები, რომლებიც ხელნაწერთა უმეტესობისათვის საერთოა და არა ცალკეულ ნუსხათა ჩანართები. შეიძლება აქ ზოგი რუსთველისა იყოს, ზოგი – არა.

ც. კიკვიძე: სიუჟეტურად ეს ეპიზოდი აუცილებელი ჩანს, მაგრამ თუ ნამდვილად ვიცით, რომ ტექსტი რუსთველისეული არაა, ის უნდა ამოვიღოთ. მაგ., კურიოზია კათალიკოს-მაწვევერელის ხსენება, ან „არაბულად ყვეს უბნობა“. ეს სტროფები გვიანდელია. რესტავრაცია ნიშნავს ძველის აღდგენას.

გ. არაბული: რუსთველისა და სხვათა სტროფების გარჩევა ამ ნაწილში მეტად ძნელი იქნება. ამის გარდა, დამატებები არ იწყება ინდო ხატაელთა ეპიზოდიდან. ჩემი აზრით, ისინი უფრო ადრე დაიწყო, კერძოდ – ქორწილებიდან, რასაც ჩვენ სათანადო ყურადღება ვერ მივაქცევთ. ამ ნაწილში ერთი თავი „ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა“ მთლიანად ამოსაღებია. ის სიუჟეტურად აუცილებელი არაა; გმირებისთვის ადრევე იყო ცნობილი ინდოეთის გასაჭირი. მომდევნო თავში „ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა“ შეიძლება ზოგი რამ შემცირდეს, დარჩეს მხოლოდ ის, რაც აუცილებელია ტარიელისა და ნესტანის ინდოეთში დაბრუნებისა და მათი კანონიერი უფლების აღდგენის საჩვენებლად.

ბ. ბრეგვაძე: მეც მგონია, ქორწილებიდან იწყება საეჭვო ვითარება. სულ სხვა პოეტური განწყობაა. უნდა ვადიაროთ, რომ ნესტანის გამოსხნის შემდეგ ყველა ეპიზოდი დამატებებით არის გაჯერებული.

გ. კარტოზია: ტექსტი თუ გაიცხრილება, უნდა დაიბეჭდოს ძირითადად, როგორც რუსთველისა, თუ არა – მთლიანად პეტიტით, როგორც რესტავრირებული. ვფიქრობ, ჯერ დაგამთავროთ ტექსტის დადგენა ენობრივი თვალსაზრისით და შემდეგ ვიმსჯელოთ მის საერთო მოცულობასა და კომპოზიციასზე.

1574_ა ქედსა ზედა გარდამოდგა...

ც. კიკვიძე: ეს წაკითხვა უფრო შესაფერისია, ვიდრე ნ. ნათაძის გამოცემის **გარდმოადგა**.

გ. კარტოზია: დიას, **გარდამოდგა** ნიშნავს: **გადმოდგა**.

1575_გ რად ტანი შეგიბლესია

ა. გვახარია: ამ გამოთქმის აზრი არ მესმის, სხვა გამოცემებშია: **შეგიბლესია**.

ც. კიკვიძე: **შეგიბლესია ბ და ფ** ბგერების მონაცვლეობის საფუძველზე შ. ონიანს **ფლასიდან** მიღებულად მიაჩნია, ე. ი. შავი ფლასით შემოსილხართო.

თ. ცქიტიშვილი: ხელნაწერებში არის ვარიანტი: **შეგიმოსია**. იქნება ეს იყოს ავტორისეული.

გ. არაბული: **შეგიმოსია** ძალზე ნათელი სიტყვაა და არაა მოსალოდნელი მისი შეცვლა უფრო რთული სიტყვებით.

გ. კარტოზია: წინა რედაქციის მიერ მიღებულია: **შეგიბლესია**, გასაგებიც არის და რითმას შეწყობილიც. უკეთესი ვარიანტი არა გვაქვს.

1581_ს საგებნელად

ბ. ბრეგვაძე: ხელოვნურ თუ არასწორ ფორმას ჰგავს, როგორია ამ სიტყვის ეტიმოლოგია და მნიშვნელობა?

ც. კიკვიძე: **გება**-დან უნდა მოდიოდეს, კერძოდ, მისი იმ ნიუანსებიდან, როდესაც ის ნიშნავს **შეძლებას** (ვერ ვგების, არა ვგებოდა), ან **შეძენას**, **მოპოვებას** (მოგებული, მოსაგებელი).

გ. კარტოზია: ადრე ვთარგმნეთ „მოსაგვარებლად“. ამ კონტექსტს ეს შინაარსი შეეფერება.

1582ლ თ. ცქიტიშვილი: როგორ განვმარტოთ **ტკებნისა**?

ა. გვახარია: **ტკებნა** არის თელვა, დატკებნა. აქ, ალბათ, სამარეში დაფლვა და მიწის დატკებნა იგულისხმება.

1584ლ **ხარხაჩო** (ვარჯანხო) განიმარტოს: სადაფის ნიჟარა, რომელშიც მარგალიტი წარმოიქმნება.

უფრო ვრცლად იხ. კომენტარში.

1585გ **ხავსია**

ბ. ბრეგვაძე: ადრე (1545-2) **მხავსი** გვქონდა. არ გავასწოროთ?

ც. კიკვიძე: ეს ტექსტი უფრო გვიანდელია და ასე დარჩეს. ხელნაწერებში ასეა.

1586გ **მოგვეო**

გ. კარტოზია: ადრე მიღებული გვქონდა ჭინჭარაულის კონიექტურა: **მოგვეო** (= გამოვედი, გამოვდექი), ჩვენს გამოცემაში (1988წ.) მაინც **მოგვეო** (მოგვედი) დაიბეჭდა, რაც აზრობრივად შეუფერებელია. უნდა მივიღოთ **მოგხეო** (**მოგჰვეო**).

დაადგინეს: მასობრივ გამოცემაში დაიბეჭდოს **მოგხეო**, ხოლო აკადემიურში – **მოგჰვეო**.

1597გ აბჯართა **ფეთანი**

ა. გვახარია: ხომ არ შევცვალეთ **ფლეთანი-თ**?

გ. კარტოზია: **ფეთა** უფრო ძველი ფორმაა. აქ ორივე შესაძლებელია. რადგან ხელნაწერებში **ფეთანი** იკითხება (ორი ნუსხის გარდა), დარჩეს ეს ფორმა.

1599ლ ხანსა **და-რე-ზმიდეს**.

გ. არაბული: აქ უფრო შესაფერისი იქნებოდა: **ხანსა არ დაზმიდეს**.

ც. კიკვიძე: ხელნაწერები (თითქმის ნახევარი) იცავს **არ დაზმიდეს**. უნდა გასწორდეს.

დარჩა: **და-რე-ზმიდეს**.

1603გ **პირბოზი** – ლექსიკონში განიმარტოს როგორც ცრუ. პირბოზის გამტეხი. ტარიელი გულისხმობს, რომ რამაზმა გატეხა ფარსადან მეფის წინაშე დაღებული პირობა და ერთგულების ფიცი.

1606გ **არაბთა თანანი** დაიწერა ერთად.

1998. 16. I

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე.

გაგრძელდა ტექსტის განხილვა.

1609 **შინა წავიდეს...**

გ. არაბული: ამ კონტექსტში „შინ წასვლა“ გაუგებარი და შეუფერებელი გამოთქმაა. შ. ონიანმა შეცვალა კონიექტურით: **წინა წავიდეს** და სტროფი 1606-ის მომდევნოდ გადაიტანა.

ა. გვახარია: ხელნაწერები მხარს არ უჭერს ასეთ ცვლილებებს.

გ. არაბული: ამ ეპიზოდში D რედაქციის ნუსხებში არის კიდევ რამდენიმე სტროფი, რომლებიც უფრო გვიანდელ ჩანართებად ითვლება, მაგრამ ვერც მათი გათვალისწინება ამართლებს ამ გამოთქმას (**შინა წავიდეს**), (იხ. 1983,21 XII-ის ოქმი).

დაადგინეს: დარჩეს **შინა წავიდეს**. ჩაითვალოს, რომ ტექსტი დამახინჯებულია.

1613 **შეიცვალა პუნქტუაცია:**

მესამე ტაეპის ბოლოს დაიხურა ბრჭყალი (დაიყოვნე.) და მოიშალა მეოთხის ბოლოში.

1626 **გ. არაბული: მოიჭდუნა თუ მოიჭდო?**

გ. კარტოზია: **ნ** ზედმეტია, თუმცა ყველა ნუსხაშია. დავწეროთ: **ზედა-მოიჭდო**.

1627 **ა. გვახარია: შესამოსლითა თუ წითელ-ყვითლითა?**

გ. კარტოზია: პირველია **შესამოსლითა**, რაც ოფიციალურ, საზეიმო ჩასაცმელს ნიშნავს. შდრ. 1634-1 „დედოფალმან შეიმოსა, შავი ძაძა აიხადა“.

1631 **ც. კიკვიძე: შერეულია დაბალი და მაღალი შაირი (3+5/4+4).** გ. კარტოზია: ხელნაწერებში ასეა და დარჩეს.

1633 **აქვიტკირა, გასწორდა: აქვითკირა.**

1639 **ოთხთავე, გასწორდა: ორთავე.**

1998. 18. I.

სხდომას დაესწრნენ : გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია. განიხილეს 1640-1666 სტროფები.

ა. გვახარია: ამ ეპიზოდში ნ. ნათაძეს გამოტოვებული აქვს 8 სტროფი. ასევე გამოაკლო მან წინა ორ თავშიც რამდენიმე სტროფი. გამოვხატოთ თუ არა ჩვენი პოზიცია ამ ფაქტის მიმართ?

გ. კარტოზია: ეს მისი პირადი თვალსაზრისია. ნ. ნათაძეს მიაჩნია, რომ ეს სტროფები, მათი შინაარსისა და სტილის გამო, არ შეიძლება რუსთველის დაწერილი იყოს. თანაც ისინი სიუჟეტისათვის აუცილებელი არ არის და ამიტომ არ ბეჭდავს. ჩვენ, როგორც ადრე ვთქვით, პოემის ბოლო სამ თავს რესტავრირებულად მივიჩნევთ. არ ვახდენთ სტროფების კლასიფიკაციას და ტექსტის გაცხრილვას. ამიტომ დავებეჭდეთ ერთიანად განსხვავებული შრიფტით. ახლაც ასე მოვიქცეთ, გავასწოროთ მხოლოდ აშკარა ენობრივი და ფაქტობრივი ლაფსუსები. ამ ეტაპზე მეტის გაკეთება შეუძლებლად მიმაჩნია.

1643_ა ოქრო, თვალი, მარგალიტი...

თვალი გამოიყო მძიმეებით, როგორც ძვირფასი ქვების ზოგადი სახელი.

1661_გ ბ. ბრეგვაძე: გაუგებარია „**კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს**“.

გ. არაბული: ხელნაწერები ლოგიკურად გამართულ წაკითხვას არ იძლევიან. აუცილებელია კ. კეკელიძის კონიექტურის აღდგენა: „**კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს**“, რომელიც შეტანილია 1937 წლის გამოცემაში და შემდეგ გამეორებულია 1951, 1957, 1966 წლების გამოცემებში.

გ. კარტოზია: ხელნაწერების წაკითხვაში შეიძლება იგულისხმებოდეს: ისეთი წესრიგი დაამყარეს, რომ კრავებიც კი ცხვრებს (თავიანთ დედებს) აღარ წოვდნენო.

გ. არაბული: ასეთი აკრძალვა წარმოდგენელია. აქ უთუოდ ძალადობა, მტაცებლობა იგულისხმება, როდესაც კრავი სხვა კრავის დედას წოვს.

დაადგინეს: დარჩეს ნუსხების ვარიანტი: „**კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს**“.

1663_ა ქართველთა ღმრთისა, დავითის ვის მზე მსახურებს სარებლად.

გ. კარტოზია: ამ პუნქტუაციით ჩვენი გამოცემის რადაქცია იზიარებს ნ. ნათაძის განმარტებას, რომ „ქართველთა ღმერთში“ იგულისხმება თამარ მეფე, რომელსაც დავით სოსლანის მზე (= სიცოცხლე და მეომრული ღირსება) ემსახურება ბრძოლა-ლაშქრობაში.

1663_ბ ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად.

ბ. ბრეგვაძე: მათად მხოლოდ თამარს გულისხმობს თუ ორივეს: თამარსა და დავითს?

გ. კარტოზია: შეიძლება ორივეს გულისხმობს. ახლა ერთმნიშვნელოვნად ვერაფერს დავამტკიცებთ. უფრო საშურია **საკამათებლად** სიტყვის შინაარსის დაზუსტება. მისი ვარიანტები ნუსხებში: **მოსახმარებლად** და **ლხინთა მარებლად** უფრო გვიანდელი ჩანს, აზრობრივადაც დიდი უპირატესობა არა აქვს. გამოცემებში შეტანილ კონიექტურებზე: **სააზმანებლად** (მ. წერეთელი), **საქებარებლად** (პ. ინგოროყვა) და **სახუმარებლად** (ნ. ნათაძე), ალბათ მსჯელობა არ ღირს. **კამათ** ძირიდან წარმოებული სიტყვები პოემაში კიდევ სამჯერ გვხვდება: „მის მზისა მოკამათისა“ (676-4) ნიშნავს შემცილეს, მეტოქეს; „ამად შევემართენ საქმენი მათნი საკამათენია“ (1608-3) ტაეპის აზრია: ამიტომ გავბედე მათთან შედავება, შებრძოლება; „შევიქ სიხარულსა მართ გულისა საკამათსა“ (1631-4), **საკამათი** აქ გასართობს, მოსალხენს ნიშნავს. დასასრულის ამ სტროფშიც ეს შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ: **გასართობად, საამებლად**.

ა. გვახარია: შაჰ-ნამეს ქართულ ვერსიებშიც ამ სიტყვის ორივე მნიშვნელობა დასტურდება: „[ჯიმშედ] მოკაზმა დარბაზი საკამათია“ (შაჰნ. III, 299,3.), ლექსიკონში ახსნილია: **საკამათი** – სათათბირო, გასართობი. სხვა კონტექსტში: „მე ვარ მათი საკამათი“ (იქვე, 801,1) ეს სიტყვა მოპირდაპირეს, მეომარს ნიშნავს. დაადგინეს: დასაშვებად ჩაითვალოს ორივე მნიშვნელობა: **1. გასართობად; 2. სამსჯელოდ, განსახილველად**.

1666_ა ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხომელსა.

ბ. ბრეგვაძე: აქამდე **მოსე ხონელი** ვიცოდით, საიდან გაჩნდა ეს **ხომელი**?

ა. გვახარია: ეს ვარიანტი შეიტანა თავის გამოცემაში ნ. ნათაძემ. კომენტარში წერს, რომ „წაკითხვა დასაბუთებულია ზოგ ხელნაწერსა და იმერეთში არსებულ გეოგრაფიულ სახელზე მითითებით მ. თოდუას მიერ“.

გ. არაბული: **ხომელსა** მხოლოდ ერთ ნუსხაში (H 54) იკითხება და ის ამ ნუსხის გადამწერის კონიექტურა ან უნებლიე შეცდომაა, რომელიც უკრიტიკოდ მიიღეს მ. თოდუამ და ნ. ნათაძემ, შემდეგ კი ჩვენმა მთავარმა რედაქციამ. ხელნაწერთა აბსოლუტურ უმეტესობაში დაცული წაკითხვის (ხონელსა) შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

ა. გვახარია: ფრანგულ მასალებზე დაყრდნობით მ. თოდუა, თითქოს ასაბუთებს გვარ **ხომელის** არსებობის შესაძლებლობას.

გ. არაბული: სამწუხაროდ, მთოდუა ვერაფერს ასაბუთებს. იგი ეყრდნობა ფრანგი მთარგმნელის, ფ. ტუსენის, მეტისმეტად საეჭვო ცნობას ვინმე პოეტი „**ზუმალის**“ შესახებ და ამ ცნობაზე აგებს თავის ასევე საეჭვო ჰიპოთეზას **ზუმალი-ხომელის** იგივეობაზე. ამ პრობლემაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს, საიდანაც ნათლად ჩანს ლიტერატურული მისტიფიკაციისა და ფალსიფიკაციის გრძელი ჯაჭვი, რომლის ერთ-ერთი მოტივი იყო რუსთველის სახელით სპეკულირება.

გ. კარტოზია: ლექსისთვის მაინც ასე სჯობს, **ხომელსა-რომელსა** ზუსტი რითმა გამოდის.

გ. არაბული: ზუსტი რითმა კი გამოდის, მაგრამ ვის ნაწერს ვასწორებთ? ყველამ ვიცით, რომ ეს სტროფი რუსთველისა არაა. მისიც რომ იყოს, **-ონელსა / -ომელსა** კლაუზულის ისეთი დარღვევა არაა, თუნდაც დიდ პოეტს ნაკლად რომ ჩაეთვალოს. თქვენ ზრუნავთ ინტერპოლატორზე, მის რითმას ალამაზებთ და ამით უარყოფთ პოემის ხელნაწერებით საუკუნეთა მანძილზე დაცულ ტექსტს, მის უნიკალურ ცნობას „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის გვარის (ან სადაურობის) შესახებ.

ბ. ბრეგვაძე: ხომ შეიძლება, ერთადერთ ხელნაწერში იყოს ავთენტიკური დაწერილობა ზუსტად შენახული, უმრავლესობაში კი – დამახინჯებული?

გ. არაბული: ამ შემთხვევაში ამის დაშვება გამორიცხულია, – ზუსტ რითმას გადამწერები არასოდეს ცვლიან არაზუსტი რითმით. პირიქითი მოქმედების მაგალითი კი მრავალი გვაქვს. მეორეც, – ეგ ნუსხა (H 54) თუ ასე სანდოდ მიგაჩნიათ, გადმოწერეთ და დაბეჭდეთ მთელი სტრიქონი (თუნდაც მთელი სტროფი): **ამირან დარეჯანის ძე მოსეს აქებდა ხომელსა** და ა. შ.

კალიგრაფი ამირან დარეჯანის ძეს პოეტად რომ წარმოგიდგენს, მისგან **ხონელი-ხომელის** დაწერილობაში დაშვებული უზუსტობაც მოსალოდნელია. ოღონდ მკვლევარმა ასეთი კალიგრაფის ნაღვაწი ერთადერთ ჭეშმარიტებად არ უნდა მიიჩნიოს.

გ. კარტოზია: მოსე ხონელის გარდა იქნება არსებობდა სხვა მოსეც, გვარით ან წარმოშობით **ხომელი**.

გ. არაბული: შეიძლება არსებობდა, მაგრამ ორივენი „ამირანდარეჯანიანის“ ავტორები ვერ იქნებოდნენ. ასეთი ერთი იყო – მოსე ხონელი, რომელსაც მ. თოდუამ და ნ. ნათაძემ ამ ცნობილი თხზულების ავტორობის უფლება ჩამოართვეს და არარსებულ ხომელს გადაულოცეს.

ა. გვახარია: საკითხი ძალად გართულებული და ჩახლართული ჩანს. ალბათ აუცილებელია, კიდევ გადავხედოთ სათანადო მასალას და შემდეგ ვიმსჯელოთ.

ბ. კარტოზია: გადავდოთ სხვა დროისათვის, როცა სრული შემაღებლობით შევიკრიბებით.

1998. 7. VII

სხდომას დაესწრნენ: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ა. გვახარია, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს პოემის მასობრივი გამოცემის ტექსტის ზოგიერთი წაკითხვა და სტროფები, რომელთა სტატუსი სხვადასხვა დროს მერყეობდა „ძირითადისა“ და „ჩანართის“ კვალიფიკაციებს შორის.

37 ბ გვმართებს **მისივე** ჯერობა, შეიცვალოს: **აზომცა** ჯერობა, რომელსაც ხელნაწერთა დიდი ნაწილი უჭერს მხარს. **მისივე** მხოლოდ ერთ ნუსხაშია, თანაც ის ტავტოლოგიას ქმნის მესამე ტაეპის დასაწყისთან: „მისივე მეტობს...“

83 ბ სადავითა

ზ. სარჯველაძე: უნდა შეიცვალოს ფორმით: **სადვეითა**. ეს წაკითხვა დაცულია „გუფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში და საშუალო ქართულის არა ერთ ტექსტში.

ც. კიკვიძე: ფორმის **სადვეითა** მართებულობა დასაბუთებულია ა. ჭინჭარაულის მიერ. უნდა გავასწოროთ აქაც და სხვა სტროფებშიც:

სადავეუკუყურილი (863 გ) და „ცხენსა მისცნა **სადავენი“ (991დ)**.

გასწორებას მხარს უჭერენ: ზ. სარჯველაძე, ც. კიკვიძე, გ. არაბული, ა. გვახარია, გ. კარტოზია, წინააღმდეგნი: ბ. ბრეგვაძე, თ. ცქიტიშვილი.

114,1 როსტანს სიტყვა ასულისა მოეწონა, ეკეთაცა...

გ. კარტოზია: სტროფი ჩანართად არის მიჩნეული რუსთველის პირველი საიუბილეო (1937 წ.) კომისიისა და ჩვენი რედაქციის მიერაც. არგუმენტები, რომ ის სიუჟეტის განვითარებისათვის აუცილებელი არ არის, რომ -ცა ნაწილაკის გამოყენება სარიტმო ზმნურ ფორმებში რუსთველის სტილი არაა, სტროფის სიყალბის დასადგენად საკმარისი არ არის.

ა. გვახარია: მ. თავდიშვილს მიაჩნია, რომ ამ ეპიზოდის სხვა სტროფებში (რომლებიც აგრეთვე ჩანართებად ითვლება), ჩანს თინათინის გონიერება, სიბრძნე და მჭევრმეტყველება, რამაც როსტევანი გაახარა. სწორედ მეფის კმაყოფილება და აღტაცება არის გადმოცემული სადავო სტროფში. ამიტომ, მისი აზრით, ეს და კიდევ სამი სხვა სტროფი უნდა იქნას შეტანილი ძირითად ტექსტში.

ბ. ბრეგვაძე: სხვა სტროფები რამდენად საჭიროა, არ ვიცი. ამ სტროფის ენა და სტილი კი ნამდვილად არ ვარგა. „პირი ხელით დაუჭირა, გარდაკონა კელა და კელაცა“ – ამის ავტორად რუსთველის მიჩნევა მისი პოეტური გენიის შეურაცხყოფა მგონია.

გ. არაბული: სტროფებში, რომლებიც მ. თავდიშვილს ძალიან მოსწონს, არაფერია მნიშვნელოვანი, ბანალური მრავალსიტყვაობის გარდა. ყველა მათ-

განს ატყვივა მიმბაძველთათვის დამახასიათებელი აზრობრივი სიმწირე და სტილური გაუმართაობა. ბროსეს, კაკაბაძის, ჭიჭინაძისა და ნათაძის გამოცემებში, რომლებშიაც ეს სადავო სტროფი დაიბეჭდა, მათი რუსთველურობა დასაბუთებული არაა.

კენჭისყრით სტროფის აღდგენას მხარს უჭერენ: გ. კარტოზია, ა. გვახარია, ზ. სარჯველაძე, თ. ცქიტიშვილი (წინააღმდეგნი: გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, ც. კიკვიძე).

134,1 თავი ჩემი სამსახურად...

გ. კარტოზია: სტროფს 1935-37 წლების კომისია ჩანართად მიიჩნევდა. მიუთითებდნენ მომიჯნავე სტროფების შინაარსის გამეორებაზე, აგრეთვე აზრობრივ და სტილისტურ გაუმართაობაზე. ადრე (გ. წერეთლის დროს) ჩვენც ჩანართად ჩავთვალეთ. მაგრამ ახლა მიმაჩნია, რომ აღნიშნული არგუმენტები მისი უარყოფისათვის საკმარისი არაა. მესამე ტაეპი ტექსტობრივად გასწორდა და ეჭვს აღარ იწვევს.

გ. არაბული: მართალია, სტროფის შიგნით აზრობრივი შეუსაბამობა გამოირიცხა, მაგრამ შინაარსობრივი გამეორება, მრავალსიტყვაობა და კომპილაციური სტილი აძნელებს მისი რუსთველისეულობის მტკიცებას.

დაადგინეს: სტროფი ჩაითვალოს ჩანართად (წინააღმდეგნი გ. კარტოზია, ა. გვახარია).

137 ერთგან დასხდეს...

გ. არაბული: სტროფის შინაარსი შეუფერებელია მოცემული ეპიზოდისათვის. ეს თინათინისა და ავთანდილის (მეფე ქალისა და სპასპეტის) პირველი და საქმიანი შეხვედრაა, როდესაც ორივე იცავს ოფიციალურ ეტიკეტსა და ქცევის წესს. ასეთ სიტუაციაში წარმოუდგენელია მათი ერთად (გვერდი-გვერდ) დასხდომა და „ლაღობა“, რაც მხიარულებას და სასიყვარულო აღერსს გულისხმობს. სტროფში ასეთ მოქმედებას ხედავენ როგორც რიგითი მკითხველი, ასევე მკვლევარებიც (დ. ჩუბინაშვილი, ვ. ბერიძე, ა. ფოცხიშვილი, შ. ნუცუბიძე და სხვ.), რომელთაც სხვადასხვა დროს წერილობით დააფიქსირეს I-II სტრიქონების აზრი, თითქოს თინათინმა და ავთანდილმა იმხიარულეს და დაუწყეს ერთმანეთს კოცნა...

ამრიგად, ამ სტროფის ავტორი არასწორად, დამახინჯებულად წარმოგვიდგენს პოემის პერსონაჟების ქცევას, მათ მორალსა და ეთიკას.

სტროფის ავთენტიკურობაში დაეჭვების საფუძველს იძლევა მისი ე. წ. მაჯამური რითმებიც. როგორც ჩვენამდე მოღწეული პოეტური ტექსტებიდან ჩანს, ქართველმა პოეტებმა მაჯამური სტროფების თხზვა დაიწყეს სპარსული პოეზიის გავლენით XVI საუკუნეში, რაც უფრო პოპულარული XVII-XVIII საუკუნეებში გახდა.

ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. მაჯამებიც მე გვიანდელ ინტერპოლატორთა ნახელავად მიმჩნია.

ც. კიკვიძე: ეს თვალსაზრისი როგორ შევათავსოთ იმ ფაქტთან, რომ XII ს-ის მწერლები – ჩახრუხაძე და იოანე შავთელი იყენებენ ომონიმურ რითმებს?

გ. არაბული: ჩახრუხაძესთან ომონიმური სიტყვები მხოლოდ შიდა რითმაშია. „თამარიანის“ 20-მარცვლიან სტროფებში ომონიმური რითმა საერთოდ არ გვხვდება. აქ არის ორი 16-მარცვლიანი სტროფი ომონიმური რითმებით, რომლებიც გვიანდელი ინტერპოლატორის მიერაა ჩართული ჩახრუხაძის ტექსტში. ე. წ. „აბღულმესიაში“ არის რამდენიმე სტროფი ომონიმური რითმებით, მაგრამ როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევებით (ბ. დარჩია, ა. ხინ-

თიბიძე) მტკიცდება, შავთელის „აბდულ-მესია“ დაკარგულია, ამჟამად არსებული ტექსტი კი შეთხზულია XVII ს-ში იაკობ ღუმბაძის (შემოქმედლის) მიერ. ამიტომ მასში ომონიმური რითმების არსებობა მოულოდნელი არაა.

გ. კარტოზია: ვთხოვთ ა. გვახარიას, რომ მოიძიოს მასალა სპარსულ პოეზიაში მაჯამის დამკვიდრების ისტორიისა და ქართულ მწერლობაში მისი გავრცელების გზების შესახებ: გ. არაბულმა წერილობით, უფრო ვრცლად წარმოადგინოს თავისი თვალსაზრისი.

2006. 17. III

სხლომას დაესწრნენ: თ. გამყრელიძე, გ. კარტოზია, გ. არაბული, ბ. ბრეგვაძე, პ. მარგველაშვილი, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს ზოგიერთი სადავო წაკითხვა პოემის მინიატურული გამოცემის ტექსტის მომზადებასთან დაკავშირებით.

თ. ცქიტიშვილმა დააყენა წინადადება, რომ პოემის პროლოგს ეწოდოს „შესავალი“. დაადგინეს: დარჩეს ტრადიციული სათაური „დასაწყისი“.

ნგ „ძალი მომეც, და შეწენა შენგნით მაქვს, მივსცე გონება“, –

თ. ცქიტიშვილის წინადადებით შეიცვალა პუნქტუაცია: **ძალი მომეც და შეწენა, შენგნით მაქვს, მივსცე გონება** (წინააღმდეგი გ. კარტოზია).

30ა „ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩივნოს“.

გ. არაბული: სარიტმო სიტყვა კონიექტურაა (რ. პატარიძის). ყველა ხელნაწერში იკითხება: **გაამეღავენოს**, რაც ზუსტად გამოხატავს სტროფის ავტორის აზრს. მართალია, ამ შემთხვევაში ზუსტი რითმა არა გვაქვს, მაგრამ ასეთი მცირე დარღვევა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ავტორისეული წაკითხვა კონიექტურით შეიცვალოს.

დაადგინეს: დარჩეს კონიექტურა „გაამჩივნოს“.

34ა „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტოდ ასული“

გ. არაბული: **მარტოდ** მის. წერეთლის და პ. ინგოროყვა კონიექტურაა, ის გაკეთებულია საყრდენთანხმონიანი ზუსტი რითმის მიღების მიზნით. ყველა ნუსხა იცავს წაკითხვას: **მარტო ასული** (= მხოლოდ ასული, ან: ერთი ასული). კონიექტურა აქ აზრს აბუნდოვანებს და ვერც რითმის ეფონიას აუმაჯობებს. ტექსტოლოგიაში მიღებული წესის მიხედვით, უნდა აღვადგინოთ ხელნაწერების წაკითხვა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა „მარტოდ ასული“.

256 (259)გ „თვით თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიხსოვნების“.

გ. არაბული: სარიტმო სიტყვა კონიექტურაა (ი. გივინეიშვილის). ხელნაწერებშია: „**არვისგან დაიჯერების**“, რაც აზრობრივად ზუსტია. კონტექსტის მიხედვით, სტრიქონში ხაზგასმულია ტარიელის მძიმე თავგადასავლის დაჯერების პრობლემა და არა მისი დახსომებისა. ნუ გავამრუდებთ ავთენტიკური ტექსტის აზრს.

დაადგინეს: დარჩეს „დაიხსოვნების“.

278გ „ცით მთვარე ... შუქთა მოჰფენდეს ქვე დარად“.

გ. არაბული: **ქვე დარად** პ. ინგოროყვას კონიექტურაა, რომელიც გაიზიარა 1988 წლის გამოცემის მთავარმა რედაქციამ. ყველა ხელნაწერშია **„ქვე ბარად“**. ჩემი აზრით, წაკითხვის შეცვლის საბაზად საკმარისი არაა ის მცირე დისონანსი, რასაც **ბ** და **დ** ბგერების მონაცვლეობა ქმნის რითმაში. თანაც მთავარის შუქის დარად (= სადაროდ) მოფენა უაზრო გამოთქმაა, ასეთი რამ მხოლოდ მზეზე შეიძლება ითქვას.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ხელნაწერების წაკითხვა: **„ქვე ბარად“** (წინააღმდეგი გ. კარტოზია).

223 „მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არას ეჯდა.“

თ. ცქიტვიშვილი: **ეჯდა** აქ თუ ნიშნავს: „ჩერდებოდა“, „ისვენებდა“, მაშინ უნდა მივიღოთ ვარიანტული წაკითხვა: **არა ეჯდა.**

გ. არაბული: ეს სტროფი მე გვიანდელ ჩანართად მიმაჩნია, მაგრამ ახლა რადგან ძირითად ტექსტში რჩება, უნდა გავიზიაროთ წარმოდგენილი შესწორება; აგრეთვე, მეოთხე ტაქტში **ასმათ** უნდა შეიცვალოს **ქალი-თ** (როგორც გაააკეთა პ. ინგოროყვამ). ამ ქალის სახელი ჯერ არც ავთანდილმა იცის და არც მკითხველმა. იგი თავის სახელს შემდეგ გაუმხელს ავთანდილს: „მე **ასმათ** მქვიან...“ (257,3).

დაადგინეს: მიღებულ იქნას ორივე გასწორება.

404 ბედით ვებულსა დაიწერა დეფისით: **ბედით-ვებულსა.**

651 (654) მიმაჩნდეს გასწორდა: **მიმიჩნდეს.**

690 (693) „ლომი მინდორს ლომთა თანა მინდორს რული, ფერნამკრთალი“.

ბ. ბრეგვაძე: აქ სიტყვა **მინდორს** მეორდება და სტრიქონი სინტაქსურად გაუმართავი ჩანს.

პ. მარგველაშვილი: ხელნაწერებში **მინდორს რულის** ვარიანტია **მოარული**, რაც ტავტოლოგიას აგვაცილებს.

გ. კარტოზია: სიტყვა **მოარული** „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგან არ გვხვდება, როგორც ჩანს, ის გვიან გაჩენილი ვარიანტია. ვფიქრობ, ერთი გამოსავალი გვაქვს: პუნქტუაცია შევცვალოთ: **ლომი, მინდორს ლომთათანა, მინდორს რული, ფერნამკრთალი**, და ასე გავიაზროთ: ლომი (= ავთანდილი), მინდვრად ლომების მსგავსი, ველად მოსიარულე, ფერმკრთალი.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ეს გასწორება.

705 (708) გავიჭრე გასწორდა: **გავიჭრა.**

948 (953) სადით გასწორდა: **სადათ.**

976 (981) ყმამან ცხენი შეუტია, გასწორდა: **შეუტევა.**

1287 (1292) „ვის ედებოდა, ვის ალი“.

გ. კარტოზია: ამ ფრაზის აზრი მთ. რედაქციის მიერ ასეა გაგებული: ვისაც ედებოდა ალი (ვის ნაცვალსახელი გამეორებულია), სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო კონიექტურები: **ვირ, ალი** (მის. წერეთელი), **პვირ-ალი** (ი. ლოლაშვილი), **კირ-ალი** (ა. შანიძე), მაგრამ არც ერთი სათანადოდ დასაბუთებული არაა.

გ. არაბული: ანგარიშგასაწევად მიმანია რ. ბერიძის მსჯელობა და დასკვნა, რომ აქ მეორე ვის ნიშნავს „ვაების“: ვის ალი = ვაების, მწუხარების, ტანჯვის ალი (ცეცხლი); შდრ: „შემესმა ხმა ტირილისა და ვისა (= ვაებისა)“, 3463. კონიექტურების ძებნა საჭირო არაა.

დაადგინეს: ზუსტი რითმის აღდგენის მიზნით, მიღებულ იქნას მიხ. წერეთლის კონიექტურა: ვის ედებოდის ვირ ალი. (ვირ = ვიდრე, მანამდე), (წინააღმდეგი გ. არაბული).

დანართი

„დანართში“ იბეჭდება „ვეფხისტყაოსნის“ გვიანდელი ჩანართები და არშეიკრებულ მიწერილი სტროფები, რომელთა მთავარი რედაქციის მიერ განხილვის ამსახველი მასალა „რუსთაველის კომიტეტის“ არქივში არ აღმოჩნდა. მათ ვაქვეყნებთ „თარგმანის“ გარეშე, მხოლოდ წყაროებზე (ხელნაწერებზე) მითითებით. სტროფების ნუმერაციაში პირველი რიცხვი აღნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის ტექსტში მათ სავარაუდო ადგილს, მეორე (ფრჩხილებში) – პოემის ვრცელი ხელნაწერული ტექსტის მიხედვით კუთვნილ ნომერს.

- 9,1 (11,1) ხარ თმათა მისთა სადარო, სურნელებითა იაო,
მომხედე შენთვის მტირალსა, თავი რას დაგიღიაო?
და ზილფნი უმგზავსო ზუნბულსა, ძოწსა აქვს კარი ღიაო,
შიგ ოცლაოთხა მარგალიტს უბია სამაიაო.
არის XIX ს-ის ორ ხელნაწერში: H-743 და H- 2930.
- 30,1 (39,1) რადგან კაცსა სიყვარული საყვარლისა ვერ ეთმობის,
მისთვის მოსთქვამს მარად ღლისით, მისთვის ყველას
და მიენდობის.
მაშ რად გიკვირთ შეფერება, რადგანც ისი გულს ვერძნობის?
და თასვი მისთვის გაუწირამს, მისთვის სიკვდილსაც ეხმობის.
არის H-1079-ში (გადაწ. 1823წ.), ფ. 4r, მიწერილია არშიაზე.
- 35,1 (47,1) [თვალი] უმზეოდ ბრალია თუმცა შეეპყრას ჩრდილოსა:
[თქვენ იცით] რომე ჭმუნვას ვარ ძნელსა, არ საადვილოსა,
და [ვაჟი არა] მყავს, ქალია მართ ჩემსა საგაზრდილოსა;
[ასრე] მით მხედავთ, მუნ ვიტყუი სიტყუასა სადრეჯილოსა.
არის H-461(D¹) ხელნაწერში, ფ. 4v.
- 39,1 (53) მას ღომსა კაცი იახლა მეფისა, ვეფხს უფიცხეო:
„დავასკუენ ესე თათბირი, სრულ სპათა ჩემთა ვჰკითხეო,
და მე ჩემთა სივაჟაკეთა ჩემნი მებრძოლნი ვითხეო,
აწ შენცა გნუკეგ, ურწყავად აღვისა მორჩი ითხეო“.
არის C¹ C³ C⁴ C⁶ C⁸ ხელნაწერებში.
- 42,1 (57) ავთანდილს მისით შორს ყოფნით შეეკრა თჳალნი ბლექითა,
იამა ქალის მეფობა სიხარულითა მეტითა;

- და იტყვის: „ხანდახან საუბრად მივალ გულითა რეტითა,
კჳლა ზედა-ზედა შევხედავ, ვალხინებ თჳალთა ჭჳრეტითა“.
არის B და C რედაქციების ნუსხებში.
- 44,1 (59,1) [კელა] მოახსენეს: „მეფეო, ვქენით, რაც გიამებისა,
[ღმერთმან] ნიადაგ ეგრე ყოს საქმე თქჳენისა ნებისა;
და [ჩვენ] ტახტი დავდგით, სიკეთე ვით ითქმის ან შევენებისა,
[შორით] მოვხვიედ ფარდაგი, ზარქაში ატლასებისა“.
არის D¹ ნუსხაში, ფ. 5v.
- 44,2 (60) „ადეგ, როსტან, შენსა მზესა კელით კელსა მოეკიდე!“
და მის საბოქჳრის მისათჳალვად მიზიდავს და მიჰყავს კიდე:
„დავბერდი და დავაბზუნდი, მე დღეთავე ჩემთა ვსთჳელიდე,
რაც შევსცოდე შემოქმედსა, ვიტყრო და ვინანიდე“.
არის B და C რედაქციების ნუსხებში.
- 44,3 (61) „უკუვდგე ერთსა ადგილსა დავიწყო გარდაჯდიკლობა“, –
და უბრძანა სრულთა არაბთა, შეჰკადრეს მილოცვილობა, –
„შენ ჩემთა საჭურჭლეათჳის ნუ შეგაქჳს გულსა ცილობა,
კჳლა ზედა-ზედა შევიგნა მე შენი არმოშლილობა“.
არის B და C რედაქციების ნუსხებში.
- 48,1 (65,1) მერმე მოვიდნეს ლაშქარნი, მის მზისა დამლოცველია,
და რომე აივსო სრულობით მინდორი, მთა და ველია.
პირველად წადგა ავთანდილ, სოგრატ მასთანა მგლელია,
გარდააყარეს გუარი, სთქჳა: „ნიჩბით დასაგველია“.
არის D¹ ნუსხაში, ფ. 5r.
- 49,1 (66,1) უთრუთ, საამ, ზაალ, როსტომ, აიოზ და სალიმ, თურა, –
და ვერც მათ იპყრეს ეს სოფელი, დაემართა, იცით, თუ რა?
კაც ეჭიროს კარგი საქმე, კელთა ჰქონდეს ვითა თურა,
არ დაიგმოს მოყჳასთაგან, ათქმევინოს, რა ქნა თუ რა.
არის D¹ B⁶ B¹⁰ B¹³ ნუსხებში.
- 51, 1 (68,1) [აწ] ნახეთ მეფე თინათინ და მისთა შუქთა შუქობა,
და [რომე] მისებრივ სიუხვე ბუქსა თუ ჰქონდა ბუქობა.
[მა]რთ იმა დღისა მნახავსა არსად ეთქმოდა უქობა,
[მასცა] ზარქაში ემოსა, ვის ჰქონდა მებაღღუქობა.
არის D¹ ნუსხაში, ფ. 6v.
- 51,2 (69) რა გადიდდა ნადიმობა, დაატკობდეს ჩანგნი კმასა,
და მათ ტურფათა სანახავად ჯარი მოდგა ბანის-ბანსა,
ბუღბუღი და იადონი იზახოდეს მულღანზარსა.
თავის-მსმელთა, – დავლიოთო, – ძალი მისცეს ღვინის სმასა.
არის B და C რედაქციების ნუსხებში.

- 56,1 (74) მის ჯარისა სისარული მე გიამბო ამად კიდა:
 რა გარდაჰდა ოდენ ჭამა, ჳელმწიფემან თავი ჰკიდა.
 ავთანდილ და სოგრატ ჰკჳირან: „ნეტარ რა, ვთქუათ, წაეკიდა?
 და საჭურჭლეთა გარდაგება დაუმძიმდა მეტად კიდა“.
 არის B და C რელაქციების ნუსხებში.
- 58,1 (77,1) [თინათინს] ჰკადრეს იღუმალ; „მეფეს რაცაღა სწყენიან,
 [ჩვენვე] ვაწყინეთ, ვიშიშვით და ამად დიდად გვრცხენიან,
 [თუ ბრ]ძანებთ, ვპიკთხავთ, რა უმძიმს, შუქი მზებრ აღარ
 და უბრძანა: „ჰკითხოს ვეზირმან, ტურფა-სიტყვამან, ენიან“.
 არის D¹ A¹² ნუსხებში.
- 62,1 (83) როსტან დაბერდა, გაუშვებს პურობა-დარბაზებართა,
 მაგრა მისებრი ვის ძალუც სწავლა სოფლისა ზნებართა,
 მშჳილდოსნად მსგავსი გმირისა, მობურთლად, მომტაცებართა,
 და ცოტასა შეჰგავს მშჳილდოსნად დალი ავთანდილ, მზე ბართა.
 არის C რელაქციის ნუსხებში (C5-ის გარდა).
- 99,1 (149,1) შინა მოვიდა ჳელმწიფე პირი შუქფერმიხდილითა,
 კარზედა მდგენი უღონოდ დახდეს შიშისა ზართა.
 სახლი დაუხვდეს მოცული ოქრო-სკამ-დანადგამითა.
 და „მარტო ავთანდილ მიჳმეთო“, – ბრზანა სიტყჳითა წყნართა.
 არის D¹ B⁷ ნუსხებში.
- 583,1 (735,1) სევედა დამერთო ასეთი, ვერ მოვიშორებ, ძნელია;
 ნახეთ, სოფელმა რა მიყო საქმე ნაქმარი ძნელია.
 აწ ახლა კაცი ვინ არის ჩემის ჳირისა მქნელია?
 და ღმერთს მივენდობი, ისი სჯობს, ეს საქმე უფრო მთელია.
 არის H-461 (D¹) და M-48 (S₁) ნუსხებში.
- 584,1 (735,2) შვეიჭურვე, ჩემთან ჩემნი მოემზადნენ ასნი ზრდილნი,
 ემანი ჩემნი გულსანდონი, საყვარელნი ვითა შვილნი;
 არ მომშორდნენ, უჩემოსა არ უნდოდათ არცა ძილნი,
 და თან გამომყვნენ, ველნი განვლეთ, ზღვად მივედით
 დაჭმუნვილნი.
 არის M-48 (S₁) ნუსხაში.

სარჩევი

პირველი წიგნის წინასიტყვაობა	3
„ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ხელნაწერთა და გამოცემათა ლიტერები	7
მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები:	
1979 წელი.....	11
1980 წ.	41
1981 წ.	116
1982 წ.	186
1983 წ.	225
1984 წ.	240
1985 წ.	257
1986 წ.	257
1987 წ.	258
1988 წ.	260
1989 წ.	261
1990 წ.	262
1991 წ.	263
1992 წ.	264
1993 წ.	266
1994 წ.	267
1997 წ.	268
1998 წ.	296
2006 წ.	306
დანართი	307